

ქართველურ ენათა
სტრუქტურის
საკითხები

X

თბილისი
2009

ნარგიზ ახვლედიანი

ერთი გვარის ისტორიისათვის აჭარაში

ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისებაა დაიცვას წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ფასეულობანი. გვარს, როგორც ოჯახის თანმხლებსა და სარკისებრ ასახვას ყოველთვის პატივს მიაგებდა და უფრთხილდებოდა წინაპარი. ნაშრომში წარმოდგენილია აჭარაში გავრცელებული ერთ-ერთ ლიბოძლიერი და ისტორიული გვარი — ახვლედიანი.

დიდი ილია წერდა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა და მთლად წარწყმედისაცა.“

ბევრს ერს (ხალხს) ქვეყანაზე სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელსაც სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის...“ (ჭავჭავაძე 1987: 65-67).

გასული საუკუნის 10-იან წლებში აჭარაში დაიწყო საყოველთაო აღწერა. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა აჭარაში არსებული ნამდვილი მემამულეების სია, ყველა აღა-ბეგი ვერ იქნებო, თუ არა მაშინ წარმოადგინეთ მემამულეობის დამადასტურებელი საბუთიო. მახინჯაურიდან ახვლედიანებმა წარადგინეს საბუთი, სადაც მათი მამულის საზღვრები იყო მითითებული. ეს საბუთი — სიგელი, მამულისმფლობელობის და გვარის უფლება-მოვალეობის წიგნი იყო, რომლის ორიგინალი ინახებოდა ერთ-ერთი ახვლედიანის ოჯახში, ასლი კი დღესაც სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივშია დაცული. ამ გვარის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა — საზოგადო მოღვაწემ და მკვლევარმა ხარიტონ ახვლედიანმა მამისა და უფროსი ძმებისაგან კარგად იცოდა ამ „სიგელი“-ს შინაარსი და იქ დასახელებული ადგილ-მამულის საზღვრები: ჩრდილოეთით — „კარაემიმ ბურუნი“ — წყაენარი კონცხი, აზიზ ახვლედიანის ცნობით (დღევანდელი მწვანე კონცხი), აღმოსავლეთით — „სასირე ყელი“ და „ომბალო“ (დღევანდელი ომბალური), სამხრეთ-დასავლეთით მდინარე სამიძმეთა — ყარადერე (დღევანდელი განთიადი), რომელიც იმ ტო-

პონიმა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც ძველი სახელწოდება მთლიანად შეეცვალა, აზ. ახვლედიანის ცნობით, ეს იყო ორპირი მდინარე ყოროლისწყლის პარალელურად მდებარე დეღე (ახვლედიანი 1971: 86-87); დასავლეთით — შავი ზღვა (სიხარულიძე 1974: 19).

500 წლის წინათ ჩამოსულა ალხამუში შავი ზღვის პირას, მოსწონებია აჭარის მიწა და აქ დასახლება განუზრახავს. ზეპირ გადმოცემებს ცოტა დაეჭვრება, მაგრამ როცა მემატეიანეს რაიმე ფაქტი გამორჩება, იმას ლეგენდებითა თუ თქმულებებით ავსებენ, გავიხსენოთ თუნდაც ლეგენდა „ოქროს საწმისი“-ს შესახებ (მითი თუ რეალობა?!). გადმოცემა და თქმულება ისეთი ისტორიული წყარო, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“.

სავგარეულო გადმოცემით, ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ერთ-ერთ ჯვაროსან მოლაშქრეს, აბჯაროსან ახვლედიანს მოსწონებია ეს ადგილი და დასახლებულა მახინჯაურში. ბუნებრივია, ჯვაროსნულ ლაშქრობაში შესაბამისად აღჭურვილ-შეიარაღებულნი, აბჯარასხმული, „აბჯაროსანი“, ანუ ჯავშენით შემოსილნი ღებულობდნენ მონაწილეობას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ ერთი გვარის ისტორია აჭარაში. ესენი არიან ლეჩხუმიდან მოსული — მახინჯაურელი ახვლედიანები — ალხამუშ ახვლედიანის შთამომავლები. ალხამუში ერთ-ერთი ბოლო ქრისტიანი ახვლედიანი იყო, რომელიც მახინჯაურშია დაკრძალული.

ახვლედიანთა სახელოვანი გვარი ისტორიულად ლეჩხუმში ცხოვრობდა. ეს გვარი გვხვდება: ქვ. რაჭაში, ოდიშში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამცხეში, თორში, ქართლში, კახეთში და ქიზიყში (ალ. ნაზლაიძე, იხ. დანართი №1).

ახვლედიანთა გვარი — აღვი, ცაგერა (ცაგერის რაიონი), დერჩი (წყალტუბოს რაიონი) და სხვ. (გავრც.), სვანური წარმოშობისაა. სავარაუდოა, საფუძვლად ამ გვარს ედოს საკუთარი სახელი „ახვილდ“ (<ახავილდ), სადაც „ილდ“ სვანური კნინობითობის მაწარმოებელი ფორმანტია და ერთვის საკუთარ სახელს „ახავ“-ს (მაისურაძე 1990: 25-26).

აჭარაში, თურქობის ბატონობის დროს, ახვლედიანებმა, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა მცხოვრებმა, მიიღეს თურქული „ოღლი“-თ გაფორმებული გვარი. ასე მაგალითად, ახვლედიანი გახდა — კირისილოლი. ამ ფაქტს ადასტურებს მკვლევარ ხ. ახვლედიანის მიერ ჯერ კიდევ 1944 წელს გამოცემული მონოგრაფია „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან“ (XVI-XIX საუკუნეები), რომელსაც ავტორი ორივე გვარს, ახვლედიანთან ერთად იქვე ფრჩხილებში კირისილოლსაც უთითებდა. რაც შეეხება ახვლედიანს, იგი არის ფუძე გვარი მახინჯაურში მცხოვრებ ახვლედიანთათვის, რასაც არა ერთხელ აღნიშნავდნენ ამ გვარის უფროსი თაობის წარმომადგენლები. აზიზ ახვლედიანი იხსენებს, როცა ბაბუა ხაზს უსვამდა იმას, რომ „ჩვენ ვართ ახვლედიანები, რასაც აქ 5 საუკუნოვანი ისტორია გვიმაგრებს ზურგს, და წინაპართაგან შეგონებად ისმოდა, რომ ამას გაფრთხილება და მოვლა სჭირდე-

ბაო“. გვარი კირისილოლი ერთი ეპოქის ნაყოფია, თურქების ბატონობის დროინდელი (აბჯაროსანი ახვლედიანი თურქულ ენაზე ითარგმნა, როგორც კირისილოლი). ძირძველ ქართულ გვარებს თურქები მათთვის გასაგებ ენაზე თარგმნიდნენ, ისევე როგორც ქართულ ტოპონიმებს. ასე მაგალითად, ქართული ტოპონიმი „წყანარი კონცი“ თურქებმა, მათი ბატონობის დროს, პირდაპირ თარგმნეს როგორც „კარაიემიშ ბურუნი“ („კარაუმიშ“ — წყალი, „ბურუნი“ — კონტი), ხოლო რუსების შემოსვლის შემდეგ იგივე ტოპონიმი ითარგმნა რუსულ ენაზე: „Зелёный Мыс“ — მწვანე კონცი.

ოლი თურქულად შვილს, შთამომავლობას ნიშნავს, რაც შეეხება „კირისილ“-ს, იგი ჩვენი ვარაუდით „კირასირ“¹ ფორმისაგან მიგვაჩნია მიღებული, სადაც პირველ ეტაპზე მომხდარა სონორულ თანხმოვანთა შორის დისიმილაცია. კირასირ → კირასილ. თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შემდეგ ეტაპზე, საქმე გვაქვს ხმოვანთა პროგრესულ, დისტანციურ, სრულ ასიმილაციასთან, კერძოდ, სინჰარმონიზმთან, ანუ ხმოვანთა ჰარმონიასთან, რომელიც მეტ-ნაკლებად გვხვდება სხვადასხვა ენაში, მაგრამ მეტადრე დამახასიათებელია ურალურ-ალათაური ენებისათვის, კერძოდ თურქულისათვის (ახვლედიანი 1999: 200). საბოლოოდ სახეზე გვაქვს მომდევნო ხმოვნის პალატალიზაცია: კირასილ → კირისილ. თუ თავდაპირველ ფორმას „კირასირ“-ს მივუბრუნდებით, რუსულ-თურქულ და თურქულ-რუსულ სამხედრო ლექსიკონში ასეთ განმარტებას ვპოულობთ: კირასირ-сеbec (Бочкарёв 1940: 406). ჯებეჯი ნ. შენგელიას განმარტებული აქვს როგორც მეიარაღე, მეაბჯრე (შენგელია 1987: 288). ჯებეჯი сеbec — სპარსული წარმოშობის სიტყვაა ჯაბადარი (ჯაბადრისა), [ნიშანდობლივია ისიც, რომ ხარიტონ ახვლედიანმა თავის ერთ-ერთ ვაჟს ჯაბა დაარქვა, რომელიც 14 წლისა გარდაიცვალა] რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია როგორც ჯავშან-საჭურვლის მქონე. აქედან გამომდინარე „კირისილოლი“ უნდა ყოფილიყო ჯავშნოსანის, აბჯაროსანის, ბექთაროსანი მოლაშქრის შთამომავალი. აბჯარი სულხან-საბასთან განმარტებულია როგორც ზოგადი სახელი ყოველთა საჭურველთა და უფროსად ჯაჭვთა საცვამთა, ჯავშანი არს აბჯარი რკინის(ა), ტანსაცვამი ჯაჭვი, ბეგთარი — მორკინული საცმელია საომარი (სულხან-საბა 1993: 450; სულხან-საბა 1991: 100). ეს ვარაუდი ამართლებს საგვარეულო გადმოცემას, აბჯაროსანი ახვლედიანების შესახებ. აქვე მოვიყვანთ კირ-ძირის განმარტებებს რუსულ-თურქული ლექსიკონებიდან, ასე მაგალითად: „kir“ — 1. светло-серый, седой და 2. поле, степь, равнина. „serdar“ — 1. хозяин полей და 2. военный начальник иррегулярного жандармского отряда. „kir“ — ძირიდანაა ნაწარმოები „kiral“ — слав. правитель, князь, король,

¹ Основная часть фамилий, образованных от воинских званий иностранного происхождения, главным образом французского, и в русский язык проникла через немецкий и польский. Фамилии от них возникли в основном в XVIII в.: Кирасиров < Кирасир (Унбегаун Б. О. 1989: 100-101).

княжество (Магазаник 1931: 586). კორსარებიც შუა საუკუნეების ევროპაში რუსეთში, თურქეთში და საფრანგეთშიც მოლაშქრეები იყვნენ. კირასირები მძიმე კავალერიის სახე იყო ევროპულ არმიაში XVI საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში (რუსეთში — XVIII საუკუნეში) (საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1987: 578). რუსულ-ფრანგულ და ფრანგულ-რუსულ ლექსიკონებში *Cuirassier* განმარტებულია როგორც აბჯაროსანი (რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1988: 326; ფრანგულ-რუსულ ლექსიკონი, 2000: 3-60-80) — ბევთარით შეჭურვილი, მხედარი ბევთაროსანი. (ფრანგულ-ქართული ლექსიკონი; 1998:602). აჭარაში თურქეთის ბატონობის დროს იშვიათი არ ყოფილა სამხედრო წოდებიდან მომდინარე გვარები. ასე, მაგალითად, ჩაუშოღლი¹, სამბაშოღლი (სუბაშოღლი),² იუზბაშოღლი (ასისტავი), ბინბაშოღლი (ათასეულის მეთაური), ბაშ-ჩაუში (უფროსი უნტეროფიცერი), ონბაშოღლი (ათმეთაური) — მასალები ამოღებულია ხარიტონ ახვლედიანის პირადი არქივიდან საქმე №1) და სხვა, რომელთა შთამომავლებიც დღესაც სახლობენ აჭარაში.

მახინჯაურელ ახვლედიანთა გენეალოგიური ხე ასე გამოიყურება: სალიხ — მუსტაფ — არიფ — გულიზარ — ხუსეინ (ხარიტონ) — იბრაიმ ახვლედიანები (და-ძმები) ← ახმედი ← მემედ ქუჩუკი ← სალიხი ← ხუსეინი ← კირილე ← ალხამუში. გადმოცემით, სწორედ კირილეს შვილები გამხდარან იტლუბულნი მაჰმადიანობა მიეღოთ. ხალხური გადმოცემით, ეს ახვლედიანები, ასე ამბობდნენ: ახვლედიანი კირისილოღლები, ხალხური ეტიმოლოგიით, ახვლედიანი კირილეს შვილები იყვნენ, შთამომავლები — მუსლიმანები, მაგრამ ახვლედიანები და ქართველები — ეს ამბები ჩაწერილი იყო 80 წელს მიღწეული ოჯახის მამის და ხელმძღვანელის არიფ ახვლედიანისაგან გასული საუკუნის 60-იან წლებში: „მაღალ გორაკზე გადმოდგარი ორსართულიანი სახლის აივნიდან ბათუმი და ლურჯად მოლივლივე ზღვა მოსჩანს“. ასეთი იყო მსუყე სახლის ეზო-კარ-მიდამო გურამიშვილის ქუჩაზე (ლორია 1967: 3).

¹ ჩაუში — სულთნის პირადი გვარდის კატეგორია, სამხედრო ოფიცერთა წოდება სიფაიებისა და იანიჩრებს შორის. ოსმალთა სახელმწიფოში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის შემსრულებელი პირი. ჩაუშები იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები მიჰქონდათ ვილაიეთებში. ემსახურებოდნენ დივანის სხდომებს, ლაშქრის მეთაურთა განკარგულებები მიჰქონდათ რაზმების მეთაურებთან და სხვა შენგელია ნ. 1987:286).

² სუბაში — სუბაშების ორი მთავარი კატეგორია იყო: 1. სახელმწიფო სუბაშები, ე.წ. „მირი სუბაში“; 2. თიმარის სუბაში. პირველი კატეგორია ქალაქებში საპოლიციო საქმიანობას განაგებდა. მათ ხელქვეითებსაც სუბაში ეწოდებოდათ. მეორე კატეგორიის სუბაში იყო სამხედრო ფეოდალი, რომელიც მშვიდობიან პერიოდში ციხე-სიმაგრეებში იჯდა და განაგებდა, ხოლო ომის დროს ფეოდალურ ლაშქარს მეთაურობდა. მის რაზმში 250-300 სიფაპი შედიოდა. იგი ამ შემთხვევაში ალაიბეგს ემორჩილებოდა. სუბაშები იყვნენ რეგულარულ ჯარშიც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება. მშვიდობიან პერიოდში კი გადასახადების ასაკრებად იგზავნებოდნენ (შენგელია ნ. 1987:283).

სამხედრო ვალდებულება პრივილეგიებულობის საფუძველი და ნიშანი იყო ევროპაში (ჩხატარაიშვილი 1979: 3). ასევე იყო ის — საქართველოშიც. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ფეოდალიზმის დროს „ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილ მამაკაცისათვის (ჯავახიშვილი 1928: 61). მომდევნო ხანებშიც (XII-XIII) ს-თა მონაკვეთზე მოლაშქრეობა რომ პრივილეგია და პატივი იყო, ეს ვეფხისტყაოსნისდანაც კარგად ჩანს. პოემის მიხედვით (მშრომელს, გლეხს) სხვა საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს, მოლაშქრეს — სხვა:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“

(რუსთაველი 1991: 3)

ლაშქრის სოციალური შემადგენლობა საზოგადოების ეკონომიკური პოლარიზაციითაც იყო განპირობებული. ფეოდალური საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი — გლეხობა მოკლებული იყო მოლაშქრეობის ეკონომიკურ შესაძლებლობას, ხელი არ მიუწვდებოდა ძვირადღირებულ სამხედრო აღჭურვილობაზე და არც ლაშქრად ყოფნისას თავის რჩენა შეეძლო (Дельбрюк 1933: 59).

წარჩინებულ საგვარეულოს დიდი თანამდებობა — სარდლობა ეჭირა. ახგლედიანთა სასარდლოს არსებობაზე იმერეთის ლაშქარში მოგვითხრობს ისეთი ისტორიული წყარო, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იმერეთის სამეფოში ოთხი სასარდლო არსებობდა: რაჭის, არგვეთის, ვაკისა და ოკრიბა-ლექხუმის, ამათგან ოკრიბა-ლექხუმის სასარდლო მოიცავდა ლაშხიშვილების, ინასარიძეებისა და ახგლედიანების სათავადოებს (სოსელია 1973: 223) (იხ. დანართი №2). სარდლის (თანამდებობის) ბოძება აშკარად თავადობაზე მიუთითებდა, სხვა სახელი კი თავადსაც შეიძლებოდა ჰქონოდა და აზნაურსაც (გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, 1993: 11).

ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრების ეჭვმიუტანელი მონაცემები გვიჩვენებენ, საზოგადოების კლასობრივი დეფერენციაცია, ისე შორს იყო წასული, რომ მან ასახვა ჰპოვა ქართულ სამხედრო ორგანიზაციაშიც. ამ საკითხებზე მეტად საყურადღებო და დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებებია გამოთქმული არქეოლოგი. გაგოშიძის ნაშრომებში. მისი სიტყვით ძვ. წ. VI-V საუკუნეთა სამაროვნებზე (მაგ.: ბეშთაშენი) „ბევრია საბრძოლო იარაღი“, მაგრამ ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით არ გვხვდება (გაგოშიძე 1964: 80).

ადრენატურული ხანის სამაროვნებში „იარაღის მასობრივი გაქრობა“ დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისათვის (იქვე გვ. 79). ს. ჯანაშიამ

ამ ფაქტში სოციალური შინაარსი დაინახა და იგი მცხეთის გაქალაქებას დაუკავშირა, ი. გოგოშიძის აზრით, „ამ მოვლენაში უფრო მეტი უნდა დავინახოთ, ვიდრე ცალკეული პუნქტების გაქალაქება (გაგოშიძე 1964: 79), რადგან როცა სამაროვნებზე იარაღი სრულებით აღარ გვხვდება, მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღი უხვადაა ჩატანებული (იქვე, გვ. 80).

ი. გაგოშიძის აზრით, რომელიც იმოწმებს რა ს. ჯანაშიას დაკვირვებას და ბ. კუფტინის ფაქტობრივ მონაცემს, დასძენს: ძნელია იმ საზოგადოებაში, სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს, არ დავინახოთ კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მასთან ძალაუფლებაც საზოგადოების გარკვეული, უფლებრივად და ეკონომიკურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია (იქვე, გვ. 80).

ჯერ კიდევ სტუდენტი ხარიტონ ახვლედიანი თსუ-შივე დაუახლოვდა ნ. ბერძენიშვილს. ნ. ბერძენიშვილი ჩვეული ყურადღებით ისმენდა დამწყები მკვლევარის პირველ მოსაზრებებს და აქეზებდა მას შემდგომი მეცნიერული მუშაობისათვის. მასაც ბევრი რამ სურდა მოესმინა ხარიტონისაგან მახინჯაურელ ახვლედიანთა წარსულზე (სიხარულიძე 1974: 18).

ამ გადმოცემის ზოგიერთი ჩვენება ხ. ახვლედიანის ძმის, არიფის თქმით, 1967 წელს ჩაუწერია და გამოუქვეყნებია მწერალ პარმენ ლორიას გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ სახელწოდებით „ალხამუშის ნასახლარზე“. მოგვიანებით ეს გადმოცემა არიფ ახვლედიანისგანვე ჩაუწერია ი. სიხარულიძესაც ახვლედიანთა იმ შტოს შთამომავლობითი ხე, რომელსაც ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი ეკუთვნოდა. ამ გადმოცემით, ხსოვნაში შემონახულ უძველეს წინაპარს ალხამუში რქმევია. მას თითქოს ერთი ვაჟი (კირილე) ჰყოლია. ამ უკანასკნელის შვილები უკვე იძულებულნი გამხდარან მაჰმადიანობა მიეღოთ (ხუსეინ, ახმედ). უფროსს ორი ვაჟი (სალიხ, მემი) შექცნია, ხოლო პირველ მათგანს სალიხს — ოთხი (ახმედ, მემედ-ქუჩუკ, ხუსეინ), მესამე (მემედ-ქუჩუკი) ხარიტონის ბაბუა იყო და ორი ვაჟი (ახმედ და ისმაილი) ჰყავდა.

ზემოთ ნახსენებ მამულისმფლობელობის სიგელში ეწერა უფლებები და მოვალეობები, თუ რა ევალეობდა მემამულეს, ანუ შესაბამისი მიწის მფლობელს, მესაკუთრეს. ასე მაგალითად, ჟანდარმერიას არ ჰქონდა მამულში უნებართვოდ შესვლის უფლება, ომის დროს მემამულეს ევალეობდა ჯარის გამოყვანა საომრად, ჯარში იუნკერებად იწვევდნენ მემამულეთა შვილებს და სხვა. აქვე მოვიყვათ რამდენიმე გადმოცემას მახინჯაურელ ახვლედიანებზე.

უფროსი თაობის ახვლედიანებისაგან ცნობილია, როცა თურქებს დატყვევებული ქემალ ჯინჯარაძე მიჰყავდათ თურქეთის ჯარში სამსახურისათვის, ხუსეინ-ალა ახვლედიანს გაუთავისუფლებია ტყვე და თურქებს დამუქრებია კიდევაც. სად მიგყავთ? ვინ მოგცათ უფლება? იმ თქვენ გატენილ ვა-

ლის¹ უთხარით მეტი აღარ გაბედოს ასეთი რამ და აქედან წავიდესო“. ხუსეინ-აღამ მერე ტყვეს მიმართა: „შენ, ქემალ, სახლში წადიო“. დაბნეული ჯარისკაცები უკან გაბრუნებულან. ეს ამბავი გადმოგვცა აზიზ ახვლედიანმა, რომელიც მას ბაბუის მონათხრობიდან ახსოვდა. ეს ისტორიული გადმოცემები (სხვაც ბევრი, ხაზგასმა ჩვენია — ნ. ა.) მახინჯაურში ამ გვარის დიდი ხნის მკვიდრობას ადასტურებს. მართლაც საკმარისი იყო ახვლედიანების მამულში ფეხი შემოედგა ნებისმიერ ლტოლვილს, მას ხელს ვეღარავინ ახლებდა. ეს იცოდნენ კიდევაც და საშველად მოდიოდნენ. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ კიდევ ერთ ნამდვილ ამბავს 78 წლის, მახინჯაურის მკვიდრის, ნიაზ ახვლედიანის ცნობით, როცა ბეჟანიძეებს ხალხმა ოლქა მოუწყო, დაახლოებით ეს იყო 1800-1850 წწ., თავადი ბეჟანიძეები დედის მხრიდან ხიმშიაშვილების ბიძაშვილები იყვნენ და თავის დასაცავად იმალებოდნენ თამარის ციხეში, დღევანდელი „თამარის დასახლების“-ს ტერიტორიაზე. ხალხის რისხვისაგან ბეჟანიძეები ხუსეინ ახვლედიანმა და მისმა მეუღლემ დინდილე ხანუშმა (რომელიც აფხაზი თავადის ემზვარის ასული იყო) იხსნეს. დინდილე ხანუშს საჭმელ-სანოვავე შეჰქონდა ციხეში, როცა ეს ამბავი გაიგო დასახმარებლად წამოსულმა შერიფ ხიმშიაშვილმა, გზად შიკრიკი გამოგზავნა ამბის გასაგებად, თუ ვის მხარეს იყვნენ ახვლედიანები, როცა შერიფ-ბეგი დარწმუნდა, რომ ახვლედიანები ბეჟანიძეებს გვერდით ედგნენ, მობრუნებულა და უკან წასულა სახლში, აქ ყველაფერი კარგად იქნებაო.

თავადის დამახასიათებელ ატრიბუტს ქონებრივი თვალსაზრისით, ყმა-მამულთან ერთად, ციხე-სიმაგრის ფლობა წარმოადგენდა. ფეოდალურ ეპოქაში ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (სოსელია 1966: 38). სტუდენტობის დროს ხარითონ ახვლედიანმა საგვარეულო გადმოცემასთან ერთად, მათი ძველი „ჯიხურის“ ადგილ-სამყოფელიც იცოდა (სიხარულიძე იქვე: 18). ეს ადგილი დღემდე ცნობილია მახინჯაურელი ახვლედიანებისათვის. „ჯიხური“ მეგრულ-ლაზური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვასიტყვით საციხურს ნიშნავს, სადაც ახვლედიანებს 40-50 კაცის შემადგენლობით ჯარი ჰყავდათ, რომელთა ჭამა-სმა და აღჭურვა, ახვლედიანებს ევალებოდათ და საჭიროების შემთხვევაში საბრძოლოვლად გაჰყავდათ.

ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში სათავადოების ჩამოყალიბება. ეს პროცესი დაწყებული XIV საუკუნის დასასრულს სამეფო-სამთავროების საბოლოო ფორმირების პარალელურად და მის შემდეგ XVIII საუკუნეშიც მიმდინარეობდა (სოსელია 1966: 37).

¹ ვალი — ოლქის მმართველი, ოსმალეთში ვილაიეთის გამგებელს — ბეგლარბეგს ვალი ეწოდებოდა. ვალი იყო მოსაზღვრე ტერიტორიების გამგებელი, უმაღლესი თანამდებობა ფეოდალურ აღმოსავლეთში. ქართლ-კახეთის მეფეები ირანის შაჰისაგან ვალის ტიტულის მატარებლები იყვნენ (შენგელია 1987: 265).

თავადობა აზნაურებს უფრო გვიან XV საუკუნეში გამოეყო. მანამდე მთელი გაბატონებული კლასი აზნაურებით იყო წარმოდგენილი, რომელთაც ე. წ. „ტახტის აზნაურები“ ერქვათ, მათ ნაცვლად დარჩა აზნაური. თავადთა წოდების ჩამოყალიბება XV საუკუნეში მოხდა. თავდაპირველად სიტყვა „თავადი“ წოდებრივი მნიშვნელობით არ იხმარებოდა, XI-XIII საუკუნეებში ამ სიტყვით ყოველგვარი მოთავე აღინიშნებოდა. XVI საუკუნიდან „დიდება“ მემკვიდრეობით კუთვნილებად იქცევა და ამ დროიდან თავადობაც უკვე წოდებრიობის ხასიათს ღებულობს (საქართველოს ისტორია, 1946: 298-299; კაკაბაძე 1921: 9, 19, 26, 33; თაყაიშვილი 1909: 373). „დიდება“ — მეფის მიერ აზნაურთათვის დიდი სახელოსა (თანამდებობა) და მისი შესაფერისი ყმა-მამულის ბოძებას ერქვა. დიდებამინიჭებულ აზნაურს დიდებული აზნაური ეწოდებოდა (ბერძენიშვილი 1990: 100-103).

დასავლეთ საქართველოში თავადთა შემდეგ გვარებს ვხვდებით: იმერეთის სამეფოში (რაჭა-ლეჩხუმის ჩათვლით) — აბაშიძე, ახვლედიანი, ყიფიანი, მხეიძე, წერეთელი, ჩხეიძე, ერისთავი (რაჭის და იმერეთის), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, ლოლობერიძე, წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი, მიქელაძე, ჩიჯავაძე, ავაშვილი, ფინეზისშვილი (აბაშიძეთა შტო), ღაბუაშვილი, ანუ ღაბუაშვილი (აბაშიძეთა შტო) (სოსელია 1966:46). ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები ეყრდნობა პირველწყაროებს, დოკუმენტურ მასალებს და თავადთა საგვარეულო საბუთებს. მათი უდიდესი ნაწილი გამოუქვეყნებელია და ინახება სხვადასხვა არქივსაცავებში (სოსელია იქვე: 17).

აღსანიშნავია, ახვლედიანების, ჩიჯავაძეების, მიქელაძეების ახლო ნათესაობა მახინჯაურში. ჩიჯავაძეები და მიქელაძეები დედით ახვლედიანები არიან (სიხარულიძე 1974:19)

მახინჯაურში დღემდე ახსოვთ ახვლედიანების მიწები: ახლანდელი გუბანოვის ტერიტორია, რომლის ძველი სახელწოდება, აზიზ ახვლედიანის ცნობით, არის „ოჯინჯი“. ასე, მახინჯაურში არსებული რუსულენოვანი ტიპონიმების ქვეშ მათი ძირძველი ქართული სახელწოდებების აღდგენა შეიძლება. ესენი მუჰაჯირობის დროს ან ძალად გასახლების ხარჯზე დატოვებული ახვლედიანების მიწები იყო მახინჯაურში. მკვლევარი აზიზ ახვლედიანი იხსენებს საკუთარი ბაბუის გადმოცემას, როცა გრიგოლ გურიელი ათასგვარ სანახაობას მართავდა იმისათვის, რომ აქაური მკვიდრნი თურქეთში არ გადასახლებულიყვნენ, ამასთან თხოვდა კიდევაც მათ საკუთარ მამულში დარჩენას. განსაკუთრებული სიახლოვე მახინჯაურელ ახვლედიანებს (კირისილოვლებს) გურიელებთან ჰქონდათ.

მეფის მთავრობა ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აეყარა ადგილობრივი მკვიდრნი და რუსეთის გუბერნიებიდან ხალხი აქ გადმოესახლებია. მათ ეს განზრავა შეასრულეს კიდევც. ასე გაჩნდა მახინჯაურში ლიტვინოვი, გუბანოვი, ფესინკოვი, სმირნოვი და სხვა. მთელი შავი ზღვის სანაპიროზე

რუსმა კოლონიზატორებმა დაიწყეს აგარაკების აშენება. ასე დაიწყო შავიზღვისპირეთის საუკეთესო მიწების დატაცება. დატაცება იმ მხარეებისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად (ბათუმსა და მის მიდამოებს), არ მარტო მისი ნავსადგომით ვაჭრობის თვალსაზრისით, არამედ მისი ბუნებითაც. ბათუმისა და მისი მიდამოების ლამაზი მდებარეობა, მისი შესანიშნავი ჰავა და სუბტროპიკული ხეილიანი კორდების სიუხვე ხიბლავდა თავისკენ იზიდავდა ყველა დამპყრობელს და ყველა მის ხელში ჩაგდებას ლამობდა (ასეა დღესაც, ხაზგასმა ჩვენია — ნ. ა). რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამოხატულება იყო ისიც, რომ 1894წელს მუჰაჯირების მიწები და სოფლები კომლენითურთ ჩარიცხულ იქნა სახელმწიფო ფონდში (ახვლედიანი-კირისილოლი 1944: 221-223).

აქვე მოვიყვანთ ბათუმის სახელმწიფო არქივში დაცულ საბუთებს ახვლედიანების (კირისილოლების) მიწათმფლობელობის შესახებ მახინჯაურში. 1880 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: მახინჯაურელი კირისილოლები: „...Кирикуль-оглы Кочуг-Ага, Кирикуль-оглы Гусейн-Ага, дочери Гусейн-Аги Фатьмы, Падины, дочери Расан-Али, Ломан-Ага, Маир Чоуш, Ариф-Ага, и Гусейн-Ага, Меми-Ага оглы... Помянутыми недвижимыми именными владеют бесспорно-наследственно более тридцати лет, на праве полной и исключительной собственности, вне всякого стороннего участия и кроме их, к именным этим других наследников или претендентов нет“ (ბათუმის ცენტრალური არქივი, ფონდი №4-10).

1914 წლის 23 მარტით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: „Мы ниже сего подписавшиеся жители селен Махинджаури Кинтришского участка Батумского округа и области, сим удостоверяем, что участок земли лежащее в сел. Махинджаури, под названием «Абано» действительно составляет полную собственность односельцев наших Ахмед-Ага и Исмаина-Ага Кирикуль-оглы, каковой находится в их фактическом владении и пользовании с давних пор ещё при турецком владычестве, владеем по настоящее время, на основании местных законов о земновладении“. მასალა ამოღებულია ბათუმის სახელმწიფო არქივიდან და დამწებულია იმ დროინდელი ბათუმის ნოტარიუსის კაზიმირ კაზიმირის ძე პრუსკის მიერ (ბათუმის ცენტრალური არქივი, ფონდი №1).

ახვლედიანთა მიწათმფლობელობას მახინჯაურში ადასტურებს 1901 წლის 5 აპრილით გაცემული მოწმობები, რომლებიც პირად საგვარეულო არქივებშია დაცული. ხარიტონ ახვლედიანის პირად არქივში ვკითხულობთ: „ლაზისტანის ლივა, ბათუმის კაზა (ყაზა) ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული. კაზას თანამედროვე სახელწოდება — ილჩეა (შენგელია 1987: 272), სოფელი მახინჯაური: მიწის მეპატრონე ქუჩუკ-ალა კირისილოლი, საბუთს ხელს აწერს ლაზისტანის ლივას განყოფილების უფროსი მეჰმედ ემინი. საბუთი

დამტკიცებულია უმაღლეს ხელისუფალთა მიერ და არავის აქვს უფლება მათ შეეხონ“. საბუთი თარიღდება 1204 წლით, ჰიჯრის დაახლოებით 1879 წელი (მიწათმფლობელობის საგვარეულო საბუთები, ხარიტონ ახვლედიანის პირადი არქივი №2), თუმცა ამას გარდა, მიწების დიდი ნაწილი კოლექტივიზაციის პერიოდში მახინჯაურელ ახვლედიანებს ჩამოართვეს.

ცნობილია, ისიც როცა რუსეთის მთავრობას ბათუმის მიმართულებით რკინიგზა გაჰყავდა დღევანდელი მახინჯაურის ტერიტორიაზე, რომელიც ახვლედიანთა სამოსახლო იყო, მთავრობამ მწვანე კონცხიდან ახალ გვირაბამდე ადგილის სანაცვლოდ ახვლედიანებს კახაბერში და დღევანდელი თამარის დასახლების ტერიტორიაზე მიწა აჩუქა. დღევანდელი მახინჯაურის სანაპიროს 200 ჰექტარზე მეტი წაღებული აქვს ზღვას. მახინჯაურის მკვიდრნი 76 წლის ანზორ სიხარულიძე იხსენებს იმ დროს, როცა სანაპირო მახინჯაურში გაცილებით შორს იყო: „აქ სანაპიროზე დიდი მინდორი იყო“. ადრე აქ ახვლედიანებს ბრინჯი და სიმინდი მოჰყავდათ. ბათუმში რკინიგზა 1883 წლის 11 მაისს გაიყვანეს (აჭარისტანი 1928: 77).

მკვლევარი აზიზ ახვლედიანი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიამში წერდა, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ ახვლედიანები მახინჯაურში (სასირეყელზე) იმერთა მეფეს და მის ამაღლას იმერელ თავადებთან და როსტომ გურიელთან ერთად და როგორ მოიხიბლა მეფე შევარდნით, რომელიც ცაში ირას აკეთებდა. მეფეს აღფრთოვანებით წამოუძახია: „—ოჰ, რა შევარდენია“-ო. „—გეახლებათ“-ო, ნელა წარმოთქვა ალხამუშ ახვლედიანმა. მან კარგად იცოდა, რომ ომბალურზე, ჯვარზე, ოლიაზე და სხვაგან გაწაფული ბიჭები ჰყავდა სპეციალურ ქოხებში მიმინოს ბადეთი და ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ცოტა ხანში მეფე თავზე უსვამდა ხელს ცეცხლის-მფრქვეველ შევარდენს და კმაყოფილებით იყურებოდა ალხამუშისაკენ: „—საახვლედიანოდან ერთი რემა რომ მოგერთმიათ, ასე ვერ დაგიფასებდი, როგორც ამას, ამ შევარდენს“-ო, უთქვამს მეფეს და იგი მოახლოებული ბაზიერისათვის გადაუცია (ახვლედიანი 1991: 2).

მახინჯაურში დღესაც შემორჩენილია მიმინოს საჭერი ქოხები. ბაზიერობა საკმაოდ რთულ საქმედ ითვლებოდა. იგი მოითხოვდა დიდ ცოდნა-გამოცდილებას, ფრინველთა ნადირობა ხარჯებთან იყო დაკავშირებული და უბრალო მოკვდავს მისი გაწევა არ შეეძლო. ესეც ერთი პირობა იყო იმისა, რომ ფრინველთ ნადირობა ფეოდალთა პრივილეგია იყო (ჩხატარაიშვილი 1979: 195).

გადმოცემები და ისტორიული საბუთები მრავლად მოგვებოვება, თუმცა ამჯერად აქ შევჩერდებით და დავძენთ: ასე რუდუნებით გამოატარა გვარმა თავის წინაპრებზე თქმულება-გადმოცემები. ასეთი ისტორიის მქონე გვარს, რომლის შთამომავლებმაც შვიდი თაობის წინანდელი წინაპრის სახელი და საქმენი იციან, გადაშენება არ უწერიათ, უფლის სადიდებლად.

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1971** — ა. ახვლედიანი, ორთაბათუმი, ეტიმოლოგიური შენიშვნა, ჟურნალი „ჭოროხი“, №2, ბათ., 1971.
- ახვლედიანი 1991** — ა. ახვლედიანი, „შევარდენი სასირეყელზე“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1991.
- ახვლედიანი 1999** — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1999.
- ახვლედიანი 1944** — ხ. ახვლედიანი (კირისილოლი), ნაკვეთი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათ., 1944.
- აჭარისტანი, 1928** — ნ. ლორთქიფანიძე, აჭარისტანი (გეოგრაფიული ნარკვევი), ქ. ბათომი, 1928.
ბათუმის სახელმწიფო არქივი, საბუთი №94.
- ბერძენიშვილი 1990** — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მე-2 გამოცემა, თბ., 1990.
- გაგოშიძე 1964** — ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
- გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, 1993** — გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპირი გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1993.
- თაყაიშვილი 1909** — ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, თბ., 1909.
- კაკაბაძე 1921** — ს. კაკაბაძე, საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ. 1921.
- ლორია 1967** — პ. ლორია, აღზამუშის ნასახლარზე, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 5 დეკემერი, ბათ., 1967.
- მაისურაძე 1990** — ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), გამომცემლობა „საქინფორმკინო“, თბ. 1990.
- რუსთაველი 1991** — შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „ლაშარი“, თბ. 1991.
- რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1948** — რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, შემდგენელი — ვ. ვ. პოტოცკაია, მესამე შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „მოსკოვი“, 1948.
- საქართველოს ისტორია, 1946** — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, თბ., 1946.

სიხარულიძე 1974 — ი. სიხარულიძე, ხარიტონ ახვლედიანი, ბათ., 1974.

სოსელია 1966 — ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.

სოსელია 1973 — ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.

სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, 1991-1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I-II, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991-1993.

ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, 1998 — ნ. ქადეიშვილი, ნ. წულაძე — კალატაზი, ც. ახვლედიანი, ც. ბიბილეიშვილი, დ. მელიქიშვილი, ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, I ტომი, გამომცემლობა „მედია“, თბ., 1998.

ფრანგულ-რუსული ლექსიკონი, 2000 — ფრანგულ-რუსული ლექსიკონი და რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, შემდგენელი — ვ. პ. გრაბოვსკი, მოსკოვი, 2000.

ქართლის ცხოვრება — 1973 — ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1973.

ქეგლ., 1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1964.

ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი №1101.

შენგელია 1987 — ნ. შენგელია, XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წიგნი I, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1987.

ჩხატარაიშვილი 1979 — ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.

ჭავჭავაძე 1987 — ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987.

ჯავახიშვილი 1928 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თბ. 1928.

Бочкарёв 1940 — Военный турецко-русский и русско-турецкий словарь. Составил Б. С. Бочкарёв, Москва, 1940.

Дельбрюк 1933 — Г. С. Дельбрюк, История военного искусства, III, Москва, 1933.

Магазаник 1931 — Турецко-русский словарь. Составил Д. А. Магазаник, Москва, 1931.

Советский энциклопедический словарь, 1987 — Советский энциклопедический словарь, четвёртое издание, Москва, 1987.

Унбегаун 1989 — Б. О. Унбегаун. Русские фамилии, перевод с английского, общая редакция Б. А. Успенского. Москва, 1989.

Akhvlediani Nargiz

The Origin of one surname in Adjara

S u m m a r y

According to the family tradition, one of the crusader armour-bearer Akhvlediani liked this place and settled in Makhinjauri when he returned from the crusade. Naturally in the crusade armoured people took part. The aim of our paper is to present the history of one surname in Adjara that lived in Makhinjauri. Makhinjauri Akhvledians are the descendants of Alkhamusha Akhvlediani, person originally from Lechkhumi, who was one of the last Christians in Makhinjauri.

Local Akhvledians believe that he was their head and ancestor and we trust in this fact – wrote the newspaper “Soviet Adjara” (December, 5, 1967).

In period of Turk domination in Adjara, to this surname was added “Ogli”, like other families in Adjara. This is the Turkish term. For example: Akhvlediani – Kirisilogli. It is known that “ogli” in Turkish means “son” and, to our mind, comes from the initial from “Kiragir”, where on first stage occurred the dissimilation between the sonorous r-r and l-l (Akhvlediani p. 1999: 205-206). In this situation we got “kirasir” - “kirasil” by the progressive distant dissimilation. If this point of view in exact, then on the other stage we have the situation with the full progressive distant assimilation, namely with synharmony that is the harmony of vowels, that is often registered in different languages, but for the most part it is characteristic for the Turkish language. Finally we have to deal with the palatalisation of the following vowel, where the assimilant is “i” and assimilated – “a”: “kirasil” – “kirisil”. If we go back to the initial form “kirasir”, according to the Russian-Turkish and Turkish-Russian military dictionary, we find the next explanation: “kirasir-cebec” (djebedji) the word of Persian origin, and in the Georgian dictionary this

word is explained as: “djabadar” – the same as amour-bearer. As a result, kirisogli were the descendants of the armour-bearer (probably). This point of view supports the family tradition about armour-bearer Akhvlediani.

The surname Kirisogli – is the result of one epoch, of the Turkish domination (Akhvlediani armour-bearer is translated into Turkish-Kirisogli-Akhvlediani and surname Akhvlediani is of very distant past origin. Analogically originated the surnames Sambashogli (Subashogli), Chaushogli and so on.

In the paper we have used historical documents dated back to 14.04.1880 and 23.03.1914 concerning landownership of Akhvlediani in Makhinjauri, that was certified by Batumi notary kazimir Kazemirovich Pruski. The abovementioned documents is ket in the Archives management of Batumi.

Such is our experiment of explaining one surname in Adjara.

ლია ბაკურაძე

თვისებისა და რიცხვის ექსპრესიული გამოხატვის შემთხვევები **-ობა** სუფიქსიან სახელებში

ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს სამყაროს და ჩვენს წარმოსახვაში სამყარო არსებობს ისეთი, როგორსაც გვაძლევს იგი. აზროვნებასა და სამყაროს შორის მიმართება აისახება ენაში (ჩიქობავა, 1938).

აბსტრაქტული სახელი არის შედეგი ეთნოსის კოლექტიური გონის ხანგრძლივი დაკვირვებისა სამყაროს შინაგან და გარეგან გამოვლინებაზე. აბსტრაქტულ ცნებებში გამოიყოფა და განზოგადდება არა საგნები, არამედ მათი თვისებები და მიმართებები.

კონკრეტული სახელი კი არის შედეგი მატერიალური, რეალური საგნების განზოგადებისა.

ა. შანიძის განმარტებით „აბსტრაქტული (განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მაგ. სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე და სხვ. ხოლო კონკრეტული სახელი, აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ.

კრებითია სახელი, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა კრებულს, როგორიცაა ხალხი, ერი, სტუდენტობა, ჯოგი“ (შანიძე, 1973)

ქართულში საყურადღებოა აბსტრაქტული **-ობა** სუფიქსიანი სახელებისა და ასევე **-ობა** სუფიქსიანი კრებითი სახელების მიმართება.

ახალგაზრდობა კარგი დროა. ახალდაზრდობა შეიკრება.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ამ ტიპის აბსტრაქტულ სახელებს კონტექსტში კონკრეტული მნიშვნელობა აქვთ. **სტუდენტობა** შეიძლება გულისხმობდეს გარკვეულ პერიოდს ან სხვა შემთხვევაში სტუდენტთა თვისობრივ და რაოდენობრივ ერთობლიობას. მათი ეს ზოგადი მნიშვნელობა ენობრივის ფარგლებს გარეთ დევს (ჯორბენაძე, 1993).

-ობა სუფიქსი აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავს, მას საფუძვლად უდევს კონკრეტული გაგება, რომელთანაც დაკავშირებულია აბსტრაქტული ცნება. მაგ. ცნება **ადამიანის** საფუძველზე შეიძლება შევქმნათ ცნება **ადა-**

მიანობა, რომლის ზოგადი მახასიათებელიც იქნება — **იყო ადამიანი (ადამიანად ყოფნა)**; არსებობს თვისება ადამიანური ქმედებისა **სამართლიანობა** — იყო სამართლიანი; **ძმობა** — იყო ძმა.

ოფიცრობა, ახალგაზრდობა, სტუდენტობა, ექიმობა გამოხატავენ კუთვნილებას რომელიმე კატეგორიისადმი, რომელსაც აქვს მუდმივი, და ძალიან სახასიათო ნიშნები. ამდენად, ისინი იძენენ სიმრავლის გაგებასაც.

ქართული ენის დიალექტებში დავადასტურეთ ფორმები, რომლებიც მხოლოდ თვისების ინტენსივობას, თვისებით მსგავსებას გამოხატავენ. პატარა ბავშვს ბებია მოფერებით უხმობს: „მოდი, **ქალობავ**, ჩემთან!“

-ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც:

ესე **ხელმწიფობა** შენ მოგხვდების სრულსა ხორასანისა, ერაყისა (ვისრამიანი).

ძველსავე ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **-ობა** სუფიქსით ნაწარმოები კრებითი სახელებიც:

სმიდეს და გაიხარებდის, იყო დიდებულთა **ქალობა** (ვისრამიანი).

ყოველი **მუსლიმანობა** ბრძანებასა თქვენსა მორჩილებდეს და მშესა თქვენსა ფიცვედეს (ვისრამიანი).

საგულისხმოა, რომ ეს ფორმები (კრებითის ფუნქციით) პირველად დავადასტურეთ საერო მწერლობაში, კერძოდ, "ვისრამიანში", რომელიც ცნობილია მრავალი ენობრივი ინოვაციით და, საფიქრებელია, იმ დროისათვის სამეტყველო ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმების სიუხვით.

დღეს **-ობა** აქტიური მაწარმოებელია კრებითი სახელებისა, რომელთა ელემენტებიც თვითონ ქმნიან ერთგვარი ობიექტების სიმრავლეს: **სტუდენტობა, ახალგაზრდობა**.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: არის თუ არა **-ობა** სუფიქსი პოლიფუნქციური, თუ ხდება **-ობა** სუფიქსიანი სახელების მნიშვნელობის გადააზრინება? რომელია ამოსავალი: თვისების გამოხატვა თუ რიცხვისა?

გრამატიკული რიცხვი თუ თვისება, ორივე რაოდენობის კატეგორიაა, რომელიც საგნებისა და მათი ნაწილების გარეგნულ, ფორმალურ ურთიერთმიმართებას გამოხატავს: თვისებას, კავშირს, სიდიდეს: ზომას, წონას, რიცხვს, ასევე ამა თუ იმ თვისების ხარისხს.

ამდენად, ბუნებრივია, საგნებისა თუ მოვლენების თვისობრივი განსაზღვრაც გვაქვს და, პირიქით, თვისების მახასიათებელი გადადის რიცხობრივ მახასიათებელში.

ვფიქრობთ, ამოსავალი ამ შემთხვევაში აბსტრაქტული ცნებაა, თვისება, მახასიათებელი. თვისების ხარისხის ზრდა კი თავისთავად იწვევს რაოდენობრივ ცვლილებებსაც.

-**ობა** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციაც უნდა იყოს თვისების და არა სიმრავლის, რიცხვის გამოხატვა.

-**ობა** სუფიქსიანი კრებითი სახელები ხშირად ითხოვენ მსაზღვრელად სიმრავლის სისრულის მახასიათებელს **მთელი**, რადგან, არა მხოლოდ რიცხვი, არამედ გარკვეული თვისების, მახასიათებლის სიმრავლეა გამოხატული კონკრეტული ელემენტებით. ეს პროცესი ძალიან კარგად ჩანს დიალექტებში:

მთელ გლენობას გაუხარდა.

მთელი ახალგაზრდობა წასულები იყვნენ ჯარში.

ფიქრობთ, ამ ფორმებს ერთდროულად აქვთ თვისებისა და რიცხვის სიმრავლის გამოხატვის უნარი. თვისების სიმრავლის მახასიათებელია დანიშნულება, ხელობა, გარკვეული სოციალური მდგომარეობა. სიმრავლის თვისების მახასიათებლის ხარისხის ზრდა, ფაქტობრივად, რაოდენობრივში გადადის, თვისების სიმრავლე კონკრეტულ სახეს იღებს და ამ კონკრეტული საგნების ერთი მახასიათებლით შექმნილ სიბრტყეს გვიჩვენებს.

-**ობა** სუფიქსიანი სახელების სახასიათო თვისების რიცხობრივში გადასვლისათვის ის უნდა ახასიათებდეს მხოლოდ ადამიანთა კლასს და ამ მახასიათებლით გამოარჩიოს იგი საზოგადოების სხვა ნაწილისაგან: ოფიცრობა, გლენობა (ადამიანთა გარკვეული სოციალური სტატუსი). თვისების სიმრავლე პარალელურად მოიაზრება როგორც არათვლადი სიმრავლე (ახალგაზრდობა — თვისება; ახალგაზრდობა — სიმრავლე ამ თვისების მატარებელი ხალხისა). მას შეუძლია მეორეული გადააზრიანების შემდეგ ხელახლა მოირგოს თვისების გაგება და ახლა უკვე სიმრავლის სისრულე განსაზღვროს. **მთელი ახალგაზრდობა აქ იყო.** გამოდის, რომ რიცხვი (არათვლადი სიმრავლე) და თვისება მონაცვლეობენ ერთმანეთში და ამიტომ პარალელურად გამოხატავენ ორივე კატეგორიას. ეს ექსპრესიულობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა ენაში.

-**ობა** სუფიქსიანი კრებითი სახელების წარმოება ყველა ძირიდან არ ხერხდება. მართო სიმრავლის მახასიათებელი — ხელობა, პროფესია, საკმარისი არ არის არათვლადი სიმრავლის შესაქმნელად. მაგ. მხატვრობა, დამლაგებლობა სულაც არ ნიშნავს მრავალს და მხოლოდ თვისების სიმრავლის აღმნიშვნელია.

თვისების კატეგორიის რიცხვითი შეცვლისათვის აუცილებელია აბსტრაქტული სახელი გამოხატავდეს კერძო ცნებას, ისეთი აბსტრაქტული ცნება კი, რომელიც ქვეელემენტებს შეიცავს და ამდენად შეიძლება მას ზოგადიც ვუწოდოთ, ვერ გადააზრიანდება რიცხვით სიმრავლედ (**понятие**, 2000).

თავისთავად, ამ კერძო აბსტრაქტულ ცნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული ცნება. გლენი — გლენობა, ვეზირი — ვეზირობა, ოფიცერი-

ოციკრობა. სიმრავლეს ქმნიან აბსტრაქტული ცნებები, რომლებიც მიემართებიან კონკრეტულს. ისინი, თავის მხრივ, უნდა გამოხატონ ძირეულმა, წარმოქმნილმა თუ ნასესხებმა სახელებმა. მასწავლებელი, მხატვარი, მომღერალი სახელწმინდებია. **-ობა** სუფიქსიან აბსტრაქტულ ცნებებს კი: **მასწავლებლობა, მხატვრობა, მომღერლობა** და ა.შ. არ შეუძლიათ რიცხვის კატეგორიაში გადასვლა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს მეტყველებაში მაინც შეიმჩნევა ტენდენცია კონკრეტულ შემთხვევებში ამ ტიპის კერძო აბსტრაქტული სახელები გააზრიანდეს როგორც სიმრავლე კონკრეტული ელემენტებისა: **მთელმა მხატვრობამ** აქ მოიყარა თავი.

ქართული ენის დიალექტებში, თავის მხრივ, მრავლობითის გამოსახატავად მონაცვლეობს **-ობა** და **-ებ** სუფიქსი: მთელი ხელმწიფობა, ყველა ხელმწიფეები//მთელი ხელმწიფეები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ **-ობა** სუფიქსიანი ფორმები თავისუფლად ჩაენაცვლებიან მრავლობითის **-ებ** სუფიქსიანი ფორმებს და, პირიქით, **-ებ** სუფიქსიანი სახელები თითქოს სიმრავლის სისრულის ხარისხის გამოვლინებით რაოდენობრივიდან თვისების კატეგორიაში გადადის:

მთელი ნადირები, მთელი ცხოველები ახვევენ და ჭამენ.

მთელი ყვავები, მთელი ფრინველები, ყველაფერს ჭამს.

ერთ დროს სოლომონ ბქენს დიდი ქეიფობა ჭონდა. დაპატიჟა **თელი**

ხემწიფეები და სოვდაგრები.

ყველანი უჭამენ, ყველანი: **მთელი ხელმწიფის მოსამსახურეები.**

ეს ორი მსაზღვრელი (მთელი და ყველა) ამ ფორმებზე დართვით განარჩევს თვლად და არათვლად საგანთა სიმრავლეს. მთელის დართვით **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაზე ჩანს ენაში თვლადიდან არათვლად სიმრავლეში გადასვლის ტენდენცია. და პირიქით, **-ობა** სუფიქსიანი სიტყვებზე დართვით ისინი არათვლადს აქცევენ თვლად სიმრავლედ. ზოგჯერ დიალექტებში პროცესი ისე შორს არის წასული, რომ თვისების სიმრავლეს შეიძლება მსაზღვრელად ჰქონდეს რიცხვითი სახელი და ისევ თვლადი სიმრავლის მსაზღვრელად:

ორი კომლობა.

ას კომლობა ეგ არიან, რო სუ თავებს არ მოსულან ყერა.

ოთხი ამხანაგობა მორიგეობით ყოფილა იქა.

კომლობა (კომლი) სიმრავლეა ელემენტებისა, რომლებსაც ერთი მახასიათებელი აერთიანებთ. ამდენად, რიცხვითი სახელის დართვა მათ გამოარჩევს ამავე ნიშნით შექმნილი სხვა სიმრავლეებისაგან.

ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რაოდენობის კატეგორიების ერთმანეთს შორის მონაცვლეობის პროცესი უწყვეტია და ამ შემთხვევაში ექსპრესიულობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ლიტერატურა

- შანიძე 1973** — ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ, 1973.
ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII. თბ, 1985.
- ჩიქობავა 1983** — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული
შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1938.
- ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ.
ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების
ლექსიკონი, თბილისი, 1988.
- ჯორბენაძე 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი,
თბილისი, 1993.
- Лагута 2000** — Лагута О. Н. Логика и лингвистика,
Новосибирск, 2000.
- Реферат по Логике на тему: „Понятие“ г. Казань, 2000.
- Реформатский 1987** — А, А, Реформатский, число и грамматика,
М.1987.
- Трофимова 2005** — У. М. Трофимова, О некоторых аспектах
проявления категории абстрактность — конкретность в языке и сознании,
Вопр. филологии. 2005.

წყაროები

საჯარო ბიბლიოთეკის საიტზე (nplg.gov.ge) განთავსებული ქართული
ლიტერატურული ძეგლები;
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული
დამუშავების განყოფილებაში დაცული დიალექტოლოგიური ტექსტები.

Lia Bakuradze

**Cases of Expressional Expressing of Property
in the Nouns with the Suffix **-oba****

Summary

Discussing the quality and relation independent from objects is characteristic features of abstract thinking.

In Georgian one group of abstract nouns is formed by adding **-oba** suffix (**mepoba** “reign”; **glexoba** “peasantry”). Increasing of qualitative degree causes moving of quantitative characteristics to quality. Accordingly, abundance of quality (**axalgazrdoba** “youth”; **ekimoba** “doctoring”) has the understanding of uncountable abundance and these forms are perceived as concrete, collective nouns. The process of moving the quality into a number is one of the means of expressing. Herewith, it is necessary that the nouns with **-oba** suffix would belong to a class of human beings and distinguish the group having concrete characteristics from other part of society.

Thus, noun with **-oba** suffix can fulfill just the same function in a sentence as the nouns with plural **-eb** suffix:

glexebi šegrovden. “The peasants were collected”

glexoba šegrovda. “Peasantry was collected.”

A determinant **mteli** “whole” is often added to the latter (**mteli glexoba šegrovda.** “Whole peasantry was collected”), which as we believe, is mostly a high degree of characteristics of these people and not a number of noting.

In the modern Georgian dialects **-eb** and **-oba** suffixes alternative to each others; e. g.: **mteli** “whole” can be found even with the nouns with **-eb** suffix (**mteli glexebi šegrovden.** “The whole peasants were collected”).

We suppose, that the nouns with **-oba** and **-eb** suffixes besides denoting a number, they make the forms expressive.

ნომადი ბართაია

ფერეიდნული ლექსიკიდან ყორი

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში არის ლექსიკური ერთეული **ყორი**, მისი მნიშვნელობაა — გოგო, გოგონა, ქალიშვილი.

დასამოწმებლად მოგვყავს ერთი სტროფი ფერეიდნული ხალხური ლექსიდან, რომელიც 2001 წელს ჩვენ მიერ არის ჩაწერილი ფერეიდანში:

„ქუჩა-ქუჩა დავდივარო,
ლამით შინ არ შავდივარო,
ჩემ დედას ჰგონებია,
სუ **ყორებში** დავდივარო.“

გარდა ფერეიდნულისა, ეს სიტყვა არ დასტურდება არც ქართულსა და არც იმ ენობრივ სივრცეში, სადაც ფერეიდნულ დიალექტს ოთხი საუკუნეა უხდება არსებობა.

გამომდინარე აქედან, მისი ფესვები მხოლოდ ქართულშია საძიებელი. წარმოვადგენთ ჩვენს ვარაუდს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქართველურ ენა-კილოებში — სვანურსა და მეგრულში არის ლექსიკური ერთეული **ყერ** და **ჯორ**, რომელთა მნიშვნელობებია: **ყერ** — ნეზვი (თოფურია, ქალდანი 2000) და **ჯორ** - დედალი ღორი (ქაჯაია 2003).

მერაბ ჩუხუა ქართულში სავარაუდოდ **ყარ** / **ყერ** ძირს დაკარგულად მიიჩნევს. ზანურ-სვანურ ფორმათა შედარებით კი სავარაუდოდ აღადგენს მის საერთო-ქართველურ არქეტიპს — ***ყარ-** („ს.-ქართვ. ***ყარ-** „ნეზვი, დედალი ღორი“ → ქართ. — : ზან. **ჯორ-**ი ← ***ყორ-**ი: სვან. **ყერ** ← ***ყარ**“) (ჩუხუა 2003, 275).

სავარაუდოა, საერთოქართველური **ყარ** / **ყერ**-ის ფუძე სიტყვა ყოფილიყო არა ნეზვის, დედალი ღორის, არამედ — მდედრის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, შემდეგ მომხდარიყო მისი დანაწევრება და ფერეიდნულ დიალექტში არსებული **ყორი** ამ გზით მიღებულიყო.

აქვე დავსძენთ, მეგრულში სიტყვა **ცორი** აღნიშნავს ცოცხალი არსების სხვა სახეობის — თავგის სქესსაც („**ცორ** ჭუკი“ — “**დედალი** თავგი“), რაც კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ **ყარ / ყერ** შეიძლება ყოფილიყო **მდედრის** აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი.

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში არსებული ლექსიკური ერთეული **ყორი** უნდა მომდინარეობდეს სავარაუდო საერთოქართველური ძირიდან — **ყარ-/ყერ-**.

საინტერესოა, რომ მეგრულში **ცოროფა** ნიშნავს „სიყვარულს“.

ლიტერატურა

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქაჯია 2003 — ო. ქაჯია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჩუხუა 2000 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

Nomadi Bartaia

From Fereidianian Dictionary gori

S u m m a r y

There is a lexical element, **gori**, in Fereidianian dialect of Georgian language. The meaning of it is – **a girl**.

This word has not been confirmed either in Georgian or in the language space where the Fereidianian language happen to operate.

There are lexical elements in Svanian and Megrelian dialect – **qor** and **'er** with the meaning – female big.

The basis of common Georgian **qar/qer** word may be a general term with the meaning of **female** and later this term was divided and **gori** existing in Fereidianian dialect may have formed in this way.

გურამ ბედოშვილი

ქართული ონომატოლოგიის უმნიშვნელოვანესი შენაძენი

ქართულ ონომატოლოგიური ლიტერატურის ნუსხას კიდევ ერთი ჩინებული გამოცემა შეემატა. ესაა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის, **ნუგ-ზარ ცეცხლაძის**, ახალი სამეცნიერო გამოკვლევა **„ძიებანი ჟორჯის აუზის ტოპონიმიდან“**. წიგნი 2004 წელს გამოსცა გამომცემლობა „აჭარამ“, მაგრამ მომხმარებელამდე მან მხოლოდ წლეულს, 2008 წლის დასაწყისში მოაღწია. ეს არ არის არსებითი. მთავარია, რომ სპეციალისტებმა მიიღეს ფრიად საჭირო, მასალობრივ სარწმუნო, კვლევა-ძიების თვალსაზრისით სანდო და საგულისხმო ნაშრომი. წიგნის მომხმარებელს, ყველაფერთან ერთად, გასიგრძეგანებული უნდა ჰქონდეს დამოკიდებულება იმ ძირძველი ქართული მხარეებისადმი, რომელიც ისტორიული უკუღმართობის გამო დღესდღეობით თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული. მკითხველ-მომხმარებელს, ბუნებრივია, არაერთი კითხვა აღეძვრის იმის თაობაზეც, თუ რა მდგომარეობაშია ადგილობრივი ქართულენოვანი მოსახლეობის გეოგრაფიული ნომენკლატურა, მოქცეული უცხოენობრივ გარემოში, როგორია დომინანტი ენის გავლენა ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად დაქვემდებარებული ხალხის ენობრივ სისტემაზე, კერძოდ, მის ლექსიკაზე.

წინამდებარე გამოკვლევა ძალზე მკაფიო პასუხს გვაძლევს ყველა ამ კითხვაზე. უფრო მეტიც, ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ტოპონიმიკის პრობლემებით, იგი ამის პარალელურად ფართოდ წარმოგვიდგენს შავშეთ-იმერხევის დღევანდელი მოსახლეობის გვარებს, პირთა სახელებს, გვარების საოჯახო-სანათესაო სახელებს, მათ საწარმოქმნო საშუალებებს. დაკვირვებული თვალი უთუოდ შენიშნავს, რომ საკუთარ სახელთა სისტემა საკვლევი რეგიონებისა **ძირითადად ინარჩუნებს თავის ისტორიულ სახეს**, თუმცა გავლენებიც იჩენს თავს — განსაკუთრებით — პირთა სახელების წარმოქმნის დროს. ეს ფაქტი ახსნადია: საკუთარ (პირთა) სახელების სის-

ტემა ყველაზე უფრო რყევადია, ნაკლებმდგრადია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ.

სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მაკროტოპონიმია (მწვერვალების, მთათა სისტემების, დიდი ქალაქების და მდინარეების, მხარე-კუთხეების... საკუთარი სახელები) მეტი მდგრადობით გამოირჩევა, ვიდრე მიკროტოპონიმია. სარეცენზიო წიგნის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: იცვლება დასახლებულ პუნქტთა და მნიშვნელოვან მდინარეთა სახელწოდებანი, მიკროობიექტების (სახნავ-სათესი ნაკვეთები, სათიბ-საძოვრები, წყაროები, ბილიკები...) საკუთარი სახელები კი კვლავაც განაგრძობენ არსებობას იმ სახით, როგორც ისინი საუკუნეების წინათ შეუქმნიათ ამჟამინდელ შავშეთ-იმერხეველთა წინაპრებს. ადგიობრივი მოსახლეობა მართლაც თვალის ჩინივით უფრთხილდება და იცავს თავის გარემომცველ მიკროსამყაროს, რომელშიც თითოეულ ობიექტს მათი წინაპრების, ახლობლების საკუთარი სახელი აქვს მიკუთვნებული.

ბ-ნ ნუგზარ ცეცხლაძეს საკვლევი მასალა ჩაწერილი აქვს ადგილზე, უშუალოდ. მას სოფელ-სოფელ, უბან-უბან შემოუვლია შავშეთ-იმერხევის 50-ზე მეტი სოფელი და ჩაუწერია 3000-ზე მეტი ტოპონიმი და ჰიდრონიმი, უბნების, ნასოფლარების, სამთო საძოვრების, გზების, გადასასვლელების სახელწოდებები.

ბ-ნი ნუგზარ ცეცხლაძე შესაშური თავდადებით, მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აგრძელებს დიდ მამულიშვილთა მიერ 100-150 წლის წინათ დაწყებულ ეროვნულ საქმეს — აღწერილი ყოფილიყო საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხარეები, კერძოდ, ტაო-კლარჯეთი და მასში შემავალი ხეობები თავისი პატარ-პატარა „ქვეყნებითურთ“ (შავშეთი, იმერხევი, ნიგალი, მაჭახლისხევი...). უნდა ითქვას, რომ ამ მხარეთა პირველ დემოგრაფიული თუ საგეოგრაფიო აღწერებს ძირითადად რუსეთის სამხედრო სამსახურის მოხელენი (გენ. **გიორგი ყაზბეგი**, პოლკოვნიკი **გ. ლისოვსკი**...) ეწეოდნენ. მერე და მერე თურქთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებში ქართველმა სწავლულებმაც (**დიმ. ბაქრაძე**, **ზ. კიჭინაძე**, **ე. თაყაიშვილი**...) შეაღწიეს. მაგრამ შავშეთ-იმერხევის მეცნიერული შესწავლის ისტორია მაინც აკად. **ნიკო მარის** სახელს უკავშირდება. 1904 წელს ტაო-კლარჯეთში ჩასულმა მეცნიერმა პირველმა აღწერა არა მარტო უძველესი ქართული მატერიალური ძეგლები (იშხანი, ხახული, შატბერდი, ხანძთა...) არამედ ადგილობრივი მიკროტოპონიმის ერთი მცირე ნაწილიც (ნ. მარისეულ ამ მასალას სარეცენზიო წიგნშიც გაეცნობა მკითხველი, გვ. გვ. 23-24). ნ. მარის ამ სამეცნიერო ექსპედიციის გვირგვინად იქცა მის მიერ 1911 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული კაპიტალური ნაშრომი

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X საუკუნის მწერლისა გიორგი მერჩულისა), რომელიც დღესაც სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად რჩება.

1907 წელს კოლა-ოლთისი და მისი შემოგარენი აღწერა და მიმოიხილა **ექვთ. თაყაიშვილმა** (იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. I, თბ., 1991 წ.). მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე „სამუსლიმანო საქართველოში“ მეცნიერ-მკვლევართაგან აღარავინ შესულა. 1950-იანი წლებიდან ორ მეზობელ ქვეყანას შორის უნდობლობის ყინული თითქოს გალღვა, რის შედეგადაც ქართველ ისტორიკოს-მხარეთმცოდნეთათვის შესაძლებელი გახდა აღწერილიყო შავშეთის, იმერხევის, ნიგალისხეუვის მაჭახლის ხეობის... ტერიტორიათა ერთი ნაწილი. ასეთი საველე შესწავლის შედეგი იყო პროფ. **ი. სინარულიძის** ცნობილი ნაშრომები: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I. ბათ. 1958წ., წ. II ბათ. 1959წ.). ამათ მოჰყვა ამავე ავტორის საყურადღებო ნაშრომები: „ნიგალი“, ბათ., 1985 წ. და „შავშეთ-იმერხევი“, ბათ. 1988 წ. მანამდე გამოცა ცნობილი წყაროთმცოდნის, **თინათინ ენუქიძის** მიერ მომზადებული და კომენტირებული წიგნი „ტბეთის სულთა მატთანე“ (1977), რომელიც შავშეთ-იმერხევის (მიჭიხიანის ხეობის, იმავე ტბეთის) სოფლები-სა და ანთროპონიმების ვრცელ ნუსხას შეიცავს. „სულთა მატთანეში“ მოხსენიებულ პირთა ერთი ფენა უძველესი ხანისაა, XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება.

1990-იან წლებში, კერძოდ, 1988 წლიდან ისტორიული ქართული მხარეების შესწავლის საქმეში ახალი ხანა იწყება, ეს ის დროა, როცა საქართველოსა და თურქეთს შორის მიმოსვლას ორგანიზებული ხასიათი მიეცა, — გაიხსნა სარფის კარი. 1993 წელს ბათუმში იცემა დოც. **შუშანა ფუტკარაძის** ვრცელი მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“, რომელშიც იმერხეულ (უპირატესად) და შავშურ ტოპონიმიასთან ერთად იქაური კილოური თავისებურებანი, მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრებაა დეტალურად მოწოდებული.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სარეცენზიო წიგნის ავტორის, დოც. **ნუგზარ ცეცხლაძის**, მართლაც დიდად ფასეული შემკრებლობითი და საკვლევადიებო ხასიათის ნაშრომების მომზადება და გამოცემა. ასე, მაგალითად, 2000 წ. ქვეყნდება ჩვენი ავტორის წიგნი „შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია“, — აგრეთვე, „მურღულის ხეობის ტოპონიმური მასალები“ (2003 წ.).

მურღულის ხეობის ტოპონიმით ავტორის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა, — ეს ის „ქვეყანაა“, სადაც ძველი ქართული საეკლესიოსაგანმანათლებლო კერები (ბერთა, დოლისყანა, იშხანი, ოპიზა, ტბეთი, ხახული...) არის თავმოყრილი. ბ-ნ ნუგზარ ცეცხლაძის წყალობით დღეს ჩვენ არა მარტო წარმოვთქვამთ ამ ძვირფას საისტორიო სახელწოდებებს, არა-

მედ თვალნათლივ ვეცნობით მათ მიკროტოპონიმისაც (იხ. წინამდებარე ნაშრომი გვ. გვ. 111-119).

სარეცენზიო წიგნი ვრცელი და სერიოზული სამეცნიერო ნაშრომია. ამ წიგნის ავტორს მხოლოდ საკვლევი რეგიონის გეოგრაფიული ნომენკლატურის ნუსხა რომ მოეცა, ამითაც უდიდეს წვლილს შეიტანდა ქართული ტოპონომასტიკის შესწავლის ისტორიაში. ახლა კი მან ბრწყინვალე ემპირიული მასალის გარდა, მოგვცა მისი ლინგვისტური ანალიზიც. ქართული ტოპონიმის ისტორიაში ბ-ნი **ნუგზარ ცეცხლაძე** პირველი შეისწავლის ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ტოპონიმების წარმოქმნის მეტად საინტერესო ვითარებას. აღსანიშნავი და საგულსხმომოსაა, რომ ორენოვნობის პირობებშიც კი **ქართული საწარმოქმნო მოდელი დღემდე მყარად ინარჩუნებს თავის ავტოქთონურ ბუნებას**. ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა ზოგადად ტოპონიმთა ჰიბრიდული წარმოშობის საკითხებზე, არამედ ისეთ შემთხვევებზეც, როცა ამოსავალ ფუძედ თურქული ტერმინი გვაქვს, სადერივაციო ელემენტად კი — ქართული სართები; ნაჩვენებია პირუკუ პროცესიც. ფუძედ ქართული სიტყვა გვაქვს, საწარმოქმნო საშუალებებად კი — თურქული აფიქსები. აქვე ავტორს საჭიროდ დაუნახავს თურქული საგეოგრაფიო ტერმინების ქართულად თარგმნა, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თურქული ტოპონიმის საბაზისო ერთეულებზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **დოც. ნუგზარ ცეცხლაძის** ახალი მონოგრაფიული გამოკვლევა **„ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმი-იდან“** ღირსეულ ადგილს, დაიმკვიდრებს სპეციალურ ლიტერატურაში.

წიგნის ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, ემპირიული მასალის მორფოლოგიური ანალიზისას გვერდს ვერ უვლის ცალკეულ ტოპონიმთა სემანტიკური თვალსაზრისით კვლევასაც, რაც ზმირ შემთხვევაში ჩინებულად არის გადაწყვეტილი: ასე, მაგალითად, ავტორი სარწმუნოდ გვიჩვენებს, რომ ტოპონიმი **არდიასწმინდა ანდრიაწმინდა** ყოფილა (გვ. 49), **მაჭალა — ღრმაჭალა** (გვ. 76), **ორბოკა — ორბოკელა** (გვ. 52), **სამათვალთვერო — სათვალთვერო, სათვალთვალთ** (მდრ. ქართლ. დანახვისი) და მრ. სხვ.

დიდძალი ფაქტობრივი მასალის ავტორისეული ინტერპრეტირება, ბუნებრივია, ზოგიერთ შემთხვევაში აჩენს შენიშვნას, დაზუსტების სურვილს. წიგნის ავტორის მიხედვით სოფ. **მაჩხატეთის** (← **ნაჩხატეთი** გ. ბ.) ერთ-ერთი სათიბი მინდვრის სახელი **იფხნარა -იან** მქონებლობის სუფიქსით ყოფილა წარმოქმნილი: **იფხრ-იან-ა** (გვ. 71). არა-და, აშკარაა, რომ აქ **-ნარ-** სუფიქსთან გვაქვს საქმე: **იფხლ-** || **იფქლ-ნარ-ა**, რომელსაც მეტათეზისით **იფხრანა** ფორმა მოუცია. მიკროტოპონიმი **ნამარმევი** განმარტებულია როგორც **ნა-მარ(ია)მ-ევი** (გვ. 46). თითქოს უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მისი **ნა-მარნ-ევი** საგან მომდინარეობა (**ნ || მ** სონორთა სუბ-

სტიტიუცია). სარწმუნო არ ჩანს ავტორის ვარაუდი, თითქოს **გარზეყანები განზე ყანებს** ნიშნავდეს (გვ. 52). აქ ჩვენ სამეურნეო ტოპონიმის საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე: ესაა **კარზე ყანები**, რომლის საანალოგიო შემთხვევები (**კარის ყანა, კარზე ვენახი, ეზოსმიწა, კარისპირული...**) უამრავია საქართველოს ამერ-იმერში.

ალბათ ასევე „ცხელ გულზე“ ირწმუნა ავტორმა, თითქოს ტოპონიმი **დიდგულისხევი** „დიდი გულის ხევა“ ნიშნავდეს (გვ. 53). ამ შემთხვევაში ამოსავალია მცენ. **დიდგულა || დუდგულა** და არა ვილაცის დიდი გული.

ვერ დავეთანხმებით ავტორს, თითქოს სათიბის სახელი **ბათანა** (ს. დაბაწვრილი) თავკიდური **ტ.** თანხმონის დაკარგვის შედეგი ყოფილიყოს (გვ. 76). უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ **ბათანა** ტოპონიმში **ლ** სონორი იყოს ჩავარდნილი (**ბალთანა** → **ბათანა**) -ნ სონორისავე მეზობლობაში.

ავტორის მიერ მოყვანილ მაგალითებს შორის ერთ-ერთი მათგანი, ავტორისავე თქმით, იშვიათი შემთხვევაა, — ის მთელ წინადადებას შეიცავს. ესაა ჰიდროობიექტის სახელი სოფ. წყალსიმერში **ინგიშლისწყარო**. აჯობებდა, თუკი ეს ერთეული უცნობი სემანტიკის ტოპონიმად იქნებოდა ჩათვლილი, წიგნის ავტორი კი მას საკმაოდ უჩვეულოდ განმარტავს: „**ვინ გიშლის წყარო**“.

ჩვენ ეს შენიშვნები სრულიად უმნიშვნელო და კნინია იმ ფასეულობებთან მიმართებაში, რომლებსაც **ბ-ნ ნუჯარ ცეცხლაძის** სარეცენზიო წიგნი შეიცავს. „**ძიებანი ჭოროხის აუხის ტოპონიმიდან**“ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, რომლის ღირსებებიც დროთა მსვლელობაში უფრო და უფრო წარმოჩნდება.

Guram Bedoshvili

**An Significant Acquirement of the
Georgian Onomatology**

S u m m a r y

An article discusses Prof. Nugzar Tsetskhladze's book "Researches from the toponymy of Chorokhi basin" which was published in Batumi, 2004. Professor of the Batumi Shota Rustaveli State University is an outstanding researcher. At present he managed to collect the toponymy of the ancient Georgian countries – Shavsheti and Imerkhevi and to analyze the material linguistically.

The most part of the toponyms exists on the territory of Imerkhevi and Shavsheti of the river Chorokhi basin is Georgian and in spite of the fact, that they are in surrounding of foreign language (Turkish), they have preserved those productive means, which we have in Gurian-Adjarian micro-toponym. Changes are basically observable in the names of administrative centres and it is understable.

It is welcomed, that the author did not limit only with researching of toponymic material. He presents Shavshet-Imerkhevi population's family-names, personal names, also the family-relative names of surnames, in which a large number of historical vocabulary is preserved.

The research work, carried out by Prof. Nugzar Tsetskhladze and which outcomes are essentially trustworthy and sharing, is evaluated in the article.

მარინე ბერიძე

ფიზიკური მდგომარეობის ზმნები და „არსებობის“,
„მყოფობის“, „მკვიდრობის“ გამოხატვა ქართულში

ადრეულ ნაშრომებში ჩვენ გამოვთქვამდით ვარაუდს იმის თაობაზე, რომ არსებობის მნიშვნელობა უძველეს ქართულში დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო. კერძოდ, აღვნიშნავდით, რომ „არს“ და „ჰგეის“ ზმნათა პარალელური არსებობა ენაში გამოწვეული უნდა ყოფილიყო არსებობის „თავისთავადი“, დამოუკიდებელი და „ეგზეკუტორული“, „იძულებითი“ ფორმების გარჩევით. თავის მხრივ ეს მნიშვნელობები კიდევ იყოფოდა ორ ჯგუფად: მოძრავი საგნის (არსების) არსებობა და უძრავი საგნის არსებობა — „არს“ ზმნა გამოხატავდა მოძრავი არსების თავისთავად, დამოუკიდებელ არსებობას, უფრო სწორედ, თავად მოძრაობას (ბერიძე 1994; 1998 და სხვ.).

ჩვენს ვარაუდს ერთგვარად ამაგრებდა ისიც, რომ ამ ზმნის ძირეული მასალა უკავშირდება სიარულის, მოძრაობის სემანტიკის მქონე სხვა ფორმებს: რ-ებ-ა, მ-რ-ე, მ-რე-ლ-ი, გან-რ-ომ-ა ... და სხვ. (ბერიძე, არაბული, ოსიძე, ქურდიანი, მახარაძე, ჭუმბურიძე...)

რაც შეეხება „ჰგეის“ ფორმას, ჩვენ მას აქტიური *ჰ-გე-ს ზმნის III პირის მრავლობითის ფორმად (ჰ-გე-ეს) მივიჩნევთ, სადაც სუბიექტი იმპერსონალურადაა წარმოდგენილი. ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც ამ ზმნის -გ- ძირს უკავშირებენ დ-გ-ა-ს, დ-გ-ებ-ა, ა-დგ-ილ-ი ფორმებში გამოყოფილ -გ- ძირს და მასალობრივად მასთან აიგივებენ (ამ ჩამონათვალს ჩვენ მივამატეთ ა-ლა-გ-ი ფორმაც) (ბერიძე 2005).

ძველ ქართულში არსებობის მნიშვნელობის ამგვარი დიფერენცირება უკვე მოშლილია, „არს“ და „ჰგეის“ ზმნები ერთმანეთის გვერდით გამოიყენება ზოგადი არსებობის გაუდიფერენცირებელი მნიშვნელობით. ერთადერთი სხვაობა ის გახლავთ, რომ „არს“ უფრო ხშირად მეშველი ზმნის ფუნქციით გვხვდება, „ჰგეის“ კი — მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი ზმნაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია ამ ზმნათა გვერდით ე.წ. „ფიზიკური მდგომარეობის“ ზმნების გამოყენების შემთხვევები ზოგადი

არსებობის გამოსახატად. ეს ზმნებია: ზის, დგას, ძევს, წევს, დევს, სხედან | სხენან... ამ ზმნათა ხმოვანბრექსიანი ფორმები ე.წ. „ქონა-ყოლის“ ზმნების ჯგუფს ქმნიან, უბრეფიქსოდ კი ხშირია მათი გამოყენება ზოგადი არსებობის, მყოფობის ან მკვიდრობის გამოსახატად (შენგელია, ლოლაძე 1995...).

„ჯდომის“ სემანტიკის ზმნებს (ზის, სხენან, ჯდება...) ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ასეთი მნიშვნელობები უჩანს:

საბა: **„ჯდომა“** — „კერძოდგომა და კერძოდება შეიქმს დგომასა; მუჯღმოკეციტ განსუენება“.

ნ. ჩუბინაშვილი: (**ვჰზი, ვსჯედ**) საშუალ დგომისა და წოლისა, მოსვენება ფერჯთა სხეულის ტარებისაგან (ფსალმუნ. 49,20. დს 79,1; ვ.ტ. 584) **сидеть**.

მდგომარის დაჯდომა (**ჰზის, მიზის, დამიჯდა**) ღირს, მიღირს ამდენ ფასად. **стоит, стало в такую цену**.

ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში ამ ზმნისთვის დადგენილია შემდეგი მნიშვნელობები: დაჯდომა, დგრომა, რჩომა, ინაჯ-დგმა, შეჯდომა, ასვლა, დაგება, დამკვიდრება.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ეს ზმნა მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობით გვაქვს დადასტურებული — მუხლმოკეციტ ყოფნა.

ახალ ლექსიკონებში კი სხვა, „ფაკულტატური“ მნიშვნელობებიც არის აღნიშნული

წარმოვადგენთ „ჯდომა“ ზმნის არაძირითადი მნიშვნელობით გამოყენების კიდევ რამდენიმე ნიმუშს:

ჰსხდეთ — ცხოვრობთ

„რომელთა შორის თქუნ **ჰსხდეთ** ქუეყანასა მათსა...“ მსაჯ. 6,10. G
„რომელთა შორის თქუნ **დამკვიდრებულ** ხართ ქვეყანასა მათსა...“ BDS

... в земле которых вы живете...

ვის მიწაზეც ცხოვრობთ...

დაჯედ — დაადგერ, დარჩი

„და ჰრქუა მას მიხამან: **დაჯედ** ჩემთანა და მექმენ მე მამა და მდღელ“. მსჯ. 17,10. G

„და ჰრქუა მას მიქა: **დაადგერ** შენ ჩემთანა და მექმენ მამა და მდღელ“. BDS

И сказал ему Миха: **останься** у меня.

უთხრა მიხამ: **დარჩი** ჩემთან.

დაჭდა — დაეშენა:

„წიად იორდანისა, სადა **დაიკარვა**, და დან, რად **ჰმსხეობ** ნავთა შინა? ასირ **დაჭდა** კიდესა ზღუათასა და გამოსავალთა მისთა ზედა **დაიკარვოს**“. მსჯ. 5.17 G

„გალაად წიად იორდანისა **დაიმკვიდრა**, და დან, რადსათვის **მკვიდრ ხარ** ნავთა შინა? ასერ **დაეშენა** კიდეთა ზღუათასა. და განშორებულსა მისსა **დაემკვიდროს**.“ BDS

„Галаад живет спокойно за Иорданом, и Дану чего бояться с кораблями? Асир сидит на берегу моря, и у пристаней живет спокойно“.

„გალაადი იორდანეს გაღმა **დავანებულა**, რატომ **შეუუუულა** დანი ხომალდებში? ზღვისპირას **დამჭდარა** აშერი და თავის სანახებთან **დამკვიდრებულა**“.

ეს მონაკვეთი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ოთხჯერ არის გამოყენებული დასახლების, დამკვიდრების აღმნიშვნელი სიტყვა. ერთ რედაქციაში სინონიმების ასეთი რიგია წარმოდგენილი: **დაიკარვა, ჰმსხეობ, დაჭდა, დაიკარვოს**. მეორეში კი გვაქვს: **დაიმკვიდრა, მკვიდრ ხარ, დაეშენა და დაემკვიდროს**.

თუ ორივე რედაქციას შევადარებთ, ასეთ სინონიმურ წყვილებს ვიღებთ: **დაიკარვა — დაიმკვიდრა; ჰმსხეობ — მკვიდრ ხარ; დაჭდა — დაეშენა; დიკარვოს — დაიმკვიდროს**.

ახალ ქართულში **ჯდომის** სემანტიკის ზმნებს ძირითადი მნიშვნელობის გარდა (ტანის ქვედა ნაწილით რასმე ეყრდნობა, ეშვება, თავსდება სკამზე...) უდასტურდება სხვა მნიშვნელობებიც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: ადგილსამყოფელი აქვს. თუმცა ამ მნიშვნელობით ამ ზმნის გამოყენება ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე ძველ ქართულში და მეფის, პატრიარქის ან თანამდებობის პირის მოღვაწეობის ადგილსამყოფელს მიანიშნებს: რომის პაპი ვატიკანში ზის, პარლამენტში ზის და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვიდრობის, მყოფობის მნიშვნელობით როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ერთნაირად გვხვდება **ჯდომის** სემანტიკის როგორც სტატიკური (**ზის, სხენან, ჯდა...**), ისე დინამიკური ვნებითისა და აქტივის ფორმები (**ჯდება, სვამს, დასვა...**)

წარმოვადგენთ **დგომა** ზმნის ძირითად მნიშვნელობებს ძველსა და ახალ ქართულში.

საბასთან ეს ზმნა ასეა განმარტებული: „ზე ყოფა, ესე არს ცხოველთა ფეხზე დგომა, გინა ხეთა და მცენარეთა ნერგობა. ფერვზე ყოფნა“.

ნ. ჩუბინაშვილთან: დგომა — (ვჰსდგა, ვსდგევარ) ფეხზედ გება თვინიერ ჯდომისა და წოლისა (ი. 21, 4), **стать, стоять**. // ბინის ქონება სადმე, ცხოვრება სახლად, **жить, находиться где**.

საინტერესოა, რომ ნ. ჩუბინაშვილი **დგომას** „გება“ ზმნის მეშვეობით განმარტავს, თვით გებას-თან კი მიუთითებს მნიშვნელობებს: ყოფა, დადგრომა. *пребивать*.

მყოფი ლექსიკონში ასეა განმარტებული: მგები, მდგომარე, გებული — რაიცა ჰგეის. აქვე მოცემულია „მგე“-ს განმარტებაც: „არსი, მოუკლებელი თვითებასა ზედა თვისსა, *сый сущий*“.

მგე — გება — დგომა ზმნათა ამგვარი სემანტიკური დაკავშირება კიდევ ერთხელ გვიდასტურებს **გება (ჰგეის)** და **დგას** ზმნათა ძირეული მასალის ერთიანობას.

ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში **დგას** ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გვერდით უდასტურდება ზოგადი არსებობის, გაჩერების, დაბანაკების, დასახლების, რჩომის, ყოფის, გების მნიშვნელობები.

(დგომა ~ გება) : „ქრისტე უკუნისამდე დგეს | ქრისტე უკუნისამდე ეგოს“. ი. 12, 34.

(დადგრომა, გაჩერება): „დგეს ეგრეთ აღროხმულნი ჳელნი მათნი“. ფლქტ. 159,25.

(რჩომა, გადარჩენა): „ეძიებდე თავისა შენისა დგომასა მტერთაგან ყოველთა“. ნაუმ, 3,11. G

შდრ.: „და შენ დაითრო და იყო უგულუბელს-ქმნილ და შენ ეძიებ თავისა შენისა **შეწვენასა** მტერთაგან“. BDS

(საყურადღებოა, რომ **გადარჩენის** მნიშვნელობით გვხვდება **რება** ზმნისგან ნაწარმოები „განრომაც“).

როგორც ვნახეთ, ფიზიკური მდგომარეობის **ჯდომა და დგომა** სემანტიკის ზმნები ძველ ქართულში შეიცავენ ზოგადი არსებობის, შეჩერება-დაყოვნების, მკვიდრობის, დასახლების მნიშვნელობებს.

ქართული ენის დიალექტებში წარმოდგენილია ძალზე საინტერესო სურათი ამ ზმნათა მნიშვნელობების თავისებური განვითარებისა.

აჭარულში, განსაკუთრებით, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა — „ჩვენებურების“ მეტყველებაში **ჯდომის** სემანტიკის ზმნები აქტიურად გამოიყენება „დასახლების“, „ბინადრობის“, „ცხოვრების“ მნიშვნელობით.

საგულისხმოა, რომ იქაური ქართველებისთვის ეს, საკუთარი სამეტყველო კოდისა და სალიტერატურო ქართულის გამიჯვნისას, ერთ-ერთი მყარი და თვალშისაცემი ნიშანი გამხდარა. ამის საუკეთესო დადასტურება ვნახეთ შუშანა ფუტყარაძის მიერ თურქეთში მოპოვებულ ტექსტებში:

„ერთ დუქანთან გურჯების ლაპარაკი გეგონე, მიველ, რომ გერჩაქ ჩუენებურები გამოდგენ. ერთი გენჯი ქალი გურჯულ ქათიბეე ყიდევდა. თდურქჩა ნოხსანათ იცოდა, ჩათინად ახტენდა. მიველ და თურქჩა ლაპარაკში მივეხმარე. იგირიმ ქალმა მკითხა: — ჰა მცხოვროფო? — ვერ მივხტი, რას ამბობდა. დედიმ, ჰა მცხოვრობ კაკუნას ეტყვიან, მცხუარსა. დევფიშმა-

ნე, მცხვრებ ზომ არ მეკითხება-მეთქინ. დედიმ, გამიკვირდა, ჩემი მცხვრები სოფელში მე ანჯახ მასსოვს, ამან ჰაიდან იცის მეთქი. მიხტა, ვერ გამაგნებია და — სახლი ჰად გაქო, — მკითხა. — მაგრე მითხარ, დედი, სახლი ჰად გაქ, ჰად ზიხარო და მივხტები“ (გვ. 131).

„ხალხური ლინგვისტიკის“ ეს პატარა ნიმუში ცხადად მოწმობს, რომ დიალექტში ბინადრობის, მოსახლეობის, მკვიდრობის მნიშვნელობით დაკანონებულია **ზის** ზმნის გამოყენება. მთხრობელი თვითონვე გვთავაზობს სინონიმურ რიგს: **ცხოვრობს — ზის — სახლი აქვს**.

ამ მონაკვეთის გაცნობის შემდეგ აღარც კია საჭირო საილუსტრაციო მასალის ძებნა, თუმცა რამდენიმე მაგალითს მაინც მოვიყვანთ:

სტატიკური **ზის, უდას**: „აჰმედა“ ჰაჯი — მე ვარ, ნინოსი მეხუთე შვილი. ამ ოჯახზე მე ვყდავარ“. (გვ. 132).

„ჩვენ ავდექით ინგოლიდან და წეველით ოსმანასთან. ასოცი კილომეტრით შორ იყდა ჩვენზე“ (გვ.24)

„ზუელათ აქ ერმენები მჯდარან“ (გვ. 171).

„ყეზელში ზიან მეკეიძიები, ყავეჯოღლები, ღორჯუმლები, ლამაზი არიან მეკეიძიები“.

„ზეგნელები და აჭარლები მემლექეთშიც ტყეში მჯდარან, აქაც ტყეფში ზიან“ (გვ. 143).

დინამიკური **ჯდება**: „ჰილმიეს დამჯდარა, სევდას გამოკიდებია, მერე ჰილმიეს დამჯდარა ერთიც“ (გვ. 39).

„გადმოსულეზმა მეგერ ბევრი იტირეს, იგორვეს გზიეფში, მარა ბოლოხან დადვეს უმუდი და დაჟდენ აქა“ (გვ. 158).

„ჩუენი დედეების სისხლით შემოწერილია თურქიეს სინორის მიწები... ამითვინ ჩვენა აქედან ადგომა და გურჯისტანში დაჟდომა არ მოგვიდება“ (გვ. 150).

აქტიური **სვამს, აედუმლებს**: „თექ დარჩი ჩუენთანა, იმფერ ადგილზე დაქსუამ რომ — ქეიშებზე, ზეით“ (გვ. 160).

„საცხა კარგ მერზე დააჯდუმლე ესენი, კაი იერი მიეო“ (გვ. 151).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **ადგომა** ზმნას დიალექტში აყრის, საცხოვრებელი ადგილის მოშლის მნიშვნელობა აქვს.

ქართული ენის სხვა დიალექტებში, განსაკუთრებით, ეს ახასიათებს დასავლურ კილოებს, **მკვიდრობის, ბინადრობის** მნიშვნელობით **დგომა** ზმნა გვხვდება:

„აქედან და იგენი რომ დგანა, იქნობამდი წავგართვა მიწა“ (გურ.).

„ანდლულაძნები იდგენ იქით — აი, დათიკოს მამა იყო“ (გურ.).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელობით უფრო გვხვდება სტატიკური **დგას**. დინამიკური ვნებითისა და **აქტივის** ფორმებით ეს ზმნა მკვიდრობის მნიშვნელობით არ რეალიზდება. გამონაკლისია დინამიკური

დგებას წარსული დროის ფორმა, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად: „წავიდა და სოფლის ბოლოს დადგა“.

ინგილოურში **დგომა** ზმნას სხვა ქართული დიალექტებისაგან განსხვავებული მნიშვნელობები განუვითარდა: ეს არის ზოგადი არსებობისა და სიცოცხლის, „ცოცხლობის“ მნიშვნელობა.

ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონში „დგომა“ ასეა განმარტებული: დარჩენა (დარჩება, რამე შემთხვევის შემდეგაც იქნება; იარსებებს, ისევ იქნება, იცოცხლებს).

დგას ზმნა „არის“, „არსებობს“ მნიშვნელობით დიალექტში გვხვდება როგორც სულიერ, ისე უსულო არსებით სახელებთან:

„ვორც დგას, სხო რამ ჰაბე ჭამა?“.

„ვორც უჭამი, ერყე ზოლევ დგას“

„იმ სოფლამდინ ორ ვერს დგას“

„წელ აათიეველაც ოთხ დღედ დგას ყოფილ“.

„ქუა ასწივა, შეჰხედა, ბეჰედ დგას“.

„სოფელში ქალ გათიეველ იყო, ერყე ქალ იდგა (მხოლოდ ერთი ქალი იყო დარჩენილი).

იმ შემთხვევებში კი, როცა **დგას** ზმნა სიცოცხლის მნიშვნელობით იხმარება, გვხვდება მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან:

„ლადო ღღელ იყო, ჰემან ცხოვროვდავ, ჰეგავ დგასავ შიო? — მე მამკითხა“.

„აინხლა ნათელა დგას“.

„ლადი ბიზა დგასა?“.

უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით — „ცოცხალია“ ქართული დიალექტების დიდ ნაწილში გამოიყენება არის ზმნა ან მისი შეკვეცილი ფორმა — ა:

„სამსონ ძიაჲ არის ისევ“? — სამსონ ძია ისევ ცოცხალია?

„რა შობა ქია კიდომ?“ — რას შვება, კიდევ ცოცხალია?

„იგრევა?“ — ისევ არის? კიდევ ცოცხალია? (თუმ.)

როგორც ვნახეთ, ქართული ენის დიალექტებში არსებობა-მდგომარეობის ზმნებს ძირითად სემანტიკასთან ერთად უვითარდებათ შემდგომი მნიშვნელობები:

არის — ცოცხალია

ჯდება — მკვიდრდება, ზის — მკვიდრობს

დგას — არის

დგას — მკვიდრობს

დგას — ცოცხალია

ყველა ეს მნიშვნელობა არსებობის ზოგადი მნიშვნელობის მქონე ზმნების სემანტიკურ კომპონენტთა სხვადასხვაგვარი განვითარებით არის წარმოქმნილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველეს ქართულში ზოგადი არსებობის მნიშვნელობა დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო.

არს — იყო მოძრავი, სივრცეში გადაადგილებადი, ცვლილების განმცდელი (ცვლილებას დაქვემდებარებული), თავისთავადი (ეგზისტენციალური) არსებობის ფორმა.

ჰიეს — გახლდათ უძრავი, უცვლელი, ეგზეკუტორული არსებობის ფორმა.

დგას, ისევე, როგორც **ჰიეს** — იყო უძრავი, უცვლელელი, სივრცის ლოკალურ წერტილში დაფიქსირებული არსებობა. ეს არსებობა ხან თავისთავადი იყო, ხან — ეგზეკუტორული.

არსებობა — მატერიის გამოვლენის ფორმა — ასე ანაწევრებდა ქართულ სივრცეს და დროს:

არს, არის — ის, რაც რ-ება ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესშია, რაც პოტენციურად „ავსებს“ მთელ სივრცეს სწორედ ცვლილების და გადაადგილების უნარით.

დგას — ის, რაც რამაც განიცადა 1. ღვება; 2. ღვამს ზმნებით გამოხატული მოქმედება.

ჰიეს — ის, რაც ჰგვეს, რაც III იმპერსონალური პირის მოქმედების შედეგია.

ასე რომ, „დგას“ და „ჰიეს“ „არს“ ზმნას უპირისპირდებიან, როგორც უძრავი არსებობა — მოძრავს.

„ჰიეს“ უპირისპირდება „არს“ ზმნას, როგორც ეგზეკუტორული თავისთავად არსებობას.

ხოლო **დგას** ზმნის სემანტიკა მოიცავს ორივე დანარჩენის — **არს და ჰიეს** მნიშვნელობებს: ის შეიძლება გვქონდეს როგორც თავისთავადი (**დგას — დგება**), ისე ეგზეკუტორული არსებობის მნიშვნელობით (**დგას — დგამს**).

დგას ზმნის ძირითადი მნიშვნელობა — ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა, როგორც ვთქვით, ძველსავე ქართულში იწყებს ნეიტრალიზებას. ახალ ქართულში კარგად ცნობილი შემთხვევები „სუნი დგას“, „სიცხე დგას“... სწორედ ნეიტრალიზაციის ამ პროცესის გამოძახილია.

„მკვიდრობის“ მნიშვნელობით ამ ზმნის გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელობის — „გაჩერების“ განვითარებით.

დგება: 1. ერთი მდგომარეობიდან მეორეში — ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურში, გადადის; 2. ერთი მდგომარეობიდან მეორეში — მოძრავიდან უძრავში გადადის. ეს ორივე ძირითადი მნიშვნელობა „დგება“ ზმნისა

შეიძლება შევავროთ: ერთი მდგომარეობიდან მეორეში — ვერტიკალურსა და უძრავში გადადის.

ამ მნიშვნელობის მეორე კომპონენტი — მოძრავი მდგომარეობიდან უძრავში გადასვლა განვითარდა მკვიდრობის, დასახლების, დაბინავების მნიშვნელობად. ამ სემანტიკური გადასვლის შუალედური საფენური უნდა ყოფილიყო უძრაობისგან უცვლელობის, მუდმივობის (ხანგრძლიობის) მნიშვნელობათა განვითარება (მდრ.: ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, ხოლო ქვეყანა ჰგიეს უკუწისამდე).

დარჩენის, გაჩერების მნიშვნელობიდან უვითარდება მკვიდრობის სემანტიკა ჯდომა ზმნასაც, თუმცა ჯდომა და დგომა ზმნებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა:

ჯდომა მხოლოდ სულიერის უძრავ მდგომარეობას გამოხატავს, **დგომა** — სულიერისაც და უსულოსიც. მკვიდრობის სემანტიკა ორივე ზმნასთან ჩნდება მაშინ, როცა სუბიექტად ადამიანის აღმნიშვნელი სახელია წარმოდგენილი. მაშ, მკვიდრობის სემანტიკა ამ ზმნებს განუვითარდათ შემდეგი სემანტიკური კომპონენტების „შეჯამებით“: ადამიანის უძრავი, მუდმივი (ან ხანგრძლივი) არსებობა სივრცის ლოკალიზებულ მონაკვეთში (მდრ.: აღგილი).

თუ სემანტიკურმა კომპონენტმა — „გაჩერება“ მოგვცა მკვიდრობის სემანტიკის განვითარება, კომპონენტი „უძრაობა“, „უცვლელობა“ — ინგილოურში გვაძლევს ზოგადი არსებობის, „არს, არის“ ზმნებთან ზიარ (სინონიმურ) მნიშვნელობას. სემანტიკური განვითარების ხაზი დიალექტშივეა შემონახული: **დგას — დარჩა; დარჩა — გაჩერდა**, უძრავია, უცვლელია, მისი არსებობა შენარჩუნებულია — **დგას — არის**.

მაშინ, როცა ზოგადი არსებობის გამომხატველ **დგას** ზმნასთან სუბიექტად წარმოდგენილია ადამიანის აღმნიშვნელი სახელი, ზმნა იძენს „ცოცხალის“ მნიშვნელობას.

აქ უკვე შემოდის **დგას** ზმნის ერთ-ერთი მთავარი სემანტიკური კომპონენტი — ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა, ფეხზე ყოფნა.

„არის“ ქართული ენის სხვა დიალექტებში და „დგას“ ინგილოურში სინონიმებია „ცოცხალია“ ზმნისა.

„არის“ ამ მნიშვნელობით წარმოადგენს „ლარ არის“, „მოკვდას“ ანტონიმს.

„დგას“ ზმნის ანტონიმი კი ამ შემთხვევაში არის ჰორიზონტალური მდგომარეობის „წევს“ (საფლავეში) ზმნა.

„ცოცხალის“ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულსა და დიალექტებში ვერტიკალური მდგომარეობის გამომხატველ შესიტყვებათა გამოყენება ჩვეულებრივია: **ფეხზე დგომა, ზეზე დგომა, სიარული...** (სა-

ნამ ფეხზე ვდგავარ, სანამ ამ ქვეყანაზე დავდივარ... შდრ.: თერთმეტი მეყოლა ბაღვი, ოთხი ზეზე მყავს, სხუანები დემეხოცა“).

ამრიგად, ქართული ენის დიალექტებში მკვიდრობის, მყოფობის, ცოცხლობის გამოსახატად არსებობის ზმნათა გამოყენება ამ ზმნათა თავდაპირველი ბუნებით და მათი ცალკეული სემანტიკური კომპონენტების განვითარებით არის შეპირობებული.

მოხსენება მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კვლევისა, რომელმაც უნდა წარმოაჩინოს არსებობის, მოძრაობისა და მდგომარეობის ზმნათა ფორმობრივი და სემანტიკური მიმართებანი ქართულში. ვფიქრობთ, მოხსენებაში დასმული საკითხები გააქტიურებს არსებობის სემანტიკასთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო პრობლემას.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი., თბილისი.

არაბული, 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთ-ქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

ბერიძე 1994 — მ. ბერიძე, „ჰიეს“ ტიპის ზმნათა დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

ბერიძე 1998 — მ. ბერიძე, სტატისტიკური ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბილისი.

ბერიძე 2001 — მ. ბერიძე, „არს (არის)“ — „ჰიეს“ და „არე“, „ადგილი“, „ალაგი“ ფორმათა სემანტიკური და ფორმობრივი მიმართებისათვის, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, მასალები, თბილისი.

ბერიძე 2005 — მ. ბერიძე, ალავის ეტიმოლოგიისათვის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი.

გორდეზიანი 1985 — წინარებერძული და ქართველური, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 — სვანური ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია 1947 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები, შრომები ტ. III, თბილისი.

თოფურია, 1942 — ვ. თოფურია, დ თავსართიანი ზმნები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი.

კლიმოვი 1964 — Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

ლოლაძე 1995 — ნ. ლოლაძე, სტატიკურ ზმნათა ფორმოზრები და სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

ლოლაძე 2005 — ნ. ლოლაძე, ქონა-ყოლის ზმნები ქართულში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი.

ნ. მახარაძე — ნ. მახარაძე, საერთოქართველური *-არ// -არ ძირის სემანტიკური არქეტიპის ძიებისათვის (ხელნაწერი).

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სულხან-საბა ორბელიანი 1993 — სიტყვის კონა, თბილისი.

ფუტყარაძე 1993 — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ფუტყარაძე 1993 — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ჩუბინაშვილი 1913 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ტფილისი.

ჭუმბურიძე 2002 — ზ. ჭუმბურიძე, შოთა ძიძიგურს (დაბადების 90 წლითავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

Marine Berbdze

Verbs of Physical Condition and Expression of "Existence", "Being" and "Inhabitance" in Georgian Language

S u m m a r y

Verbs of existence-condition have a tendency to develop other meanings along with their basic meanings in the sub-systems of Georgian (old georgian and dialects):

Is (To be) — Is alive

Sits (To sit) — Inhabits (Dwells)

Stands (To stand) — Is (To be)

Stands (To stand) — Inhabits

Stands (To stand) — Is alive

All these meanings are originated as a result of various developments of semantic components of the verbs with general meaning of existence.

Usage of verbs of existence in georgian dialects in order to depict the existence, being, inhabitation is caused by the development of semantic components of such verbs in connection with the original meanings of the verbs.

Presented article is only a small part of the research focusing on the formative and semantic connections of the verbs of existence, motion and condition in the georgian language.

თეა ბურჭულაძე

ერთი სახის შეკვეცილი ჰიპოთაქსური კონსტრუქცია საშუალო ქართულში

საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებზე დაკვირვება საინტერესო სურათს იძლევა. ზოგადად ამ პერიოდის ნაწარმოებებში გვხვდება სინტაქსური თვალსაზრისით რთული წყობის წინადადებები. ვრცელი, გადატვირთული კონსტრუქციების გვერდით ხშირია შეკვეცილი ტიპის წინადადებებიც.

საშუალო ქართულში ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება საკორელაციო სიტყვები, მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირები. ასეთი სიტყვები რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების დაკავშირების ერთ-ერთი გარეგნული საშუალებაა (კვაჭაძე, გვ. 385).

ჰიპოთაქსურ კონსტრუქციებში ხშირად გვხვდება ხოლმე ორ-ორი სიტყვა, რომლებიც ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს აკავშირებენ. ერთი მათგანი მთავარ წინადადებაშია, მეორე კი — დამოკიდებულში. ასეთი წყვილ-წყვილი სიტყვებია: ისე-რომ, ისეთი-რომ, იმიტომ-რომ, ისეთი-როგორიც, მაშინ-როცა, იქ-სადაც...ამ წყვილების ცალკებს (მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას) შორის სპეციალური კავშირი სინტაქსურიც არის და ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა შორის ურთიერთობის ამსახველიც (ერთელიშვილი, გვ.238).

საშუალო ქართულის პერიოდის წერილობით ძეგლებში შეგვხვდა შემდეგი წყვილ-წყვილი სიტყვები: ისეთი-რომელი, ისე-რომ, რომ-თუ, ისეთი-რომ-თითქოს, იქ-სადაც, ისე-ვითა, თუ-მაშინ...

რთულ ქვეწყობილ წინადადებათა აგებისას ამ პერიოდის ძეგლებში არის ხოლმე ხშირ შემთხვევაში ორივე წყვილი:

„შევედით წალკოტსა შინა **ეგეთსა, რომელ** არა დგა წალკოტი სწორი მისი ქვეყანასა ზედა!“ (ამირან. გვ.94); „სიდიდითა მათითა და სიკეთითა ჩვენითა **ისეთი** ომი შეიქმნა, **რომე** ფიცხლად ომად კმა იყო.“ (ამირან.გვ.128); „**ასეთი** სიდიდე და სიფართე ქონდა ტახტის თავსა, **რომე** ოთხასი კაცი დაჯდებოდა.“ (რუსულ. გვ. ს77); „ზავისაგან დავედრებული

სიტყვა მოეგონა, ენიშნა და სიხარულითა **ესოდენი** შეხტა, **რომე** ერთი სა-
თურგნო შორს წარბინა“. (რუსულ. გვ.82);

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარ წინადადებაში მისა-
თითებელი (საკორელაციო) სიტყვა თუ საპირისპირო კავშირი არ არის.
ასეა დღევანდელ სამწერლობო ძეგლებში. როგორც ჩანს, ამ ტიპის წინადა-
დებები საშუალო ქართულის ძეგლებშიც ხშირია. მაგალითად:

„შევიბენით და შეიქმნა ომი, **რომელი** არა ითქმის კაცისა ენისაგან
სიდიდე იმისა და სიფიცხე ეგეთი“ (ამირანდარ. გვ. 53); ფიცხლად ცხენი
შეუტრევე, გავაქცივენ და დავხოცენ, **რომე** მცირედნი-და ვინმე გარდამეხვეწ-
ნეს“ (ამირანდარ. გვ.117); „და ისროდეს ქვათა დიდროვანთა **ესეთთა**, **რო-
მე** სულეირსა მათი ნასროლი ქვა ეცის, წამსვე მოკლის“ (ამირანდარ.
გვ.93); „ზავისაგან ტახტი მძიმე და მაღალი დაადგმევინა სახელმწიფო,
რომე მის უშვენიერესი არა იქნებოდა რა“ (რუსულ. გვ.85); „რა აქით
აიყარნენ და ცოტა ხანი ვლეს, დახვდა გზანი ტურფად მოკაზმულნი, **რომე**
მის უამესი არა იქნებოდა რა“ (რუსულ. სგვ.102); შეიქმნა გრგვინვა და
ზრიალი, **რომელ** ამას გვანდა, ცასა მიწაზედან დასცემენო“ (რუსულ.
გვ.127); მივეყ იმ სისხლსა და მიველ, **სადაც** ვეშაპი მოეკლა“ (რუსულ.
გვ.169); „მე, **ვითა** ჩემი სიცოცხლე, მიყვარს ჩემი ვირო, და **ვითა** თვალი,
არ გამეშვების ჩემი შაპრო“ (ვისრ. გვ.19); „გახელებულ იყო, **რომელ** სი-
კუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა“ (ვისრ. გვ.19); „**სადაცა** გწა-
დიან, წამიყვანე, არ გაყენებო“ (ვისრ. გვ.30); „**თუ** ორასი კაცი სახლისა
მაშენებელ იყოს, ერთი ამოხრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა“ (ვისრ.
გვ.134); „მეფეთა შიგან სიუხვე, **ვით** ედემს ალვა, რგულია, **რასაცა** გასცემ
შენია, რაც არა, დაკარგულია“ (ვეფხ. გვ.21); „ჩემი ზრახვა სიძუნწისა,
ტყუის, **ვინცა** დაიუბედნა!“ (ვეფხ. გვ.22); „ბრძანეთ, მოდით, შემებენით,
ვითა წესი და რიგია“ (ვეფხ. გვ.140); „**რაცა** შეგცოდეთ, შეგვინდევ, თვით
ჩვენვე შეგვინანია“ (ვეფხ. გვ.137); „**ვინცა** ისმინოს, დაესვას ლახვარი გულ-
სა ხეული“ (ვეფხ. გვ. 9)

აღვადგინოთ ეს ფორმები და მივიღებთ მის სრულ ვარიანტს:

ისეთი---რომელი

ისეთი----რომ

ისე---რომ

შევიბენით და შეიქმნა ***ისეთი** ომი, **რომელი** არ ითქმის კაცისა ენი-
საგან სიდიდე იმისა და სიფიცხე ეგეთი (ამირანდარ. გვ. 53); ზავისაგან
ტახტი ***ისეთი** მძიმე და მაღალი დაადგმევინა სახელმწიფო, **რომე** მის უშ-
ვენიერესი არა იქნებოდა რა (რუსულ. გვ. 85); რა იქით აიყარნენ და ცო-
ტა ხანი ვლეს, დახვდა გზანი ***ისე** ტურფად მოკაზმულნი, **რომე** მის უამე-
სი არა იქნებოდა რა (რუსულ. გვ. 102); ***ისეთი** გახელებული იყო, რომელ

სიკუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა (ვისრამ. გვ. 19). ფიცხლად ცხენი შეუტოვე, გავაქცივე და ***ისე** დავხოცენ, **რომე** მცირედნი-ლა ვინმე გარდამეხვეწნეს (ამირან. გვ. 117); შეიქმნა ***ისეთი** გრგვინვა და ზრიალი, **რომელ** ამას გვანდა, ცასა მიწაზედან დასცემენო (რუსუდ. გვ. 127)

აქ წარმოდგენილ განსაღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში აღვადგინეთ კორელატი სიტყვა **ისეთი**, რომელსაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება.

ისე---ვითა

იქ----სადაც

მე, **ვითა** ჩემი სიცოცხლზე, ***ისე** მიყვარს ჩემი ვირო, და ვითა თვალი, ***ისე** არ გამეშვების ჩემი შაპრო (ვისრ. გვ. 19); მეფეთა შიგან სიუხვე, **ვით** ედემს ალვა, ***ისე** რგულია (რუსთ. გვ. 21); მივეყ იმ სისხლსა და ***იქ** მიველ, **სადაც** ვეშაპი მოეკლა (რუსუდ. გვ. 169); **სადაც** გწადიან, ***იქ** წამიყვანე, არ გაყენებო (ვისრ. გვ. 30); ***ისე** განათლდა არე მისით, **ვით** მთვარე როს განხმულ იყვნეს ცანი ხომითა“ (აბდულმეს. გვ. 325); არს ***ისეთი** უშიშ, **ვითა** მისითა შვითა დაუკლებელნი სრულნი შვებანი (თამარიან. გვ. 354); და **ვითარ** არწივთა ***ისე** მიმართეს და **ვითარ** ვეფხვნი ***ისე** ეკვეთნის (ცხ.მეფ.-მეფ. თამარ. გვ.390); და ყოვლადვე ***ისე** არა უკვირდის, ვითარცა ხორციელსა მეგობრისაჲ (სასწ. წმინდ. გიორგ. გვ. 425); არს ცნობათ ***ისეთი** მოთხე, **ვითა** სამოთხე (თამარ. გვ. 354); ***ისე** ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა, **ვით** მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა (აბდულმეს. გვ. 329); მტერთა მახვილნი ***ისე** იქმნეს, **ვით** ცვილნი, მახითა მითვე, რომელი დაარწყვეს (აბდულმეს. გვ. 328)

მოყვანილ წინადადებაში აღდგენილია ადგილისა და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კორელატი სიტყვები **ისე** და **იქ**. აქაც მათ აზუსტებს შესაბამისი დამოკიდებული წინადადება.

***მაშინ---თუ**

***მაშინ---როცა**

***რა** გესმა მშვიდსა, **მაშინ** საქმესა შვიდსა ხელ-ჰყავ სიბრძნითა არ შფოთებულად (თამარ. გვ. 352); ***თუ** ორასი კაცი სახლისა მაშენებელ იყოს, **მაშინ** ერთი ამაოხრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა (ვისრამ. გვ. 134).

ამ ტიპის წინადადებებში (დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში) კორელატებად გვაქვს აღდგენილი დროის ზმნისართები, რომლებიც ენაცვლებიან დამოკიდებულ წინადადებას. ის კი თავის მხრივ აზუსტებს რთულ წინადადებაში დროის გამომხატველ სიტყვებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმ დროის ნათარგმნ ტექსტებსა და ორიგინალურ ძეგლებს შორის ამ თვალსაზრისით სხვაობა არ არის. ორივეგან ერთნაირი სურათი ჩანს — არის სრულიცა და შეკვეცილი ფორმებიც.

საზოგადოდ ქართულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციებისათვის უცხო არ არის კვეცა. „ენა ცდილობს, სადაც შესაძლებელია, აერიდოს განმეორებას, დაამოკლოს ნაწილები და ისე შეამჭიდროვოს ისინი, რომ გაგებინება (კომუნიკაცია) არ დაზარალდეს“ (კვანტალიანი, გვ. 7).

ამ ტიპის წინადადებებში იმის გამო, რომ საკორელაციო სიტყვა თუ საპირისპირო კავშირი არ არის, აზრი არ ირღვევა და გაგებინება შინაარსისა სრულია. აქ სხვაობა ნიუანსებშია. როდესაც მთავარ წინადადებაში არის რომელიმე მისათითებელი სიტყვა, ის თავიდანვე გვაგარაუდებინებს, რომ მას მოჰყვება დამოკიდებული წინადადება. როგორც სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, ჰიპოტაქსურ წინადადებაში თუ არ არის ასეთი სიტყვა, ეს უფრო დამოუკიდებელს, თავისთავადს ხდის მას (კვაჭაძე, გვ. 386). მაგალითად, წინადადებაში „მივეყ იმ სისხლსა და მიველ, სადაც ვეშაბი მოეკლა“ (რუსუდ. გვ. 169) მთავარი წინადადება **მივეყ იმ სისხლსა და მიველ** უფრო დამოუკიდებელი ჩანს, რაკი მასში არ არის კორელატი სიტყვა **იქ**. ხოლო მაგალითში „მან დიაცმან უძღვნა ერთი შესამოსელი ეგეთი, რომლისა მსგავსი კაცისა თვალისაგან არა ნახულა რა“ (ამირან. გვ. 120), მთავარ წინადადებაში (**მან დიაცმან უძღვნა ერთი შესამოსელი ეგეთი**) გამოყენებული სიტყვა **ეგეთი** მიგვანიშნებს, რომ მას დამოკიდებული წინადადება უნდა მოჰყვეს.

კორელატი სიტყვების უქონლობის შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება უშუალოდ უკავშირდება და ხსნის მთავარი წინადადების შემასმენელს (კიზირია გვ. 115). მაგალითად, წინადადებაში „**შეიქმნა გრგვინვა და ზრიალი, რომელ ამას გვანდა, ცასა მიწაზედან დასცემენო**“ გამოტოვებულია მისათითებელი სიტყვა **ისეთი....** მთავარი წინადადებების შემასმენელს **შეიქმნა** ხსნის და აკონკრეტებს კორელატი სიტყვის ნაცვლად მთლიანად დამოკიდებული წინადადება — **რომელ ამას გვანდა, ცასა მიწაზედან დასცემენო**.

როდესაც ქვეწყობილ წინადადებაში საკავშირებელი სიტყვა გამოტოვებულია, მაშინ დამოკიდებული წინადადების ტიპზე მიმართებითი ზმნიზება მიგვითითებს ხოლმე. ხოლო როდესაც კორელატი სიტყვაც გამოტოვებულია და კავშირიც პოლისემანტიკურია, ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების რომელობაზე ლაპარაკი მთელი ქვეწყობილი წინადადებით გამოხატული აზრის მიხედვით ხერხდება (ერთელიშვილი, გვ. 223).

საშუალო ქართულის ძეგლებში ზოგადად ჩანს, რომ ვრცელი, სრული ჰიპოტაქსური წყობის გვერდით გვხვდება შეკვეცილი წინადადებებიც. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ უფრო მეტად ჭარბობს ისეთი წყობა, სადაც

მისათითებელი(საკორელაციო) სიტყვაცა და საპირისპირო კავშირიც არის. თუმცა ჰიპოტაქსური შეკვეცილი ფორმების დამკვიდრება ამ პერიოდის ქართულში აშკარაა და დღევანდელ სამწერლობო ენაშიც განვითარებული ეს წყობა სწორედ ამ დროიდან გვხვდება.

ლიტერატურა

კიზირია 1969 — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1969.

კვაჭაძე 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე შეესებული გამოცემა, თბილისი, 1996.

ერთელიშვილი 1963 — ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963.

კვანტალიანი 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი, 1990.

Tea Burtchuladze

One Type of Elided Hypotactic Construction in Middle Georgian

Summary

During the construction of a compound subordinate sentence in the middle Georgian two words often occur, which connect the parts of subordinate clause. But such a construction occurs where there is no correlative or adversative conjunction in a principle sentence. Owing to this in such a sentence conception is not refuted and essence is completely understood. When there is any correlative word in a principle sentence it makes us suppose that it is followed by a subordinate clause, but when there is not such a word in a hypotactic construction it makes a sentence more subordinate one.

Establishing of elided hypotactic construction, forms in middle Georgian is obvious and this structure developed in the modern literary language occur since this time.

ელისაბედ გაზდელიანი

მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგი საკითხი სვანური ენის სახელებში

სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებას სპეციალური წერილი უძღვნა თ. შარაძენიძემ (შარაძენიძე 1954, 189-205). ძირითადად ბალსზემოურის მსგავსად იწარმოება მრ. რიცხვი სვანური ენის ყველა დიალექტში. მიღებული დასკვნები ვრცელდება სხვა დიალექტების მონაცემებზეც. სახელის ფუძეზე მრ. რიცხვის სუფიქსის დართვას თან სდევს სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები, დამახასიათებელი ამა თუ იმ დიალექტისათვის. იმის მიხედვით, თანხმოდანფუძიანია თუ ხმოდანფუძიანი სახელი, სახელის ფუძეში ხდება რედუქცია, მრ. რიცხვის ნიშნისეული თანხმოდანის დისიმილაცია, ასიმილაცია, მორფემათა ზღვარზე ხმოდანფუძიანების შერწყმა ერთ გრძელ ხმოდან (გრძელ-ხმოდან დიალექტებში), **ი**, **ჟ** ბგერების ან **-ალ**, **-არ** მარცვლების გაჩენა სახელის ფუძისა და რიცხვის ნიშანს შორის.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სვანურში მრ. რიცხვს რამდენიმე ნიშანი აქვს. სახელის ფუძის სახეობის და სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, მრ. რიცხვის ნიშნები სხვადასხვაა. ყველაზე ხშირად სახელები მრ. რიცხვში დაირთავენ — **-არ** ზს., ლნტ. **-არ** ლშხ. სუფიქსებს. მრ. რიცხვის წარმოების საკითხს სვანურში ამ ენის თითქმის ყველა სპეციალისტი შეეხო: (ა. შანიძე; კ. დონდუა; ვ. თოფურია; თ. შარაძენიძე; მ. ქალდანი; ზ. ჭუმბურიძე; ა. ონიანი; ი. ჩანტლაძე).

ვნახოთ ისეთი ბოლოთანხმოდანიანი სახელები, რომლებიც დიალექტების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მხოლოდ უმლაუტის ან სიგრძის ქონა-არქონით: **ვან** ზს., ლნტ. **ვან** ლშხ. „ხარი“ **ვან-არ** ზს., ლნტ. **ვან-არ** ლშხ. „ხარები“; **ქუინ** ზს., ლნტ. **ქუნ** ლშხ. „სული“ **ქუნ-არ** ზს., ლნტ. **ქუნ-არ** ლშხ. „სულები“; **ჯიჟუ** „ძვალი“ **ჯიჟუ-არ** ზს., ლნტ. **ჯიჟუ-არ** ლშხ. „ძვლები“; **ქაფ** „ტვირთი“ **ქაფ-არ** ზს., ლნტ. **ქაფ-არ** ლშხ. „ტვირთები“; **ქიბ** „ძაფი“ **ქიბ-არ** ზს., ლნტ. **ქიბ-არ** ლშხ. „ძაფები“.

ბალსზემოურ სახელებში, რომლებიც ფუძეში შეიცავენ **რ** სონანტს

ხდება სუფიქსის **-რ**'ს დისიმილაცია (შარაძენიძე 1954, 189). ასევე ხდება ქვემოსვანურ დიალექტებში ლაშხურსა და ლენტეხურში. შესაბამისად სახელები დაირთავენ **-წლ** ბზ., ლნტ. **-ალ** ლშხ. მრ. რიცხვის ნიშნებს. მაგ. **ქორ** „სახლი“ **ქორ-წლ** ბზ., || **ქორჟ-წლ**, ლნტ., **ქორ-ალ** ლშხ. „სახლები“; **წარ** ბზ., ლნტ. **წარ** ლშხ., **წარ-წლ** ბზ., ლნტ. **წარ-ალ** ლშხ. „ზარები“; **ღართ** ბზ., ლნტ. **ღართ** ლშხ., „ნაბადი“ **ღართ-წლ** ბზ., ლნტ. **ღართ-ალ** ლშხ. „ნაბდები“; **ჟარგ** ბზ., ლნტ. **ჟარგ** ლშხ. „თავადი, აზნაური“ **ჟარგ-წლ** ბზ., ლნტ. **ჟარგ-ალ** ლშხ. „თავადები...“ **წირხ** „ღვლეგრჭი“ **წირხ-წლ** ბზ., ლნტ. **წირხ-ალ** ლშხ. „ღვლეგრჭები“.

ამ ტიპის სახელებში ბალსქვემოურ დიალექტში **რ > ლ** დისიმილაცია არ ხდება. **-წრ** მრ. რიცხვის ნიშანი ყოველთვის უცვლელადაა წარმოდგენილი. ბქ. **ქორ-წრ** „სახლები“; **წარ-წრ** „ზარები“; **ჩერჩ-წრ** „ჩენილები“; **ჟოსრ-წრ** „ჩოხები“; **ჟარგ-წრ** „თავადები“; **ღართ-წრ** „ნაბდები“ და სხვა. მრ. რიცხვის ასეთი ფორმები ზოგჯერ შეიძლება ბალსქვემოურ დიალექტებშიც შეგვხვდეს ერთმანეთის პარალელურად. გარკვეულია, რომ ბალსქვემოური დიალექტის ლატალურ და ლენტეხურულ კილოკავებში „ფუძისეულ **რ**“სთან მრ. სუფიქსის **რ** დისიმილაციას არ განიცდის“ (შარაძენიძე 1970, 45).

ლატალი და ლენტეხური უშუალოდ ემეზობლებიან ბალსქვემოურ დიალექტზე მოლაპარაკე სოფლებს. ასეთი ტენდენცია შეინიშნება უმეტეს შემთხვევაშიც, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ბალსქვემოურისაგან, როგორც ტერიტორიულად, ისე მეტყველებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ლენტეხური დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურება. **ლ**'ს მომდევნო პოზიციაში **-წრ > წლ**, **-წრ > -წლ**. (ონიანი 1998, 100). ე. ი. ლენტეხურში, როცა ფუძისეულ **ლ**'ს უშუალოდ მოსდევს **-წრ** მრ. რიცხვის ნიშანი, ასიმილაციის გზით ვიღებთ **-წლ** მრ. რიცხვის ნიშანს, რაც თითქმის არ გვხვდება სხვა დიალექტებში. ლენტეხურში ადგილი აქვს, როგორც დისიმილაციას **რ > ლ** (**-წრ > -წლ**), ისე მრ. რიცხვის **-წრ** სუფიქსის **რ**'ს ასიმილაციას სახელის ფუძის ბოლო **ლ**' თანხმობითან. მაგ. ლნტ. **ბიშბილ** „მარცვალი“ **ბიშბილ-წლ** || **ბიშბლ-წლ** „მარცვლები“; **ჩაფულ** „ფესხაცმელი“ **ჩაფლ-წლ** „ფესხაცმელები“; **მოცქჟილ** „მოციქული“ **მოცქვლ-წლ** „მოციქულები“; ჟოლ „მყინვარი“ **ჟოლ-წლ** „მყინვარები“; **ტწლ** „ლაქა“ **ტალ-წლ** „ლაქები“; **ქილ** „ეშვი“ **ქილ-წლ** „ეშვები“; **ნებოლ** „ჩიტი“ **ნებოლ-წლ** „ჩიტები“; **ქათწლ** „ქათამი“ **ქათალ-წლ** „ქათამები“.. სხვა დიალექტებში ამ სახელების მრ. რიცხვში გვექნება **-წრ** ზს., **-წრ** ლშხ. სუფიქსები. ლენტეხურ დიალექტში სახელის თავკიდურ პოზიციაში არსებული **ლ** მრ. რიცხვის **-წრ** სუფიქსზე გავლენას ვერ ახდენს. **ლახჟ** „მთა“ **ლახჟ-წრ** „მთები“; **ლესკ** „გვერდი“ **ლესკ-წრ** „გვერდები“; **ლწდელ** „ღღე“ **ლწდელ-წრ** „ღღეები“ და სხვ.

ბალსქვემოურში **-წლ** სუფიქსი **ა** და **ე** ბოლოხმოვნიან სახელებს ერ-

თვის. ფუძის ბოლო ხმოვნები მრავლობითის -წ ხმოვანს შეერწყმის: **ა+წლ>წლ**; **ე+წლ>წლ**. ასე, რომ დაბოლოება **ა** და **ე** ბოლოხმოვნიან სახელებში ერთნაირია“ (შარაძენიძე 1854, 189). აქ უნდა დაზუსტდეს, რომ -**ე**, -**ა** ფუძისეულ ხმოვანს მორფემათა ზღვარზე ხვდება არა -**წლ** (გრძელი ხმოვნით), არამედ -**წლ** სუფიქსი და **ა+წ** (< **წლ** < **წრ**), **ე+წ** (< **წლ** < **წრ**) ხმოვანთა შერწყმით ბალსზემოურში ვიღებთ -**წლ** გრძელხმოვნიან მრ. რიცხვის ნიშანს. გრძელდება სუფიქსისეული ხმოვანი -**ა**, -**ე** ბოლოხმოვნიან სახელებთან, რომელთა ფუძეები **რ**’ს შეიცავენ, დისიმილაციით და ხმოვანთა შერწყმის გზით -**წლ**’ის გამოვლენა ახსნადია. მაგ. ბზ.: **შირა** „დოლაბი“ ***შირა+წლ** > **შირ-წლ** „დოლაბები“, **გურნა** „რიყის ქვა; ქვასანაყი“ ***გურნა+წლ** > **გურნ-წლ** „რიყის ქვები...“ **გარაშა** „ჭარი“ ***გარაშა+წლ** > **გარაშ-წლ** „ჭარები“; **ქუითრა** „ქურდი“ ***ქუითრა+წლ** > **ქუითრ-წლ** „ქურდები“; **ლარდა** „სადგომი“... ***ლარდა+წლ** > **ლარდ-წლ** „სადგომები“.

ბალსზემოურში -**წლ** მრ. რიცხვის ნიშანს გამოავლენს -**ა** ხმოვანზე დაბოლოებული სახელებიც, რომელთა ფუძეში **რ** არ არის, ე. ი. **ლ**’ს (< **წლ**) გამოვლენა ფონეტიკურად შეპირობებული არ არის. მაგ.: **ღაჭა** „ნიჟარა“ **ღაჭა+წლ** > **ღაჭ-წლ** „ნიჟარები“; **გაფა** „ბუნიკი მშვილდის“ ***გაფა+წლ** > **გაფ-წლ** „ბუნიკები“; **ძუღუა** „ზღვა“ ***ძუღუა+წლ** > **ძუღუ-წლ** „ზღვები“; **ჭეჭა** „მაჯა“ ***ჭეჭა+წლ** > **ჭეჭ-წლ** „მაჯები“; **სეგდა** „ხის ვედრო“ ***სეგდა+წლ** > **სეგდ-წლ** „ხის ვედროები“. ასევე -**ე** ბოლოხმოვნიანი სახელები, რომელთა ფუძეში არის -**წრ** რიცხვის ნიშნის დისიმილაციის გამომწვევი **რ** და იმ შემთხვევაშიც, როცა ის არ არის, ეს სახელები -**წლ** მრ. რიცხვის ნიშანს დაირთავენ.

ე-ზე დაბოლოებულ **რ**’ს შემცველი სახელები: **მარე** „კაცი“ ***მარე+წლ** > **მარ-წლ** „კაცები“; **თხერე** „მგელი“ ***თხერე+წლ** > **თხერ-წლ** „მგლები“; **ლარე** „სათიბი“ ***ლარე+წლ** > **ლარ-წლ** „სათიბები“; **ჟერე** „წვერი“ ***ჟერე+წლ** > **ჟერ-წლ** „წვერები“; **ლეთრე** „სანთელი“ **ლეთრე+წლ** > **ლეთრ-წლ** „სანთლები“.

-**ე** ბოლოხმოვნიანი სახელები რომელთა ფუძეში **რ** არ არის. მაგ.: **ეახე** „სახელი“ ***ეახე+წლ** > **ეახ-წლ** „სახელები“; **ყუიყე** „ღვიძლი“ ***ყუიყე+წლ** > **ყუიყ-წლ** „ღვიძლები“; **ლეჭე** „სათიბი“ ***ლეჭე+წლ** > **ლეჭ-წლ** „სათიბები“...

ამრიგად, ბალსზემოურში **ა** და **ე** ბოლოხმოვნიან სახელებს დაერთვით **წლ** (< **წრ**) მრავლობითი რიცხვის ნიშანი და მორფემათა ზღვარზე (სახელის ფუძეს + მრ. რიცხვის ნიშანი) წარმოქმნილ **ა + წ** (< **წლ**) და **ე + წ** (< **წლ**) ხმოვანთკომპლექსებში, ხმოვანთა შერწყმის შედეგად ვიღებთ გრძელ -**წლ** (წლ), ორივე შემთხვევაში რიცხვის ნიშნისეული ხმოვანი გრძელდება.

ლაშხურ დიალექტში **ა**, **ე** ბოლოხმოვნიან სახელებთან ბალსზემოურის -**წლ**-ის ნაცვლად თავს იჩენს -**წლ** მრ. რიცხვის ნიშანი, როგორც ცნობილია, ბალსზემოურის **წ**’ს ლაშხურში **ე** შეესატყვისება (შანიძე 1957,

372). „ლაშხური მრავლობითობის მორფემის გრძელხმოვნიანი ალომორფი -**ნელ** მიღებულია ფუძისეული -**ე**, -**ა** ხმოვნების შეერთებით ბალსზემოტური ან შესატყვის -**ე** ხმოვანთან (ონიანი, 1969, 115) და **ა + ე > ე; ე + ე > ე**“.

-**ნელ** რიცხვის ნიშანი გვაქვს ლაშხურ დიალექტში, როგორც **რ**'ს მქონე, ისე არ მქონე სახელების ფუძეებთან. მაგ. ლშხ. **შინრა** დოლაბი ***შინრა+ელ > შინრ-ნელ** „დოლაბები“; **გურნა** „ქვასანაყი“ ***გურნა+ელ > გურნ-ნელ** „ქვასანაყები“; **ადრა** „იელი“ ***ადრა+ელ > ადრ-ნელ** „იელები“; **ლარდა** „სადგომი“ ***ლარდა+ელ > ლარდ-ნელ** „სადგომები“; **ხონრა** „უმცროსი“ ***ხონრა+ელ > ხონრ-ნელ** „უმცროსები“.

ლშხ. -**ა** ბოლოხმოვნიანი სახელები, რომელთა ფუძეში **რ** არ არის: მაგ. **ჭუილა** „ყორე“ ***ჭუილა+ელ > ჭუილ-ნელ** „ყორეები“; **ნიგბა** „შებლი“ ***ნიგბა+ელ > ნიგბ-ნელ** „შებლები“; **დაბნა** „მოზვერი“ ***დაბნა+ელ > დაბნ-ნელ** „მოზვერები“; **ჭუა** „ძუკნა“ ***ჭუა+ელ > ჭუ-ნელ** „ძუკნები“...

ლშხ. -**ე** ბოლოხმოვნიანი სახელები, სადაც ფუძეში მრ. რიცხვის სუფიქსისეული **რ**'ს დისიმილაციის გამომწვევი მიზეზი არსებობს: **თხნრე** „მგელი“ ***თხნრე+ელ > თხნრ-ნელ** „მგელები“; **ლნრე** „სათიბი“ ***ლნრე+ელ > ლნრ-ნელ** „სათიბები“; **მნრე** „კაცი“ ***მნრე+ელ > მნრ-ნელ** „კაცები“ **გუერე** „ტყავი“ ***გუერე+ელ > გუერ-ნელ** „ტყავები“.

ე'ზე დაბოლოებული სახელის ფუძეები, სადაც **რ**' არ გვაქვს:

მაგ.: **ლუკნე** „ყველიანი ჭადი“ ***ლუკნე+ელ > ლუკნ-ნელ** „ყველიანი ჭადები“; **დუესე** „ბადექონი“ ***დუესე+ელ > დუეს-ნელ** „ბადექონები“; **დალე** „ფრთა“ ***დალე+ელ > დალ-ნელ** „ფრთები“; **ყუიყე** „ღვიძლი“ ***ყუიყე+ელ > ყუიყ-ნელ** „ღვიძლები“; **ფხულე** „თითი“ ***ფხულე+ელ > ფხულ-ნელ** „თითები“.

-**ა**, -**ე** ბოლოხმოვნიან სახელებთან ლაშხურ დიალექტში მრ. რიცხვის -**ნელ** რიცხვის ნიშნის დართვით იქმნება -**ა+ე**, -**ე+ე** ხმოვანტოკომპლექსები, რომელთა შერწყმით, ორივე შემთხვევაში, ვიღებთ -**ნელ** გრძელხმოვნიან მრ. რიცხვის სუფიქსს.

„რაც შეეხება -**წლ** ბზ., -**ნელ** ლშხ. რომლებიც **ა**, **ე** ხმოვანთა მომდევნო პოზიციამი დასტურდება, როცა ცვლილების **რ > ლ** მიზეზი არ არსებობს: **დინ-წლ** ბზ.: **დინ-ნელ** ლშხ. „გოგოები“; **ყან-წლ** ბზ., **ყან-ნელ** ლშხ. „სახელები“ და სხვა. ამ **ლ**'ს **რ**'საგან მომდინარეობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს (ონიანი 1989, 230). ზ. ჭუმბურიძის მიერ გამოთქმულია მოსაზრება „რომ **ა**, **ე** ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობით რიცხვს ბალსზემოტურ კილოში აწარმოებს პირველადი და არა დისიმილირებული -**ალ**, რომლის ხმოვანიც -**არ** სუფიქსის მსგავსად უმლაუტიანია და ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანთან შერწყმის შედეგად გრძელია, ასე რომ, საბოლოოდ მრ. რიცხვის მაწარმოებლად წარმოგვიდგება -**წლ**“ (ჭუმბურიძე 2007, 79). გამოდის რომ, -**ლ** სონანტიანი მრ. რიცხვის ყველა ნიშანი პირველადი სუ-

ფიქსებია ბალსზემოურ და ქვემოსვანურ დიალექტებში. როგორც ვიცით, დასახელებულ დიალექტებში -ლ სონანტიანი მრ. რიცხვის სუფიქსის გამოვლენა, უმეტეს შემთხვევაში, დისიმილაციის ან ასიმილაციის (ლენტეხურში) შედეგია. საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც, ბალსქვემოურმა დიალექტმა -წლ მრ. რიცხვის ნიშანი თითქმის არ იცის. იმ სახელებთან, სადაც მისი გამოვლენის მიზეზი არ არსებობს, შეიძლება, ფორმათა გათანაბრებას, ანალოგიას მივაწეროთ.

-ა, ე ხმოვანფუძიანი სახელები ბალსქვემოურში დაირთავენ -ოლ მრ. რიცხვის ნიშანს.

ა-ზე დაბოლოებული სახელები: დინა „გოგო“ დინ-ოლ „გოგოები“; ძუღუა „ზღვა“ ძუღუ-ოლ „ზღვები“; ბოტა „ვაცი“ ბოტ-ოლ „ვაციები“; ლაკურა „ფანჯარა“ ლაკურ-ოლ „ფანჯრები“; აბგა „აბგა“ აბგ-ოლ „აბგები“; შირა „დოლაბი“ შირ-ოლ „დოლაბები“; მესგულა „ნაცარქათამა“ მესგულ-ოლ „ნაცარქათამები“; ბუღუა „ბულა“ ბუღ-ოლ „ბუღები“.

ე-ზე დაბოლოებული სახელები: მარე „კაცი“ მარ-ოლ „კაციები“; გუერე „ტყავი“ გუერ-ოლ „ტყავები“; დუესე „ბალექონი“ დუეს-ოლ „ბალექონები“; მეზგე „ოჯახი“ მეზგ-ოლ „ოჯახები“; ლარე „სათიბი“ ლარ-ოლ „სათიბები“; ბალე „ფოთოლი“ ბალ-ოლ „ფოთლები“.

თ. შარაძენიძე ბალსქვემოურისათვის გამოყოფს მრ. რიცხვის ერთ-ერთ ნიშნად -აღუ სუფიქსს და აღნიშნავს, რომ „როგორც ჩანს -აღუ ფართოდ ყოფილა გამოყენებული ბალსქვემოურში, სადაც მას გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები განუცდია, -უ-ს წინამავალი ა მიუმსგავსებია ნაწილობრივ თვითონ კი დაკარგულა აღ-უ → ოლ-უ → ოლ. ამჟამად ბალსქვემოურში არსებით სახელებთან ბალსზემოური -წლ-ის შესაბამისად -ოლ იხმარება. მაგრამ უ დაცულია ზოგ სიტყვაში: ხორ-ოლუ „კარგები“; ხოშ-ოლუ „უფროსები“ და ა. შ.“ (შარაძენიძე 1954, 201).

ლენტეხურში -ა, -ე ბოლოხმოვნიანი სახელები მრ. რიცხვში ბოლო ხმოვანს კარგავენ და იმის მიხედვით, ფუძეში არის რ, ლ სონორები თუ არა, დაირთავენ -აღ, -არ სუფიქსებს, უმლაუტის გარეშე. უმლაუტობა ამ სუფიქსებში ახსნილია იმით, რომ „წარმოშობით გრძელ ხმოვნებს ლენტეხურში უმლაუტი არ მოუდით“ (შანიძე 1981, 367). როგორც ვიცით, გრძელხმოვნიან დიალექტში ა, ე ბოლოხმოვნიან სახელებზე მრ. რიცხვის სუფიქსების დართვით იქმნება ხმოვანთკომპლექსები და ორი ხმოვნის შერწყმით გრძელხმოვნიან მრ. რიცხვის სუფიქსებს ვიღებთ, ე. ი. ამ სახელებთან გვაქვს პოზიციით შეპირობებული ხმოვანთა სიგრძე, და ამ სახელების მრავლობით რიცხვში ლენტეხურში უმლაუტიანი სუფიქსები მაინც გვხვდება.

მაგ.: ფეკუნა „ლეკვი“ ფეკუნ-არ „ლეკვები“; ღაბენა „მოზვერი“ ღაბენ-არ „მოზვერები“; შირა „დოლაბი“ შირ-ალ „დოლაბები“; უღუნა

„იდაყვი“ უღუნ-ალ || -არ „იდაყვები“; უღუნა „უღელი“ უღუნ-არ „უღლები“ ლეფხნა „ცხვარი“ ლეფხნ-არ „ცხვირები“; ლაზგა „საცხოვრებელი“ ლაზგ-არ „საცხოვრებლები“; დულა „მუხლი“ დულ-ალ „მუხლები“. გაგადა „ნიკაპი“ გაგად-არ „ნიკაპები“.

თავისებურად აწარმოებს მრ. რიცხვს დენა „გოგო“ (შდრ. ბზ. დინა) ლენტეხური, მრ. ნად^იენ-არ || -არ „გოგოები“... წესით აქ უმლაუტი არ უნდა გვქონდეს, რადგან ბალსზემოურში და ლაშხურში მრ. რიცხვის სუფიქსი გრძელმოვნიანია, შდრ. ბზ. დინ-წლ, ლშხ. დინ-ელ; ლენტეხური დიალექტის მრ. რიცხვში არსებული ნადიენ ფუძე დასტურდება მხოლოდ ქვემოსვანურში.

ე^იზე დაბოლოებული სახელები: ლგგრე „კვერცი“ ლგგრ-ალ „კვერცხები“; მარე „კაცი“ მარ-ალ „კაცები“; თხერე „მგლები“ თხერ-ალ; დერე „მყინვარი“ დერ-ალ „მყინვარები“; ლარე „სათიბი“ ლარ-ალ; ღაღე „ფრთა“ ღაღ-ალ „ფრთები“; ფხულე „თითი“ ფხულ-ალ || -არ „თითები“; ჟანე „სახელი“ ჟან-არ „სახელები“. არ არის გამორიცხული ა, ე ბოლოხმოვნიან სახელებთან მრ. რიცხვის სუფიქსები უმლაუტითაც შეგვხვდეს. ბა-ღე „ფოთოლი“ ბაღ-წლ „ფოთლები“; ლგგრე „კვერცი“ ლგგრ-წლ „კვერცხები“; ღაბენა „მოზვერი“ ღაბენ-არ „მოზვრები“; ბულუნა „ბულა“ ბულუნ-არ „ბულები“; ლეფხნა „ცხვირი“ ლეფხნ-არ/წლ „ცხვირები“; უღუნა „იდაყვი“ (უღუნა ეტიმოლოგ. უღუნ-ველი) უღუნ-არ „იდაყვები“; ფეკუნ-არ ლეკვები.

ზოგ -ა ხმოვნიან სახელებთან ორი ა'ც დასტურდება, მაგ. შირა-წლ „დოლაბები“; ლარდა-წლ „სადგომები“; ჟა-არ „ზვაგები“; ბულუნა-არ „ბულები“.

როგორც ჩანს ლენტეხური ცდილობს დაიცვას წესი -ა, -ე ხმოვანფუძიან სახელებთან, თუ ფუძეში არ არის დისიმილაციის ან ასიმილაციის გამომწვევი რ, ლ სონორები, გამოავლინოს მართებული -არ, -არ სუფიქსები, როგორც ეს თანხმოვანფუძიან სახელებთან ხდება. ეს მხარს დაუჭერს -წლ, -წლ, -ალ, -ელ ნიშნების მეორეულობას ბალსზემოურ, ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებში, თუმცა აღრევა აქაც არის.

-ო, -ო, -უ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები შედარებით ცოტაა სვანურში, განსაკუთრებით -ო და -უ ბოლოხმოვნიანები. მრ. რიცხვში აქაც იგივე ფონეტიკური პროცესი მიმდინარეობს, რაც თანხმოვანფუძიან და -ა, -ე ხმოვანფუძიან სახელებთან. -ო, -ო, -უ ბოლოხმოვნიანი სახელის ფუძეში თუ დასტურდება რ სონანტი, ბალსზემოური და ლენტეხური დიალექტები დაირთავენ დისიმილირებულ -წლ, ლაშხური -ალ, ბალსქვემოური -არ მრ. რიცხვის ნიშნებს, თუ არ არის რ, მაშინ ლაშხურში გვექნება -არ, სხვა დიალექტებში კი -არ სუფიქსი.

-ო, -ო, -უ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან მორფემათა ზღვარ-

ზე ხმოვანთა შერწყმა არ ხდება. მიუხედავად ამისა, გრძელხმოვნიან დიალექტებში **ო**'ზე დაბოლოებულ სახელებთან შეიძლება შეგვხვდეს **-წლ** ბზ., და **-ელ** ლაშხურში მრ. რიცხვის ნიშნები. ამ ნიშნების გამოვლენა **ო**'ზე დასრულებულ სახელებში **-ა**, **-ე** ხმოვნებზე დასრულებულ სახელებთან ანალოგიას უნდა მივაწეროთ.

-ი'ზე დაბოლოებული სახელები ოთხივე დიალექტში მრ. რიცხვის სუფიქსებს უშუალოდ დაირთავენ. მაგ.: **ჩერი** ბზ., ლშხ., **ჩერი** ბქ., ლნტ. „თითისტარი“; **ჩერი-წლ** ბზ., **-ალ** ლშხ., **ჩერი-წარ** ბქ., **-წლ** ლნტ. „თითისტარები“; **პეპი** ბზ., ლშხ., **პაპი** ბქ., ლნტ. „ნათლია“ **პეპი-წარ** ბზ., **-არ** ლშხ., **პაპი-წარ** ბქ., ლნტ. „ნათლიები“; **მერი** „მოხუცი“ **მერი-წარ** ზს., ლნტ. **მერი-არ** ლშხ. „მოხუცები“; **მახუში** „ოჯახის უფროსი“ **მახუში-წარ** ზს., ლნტ., **-არ** ლშხ. „ოჯახის უფროსები“; **ში** „ხელი“ **ში-წარ** ზს., ლნტ., **-არ** ლშხ. „ხელები“; **შგორი** ბზ., ლშხ., „შქერი“ **შგორი-წლ** ბზ., **-ალ** ლშხ. **შქერი** ბქ., **-წარ** ბქ., **შქერი** ლნტ. **შქერი-წლ** „დეგები“; **ცანცი** ბზ., ლშხ., **-წარ** ბზ., **-არ** ლშხ. **ცანცი** ბქ., ლნტ. „კუნელი“ **-წარ** ბქ. ლნტ. „კუნელები“.

ო'ზე დაბოლოებული სახელები მეტწილად ქართულიდანაა შესული სვანურში. ზოგ მათგანში ბოლო **-ო** ნაწილობრივ რედუცირდება **-ჟ**'დ ქართ. **ჩეო** შდრ. სვან. **ჩაჟ** ზს., ლნტ. **ჩეჟ** ლშხ., ქართ. **ხარშო/ხარხო** შდრ. სვან. **ხარშჟ** „ხორცის ნახარი“; ეზო, **ჰაზჟ** ზს., ლნტ. **აზჟ** ლშხ. **წერო** შდრ. **წაჟ** ბზ., **წაჟ** ბქ. **ო**'საგან მიღებული **-ჟ** გადავიდა ფუძეში და სახელი თანხმოვანფუძიანი გახდა. ქვემოსვანურ დიალექტებში წეროს **მყარონტ** ლშხ. **მყარონტ** ლნტ. ჰქვია. **კონტო** ლშხ., **კონტო** ლნტ. „ვარია“ **კონტო-ელ** ლშხ., **კონტო-წარ** ლნტ. „ვარიები“ (შდრ. **კონტო** ლჩხ.) **ბერი** ქს. „ბუნაგი“ **ბერი-ელ** ლშხ. **ბერი-წარ** ლნტ. „ბუნაგები“; **სედლო** ბქ. ქს. „ქალის უნაგირი“ **სედლო-ელ** ლშხ. **სედლო-წარ** ბქ. ლნტ. „...უნაგირები“; **ოდნაშო** ქს. **ოდნაშო-ელ** ლშხ., **ოდნაშო-წარ** ლნტ. „ლოდნაშო“. ბალსზემოურში მრ. რიცხვის სუფიქსის წინ სახელის ბოლო **ო** ნაწილობრივ რედუცირდება **ჟ**'დ (**ო > ჟ**). **გაგო** ბზ., **გეგო** ლნტ., „გუგუ-ლი“ **გაგჟ-წლ** ბზ., **გეგო-წარ** ლნტ. „საბჟო“ **საბჟჟ-წლ** ბზ., **საბჟო-წარ** ბქ., ლნტ. **საბჟო-ელ** ლშხ. „საბჟოები“; **აბანო**, **აბანჟ-წლ** ბზ., **აბან-ოლ** || **-წარ** ბქ., **აბანო-ელ** ლშხ., **აბანო-წარ** ლნტ. „აბანოები“; **სასადილო** მრ. **სასადი-ლჟ-წლ**; ბზ., **-წარ** ბქ., **-ელ** ლშხ., **-წლ** ლნტ. „სასადილოები“; **ჭყერო** „ლობე“ **ჭყერო-წლ** ლნტ. „ლობეები“ შდრ. ლეჩხ. **ჭყერო** „ხის ნაპობებისაგან გაკეთებული ღობე“ (ღლონტი).

-უ'ზე დაბოლოებულ სახელებში, **უ** ხმოვანი მრ. რიცხვში ბალსზემოურსა და ლაშხურში ზოგჯერ ნაწილობრივ რედუცირდება **უ > ჟ**. მაგ.: **ჭურუ** „ხვრელი“ **ჭურჟ-წლ** ბზ., **ჭურჟ-ალ** ლშხ., **ჭურჟ-წარ** ბქ., **-წლ** ლნტ. „ხვრელები“; **ჭურუ** ბზ., ლშხ., **ჭურუ** ბქ., ლნტ. „ამოუსვლელი ცომის პური“ **ჭურჟ-წლ** ბზ., **ჭურჟ-ალ** || **-უალ** ლშხ., **ჭურჟ-წარ** ბქ., **-წლ** ლნტ.

...პურები“; ფაუ ზს., ლნტ., ფაუ ლმხ; „ჯონი“ ფაჟ-პრ || ფაჟ-პრ ბზ., ფაჟ-პრ || ფაჟ-პრ ლმხ., ფაჟ-პრ ბქ., ლნტ. „ჯონები“ ტუნუ ბზ., ლმხ. ტუნუ ბქ., ლნტ. „ქოთანი“ ტუნუ-პრ ბზ., ტუნუ-პრ || ტუნუ-პრ ლმხ., ტუნუ-პრ ბქ., ლნტ. „ქოთნები“. ჰერუ ბქ., „თეთრი ქვა“ ჰერუ-პრ „თეთრი ქვები“; მურგუ ლმხ., მურგუ ლნტ. „თამელი“ მურგუ-ალ ლმხ., მურგუ-ალ ლნტ. „თამელები“; ბურდუ ლმხ., ბურდუ ლნტ. „ბურა“ ბურდუ-ალ || ბურდუ-ალ ლმხ. ბურდუ-ალ ლნტ. „ბურები“ (მდრ. მურგუ; ბურდუ ზს.) ზუნტუ ბზ., || ზუნტუ ლმხ., ზუნტუ ლნტ. (მდრ. ზუნტი ბქ.) „ზღმარტლი“ ზუნტუ-პრ ბზ., ზ/ზუნტუ-პრ || ზუნტუ-პრ ლმხ., ზუნტუ-პრ ლნტ. „ზღმარტლები“.

თავისებურად აწარმოებენ მრ. რიცხვს ბალსზემოურში -ჰმ შესაბამისად ბალსქვემოური ჰ < -(ჰმ), ლაშხური -ჰმ-ზე დაბოლოებული სახელები. იმის მიხედვით, ფუძეში გვაქვს თუ არა დისიმილაციის გამომწვევი -რ, ეს სახელებიც მრ. რიცხვში დაირთავენ -პრ, -ალ ბზ. ლაშხურში -ელ, -არ, -ალ, ხოლო ბალსქვემოურში -უ რიცხვის ნიშნებს.

მაგ. ბზ.: ზამ „წელი“ ზამ-პრ „წლები“; კერამ „კერია“ კერამ-ალ „კერიები“; სუნამ „სირმა“ სუნამ-პრ „სირმები“. ზურამ „დედალი ცხოველი“ ზურამ-ალ „დედლები“; ფუსდამ „საუფლო ხარი“ ფუსდამ-პრ „საუფლო ხარები“; აბაზინდამ „აბაზინდა“ აბაზინდამ-პრ „აბაზინდები“; დორამ „კოკა“ დორამ-ალ „კოკები“; ძაფანამ „პილბილი“ ძაფანამ-პრ „პილბილები“.

-ჰმ-ზე დაბოლოებული ზედსართავეები დაირთავენ, როგორც -პრ, -ალ ისე -უ სუფიქსებს. მ'ა -უ'ს წინ იკარგება. გეფამ „კბენია“ გეფამ-პრ/გეფა-უ „კბენიები“; ვადამ „მუცელა“ ვადამ-პრ/ვადა-უ „მუცელები, მუცლიანები“; გეჰამ „გამძლე“ გეჰამ-პრ/გეჰა-უ „გამძლეები“; უდაბიამ „ლაჟღაჟა“ უდაბიამ-პრ/უდაბია-უ „ლაჟღაჟები“.

იგივე რიცხვის ნიშანს გამოავლენს ბალსქვემოური (-ჰმ) > ჰ დასრულებულ სახელებთან. ამ რიგის სახელებში, -უ მრ. რიცხვის ნიშნის წინ, ფუძის -ჰ ზოგ თქმაში ინარჩუნებს უმლაუტს, ზოგან კარგავს.

მაგ.: სტინამ „ნათლია“ სტინამ-უ ცხმ. სტინამ-უ ლხმ. „ნათლიები“; კაპრამ „ნიკაპი“ კაპრამ-უ ცხმ., კაპრა-უ ლხმ. „ნიკაპები“; კალთამ „კალთა“ კალთამ-უ ცხმ., კალთა-უ ლხმ. „კალთები“; დორამ „კოკა“ დორამ-უ ცხმ., დორამ-უ ლხმ., „კოკები“; ჯორამ „ხის მორი...“ ჯორამ-უ ცხმ., ჯორამ-უ ლხმ. „ხის მორები“; ჯგლამ „წილის საყრელი კენჭი“ ჯგლამ-უ ცხმ., ჯგლა-უ ლხმ. „...კენჭები“; მეშამ „ემმაკი“ მეშამ-უ ცხმ. მეშამ-უ ლხმ. „ემმაკები“. ზურამ „დედალი (ცხოველი)“ ზურამ-უ ცხმ., ზურამ-უ „დედლები“; გეჰამ „გამძლე“ გეჰამ-უ ცხმ., გეჰა-უ ლხმ. „გამძლეები“ გეფამ „კბენია“ გეფამ-უ ცხმ., გეფა-უ ლხმ. „კბენიები“ ჯანჯამ „ჩაფსკვნილი“ ჯანჯამ-უ ცხმ., ჯანჯამ-უ ლხმ. „ჩაფსკვნილები“.

ბალსზემოურის -**აჲ** დაბოლოებას ლაშხურში -**აჲ** შეესაბამება. ისინი მრავლობითში რიცხვის ნიშნების სხვადასხვა ვარიანტებს ირთავენ. უმეტესად -**ელ** რიცხვის ნიშანს. მაგ.: **კაპრაჲ** „ნიკაპი“ **კაპრ-ელ** „ნიკაპები“; **კალთაჲ** „კალთა“ **კალთ-ელ** „კალთები“; **თანუშიაჲ** „ტყის ქალი“ **თანუში-ელ** „ტყის ქალები“; **ჭალაჲ** „ჭალა“ **ჭალ-ელ** „ჭალები“; **იონჯაჲ** „იონჯა“ **იონჯ-ელ** „იონჯები“; **პიპილაი** „წიწაკა“ **პიპილ-ელ**; **ეშმაჲ** „ეშმაკი“ **ეშმ-ელ/-არ** „ეშმაკები“; **გეჭაჲ** „გამძლე“ **გეჭ-ელ** „გამძლეები“; **კეფაი** „კბენია“ **კეფ-ელ** „კბენიები“. ზოგჯერ -**აჲ**-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობით რიცხვში **აჲ > ი** და იმ რიცხვის ნიშნებს დაირთავს, რასაც **ი**-ზე დაბოლოებული სახელები: **დორაჲ** „კოკა“ **დორი-ალ** „კოკები“; **კოკაჲ** „ხარო“ **კოკი-არ** „ხაროები“; **ქირაჲ** „ქირა“ **ქირი-ალ** „ქირები“; **მუღუაჲ** „ყვავილი“ **მუღუი-არ** „ყვავილები“; **ზურაჲ** „დედალი საქონელი“ **ზური-ალ** „დედელები...“ **ჯიბაი** „ჭიბე“ **ჯიბი-არ** „ჭიბეები“;

ლაშხურში -**აჲ**-ზე დაბოლოებულ სახელებთან -**ელ** გრძელმოვნიანი სუფიქსის გამოვლენას, შეიძლება -**აჲ** ბგერათკომპლექსის დაკარგვა განაპირობებდეს. შევადაროთ ის შემთხვევები, როცა სახელის ბოლო **აჲ > ი**. ე. ი. სახელის ფუძე ხდება -**ი** ხმოვნიანი და ჩვეულებრივ გრძელმოვნიანი სუფიქსები არ ჩანს. ლენტეხურში ამ რიგის სახელები -**ა** ბოლოხმოვნიანი არიან და მრ. რიცხვს ისე აწარმოებენ, როგორც სხვა **ა**-ზე დაბოლოებული სახელები.

შენიშნულია, რომ ბალსზემოურში „ზოგი სახელის ფუძესთან -**არ** სუფიქსის წინ ბგერა ან მთელი მარცვალი იჩენს თავს: -**ი**, -**არ**, -**ალ** -**გ**, -**ა**. -**ალ** მარცვალი **ა** და **ე** ბოლოხმოვნიან ნათესაურ სახელებთან ჩნდება **გიგა** „ბიცოლა“ მრ. **გიგალარ**, **ბაბა** „მამა“ მრ. **ბაბალარ**; **დედე** „დედა“ **დედელარ** და სხვა (შარაძენიძე 1954, 199).

ეს სახელები როგორც ბალსზემოურში, ისე სხვა დიალექტებშიც საინტერესო ფორმებს გვიჩვენებენ. სვანურ ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი ფორმები: **გიგალ** || **გიგალუ** ბზ., **გიგალარ** ბქ., **გიგალარ** ლშზ., **გიგალალ** ლნტ. „დედეები... **ბაბა** „მამა; ბაბუა“ **ბაბალ** || **ბაბალუ** ბზ., **ბაბოლ** || **ბაბალარ** ბქ., **ბაბალარ** ლშზ., **ბაბალალ** ლნტ. „ბაბუები“; **დედე** „დედა“ **დედელარ** ბქ., **დედელარ** ლშზ., **დედელალ** ლნტ. ამ სახელების მსგავსად აწარმოებენ მრ. რიცხვს -**ა**, -**ე** ბოლოხმოვნიანი ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სახელებიც ყველა დიალექტში, ამ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური სხვაობებით.

მაგ.: **დადა** „ბებია“ ზს., ლნტ. **დადალ** || **დადალარ** ბზ., **დადალალ** ლნტ., **დადალ** ბქ., **ბებე** „ბებია“ **ბებელარ** ლშზ. „ბებეები“; **მამა** „მამა“ **მამალარ** ბზ., **მამალარ** ლშზ., **მამალალ** ლნტ. „მამები“; **ბუბა** „ბიძა“ **ბუბალარ** ბზ., **ბუბალარ** ბქ., **ბუბალარ** ლშზ., **ბუბალალ** ლნტ. „ბიძები“.

ირკვევა, რომ ნათესაობის აღმნიშვნელ **ა**-ზე დაბოლოებულ, ზემოთ

ჩამოთვლილ, სახელებთან **-არ** ზს., **-არ** ლშ. **-ალ** ლნტ. მრ. რიცხვის ნიშნების წინ თავს იჩენს არა მხოლოდ **-ალ**, არამედ **-ალ** ბზ., ლშ. **-ალ** ბქ., ლნტ. ხოლო **-ე** ბოლოხმოვნიანებთან **-ელ** ბზ., ლშ. **-ელ** ბქ., ლნტ. „**-არ**-ვლინდება ზოგ ბოლოთანხმოვნიან და **-ე**, **-ა** ხმოვანფუძიან სახელებთან. **-არ** სუფიქსი ხმოვნის რედუქციას იწვევს. ავტორი ჩამოთვლის ბალსზემოური დიალექტის ფორმებს: **ქიმ** „ცრემლი“ მრ. **ქემარ/ქელ** < ***ქემ-არ-არ**; **შდიმ** „ყური“ მრ. **შდემარალ** < ***შდემ-არ-არ**; **ქუით** „ქურდი“ **ქუითარალ**; **თე** „თვალი“ **თერალ**; **ცხა** „ფრჩხილი“ **ცხარალ**; **ფხა** „ფხა“ **ფხარალ** (შარაძენიძე 1954, 199). ***ქემარარ** და ***შდემარალ** აღდგენილი ურედუქციო ფორმები ლენტეხურში დასტურდება: **ქემარალ** „ცრემლები“ **შტემარალ** „ყურები“ ფორმით. ხმოვანფუძიან სახელებთან გრძელი ხმოვანი მორფემათა მიჯნაზე ორი ხმოვნის შერწყმის შედეგია: **ცხა** მრ. ***ცხაარალ** > **ცხარალ** ფრჩხილები; **ფხა** მრ. ***ფხაარალ** > **ფხარალ** „ფხები“; **თე** მრ. ***თეარალ** > **თერალ** „თვლები“. ამ რიცხის სახელებთან გაერთიანდება **შდა** „თავთავი“ ***შდაარალ** > **შდარალ** ბზ., **შდარარ** ბქ. **შდარალ** ლშ., **შტარალ** ლნტ. „თავთავები“...

„რას წარმოადგენენ **-ალ**, **-არ** მარცვლები... **-ალ**, **-არ** სუფიქსები ხომ მრავლობით რიცხვს აწარმოებენ, მაშ, განხილულ მაგალითებში ორმაგი მრავლობითი გვაქვს? (შარაძენიძე, იქვე) კითხვას სვამს ავტორი და იქვე პასუხობს. „გადაჭრით ამის თქმა მაინც არ შეიძლება. ისინი შეიძლება ფუძის დეტერმინანტებს წარმოადგენენ. ამას დაუჭერს მხარს **-ალ**, **-არ** ბოლოსართთა გამოვლენა ქართველურ ენათათვის საერთო სიტყვებში: **დედელარ**, **ბაბალარ**, **ცხარალ**, **თერალ**“ (შარაძენიძე, იქვე).

როგორც ირკვევა, განხილულ სახელებში, როგორც ნათესაობის აღმნიშვნელი **-ა**, **-ე** ბოლოხმოვნიანებთან ***ბუბაალარ** > **ბუბლარ** ბზ., „ბიძები“; ***დედეალარ** > **დედელარ** ბზ. „დედები“, ისე ***ქემარალ** > **ქემარალ** ლნტ. **ქმარალ** ბზ. ტიპის სახელებში ორმაგი მრავლობითობა, ე. ი. მრავლობითის ორი სუფიქსი, ორმაგსუფიქსიანი მრავლობითები გვაქვს.

მრავლობითობის ორი სუფიქსი დასტურდება სვანური ენის სხვა სახელებთანაც.

შენიშნულია, რომ შტო-გვარის აღმნიშვნელ **-შერარ**, **-შერალ** ბზ., **-შერარ** ბქ., **-შერალ** ლშ., **-შერალ** ლნტ. სუფიქსებში მრავლობითის ორმაგ სუფიქსაციასთან გვაქვს საქმე. **-შერ** დაბოლოებაში დაიხრდილა მრავლობითობა. მაგ. **გონ-შერ** და მოგვიანებით დაერთო **-არ**, **-ალ** მრავლობითის ფორმანტები. **გონ-შერალ** „გონასანები“ ლშ. და მივიღეთ ზემოთ აღნიშნული რთული სუფიქსები (ჩანტლაძე 1998, 139).

ორმაგ მრავლობითობაზე მიუთითებს მ. ჩუხუა **წად-არ-ალ** „წულები“ ფორმაში. თავიდან **წადარ** ფორმამ დაკარგა მრავლობითობის გაგება და კვლავ დაერთო მრავლობითობის **-არ** > **-ალ** სუფიქსი (ჩუხუა 2000-2003,

355). ასევეა **წულუზარ** ბზ., **წულზარ** ლმზ. ამ სახელში შდრ. **წულა**, ერთი მრავლობითის ნიშანია, მაგრამ **წულუზ-არ-ნლ** ბზ., **წულზ-არ-ალ** ლმზ. „წულები“ ფორმებში ორი ნიშანი გვაქვს და ორივე სრულად არის წარმოდგენილი. **თხილმარ** „თხილამური“ შეიძლება ორ თხილამურსაც აღნიშნავდეს, მაგრამ მრ. რიცხვში ორზე მეტი თხილამური იქნება: **თხილმ-არ-ნლ** ბზ., ლნტ. **თხილმ-არ-არ** ბქ., **თხილმ-არ-ნლ** ლმზ. „თხილამურები“ **თხილმ-არ-ნლ ქოთკვდგრედ** (ქრ. ლმზ. 25) „თხილამურები გავიძვრეთ (გავიხადეთ)“. **ძიუ** „ძივი“ **ძიუ-არ-ალ** ლმზ., **ძიუ-არ-ნლ** ლნტ. „ძივები“. აქაც ორი მრავლობითის ნიშანია შდრ. ლმზ. **ძიუარ**. **ჩექმა** „ჩექმა“ **ჩექმ-არ-ნლ** ბზ., ლნტ. **ჩექმ-არ-ნლ** ლმზ. შდრ. **ჩექმ-არ** „ჩექმები“; **ზეთვარ**, **ზითვარ** ბზ., **ზეთვ-არ** ბქ., **ზეთვ-არ** ლმზ. „პაჭიჭი“ ალბათ გაქვავებული მრ. რიცხვის ფორმაა. **ზითვ-არ-ნლ** ბზ., **ზითვ-არ-არ** ბქ., წინა **არ**-ის ხმოვანმა რედუქცია განიცადა მომდევნო **-არ** მრ. რიცხვის ნიშნის დართვით. შდრ. **შდგმ-არ-არ** < ***შდგმ-არ-არ** „ყურები“. **ზეთვ-არ-ალ** ლმზ. „პაჭიჭები“ **ლანხუბ** „სამძო“ ხშირად დაირთავს მრავლობითის ორ სუფიქსს **ლანხუბ-არ-ალ** ლმზ., **ლანხუბ-არ-ნლ** ლნტ. „სამძოები“. **მეხუბი** ზს., ლნტ. „მომძე“ **მეხუბ-არ-ნლ** ბზ., ლნტ. **მეხუბ-არ-არ** ბქ., „მომძეები“; **წინდარ** „წინდები“ ერთი **-არ** მრ. რიცხვის ნიშნით. **წინდ-არ-ნლ** „წინდები“. **ლერქუ** „ტანსაცემელი“; **ლერქუ-ნლ** ბზ., **ლერქუ-არ**, **ლერქუ-არ-არ** ბქ. „ტანსაცემლები“; **ჩაფლ** „ფეხსაცემელი“ **ჩაფლ-არ** ზს., **ჩაფლ-ნლ** ლნტ. შდრ. ბალსქვემოლური **ჩაფლ-არ-არ** „ფეხსაცემლები“. სახელის ფუძე მრავლობითი რიცხვის ერთი სუფიქსით თითქოს სახელის ნაკლებ რიცხვს (რაოდენობას) აღნიშნავს, ვიდრე მრავლობითი რიცხვის ორსუფიქსიანი ფორმები.

ლიტერატურა

- დონდუა 2001** — კ. დონდუა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001.
- თოფურია 1979** — ვ. თოფურია, შრომები III, თბილისი, 1979.
- თოფურია 2002** — ვ. თოფურია, შრომები 99, თბილისი, 2002.
- ონიანი 1989** — ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი, 1989.
- ონიანი 1998** — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.
- ონიანი 1969** — მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1969.
- სვანური ლექსიკონი 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქალდანი 1974 — მ. ქალდანი, სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში, ქართ. ენათა სტრუქტ. საკითხები, IV, თბილისი, 1974.

ღლონტი 1984 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, უძველესი სვანურში, თხზულებანი II, თბილისი; 1981.

შარაძენიძე — 1954 — თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, VI, თბილისი, 1954.

შარაძენიძე — 1970 — თ. შარაძენიძე, სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურება, იკე XIII, თბილისი, 1970.

შარაძენიძე — 1985 — თ. შარაძენიძე, სვანური ენა, იკე წელიწდეული, XII, თბილისი 1985.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჭუმბურიძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, 2007.

ტექსტები

ონიანი არსენა, მეგმარეშ ი ბალხარე ჟახელე ხორაჟ, МЯЯ, VIII, Петроград, 1917.

ონიანი არსენა, ლემნუ ამბუარ ლგლჷმსუ შუმი ნინშვ, МЯЯ, IX, Петроград, 1917.

სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939.

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957.

სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967.

სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბილისი, 1979.

სვან. ქრესტომათია, თბილისი, 1978.

Elisabed Gazdeliani

Some questions of plural formation
in Cvan nouns

S u m m a r y

Numeral affixes are different according to type and semantic groups of a noun stem.

In the stems ending with consonants if there is or not **r** sonor the suffixes **-är**, **-äl** (UB/Lent.) – **-är** (LB), **-ar**, **-al** (Lash.) are added: **qän** (US/Lent.), **qan** (Lash.) “an ox” – **qan-är** (US/Lent.), **qan-ar** (Lash.) – “oxen”; cf.: **zär** (US/Lent.) “a bell” – **zar-äl** (UB/Lent.), **zar-al** (Lash.) “bells”. In Lower-Bal dissimilation does not take place and we have **zar-är**.

In Lentekhian if a noun stem ends with **-l** sonor, **-är** suffix is added as a result of assimilation: **är** → **äl**: **sopel** – **sopel-äl** “villages” (Lent.); cf.: **sopl-är** (UB) “villages”.

In the nouns with **-a**, **-e** stem vowel we have **-äl** (UB), **-el** (Lash.), **-äl** (Lent.), **-ol** (LB).

The affixes **-är**, **-äl** (UB), **-är** (LB), **-ar**, **-al** (Lash.) are added to the nouns ending with **-i**: **meči** “an old man” – **meči-är** (US/Lent.), **-ar** (Lash.) “old men”.

The suffixs **-är**, **-äl** (Lent./UB), **-ol**, **-är** (LB), **-el** (Lash.) are added to the nouns with **-o** ending: **abano** “a bathe” – **abano-äl** (UB). **aban-ol||-är** (LB), **abano-el** – “baths”.

The nouns with **-u** ending in Upper-Bal and Lashkhian undergo partial reduction (**u** > **û**): **ṭunu** (UB/Lash.), **ṭunu** (LB/Lent.), **ṭunû-är** (UB), **-ar** (Lash.), **ṭunu-är** (LB/Lent.) – “pots”.

The suffixes **-är**, **-al** are added to the nouns with **-äj** ending in Upper-Bal. These kinds of nouns in Lower-Bal ending with **-äj** → **ä** are added by a numeral suffix **-u**, before which **-ä** is sometimes with umlaut and sometimes without umlaut: **dorä** “a jug” – **dorä-u** (Tskh.), **dora-u** (Lakh.) “jugs”. In Lashkhian to the nouns with **-äj** ending **-el** numeral marker is added, before which **-äj** is lost: **čala-j** “flood meadow” – **čal-el** “flood meadows”, often the last **äj** → **i** vowel: **muyûa-j** “a flower”, **muyûi-ar** “flowers”.

It is noticed, that in Upper-Bal before a stem of some nouns and **-är** numeral

marker **-al**, **-ar** syllables occur. The analogous situation is in other dialects: **dede** “mother” – **ded-el-är** (UB) “mathers”, **buba** “uncle” – **bub-äl-är** (UB) “uncles”, **cxä** “a nail” – **cx-är-äl** (UB) “nails”. In the nouns of this type we have numeral with double suffix. A double suffix of a numeral is also attested in other nouns: **ziû** (Lent.) “necklace” – **ziû-ar-äl** “necklaces”; cf.: **ziv-är** (LB/Lent.); **txilmar** “skis” (two skis!), cf.: Georg. **txilamuri**; **txilmar-äl** “more then two skis”; **-ar** and **-al** are numeral markers.

ქეთევან გიგაშვილი

I და II ბრძანებითის მწკრივები საშუალო ქართულში

ბრძანებითი კილოს გამოხატვის სისტემა საკმაოდ დახვეწილი და რაფინირებული იყო ძველ ქართულში, ისევე როგორც ხოლმეობითის სისტემა. მის დახვეწილ სახეს განაპირობებდა სპეციალურად ამისთვის მოწოდებული მწკრივები — I და II ბრძანებითები — და მათთან III სუბიექტური პირის **-ნ** და **-ედ** ნიშანთა განაწილების მტკიცედ ჩამოყალიბებული წესი. შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართულის საკმაოდ რთული უღვლილების სისტემის ათვისების საქმეში ეს ერთგვარი გზამკვლევის როლსაც თამაშობს. თანამედროვე ქართულში ბრძანებითი კილოს გამოსახატავად აღარც სპეციალური მწკრივები მოგვეპოვება და აღარც III სუბიექტური პირის **-ნ** და **-ედ** სუფიქსები. ამ კილოს გადმოცემის ფუნქცია თხრობითი და კავშირებითი კილოს მწკრივებზეა განაწილებული.

სისტემის რღვევის პროცესი ძველ ქართულშივე დაიწყო, ხოლო საშუალო ქართულის ბოლო პერიოდში ფაქტობრივად დასრულდა. XII-XVIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში ასახულია ბრძანებითი კილოს გამოხატვის საკმაოდ საინტერესო სურათი, რომელიც მოიცავს როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულის ელემენტებს, ამავე დროს, თავს იჩენს მხოლოდ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ბრძანებით კილოს საშუალო ქართულში უმეტესად კავშირებითის მწკრივები გამოხატავს: I სერიაში — I კავშირებითი, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითი (ამ პერიოდის ენაში I კავშირებითიც იხმარება და მის ბაზაზე წარმოქმნილი აწმყოსა და მყოფადის კავშირებითიც), II სერიაში — II კავშირებითი, ხოლო III სერიაში — III კავშირებითი. რაც შეეხება I და II ბრძანებითებს, მართალია, ძველთა ენისათვის დამახასიათებელია ბრძანებითი კილოს ფუნქციით ბრძანებითის მწკრივებისა და კავშირებითის მწკრივების ურთიერთშენაცვლების შემთხვევები.

I ბრძანებითი ძველი ქართულის უღლების სისტემაში უწყვეტელს ეყრდნობოდა, აქედან გამომდინარე, მისი ნიშანი **-დ** სავრცობიან ზმნებთან იყო **-ი**, ხოლო **-ოდ** სავრცობიან ზმნებთან — **-ე**:

“უბრძანეს: “მონა თორმეტი მოდით, ჩვენ თანა ვ ლ ი დ ი თ ა,

მშვილდსა ფიცხელსა მ ო გ ვ ც ე მ დ ი თ, ისარსა

მ ო გ ვ ა რ თ მ ი დ ი თ ა,

ნაკრავსა შ ე ა დ ა რ ე ბ დ ი თ, ნაროლსა

დ ა ს თ ვ ა ლ ვ ი დ ი თ ა” (ვეფხ., 75(74).

“ჰრქუა: “ა რ ე ბ დ ი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა ვიდრემდის კუალად წვრვიყვანდეთ” (აბუს. ტბ., 63).

“შათარასა და გარდაყათუნას შარბათსა ა ს მ ე ვ დ ი თ” (იად. დ., 22-23).

“უბრძანა — “ი ტ ყ ო დ ე” (ამირანდ., 14, 4).

“შ ე ს მ ო დ ე და ელოდე, თუ ღმერთსა უნდეს” (კარაბ., I, 173, 13-14).

“განბანე გვაში შენი და იყოფოდე განბანილი” (ს.ს. ორბ., III, 158, 18-19).

საშუალ ქართულში **-დ** სავრცობიანებთან I ბრძანებითი და კავშირებითის მწკრივები განირჩევა ერთმანეთისაგან, ხოლო **-ოდ** სავრცობიანებთან დასახელებულ მწკრივთა I-II პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა.¹ მაგ., **გეწყალებოდე** ტიპის ზმნები I ბრძანებითიც შეიძლება იყოს და აწმყოსა ან მყოფადის (ზმნისწინის დართვის შემთხვევაში) კავშირებითიც. მწკრივის რაობას კონტექსტი არკვევს, ესეც იმ შემთხვევაში, თუ **-ოდ** სავრცობიანი ზმნის გვერდით წინადადებაში **-დ** სავრცობიანიც არის მოცემული. თუ ეს უკანასკნელი **-ი** ნიშნით არის წარმოდგენილი, მაშინ აღნიშნული ტიპის ზმნები I ბრძანებითად ჩაითვლება, ხოლო, თუ **-დ** სავრცობიანს მწკრივის ნიშნად **-ე** აქვს, საანალიზო ფორმები აწმყოს ან მყოფადის კავშირებითებად უნდა მივიჩნიოთ (დროის გამოხატვის მიხედვით). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ I ბრძანებითის II პირის ფორმები გაცილებით ხშირად იხმარება, ვიდრე III პირის ფორმები. უფრო იშვიათია მრავლობითის ნიმუშები. მაგ.:

“რაც გიჯობდეს, ი ქ მ ო დ ე თ, გ ა ს ჭ ვ რ ე ტ დ ი თ, გ ა ი ც დ ი დ ი თ ა” (ვეფხ., 1562 (63), 2); შდრ.: ი ქ მ ო დ ი თ ყვ. გამოც., გ ა - ს ჭ ვ რ ე ტ დ ე თ, გ ა ი ც დ ი დ ე თ ა R1.

¹ ე **-დ** და **-ოდ** სავრცობიან ზმნათა უნიფიკაციისა და I კავშირებითის აწმყოსა და მყოფადის კავშირებითად დაშლის შემდეგ I ბრძანებითის II პირს გარეგნულად დაემთხვა აწმყოსა და მყოფადის კავშირებითის შესაბამისი პირი.

ძველი ქართული ენის მიხედვით, დადგენილ ტექსტში ყველაფერი რიგზეა: სამივე ფორმის შემთხვევაში წარმოდგენილია I ბრძანებითი — **-ოდ** სავრცობიანთან **-ე**, ხოლო **-დ** სავრცობიანთან — **-ი**. ხელნაწერებში კი საშუალო ქართული მდგომარეობაა ასახული, როდესაც მწკრივის ნიშანი არ განარჩევს ზმნებს სავრცობის მიხედვით: როგორც **-დ**, ისე **-ოდ** სავრცობიანებთან ერთნაირადაა წარმოდგენილი ან **-ე**, ან **-ი** მწკრივის ნიშანი. მაგალითები:

“ღმერთსა ე ვ ე დ რ ე ბ ო დ ე და მ ო ა ლ ხ ე ნ დ ე შენთა მოახლეთა” (ვირს., 145, 25-26).

“წაე, გულსა ე უ ბ ნ ე ბ ო დ ი, მას ა ღ ო რ ე ბ დ ი და მისისა მიჯნურობისათვის ხ ე ლ ო ბ დ ი!” (იქვე, 245, 27-28).

“სადაცა კეკლუცი ადგილი იყოს, თ ა მ ა შ ო ბ დ ი, ი ხ მ ა რ ე ბ ო დ ი, გასცემ დ ი და ი უ რ ვ ო დ ი” (იქვე, 179, 2-3).

“სანამდინ ან სიკვდილი არ შეიტყო ჩემი და ან სიცოცხლე, მანამდინ აქადგან ნურსად წახვალ, ფრთხილად ს ძ ო ვ დ ი და მავნეს ე რ ი დ ე ბ ო დ ი -მეთქი” (რუსუდ., 546, 14-16).

“მე შენდობასა მი ბ რ ძ ა ნ ე ბ დ ი თ და ანდერძისათვის ჩემისა ამა გზასა მშვიდობით და უ ტ ე ო ბ დ ი თ და თვსა გზასა მშვიდობით წ ა - ხ ვ ი დ ო დ ი თ” (იქვე, 411, 10-12).

“ყოველდღე აქა მ ო მ ე ლ ო დ ე და შენც აქა მ ო მ ნ ა ხ ე ვ დ ე” (არჩ., I 195, 502, 1).

ბრძანებითის მწკრივების მოშლაზე, გარდა მათი კავშირებითის მწკრივებით ჩანაცვლებისა, მიუთითებს III სუბიექტური პირის **-5** ნიშნის არასწორად გამოყენების შემთხვევებიც:

“ი ს მ ე ნ დ ი, მეფეთ-მეფეო” (ამირან., 353, 6); შდრ.: ი ს მ ე ნ დ ი ნ GL.

“ც ხ ო ვ ნ დ ი, მეფეთ-მეფეო” (იქვე, 350, 4); შდრ.: ც ხ ო ნ დ ი ნ L.

“ი ს მ ე ნ დ ი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე, აღიდნეს ღმერთმან მოყუარენნი თქუენნი და არცხვნეს ორგულთა თქუენთა (იქვე, 3-4); შდრ.: ი ს მ ე ნ დ ი ნ L, ც ხ ო ნ დ ი ნ L. მიმართვა II პირს ეხება და ხელნაწერებში გამოვლენილი **-5** ნიშანი ზედმეტია. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტში მრავლად გვხვდება ასეთი ფრაზები და შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნული ფაქტი დასტურდება.

“მაგისტვის ზენა განგებას, უ წ ყ ო დ ი ნ, ვერ გარდაჰხდები” (არჩ., I, 201, 2).

ძველი ფორმით **-ავ** თემისნიშნისანი ზმნა ზოგჯერ მწკრივის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი:

“მოჰპარსევდ მრავალჯერ” (კარაბ., II, 300, 25).

“ჰბაძევდ შენცა და დაუტევე ცოდვისა ქარნი” (სს. ორბ., III, 158, 31-32).

“ესევდ უფალსა და დაიფარე თავი შენი” (იქვე, 155, 11-13).

III პირის მხოლოდითი რიცხვის ბრძანებითის ნიმუშები II პირის ბრძანებითის გაგებით:

“გაქუნდინ მიწი უფლისა ღმრთისა” (სამ. ძეგლ., I, 106, 45).

“უკუეთუ არაწესიერად დგენ, ანუ უწესოდ ილოცვიდენ, ანუ ზრახვიდენ ეკლესიასა შინა, ამხილებდინ და კანონსა მისცემდინ, წიგნის კითხვასა ეკლესიას შინა მდუმრიად მოჰკლვიდინ და მძინარეთა განაღძვიებდინ” (სამ. ძეგლ., III, 11).

“გვეშინოდენ სიკვდილისაგან” (სს. ორბ., III, 80, 19).

“სიყვარულნო, ცხოვრებასა თქვენსა გაქვენდინ საგონებელი ესე” (იქვე, 61, 3-4).

-ოდ საგრცობიან ზმნებთან III სუბიექტური პირის **-ნ** ნიშნის წინ მწკრივის ნიშნად **-ე**-ს ნაცვლად შეიძლება **-ი** გამოჩნდეს, რაც II პირის ანალოგიით აიხსნება, ან პირიქით: **-დ** საგრცობიანთან **-ი**-ს ნაცვლად **-ე**-იყოს:

“დასაბამად საქმისა პირველად ღმერთი იდიდებოდინ” (სამ. ძეგლ., I, 395).

“დაადგერ სრულიად მათ ზედა და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად გიხნდენ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო” (ქ. ცხ., I, 129-130, cet); შდრ.: გიხნდინ **Gd**.

“ჰქონდენ ქუენიფნეველს წითლოსანსა... ქართლის სოფელნი” (სამ. ძეგლ., II, 99).

„თქუენ გიყუარდენ, ვითარცა მამანი სულიერნი და მათ უყუარდით, ვითარცა შვილნი სულიერნი” (სამ. ძეგლ., III, 154).

ბოლო ორ წელიწადში, შესაძლოა, I ბრძანებითი კი არ ვიგულებოთ, არამედ I კავშირებითი, თუმცა ნარიან მრავლობითში შეთანხმების წესი ამ პერიოდის ენაში აღარ არის ისეთი მყარი და რაფინირებული, როგორც ძველ ქართულში იყო. ძალიან ხშირად სახელი შეიძლება მხოლოდით რიცხვში იდგეს და ზმნა მრავლობითის ფორმით შეეწყობოდეს, ან პირიქით: მრავლობით რიცხვში მდგომ სახელთან ზმნა მხოლოდითის ფორმით იყოს შეწყობილი:

“კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკობოსი სჯულისა და საღრმითა წიგნთა მეცნიერი გამორჩეოდედ მღვდელი ანუ დაიკონი და შიშითა ღმრთისადათა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვადა ყოველთავე საქრისტიანთა წესთაჲ” (სამ. ძეგლ., III, 118).

“მოელოდედ აქა უკუ ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანაიადს და საბფირადს სასჯელსა” (იქვე, 117).

„წესი ხელ-დასხმადთა სრულებისაჲ ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა... დაწერილ არს” (იქვე, 116).

“ხოლო განიხილოდედ ესე მწყემსისაგან” (იქვე, 142).

“იყავნ ყოველნი სანაცვლოდ მისად” (ქ. ცხ., II, 378, სქ.).

“შემზავსებულად მისა ჯერ იყავნ ქმნულნი თქუენნი” (ქ. ცხ., IV, 304, 6-7).

“იყავნ ყოველნი ნაცვლად მისად” (იქვე, 417, 4-5).

“ნუ დამივიწყებთ და ესე-მებრ სიტყუა გეხსენედ და ცრემლით მგოდებდით” (ქ. ცხ., II, 397, 22-23).

“ნება კაცად-კაცადსა ზედა იყვენედ და მე არღარა მნებაგს მონება თათართა” (იქვე, 239, 5).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, რიცხვში შეუთანხმებლობის ფაქტები დასტურდება როგორც I, ისე II ბრძანებითან.

იშვიათად ფრაზაში შეიძლება ზმნა არც ჩანდეს:

“ამისთვის ქუეყანა თქუენი ოხერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ” (ქ. ცხ., I, 322, 15-17).

II სერიაში II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვის სისტემაში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. ძველ ქართულში ამ პირის წყვეტილისა და II ბრძანებითის ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ პირის ნიშნის დართვა-დაურთველობით განსხვავდებოდა. საშუალო ქართულში ეს განსხვავება მოიშალა, ანუ აღნიშნული ფორმები ერთმანეთს დაემთხვა. II ბრძანებითის არსებობაზე ამ პერიოდის ენაში III პირის ფორმები მიგვანიშნებს.

II პირთან ბრძანებითი კილოს გადმოცემას ის თავისებურება ახლავს, რომ აქ, ისევე როგორც I ბრძანებითის შემთხვევაში, თავს იჩენს III სუბიექტური პირის -**ნ** ნიშანი:

“გრძნეულნი თავისა შენისა თმითა შეკარნ” (ვისრ., 66, 19-20).

“წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღვთისა ბატონიშვილს ვახტანგს” (ქ. ცხ., I, ER, 135, 1, სქ.).

“და დედგინ, მზეო, გაბაონსა ზედა” (ქ. ცხ., II, 24, 18. სქ.).

“მხნე იყავნ და განძლიერდი” (გურამიშვი., 142, 11; 142, 13).

“იყავნ ჩემზედ მოწყალებით, შენ დამიფარეო” (იქვე, 143, 1).

“წყეულ იყავნ საქმეთა შენთა! ჭმუნვითა შჭამდე ყოველთა დღეთა” (იქვე, 400, 9-10).

“შეასჯნ ესე მარტივად ანუ რეულად, შეასჯ თაფლ-წყლითა” (კარაბ., II, 533, 30-31).

“თუ ხელმწიფემან ბაამან ქალნი გთხოვნეს, მიეცინო და თავისა თავსა დაამადღე” (შაჰ-ნამე, III, 553).

“მალედ შეკაზმედ, მომგვარეთ მივეგებები ცხენითა” (იქვე, 201, 664).

“მისცა მცნება: კულად არღარა შესძინედ ესევეითართა თქმად” (ქ. ცხ., II, 45, 8-9); შდრ.: შესძინეთ **Mm**.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერში შეინიშნება საპირის-პირო მოვლენაც: II პირის ფორმა გამოყენებულია III პირის ნაცვლად:

“თანამავალ მეყავ ჩუენ წყალობა შენი” (ქ. ცხ., I, 237, 3-4); შდრ.: მეყავნ **cet**.

ხშირად II პირის ფორმა წარმოდგენილია მწკრივის ნიშნის გარეშე:

“შეირტყთ სარტყელი სჯულისა” (შაჰ-ნამე, III, 53, 286, 1).

“ჩაასხ მას ბადაგსა ზედა და დადევ გრილსა ზედა” (კარაბ., II, 431, 5-6); შდრ.: “მერმე ჩაასხი, რომე დაჯდეს და დაწმდეს” (იქვე, 431, 28-29).

“მერმე დაასხ ზედა თაფლი” (იქვე, 434, 27).

„დაასხ ზედა ვარდის ზეთი და დასდევ ღვძოსა ზედა“ (იქვე, 495, 6-7).

“უთხართ მეფესა ხუასროს” (ქ. ცხ., I 200, 10); შდრ.: უთხართ **Mm**.

სამედიცინო შინაარსის ლიტერატურაში ფუძის ხმოვანი ე ხშირად ათია წარმოდგენილი: **დაქერ > დაქარ, გაცერ > გაცარ**:

“დაჭარ, ვითა გინდეს” (კარაბ., I, 243, 27-28).

“დაჭარ, წურილად და ქვისა საცეხუელთა შიგან დანაყე და გამოწურე” (იქვე, 231, 12-14).

“ესე ყუელა დანაყე და მტკიცითა აბრეშუმის საცრითა გააცარ” (იქვე, 272, 14-15).

II პირში ძველ **მივედ** ფორმას უკვე ენაცვლება ახალი **მიდი** ფორმა:

“მიბრძანა — “მივედო” (ამირანდ., 47, 6); შდრ.: მიდიო **AFS**, მიედო **DEPCQR**.

მივედ-წავედ ზმნებში ხშირად იკარგვის ფუძისეული **ვ** თანხმოვანი:

“წ ა მ ო ე დ, მე გაჩუენო იმა კაცთა ჭაბუკობაო” (იქვე, 6, 10-11);

შდრ.: წ ა მ ო ლ ი COKLR.

“გ ა მ ო ე დ, დარეჯანის ძეო” (იქვე, 358, 3); შდრ.: გ ა მ ო ვ ე დ

FGHILMNOQRS.

“წ ა ე დ მშუდობით” (იქვე, 355, 3).

“მ ი ვ ე დ შენცა, სავარსამიძეო” (იქვე, 302, 5); შდრ.: მიედ BCEP.

„ვისრამიანში“ **წაე** ფორმაც გვხვდება, ხოლო გურამიშვილი **წარეთ** ფორმას იყენებს. საანალიზო პერიოდის ენისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთ ფორმათა მონაცვლეობის შემთხვევები, როგორცაა: **გაჯედ || გაჯექ || გაჯეგ || გაჯე; მოკვე || მოჰკვედ || მოჰკვე || მოკვდი; გაბრჰე || გაბრჰევ || გაბრჰვე; მიაართუ || მიაართვი; წამიძენ || წამიძედ || წამიძედგ || წამიძედუ; თქუ || თქვი || თქუი; შემიტყევ || შემიტიტყე || შემიტყვე; შემოკერბით || შემოკერბით** და სხვ. ფორმათა მრავალფეროვნება შედეგია მთელი რიგი აქ განხორციელებული ანალოგიისა, ბგერის დაკარგვისა, II ხოლმეობითის მოშლისა და ზოგიერთი მისი ფორმის წყვეტილად გააზრებისა და ა. შ.

საინტერესოა **დუმხარ** სტატიკური ზმნის II ბრძანებითად **დუმენ** ფორმის გამოყენება:

“რქუა მათ მეფემან: “დ უ მ ე ნ ი თ, წმიდანო” (ამირანდ., 169, 708).

“ნურც შენ იცინი, მასთანა დ უ მ ე ნ ი სულდაღებული” (არჩ., I, 9, 54, 1-2).

“დ უ მ ე ნ ი ნ ყოველნი ხორცი კაცობრივი და დადგინ შიშით და კრძალულებით” (სამ. ძეგლ., II, 149).

III პირის ბრძანებითი კილოს გამოსახატავად II ბრძანებითი და II კავშირებითი იხვევ ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, როგორც I ბრძანებითი და I სერიის კავშირებითები.

“დაუსრულებელ ყავნ ღმერთმან დიდება და გამარჯუება” (ამირანდ., 360, 3); შდრ.: ყ ო ს CT, ყ უ ნ ა ს H, ჰ ყ ო ს R, ყ ვ ნ ა ს BCEFIQ.

“ღმერთმან ათას წელ ა ც ო ც ხ ლ ე ნ მეფობა თქუენი” (იქვე, 325, 1); შდრ.: ა ც ო ც ხ ლ ო ს ADGHMNOQ, ა ც ო ც ხ ლ ნ ე ს BCEIP, გ ა - ც ო ც ხ ლ ო ს თ FS.

“კუალად არლარა შე ს ძ ი ნ ე დ ესევითართა თქმად” (ქ. ცხ., II, 45, 8-9); შდრ.: შე ს ძ ი ნ ო ს V.

“უკეთუ ვისმე ნებავენ, დაუტევენ მამული და წ ა რ მ ო ვ ე დ ი ნ ჩემ თანა” (იქვე, 239); შდრ.: წ ა რ მ ო ვ ი დ ე ნ V.

“უკეთუ არა ნებავს, წარვიდინ მსახურებად ყაენისა” (იქვე, 239, 3-4); შდრ.: წარვიდინ Mm.

“იგი აქუნდნს მათ და იყვენენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისა” (იქვე, 204, 1-2); შდრ.: იყუნედ Mm.

ზოგჯერ ერთმანეთის გვერდითაა გამოყენებული II ბრძანებითი და II კავშირებითი, რაც ნათლად ასახავს ამ დროის ვითარებას:

“პირველად ჩუენ მივსცნეთ თავნი ჩუენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა და მან დაიცვას სამწყსო თვისი” (იქვე, 321, 8-9).

“იქმნეს განზრახვა შენი, ღმერთმან დამბადებელმან მოავლინენ ანგელოზი მისი ძალად შენდა და დასცენ ყოველნი მტერნი შენნი, და ამტკიცენ მეფობა შენი” (ამირანდ., 150, 8-10); შდრ.: მოვლინეს Bdp, მოავლინოს D, დასცენ AD.

ბრძანებითის გამოსახატავად წყვეტილის ფუძესთან II კავშირებითის ფუძის შენაცვლებას III პირში ფ. ერთელიშვილი იმით ხსნის, რომ აწმყოში ან მომავალში შესასრულებელი მოქმედების გადმოსაცემად წარსული დროის ფუძე იყო გამოყენებული (ერთელიშვილი, 1956, გვ. 307). ეს შენაცვლება, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ძველ ქართულშივე იჩენს თავს (კუბლაშვილი, 1952-1953, გვ. 149-158). “ერთი სიტყვით, უკვე ძველ ქართულში ჩანს აღნიშნული “ალოგიკურობის” გამოსწორების ტენდენცია და ახალი ქართულიც ამ გეზს მიჰყვება” (ერთელიშვილი, იქვე, გვ. 308).

ამ მოსაზრების მიხედვით, აუხსნელია, რატომ შემორჩა საყრდენად წყვეტილის ფუძე ბრძანებითი კილოს გამოსახატავად II პირს, ხოლო ვნებითი გვარის (აგრეთვე მედიო-პასიური) ზმნების მრავლობით რიცხვში II პირსაც, ამათი II კავშირებითი წყვეტილის მწკრივისაგან ძველ ქართულში ხომ მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავდებოდა (**დაემაღნეს-დაემაღნენ, წავიდეს-წავიდენ**), თანამედროვე ქართულში კი ეს განსხვავებაც მოშლილია (**დაემაღნენ, წავიდნენ**... საერთოა ორივე მწკრივისათვის).

ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა II კავშირებითის სემანტიკას — მომავალი დროის გამოხატვის უნარს. ბრძანებითი კილოც მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს და მომავალი დროის გამოსახატავად “მოწოდებულმა” მწკრივმა ძალიან ბუნებრივად შეითვისა ბრძანებითი კილოს გადმოცემის ფუნქციაც.

I და II ბრძანებითის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ, მიუხედავად მათი ფორმების არცთუ იშვიათად გამოყენებისა, შუა საუკუნეებში ძველთა ენაში მათი როლი საკმაოდაა შესუსტებული. ამაზე მიგვანიშნებს:

1. დარღვევები III სუბიექტური პირის **-ნ** და **-ედ** ნიშანთა ხმარების წესში: მათი გამოყენება II პირის ფორმებთან; 2. ბრძანებითი კილოს ფუნქციის თხრობითი და კავშირებითი კილოს მწკრივებზე გადანაწილება (რაც თანამედროვე ქართულში უკვე ნომრადაა ჩამოყალიბებული) და შესაბამისად ბრძანებითისა და კავშირებითის მწკრივთა ურთიერთშენაცვლების ხშირი შემთხვევები როგორც სხვადასხვა ხელნაწერში, ისე ერთი წინადადების ფარგლებშიც.¹ ამის შედეგად წარმოქმნილი უხერხულობები: I ბრძანებითში **-ე** და **-ი** მწკრივის ნიშანთა თანაბრად წარმოდგენა, განურჩევლად ზმნის საგრცობისა, როგორც II, ისე III პირთან; 3. სახელისა და ზმნის რიცხვში შეუთანხმებლობა.

ვფიქრობთ, ბრძანებითის მწკრივების შესუსტება, ხოლო შემდეგ დაკარგვა შედეგია ენაში განხორციელებული ისეთი სერიოზული ძვრებისა, როგორცაა: **-დ** და **-ოდ** საგრცობიან ზმნათა შორის განსხვავების მოშლა და შედეგად I ბრძანებითისა და I სერიის კავშირებითის (I კავშირებითის, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითის) II პირის გაერთმნიშვნელოვანება; III სუბიექტური პირის **-ნ** და **-ედ** ნიშანთა ენაში არსებული სხვა პირის ნიშნებით ჩანაცვლება; ასპექტის კატეგორიაში მიმდინარე პროცესები, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრი რამ შეცვალა უღლების სისტემაში როგორც წარმოების, ისე შინაარსის თვალსაზრისით: მოხდა მწკრივთა შორის ფუნქციების გადანაწილება, რომ აღარაფერი ვთქვათ მყოფადის მწკრივის ჩამოყალიბებზე, I სერიის ორ წრედ დაყოფასა და, შესაბამისად, I კავშირებითის აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებად დაშლაზე. კავშირებითის მწკრივებმა, რომლებიც ძველ ქართულში მომავალი დროის გადმოცემის ძირითადი საშუალება იყო, ბუნებრივად შეითვისა ბრძანებითი კილოს გამოხატვის ფუნქცია, რადგან ბრძანებითი კილოც მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს.

¹ საშუალო ქართულში ამ ფუნქციით სხვა არაერთი მწკრივიც გვხვდება და ესეც თავისთავად I და II ბრძანებითის მოშლის ფაქტს ადასტურებს. ბრძანებითი კილოს გამოხატვის სხვა საშუალებებზე ცალკე სტატიაში გვექნება საუბარი.

ლიტერატურა

ერთელიშვილი 1956 — ფ. ერთელიშვილი, რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ შრ., 61, 1956.

კუბლაშვილი 1952-1953 — კ. კუბლაშვილი, ბრძანებითი კილოს ზოგიერთი ფორმის შესახებ ძველ ქართულში: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XI, 1952-1953.

წყაროების შემოკლებათა განმარტება

ვეფხ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1966.

ამირანდ. მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

ვისრ. ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

რუსუდ. რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

აბუს. ტბ. აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეული მატრიანე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ქ. ცხ., I: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

ქ. ცხ., II: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.

ქ. ცხ., IV: ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1073.

შაჰნამე, III: შაჰ-ნამე, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, III, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დავით კობიძემ, თბ., 1974.

იად.დ.: დავით ბაგრატიონი, იადაგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

კარაბ., I: კარაბადინი, ზაზა ფანასკრეტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, I, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბ., 1986.

კარაბ., II: კარაბადინი, ზაზა ფანასკრეტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, II, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბ., 1989.

არჩ. I: არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფ., 1936.

სამ. ძეგლ., I: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.

სამ. ძეგლ., II: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.

სამ. ძეგლ., III: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.

ს.ს. ორბ., III: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

გურამიშვი.: დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, თბ., 1955.

Ketevan Gigashvili

I and II Imperative Rows in Mid-Georgian language

S u m m a r y

Though the grammatical of I and II imperative were used quite often, the researches prove that the role of their use was significantly reduced in Georgian masterpieces of the mid-centuries. The following cases support the above-mentioned opinion:

- 1) Some disorders in the rules of using "-n" and "-ed" markers of the II subjectives forms.
- 2) The distribution of Imperative mood functions on the indicative and subjunctive forms.
- 3) Disagreement of the noun and the verb with the number.

გიორგი გოგლაშვილი

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები¹

II. საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის წარმოქმნა-ჩამოყალიბება

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წარმოქმნა-ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა აქ უნდა გაირჩეს ტრადიციული ქართული სამეცნიერო დარგები და, ასე ვთქვათ, არატრადიციული დარგები. ტრადიციულ ქართულ დარგებს მიეკუთვნება ძირითადად ჰუმანიტარული დარგები, არატრადიციულად განიხილება ძირითადად საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი, თუმცა მეტ-ნაკლებად ასეთი მსჯელობა პირობითია.

საინტერესოა გავიხსენოთ გელათის აკადემიაში (დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის მიერ) სწავლება მიმდინარეობდა ტრივიუმისა და კვადრიუმის ციკლების მიხედვით.

ტრივიუმის ციკლის საგნები იყო:

1. **ქვეყნის საზომლო** (ე. ი. გეომეტრია);
2. **რიცხუნი** (ე. ი. არითმეტიკა);
3. **სამუსო** (ე. ი. მუსიკა).

კვადრიუმის ციკლის საგნები იყო:

1. **ფილოსოფია** — ა) საქმითი
ბ) მხედველობითი
გ) განმსიტყუელობითი
2. **რიტორიკა** — ა) თანამზრახველობისა
ბ) მეპაექრობისა
გ) დღესასწაულობისა
3. **გრამატიკა** —
4. **ვარსკვლავთმრიცხველობა** (ე. ი. ასტრონომია)

(ქართ. ენც. 3., გვ. 36).

¹ ნაშრომი შესრულებულია "Volkswagen-Stiftung"-ის პროექტით „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“.

იმავე ეპოქის მეორე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრში, იყალთოს აკადემიაში, გარდა მსგავსი საგნებისა, ისწავლებოდა **მკედლობა, კერამიკა** („მეკეცობა“), **მევენახეობა, მელვინეობა** (თავზიშვილი 1938).

როგორც მიუთითებენ, ეს აკადემიები „ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა... კულტურის მძლავრ კერებად ითვლებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ დაარსებული საგანმანათლებლო ცენტრებიც, სადაც ინტენსიური მწიგნობრული და სამეცნიერო საქმიანობა წარმოებდა... სწორედ ამ დროს შეიქმნა მყარი ტრადიციები სიტყვათა წარმოებისა და თხზვისა“ (დამბაშიძე 1986, გვ. 90).

სამწუხაროდ, იმდროინდელი საგანმანათლებლო კერების სასწავლო გეგმებისა თუ პროგრამების შესახებ მასალები ნაკლებად შემოგვრჩა. ჩვენ ძირითადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით, რომლებიც შეიქმნა ამ ცენტრებში. ამ ცენტრებში მოღვაწეთა ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლების ენის ანალიზმა ბევრი საინტერესო მასალა გამოავლინა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიისათვის (ყაუხჩიშვილი 1940; შანიძე 1946; კახაძე 1947; აბულაძე 1964; მელიქიშვილი 1975 და სხვ.).

მიუთითებენ იმასაც, რომ ბევრი იმ დროს შექმნილი ტერმინი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას; ეს განსაკუთრებით ითქმის ფილოსოფიაზე, ისტორიულ მეცნიერებებზე თუ სხვა. ენათმეცნიერებაში გამოყენებული არაერთი ტერმინი იმ ეპოქიდან იღებს სათავეს: **არსებითი, მეტყველება, სიბრძნის-მეტყველება, გონიერი, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, წარმოება, მსგავსებითი, მოძღვრება, მეცნიერება, სიტყვიერება, იგივეობა, ცვალებადი, მოქმედებითი, რომელიც, რაოდენობა** და სხვა (დამბაშიძე 1986, გვ. 91). ცხადია, იმ ცნებათა შინაარსი, რომლებიც ამ ტერმინებით აღინიშნება, არ შეესაბამება (უმეტესად) დღევანდელ ვითარებას. თუმცა ეს ამჯერად არ არის ჩვენი მიზანი, ეს დამატებითი კვლევის საგანია.

ასე რომ, ფილოლოგიურ, კერძოდ კი ენათმეცნიერულ, ტერმინოლოგიას ქართულ ენაში საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. თუმცა ძველი დროის საგრამატიკო თუ ფილოსოფიური შრომები ნაკლებად შემოგვრჩა. მათ შორის მნიშვნელოვანია მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის გრამატიკული ტარქტატი „სიტყუად ართრონთათჳს“, რომელიც 1990 წელს გამოსცა მ. შანიძემ. მისი აზრით, ტარქტატის ავტორი უნდა იყოს არსენ იყალთოელი. აშკარაა, რომ არსენ იყალთოელი თავის ნაშრომში „ბერძნული ართრონების ფუნქციისა და ბრუნების მიხედვით ფორმაცვალების გვერდით განიხილავს მათ მიმართებას სათანადო ქართულ ფორმებ-

თან. ამ მსჯელობაში ჩვენთვის ფრიად საინტერესოა **გრამატიკული ტერმინები** და **მათი წარმოების წესი**“ (უთურგაიძე 1999, გვ. 11).

როგორც ირკვევა, უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის შემუშავებული ტერმინთა წარმოების წესი და საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია:

„ტარქტატში გამოყენებულ ტერმინთაგან ბევრი დღემდე შემოგვრჩა; ბუნებრივია, მათ ვხვდებით მე-18 საუკუნის გრამატიკებში; სწორედ მათი საშუალებით გადმოეცა მე-19 და მე-20 საუკუნეებს ეს ტერმინები; კერძოდ: **სახელი, ნათესავი** „სქესი“, **მიცემითი, წოდებითი**; ბრუნვათა სახელების წარმოება ხდება საწყისთა ფორმებიდან წარმოქმნილი **-ით** სუფიქსით: მიცემა — **მიცემითი**, წოდება — **წოდებითი**... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინთა წარმოების ეს ყალიბი უფრო ადრეც გვხვდება ქართულ სახელთა დერივაციაში“ (უთურგაიძე 1999, გვ. 11-12).

მიუთითებენ იმასაც, რომ არის შემთხვევები, როცა ბერძნული ტერმინი პირდაპირ გადმოაქვთ ქართულად, არის შემთხვევები, როცა მისი ქართული შესატყვისი კეთდება (ფაქტობრივ ითარგმნება). ჩვენი შემთხვევისათვის ამ თემაზე ვრცლად აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას... ამის თაობაზე არსებობს სპეციალური ლიტერატურა (ქურციკიძე 1983; რაფავა 1983; ღამბაშიძე 1986; ფოცხიშვილი 1995; სარჯველაძე 1984 ქაროსანიძე 2006 და სხვა).

ერთს კი აღვნიშნავთ: „სიტყვაჲ ართრონთათჳს“ არ ჩანს ერთადერთი ნაშრომი საგრამატიკო ხასიათისა იმ დროისათვის. მ. შანიძე ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „სიტყუჲჲ ართრონთათჳს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში მართლაც ჰქონდათ გრამატიკული ლიტერატურა; ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპოქაში XVI-XVII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები. როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო“ (შანიძე 1990).

ამასაც აღვნიშნავთ: „ის ფაქტი, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა ნორმებს მტკიცედ იცავს, საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ ძველ პერიოდში გარკვეული ტიპის გრამატიკის, ან ნორმათა კრებულის არსებობა“ (სარჯველაძე 1984, გვ. 198).

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო XVIII—XIX საუკუნეები ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისით. ამ პერიოდში ზ. შანშოვანიდან („მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, 1737 წელსა“) მოყოლებული არაერთი პრაქტიკული გრამატიკა შეიქმნა. განუსაზღვრელია მნიშვნელობა ანტონ პირველის გრამატიკისა. „ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარემეცნიერულ) გრამატიკათა

შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (ჩიქობავა 1965, გვ. 90) და მას „ემყარება რიგი გრამატიკა ქართული ენისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ (იქვე, გვ. 19). კიდევ ერთი შეფასება: „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკის“ მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწვლილვით არ იქნება შესწავლილი“ (ბაბუნაშვილი 1970, გვ. 3).

ი. აბულაძის თქმით, „ზ. შანშოვანის „ქართულ გრამატიკას“ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი პირველი ცდაა ქართული გრამატიკის შედგენისა“: ცდა, რომელსაც ზურაბის თანამედროვეთაგანი და ახლო თანამშრომელი — ვახუშტი ბატონიშვილი — სამართლიანად უყურებს როგორც „გზას ღრამმატიკისას უსრულს“ (აბულაძე 1940, გვ. 158). მიუხედავად იმისა, რომ ზ. შანშოვანის გრამატიკა სომხური გრამატიკის მიხედვით იქმნებოდა (ჩიქობავა 1965, გვ. 87), მასში არის ზოგი ფასეული დაკვირვება, **ტერმინოლოგიური სიახლე**, რაც „უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ანტონის გრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქართული ენის გრამატიკაში დამკვიდრდა (ამჟამად ძნელია იმის თქმა, აქედან რა უკვე მოიპოვებოდა და რა არის ზ. შანშოვანის შექმნილი. **საგრამატიკო ტერმინების ისტორია ქართული ენის გრამატიკის ისტორიას გვანიშნებს**. საკითხს ცალკე შესწავლა ესაჭიროება“ (ჩიქობავა 1965, გვ. 87).

ამდენად, ანტონი გარკვეულად ემყარება წინამორბედ გრამატიკოსთა (ყოველ შემთხვევაში ზ. შანშოვანის) მონაპოვარს, ისევე, როგორც ზ. შანშოვანი, ივარაუდება, აღრინდელ გრამატიკებს ქართული თუ სხვა ენებისას: მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველად ქართულ სინამდვილეში ანტონმა შეძლო სისტემური სახე მიეცა, ერთგვარად შეეჯამებინა არსებული და განეგრძო იგი თავისი უბადლო ნიჭის წყალობით; ფაქტობრივ, შეექმნა სრული გრამატიკა ქართული ენისა და საფუძველი მოემზადებინა ქართული ენის შემდგომი კვლევისათვის.

ორიოდე სიტყვა კვლავ ანტონის გრამატიკაზე. როგორც ცნობილია, ანტონის გრამატიკის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი — 1753 წლისა და მეორე — 1767 წლისა. ჩვენი მსჯელობა ემყარება მეორე ვარიანტს, რომელიც პირველად რ. ერისთავმა გამოსცა 1885 წელს, ხოლო მეორედ 1997 წელს გამოიცა; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ე. ბაბუნაშვილიმა, ნ. გოგუაძემ, ლ. კიკნაძემ. ლექსიკონი დაურთო ე. ბაბუნაშვილიმა.

ჩვენ სწორედ ეს თანდართული ლექსიკონი გვინტერესებს ამჟამად. ეს არის გრამატიკულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, რომელშიც სამასამდე ტერმინია განმარტებული (ანტონი 1997, გვ. 397-406), როგორც გამომცე-

მელი წერს, „ანტონის გრამატიკულ ნააზრევში გარკვევის გასაადვილებლად“ (იქვე, გვ. 7). საგანგებო კვლევის გარეშე შეუძლებელია ანტონის მიერ გამოყენებულ ტერმინებზე მსჯელობა. ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ ანტონი თავად წერს: „და მუნვე როსსიასა შინა ყოფასა ჩემს ვიკითხვი **ელინურისა** და **ლათინურისა** და **ფრანცისულისა** და **იტალიანურისა** და **გერმანულისა** და **რუსულისა** ენათა მეცნიერად, ვითარმედ ვითარიმე იყო გუარი ჳმარებად ნაწილთა სიტყუსათა და სახელთა მათთა ენათა მათ შორის თქმულთა“ (ანტონი 1997, გვ. 9). ასე რომ, ამ ტერმინთაგან რომელი არის აღებული რომელი ენიდან, კალკირებული თუ თარგმნილი, მიხედვით გაკეთებული თუ შექმნილი, საგანგებო კვლევის გარეშე ამის გარკვევა ძნელია. ჩვენთვის ისაა საგულისხმო, რომ ანტონის გავლენა გასდევს მთელ XVIII-XIX საუკუნეებს და, როგორც ითქვა, ბევრი ტერმინი ანტონის მიერ შექმნილი თუ ანტონის მიერ გამოყენებული დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას, თუმცა ამ ტერმინით აღნიშნული ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს.

მაგალითისათვის, იმავე მნიშვნელობით იხმარება ანტონის მიერ გამოყენებული ტერმინები: **ასო**, **ბრძანებითი**, **დადებითი** (ხარისხი), **მარცვალი**, **ნამყო**, **სახელზმნა**, **სქესი**, **მარცვალი**, **ქვემდებარე**, **შორისდებულთი**, **უკუთქმითი**, **ჩვენებითი** (ზმნიზედა) და სხვა...

განსხვავებული შინაარსით გამოიყენება: **არსებითი** (ზმნა), **აღმატებითი**, **განუსაზღვრელი** (სიტყვა, სქესი...), **დაწყებითი** (კავშირი), **მოქმედებითი** (წინადადებაში რომელიმე წევრის რეალურად არსებობა), **ნათესაობითი** (წარმოქმნილ სახელთა ჳგუფი), **პირობითი** (პირიანი ჳმნა), **საზოგადო** (ქარაგმის სახეობა), **სქესი** (ზმნის კილო) და სხვა...

ხშირია შემთხვევა, როცა ანტონი ბერძნულ-რომაულ ტერმინებს უცვლელად გადმოიღებს: **იპოდოსტოლი** (= გარემორთხული), **იპოტეტიკა** (= თუბითი სქესი), **კანკლედობა** (ბრძანება), **ლატრია** (ქარაგმის სახე), **ოქსია** (მახვილი), **პროსოდიანი** (თქმა), **სტიღმა** (წერტილი), **დამმი** (ასო, ბგერა) და სხვა; თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ზოგი ამ ტერმინთაგანი სინონიმურად გამოიყენება: **მახვილი**, **თქმა**, **ასო**... რა შემთხვევაში გამოიყენება ლათინური და რა შემთხვევაში ქართული, ამჯერად ძნელი სათქმელია, ამას საგანგებო ძიება უნდა.

„ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სრული აღმავლობა გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) სახელს უკავშირდება, როდესაც მწერლობასთან ერთად კვლავ აღორძინდა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურა. მისი ლექსიკონი ცნებათა უჩვეულო დეტალიზაციისა და მეცნიერული განსაზღვრის თვალსაზრისით დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს“ (ლამბაშიძე 1986, გვ. 92).

განსაკუთრებით ინტენსიური იყო ტერმინოლოგიური მუშაობა XIX საუკუნეში. ჩვენ აქ არ ვაპირებთ დეტალურ განხილვას ამ მუშაობისა, დავასახელებთ მხოლოდ ძირითად ფაქტებს ამ პრობლემასთან დაკავშირებულს, რომ საერთო სურათი შეიქმნას, **დღევანდელი ვითარება საენთამეცნიერო ტერმინოლოგიისა რა ტრადიციებს ემყარება, რა გზა გაიარა მან და რამდენად სწორად შეიძლება შეფასდეს თანამედროვე მდგომარეობა.**

როცა XIX საუკუნის ტერმინოლოგიურ საქმიანობას ვეხებით, უპირველესად დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა უნდა გავიხსენოთ. ისინი არა მარტო აგრძელებენ წინამორბედთა ტრადიციებს (განსაკუთრებით ს.-ს. ორბელიანისა), არამედ ქმნიან ახალი ტიპის ორენოვან და მრავალენოვან ლექსიკონებს; ისინი არიან პირველი დარგობრივი ლექსიკონების ავტორები (ქუთათელაძე 1967); დიდძალ ტერმინოლოგიურ მასალას შეიცავს იოანე ბაგრატიონის „ექვსტომიანი (40 000 სიტყვის შემცველი) რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი 1807 წელს; მასში შეტანილია, ერთი მხრით, ტერმინები ცოდნის ისეთი დარგებიდან, როგორცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ისტორია და, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობასთან, რელიგიურ რიტუალებსა და სამხედრო ცერემონიალთან დაკავშირებული სიტყვები, სამედიცინო, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინები. მხოლოდ ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინები 5 000-მდეა. ეს თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, თანამედროვე ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს“ (დამბაშიძე 1986, გვ. 95). ისიცაა საგულისხმო, რომ იოანე ბაგრატიონისთვის ხელმისაწვდომია რამდენიმე ენა: რუსული, თურქული, არაბული, სპარსული, სომხური, ფრანგული, ლათინური... ეს გარკვეულ ფასს სდებს მის ნაშრომს...

საგანგებო შესწავლის საგნად უნდა იქცეს სამოციანელთა ტერმინოლოგიური მოღვაწეობა. არის ცალკეულ ავტორთა შესახებ არსებულ გამოკვლევებში ამის თაობაზე საუბარი (მაგალითად: გ. შალამბერიძე 1966; შ. ძიძიგური 1963 და სხვა). მაგრამ ესაა ზღვაში წვეთი, თუ გავითვალისწინებთ ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავისა და სხვათა დამსახურებას ამ სფეროში. განსაკუთრებით კი რ. ერისთავის მოღვაწეობას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში მამამთავრად ტერმინოლოგიური მუშაობისა.

1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, ფაქტობრივ, განცხადება: „ტერმინოლოგიის უქონლობა აბრკოლებს როგორც სხვადასხვა სახელმძღვანელოთა შედგენას, ისე დედაენაზედაც სწავლებას, რადგან მასწავლებლებს არა აქვთ სკოლაში სახმარებელი სხვადასხვა საგნების ტერმინები, რომელნიც აუცილებლად საჭიროა სკოლაში ადვილად და თავისუფლად სწავლის წაყვანისათვის“ („დროება“, № 225, 1882). ამ განცხადების ავტორები იყვნენ თბილისის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლები ა. ლულაძე და ი. მრევლიშვილი.

ყურადღებას მივაპყრობთ: ქართული ტერმინოლოგიის უქონლობა

- ა) აბრკოლებს სახელმძღვანელოთა შედგენას;
- ბ) აბრკოლებს დედაენაზე სწავლებას და
- ბ) ხელს უშლის სწავლის პროცესის ადვილად და თავისუფლად წაყვანას.

საკითხი პრინციპულად სწორადაა დასმული. იქვე ტერმინოლოგიის ერთგვაროვნებაზეც არის ყურადღება გამახვილებული: „ტერმინები გვაქვს, მაგრამ გაფანტულია; საჭიროა მათი შეკრება და **გამოცხადება საყოველთაო სახმარებლად**, რომ ყველგან ერთგვარი ტერმინების ხმარება იქნეს შემოღებული და არა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი თავისთავად მოგონებულის ტერმინებით“ (იქვე).

ამ განცხადებას საკმაოდ საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა. იმჟამინდელი ინტელიგენცია ხედავს პრინციპულ აუცილებლობას ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებისას; ტერმინთა უნიფიცირების საკითხი მწვავედ დაისვა: „ღღევანდლამდის, ვინც კი მოჰკიდებდა ხელს, მარტო თავის ქეიფზედ აგებდა ტერმინებს და ამის გამო ლიტერატურაში ერთსა და იმავე საგნის სახელად ას ტერმინს შეხვდებით, რომელიც რევს და უკან აყენებს საქმეს“ („დროება“, № 258, 1887).

1882 წელს შეიქმნა საგანგებო ტერმინოლოგიური კომისია. თუ რამდენად სერიოზული იყო ეს საკითხი, იქიდანაც ჩანს, რომ კომისიის წევრები იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ზ. ჭიჭინაძე და სხვანი — კომისიის თავმჯდომარედ რ. ერისთავი აურჩევიათ.

გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა სხდომის ანგარიში, სადაც საორგანიზაციო საკითხები განიხილებოდა; რა პრინციპით უნდა შეემუშავებინათ ტერმინები: „რ. ერისთავი, ა. წერეთელი და სხვები მოითხოვდნენ: 1. შევიტყოთ რა ტერმინები გვაქვს ქართულ ენაზე, გადავხედოთ ძველ წიგნებს, რომლებიც ახლა დავიწყებულია, ამისთვის საჭიროა კრებამ რიგ-რიგად განიხილოს ძველი სამეცნიერო წიგნები, შეკრიბოს ყველა ქართულ ენაზე ნახმარი ტერმინები. 2. ის, რაც ძველ წიგნებში რიგიანადაა ნახმარი, უცვლელად შემოვიტანოთ, 3. ურიგოდ ნახმარი გადავაკეთოთ. 4. ტერმინები, რომლებიც ჩვენ ენაზე სრულებით არ არიან ნახმარი, შემოვიტანოთ სხვა

ხალხის ენიდან... ამის წინააღმდეგნი იყვნენ: ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ: 1. ასე წამოწყებული საქმე შორს ვერ წავა. შესაძლებელია, ჩვენთვის საჭირო სიტყვები ძველ წიგნებში ცუდად იჭოს ნახმარი; 2. უმჯობესია, კრება თავიდანვე შეუდგეს ტერმინების დამუშავებას და დრო არ დაჰკარგოს ძველი წიგნების ჩიჩქნაში“ („შრომა“, № 46, 1882). ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიყვანეთ, წარმოდგენა შევიქმნათ იმ საქმიანობაზე, რომელიც გაიმართა XIX საუკუნის მიწურულს. შედეგად დამუშავდა არაერთი მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია. ამ მხრივ ფასდაუდებელია რ. ერისთავის მოღვაწეობა (იხ.: იორდანიშვილი 1968). ეს პერიოდი ტერმინოლოგიური კვლევა-ძიებისა მეტ ყურადღებას იმსახურებს... ისიც საგულისხმოა, რომ იმდროინდელი ქართული პრესა დიდ ინტერესს იჩენდა ამ სამუშაოსადმი და სისტემატურად აშუქებდა (უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. რ. ლამბაშიძე 1986. იქვე შეგიძლიათ გაეცნოთ ბიბლიოგრაფიასაც, იმავე პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომებისა).

ყოველივე ამან საკმაოდ მყარი ნიადაგი მოუმზადა XX საუკუნის ტერმინოლოგიურ საქმიანობას. ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ენათმეცნიერულ ტერმინოლოგიაზე, თუმცა ზოგჯერ არ მოხერხდება ასე განცალკავებება — საერთო პრობლემატიკიდან გამომდინარე.

ტერმინოლოგიური მუშაობა განსაკუთრებით ფართო ხასიათს იძენს XX საუკუნეში. ამისათვის არსებობს ხელშემწყობი რამდენიმე პირობა:

- ა) ვითარდება მეცნიერების სხვადასხვა დარგი;
- ბ) იქმნება ეროვნული განათლების სისტემა;
- გ) ფუძნდება სხვადასხვა ტიპის უმაღლესი თუ სპეციალური სასწავლებლები.

როგორც აღნიშნავდნენ, XX საუკუნის დასაწყისიდან ყველა ტიპის სასწავლებელში ძირითადი საგნები ქართულ ენაზე იკითხებოდა. განსაკუთრებით უნივერსიტეტის დაარსებას აქვს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა.

შეიმჩნევა ორი მიმართულება, ერთი ესაა ძირითადად 20-იან წლებში ტექნიკური დარგის სეციალისტთა პოზიცია. XX საუკუნის მეორე ათწლეულში შეიქმნა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, რომელმაც 1920 წელს გამოსცა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი“ (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი). როგორც აღნიშნავენ, ამ ლექსიკონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ იმით, რომ თითქმის პირველი ცდა იყო ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის გმოცემისა, აქ არსებითი ისაა, რომ **„ავტორებისათვის მთავარი ლოზუნგი იყო ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა,**

ყველა ტერმინისათვის ქართული შესატყვისის დაძებნა. ამიტომაც იყო, რომ საერთაშორისო ტერმინთა ქართული თარგმანები ლექსიკონში ხელოვნურ ხასიათს ატარებდა (бензин — ბანჰინი, кантора — ანგარანი, депо — საყუდი, комплект — საესი, монополия — ხოლოფლება, термин — სახელსახი, инструкция — ხელსაძღვანო და სხვა) (ლამბაშიძე 1986, გვ. 102).

მიუთითებენ იმასაც, რომ ახალ ტერმინთა შექმნისას „ავტორებისათვის ხან ხალხური ეტიმოლოგიზაციის პრინციპი იყო ამოსავალი, ხან ემოციურ-ექსპრესიული, ხან კეთილზმონებისა ანუ ევფონისა, ხან კი ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი გზა იყო არჩეული (არ იყო გამჭვირვალე სიტყვის შედგენილობა, მისი კომპონენტები — ძირი, მაწარმოებელი აფიქსები და სხვ.). ამიტომაც იყო, რომ ეს ფორმები ფეხს ვერ იკიდებდა და ენა ადვილად იცილებდა მათ თავიდან“ (ლამბაშიძე, 1986, გვ. 103).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა პრინციპი ტერმინოლოგიური მუშაობისა. ვუკოლ ბერიძის აზრით, „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელურ, გამარჯვებულ პოლიტიკისა“ (ბერიძე 1952, გვ. 30). ეს ძალზე საინტერესო დასკვნაა: საუკუნოვანმა ანტიქართულმა პოლიტიკამ, რუსიფიკაციის ინტენსიურმა პროცესმა წარმოიშვა ეს რეაქცია. ერთ-ერთ ავტორს ამ ლექსიკონისა, გიორგი ნიკოლაძეს, დღიურში ჩაუწერია: „მე გაქართულეხას, ცხადია, გაღმა გადავების მიზნით ვქადაგებ, თორემ გიჟი ხომ არა ვარ, რომ მათემატიკას, ქიმიას ან ფიზიკას სახელების შეცვლას ვუპირებდე, ან მოველოდე ჩვენი პლანეტის რომელიმე კუთხეში“ (ნიკოლაძე, მოგონებები; ვიმოწმებთ რ. ლამბაშიძის წიგნიდან, გვ. 103). ამ პრინციპმა არ გაამართლა. ეს პრინციპი გახდა 1921 წელს შექმნილი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მსჯელობის საგანი. ამ საბჭოს ფაქტობრივი თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი (ოფიციალურად მოადგილე; თავმჯდომარე იყო განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი) (ჯორბენაძე 1981, გვ. 349). „ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით სამეცნიერო საბჭო არ ზოგავდა დახარჯულ დროს, ენერგიას სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებაზე. პირველ სამ წელს 165 სხდომა ჩაატარა სამეცნიერო საბჭომ და ყველაზე დიდი დრო სწორედ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობას მოანდომა. არა მარტო ჰუმანიტარული დარგების ტერმინოლოგია შემუშავდა“ (ჯორბენაძე 1981, გვ. 351). ჩვენ ამჯერად ჰუმანიტარული, კერძოდ საენათმეცნიერო, ტერმინოლოგია გვინტერესებს. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სწორედ ივანე ჯავახიშვილის დამსახურება.

ჩვენ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ვახსენეთ. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით ადრე დაიწყო. 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავზე ი. ჯა-

ვახიშვილი აღნიშნავდა: „პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება, ეს იყო ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას, იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც აღმოცენებულყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება — ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება, ამასთანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისთვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარიმართებოდა ქართულად“ (ჯავახიშვილი 1971, გვ. 10).

ერთ-ერთი მიზანი ამ წამოწყებისა, როგორც ითქვა, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება იყო. ძირითადად ამ წრეში ჰუმანიტარები იყვნენ, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ეს „წამოწყება მარტოდენ ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული ტერმინოლოგიის დახვეწა-დაწინაურებით როდი იზღუდებოდა“ (ჯორბენაძე 1981, გვ. 148).

ივანე ჯავახიშვილი არ იზღუდებოდა ამ წრის ხელმძღვანელობით და „1908 წელს თბილისში ქართველ ინტელიგენტთა დიდი ჯგუფი შეკრიბა (40 კაცამდე), სადაც ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხები დააყენა“ (ჯორბენაძე 1981, გვ. 351). ი. ჯავახიშვილი მიზნად ისახავს ქართული სამეცნიერო ლექსიკონის შემუშავებასა და გამოცემას. ესაა ფაქტობრივ ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ამ მიზნით 1913 წელს ი. ჯავახიშვილს ვ. ბერიძის, ს. გორგაძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის თანაავტორობით წიგნაკი გამოუცია, სადაც საუბარი ყოფილა „იმ დიდ როლზე, რაც ქართული სამეცნიერო ლექსიკონის შექმნას შეუძლია შეასრულოს“ (ჯორბენაძე 1981 გვ. 351). წიგნაკში წერდნენ თურმე: „ეს საჭიროა თავადაზნაურთა და ინტელიგენციის იმ გადაგვარებული წრეებისათვის კი არა, რომელნიც ქართულზე მწყრადად ბრძანდებიან და დედა-ენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათს უმთავრეს საზრუნავს, არამედ ჩვენი ხალხის და ეროვნების იმ უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტიქიურად დედა-ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერდადერთდი გამოუმხატველი“ (ვიმოწმებთ: ჯავახიშვილი 1921, გვ. 351).

ასე რომ, საუკუნის დასაწყისში დაწყებული ტერმინოლოგიური საქმიანობა წარმატებით გაგრძელდა 20-იან წლებში. ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენელთა მთავარი ლოზუნგი გვახსოვს: ყველაფერი ქართულად. ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა ამის პასუხად, რომ „ტერმინების ამ ხელოვნური სუროგატების შესწავლა უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე არსე-

ბული საერთაშორისო ტერმინებისა“ და სამი ძირითადი პრინციპი, აიღეს სახელმძღვანელოდ:

1. როდესაც ორი ტერმინია, ერთი საერთაშორისო და მეორე ქართულად ნათარგმნი, მაგრამ უვარგისი ენის კანონებისა თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით, რჩება საერთაშორისო და ქართული უარყოფილი უნდა იყოს.

2. როდესაც მეორე ქართული ტერმინები წესიერად არის ნაწარმოები და შეეფერება ცნებას, ორივე ტერმინი რჩება.

3. თუ რამდენიმე ქართული ტერმინია, უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც ენის კანონების თვალსაზრისით წესიერად არის ნაწარმოები (იხ. ჯორბენაძე 1981, გვ. 352-353).

ეს იყო პრინციპები, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა მათემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი 1925 წელს, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია — 1928 წელს... ჩვენ ეს უკანასკნელი გვანტერესებს, თუმცა მანამდე გვინდა შევეხოთ აკაკი შანიძის წვლილს ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დახვეწის საქმეში.

XX საუკუნის ქართულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში განუზომელია აკაკი შანიძის როლი და მნიშვნელობა.

ა. შანიძეს პრინციპული დამოკიდებულება აქვს სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. იგი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობს ტრადიციულ ტერმინოლოგიას, როგორც ქართულ ენაზე არსებულს, ისე უცხოურს. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი სამეცნიერო შრომებს წერს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე; იგი არის თავმჯდომარე ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისა პეტერბურგში და აქტიური წარმომადგენელი იქაური სამეცნიერო საზოგადოებისა.

ა. შანიძის პირველი პერიოდის ქართულენოვანი და რუსულენოვანი ნაშრომების შედარება საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მისი დამოკიდებულება სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პირველი მონოგრაფია — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში.“ ჩვენ ხელთა გვაქვს ამ მონოგრაფიის რუსული და ქართული ვარიანტები. როგორც ავტორი მიუთითებს, რუსული ვარიანტი „Субъектный префикс второго лица и объектный третьего в грузинских глаголах“ იბეჭდებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის „Материали по Яфетическому языкознанию“ სერიაში. სტამბაში ჩაბარებული იყო 1915 წელს შემოდგომაზე, დაიბეჭდა სამი რვეული, მაგრამ წიგნის დამთავრება, სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო ვერ მოხერხდა“ (შანიძე 1981, გვ. 530). ქართული ვა-

რიანტი წიგნად გამოიცა 1920 წელს. იმვე წელს იქნა დაცული სადოქტორო დისერტაციად.

იმავე პერიოდში, როცა იბეჭდება რუსული ვარიანტი (1915 წ.), პეტერბურგში გამოქვეყნებულ ქართული სამეცნიერო წრის „კრებულში“ დაიბეჭდა ა. შანიძის ქართულენოვანი ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“.

ჩვენ შევეცადეთ, ამ ათგვერდიანი ნაშრომიდან ამოგვეწერა სამეცნიერო ტერმინები. დავინახეთ, რომ ნაშრომის „ქართული სახის“ შექმნაზე თუ როგორ ზრუნავს ავტორი. ტერმინთა ერთი ნაწილი ტრადიციული ქართული ტერმინებია, ადრეულ ნაშრომებში დადასტურებული (სახელობითი, მოქმედებითი, ნამყო სრული, მყოფადი და სხვა), თუმცა ზოგჯერ შეცვლილი შინაარსით, ნაწილი ავტორის შექმნილი ჩანს (წყვილობითი, ოცობითი, მრავალგზისი, თემა და სხვა), ნაწილიც — შედარებით უმნიშვნელო — უცხოური ტერმინია გამოყენებული (კონიუქტივი, პრეფიქსი, სუფიქსი): (ნაშრომს ვიმოწმებთ 1981 წლის გამოცემიდან. როგორც წიგნის რედაქტორი (შ. ძიძიგური) მიუთითებს, ნაშრომი „დაბეჭდილია იმ სახით, როგორც ეს ადრეულ გამოცემებში იყო... დატოვებულ იქნა ძირითადად იმდროინდელი ტერმინოლოგიაც. მცირეოდენი შესწორება შეეხო მხოლოდ აშკარა შეცდომებს, თითო-ოროლა ტერმინს (მაგ., მოთხრობითი კილო — თხრობითი კილო, უღვლილება — უღლება) და რამდენიმე ორთოგრაფიას“ (შანიძე 1981, გვ. 5-6). ამ ნაშრომში („ქართული კილოები მთაში“) გამოყენებული ტერმინებისათვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავინახოთ ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი — „რამდენად ქართულია“ იგი.

ამოღება ხმოვნისა (= რედუქცია), აწმყო, ბგერა, ბრუნვა, ბრძანებითი, გუდამაყრული, დრო (1. ზმნის დრო, 2. მწკრივი), ზედსართავი, თემა (= ფუძე), თუშური, თხოვნის კილო, კატეგორიული ბრძანებითი, კბილისმიერი, კილო, კილოკავი, კნინობითი, კონიუქტივი, მეშველი ზმნა, მიცემითი, მიცემითი ობიექტი, მოქმედებითი ბრუნვა, მოქმედებითი ზმნა, მოხეური, მყდერი, მრავალგზისი, მრავლობითი, მყოფადი, მხოლობითი, ნამყო, ნამყო სრული, ნამყო უსრული, ნაცვალსახელი, ოცობითი, პრეფიქსი, რიცხვითი, სადაურობა, სახელი (= არსებითის), სახელობითი, სუფიქსი, უღვლილება, ფშაური, ფხოური, ყრუ ბგერა, ძირი, წყვილობითი, ხევსურული...

აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ამ ტერმინებს სხვადასხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ამ ეტაპზე ჩვენ გაგვიჭირდება დაზუსტებით ვისაუბროთ თითოეული ტერმინის წარმომავლობაზე, ფაქტია ისიც, რომ ბევრი მათგანი ა. შანიძის კუთვნილებაა. ერთი კი ფაქტია: თითქმის ყველა მათგანი დღეს მოქმედი ტერმინია და ამაშიცაა აკაკი შანიძის დიდი დამსახურება. ამის თაობაზე ქვემოთაც ვიტყვი.

ჩვენ გვინდოდა ამ მცირე მოცულობის ნაშრომის მაგალითზე გვეჩვენებინა ზოგადი დამოკიდებულება ა. შანიძის სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. ამ თემაზე ორიოდ სიტყვას კვლავაც ვიტყვით: თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკი შანიძე ტერმინის სიზუსტეს, მოხერხებულობას (სიმარჯვეს), ამის თაობაზე საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ქართული ენის „გრამატიკის საფუძვლებში“ (შანიძე 1973).

აქვე შევნიშნეთ: როცა ვსაუბრობთ ა. შანიძის დამსახურებაზე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა-დამკვიდრების შესახებ, ძირითადად ვემყარებით (ხელთა გვაქვს) ა. შანიძის გრამატიკის შემდეგი გამოცემები:

ქართული ენის გრამატიკა — 1930

ძველი ქართული ენა (სახელმძღვანელო სკოლებისათვის — ძველი ქართული ენა და ლიტერატურა) — 1935

ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, — 1942

ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, — 1943

ქართული გრამატიკის საფუძვლები — 1953

ქართული ენის გრამატიკა — 1955

ქართული ენის გრამატიკა — 1962

ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები — 1973.

ამ სახელმძღვანელოთა შედარება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო სურათს ქმნის: ა. შანიძე მუდმივად ხვეწს, აზუსტებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის ტერმინს, ამის მაგალითებსაც მოვიყვანთ ქვემოთ, მანამდე კი წარმოვადგინთ ვრცელ მსჯელობას მცირე კომენტარებით.

„ცნობილია, რომ ტრადიციულად შემუშავებული გრამატიკული ნომენკლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას და ზოგჯერ ისეთია, რომ პირდაპირ ხელს გვიშლის მოვლენის შესწავლისა და სწორად შეფასების საქმეში. მაგრამ არსად ტრადიციული ტერმინები ისე ხელის შემშლელი არ ყოფილა, როგორც ზმნათა უღლების დარგში. ტრადიციის უგულვებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, როგორცაა დრო, კილო, გზისობა და სხვა, არამედ მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ხელოვნური, რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს; ვთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ ხეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, წიფლისა, რცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა (ეს აზრი — „ხეების სახელები“ — 1942 წლის გამოცემაში არაა, ჩნდება 1953 წ. — გ. გ.), რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნი-

ლი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს“ (შანიძე თბ., 1973, გვ. 217).

აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ტერმინებად ნეიტრალური სახელები გამოყენების უპირატესობაზე მიანიშნებს არნ. ჩიქობავაც: „გაუგებრობას აგვაცილებდა ნაკვთის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით (უბრალო ნომერაციის წესითაც კი!), ხოლო თუ ფუნქციებზე დაყრდნობით დავახასიათებდით ნაკვთს, ძირითადი ფუნქცია უნდა გამოვყოთ და არ ვივარაუდოთ, თითქოს ამით სრული ფუნქციური დახასიათება წარმოვადგინეთ“ (ჩიქობავა 1962, გვ. 102).

ა. შანიძის ზემომოყვანილი მსჯელობა კიდევ უფრო კონკრეტდება მწკრივთა სახელების დარქმევის შემთხვევისათვის: „მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობით კილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როდესაც მწკრივში დროისა და კილოს სხვა ელემენტიც ემატება, მაშინ სახელის არჩევის დროს მთავარი ყურადღება ამ დამატებულ ელემენტს მიექცეს. თუ სადმე ნეიტრალური სახელი მოიძებნება, ტრადიციულად შემუშავებული, ის თავის ალაგას იქნეს გამოყენებული... ამ შემთხვევაშიც მწკრივის ცნება არ უნდა ავრიოთ დროის ან კილოს ცნებასთან“ (შანიძე, 1973, გვ. 217).

ფაქტობრივ, ის ორი მსჯელობა არის ინსტრუქცია იმისათვის, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ტერმინები, რას უნდა მიექცეს ყურადღება. კიდევ ერთი მსჯელობა ტერმინოლოგიური ხასიათისა: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ **დროის** აღსანიშნავად მხოლოდ ეს სამი ტერმინი გვაქვს გამოყენებული: **ეხლანდელი, წარსული და მომავალი**. რაც შეეხება აქამომდე არსებულებს **აწმყო, ნამყო** და **მყოფადს**, ისინი შეიძლება გარკვეულ მწკრივებს მივაკუთვნოთ. აქაც ქართულში ამათგან მარტო „აწმყო“ და „მყოფადი“ გვჭირდება. „ნამყო“ კი შეიძლება სხვა ენებისთვის გამოგვადგეს“ (შანიძე 1973, გვ. 199). აქ კიდევ ერთ მომენტს მივაპყროთ ყურადღება: ა. შანიძე როცა აკეთებს არჩევანს, ეს არჩევანი ყოველთვის მოტივირებულია, არგუმენტირებულია. მაგალითად, განმარტება იმისა, თუ რატომ ამჯობინა ეს ტერმინები: „ტერმინები **აწმყო, ნამყო, მყოფადი** ხენლოგნურია და ანტონ I-ისაგან მომდინარეობს. პირველ ორ მათგანს ჩამოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი: **აწ-მყო(ფი), ნა-მყოფ(ფი)**. **მყოფადი** (მყოზადი, მყოზადი) იგივეა, რაც ყოფადი, ე. ი. რაც იქნება, რაც უნდა იყოს.

აღნიშნული ტერმინები, ხენლოგნურობის გარდა, რამდენადმე უხერხულიც არის ამჟამად, რადგანაც „აწმყო“-ში **აწ** ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი: აწ — ეხლა, აწ-მყო(ფი) — ეხლა მყოფი, მაგრამ დღეს ტერ-

მინის პირველ ნაწილს „აწის“ უკავშირებენ, რომელსაც დასავლურ კილოებში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: აწი (← აწით) — ამას იქით, ამიერიდან“ (შანიძე 1973, გვ. 199).

ერთი კონკრეტული მაგალითი. პრაქტიკულ გრამატიკებში საუდლებელი ერთეული სახელად ძირითადად **დრო** იხმარება, მაგალითად, ანტონთან (ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 140). იმასაც მიუთითებენ, რომ ზოგჯერ **უამსაც** გამოიყენებს (იქვე), ზ. შანშოვანის ტერმინს (ჩიქობავა, 1965, გვ. 85). ხშირ შემთხვევაში აღრეულია დრო, კილო, როგორც საკუთრივ კატეგორია თუ საუდლებელი ერთეული. აღრეულ შრომებში, მაგალითად, სადოქტორო დისერტაციაში, ა. შანიძე გამოიყენებს **დროს, კილოს**: „თუ ზემორე მოყვანილ ზოგად ტაბულას (II) კერძო შემთხვევებისათვის ვიხმარო, ე. ი. ამა თუ იმ **დროისა** და **კილოსათვის** გამოვიყენებთ, მაშინ იგი... ასეთ სახეს მიიღებს“ (შანიძე 1981, გვ. 118) და იქვე სქემაა მოცემული:

ნამყო სრულის ჯგუფი

ნამყო სრული	მყოფადი (ანუ ნატვრ. კ.)
ნამყო მრავალგზითი	ბრძანებითი

აწმყოს ჯგუფი

აწმყო ერთგზითი	აწმყოს მრავალგზითი
ნამყო უსრული	ბრძანებითი

(იქვე, გვ. 118-120).

ამავე ნაშრომში **დრო-კილოც** გამოიყენება: „აწმყოს ჯგუფის დრო-კილოთა ფორმები უფრო ნაკლებად იხმარება“ (იქვე, გვ. 194).

1930 წლის გრამატიკაში საუდლებელ ერთეულს **წვერი** დაერქვა: „პირველ სერიაში სამი **წვერი** იცვლება ტერმინით **რიგი** : „ყველა პირიანი ფორმა ზმნისა შეიძლება გაიყოს ათ **რიგად**..“ (ა. შანიძე 1935, გვ. 025). ეს ციტატაა ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოდან, რომელიც 1934 წელს გამოვიდა (ჩვენ დავიმოწმეთ მეორე გამოცემა); ამ სახელმძღვანელოს V გამოცემაში (1938 წ.) ავტორმა გამოიყენა **რიგის** სინონიმური სიტყვა **მწკრივი** და **მწკრივი** კატეგორიად გამოცხადდა და საბოლოოდ დამკვიდრდა კიდევ ეს ტერმინი ქართულ გრამატიკაში. 1941 წელს სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა ამ თემას (ა. შანიძე 1941), რომლის ძირითადი დებულებები შევიდა „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც ავტორი ამ ტერმინის (**მწკრივი**) უცხო ენებზე თარგმანის საკითხზეც მსჯელობს: „სასურველი იქნებოდა, რომ ეს ტერმინი შესულიყო საერთაშორისო გრამატიკულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ გამარტივებული სახით, რომ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს გაუადვილდეთ მათი გამოთქმა. ჩემი წინადადება ასეთია: რუს. **скрива** (ж. р.), ფრ. **la skrive**, germ. **die Skrive**, ინგლ. **the skrive**

(გამოთქვან, როგორც მოხერხებათ). ამით საშუალება მოგვეცემა, თავი დავახწიოთ უხერხულობას ბევრგან და განსაკუთრებით სემიტური ენების ზმნებში, სადაც უღლების ფორმები უხვად გვაქვს, მაგრამ „დრო“ ხშირად არცაა“ (შანიძე 1942, გვ. 210). ეს შენიშვნა (და წინაც, რომელშიც ტერმინის დასაბუთება იყო) გრამატიკის საფუძვლების მომდევნო გამოცემებში (1953 და შემდგომი) ამოღებულია; გასაგებია: ტერმინის მოხერხებულობის, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა და ავტორის ავტორიტეტის წყალობით ეს ტერმინი თითქმის საყოველთაოდ დამკვიდრდა:

შენიშვნა: ამ ტერმინის შესატყვისად არნ. ჩიქობავამ იხმარა „ნაკვთი“. როგორც ჩანს, ეს ტერმინი ადრეც ყოფილა გამოყენებული საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად (იხ. კარიჭაშვილი, 1930). არნ. ჩიქობავას დამსახურებაა ის, რომ მისი სკოლის ენათმეცნიერთა შრომებში ეს ტერმინი დამკვიდრდა. აქ ერთი მომენტი საგულისხმო: ამ ტერმინის დამკვიდრებას ახლდა ცნების განსხვავებული გაგება — არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია (უფუნქციო კატეგორია არ არის კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუტე“ (ჩიქობავა 1948, გვ. 8). მოგეხსენებათ, ა. შანიძის აზრით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა. ამიტომაც შემდგომში არჩევანი — მწკრივი თუ ნაკვთი — იმის შესაბამისად წყდებოდა, ამ ცნების როგორ გაგებასთან გვექნებოდა საქმე...

კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ იცვლება ტერმინი, როგორ ხდება ცნების შინაარსთან მისი მისადაგება.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ 1942 წელს გაჩნდა პარაგრაფი „ინტენსიობის და“ : „და“ ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია მოქმედების ინტენსიობა, რაც პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს; ეს კი გარდამავალ ზმნასთან არის შესაძლებელი“ (შანიძე 1942, გვ. 248). **ინტენსიობის და** გვხვდება 1953 და 1955 წლების გამოცემებში. 1962 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“ **ინტენსიობის** ნაცვლად გაჩნდა ტერმინი **„რიგრიგობის და“** : „და ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია მოქმედების რიგრიგობა, რაც პირდაპირის ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს“ (შანიძე 1961, გვ. 153); საბოლოოდ, 1973 წლის გამოცემაში დამკვიდრდა ტერმინი **„თითობის და“**: „და ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია ისეთი მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირდაპირ ობიექტზე ცალ-ცალკე“ (შანიძე 1973, გვ. 255). ე. ი. სამი ტერმინი ენაცვლება ერთმანეთს: **ინტენსიობის, რიგრიგობის, თითო-**

ობის. ცხადია, ცნების შინაარსთან მიმართებით მარჯვე ეს უკანასკნელი ტერმინი უფროა. მსგავსი მაგალითების მოძიება სხვაც შეიძლება. 1930 და 1953 წლების გრამატიკების შედარება გვიჩვენებს, როგორ იცვლება ტერმინოლოგია: ვნებითი — ვითარებითი (ბრუნვა), არსობითი — არსებითი (სახელი), კლასი — ტიპი (ბრუნების), მითითებითი — ჩვენებითი (ზმნიზედა), ლიტონი — მარტივი (ფუძე), პირიელი — პირიანი (ფორმა), ზმულობა — მოქმედება და სხვა. არის შემთხვევები, როცა ქართული უცხოურით ჩაანაცვლა: მდინარეობითი — დინამიკური (ვნებითი), მდგომარეობითი — სტატიკური (ვნებითი), გზა — კონტაქტი...

1915 წლის გამოკვლევაში ნახმარია ტერმინი **ნაცვალსახელი**.

1930 წლის გრამატიკაში პირის ნაცვალსახელი **პირთა სახელით** მოიხსენიება; 1942 წლის გამოცემაში იყენებს ტერმინის **სახელთნაცვალ**, ხოლო 1953 წელს კვლავ უბრუნდება ტერმინს **ნაცვალსახელი**. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ რას ისახავს მიზნად ტერმინოლოგიური ძიება — მთავარია სიზუსტე, მოხერხებულობა და არა ახირებული თვითმიზანი ორიგინალურობისა...

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“ ერთვის ტერმინთა საძიებელი, სადაც 700-მდე ტერმინია წარმოდგენილი. ფაქტია, რომ აქ არის ერთი ნაწილი ტრადიციული საერთაშორისო ტერმინოლოგია, მეორე ნაწილი — ქართული ტრადიციული ტერმინები და მესამე ნაწილი — აკაკი შანიძის მიერ შემოღებული ტერმინები. რა შემთხვევაში იღებს ტრადიციულ უცხოურ თუ ქართულ ტერმინებს და რა შემთხვევაში ქმნის ახალს, საძიებელია. დასაზუსტებელია და გასარკვევი ა. შანიძის მიერ გამოყენებული ტრადიციული ტერმინის შინაარსობრივი მიმართება. თითქმის ყველა ეს ტერმინი რომ დღეს დამკვიდრებულია ქართულ სანათმეცნიერო ლიტერატურაში, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ა. შანიძის სახელმძღვანელოები სკოლაში ერთადერთია 30-იანი წლებიდან მოყოლებული (ძველი ქართული ენა და ლიტერატურა გამოდის 1934 წლიდან; ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი. სახელმძღვანელო V-VII კლასებისათვის, I გამოცემა — 1939 წ.; 1948 წლიდან (IV გამოცემა) გამოდის ორ წიგნად — ფონეტიკა-მორფოლოგია და სინტაქსი); ასევე უმაღლეს სკოლებში ფაქტობრივ მორფოლოგიის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო 1930 წლის „გრამატიკა“ და შემდგომ „გრამატიკის საფუძვლები“; და მის საფუძველზე გაკეთებული გამოცემები 1955 და 1962 წლებისა.

ცხადია, გზადაგზა არაერთ ავტორთან იყო მცდელობა ახალი ტერმინის შემოღებისა, ანდა არსებული ტერმინის შეცვლისა, თუმცა ფაქტობრივ ვერ მოხერხდა ამ ტერმინთა საყოველთაოდ დამკვიდრება.

ერთი მაგალითი — **მწკრივის** მნიშვნელობით **ნაკვთის** შემოღების მცდელობისა — ზემოთ მოვიყვანეთ.

სხვაც არის მსგავსი შემთხვევა და ბევრი მათგანი — უდავოდ საინტერესო. ვთქვათ, ქცევის შემთხვევაში: არნ. ჩიქობავა თვლის, რომ ცნებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით უფრო მართებული იქნება ვიხმაროთ ტერმინები **სასუბიექტო** (= სათავისო) და **საობიექტო** (= სასხვისო). მწკრივის სახელები: **ნამყო ძირითადი** ან **ნამყო სრული**, **ნამყო უსრული**, **შედგებობრივი** ან **რეზულტატივი** და სხვა... ცხადია, ყოველ ასეთ შემთავაზებას აქვს ობიექტური საფუძველი, მაგრამ აკაკი შანიძის მიერ დამკვიდრებულ ტერმინებს კონკურენციას ვერ უწევს (მიზეზები ზემოთ ვთქვით).

მეოცე საუკუნეში ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება-განვითარებაზე როცა ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით გიორგი ახვლედიანის დამსახურებას ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ტერმინოლოგიის შექმნა-დამუშავებაში. დავასახელებთ რამდენიმე ფუნდამენტალურ ნაშრომს; ქართულ ენაზე გამოცემული ფაქტობრივ პირველი სახელმძღვანელოები ზოგადი ენათმეცნიერებისა და ზოგადი თუ კერძო ფონეტიკის დარგში:

1918 წელს გამოიცა სამი ნაკვეთი „ენათმეცნიერების შესავალი“; გამოცემა განმეორდა 1927 წელს.

1930 წელს გამოიცა — „ფონეტიკა. I. სამეტყველო ბგერა და წერა“ (კონსპექტი);

1932 წელს არნ. ჩიქობავას თანაავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების პრობლემატიკა და ზოგადი ფონეტიკა“;

განსაკუთრებული ღირებულებისა იყო 1938 წელს გამოცემული „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“; რომლის საფუძველზეც 1949 წელს გამოიცა ფუნდამენტური მონოგრაფია „ზოგადი ფონეტიკის საფუძველები“; რომლის მეორე გამოცემა გამოვიდა 1966 წელს სათაურით „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“... ფაქტობრივ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის გ. ახვლედიანის ეს წიგნები იყო ძირითადი სახელმძღვანელოები და როგორც გრამატიკის სფეროში ა. შანიძის სახელმძღვანელოები, ისე ფონეტიკის დარგში გ. ახვლედიანის დასახელებული (და არა მხოლოდ ესენი) ნაშრომები განსაზღვრავენ ამ დარგის განვითარებას საქართველოში.

საგანგებოდ გვინდა ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების“ 1923 წლის მეორე და მესამე ნომრებში გამოქვეყნებული „საენათმეცნიერო ტერმინოლოგია“. ეს ტერმინოლოგია განხილული და მიღებული იყო ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებულ საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ; დაიბეჭდა ამ საბჭოს წევრის გ. ახვლედიანის რედაქციით. სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად 1928 წელს გამოცემულ „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიას“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). თითო-

ეულ ნაწილში 1500-მდე ტერმინია მოცემული. ცხადია, ეს არ არის მხოლოდ ენათმეცნიერული, არის ლიტერატურისაც, თუმცა ზოგჯერ არ იმიჯნება (სტილი, სილისტიკა, სახე, ფორმა...), ამიტომ ცალკე ენათმეცნიერულის გამოყოფა არ ხერხდება. წიგნაკს აწერია: „ვამტკიცებ. ს.ს.რ. ცაკთან არსებული მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე“. სამწუხაროდ, ამ სატერმინოლოგიო კომიტეტის მუშაობის შესახებ მასალა ვერ მოვიძიე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კომიტეტი განიხილავდა (თუკი ფორმალური არ იყო ამგვარი კომიტეტი) საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ ტერმინოლოგიებს...

ფაქტია, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა გასული საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოებრივ დონეზე იყო აყვანილი.

ამ ტერმინოლოგიური ლექსიკონის განხილვა, იმდროინდელი საენათმეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება საინტერესო სურათს წარმოაჩენს; კერძოდ შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელ ტერმინთმემოქმედების პრინციპებზე. ვთქვით ზემოთ (გვ. 10), თუ რა ძირითადი სამი პრინციპი აიღო საფუძვლად. ზოგ მომენტს დავაზუსტებთ:

წინასწარ შევნიშნავთ: ჩვენს დასკვნებს არ ახლავს კატეგორიულობა იმის თაობაზე, როცა ვამბობთ ითარგმნა, ამ ლექსიკონის შედგენისას შესრულდა ეს, თუ იყო ასეთი ტერმინი და მოხდა მისი მისადაგება რუსულ ტერმინთან; ეს ხშირ შემთხვევაში მომავალი კვლევა-ძიების საგანია. პირობითობა ჩვენს მსჯელობას, ცხადია, ახლავს. ჩვენ უფრო მეტად პრინციპი გვაინტერესებს, როგორც ჩვენში საენათმეცნიერო ტერმინოლოგიური მუშაობის ერთი ეტაპი.

გვარაუდობთ, რადგანაც იმჟამინდელი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს განათლება ძირითადად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული, მათთვის საბაზო სამეცნიერო ენა რუსული იყო; ამიტომაც რუსული ენიდან ხდებოდა ტერმინების გადმოღება; თუმცა ეს მეტ-ნაკლებად პირობითია: უცხოური ენები (და მათ შორის ლათინურ-ბერძნული) მათთვის ასევე ხელმისაწვდომია. ჩვენ მაინც ვისაუბრებთ ქართულ და რუსულ ტერმინთა შესაბამისობაზე.

ა) რუსულ ენაში გამოყენებული უცხოური ტერმინები ორგვარად გადმოღის ქართულში: უცხოური სახითაც და ქართული თარგმნითაც:

Аккомодация — აკომოდაცია, შეგუება

Артикуляция — არტიკულაცია, ბგერათწარმოება

Ассимиляция — ასიმილაცია, დამსგავსება

Аугмент — აუგმენტი, ნამატი

Аффикс — აფიქსი, სართი

Преффикс — პრეფიქსი, თავსართი

Суффикс — სუფიქსი, ბოლოსართი

თუმცა ქართულმა ვარიანტმა ფეხი ვერ მოიკიდა:

Аналогия — ანალოგია, თანაგვარობა

Трифтонг — სამხმოვანა, ტრიფთონგი

Дифтонг — ორხმოვანა, დიფთონგი.

Евфемизм — კრძალულსიტყვაობა, ევფემიზმი...

არის შემთხვევები, როცა ტერმინი რჩება უცხოური, მაგრამ ქართული გაფორმებით:

Жестикулация — ჟესტიკულაცია, ჟესტიკულობა.

თუმცა ასეთი წარმოება ხელოვნურ ელფერს ატარებს და არ მკვიდრდება.

იყო შემთხვევები, როცა უცხოური ტერმინის თარგმნა, უფრო სწორად, ძველი ტერმინით ჩანაცვლება მოისურვეს, მაგრამ არ დამკვიდრდა:

გემინაცია — მრჩობლობა

გემინანტი — მრჩობელი თანხმოვანი...

კაუზატივი — მიზეზობრივი...

უცხოური ტერმინის გადმოღება ხდება ორი ვარიანტით —

Атрибутивный — ატრიბუტული, საატრიბუტო;

როგორც ჩანს, სატერმინოლოგიო კომისია ასეთ შემთხვევაში არჩევანის წინაშე აყენებს მომხმარებელს და დროის იმედზეა...

არის შემთხვევები, როცა უცხოურ ტერმინს რუსული სინონიმური ვარიანტი აქვს, ქართულში უცხოური ვარიანტი გადმოაქვთ:

Аспирация, Придыхание — ასპირაცია

უცხოური (იგულისხმება ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის) ტერმინები ძირითადად გადმოაქვთ უცხოურადვე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქართულ შესატყვისსაც მიუწერენ:

ანალოგია, თანაგვარობა

არტიკულაცია, ბგერათწარმოება.

ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში მკვიდრდება უცხოური, თუმცა არის საპირისპირო შემთხვევებიც:

Адвербиальный, Отглагольный — ადვერბალი, ზმნისმიერი, ნაზმნარი

Адноминальный, Отыменный — ადნომინალი, სახელისმიერი, ნასახე-ლარი...

მკვიდრდება ქართული ტერმინი.

არის შემთხვევები, როცა ერთადერთ ვარიანტად გვთავაზობენ უცხოურ ტერმინს:

ჰიპოტაქსი, პარატაქსი, გრაფემა, ფონემა, ფონეტიკა, ფორმანტი...

როცა რუსულში გვაქვს პარალელური ვარიანტები — უცხოური და რუსული, ქართულშიც ანალოგიური ვითარებაა:

Манускрипт, рукопись — მანუსკრიპტი, ხელნაწერი

Орфография, правописание — ორთოგრაფია, მართლწერა (გავიხსენოთ ანტონთან იყო ტერმინები — წესიერწერა და მართლუბნობა)

Алфавит, азбука — ალფაბეტი, ანბანი...

არის შემთხვევები, როცა რუსულში პარალელური ვარიანტებია — უცხოური და რუსული, ქართულში ერთადერთი შესატყვისი აქვს:

Нарратив, Повествовательный падеж — მოთხრობითი ბრუნვა.

ასეთი შემთხვევებიცაა, როცა უცხოურს რუსული ორი ვარიანტი შეესაბამება, ქართულში გვაქვს ორი — უცხოური და ქართული:

Лингвистика, языковедение, языкознание — ლინგვისტიკა, ენათმეცნიერება.

ძირითადია ქართული, თუმცა 50-იანი წლებიდან გააქტიურება ხდება უცხოური ტერმინისა — სტრუქტურალიზმის შემოსვლასთან დაკავშირებით — ლინგვისტიკა ძირითადად სტრუქტურალიზმს დაუკავშირდა.

არის შემთხვევა, როცა ქართულად გადმოაქვთ უცხოურიც, იძებნება რამდენიმე ქართული შესატყვისიც, მათ შორის ტრადიციულიც:

Артикл, Член — არტიკლი, ნაწევარი, წილაკი, ართრონი.

თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია (ოთხი ვარიანტი!).

არის შემთხვევები რუსული ტერმინების ორგვარი თარგმანისა:

Придаточное предложение — თანაწინადადება, დამოკიდებული წინადადება

Произношение — წარმოთქმა, გამოთქმა

Словоизменение — სიტყვათცვალეობა, სიტყვათცვლა

Сложное слово — სიტყვართული, რთული სიტყვა

Описательный — აღწერითი, აღწერილობითი.

მოგეხსენებათ, სინონიმური ვარიანტები ტერმინოლოგიაში ნაკლებად-საგულისხმო ამბავია, მაგრამ ტერმინოლოგიური კომისია, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევს იმას, ეს ტერმინები იმუამად მკვიდრდება და როცა არ არის მყარი არგუმენტები ვარიანტთაგან ერთ-ერთის სასარგებლოდ, სთავაზობენ ორივე ვარიანტს. ესეც საინტერესო პრინციპული მიდგომაა.

ჩვეულებრივ ერთი ქართული ვარიანტით ხდება გადმოღება:

Безличный глагол — უპირო ზმნა

Словообразование — სიტყვათწარმოება

Ударение — მახვილი

Частица — ნაწილაკი

არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე რუსული სიტყვის შესატყვისად ქართულში სხვადასხვა სიტყვა გამოიყენა

Косвенный вопрос — არაპირდაპირი კითხვა

Косвенный падеж — არასწორი ბრუნვა,

თუმცა მოგვიანებით ორივე შემთხვევისათვის სხვა სიტყვა მოიძებნა — ირიბი.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 20-იან წლებში ტერმინოლოგიური მუშაობა ენათმეცნიერების სფეროში მყარ მეცნიერულ საფუძველზე იდგარაც მთავარია, ეს მუშაობა იყო ინტენსიური და შედეგების (ამ შემთხვევაში შემუშავებული ტერმინების) დანერგვა — ხდებოდა განუხრელად. ტენდენცია აშკარა იყო: **ეროვნული მეცნიერება უნდა ყოფილიყო მკვიდრი ნაწილი საერთაშორისო მეცნიერებისა**, ამიტომაც ფაქიზად ეკიდებოდნენ საერთაშორისო ტერმინების დანერგვას, საკუთრივ ქართული ტერმინების შემუშავებისას. ამის კონკრეტული მაგალითი იყო სწორედ XX საუკუნის ქართველ ენათმეცნიერთა მოღვაწეობა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენში ფეხი მოიკიდა სტრუქტურულმა ენათმეცნიერებამ, რომელმაც, ცხადია, სიახლაც მრავლად შემოგვთავაზა. ამ თვალსაზრისით განუზომელია გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის დამოუკიდებელი (გამყრელიძე 1959; მაჭავარიანი 1965) თუ ერთობლივი (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965) ნაშრომები. სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ ითქვა: „ეს არის პირველი ნაშრომი ქართველური ენათმეცნიერების დარგიდან, დაწერილი ენობრივი ანალიზის სტრუქტურული მეთოდების თანმიმდევრული გამოყენებით და ამდენად — შესატყვისი ლინგვისტური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონისა“ (წერეთელი 1965, გვ. 029). ამ ნაშრომმა შეასრულა უდიდესი როლი ქართული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაში; შეიქმნა მძლავრი სკოლა სტრუქტურული ლინგვისტიკისა. ფაქტია, ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგია სწორედ რომ ღირსეული გაგრძელება იყო ტრადიციისა. ეს საკითხიც საგანგებო დაკვირვებას იმსახურებს.

ქართულ ენათმეცნიერებაში ამ ეტაპის საინტერესო ტერმინოლოგიურ ძიებად გვესახება 1974 წელს დასტამბული ბ. ქობალავას ნაშრომი „მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის“ (ქობალავა 1974). სამართლიანია ავტორის შენიშვნა: „სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობების, სკოლების არსებობით განპირობებულია სპეციფიკური ცნებებისა და შესაბამისი ტერმინების დიდი მრავალფეროვნება. ამიტომ თანდათან სულ უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების საჭიროება“ (ქობალავა 1974, გვ. 104). გლოსემატიკური თეორიის შესწავლა და, მით უმეტეს, ამ თეორიის მიხედვით კვლევა-ძიება შეუძლებელი

იყო ამგვარი ტერმინოლოგიური ლექსიკონის უქონლობის გამო. ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ „გლოსმატიკის ტერმინოლოგია საკმაოდ რთულია. აქ ლინგვისტიკაში საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინების გვერდით, რომლებიც გამოყენებულია მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით (მაგ.: აბლაუტი, მართვა, ნექსუსი და მისთ.), გვაქვს სპეციფიკური ტერმინოლოგია. მასში შედის როგორც ენათმეცნიერებაში უკვე არსებული, მაგრამ საკუთრივ გლოსმატიკური მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინები (მაგ., ტექსტი, ენა, რელაცია, ფუნქცია და მისთ.), ისე სრულიად ახალი ტერმინებიც (მაგ., გლოსემა, კენემატი და მისთ.). ჩვენ შევეცადეთ შეძლებისამებრ სრულად წარმოგვედგინა სწორედ სპეციფიკური გლოსმატიკური ტერმინები“ (ქობალავა 1974, გვ. 105).

ამ ლექსიკონში საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ თითოეულ ტერმინთან მიითითებულია მისი დანიური (მოგეხსენებათ, გლოსმატიკა მიჩნეულია კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლის თეორიად), ფრანგული, ინგლისური, გერმანული და რუსული შესატყვისობები.

საინტერესოა ის პრინციპი, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობდა გლოსემატიკური ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების შერჩევას (ფაქტობრივ, ეს არის ტრადიციული მიდგომა ტერმინოლოგიისადმი):

„1. უცვლელად იქნა დატოვებული ძვ. ბერძნულის საფუძველზე შექმნილი საკუთრივ გლოსემატიკური ტერმინები (მაგ., **გლოსემა**, **პლერემა** და მისთ.). ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ დაგვეცვა ბერძნული სიტყვების ქართულად გადმოცემის ტრადიცია (ამიტომაც ბერძნულისაგან ნაწარმოები ტერმინები გადმოცემულია როგორც **კენემა**, **კენი** და ა. შ. და არა როგორც **სენემა**, **სენი** და ა. შ.), ან აღგვედგინა ბერძნული ფორმა (ფრ. *lexic* — ქართ. **ლექსისი**). ასევე უცვლელად იქნა დატოვებული მრავალი უცხოური, მაგრამ ქართულ საენათმეცნიერო ან საერთოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები (**კატალიზი**, **სელექცია** და მისთ.).

2. ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ქართულში სათანადო უცხოური ტერმინი არ დამკვიდრებულა, ლექსიკონში წარმოდგენილია ან უბრალოდ მისი თარგმანი (დან. *plan*, ფრ. *phlan*, ინგლ. *plane*, გერმ. *Plan*, რუს. *план* — ქართ. **სიბრტყე**) ან ქართულის ნიადაგზე შექმნილი შესაბამისი ტერმინები (ფრ. *héteroplane* — გერმ. *heteroplane* — ქართ. **ნაირსიბრტყევი**; დან. *konstellation*, ფრ. *constellation*, ინგლ. *constellation*, რუს. *констелляция* — ქართ. **თავსებადობა**) (ქობალავა 1974, გვ. 107).

ვიმეორებთ, ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ **როგორ უნდა მოხდეს ტრადიციების გაგრძელება ტერმინოლოგიურ საქმიანობაში**. ამ პრინციპებით არის შემუშავებული და დადგენილი 306 ტერმინი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია თითქოსდა იკარგება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით **ბოლო ათწლეულში, სრულიად უკონტროლო გახდა საენათმეცნიერო ტერმინოლოგიასთან დამოკიდებულება.** ენათმეცნიერების ახალი დარგების განვითარებამ ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ენობრივი უნივერსალები, ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა (გამყრელიძე, 2003, გვ. 399-487) — საკმაოდ რთული პრობლემები შეგვიქმნა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ამას რამდენიმე პირობა აქვს:

ა) 90-იან წლებამდე სავალდებულო იყო, ნებისმიერი ტერმინოლოგიური ლექსიკონი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დასტურით გამოცემულიყო. გამომცემლობას არ ჰქონდა უფლება, დაესტამბა ტერმინოლოგიური ლექსიკონი ამგვარი გზის გავლის გარეშე;

ბ) არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელიც ასევე ნორმატული ხასიათის ენობრივი აქტების გამოცემას აქცევდა ყურადღებას. 90-იან წლებში საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა ნორმირებასთან დაკავშირებული ენობრივი პრობლემები, მაგრამ ამ კომისიამ ვერ იმუშავა და დღეს აღარც მოქმედებს...

ყოველივე ეს ქმნის საფუძველს ტერმინოლოგიური ქაოსისათვის. იმისდამიხედვით, თუ რომელი ენების შესახებ არის საუბარი, რომელი ენიდან მოიხმობს მასალას, რომელი ენიდან იმოწმებს ლიტერატურას, ტერმინებიც ინდივიდუალური წესით გადმოაქვთ. არ ხდება ტერმინთა განმარტება, ახსნა... ზოგჯერ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი იქნა გამოყენებული ანდა ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა ფორმა (დისკურსი, დისქორსი...)...

2003 წელს გამოიცა აკად. თ. გამყრელიძის რედაქციით „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ (გამყრელიძე 2003), რომელსაც ერთვის საგნობრივი საძიებლები. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სიტყვანი ლინგვისტური ტერმინოლოგიური ლექსიკონისათვის. ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული... წინააღმდეგ შემთხვევაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობიდან გამოსვლა ვერ მოხდება. თუ რამდენად რთულია ვითარება და პრობლემების წინაშე დგება მკითხველი, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ თანამედროვე ლინგვისტური ნაშრომებიდან: „მოქმედების სახეობის აღმნიშვნელი ზმნების (Artionsart) გაერთიანებამ მათი სემანტიკის მიხედვით მოგვცა სხვა ჯგუფი. ისინი გამოხატავენ:

1. ინტერატიულობას (interative verben) — განმეორებად მოქმედებას
2. მუტატიურობას (mutative verben) — მოქმედების შეცვლას
3. ინგრესიულობას (ingressive verben) — მოქმედების ფაზას
4. დურატიულობას (darative verben) — განგრძობითობას

5. ეგრესიულობას (*egrassive verben*) — მოქმედების დასრულებულობას
6. ორნატიულობას (*orative verben*) — რამით რამის აღჭურვას
7. ინხოატიურობას (*inchoative verben*) — მდგომარეობის შეცვლას
8. ატენატიურობას (*atenative verben*) — მოქმედების ფაზების აღნიშვნას“
(ბოლქვაძე 2005, გვ. 58).

ამ შემთხვევაში საგულისხმო რამ არის: რამდენად ზუსტია და სწორი ქართული გამოხატულება ტერმინისა. მაგ.: ადრე იყო გამოყენებული ტერმინი **დიურატიული**, გვთავაზობენ **დიურატულობას**; მნიშვნელობა იდენტურია (განგრძობითი), მით უმეტეს, დიურატიული არ დამკვიდრდა მისი ქართული შესატყვისის წყალობით. ანდა, გვთავაზობენ **ინხვატივს**, იყო ადრე ტერმინი **ინხოატივი** და მისთანანი. თუ ქართული განმარტებები ზუსტია, მაშინ საჭირო იყო თუ არა უცხოური ტერმინის გადმოტანა და მისთანანი.

სხვა მაგალითი:

„ნაშრომის მეცნიერული სიახლეა: 1. ინფერენცისა, როგორც ტექსტის დახურულობასა და ღიაობაზე დაფუძნებული კოგნიტური პროცესის კვლევა; 2. ინფერენცის, როგორც კოჰერენცის ერთ-ერთი გამოვლინების კვლევა. იმპლიციტური კადაფორის გამოვლენა“...

„ნაშრომი ასახავს ტექსტის ონტიურ თვისებებს“. „რეფერენცია — კოჰეზიისა და კოჰერენცის არსებობის ფუნდამენტი...“ (შარაშენიძე 2006).

ანდა:

„მაშასადამე, ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოსომატური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია, მისი ონტოლოგიის აღწერა განაპირობებს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ პროტოტიპულ მოდელს (ფრეიმებს)“... (სიორიძე 2005, გვ. 212).

ერთი მაგალითიც: „მთლიან ტექსტში პუნატირების სიმძიმე გადატანულია გრაფემებზე, კერძოდ მაიუსკულით ჩაწერილი კონექტორი „რომ“, ერთი მხრივ, ტექსტის დელიმიტაციას ახდენს; მეორე მხრივ, ის დანარჩენ ორ კონექტორთან ერთად ტექსტის კოჰერენტულობას განაპირობებს... დასახელებული კონექტორის მაიუსკულით გაფორმებამ, ბუნებრივია, ორთოგრაფიული ცვლილება განაპირობა; მინუსკული „ყ“ შეცვალა „შ“ მაიუსკულმა“ (ქიმერიძე 2003, გვ. 8).“

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება გაგრძელდეს. ჩვენ ხელთა გვაქვს ბოლო ათწლეულში დაცული 100-ზე მეტი დისერტაციის ავტორეფერატი, სამეცნიერო გამოცემების „ენათმეცნიერების საკითხებისა“ ნომრები და „საენათმეცნიერო ძიებანის“ ოცი ტომი. სურათი ნამდვილად ყურადღებამისაქცევია. იშვიათია შემთხვევა ტერმინოლოგიური კვლევა-ძიებისა ამ მხრივ. ჩვენ გვესმის, რომ თანამდეროვე ენათმეცნიერებას აქვს თა-

ვისი მოთხოვნები, მაგრამ ასეთივე მოთხოვნები ჰქონდა თავის დროზე ნებისმიერი ეპოქის თანამედროვე მეცნიერებას. ხდებოდა ამ მოთხოვნათა გათვალისწინებაც და ქართული ინტერესების დაცვაც. ამის თაობაზე ზევით ვისაუბრეთ.

ნაკლებად (ან არ) ხდება ტრადიციის გათვალისწინება. თუმცა ამის სასიკეთო მაგალითები დღესაცაა — ზემოდასახელებული „თეორიულ ენათმეცნიერების კურსი“. ცნობილია, რომ ბგერის წარმოქმნის სამი ფაზის აღმნიშვნელი ტერმინები ქართული იქნა შემოღებული და დამკვიდრებული, თუმცა ლათინურიც გამოიყენება: ექსკურსია — შემართვა, რეკურსია — დამართვა და დაყოვნება. საჭიროებამ მოითხოვა და კონკრეტულად ხშულთა მიმართ — ხშულთა შემართვის, ხშვის, დაყოვნებისა და განხშვის აღმნიშვნელად ფრანგული წარმოშობის ტერმინები გადმოიტანეს: იმპლოზია, ოკლუზია და ექსპლოზია (გამყრელიძე 2003, გვ. 85). ამავე სახელმძღვანელოში არის არაერთი საინტერესო მაგალითი ტერმინთშემოქმედებისა: **შეწონითი ხშული, წკლაპუნა** ბგერები (ინგლისური clicks-ის შესაბამისი) (გამყრელიძე, 2003, გვ. 84).

ასე რომ, ათეული წლებით (შეიძლება ითქვას, საუკუნეობით) განმტკიცებული **ტრადიცია** საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულები-სა **შებრუნებულ ხასიათს იღებს**. ქართული ენათმეცნიერების განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი პირობა ქართული ტერმინოლოგიის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარებაცაა.

ლიტერატურა

აბულაძე 1940 — ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები I. ზ. შანშოვანი; სახ. მუზ. მოამბე, X, 1940.

აბულაძე 1964 — ი. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრ. ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, 1964.

ანტონი 1997 — ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, 1997.

ბერიძე 1952 — ვ. ბერიძე, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952. ვიმოწმებთ რ. ლამბაშიძის წიგნიდან (იხ. ლამბაშიძე, 1986).

ბოლქვაძე 2005 — მ. ბოლქვაძე, ზმნის უნივერსალური და სპეციფიკური თავისებურებები გერმანულსა და ქართულ ენაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, 1959.

გამყრელიძე 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ლ. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, 2003.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965.

„დროება“ — გაზეთი „დროება“.

თავზიშვილი 1938 — გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკ. I, 1938.

იორდანიშვილი 1968 — ლ. იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები: იკე, XVI, 1968.

კარიჭაშვილი 1930 — დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930.

კახაძე 1947 — მ. კახაძე, ბასილი დიდი — ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, 1947.

მაჭავარიანი 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემები, 1965.

მელიქიშვილი 1975 — დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975.

რაფავა 1983 — მ. რაფავა, ამონიოს ერმიანის თხზულებები ქართულ მწერლობაში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მ. კეჭაყმაძემ და მ. რაფავამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფავამ, 1983.

სარჯველაძე 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.

სიორიძე 2005 — მ. სიორიძე, ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.

ფოცხიშვილი 1995 — ა. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, 1995.

ქართ. ენც. 3 — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 1978.

ქაროსანიძე 2006 — ლ. ქაროსანიძე, ნარკვევები ძველი ქართული გრამატიკულ ტერმინთა ისტორიაში, 2006.

ქიმერიძე 2003 — ნ. ქიმერიძე, გრამატიკულ-გრაფიკულად ბუნტირებული ტექსტების ლინგვისტური ინტერპრეტაცია, 2003.

ქურციკიძე 1983 — ც. ქურციკიძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, 1983.

ღამბაშიძე 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, 1986.

ყაუხჩიშვილი 1940 — ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის წყაროები: ი. პეტრიწის შრომები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1940.

შალამბერიძე 1966 — გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, 1966.

შანიძე 1920 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920.

შანიძე 1930 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1930.

შანიძე 1941 — А. Шанидзе, Категория ряда в глаголах: ენიკის მოამბე, X, 1941.

შანიძე 1942 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, 1942.

შანიძე 1943 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, 1943.

შანიძე 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.

შანიძე 1955 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1955.

შანიძე 1962 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1962.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, თხზულებები, ტ. II, 1981.

მ. შანიძე 1990 — მ. შანიძე, სიტყუაჲ ართრონთათჳს — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, 1990.

„შრომა“ — გაზეთი „შრომა“.

ჩიქობავა 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჩიქობავა 1962 — არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა და ჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, 1962.

ჩიქობავა 1965 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965.

ძიძიგური 1963 — ილია ჭავჭავაძე და ქართული ლექსიკა: მნათობი, № 1, 1963.

ჯავახიშვილი 1971 — ი. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის: თსუ შრომები, B 1(138), 1971.

ჯორბენაძე, 1981 — ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1981.

Georgi Gogolashvili

Issues of Modern Standard Georgian

2. Formation and Development of Technical Terminology

S u m m a r y

The technical terminology of the Georgian language has had an interesting and age-long history.

There has survived the Grammar Treaty of the second half of the 11c; grammar was one of the essential subjects at Gelati Academy (12 c) Anton Bagrationi 's works (18c) are of great value.

However, only few grammar works have survived.

The coinage of technical terminology was of an intensive character at the beginning of the 20c;: at first at St. Petersburg university in the works of Georgian scholars and later at Tbilisi State University. The role of Akaki Shanidze should be particularly stressed. However, in recent years

there has been a tendency of non- motivated substitution of Georgian terms by foreign ones. This reversed process might bring about undesirable results.

ლალი ეზუგბაია

უღლების პარადიგმატული ტიპები მეგრულში

ქართველური ენების სტრუქტურული ანალიზის საუკუნოვანი ისტორია და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა კომპლექსურად განვიხილოთ ზმნის გრამატიკული კატეგორიები უღლების პარადიგმატული ტიპების მიხედვით.

ქართველური ზმნის უღლების სისტემის კვლევისას პრობლემატურია ზმნური გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად, რაც გამოწვეული იყო ენაში ფუნქციურისა და სტრუქტურული გარჩევის აუცილებლობით. თუმცა ეს არ ეწინააღმდეგება დებულებას, რომ ყოველი სიტყვაფორმა არის გამოხატულებისა და შინაარსის პლანის ერთობლიობა. ამიტომაც თანამედროვე ლინგვისტიკაში სტრუქტურალიზმის კვალდაკვალ აქტუალური ხდება ფუნქციონალიზმი, რომლის ერთ-ერთი პოსტულატი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: დერივაცია და ფლექსია არ გამოირიცხავს ერთმანეთს; თითოეული მათგანი სიტყვათქმნადობის კონტინიუუმის ორი სხვადასხვა მხარეა.

ცხადია, ზმნის პირიანი ფორმის ანალიზი უნდა ემყარებოდეს როგორც სტრუქტურას, ასევე მორფემათა ფუნქციასაც, რაც გრამატიკული კატეგორიების არსს განსაზღვრავს. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების **აქტანტურ, ატრიბუტულ და კონექტურ** კატეგორიებად კლასიფიკაცია ითვალისწინებს ზმნური პარადიგმის ყოველი სიტყვაფორმის, როგორც შინაარსისა და გამოხატულების ერთობლიობის, ანალიზს (უთურგაიძე 2002, გვ. 84-89). აქტანტური კატეგორიები ზმნის პირს უკავშირდება, ხოლო აქტანტთა ფუნქციების განსხვავებული კომბინირებით იქმნება კონექტური კატეგორიები. შესაბამისად, „მწკრივთა მიხედვით ზმნური ფორმაცვალების ტიპების გამოყოფისთვის საჭიროა **ერთდროულად განისაზღვროს** გვარის, ქცევისა და კაუზაციის სახეები... ზმნის ფორმამ რომ კონკრეტული სახე მიიღოს, საჭიროა განისაზღვროს სამივე კონექტური კატეგორია, კერძოდ, ამ კატეგორიათა კონკრეტული სახეობები მოცემულ ზმნაში, ზმნათა მოცემულ ტიპში. მაგალითად: მოქმედებითი გვარი, ნეიტრალური ქცევა, უშუალო კაუზაცია — ეს უკვე იძლევა კონკრეტულ ფორმებს,

როგორცაა: წერს, აშენებს, კვეთს და ა. შ. ამის შემდეგ შეიძლება თითოეული მათგანის უღლება მწკრივთა მიხედვით“ (უთურგაიძე 2002, გვ. 81-82).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უღლებს პარადიგმატული ტიპები აერთიანებენ სამი სახის პარადიგმას: 1. **მცირე პარადიგმას** — ესაა კონექტურ კატეგორიათა ყველა სახეობის გათვალისწინებით შექმნილი პარადიგმა. მაგალითად, მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევა (**ა-კეთ-ებ-ს** ტიპი) და ა. შ. 2. **დიდი პარადიგმას**, როცა ამოსავალია რომელიმე კონექტური კატეგორია და აერთიანებს ყველა დანარჩენს. მაგალითად, მოქმედებითი გვარის ყველა იმ ქცევისა და კაუზაციის ფორმა, რომელიც კი მას გააჩნია, ვთქვათ, **წერ-ს** ტიპის შემთხვევაში წერ-ს, ი-წერ-ს, უ-წერ-ს, ა-წერ-ს, ა-წერინ-ებ-ს ფორმათა პარადიგმები; 3. **სრულ პარადიგმას** — ის მოიცავს ამა თუ იმ ზმნის ყველა გრამატიკულ ფორმას შეუზღუდავად გვარის, ქცევის, კაუზაციის კონკრეტულ სახეობათა მიხედვით.

სრულ პარადიგმებში მცირე და დიდ პარადიგმათა გაერთიანება ემყარება აქტივ-პასივის კონვერსიულ მიმართებას. როგორც ცნობილია, გვარის კატეგორიის მიხედვით ფორმათა წარმოების დიაქრონიული იერარქია ასეთია: მედიუმი → აქტივი → პასივი. შესაბამისად, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება პასივთა გაჩენის შემდეგ, რაც არის მიზეზი სწორედ **ვნებითის** მარკირებისა. ცხადია, აქტივი → პასივი მიმართება კონვერსიის ფაქტია და ის ერთნაირად დამახასიათებელია ქართველური ენების ზმნური სისტემისთვის. ამავე დროს კატეგორიათა ფუნქციონირება ურთიერთშეპირობებულია — ხდება გარკვეული დაშვება ან შეზღუდვა, რომელთა განხილვა აუცილებელია უღლებს სისტემის სრული აღწერისათვის. კერძოდ, კატეგორიათა მარკირების, მორფემების ზღვარზე მიმდინარე ფონოლოგიური პროცესები განაპირობებენ მორფონოლოგიურ ვარიანტულობას, რაც ძირითადად ორი მიმართულებით აისახება: ა) ფუძის ცვლა, ბ) მორფემათა ცვლა.

მეგრულში ზმნის აქტივ-პასივის უღლებს პარადიგმების შეპირისპირება გამოავლენს კიდევ ერთ თავისებურებას. პარადიგმის (I, II, III სერია) ფარგლებში ფუძის ან თემატური ნიშნის ცვლა არის შედეგი, ერთი მხრივ, ისტორიულად დასრულებული პროცესის — აბლაუტისა, მეორე მხრივ, უნიფიკაციისა. ცნობილია, რომ მეგრულში მოქმედებითი გვარის ზმნა აწმყოში **ყოველთვის დაირთავს** თემის ნიშანს. ესენია: **-ან, -ენ, -უნ, -ვნ**. მათი წარმომავლობა სხვადასხვა ზმნაში განსხვავებულია (ჩიქობავა 1936, გვ. 131—134; ლ. ნადარეიშვილი 1964; ქირია 2000), რაც თავს იჩენს კიდევ უღლებს პარადიგმაში, კერძოდ, აქტივის (მოქმედებითის) თურმეობითებში, ასევე კონვერსიული პასივის პარადიგმასა და მასდარებშიც. შეიძლება ითქვას, რომ ფუძისა და თემის ნიშნის განაწილება პარადიგმებში დაკავშირებულია, ერთი მხრივ, კონექტური კატეგორიების ურთიერთმიმარ-

თეხასთან, მეორე მხრივ, ფონოლოგიურ პროცესებთან, რაც უფლებას გვაძლევს, ვისაუბროთ **უღლების მორფონოლოგიურ ტიპებზე**. ტიპების საკლასიფიკაციო ნიშნებია:

- ა) აქტივის კაუზატიური ფორმა: ნეიტრალური, პირველადი, მეორეული;
- ბ) კონვერსიული პასივის (ვნებითი) ყალიბი: პრეფიქსული, სუფიქსური, უნიშნო;
- გ) ფუძის სტრუქტურა: გახმოვანებული, გაუხმოვანებელი (იგულისხმება აწმყოსა და წყვეტილის საერთო ფუძე);
- დ) მასდარული ფუძის მიმართება პარადიგმის ფუძესთან;
- ე) თემის ნიშნის განაწილება აქტივ-პასივის პარადიგმებს შორის.

1. უღლების ტიპების პირველ ჯგუფს ქმნის მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ზმნები. როგორც წესი, ესაა ხმოვანი პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი თემისნიშნისანი ფორმები. ამ ჯგუფში გამოიყოფა შემდეგი ტიპები:

1. 1. გახმოვანებული ფუძე, უთემისნიშნო პრეფიქსული ვნებითი; მასდარი — **უა** დაბოლოებით, რომელშიც **უ** ელემენტი მასდარის მაწარმოებელი ზანური მოდელის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ. შდრ.: ო-გორ-უ || გორ-უ-ა. აქტივის პარადიგმაში თემის ნიშანი აწმყო-მყოფადშია წარმოდგენილი, ხოლო პასივის პარადიგმაში — არსად.

A: გორ-უნ-ს	„ეძებს“
დო-გორ-უ	„მოძებნა“
დო-უ-გორ-უ(ნ)	„მოუძებნია“
P: ი- გორ-უ(ნ)	„იძებნება“
დი-გორ-უ/გ	„მოიძებნა“
დო-გორ-ე(ნ)	„მოძებნილა“

მასდარი: **გორ-უ-ა**

1. 2. გაუხმოვანებელი ფუძის მქონე; თემისნიშნისანი პრეფიქსული ვნებითი. ვნებითის თემის ნიშანი წარმოდგენილია მასდარშიც და აქტივის თურმეობითშიც.

A: დგ-უნ-ს	„დგ-ამ-ს“
დო-დგ-უ	„და-დგ-ა“
დო-უ- დგ-უმ -უ(ნ)	„და-უ-დგამს“
P: ი- დგ-უმ -უ(ნ)	„იდგმება“
დი-დგ-უ/გ	„დაიდგა“
დო- დგ-უმ -ე(ნ)	„დამდგარა“
მასდარი: დგ-უმ-ა	„(და)დგმა“

1. 3. გაუხმოვანებელი ფუძე; პრეფიქსული თემისნიშნის ვნებით; ვნებითის თურმეობითში დასტურდება მასდარისეული თემის ნიშანი.

- A: **ზ-ან-ს** „ზელს“
 დო-ზ-უ „(მო)ზილა“
 დო-უ-ზ-უ(ნ) „(მო)უზელია“
 P: **ი-ზ-უ-აფ-უ(ნ)** „იზილება“
 დი-ზ-უ/გ „მოიზილა“
 დო-**ზ-ელ-ე(ნ)** < *დო-**ზ-ალ-ე(ნ)** || დო-ზ-ე „მოზელილა“
 მასდარი: **ზ-ალ-ა** „მოზელა“

1. 4. ამ ტიპში შემოდის ზმნები, რომელთა მასდარი სპეციფიკური წარმოებისაა. კერძოდ, **-ირ** სუფიქსით ნაწარმოები მასდარები, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანია, თუმცა მეგრულისთვის დამახასიათებელი და იმ რიგისაა, როგორცაა **-ალ, -ულ, -ინ, -ონ** სუფიქსებით წარმოქმნილი ე. წ. პირველადი მასდარები: **ციდ-ირ-ი**, „ყიდვა“, **კითხ-ირ-ი** „კითხვა“ შდრ.: **ფირთნ-ინ-ი** „უფერულად გამოიყურება“, **ბურდდ-ინ-ი** „ბურდდუნით ლაპარაკი“... აღსანიშნავია, რომ **-ირ** სუფიქსს მოქმედებითი გვარის აწმყოში ენაცვლება **-ულ** სუფიქსი, რაც ქართულის გავლენა ჩანს. მაგალითად, **კითხ-ირ-ი** აწმყოში წარმოდგენილია შემდეგი სახით: **კითხ-ულ-ენ-ს** შდრ. **კითხ-ულ-ობ-ს**. ამავე მასდარს მეორე პარადიგმაც ექნება, კერძოდ, **კითხ-ენ-ს** „ჰ-კითხ-ავ-ს“ ზმნისა. ამჯერად, ამ ტიპში **კითხ-ულ-ენ-ს** ზმნის პარადიგმა გაერთიანდება.

- A: **კითხ-ულ-ენ-ს** „კითხულობს“
 ქი-კითხ-უ/გ „წაიკითხა“
 ქო-უ-**კითხ-ირ-უ(ნ)** „წაუკითხავს“
 P: **ი-კითხ-ირ-უ-აფ-უ(ნ)** „იკითხება“
 ქი-კითხ-ირ-უ/გ „წაკითხულ იქნა“
 გვენო-**კითხ-ირ-აფ-ე(ნ)** „(გადა)კითხულა“

როგორც ვხედავთ, აქტივის პარადიგმაში ერთმანეთს ენაცვლება სამი ფუძე: **კითხულ-, კითხ-, კითხ-ირ-**. პასივში კი გადადის **კითხ-ირ-** ფუძე, რომელიც **-აფ** თემის ნიშნით ფორმდება, განსხვავებით აქტივის **-ენ** სუფიქსისაგან.

1. 5. ცნობილია, რომ ზანურში მასდარის ერთი ჯგუფი ასახავს ისტორიული აბლაუტის შედეგებს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთგზის აღუნიშნავთ, აბლაუტის პროცესი მეგრულში იმგვარივე ხასიათისაა, როგორც ქართულში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965). ერთი მხრივ, აქტივის პარადიგმაში წარმოდგენილია **ი** გახმოვანების ფუძე: **შქი-რიტ-**, ხოლო ვნებითის თურმეობითსა, მასდარსა და მიმღეობაში **ა** გახმოვანების ფუძე **შქირატ-**, მეორე მხრივ, ვნებითის პარადიგმაში თავს იჩენს

რედუცირებული ფუძე **შქირტ**: როგორც წესი, თემის ნიშანი აქტივის აწმყოში დაჩნდება.

A: შქირტ -უნ-ს	„აქრობს“
დო-შქირტ-უ	„ჩააქრო“
დო-უ-შქირტ-უ(ნ)	„ჩაუქრია“
P: შქირტ -უ(ნ)	„ქრება“
დო-შქირტ-უ/გ	„ჩაქრა“
დო- შქირატ -ე(ნ)	„ჩამქრალა“

მასდარი: **შქირატ**-ა || **შქირატ**-უა || **შქირტ**-უა

1. 6. ამ ტიპშიც გაერთიანდება აბლაუტური ზმნები, მაგრამ სხვაობა თავს იჩენს ვნებითის პარადიგმაში. განსხვავებით წინა ტიპის რედუცირებული ფუძისა, ვნებითის აწმყო-წყვეტილში მოქმედებითის **ი** განმთვანების ფუძეს ენაცვლება **ო** განმთვანების ფუძე. მაგალითად, ჰყვიდ-უნ-ს „წყვეტს“, ჰყორდ-უ(ნ) „წყდება“. როგორც ჩანს **ო** < **ვა**, ხოლო **რ** ელემენტი ფუძეში განვითარებულია. აღსანიშნავია, რომ **ჰყვიდ**- ფუძის პარალელურად თავისუფლად გამოიყენება **ჰყვად**- ფუძეც შესაბამის მწკრივებში.

A: ჰყვიდ -უნ-ს ჰყვად -უნ-ს	„წყვეტს“
გო-ჰყვიდ-უ გო-ჰყვად-უ	„გაწყვეტა“
გო-უ-ჰყვიდ-უ(ნ) გო-უ-ჰყვად-უ(ნ)	„გაუწყვეტია“
P: ჰყო ^რ დ-უ(ნ)	„წყდება“
გო-ჰყო ^რ დ-უ/გ	„გაწყდა“
გო-ჰყვიდ-ე(ნ) გო-ჰყვად-ე(ნ)	„გაწყვეტილა“

მასდარი: **ჰყვადა** || **ჰყვიდა**
ჰყვადუა || **ჰყვიდუა**

2. უღლების პარადიგმების მეორე ჯგუფს წარმოადგენს პირველადი კაუზაციის ზანური მოდელით გაფორმებული ზმნები. კერძოდ, ზმნური ფუძის წინ დგას **ო** ხმოვანპრეფიქსი, ხოლო ფუძის მომდევნოდ წარმოადგენილია თემის ნიშნები: -ან/-ენ/-ენ-უნ.

2. 7. ამ ტიპში გაერთიანდება გაუხმოვანებელი ფუძის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნა, რომლის კონვერსიული ვნებითი პრეფიქსული წარმოებისაა და თემის ნიშანს არ დაირთავს.

A: ო-რძღან -ს	„აძღობს“
და-რძღ-უ	„გააძღო“
დო-უ- რძღ-აფ -უ(ნ)	„გაუძღვია“
P: ი-რძღ -უ(ნ)	„ძღება“
დი-რძღ-უ/გ	„გაძღა“
დო- რძღ -ე(ნ)	„გამძღარა“

მასდარში, რა თქმა უნდა, თავს იჩენს A-ის თურმეობითი დადასტურებული -ავ თემის ნიშანი: **რძდ-ავ**-ა, თუმცა **-ალ** სუფიქსიანი ფორმაც დასტურდება: **რძდ-ალ**-ა.

2. 8. გახმოვანებული ფუძის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნების ერთი ტიპი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მეორეული წარმოების კაუზ-ტივები, რომლებშიც დაჩნდება უ სუფიქსი, იგივე ისტორიული თემის ნიშანი. ესაა ე. წ. უნიშნო ვნებითის ზმნები ძველ ქართულში არსებული გან-ვ-ტეფ ტიპისა, რომელიც უძველესი წარმოებისაა (მაჭავარიანი 1959).

- A: ო-**ტიბ-უ**-ან-ს „ათბობს“
- გა-ტიბ-უ „გაათბო“
- გო-უ-**ტიბ-უ-ავ**-უ(ნ) „გაუთბია“
- P: **ტიბ-უ**(ნ) „თბება“
- გო-ტიბ-უ/გ „თბება“
- გო-**ტიბ-ავ**-ე(ნ) „გამთბარა“

მასდარი: **ტიბ-ავ-ა**.

2. 9. ითვლება, რომ დ-ონიანი ვნებითი იშვიათად გამოიყენება მეგრულში და ისიც ქართულის გავლენით ჩანს გაჩენილი (ჩიქობავა 1936, 114). საკუთრივ ქართულშიც აზრთა სხვადასხვაობაა (ქავთარაძე 1954, 310-311; მაჭავარიანი 1953, 15; ნოზაძე 2008, 5). თუმცა ტენდენცია დ-ონიანი წარმოების გაფართოებისა შესამჩნევია.

ეს უფრო ითქმის კაუზაციის ქართული მოდელის მიხედვით სახელური ფუძეებიდან ზმნების წარმოებისას: **ა-ჭითარ-ენ-ს : ჭით-ონ-დ-უ** (იხ. ქვ.) ზანური მოდელის გამოყენების შემთხვევები უფრო მცირეა და ამიტომაც ნაკლებად თვალში საცემია დონიანი ვნებითის ფორმებიც:

- A: ო-**რჩქინ-ან**-ს „აჩენს“
- გა-რჩქინ-უ „გააჩინა“
- გო-უ-რჩქინ-უ(ნ) „გაუჩენია“
- P: **რჩქინ-დ-უ**(ნ) „ჩნდება“
- გო-რჩქინ-დ-უ/გ „გაჩნდა“
- გო-რჩქინ-ე(ნ) „გაჩენილა“

მასდარი: (გო)-**რჩქინ-ა** „გაჩენა“

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ფარგლებში თემის ნიშანი მხოლოდ A-ის აწმყოს მწკრივში დაჩნდება, სხვა მხრივ ერთი და იგივე ფუძეა წარმოდგენილი როგორც ზმნაში, ასევე მასდარში.

2. 10. მეგრულში არსებობს -ინ, -ონ სუფიქსით ნაწარმოები ე. წ. პირველადი მასდარები, რომელთაგან იწარმოება ზმნის პირიანი ფორმები (ნადარეიშვილი 1964, 280). მაგალითად, **პირჭინი** „თვალის ჭყეტა“ მასდარისგან მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმა იწარმოება კაუზაციის **ო-უ-ან** ყალიბით: **ო-პირჭინ-უ-ან-ს** „თვალს დააჭყეტს“, შდრ. საშუალო გვარის

ფორმა: **ო-პირჭინ-ან-ს** „თვალი აქვს დაჭყეტილი“. კონვერსიულ დ-ონიან ვნებითში მასდარის ფუძეში ცვლილება ხდება: **პირჭონ-დ-უ(ნ)** „თვალდაჭყეტილია“. იგივე ფუძე გადაწყვება წყვეტილშიც, მაგრამ I თურმეობითში დაჩნდება პირველადი მასდარის ფუძე: **გო-პირჭინ-აფ-ე(ნ)** „დაჭყეტილა“. მაშასადამე, ცალკე შეიძლება გამოიყოს -ინ სუფიქსიანი მასდარული წარმოების მეორეული ზმნების პარადიგმატული ტიპი:

A: ო-პირჭინ-უ-ან-ს	„თვალს დაჭყეტს“
გა-პირჭინ-უ	„თვალი დაჭყიტა“
გო-უ- პირჭინ-უ-აფ-უ(ნ)	„თვალი დაუჭყეტია“
P: პირჭონ-დ-უ(ნ)	დაიჭყიტება“
გო-პირჭონ-დ-უ/გ	„დაიჭყიტა“
გო- პირჭინ-აფ-ე(ნ)	„დაჭყეტილა“

მასდარი: **პირჭინი, პირჭინ-უ-ა.**

2. 11. გამოიყოფა მორფონოლოგიური ტიპი სონორზე დაბლოებული განმოვანებული ფუძის მქონე ზმნისა, რომლის კონვერსიული ვნებითი დ-ონიანი წარმოებისაა.

A: ო-რგილ-უ-ან-ს	„აციებს“
გა-რგილ-უ	„გააცია“
გო-უ- რგილ-უ-აფ-უ(ნ)	„გაუციებია“
P: რგი-დ-უ(ნ) < *რგილ-დ-უ(ნ)	„ცივდება“
დო-რგი-დ-უ/გ	„გაცივდა“
დო- რგილ-აფ-ე(ნ)	„გაციებულა“

მასდარშიც -აფ თემის ნიშანია ისევე, როგორც A-ისა და P-ის თურმეობითებშია: **რგილ-აფ-ა.**

2. 12. აღსანიშნავია აბლაუტური ფუძეები, რომელთა ვნებითების პარადიგმაში ფონოლოგიური პროცესი ისეა წასული, რომ ფუძის შიგნით მთელი მარცვალა ამოვარდნილი:

A: ო-სქილიდ-უ-ან-ს	„არჩენს“
და-სქილიდ-უ	„მორჩინა“
დო-უ- სქილიდ-უ-აფ-უ(ნ)	„მოურჩენია“
P: სქიდ-უ(ნ)	„რჩება“
დო-სქიდ-უ/გ	„მორჩება“
დო- სქილად-ე(ნ)	„მორჩენილა“

სქილიდ ფუძის რედუცირებული ფორმა იქნებოდა ***სქილდ**, შდრ.: **ღირიკ ~ ღირკ, შქირიტ ~ შქირტ. -ლდ** ბოლოკიდური მიმდევრობა გამარტივდა და დარჩა **დ: სქიდ**, შესაბამისად, A—P-ში დასტურდება ფუძეები: **სქილიდ, სქიდ < *სქილდ, სქილად**. ეს უკანასკნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, გვხვდება მასდარშიც: **სქილადა** „მორჩენა, დარჩენა“.

2. 13. იშვიათად, მაგრამ მეგრულში დასტურდება **-ოლ** სუფიქსიანი

ი-ქნევ-ს ~ მო-ი-ქნი-ა < *მო-ი-ქნივ-ა
 ა-ძლევ-ს ~ შე-ა-ძლი-ა < *შე-ა-ძლივ-ა
 პარადიგმატული ტიპი ასე გამოიყურება:

A: ა- რძ-ენ -ს ამ-რზ-ენ-ს	„აძლევს“
მი-ა-რძი-უ	„მისცა, მიაძლია“
მე-უ- რძი-ებ-უ (ნ)	„მიუცია, მიუძლევია“
P: ე-რძი-ებ-უ(ნ)	„ეძლევს“
ქიმე-რძი-უ	„მიეცა, ეძლია“
ქიმე-რძი-ებ-ე(ნ)	„მისცემია“
მასდარი: (მე)- რძია , (მე)- რძი-ება	„მიცემა“

ამჯერად ჩვენ შემოვიფარგლეთ ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის მოდელებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული უღლების პარადიგმატული ტიპები მორფონოლოგიური ტიპებია. ცხადია, ფონოლოგიურ პროცესებს გვერდს ვერ ავუქცევთ, მით უფრო ცოცხალი მეტყველების ანალიზისას. ამ მიმართულებით კვლევა არა ერთ თავისებურებას წარმოაჩენს როგორც ზმნური ფუძეების სტრუქტურის, ასევე უღლების ფორმების წარმოების თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- მაჭავარიანი 1959** — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებთები“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 101-130.
- ნადარეიშვილი 1964** — ლ. ნადარეიშვილი, მასდარის ფუძის საკითხისათვის ზანურში, „მაცნე“, 6, თბ., 1964.
- ნოზაძე 2008** — ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, 2008, გვ. 26-65.
- უთურგაიძე 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
- ქავთარაძე 1954** — ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
- ქირია 2000** — ჯ. ქირია, თემის ნიშანთა წარმომავლობის საკითხი მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, X, 2000, გვ. 79-83.
- ჩიქობავა 1936** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

Lali Ezugbaia

**The Paradigmatic Types of the Conjugation in
Megrelian**

S u m m a r y

In the special literature it was noted several times by Arn. Chikobava, G. Rogava, G. Machavariani and others that the systematic changes of the grammatical categories of the Kartvelian languages concerns to the conjunction of the verb too. Now we discuss the question about distribution the verbal stems of Megrelian according to the paradigm of the active and its conversional passive. It should be remarked that the conversional relation between active and passive in Megrelian (resp. Laz) and in Georgian is based on the same principles.

In Georgian the distribution of the verbal stem of the active voice has connection with the theme markers. As it is known in the Georgian language there are three types of the verbal stems: 1) with theme marker: **ḡer-s** “writes”; 2) with theme: **a-ḡet-eb-s** “makes”, **xaḡ-av-s** “paints”, **dg-am-s** “sets”, **tl-i-s** “carves”, **a-ḡob-s** “hews”, **q-op-s** “divides”; 3) suplate with vowel: **dreḡ-s** – **driḡ-a** “bend - bent”.

The unification process was carried on the verbal stem of the active voice in Megrelian. As a rule in present the stem is always added by the stem markers: **-an**, **-en**, **-un**, **-n**. Though their origin is different in the various verbs (Arn. Chikobava, Ch. Kiria). It has been appeared in the paradigm of conjunction, in particular in the I and III imperfect (IV series). More the same thematic stem is attested in the same rows and in the present form of the conversional passive and in the masdar, as well:

dg- un -s	“sets”	–	do-u-dg- um -u(n)	“has set”
i-dg- um -u	“is set”	–	do-dg- um -e(n)	“has been set”
dg- um -a	“to set”			
dv- an -s	“puts”	–	do-u-dv- al -u(n)	“has put”
i-dv- al -u	“is put”	–	do-dv- al -e(n)	“has been put”
dv- al -a	“to put”			

a-**ḳet-en-s** “makes” – go-u-**ḳet-eb-u(n)** “has made”
 i-**ḳet-eb-u** “is made” – ga-**ḳet-eb-e(n)** “has been made”
ḳet-eb-a “to make”

o-rǧv-**an-s** “throws” – do-rǧv-**ap-u(n)** “has thrown”
 i-rǧv-**ap-u** “is thrown” – do-rǧv-**ap-e(n)** “has been thrown”
 rǧv-**ap-a** “to throw”

To our observation it is possible to be divided the conversional paradigms of the active and passive in the types. The model of the passive formation and masdar stem may be served as a criterion. For example, the passive forms those haven't their markers form the masdar differently as they are various types: **ṭib-u(n)** “it gets heat” and **ṣkirṭ-u** “it is turned off”: **ṭib-ap-a** “to heat” and **ṣkirṭ-a** (in the last word there is a trace of ablaut. In the first word the theme marker **-ap** which comes from masdar is represented in the I imperfect of the active and passive: **u-ṭib-u-ap-u(n)** “is heated”, **ṭib-ap-e(n)** “has been heated”. In the second word the suplate stem, where the vowel is changed, is represented in the I imperfect: **do-u-ṣkirṭ-u(n)** “has turned off”, **do-ṣkirṭ-e(n)** “has been turned off”).

The work represents fifteen models, though it's possible to grow their number according to the current phonological changes those take place at the board of the morpheme.

თამარ ვაშაკიძე

ზმნური და სახელური კოორდინატებისათვის თანამედროვე ქართულში

მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმის ახსნა კოორდინაციის საფუძველზე (ძველი ქართულის მიხედვით) წარმოგვიდგინა არნ. ჩიქობავამ.

წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება — ეს ცნებები პირველად ინდოევროპულ ენათა შესწავლისას ჩამოყალიბდა. შესიტყვებათა ზოგადი ანალიზი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით შემდეგ დასკვნებს იძლევა: შესიტყვებას ქმნის უმთავრესად ბრუნვადი და უღვლილბადი სიტყვა, სახელი და ზმნა. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა მართვის, შეთანხმების ან მირთვის სახით წარმოგვიდგება... წინადადება არის შესიტყვება, მართვა-შეთანხმების საფუძველზე აგებული ბრუნვადი და უღვლილბადი სიტყვებისაგან; მისი ნაწილების განსაზღვრება იქნებოდა: ქვემდებარე — ზმნის მმართველი ანუ მთავარი მმართველი, დომინანტი, სახელი; შემასმენელი — ქვემდებარის მიერ მართული ზმნა; დამატება — სახელისა თუ ზმნის მიერ მართული სახელი (არნ. ჩიქობავა, 1968, 231).

მარტივი წინადადების სტრუქტურა-მექანიზმს ძველ ქართულში (და, ბუნებრივია, თანამედროვე ქართულშიც) განსაზღვრავს ზმნა. რელატიურ-ზმნიანი წინადადების „მართვის ადგილს იჭერს კოორდინაცია“ (არნ. ჩიქობავა, იქვე).

„კოორდინაციას ვუწოდებთ ისეთს რთულს სინტაქსურ ურთიერთობას, როდესაც ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, — MS-ისა და MO-ის — ბრუნვებს, სახელნი თავის მხრივ მართავენ ზმნის პირს და ითანხმებენ რიცხვს. არა გვაქვს ოდენ მართული ზმნა-შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი — ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ — დამატება (თუ ორიოდ შემთხვევაში მაინც ჩნდება დამატება, ეს იმიტომ, რომ წყდება სახელის მორფოლოგიური კავშირი ზმნასთან), არის მხოლოდ კოორდინატები: კოორდინატი

არის წევრი კოორდინაციისა ანუ კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა (სახელები თუ ზმნა)“ (არნ. ჩიქობავა, იქვე, 233).

„კოორდინატი შეიძლება იყოს ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი. ძირითადი კოორდინატია ზმნა, მმართველი მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, **MS**-ისა და **MO**-ის, — ბრუნვათა; იგია ცენტრი კოორდინაციისა. სახელები, — **MS** და **MO**, — გვევლინება დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინატის როლში. კოორდინატ-სახელების ასეთი დასაფეხურება გამოხატავს მათი სინტაქსური ძალის მეტნაკლებობას... დიდია ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს; მცირეა ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვს; უმცირესია ის კოორდინატი, რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს“ (არნ. ჩიქობავა, იქვე, 234).

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმი კოორდინაციის საფუძველზე თანამედროვე ქართულში: როგორ წარმოგვიდგებიან სახელური კოორდინატები სიდიდე-სიმცირის მიხედვით და რა ცვლილება მოხდა ამ თვალსაზრისით ენაში ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე?

აქვე აღვნიშნავთ, რომ საკითხზე მსჯელობისას ძირითად კოორდინატს ჩვენ ზმნურ კოორდინატსაც ვუწოდებთ, ხოლო მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების შესაბამის ერთეულებს — სახელურ კოორდინატებს.

თანამედროვე ქართულში კოორდინაციის საფუძველზე სინტაქსური მექანიზმის ახსნა საჭიროებს ორი უმთავრესი საკითხის ანალიზს: 1. როგორია ძირითადი კოორდინატი — როგორც მმართველი (ანუ რა სახის სინტაქსური ურთიერთობა მყარდება ზმნურ კოორდინატსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს — მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტებს — შორის ძირითადი კოორდინატის მიერ მათი მართვის თვალსაზრისით); 2. როგორია ძირითადი კოორდინატი — როგორც მართული, მაშასადამე, როგორ იმართვის იგი მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების მიერ თანამედროვე ქართულში და რა ხარისხითაა წარმოდგენილი სახელურ კოორდინატთა სინტაქსური ძალა ზმნურ კოორდინატში მათი ასახვის თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართულში მარტივი წინადადების ზმნური კოორდინატი შეიძლება იყოს: ა) ორპირიანი გარდამავალი (აშენებს კაცი სახლს), ბ) სამპირიანი (უშენებს მამა შვილს სახლს), გ) ორპირიანი მედიოაქტივი

(ჰპატრონობს მამა შვილს), დ) ორპირიანი გარდაუვალი (ემალემა შვილი მამას), ე) ერთპირიანი მედიოაქტივი (ცხოვრობს კაცი).

ზმნათა ამ ტიპებს შეესაბამება მარტივი წინადადების სახეებიც. სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

არნ. ჩიქობავას სინტაქსური თეორიის მიხედვით, ზმნა ძირითადი კოორდინატი შეიძლება იყოს რელატიურზმნიან წინადადებებთან, რადგან ამ შემთხვევებში იგი (ზმნა) იმართვის სახელური კოორდინატების მიერ პირში და ეთანხმება მათ რიცხვის მიხედვით, აგრეთვე თავად მართავს სახელურ კოორდინატებს ბრუნვაში. აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი წინადადების ზმნა კი შემასმენელია; იგი მართულია MS-ის მიერ პირში, აგრეთვე შეთანხმებულია რიცხვის მიხედვით, მაგრამ თავად ვერ მართავს სახელს ბრუნვაში. აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი წინადადების MS სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში. ამის გამო MS ქვემდებარება (დომინანტი), ზმნა კი — შემასმენელი (არნ. ჩიქობავა, იქვე).

თუ ზმნის მიერ სახელთა მართვის ანალიზისას გადამწყვეტად მივიჩნევთ სახელის ბრუნვის ფორმის ცვლას დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით, მაშინ ზმნა ძირითად კოორდინატად მოგვევლინება მხოლოდ რელატიურ-გარდამავალზმნიან წინადადებაში (წერს კაცი წერილს, დაწერა კაცმა წერილი, დაუწერია კაცს წერილი; სწერს მამა შვილს წერილს, მისწერა მამამ შვილს წერილი, მიუწერია მამას შვილისთვის წერილი...), ხოლო, თუ ზმნის მიერ სახელთა მართვის დროს ამოსავლად დავსახავთ ზმნისგან ორი სახელის სხვადასხვა ბრუნვაში მართვას (ისე, რომ სახელებმა ბრუნვა არ შეიცვალონ დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით), მაშინ ზმნა რელატიურ-გარდაუვალზმნიან წინადადებაშიც ძირითად კოორდინატად წარმოგვიდგება (ემალემა შვილი მამას, დაემალა შვილი მამას, დამალვია შვილი მამას), შდრ.: მწიფდება ვაშლი, დამწიფდა ვაშლი, დამწიფებულა ვაშლი.

ძირითადი კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვის რამდენიმე ტიპი გამოიყოფა თანამედროვე ქართულში (ისევე, როგორც ძველში): 1. ზმნური კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვა ორსახელიან რელატიურ-გარდამავალზმნიან წინადადებაში, როცა მორფოლოგიური სუბიექტი იმართვის სახელობით და მოთხრობით ბრუნვებში, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი — მიცემითსა და სახელობითში დრო-კილოთა სერიების მიხედვით (წერს კაცი წერილს, დაწერა კაცმა წერილი, დაუწერია კაცს წერილი); 2. ზმნური კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვა სამსახელიან რელატიურ-გარდამავალზმნიან წინადადება-

ში, როცა მორფოლოგიური სუბიექტი იმართვის სახელობით და მოთხრობით ბრუნვებში, ბრუნვაცვალეზადი მორფოლოგიური ობიექტი — მიცემით-სა და სახელობითში, ხოლო ბრუნვაცვალეზი მორფოლოგიური ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება დრო-კილოთა I და II ჯგუფის ნაკვთებთან, III ჯგუფში კი თანდებულიან სახელად მოიქცევა (სწერს მამა შვილს წერილს, მისწერა მამამ შვილს წერილი, მიუწერია მამას შვილისთვის წერილი); 3. ზმნური კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვა იმ ტიპის წინადადებაში, რომელსაც ძირითად კოორდინატად წარმოდგენილი აქვს ორპირიანი მედიოაქტივი (ჰპატრონობს მამა შვილს, უპატრონა მამამ შვილს.); 4. ზმნური კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვა რელატიურ-გარდაუვალზმნიან წინადადებაში, როცა ზმნასთან დაკავშირებულია ორი სახელი, მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი, და ორივე ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით (MS სახელობითით, ხოლო MO — მიცემითით) წარმოგვიდგება დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში (ემალეზა შვილი მამას, დაემალა შვილი მამას, დამალვია შვილი მამას); 5. ძირითადი კოორდინატის მიერ სახელური კოორდინატის მართვა იმ ტიპის წინადადებაში, რომელსაც ზმნურ კოორდინატად წარმოდგენილი აქვს ერთპირიანი მედიოაქტივი (ცხოვრობს კაცი, იცხოვრა კაცმა...).

როცა შეეხება აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიან წინადადებას, როგორც ზემოთ ითქვა, ამ შემთხვევაში ზმნა მართულია MS-ის მიერ პირში, აგრეთვე შეთანხმებულია რიცხვის მიხედვით, მაგრამ თავად ვერ მართავს სახელს ბრუნვაში (არნ. ჩიქობავა, იქვე).

როგორია ძირითადი კოორდინატი — როგორც მართული და როგორ წარმოგვიდგებიან სახელური კოორდინატები (მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტები) მმართველის ფუნქციით?

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში (ისევე, როგორც ძველში) მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების პირი თუ რიცხვი ხან ნიშნებითაა წარმოდგენილი ზმნაში (მ-ხატავ-ს ის მე, მ-ხატავ-ენ ისინი მე, გვ-ხატავ-ს ის ჩვენ, გვ-ხატავ-ენ ისინი ჩვენ...), ხან — ნულლით (გ-ხატავ-ღ-თ ის თქვენ, ღ-ღ-ხატავ შენ მას, ღ-ღ-ღ-უხატავ შენ მას...). ბუნებრივია, პირთა ყველა დასაშვებ კომბინაციაში ძნელად მოიპოვება ისეთი პირი, რომელიც ყოველთვის ასახულია ზმნაში.

არნ. ჩიქობავას, ა. შანიძის, თ. უთურგაიძის, თ. გამყრელიძისა და სხვათა ნაშრომებში გარჩეულია პირის ნიშანთა კომბინირების საკითხები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მე-3 პირდაპირ ობიექტურ პირს საკუთარი ნიშანი არა აქვს ზმნაში. სალიტერატურო ენის ნორმებიც ამ თვალსაზრისს ემყარება.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულის აწმყოსა და მისი ფუძისაგან ნაწარმოებ მწკრივთა ფორმებში მესამე პირდაპირი ობიექტური პირი სისტემებში არის გამოხატული. თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ ა. შანიძის მიერ გამოყოფილი „ქადაგებს“ და „ჰყოფს“ ტიპის ზმნები წარმოადგენენ მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილების მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს: ამ ზმნებს მე-3 პირდაპირი ობიექტური პირი ან **ჰ** პრეფიქსით აქვს გამოხატული, ან მისი ალომორფებით — **/ს-/** წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ, ხოლო **/Ø/** მოსალოდნელია ყველა შემთხვევაში, როცა ზმნა უპრევერბოა. თუ ზმნა პრევერბიანია, მე-3 პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი ყოველთვის თავის ადგილზეა ძველ ქართულში (როგორც ხანმეტი, ისე ჰაემეტი და მომდევნო ხანის ტექსტებში), მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი, რომ **ლ** სერიის ფორმებში უარყოფით **ო₃**-ის ნიშნად **ს-** ან **ჰ-** პრეფიქსი ხანმეტ და ჰაემეტ, ხოლო **ჰ-** ~ **ს-** ~ **Ø** — მომდევნო ხანის ძეგლებში (უთურგაიძე, 2002, 22).

თ. გამყრელიძის ვარაუდითაც, პირდაპირი ობიექტის ნიშანი მესამე პირში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ირიბისა (ამავე პირში) — **ს-**, მაგრამ ძველ ქართულში მკვლევარი მას უკვე დაკარგულად მიიჩნევს ირიბ ობიექტთან შედარებით ნაკლები „სიმძლავრის“ გამო (თ. გამყრელიძე, 1979, 46).

პირდაპირი ობიექტის პირი და რიცხვი ძველ ქართულში გამოხატულია სუბიექტის პირისა და რიცხვის მარკირების პრინციპით: პირსა და რიცხვს თავ-თავიანთი აღმნიშვნელები აქვთ, მაგალითად: შე-მ-ი-პყრ-ნ-ა||შე-გუ-ი-პყრ-ნ-ა (ჩუენ), შე-გ-ი-პყრ-ნ-ა (თქუენ), შე-ხ-ი-პყრ-ნ-ა (იგინი). მაშასადამე, ორპირიანი ზმნები პირდაპირ ობიექტს გამოხატავენ პირშიც და რიცხვშიც (თ. უთურგაიძე, იქვე, 26).

აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულის ზოგ დიალექტსა თუ მწერლის ენაში (გარკვეულ პოზიციებში) შეიმჩნევა მე-3 პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-თ** სუფიქსი (მაგ., **პაპამ დალახათ შვილიშვილები**) (ი. კიკნაძე, 1983, 75-88).

რაც შეეხება პირველ და მეორე სუბიექტურ პირებს. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილია მე-3 ობიექტურ პირთან (შე-ხ-უ-აბ-თ, მი-ვ-ს-წერე-თ), მაგრამ არა გვაქვს **ო₂**-სთან (გ-ხატავ, გ-აბამ); მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი

არ არის წარმოდგენილი O_1 -თან (მ-ხატავ, მ-აბამ). კომბინაციაში — S_2O_3 მხოლოდ ერთი პირის ნიშანი გვაქვს ფონოლოგიური მიზეზის გამო. მათი ნიშნები მატერიალურად იდენტურია. ქართული ენისთვის კი ფონეტიკურად იდენტურ მორფემათა კომბინაცია არაბუნებრივია. ამიტომ თხრობით კილოში ერთ-ერთი პირის ნიშანი ნულოვანი ალომორფით იქნება წარმოდგენილი. (მე) მო-მ-წერე-თ და (შენ) მო-გ-წერე-თ ფორმებში -თ სუბიექტის მრავლობითობის ნიშანია. უნდა ვიფიქროთ, სუბიექტური პრეფიქსების გაუჩინარება მორფონოლოგიური მიზეზით ხდება. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ გ- გვხვდება O_3 -სთან კომბინაციაში (მაშასადამე, მოსალოდნელი იყო O_2 -სთანაც; S_2 -ის პრეფიქსი აგრეთვე სავარაუდებელია O_1 -თან). ასევე რეკონსტრუირდება S_1O_2 პირთა კომბინაცია გ-გ (*გ-გ-წერ, *გ-გ-ხატავ...). /ვ/ ფონოლოგიურად დაუმკვებელია /გ/-ს წინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ /ვ/ პრეფიქსის დაკარგვა ამ ფორმებში მისი გაჩენის სიმულტანური პროცესია, ე. ი. ყველთვის და ყველა საფეხურზე ენის განვითარებისა ამ პოზიციაში ნულოვანი ალომორფი ივარაუდება. ამგვარადვე რეკონსტრუირდება S_2O_1 ფორმები (*მო-მ-ხ-წერე, და-მ-ხ-ხატე...), რომელთა S_2 -ის ნიშანი ამ პოზიციაში ნულით არის წარმოდგენილი, რაც აგრეთვე შეპირობებულია ფონოლოგიურად (მო-მ-ღ-წერე, და-მ-ღ-ხატე...). არ არსებობს სტრუქტურული შეზღუდვა, რომელიც ძველი ქართულის სუბიექტურ და ობიექტურ ნიშანთა კომბინაციას მეორეულად მიგვაჩნევენებს პრეფიქსულ თანამიმდევრობაში. აქვე იკვეთება პირთა მარკირების მკაფიო სურათი მათი ურთიერთკომბინირების ფონზე: ზოგ კომბინაციაში პირები წარმოდგენილი არიან მატერიალურად, ზოგან კი — ნულოვანი ალომორფებით, რომლებიც შეპირობებულია ფონოლოგიურად. ნათქვამი თანაბრად ეხება სუბიექტურ და ორივე სახის ობიექტურ პირებს (თ. უთურგაიძე, იქვე, 36-38).

ქვემოთ წარმოვადგენთ ორპირიანი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სახელურ კოორდინატებს პირთა კომბინაციების გათვალისწინებით (აწმყოს მწკრივის მიხედვით):

$$O_1^{dir} S_3$$

მ-ხატავ-ს ის მე

მ-ხატავ-ენ ისინი მე

გვ-ხატავ-ს ის ჩვენ

გვ-ხატავ-ენ ისინი ჩვენ

MS — დიდი კოორდინატი

MO — დიდი კოორდინატი

$O_2^{dir} S_2$

პოტენციურად

მ-Ø-ხატავ შენ მე

მ-Ø-ხატავ-თ თქვენ მე

გვ-Ø-ხატავ შენ ჩვენ

გვ-Ø-ხატავ-თ თქვენ ჩვენ

MS — დიდი კოორდინატი

MO — დიდი კოორდინატი

სალიტ. ენის მიხედვით

მ-ხატავ შენ მე (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება)

მ-ხატავ-თ თქვენ მე (MS — უმცირესი კოორდინატი)

გვ-ხატავ შენ ჩვენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება)

გვ-ხატავ-თ თქვენ ჩვენ (MS — უმცირესი კოორდინატი)

MO — დიდი კოორდინატი

$S_1 O_2^{dir}$

პოტენციურად

Ø-გ-ხატავ მე შენ

Ø-გ-ხატავ-თ ჩვენ შენ

Ø-გ-ხატავ-თ მე თქვენ

Ø-გ-ხატავ-თ-Ø ჩვენ თქვენ

MS — დიდი კოორდინატი

MO — დიდი კოორდინატი

სალიტ. ენის მიხედვით

გ-ხატავ მე შენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება)

გ-ხატავ-თ ჩვენ შენ (MS — უმცირესი კოორდინატი)

გ-ხატავ-თ მე თქვენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება, MO — დიდი კოორდინატი)

გ-ხატავ-თ ჩვენ თქვენ (MS — უმცირესი კოორდინატი, MO — მცირე კოორდინატი)

$O_2^{dir} S_3$

პოტენციურად

გ-ხატავ-ს ის შენ

გ-ხატავ-ენ ისინი შენ

გ-ხატავ-Ø-თ ის თქვენ

სალიტ. ენის მიხედვით

გ-ხატავ-ს ის შენ

გ-ხატავ-ენ ისინი შენ

გ-ხატავ-თ ის თქვენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება, MO — დიდი კოორდინატი)

გ-ხატავ-ენ-Ø ისინი თქვენ	გ-ხატავ-ენ ისინი თქვენ (MO — მცირე კოორდინატი)
MS — დიდი კოორდინატი	MS — დიდი კოორდინატი
MO — დიდი კოორდინატი	

 $S_1 O_3^{dir}$

პოტენციურად	სალიტ. ენის მიხედვით
ვ-Ø-ხატავ მე მას	ვ-ხატავ მე მას
ვ-Ø-ხატავ-თ ჩვენ მას	ვ-ხატავ-თ ჩვენ მას
ვ-Ø-ხატავ-Ø მე მათ	ვ-ხატავ მე მათ
ვ-Ø-ხატავ-თ-Ø ჩვენ მათ	ვ-ხატავ-თ ჩვენ მათ
MS — დიდი კოორდინატი	MS — დიდი კოორდინატი
MO — დიდი კოორდინატი	MO — დამატება

 $S_2 O_3^{dir}$

პოტენციურად	სალიტ. ენის მიხედვით
Ø-Ø-ხატავ შენ მას	ხატავ შენ მას (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება)
Ø-Ø-ხატავ-თ თქვენ მას	ხატავ-თ თქვენ მას (MS — უმცირესი კოორდინატი)
Ø-Ø-ხატავ-Ø შენ მათ	ხატავ შენ მათ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება)
Ø-Ø-ხატავ-თ-Ø თქვენ მათ	ხატავ-თ თქვენ მათ (MS — უმცირესი კოორდინატი)
MS — დიდი კოორდინატი	MO — დამატება
MO — დიდი კოორდინატი	

 $S_3 O_3^{dir}$

პოტენციურად	სალიტ. ენის მიხედვით
Ø-ხატავ-ს ის მას	ხატავ-ს ის მას
Ø-ხატავ-ენ ისინი მას	ხატავ-ენ ისინი მას
Ø-ხატავ-ს-Ø ის მათ	ხატავ-ს ის მათ
Ø-ხატავ-ენ-Ø ისინი მათ	ხატავ-ენ ისინი მათ

MS — დიდი კოორდინატი MS — დიდი კოორდინატი
 MO — დიდი კოორდინატი MO — დამატება

$O_1^{ind} S_3$

მ-ეზრდებ-ა ის მე
 მ-ეზრდები-ან ისინი მე MS — დიდი კოორდინატი
 გვ-ეზრდებ-ა ის ჩვენ MO — დიდი კოორდინატი
 გვ-ეზრდები-ან ისინი ჩვენ

$O_1^{ind} S_2$

<p>პოტენციურად მ-\emptyset-ეზრდები შენ მე მ-\emptyset-ეზრდები-თ თქვენ მე გვ-\emptyset-ეზრდები შენ ჩვენ გვ-\emptyset-ეზრდები-თ თქვენ ჩვენ MS — დიდი კოორდინატი MO — დიდი კოორდინატი</p>	<p>სალიტ. ენის მიხედვით მ-ეზრდები შენ მე (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება) მ-ეზრდები-თ თქვენ მე (MS — უმცირესი კოორდინატი) გვ-ეზრდები შენ ჩვენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება) გვ-ეზრდები-თ თქვენ ჩვენ (MS — უმცირესი კოორდინატი) MO — დიდი კოორდინატი</p>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

$O_2^{ind} S_1$

<p>პოტენციურად \emptyset-გ-ეზრდები მე შენ \emptyset-გ-ეზრდები-თ ჩვენ შენ \emptyset-გ-ეზრდები-თ მე თქვენ \emptyset-გ-ეზრდები-თ-\emptyset ჩვენ თქვენ MS — დიდი კოორდინატი MO — დიდი კოორდინატი</p>	<p>სალიტ. ენის მიხედვით გ-ეზრდები მე შენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება) გ-ეზრდები-თ ჩვენ შენ (MS — უმცირესი კოორდინატი) გ-ეზრდები-თ მე თქვენ (MS ზმნაში მატერიალურად არ აისახება; MO — დიდი კოორდინატი) გ-ეზრდები-თ ჩვენ თქვენ (MS — უმცირესი კოორდინატი, MO — მცირე კოორდინატი)</p>
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**პოტენციურად**

გ-ეზრდებ-ა ის შენ
 გ-ეზრდები-ან ისინი შენ
 გ-ეზრდებ-ა-თ ის თქვენ
 გ-ეზრდები-ან-Ø ისინი თქვენ
 MS — დიდი კოორდინატი
 MO — დიდი კოორდინატი

სალიტ. ენის მიხედვით

გ-ეზრდებ-ა ის შენ
 გ-ეზრდები-ან ისინი შენ
 გ-ეზრდებ-ა-თ ის თქვენ
 გ-ეზრდები-ან ისინი თქვენ
 MS — დიდი კოორდინატი
 MO — დიდი კოორდინატი
 $O_2^{indp} S_1^P$ -ის შემთხვევაში MO — მცირე კოორ-
 დინატი

**პოტენციურად**

გ-Ø-ეზრდები მე მას
 გ-Ø-ეზრდები-თ ჩვენ მას
 გ-Ø-ეზრდები-Ø მე მათ
 გ-Ø-ეზრდები-თ-Ø ჩვენ მათ
 MS — დიდი კოორდინატი
 MO — დიდი კოორდინატი

სალიტ. ენის მიხედვით

გ-ეზრდები მე მას
 გ-ეზრდები-თ ჩვენ მას
 გ-ეზრდები მე მათ
 გ-ეზრდები-თ ჩვენ მათ
 MS — დიდი კოორდინატი
 MO — დამატება

**პოტენციურად**

Ø-Ø-ეზრდები შენ მას
 Ø-Ø-ეზრდები-თ თქვენ მას
 Ø-Ø-ეზრდები-Ø შენ მათ
 Ø-Ø-ეზრდები-თ-Ø თქვენ მათ
 MS — დიდი კოორდინატი
 MO — დიდი კოორდინატი

სალიტ. ენის მიხედვით

ეზრდები შენ მას (MS ზმნაში მატერია-
 ლურად არ აისახება)
 ეზრდები-თ თქვენ მას (MS — უმცირესი
 კოორდინატი)
 ეზრდები შენ მათ (MS ზმნაში მატერიალუ-
 რად არ აისახება)
 ეზრდები-თ თქვენ მათ (MS — უმცირესი
 კოორდინატი)
 MO — დამატება

$S_3 O_3^{ind}$

პოტენციურად	სალიტ. ენის მიხედვით
Ø-ეზრდებ-ა ის მას	ეზრდება ის მას
Ø-ეზრდები-ან ისინი მას	ეზრდები-ან ისინი მას
Ø-ეზრდებ-ა-Ø ის მათ	ეზრდებ-ა (ან ეზრდება-თ) ის მათ
Ø-ეზრდები-ან-Ø ისინი მათ	ეზრდები-ან ისინი მათ
MS — დიდი კოორდინატი	MS — დიდი კოორდინატი
MO — დიდი კოორდინატი	MO — უმცირესი კოორდინატი ან დამატება

ნულოვანი ალომორფების გათვალისწინებით, მორფოლოგიური სუბიექტიცა და მორფოლოგიური ობიექტებიც დიდ კოორდინატებად მოგვევლინება, მაშასადამე, რელატიურზმნიანი მარტივი წინადადების წევრებად გვექნება: ზმნური კოორდინატი, მორფოლოგიური სუბიექტის შესაბამისი სახელური კოორდინატი და ბრუნვაცვალებადი თუ ბრუნვაუცვლელი მორფოლოგიური ობიექტების შესაბამისი სახელური კოორდინატები. ზემოთქმულის მიხედვით, რელატიურზმნიანი მარტივი წინადადება წარმოადგენს ზმნურ და სახელურ კოორდინატთა შესიტყვებას.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მონაცემების გათვალისწინებით, რელატიურ-გარდამავალზმნიანი წინადადების მორფოლოგიური სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც დიდი (გ-ხატავ-თ ჩვენ მას), ისე უმცირესი (გგ-ხატავ-თ თქვენ ჩვენ, გ-ხატავ-თ ჩვენ შენ) კოორდინატი. მორფოლოგიური ობიექტი კი წარმოგვიდგება დიდ (გ-ხატავ-თ მე თქვენ) ან მცირე (გ-ხატავ-თ ჩვენ თქვენ) კოორდინატად, აგრეთვე — დამატებად (გ-ხატავ მე მას, გ-ხატავ მე მათ). რელატიურ-გარდაუვალზმნიანი წინადადების მორფოლოგიური სუბიექტი შეიძლება იყოს ასევე დიდი (ვ-ეზრდები მე მას, ვ-ეზრდები-თ ჩვენ მას) ან უმცირესი (გ-ეზრდები-თ ჩვენ შენ) კოორდინატი, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი გვევლინება დიდ (მ-ეზრდებ-ა ის მე, გგ-ეზრდებ-ა ის ჩვენ) და მცირე (გ-ეზრდები-თ ჩვენ თქვენ) კოორდინატად ან დამატებად (ვ-ეზრდები მე მას, ვ-ეზრდები მე მათ).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მონაცემების გათვალისწინებით, მარტივი წინადადების წევრებად წარმოგვიდგებიან: ძირითადი კოორდინატი (ზმნური კოორდინატი) და სახელური კოორდინატები (ამ შემთხვევაში უკვე — დიდი, მცირე ან უმცირესი), გვექნება დამატებაც.

ლიტერატურა

გამყრელიძე 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979.

უთურგაიძე 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

კიკნაძე 1983 — ი. კიკნაძე, მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოხატვისათვის სალიტერატურო ქართულში დიალექტებთან მიმართებით, საენათმეცნიერო ძიებანი, თსუ, 1983.

ჩიქოზავა 1968 — არნ. ჩიქოზავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.

Tamar Vashakidze

Towards the verbal and nominal coordinatives in the modern Georgian

S u m m a r y

Explanation of syntactic mechanism needs an analysis of two main questions on the basis of coordination of the modern Georgian: 1) how is a main coordinative, as a governor or what kind of syntactic relation is between a verbal coordinative (or a basic coordinative) and a noun connected with it – MS and MO – from the viewpoint of their governing (according to cases), 2) how is a main coordinative as a governing, i. e. how it is governed by a morphological subject and a morphological objects and what is the degree of a syntactic power of nominal coordinatives in a verbal coordinative from the viewpoint of their reflecting (denoting).

In the work a syntactic mechanism of a two-personal sentence with a relative verb is analyzed according to above mentioned. In the modern Georgian a morphological subject and a morphological object are big coordinatives taking into account zero allomorphs of personal markers.

რუსუდან იოსელიანი

კოდორის (resp. დალის) ხეობის ეთნოლინგვისტური ხასიათის კომენტარები

დალის ხეობიდან ქვემო ქართლში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში ჩაწერილი ტექსტები (მეტყველების ნიმუშები) ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო ცალსახად ლინგვისტური, არამედ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც. ამ მასალებში დაცულია საინტერესო მონაცემები დალის სვანეთის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და მათი ურთიერთობის შესახებ მეზობელ კუთხეებთან. უაღრესად მდიდარი მასალიდან ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ასპექტზე.

დალის ხეობისა და ზოგადად აფხაზეთის უძველესი მოსახლეობის საკითხი დიდი ხანია მეცნიერ-მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. დამკვიდრებული თვალსაზრისით, აქ ოდითგანვე მოსახლეობდნენ ქართველური ტომები, მათ შორის სვანები. საინტერესოა, რომ ამ მოვლენის ხსოვნა კარგად არის შემონახული დღევანდელი მოსახლეობის ისტორიულ მემკვიდრეობაში, რასაც შესაბამისი ტოპონიმებიც ადასტურებენ. მთხრობელთა თქმით, „დალი ოდითგანვე სვანების სამოსახლო ყოფილა, ამიტომაც მას სვანური სახელი „**დალია ტუიბ**“ — „დალის ხეობა ჰქვია“. მათივე თქმით, დალის ხეობის მოსახლეობა სამჯერ ყოფილა ამოწყვეტილი, თუმცა იქ ისევ სახლდებოდნენ ზემო სვანეთიდან გადასული სვანები სწორედ იმიტომ, რომ თავის მკვიდრ სამოსახლოდ მიაჩნდათ:

ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ფაქტი სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანია — ჩანს, რომ მოსახლეობის ეთნოფსიქოლოგიაში მკვიდრად არის გამჭდარი აფხაზეთის, როგორც მშობლიური, ოდითგანვე საკუთარი კუთხის აღქმა და გააზრება, რასაც საუკუნეები სჭირდება, მოკლე დროში ასეთი ცნობიერების ჩამოყალიბება შეუძლებელია:

შუანხან ლაღზიგანდ ეკდა ესღარდა მზღ დაღთე, ერე დაღ ერ ლი შუანრეშ, ლი ნაშუან ი ჟახეა იჟანლო ხეჟხან ალას დაღია ტუიბ — შუანრე ნაჟახჟ.

„სვანეთიდან საცხოვრებლად იმიტომ მიდიოდა ყველა დალის ხეობაში („დალ-ს-კენ“), რომ დალის ხეობა („დალი რომ“) არის სვანების, არის ნასვანარი და სახელიც უძველესი დროიდან ერქვა ამას დალის ხეობა — სვანების დარქმეული („დანარქმევი“).“

არანაკლებ საინტერესოა ხეობის სახელწოდება „**დალ**“. დალი სვანური მითოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, ნადირობის ქალღმერთი, ნადირთა და მონადირეთა მფარველი. ხალხის წარმოდგენით დალი ულამაზესი ოქროსთმიანი ქალია (**დალ**, აქედან **დალრდ** — თოჯინა), რომელიც კლდეში, გამოქვაბულში, ცხოვრობს. იგი მონადირეებისაგან ირჩევს ყველაზე ძლიერსა თუ გამორჩეულს და საყვარლად გაიხდის, ლალატის შემთხვევაში კი ღუპავს მას.

დალის ასეთი გააზრება გვხვდება ზემო და ქვემო სვანეთშიც; ამ მონაცემებით სრული ანალოგია დასტურდება კოდორის ხეობაშიც, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წინამდებარე მასალის მიხედვით, დალის ხეობაში თითქმის ბოლომდე ჩანს შემორჩენილი ქალღმერთთან დაკავშირებული რწმენა მისი ურთიერთობისა მონადირეებთან.

ტექსტებში საინტერესოა მასალაა წარმოდგენილი დალის ხეობის ტოპონიმიკასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ გეოგრაფიულ სახელთა ცვლილებას დიდი დრო სჭირდება და მისი ძირითადი ნაწილი თითქმის უცვლელად ინახება ხოლმე. მიუხედავად მცხოვრებ ეთნოსთა ცვალებადობისა, ახალმოსული ხალხი, ძირითადად, ინახავს მისი წინამორბედისაგან ამა თუ იმ ადგილისთვის შერქმეულ სახელებს.

დალის ხეობის ტოპონიმებიდან მასალაში დაფიქსირებულია ომარიშალი, **ნაშშიხუ**, **ობურდუან**, **აჭაფარა**, **გუანდრა**... ამ ტოპონიმების ძირითადი ნაწილი, თვალნათლივ ჩანს, რომ სვანურია.

საინტერესოა ომარიშალის სახელწოდება, რომლითაც მას მოიხსენიებენ ადგილობრივი მცხოვრებლები:

მალცუნესგა ეჯლა ხაშხა, ერე საკნგრა ი გუანდრგლა იტყუბალს ი ეჩი ნესგა ლი ალ სოფელ.

„მალცუნესგა“ იმიტომ ჰქვია, რომ საკნარა და გვანდრალა უერთდებიან ერთმანეთს („ტყუბლებიან“) და იმათ შორისაა („შუა არის“) ეს სოფელი.“

დალის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში ჩაწერილი ტექსტებიდან კარგად ჩანს მათი წეს-ჩვეულებების ერთიანობა და ნარჩენ სვანეთთან. თუ დავაკვირდებით მათ მეტყველებას, სპეციფიკური სახის (სამეურნეო, რელიგიური, ხალხური სამართლის და ა. შ.) ტერმინოლოგიას, აღმოჩნდება, რომ ისინი, ძირითადად, განუყოფელნი არიან ზემო და ქვემო სვანეთის მოსახლეობისაგან, თუმცა მეტი სიახლოვე ზემო სვანეთთან შეინიშნება.

ერთიანი ტრადიციისა და წეს-ჩვეულებების არსებობა დალის ხეობა-სა და დანარჩენ სვანეთში კარგად ჩანს: სამგლოვიარო, სამონადირეო, სა-დღესასწაულო, ხალხური სამართლისა და სხვ. ჩვეულებებში. ყურადღებას გაავამახვილებთ მხოლოდ ძირითად ასპექტებზე:

ისევე, როგორც ზემო სვანეთში, დალის ხეობაშიც სცოდნიათ და-კრძალვის დღეს **ქაბაბის** გამოცხობა. ეს არის პური, რომელიც იმდენი ცა-ლი ცხვებოდა, რამდენი მიმსვლელიც იყო ქელეხში.

ლაშდღუალ ლადელ ქაბაბ ხეკუეს ათხუიწნ ჩის მარემი ქუნუი.

„გასვენების დღეს ქაბაბი უნდა შეხვედროდა ყველას ადამიანის („კა-ცის“) სულზე.“

ტრადიციის თანახმად „ქაბაბი“ თანასოფლელებს სახლში უნდა წაე-ლოთ იმდენი ცალი, რამდენი სულიც ცხოვრობდა ოჯახში, თითო ბავშვის ჩათვლით. პურის არ წაღება მასპინძლის შეურაცყოფად ითვლებოდა, ვინა-იდან ხალხის რწმენით, ყოველივე ეს მიცვალებულის სულისთვის კეთდებო-და. მდიდარი ოჯახები „ქაბაბს“ ერთ სულზე სამ ცალს აცხობდნენ და ისე არიგებდნენ სოფელში; აღსანიშნავია, რომ „ქაბაბი“ საუკეთესო ხარისხის ფქვილისგან უნდა გამომცხვარიყო, მისი გამოცხობა ქერისა და ჭვავის ფქვილისგან არ შეიძლებოდა.

ქაბაბი იყო დიდი ზომის მრგვალი პური, გვერდებზე უკეთდებოდა ორნამენტი, მაგრამ რანაირი იყო ეს ორნამენტი და რას გამოსახავდა, მთხრობლებს არ ახსოვთ, ზოგიერთი მათგანის თქმით ეს შეიძლებოდა ყო-ფილიყო ჯვარი... (იოსელიანი, 2005, 149). სულხან-საბას განმარტებით, ქა-ბაბი საუკეთესო ფქვილის „ერთგვარი ნამცხვარია.“ საქართველოს სხვა კუ-თხეებში ასეთი სახელწოდების პური არ გვხვდება (თანამედროვე ეთნოგრა-ფიული მასალით).

რაც შეეხება დალის სვანეთის ზემოაღნიშნულ ტექსტებში დაფიქსი-რებულ საბრძოლო-საომარ ტრადიციებს, იკვეთება მსგავსება არა მარტო დანარჩენ სვანეთთან, არამედ მთლიანად საქართველოს მთიანეთთან.

ეს პირველ რიგში გამოიხატება ბრძოლაში აუცილებელ, ურთიერ-თდამოკიდებულებების რაინდულ ნორმებში, რაც საერთო იყო მთელი კავკა-სიისათვის. კოდორული მეტყველების ამსახველ ტექსტებში ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია დაფიქსირებული, როგორ ეფიცებიან მტრები ერ-თმანეთს ძმებად, მასპინძელი მოსაკლავად გამეტებული ძმობილის სისხლს სახლში არ დაღვრის, მას გარეთ გაიყვანს და ისევ მოძმეებს ჩააბარებს. ასეთი ურთიერთობის ნათელი მაგალითია, აგრეთვე, კოდორულ მთქმელთა ტექსტებში დამოწმებული ინფორმაცია — როგორ ქმნიან ჩრდილო კავკა-სიელები ლექსს და როგორ გადასცემენ თაობებს ერთ-ერთ სვანი მეომარის შესახებ:

ჩუ ეჭვუნარ ოლსაკურელის ზორბექიმ ნამარგუმ საჟნარ, ერე ლექს ოთიდრახ. ეჭი ეჩანლო ლადრალდ ოხსყახ.

„ისე გაკვირვებიათ („გაკვირვებულან“) ზორბექის საქციელით („ნავარგით“) სავები, რომ ლექსი დაუწერიათ. ის მერე სიმღერად გადაუქცევიათ („გაუქვებიათ“).“

აღნიშნული ტექსტების საფუძველზე კარგად იკვეთება ერთი უძველესი პლასტი მთის მოსახლეობის ყოფისა, რასაც „მეკობრეობა“, ანუ სვანურად **ლაღეშგალთე ლიზი** („წასართმევად სვლა“) ეწოდება. ეს ადათი გულისხმობდა ჩრდილო კავკასიაში გადასვლას და იქიდან საქონლის ჯოგის წამოსხმას. დალის ხეობელი მთხრობელის მიერ სრულიად სამართლიანად არის მოვლენა შეფასებული:

ჯჷინლდ შჷანისგა ი დწლისგა ხწმქჷენახ საჷთე ლიზი — ქილიმგენოლ

ლაღეშგითე. აღის ლიქჷთერ დემე ხწშხენა, მეგჷე ლიმარგუ ლგმწარ სწჷირო. აღი ლეშგჷირდ ეჩქას დემეგ ხწბჷენახ.

„ძველად სვანეთში და დალის ხეობაში („დალში“) სჩვეოდათ ჩრდილო კავკასიაში („სავეთ-ს-კენ“) წასვლა — საქონლის („სულდგმულის“) წასართმევად. ამას ქურდობა არ ერქვა („რქმევია“), დიდი („გამძლე“) მოხერხება ყოფილა საჭირო. ეს სირცხვილად მაშინ არ ითვლებოდა.“

ეს არ იყო ყაჩაღობა, იქ წასვლა და საქონლის გადმოყვანა ვაჟკაცობას ნიშნავდა, „ლაღეშგითე მხოლოდ რჩეული ვაჟკაცები დადიოდნენ.“ ეს ტრადიციულად საქართველოს მთისთვის იყო დამახასიათებელი.

საქონლის თუ სხვა სიმდიდრის წასართმევად წასვლა სამამაცო საქმედ მოჩანს „სვანური პოეზიის“ ნიმუშებში, აქ უამრავ მაგალითს შეხვდებით იმ გმირების ქება-დიდებისა, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ამ მიზნით გადადიოდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ გასაკვირი არაფერია. შუა და გვიან შუასაუკუნეებში ე. წ. „მეკობრეობა“ სამამაცო ზნედ ითვლებოდა მთელს დასავლეთ ევროპაშიც, მეტიც ეს რაინდისთვის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ „წასართმევად“ ანუ „სამეკობრეოდ“ საქართველოს სხვა კუთხეებში წასვლის ფაქტები არ ფიქსირდება ხალხურ პოეზიაში. აქ არცერთი შემთხვევაც არ არის დადასტურებული იმისა, რომ ვაჟკაცად და გმირად იყოს მოხსენიებული რომელიმე მეზობელ ქართულ კუთხეში წასართმევად წასული ადამიანი. ჩვენი აზრით ეს ასპექტი საინტერესო დასკვნის საფუძველს იძლევა — „წასართმევად“ წასვლა, რასაც ძირითადად ჩრდილო კავკასიაში ჰქონდა ადგილი, მეზობელ, არაქართულ კუთხეზე გავლენისა და უპირატესობის დამყარებას ისახავდა მიზნად.

ჩვენი თვალსაზრისით, სიტყვები „**მე-გობ-არ-ი**“ > „**მე-კობ-არ-ი**“ > „**მე-კობ-რ-ე**“ ერთი და იმავე ფუძიდანაა წამომდგარი, რაც კავშირს, ერთად

ყოფნას ნიშნავდა (შდრ. ხეცს. „მე-კობ-არ-ი“), ამას კარგად ადასტურებს სვანური მასალაც „კობარ“ — ლილები, ანუ ერთმანეთთან შეკვრა.

ამდენად, ის უძველესი პლასტი, როცა ჩრდილოკავკასიაში საქონლის წასართმევად წასვლა ვაჟკაცობას ნიშნავდა, მთელ საქართველოს მთიანეთსა და დალის ხეობაშიც დასტურდება.

კოდორელ მცხოვრებთა ყოფაში, საანალიზო ტექსტების მიხედვით, ასევე დადასტურდა გარკვეული განსხვავება დანარჩენ სვანეთთან მიმართებაში, რაც ცხადია, მეგრელებთან და აფხაზებთან ახლო მეზობლობით არის გამოწვეული. ეს განსხვავება ძირითადად, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებით შეიმჩნევა.

პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ეს გამოიხატება მთხრობლის მიერ საკუთარი გარემომცველი, ეკოლოგიური სამყაროს შეფასებაში. ის მიუთითებს:

ამჟი გარ მიხა ი მახუა, ერე მიშგუ სოფელთან ჰაერ დემე არი. ამე უშხტარ ხარ ლუბურტინე ლახჷწუშ, ჭალიშ, ლეგგბნეშ ი ძულჷანეშ ნაჰწუ ჰაერაღ.

„ასე ვიცი და მგონია, რომ ჩემი სოფლისთანა ჰაერი არსად არის. აქ ერთმანეთსაა შერეული მთის, მდინარის („ჭალის“), ფიჭვნარის და ზღვიდან მონაბერი („მონალწევი“) ჰაერი („ჰაერები“).“

განსხვავება დასტურდება აგრეთვე სამეურნეო ყოფაშიც; აქ წარმოდგენილია ყველის დამუშავებისა და შენახვის სხვადასხვა წესები; ყველის შებოლვა სვანეთისთვის არ იყო დამახასიათებელი, დალის ხეობაში კი ეს წესი გავრცელებული ჩანს. რაც შეეხება ახალი ყველისა და „წაქას“ სამკურნალოდ გამოყენებას, ეს ზემო სვანეთშიც დასტურდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაცია, რომელსაც შეიცავენ დალის ხეობის მცხოვრებლებთან ჩაწერილი ტექსტები; ესაა სვანებისა და აფხაზების ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები.

გასაკვირი არ არის, რომ ამ ტექსტებში მხოლოდ კარგი ურთიერთობაა ასახული. ჩანს, როგორ ხშირია ნათესაური კავშირები სვანებსა და აფხაზებს შორის; მათ კარგი სამეზობლო ურთიერთობები აქვთ. ერთმანეთის გარეშე პურს არ ჭამენ. მთხრობელს მითითებული აქვს ისიც, რომ აფხაზი ახალგაზრდები მათ ოჯახში ღორის დაკვლისას აუცილებელი სტუმრები იყვნენ, ოღონდ ისინი სთხოვდნენ, არ გაემხილათ უფროსებთან, რომ მათ ღორის ხორცი შეჭამეს.

ერთი საინტერესო ფაქტია აღწერილი მთხრობლის მიერ: აფხაზებმა ქორწილის გადახდა ჩვენებურად დაიწყეს, თეთრი ფატით მორთეს საპატარძლო, მანამდე კი პატარძალს შავ ნაჭერს ჩამოაფარებდნენ ხოლმე თავზე და კუთხეში მიმაღავდნენო.

მსგავსება ჩანს სვანებსა და აფხაზებს შორის გარკვეულ დღეებში სახლიდან ნივთისა თუ საჭმელის არ გაცემის წესში. მთხრობელი აღნიშნავს, რომ ეს ოჯახი, რომელსაც ფუტკარი ჰყავდა, ორშაბათ დღეს არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა ოჯახიდან არაფერს; ასევე სჩვევიათ მათთან მცხოვრებ აფხაზებს, რომელნიც ორშაბათს არაფერს არ გამოგატანდნენ სახლიდან. უკიდურეს შემთხვევაში, სანაცვლოდ უნდა მიგეტანა რაიმე ძვირფასი ნივთი. ასეთი წესი დასტურდება დანარჩენ სვანეთშიც. მაგ: აკრძალულ დღეებში თუ მაწვნის დედა დაგჭირდებოდა და მეზობელს გამოართმევდი, სანაცვლოდ აუცილებლად უნდა მიგეტანა იმავე ოდენობის რძე, რაც ბარაქის ოჯახში დარჩენას ნიშნავდა.

ამრიგად, კოდორის (resp. დალის) ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩაწერილი მასალა ფასდაუდებელია ეთნოლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

იოსელიანი 2005 — ხ. იოსელიანი, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში, თბ., 2005, 149.

Rusudan Ioseliani

Ethnolinguistic commentaries of Kodori (resp. Dali) gorge

S u m m a r y

The texts recorded in the population compulsory moved from Dali gorge to Lower Karti are noteworthy not only from linguistic, but from ethnolinguistic viewpoint. Interesting data of life, culture and, customs of the population of Dali gorge and its relation with neighbouring regions is preserved in these materials.

According to the viewpoint existing in the special literature, the Kartvelian tribes lived on the territory of Abkhazia from the ancient time, the remembrance of which is well preserved in the historical memory of present population, which is attested by the corresponding toponyms. According to narrators, Dali was a living pla-

ce of Svan from old times, owing to what it is called "**dālia ṭwib**" — "Gorge of Dali".

Similarities and differences of wedding and mourning customs and traditions among the population of Dali gorge and other Svanian one are well manifested in the mentioned material.

Relation between the population of Dali gorge and Abkhazians is especially noteworthy. As it is shown from the mentioned material, as a result of long-time united live, some influences took place, which are also reflected in wedding and mourning customs and traditions.

ციცინო კვანტალიანი

ისევ ტერმინ კათალიკოსის თაობაზე

ამ საკითხის ირგვლივ ძალიან ბევრი დაწერილა და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. ამ ტერმინით ჩვენი დაინტერესება გამოიწვია ბოლო წლებში ქართულ პრესასა თუ სასულიერო გამოცემებში ამ ფორმის დაწერილობის აღრევამ: იწერება როგორც **კათალიკოსი**, ასევე **კათოლიკოს** ფორმა.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმით სწორია და უნდა იწერებოდეს **კათალიკოს** ფორმა (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998, 311).

ვერ ვიტყვით, რომ დღეს **კათოლიკოს** ფორმა გაბატონებულია ან დიდი სიხშირით გამოიყენება, მაგრამ აშკარაა მისი დამკვიდრების მცდელობა. ამას ხსნიან **კათოლიკოს** და **კათოლიკე** ფორმების იგივეობით. მიაჩნიათ, რომ ეს ორი ფორმა თუ ერთი წარმომავლობისაა, უნდა იწერებოდეს **ო** ხმოვანი და არა - **ა**. ამიტომ სწორია **კათოლიკოსი**.

სამეცნიერო ლიტერატურაში **კათალიკოსის** შესახებ მსჯელობისას **ა/ო** ხმოვანთა მონაცვლეობაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. ქართულში **კათოლიკე** ფორმა, რა თქმა უნდა, შემოსულია თავდაპირველი მნიშვნელობით.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **კათოლიკე** ნიშნავს: „საყოველთაო, გინა საზოგადო, უდიდესი და უდიდებულესი, საერთო ყველასათვის“ (ორბელიანი, 1991, 346).

კათალიკოსი ქეგლ-ის განმარტებით მიჩნეულია ბერძნულ ნასესხობად და განმარტებულია როგორც „ქართულ, (აგრეთვე) სომხურ ეკლესიაში სასულიერო პირის (პატრიარქის) წოდებულება“ (ქეგლ-ი, 1986, 258). ე.ი. **კათალიკოსი** აღმოსავლეთის ეკლესიის მღვდელმთავართა ტიტულია. ცნობილია, რომ ამ ეკლესიებმა ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღეს.

რა ხმოვანი იყო ფუძეში: **ა** თუ **ო**? ამის შესახებ უმეტესად სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი. იმდენად აშკარაა ამ სიტყვების საერთო წარმომავლობა, რომ მასზე ყურადღებას არც ამახვილებენ, მხო-

ლოდ არის ინფორმაცია **კათოლიკე, კათალიკოს** ფორმების ბერძნულიდან ნასესხობის, **-ოს** დაბოლოების შესახებ(იხ. დანელია, 1983,67; სარჯველაძე,1997, 191; შანიძე, 1997,56; ჯორბენაძე,1997,56).

კათალიკოს ფორმას წერდა ივ. ჯავახიშვილი: „**კათალიკოსი** ეპისკოპოსთა მთავარი იყო და საქართველოს ეკლესიის უზენაესი, გამგე და მეუფე“ (ჯავახიშვილი,1984, 17). „თუ წინათ ქართველთა ეკლესიის მამამთავარი მარტივად „ქართლის **კათალიკოსად** და მთავარეპისკოპოსად იწოდებოდა, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს იგი „ქართლის **კათალიკოს-პატრიარქის**“ სახელს ატარებდა“ (იქვე,18).

საინტერესოა, როგორი ვითარება იყო ისტორიულად? ერთი შეხედვით თითქოს ჩანს, რომ უძველესი ფორმა იყო **კათოლიკოსი** და მერე, ახალ ქართულში გაჩნდა პარალელური — **კათალიკოსი**, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა აღმოჩნდა.

ჩვენ შევეცადეთ ეს საკითხი შეგვესწავლა სასულიერო და საერო მწერლობის ნიმუშებით, მაგრამ ეს საკმარისად არ მივიჩნიეთ და შევისწავლეთ საისტორიო თხზულებებიც.

აღმოჩნდა, რომ უძველეს ძეგლებში თავიდანვე დამკვიდრდა **კათალიკოს** ფორმა. ძველი ქართული ძირითადად ცნობს მხოლოდ **ა-**თი ფორმებულ ტერმინ **კათალიკოსს**.

კათალიკოს ფორმა არის გამოყენებული უცნობი ავტორის თხზულება „ევსტათი მცხეთელის წამებაში“: „რაჟამს ამხედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა **კათალიკოსი** და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არმუშა ქართლის პიტიახში და სხვანი სეფეწულნი“ (ქართული მწერლობა, 1987,256).

კათალიკოს ფორმას იყენებს იოანე საბანისძე „აბოს წამებაში“: „მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა **კათალიკოსი**, უფალსა იოვანეს საბანის ძესა, სულიერად შეიღისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყვარელსა ჩვენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ“ (ქართული მწერლობა, I,1987,441).

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იყენებს **კათალიკოს / კათალიკოს** ფორმას:“და სანატრელი ესე არსენი **კათალიკოსი** და ეფრემ ეპისკოპოსი მოვიდიან ხილვად მოძღვრისა თვისისა მამისა გრიგოლისასა. არამედ ძველი ხანძთისა ეკლესიად არსენ **კათალიკოსმან** აკურთხა“ (ქართული მწერლობა,1987,590).

გიორგი მთაწმინდელი „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ **კათალიკოს** ფორმას იყენებს: „მას დღესა შინა იყო ვინმე **კათალიკოსი** თესლონიკეს, საღმრთოდ და სულიერი მეგობარი მამათა ჩვენთაჲ“ (ქართული მწერლობა, II,1987,29).

კათოლიკოს ფორმა დასტურდება მხოლოდ დავით აღმაშენებლის ანდერძში (1125წ.) და რუის-ურბნისის ძეგლისწერაში (1105წ.). დავით აღმაშენებლის ანდერძი: „გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით დღეთა შინა სიკვდილისა და სოფლის განსვლისა ჩემ მიერ, უნდოისა და უღირსისა, მლოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქვენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოისა მისისაითა **კათოლიკოსთა**, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“ (ქართული მწერლობა, II, 1987წ. 213).

ძეგლისწერა: „**კათოლიკოსისა** და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდა მღვდელი ანუ დიაკონი არსენ იყალთოელი (ქართული მწერლობა, II, 1987წ.).

კათოლიკოს ფორმის გამოყენების მხოლოდ ეს ორი გამონაკლისი გვხვდება. ორივე ერთ ეპოქას ეკუთვნის. შემდგომში მხოლოდ ანტონ კათალიკოსი წერდა **კათოლიკოს** ფორმას და მისი გავლენით აქა-იქ გამოჩნდებოდა პარალელური დაწერილობა.

საისტორიო თხზულებებშიც თითქმის ყველგან დასტურდება **კათალიკოსი** ან **კათალიკოზ** ფორმა.

ჯუანშერი: „და ანტიოქიელმა პატრიარქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე **კათალიკოსად**“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 198).

მოკვდა **კათალიკოსი** ევლავიოზ და მანვე მეფემან დასუა **კათალიკოსი** მაკარი (ქართლის ცხოვრება, 1955, 235). მაკარი კათალიკოსი იყო VI საუკუნის მოღვაწე.

XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე წერს **კათალიკოს** ფორმას: „მას ჟამსა **კათალიკოსი** იყო მცხეთას სამოელ“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 347).

ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“: „და მეფე თამარი მოიქცა სამცხეს. და მოვიდა ოძრახეს. და მოიცალა ლოცვად და მარხვად და იყო წინაშე მისსა თეოდორე, ქართლისა **კათალიკოსი**, კაცი წმინდა და სახიერი“ (ქართული მწერლობა, 1988, 400).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „გარდაიცვალა **კათალიკოზი** გაბრიელ საფარელი და დაჯდა **კათალიკოზად** იოანე“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 326).

„ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“: „პირველად გარდაცვალებასა ქართლისა **კათალიკოსისა**, ჭყონდიდელისა და მწიგნობართ-უხუცესისა მიქაელ მირიანის ძისა... ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირად ანტონი, ვაზრდილი მამისა მათისა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 32).

ლენტი მროველი, „მატიანე ქართლისა“: „მაშინ წარიყვანეს იგი (თეოდოსი) ფიცითა და სიმტკიცითა, რომლითა ეფუცნეს წინაშე სუეტსა

ცხოველსა **კათალიკოსი**, მღვდელ-მოძღვარნი და დიდებულნი ყოველნი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 271).

უამთააღმწერელი **კათალიკოს** ფორმას ადასტურებს: „ამით განსუენებასა შინა მყოფმან (ლაშა გიორგიმ) არა ინება ქორწინება ცოლისა. ამისთვის შეკრბეს **კათალიკოსნი**, ეპისკოპოსნი და ვაზირნი“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 156).

ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი: ბერი ეგნატაშვილი იყენებს **კათალიკოზ** ფორმას: „და იყო **კათალიკოზი** ელიოზ და მიიცვალა **კათალიკოზი** ელიოზ და დაჯდა მის წილ **კათალიკოზი** გიორგი“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 351).

ახალი ქართლის ცხოვრება, II ტექსტი: „და მოკუდა **კათალიკოზი** თეოდორე და დაჯდა **კათალიკოზი** შიო“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 473).

ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი: „უამსა ამას ჯდა **კათალიკოზი** მელქისედეკ, ძმა მეფისა დავითისა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 493).

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: „ამ მიქელს სწერენ ქართლის ეკლესიის მემატთანნი **კათალიკოზად**“ (ქართლის ცხოვრება, 1973, 101).

„მხილველნი დიდებულნი, **კათალიკოზნი**, ეპისკოპოზნი ეტყოდნენ (ლაშა-გიორგის) არა-ყოფად ესრეთ“ (ქართლის ცხოვრება, 1973, 198).

როგორც ვნახეთ, ყველგან არის **კათალიკოსი** ფორმა. ეს ტრადიცია გაგრძელდა მოგვიანო ხანის ძეგლებშიც. ისტორიკოსები თუ მწერლები ერთხმად წერდნენ **კათალიკოს** ან **კათალიკოზ** ფორმას. ყველასათვის ნაცნობია და ყველას ახსოვს აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“:

„შედი მარტოა **კათალიკოსი**,

ნუ ეგულები იქ დიდ კრებასა“.

კონსტანტინე გამსახურდიაც კი, რომელიც ცდილობდა ძველი ფორმები აღედგინა, იყენებდა **კათალიკოს** ფორმას, რადგან ძველი ქართული **კათალიკოს** ფორმას ფაქტობრივად არ იცნობს.

რა მოხდა, რატომ შემოვიდა ქართულში ეს სიტყვა ა ხმოვნით, გაურკვეველია. ფაქტი ერთია, **კათალიკოს** ფორმის ნაცვლად, თავიდანვე დამკვიდრდა **კათალიკოსი**. იქნებ ენამ გააქართულა, ქართულისათვის უფრო ბუნებრივი გახდა ბერძნული სიტყვა? ასეთი რამ ენაში ხდება. იქნებ ორი **ო**, ფუძისეული და მაწარმოებლის, ვერ თანაარსებობდა? იქნებ ა ხმოვანმაც თავისი წვლილი შეიტანა **ო**-ს ნაცვლად ა-ს დამკვიდრებაში? ფაქტი ერთია, უძველეს ძეგლებში ერთმანეთის გვერდით გამოიყენებოდა **კათალიკოსი** და **კათალიკე** ფორმებიც (მდრ. ზემოთ დამოწმებული „აბოს წამება“).

თუ ფუძისეული **ა** ხმოვანი იმოქმედებდა **ო** ხმოვანზე, მაშინ რატომ არ შეიცვალა **ო ა**-დ **კათოლიკე** ფორმაში? უფრო საფიქრებელია, რომ სიფიქსისეულმა **ო** ხმოვანმა განაპირობა ეს ცვლილება. მოხდა დისიმილაცია.

ამ რამდენიმე წლის წინ ამ საკითხის ირგვლივ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გაიმართა ერთგვარი პოლემიკა. მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ გამოაქვეყნა სტატია და შემდეგ მას უპასუხა თამარ მესხმა.

რევაზ ჯაფარიძემ **კათოლიკოს** ფორმას „ახალშემოდებული საეკლესიო ტერმინი“ უწოდა და მიიჩნია, რომ ის „სრულიად უმართებულოდ იხმარება, რადგან მას არც ხალხური ტრადიცია და არც ისტორიული ლიტერატურა არ ადასტურებს“ (ჯაფარიძე, 1990). რ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ „ქართლის ცხოვრების თანახმად, „ყოველი დროის საქართველოში, მას შემდეგ, რაც მისმა მართლმადიდებელმა ქართულმა ეროვნულმა ეკლესიამ ავტოკეფალია, ანუ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ ეკლესიის მეთაურს, საჭეთმპყრობელს, **კათალიკოსი, კათალიკოს-პატრიარქი** ეწოდება და არა **კათოლიკოსი** და **კათოლიკოს-პატრიარქი**“ (ჯაფარიძე, 1990).

თამარ მესხმა, პირიქით, **კათოლიკოს** ფორმა მიიჩნია უპირატესად. მან ზედმიწევნით ახსნა ამ ტერმინის წარმომავლობა: „ტერმინი **„კათოლიკოსი“** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, უფრო ზუსტად, სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელიდან — **„კათოლიკოს“**, **„კათოლიკე“**, **„კათოლიკონ“**, რაც ნიშნავს საყოველთაოს, საზოგადოს“ (მესხი, 1990). თ. მესხი აღნიშნავს, რომ „ბერძნულ ენაში ყოველ ზედსართავ სახელს არტიკლის დართვის შემთხვევაში აქვს არსებითი სახელის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, **„ო კათოლიკოს**, ანუ **კათოლიკოსი** არის უმთავრესი აღმოსავლეთის ავტოკეფალურ ეკლესიაში შემავალ მღვდელმთავრებს შორის, ამ ეკლესიის მეთაური“ (მესხი, 1990).

თ. მესხის აზრით, „ტერმინ **კათოლიკოსის** ხშირი ხმარება და ერთგვარი დამკვიდრებაც კი ამ ბოლო დროს... არის სწორი ფორმის აღდგენა.“ ის მიიჩნევს, რომ ფორმა **კათალიკოსი** ფონეტიკური ასიმილაციის შედეგია. უძველეს ხელნაწერებში კი ორივე ფორმა გამოიყენებოდა. მისი ვარაუდით, ეს უკავშირდება ქრისტიანობის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ანუ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებად (1054წ.) გათიშვას. ამის შემდეგ მიენიჭა უპირატესობა **კათალიკოს** ფორმას, რომ თავიდან აეცილებინათ **კათოლიკოსის კათოლიკესთან** მსგავსებით გამოწვეული გაუგებრობა. რაც შეეხება რ. ჯაფარიძის მიერ დამოწმებულ „ქართლის ცხოვრებას“, მისი უძველესი ხელნაწერები XV-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება (მესხი, 1990).

თ. მესხის აზრით, „სწორი ფორმა გახლავთ **კათოლიკოსი**, მაგრამ **კათალიკოს** დაწერილობას ჩვენში ისეთი დადი ტრადიცია აქვს, რომ ისიც ინარჩუნებს არსებობის უფლებას“ (მესხი, 1990).

ვფიქრობთ, რომ კათალიკოს ფორმა არათუ ინარჩუნებს არსებობის უფლებას, არამედ ქართული სინამდვილისათვის უფრო სწორი ფორმაა. ბერძნული დაწერილობა რომ **კათოლიკოსია**, არ ნიშნავს იმას, რომ ქართულშიც მაინცდამაინც ზუსტად ისეთივე დაწერილობა უნდა შემოსულიყო. არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ ბერძნული დაწერილობა ქართულში სხვაგვარად მკვიდრდება. ამის მაგალითია **ფრესკო**, რომელიც ქართულში **ფრესკად** დამკვიდრდა, **ფსალმონი**, რომელიც ჩვენში **ფსალმუნის** სახით შემოვიდა. ნელი მახარაძის აზრით, „ფსალმუნი იმდენად დაკანონებული ფორმაა ქართულში, რომ ბერძნულის შესატყვისი სწორი ფორმა ზოგჯერ შეცდომად მიიჩნევა მკვლევართა მიერ“ (მახარაძე, 1978, 16).

ნ. მახარაძე მიუთითებს, რომ „ფსალმონ ფუძის ეს სიტყვა აქა-იქ მაშინაც გვხვდება ქართულ ძეგლებში“ (იქვე).

ზუსტად ასევე შეიძლება ითქვას **კათოლიკოსის** შესახებაც. **კათოლიკოს** ფორმა ნამდვილად „აქა-იქ“ გვხვდება ქართულ ძეგლებში. იმის გამო, რომ სწორია ბერძნული **ფსალმონ** ფორმა, ხომ არავის მოუვა აზრად ცადოს და შეცვალოს დაკანონებული, ტრადიციული **ფსალმუნ** ფორმა. ასევე დაკანონებულია ქართულში **კათალიკოს** ფორმაც.

საეჭვოდ გვეჩვენება, რომ **კათალიკოს** ფორმის დამკვიდრება უკავშირდებოდეს ქრისტიანული ეკლესიის მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებად გათიშვას. თუკი „**კათოლიკოსის კათოლიკესთან** ესოდენი მსგავსებით წარმოქმნილი გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად გაჩნდა **კათალიკოს** ფორმა, რატომ არ შეიცვალა თვითონ **კათოლიკე** ფორმა, რომელიც მეტ გაუგებრობას ქმნის. „მრწამსში“ ხომ პირდაპირ წერია: „ერთი, წმიდა **კათოლიკე** სამოციქულო ეკლესია?“

გაუგებრობას ამ საკითხში გაუცნობიერებელი ადამიანისათვის **კათოლიკე** ფორმა უფრო ქმნის. თუ ეს ცვლილება XI საუკუნიდან მოხდა, სწორი იქნებოდა **კათოლიკე** შეცვლილიყო და არა — **კათოლიკოსი**. თანაც **კათალიკოს** ფორმა ხომ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში არ არის? როგორც ზემოთ ვნახეთ, უძველესი სასულიერო ლიტერატურაც ამ ფორმას ადასტურებს. მართლაც, საფიქრებელია, რომ თავიდანვე, როცა ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მიიღო და **კათალიკოსი** დაჯდა ქართლში, ეკლესიის მეთაურს **კათალიკოსი** ეწოდა (იხ. რ. ჯაფარიძე).

ზემოთ დამოწმებული მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეალური სურათი ასეთია: შესწავლილმა წყაროებმა აჩვენა, რომ ძველ ქართულშიც და, რა თქმა უნდა, ახალ ქართულშიც ნორმა იყო **კათალიკოსი**. ვფიქრობთ, უნდა შენარჩუნდეს ეს ტრადიცია. ხელოვნურად ხელი არ უნდა შეეშალოს მის არსებობას და ძალდატანებით არ უნდა ვეცადოთ **კათალიკოს** ფორმის დამკვიდრებას. თუ ენა დაამკვიდრებს პარალელურ ფორმებს, ამას ხელს ვერ შეგუშლით. აქედან გამომდინარე,

ვფიქრობთ, **კათოლიკოს** ფორმასაც აქვს არსებობის უფლება და ნორმითაც და ტრადიციით დადგენილი **კათალიკოს** ფორმის გვერდით შეიძლება პარალელურად მისი გამოყენებაც.

ლიტერატურა

დანელია, 1983 — კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1983.

თოფურია, გიგინეიშვილი, 1998 — ვ.თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

მახარაძე, 1978 — ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ. 1978.

მესხი, 1990 — თ. მესხი, „კათოლიკოსი“, ლიტერატურული საქართველო, 1990., №22, 1 ივნისი.

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ქეგელი, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

შანიძე, 1972 — აკ. შანიძე, ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, თბ. 1972.

ჯავახიშვილი, 1984 — ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VII, თბ. 1984.

ჯაფარიძე, 1990 — რ. ჯაფარიძე, „კათოლიკოსი“ თუ „კათალიკოსი?“, ლიტერატურული საქართველო, 1990., № VII, 16 თებერვალი.

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ. 1997.

წყაროები

ქართლის ცხოვრება, 1955 — ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, 1959 — ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

ქართლის ცხოვრება, 1973 — ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

ქართული მწერლობა, 1987 — ქართული მწერლობა, II, თბ., 1987.

ჩვენი საუნჯე, 1960 — ჩვენი საუნჯე, VII, თბ., 1960.

Tsitsino Kvantaliani

Agin Towards the Issue on a Term *ḱataliḱos*

S u m m a r y

The mixed spelling forms of **ḱataliḱos** – **ḱataliḱos** and **ḱatoliḱos** are found in a Georgian press as well as in ecclesiastical publishing.

We studied this issue on the material of ecclesiastical and secular writings. Historical works are also analyzed.

It was proved, that from the beginning a form **ḱataliḱos** was rooted in the ancient monuments, which was borrowed from Greece and was formed from an adjective with three suffixes – **ḱatoliḱos**, **ḱatoliḱ**, **ḱatoliḱon** with the meaning of “universal” (T. Meskhi).

But this borrowing from Greece form was rooted in Georgian as **ḱataliḱos**.

What it occurred? Why this word gained vocalism with a sound **a**? If a vowel could influence on **o**, then why **o** was not changed into **a** in the form **ḱatoliḱ**? We suppose, that this alternation is conditioned by a suffixal vowel **o**. In the present case dissimilation took place.

The analysed sources showed, that in Old- and, naturally in New Georgian **ḱataliḱos** was a standard form. If two parallel forms were fixed in a language, we can not prevent this process. Therefore, using of the forms **ḱataliḱos** and **ḱatoliḱos** is admitted.

ქეთევან მარგიანი-სუბარი

მირთვა და თანდებულიანი ფორმები კოდორისა და ენგურის ხეობათა სვანურში

მირთვა სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა წინადადებაში, როცა „წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობლივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს“ (კვაჭაძე 1966: 22).

ხშირად რთულია ზღვრის დადება მართვასა და მირთვას შორის, განსაკუთრებით თანდებულიანი ფორმისა და მოქმედებითი ბრუნვის შემთხვევაში; „მოკლა თოფით“, „წავიდა ფეხით“ ტიპის ფორმებში თუ დავუშვებთ, რომ მხოლოდ ეს ბრუნვაა შესაძლებელი, მაშინ მართვაა, მაგრამ, რადგან ცნობილია, რომ ერთპირიანი ზმნა მართვის უნარის გარეშეა, მოცემულ მაგალითებში მირთვა დაიშვება-“ო — აღნიშნავს ვ. თოფურია. თანდებულიანი ბრუნვა იდიომატურ გამოთქმაში „ხელში აქვს“ შეიძლება შეიცვალოს ფორმით „ხელთ აქვს“. აქედან გამომდინარე, „ქართულში მართულია ზმნიზედა და თანდებულიანი სახელი ყველა შემთხვევაში, მიმრთველი კი, უწინარეს ყოვლისა, ზმნა (შემასმენელი) და ნაზმნარი სახელი (იქნება ის განსაზღვრება თუ წინადადების სხვა წევრი“ (თოფურია 2002: 277-278).

ვ. თოფურიას აზრით, „სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სინტაქსურ საკითხებში“ (თოფურია 2002: 254). პრინციპული განსხვავება არც მირთვის შემთხვევაშია, თუმცა შეიძლება, რომ წინადადების წევრთა შორის შინაარსობლივი კავშირისათვის სვანურს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე თანამედროვე სალიტერატურო ქართულს, რაც, ძირითადად, მირთულ სიტყვათა მრავალფეროვნებას უკავშირდება.

სვანურ ენაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, გვაქვს პირველადი და ნაწარმოები ზმნიზედები, რომლებიც წინადადებაში, ძირითადად, გარემოებებზე გვევლინებიან და მიერთიან ზმნას ან ნაზმნარ სახელს.

პირველად ზმნიზედებში ტრადიციულად გვულისხმობთ ისეთ ლექსე-

მებს, სადაც ძირეულ და აფიქსურ მორფემათა გამოყოფა შეუძლებელია. ასეთები შედარებით მცირეა: **ბაზი** „ამადამ“, **მეხარ** „ხვალ“, **ქამ** „გარეთ“, **უშდილ**¹ „ფარულად, მალულად“ და ა. შ.

საღნიშნული ჯგუფის ზმნიშედები ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მხოლოდ დროის, ადგილისა და ვითარების გარემოებებად დადასტურდა; როგორც ჩანს, მათ არა აქვთ ან ნაკლებად აქვთ მოქმედების მიზნისა თუ მიზეზის გამოხატვის უნარი, რასაც, ძირითადად, ბრუნვის ნიშანი ან თანდებული იღებს თავის თავზე:

მეხარ ლიფანეს იჩოხ — „ხვალ საკუროთხს (და-ფენ-ას) აკეთებენ“;

ქამ გუნ უჩხა — „გარეთ ძალიან წვიმდა“;

საგითქა ჯედნიუ თურმე ლენა ი ამეჩუ იწედურალხ უშდილ ჯი ი მიჩა დი — „მეხვე წყალთან გამოდიოდა თურმე ლენა და იქ ნახულობდნენ ერთმანეთს მალულად თვითონ და დედამისი“.

შედარებით მრავალრიცხოვანია მეორე ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია ბრუნვაში გაქვავებული ზმნიშედები, თანდებულიანი ფორმები და „საკუთრივ ზმნიშედათა მაწარმოებელაფიქსიანები“ (ონიანი 1998: 276).

ბრუნვათაგან გამოყენებულია:

მიცემითი — **ეჩქას-ს** „მაშინ“: **ეჩქას** (< ე-ჯ-შა-ს) **კლასს ოხბინ ლიშდებ** — „მაშინ სკოლაში („კლას-ს“) დავიწყე მუშაობა“;

ნებოზ-ს „სალამოს“: **ლუნარ ნებოზს დემეგ ანდრის სგა** — ხბოები სალამოს არ (შე)ბრუნდებიან“;

ნაგზ-ა „კვირას“: **აფხზარს ლილქალ ეჩუი ხანთქუახს, ერე მთელი ნაგზა კილის** — „აფხაზებს ისეთი („ისე“) კივილი სჩვევიათ, რომ მთელ კვირას კივიან“.

ვითარებითი — **ჯუინალ-დ** „ძველად“: **ჯუინალდ ფერმა ხწყენახ ამეჩუ ლინთუისგა** — ძველად ფერმა ჰყოლიათ აქ ზამთარში“;

ურჰა-დ „უთენია“: **ხონურა მუხუბე უანგვან ურჰად** — „უმცროსი ძმა ადგა უთენია“;

ღუემუგდ „უკან“: **ოსთხებ ღუემუგდ, ქორთე** — შეტრიალდა უკან, სახლისკენ“.

მოშდ „სხვაგვარად“: **გუანდრალე რადიო მოშდ აცხანდა** — გვანდრალეების რადიო სხვაგვარად აცხანდებდა“.

¹ ამ ზმნიშედის პირველადობა საეჭვოდ გვეჩვენება, შესაძლოა **შიდ** ზმნისაგან ნაწარმოები ნეგატიური მიმღეობა იყოს (**შიდ** „შეიძლება“, უფრო მეტად კი „არ იკრძალება“; გამოიყენება მხოლოდ ტაბუირებასთან, რწმენასთან ან ცრურწმენასთან დაკავშირებულ კონტექსტებში). **უშდილ** < * **უ-შიდ-ილ** (ი. ჩანტლაძე -ილ სუფიქსს ნამყო დროის მიმღეობის მაწარმოებელად მიიჩნევს **ტეხენილა**, **სედენილა** ტიპის არქაულ ზმნებში). შდრ. **უ-შდ-ა** ქალი, რომელსაც გარკვეული მიზეზით ეკრძალება წმინდა ადგილთან ურთიერთობა; ძვ. ქართ. „კრძალულად სივლტოლაჲ“ — გაპარვა...

ასევე: **გუამი-დ** „ძალიან“ („მძიმედ“), **ხოლა-მ-დ** „ცუდად“, **ხოჩა-მ-დ** „კარგად“, **უშიდილ-დ** „მაღულად“ და სხვა.

მოქმედებითი — **ლეთშუ** „ლამით“: **ლეთშუ მასარდ კუარემ ლასუ** — „ლამით ძალიან ყინავდა“.

აღ. ონიანი გამოყოფს აფიქსებს, „რომლებიც მხოლოდ ზმნიზედებში დასტურდება: **-ინ: სგუებ-ინ** „წინ“, **ჟეშგ-ინ** „უკან“, **აშხუ-ინ** „ერთხელ“; **ხი-: ეჩ-ხი** „უფრო იქით“, **ჟი-ხი** „უფრო ზევით“; **-ნ: ჰამ-ნ ი ნაბოზ-ნ** „დიდიდან სადამოდე“, თუმცა ნ. მარი და ვ. თოფურია **-ნ-ს** მიცემითი ბრუნვის ძველ ფორმანტად მიიჩნევენ და მას **გუ-ნ** „ძალიან“ ზმნისართშიც გამოყოფენ; იგივე ითქმის **-ინ**ის შესახებაც, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს (ნ. მარი, ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე, ი. ჩანტლაძე) ნათესაობითის მორფემა ჰგონია. რაც შეეხება **-ხი** ფორმანტს, ის დასტურდება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელშიც: **დერ-ხი < ძარ-ხი** „ზოგი“.

წინადადებაში ეს ზმნიზედები, ძირითადად, დროისა და ადგილის გარემოების ფუნქციით გვხვდება.

მირთვის სპეციფიკურობა სვანურში ძირითადად მაინც თანდებულის მირთულს უკავშირდება, ვინაიდან თავად თანდებულია სვანურში რთული. ერთი მხრივ გვაქვს მარტივი თანდებულები **-ჟი** „ზე“, **-ჩუ** „ქვემ, ქვემოთ“, **-ი¹სგა** „ში“, **-ქა** „გავლით, **ყერეჟ**“, **-თე** „კენ“, **-ხან** „გან“, **-მგუ** „თან“, **-ლა** „თვის, გამო“, **-დო** „შემდეგ“, მეორე მხრივ — რთული თანდებულები: **-თესგა**, **-თექა**, **-თეჟი**, **-თეჩუ**, **-ხანქა**, **-ხანისგა**, **-ხანჟი**, **-ხანჩუ** (თოფურია 2002: 204).

ი. ჩანტლაძის აზრით, თავდაპირველად ყოველგვარი სახელი ლოკალური მნიშვნელობით გამოყენებისას ოდენ ფუძით იყო წარმოდგენილი, ხოლო მიმართებანი სივრცეში გადმოიცემოდა ზმნის პრევერბის საშუალებით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი ფუნქცია ადგილმყოფობისა და მიმართულების აღნიშვნაა. შემდგომ ეს მიმართებები სახელებშიც აისახა. მკვლევარი ფიქრობს, რომ ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვის განვითარების პირველსა და მეორე საფეხურებზე მოქმედების ადგილი და მიმართულება ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის, ისინი წარმოდგენილია პირველ შემთხვევაში ზმნის პრევერბში, ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც ზმნის პრევერბში, ისე სახელის მიცემით-ვითარებითი ბრუნვის ფორმაში. ამ დონეზე მიცემით-ვითარებითი ერთი ბრუნვაა, მაგრამ თანდათანობით მისი ფუნქციები დანაწევრდა, ზოგადიდან უფრო კონკრეტული მნიშვნელობის გამოხატვა გახდა შესაძლებელი და მიცემითს ძირითადად დაუკავშირდა ადგილმდებარეობის აღნიშვნა, ხოლო ვითარებითს — მიმართულებისა. თავდაპირველად ისინი ამ ფუნქციებს ასრულებდნენ მარტივი ფორმებით, უთანდებულოდ. შემდეგ თანდათანობით საჭირო გახდა ადგილმდებარეობის გამომხატველი თანდებულების დართვა სახელის

მიცემითი ბრუნვის ფორმაზეც. ეს თანდებულები მატერიალურად ზმნის პრევერბების იდენტურია.

დიფერენციაციის შემდეგ ზმნასთან იგივე პრევერბები დარჩა, როცა საგანგებოდ იყო ხაზგასმული მოქმედების სწორედ ადგილმდებარეობა, ხოლო მიმართულების აღსანიშნავად სახელს დაერთო სრულიად სხვა (**-თე, -ხენ**) თანდებულები.

საბოლოო საფეხური ორთანდებულიან ფორმებს შეიცავს; მასში ერთდროულადაა ასახული მოქმედების მიმართულება და ადგილიც, ამგვარად, ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვის განვითარების გზა სვანურში ოთხსაფეხურიანი სისტემაა: ა) სახელის ოდენ ფუძე; ბ) მიცემით-ვითარებითი ბრუნვა შესაბამისი **-ნ, -დ, -ს, -ჟ** ფორმანტებით; გ) სახელის ერთ- და დ) ორთანდებულიანი ფორმები (ჩანტლაძე 1974: 101-104).

სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, როგორც მარტივი, ისე რთული თანდებულები სახელებს უკავშირდება გარკვეულ ბრუნვაში. ქართულისგან განსხვავებით, სვანურში თანდებულები ერთვის მხოლოდ ორ ბრუნვას — მიცემითსა და ნათესაობითს, თუმცა ყველა თანდებულს შეუძლია სახელები ორსავე ბრუნვაში მართოს. მართვის გარდა, თანდებულს ეკისრება სხვადასხვა სახის ურთიერთობის ჩვენება. როგორც აღინიშნა, მან შეიძლება გამოხატოს მდგომარეობა სივრცეში ან მიმართულება. ნ. აბესაძე თანდებულებს სვანურში სწორედ ამ ნიშნით აჯგუფებს და აღნიშნავს, რომ **-ჟი, -ჩუ, -ი'სგა, -მეჟ** და სხვა თანდებულებისათვის ძირითადია მდგომარეობის გამოხატვა, ხოლო **-თე** და **-ხან** თანდებულებისათვის — მიმართულების ჩვენება (აბესაძე 1955: 284).

თანდებულები სვანურში ფუნქციურად უფრო დატვირთულია, ვიდრე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ი. ჩანტლაძე აღნიშნავს, რომ „ე. წ. წინდებულ-თანდებულიანი სახელები უფრო კონკრეტულად მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე; ასე მაგალითად: **ეჟა კინჩჩუ ათხჟიდ** „ის კისერში მოხვდა“ იმას ნიშნავს, რომ უსათუოდ შიგნით, ქვევით, სიღრმეში ხდება მოქმედება; „**კინჩჩუ**“ აუცილებლად ზემოდან, გარედან მოხვედრაზე მიგვითითებს, მაშინ, როდესაც „**კინჩჩს ათხჟიდ**“ უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა, დაუნაწევრებელია — „ზე“-საც შეესატყვისება და „ში“-საც (ჩანტლაძე 1971: 132).

ვინაიდან **-ჟი (-ჟინ)** თანდებული, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენებს ადგილს, საგნის ადგილმყოფობას ზედაპირზე, ამიტომაც **-ჟი** თანდებულიანი სიტყვა წინადადებაში ხშირად ადგილის გარემოებაა:

ტობ ლგ თანაღჟი, ნესგა კოჯარისგა (ბზ.) — „ტბა დგას უღელტეხილზე, შუა კლდეებში“;

მალჟს შუკჟჟი მეთხჟარ ლახხჟიდა (ბქ.) — „მელას გზაზე მონადირე შეხვდა“.

ამავდროულად **-ჟი** თანდებულისანი ფორმები გვხვდება დროის გარემოებადაც:

უჩხაჟი სგა ლგრდას ლასგმდ ერჩაჟ (ბქ.) — „**წვიმის დროს („წვიმა-ზე“)** შედიოდნენ (თავის) შესაფარებლად იქ“.

მიშგუ ოჯან მიწისძვრაჟი ლანსჟ გადასხლებულ ერჩაჟ (ბზ.) — „ჩემი ოჯახი **მიწისძვრის დროს („მიწისძვრაზე“)** იყო იქ გადასახლებული“.

‘მიშგომუს’ ლემესგომ ლაშჟამჟი ერჟალე ბანს ხოკჟანე (ბქ.) — „მამაჩემს **ცეცხლის დანთების დროს („სანათზე“)** ვიღაცა ქვას უგდებს“.

-ჟი თანდებულისანი სახელი შესაძლოა მოგვევლინოს მიზნის გარემოების ფუნქციითაც:

ეჯა ლითჟრ ბედჟი ლანსჟ რუსეთთე მეჩდე (ბზ.) — „**ის სასწავლებლად („სწავლის ბედზე“)** იყო რუსეთში წასული“.

-მეყ თანდებულის შესახებ ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „იგი გამოხატავს თანაობას, ადგილის მხრივ, ერთდემყოფობას, უდრის ქართულ **-თან** თანდებულს და ნანათესაობითარი მიცემითის ფორმას“ (თოფურია 2002: 203). ნ. აბესაძის განმარტებით, **-მეყ** თანდებული უფრო რუსულ **у წინდებულს** შეესატყვისება: **у соседей** (აბესაძე 1955: 287).

-მეყ ვარიანტი ზემოსვანურში გამოიყენება, ხოლო ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებში გვხვდება მისი ასიმილირებული **-მოყ** ფორმა. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი კოდორის მოსახლეობის მეტყველებაშიც დავადასტურეთ, თუმცა იქ ქვემოსვანები არ ცხოვრობენ. როგორც ჩანს, **მ** თანხმოვნის გავლენა ანაბტიქსურ **გ** ხმოვანზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელდა ცხენისწყლისა და კოდორის ხეობის სვანურში.

მიშგუ ლაყჟრა ლაჟჟრამეყ ლგგდა (ბზ.) — „ჩემი საწოლი **ფანჯარასთან** იდგა“;

დომბანა ლანსპამოყ ესხჟიდდას სანჟიარ (ბქ.) — „დომბას **გადასახვევთან** დახვდნენ საგები“;

მუშგჟრე ჩ’ოთყჟინას ეჯ ლეთ მინეშმეყ, ქორს (ბქ.) — „სტუმარი დაუწვევნიათ იმ ღამეს **თავისას**, სახლში“.

მაგრამ ამავდროულად ბალსზემოურ კილოში **-მეყ** ქართულ **-მდე** თანდებულის სემანტიკასაც ითავსებს:

პლატოკ ქანდთხიფ თერანლმეყ ნიჩჟარჩჟინ — „ცხვირსახოცი გადაიფარა **თვალეზამდე** სახეზე“;

გჟირაბანლმეყ ჟეთ ხანდ ლგჟე — „თითქმის **გვირაბეზამდე** მოაღწიეს („ჰქონდათ მოღწეული“);

იბგრგიელს, იბგრგიელს ი ჟ’ესთჟანფ ქუთჟლარმეყ, იბგრგიელს ი... ჟ’ესთჟანფ ლარტყამეყ — „ჭიდაობენ, ჭიდაობენ და ჩაეფლო („ჩაიძალა“) **მუხლებამდე, ჭიდაობენ და... ჩაეფლო წელამდე („საქამრემდე“)**.

-მეყ თანდებულისანი სახელი ყველა შემთხვევაში ადგილის გარემო-

ბაა წინადადებაში.

მიმართულების გამომხატველ მარტივ თანდებულ **-თე**-ს ქართულში ყველაზე მეტად **-კენ** შეესაბამება: **დეც-თე** „ცისკენ“, **მიჩეშ-თე** „მისკენ“... თუმცა ესადაგება **-ზე** და **-ში** თანდებულისანი ფორმებიც:

მეთხმარდ ჯაჭუ შ'ადე კოჯთე (ბზ.) — „მონადირემ ჯაჭვი აიტანა კლდეზე“;

ბეფშედ ზეჟ სგ'ადე ქორთე (ბზ.) — „ბავშვმა შეშა შეიტანა სანღ-ში“.

-თე თანდებულისანი სახელი წინადადებაში უმეტესად ადგილის გარემოებაა, თუმცა მყოფადის მიმღეობაზე დართვისას ის შეესაბამება ქართული ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღეობის სემანტიკას და ასრულებს მიზნის გარემოების როლს; ი. ჩანტლაძე აღნიშნავს, რომ „თანამედროვე სვანურში მიწვევითობა-მიმართულების გამომხატველ ვითარებითს ხშირად ენაცვლება **-თე** („-კენ“, „-მდე“) **-ხენ** („-გან“) თანდებულები. ყველაზე ხშირად **-დ-თე** მონაცვლეობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მოქმედების მიზანია გამომხატული (ჩანტლაძე 1971: 141-142); მოვიყვანთ მაგალითებს:

ეჯი ლახენჯაშთე ლემარ მევდე დალთე (ბზ.) — ის **დასათვალიერებლად** ყოფილა მოსული დალში;

ლახჩოთალთე მევდე მარე შ'აჯწახუედ (ბზ.) — **სამკურნალოდ** („**გამოსაკეთებლად**“) მოსული კაცი შეგაწუხეთ;

მიშგუ ლახუბა ესღრდახ ლარმინალთე ი ლაჩაჟუნალთე (ბზ.) „ჩემი ძმები მიდიოდნენ [ცხენების] **დასაჭერად და საჭირითოდ** („**საცხენაოდ**)“.

-ხან თანდებულიც მიმართულებას აღნიშნავს, მაგრამ არა მიახლოებას, არამედ დაშორებას, მოცილებას და ქართულში მას მოქმედებითი ბრუნვის ფორმას დართული **-გან** შეესაბამება:

„დეცხან მამგუეშ შგდნი (ბზ.) — „**ციდან** არაფერი იყრება“.

-ლა თანდებულისანი ზმნიზედა ან სახელი, კონტექსტის მიხედვით, ხან მიზნის გარემოებაა, ხანაც მიზეზისა: **ამლა** „ამიტომ“, „ამისთვის; **ეჯლა** „ამიტომ“, „იმისთვის“...

მალატლა აჩად ამუ ჯუედიათე (ბქ.) — „**სიყვარულის გამო** წავიდა ასე შორს“.

ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „თანდებულისანი ბრუნვა სალიტერატურო ქართულსა და მთელ რიგ დიალექტებში მეორე თანდებულს არ დაირთავს და ბრუნვებში არ იცვლება. ცალკე დგას **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი, რომელიც იბრუნვის: **კაც-თა-გან-ი**, **კაც-თა-გან-მა...**“ (თოფურია 1940: 328). რთული თანდებული ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურს ახასიათებს. სვანური ენისათვის სრულიად ბუნებრივია **ორთანდებულისანი** ფორმები. ამგვარ წარმოებას პარალელები მოეძებნება თანამედროვე ქარ-

თული მთის დიალექტებსა და ზოგიერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში (ჩანტლაძე 1998 :161).

სვანურში რთული თანდებულები მიიღება მდგომარეობისა და მიმართულების მაჩვენებელ თანდებულთა კომბინაციით: **-თესგა, -თეჟა, -თეჟი, -თეჩუ, -ხანქა, -ხანისგა, -ხანჟი და -ხანჩუ.**

ამრიგად, რთულ თანდებულებში ერთდროულადაა აღნიშნული ჯერ მიმართულება, შემდეგ კი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდება საგანი მოქმედების დამთავრების შემდეგ; ამასთან, ჩვეულებრივი მოვლენაა თანდებულიანი სახელის ხელმეორედ ბრუნებაც. ყოველივე ეს კი განაპირობებს სვანურში თანდებულების გამოყენების ფართო შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს მირთულ ფორმათა სიმრავლეს, ნაირგვარობასა და სირთულესაც ქართულთან შედარებით:

დეშომა ანღრდა ნიშგე კარაჟ-თე-მსგა უჩხე (ბქ.) — „არასდროს ჩამოდოდა ჩვენს კარავში („კარავ-ს“-კენ-ში“) წვიმა;

ალ ტობან ლიწედლა გარ ხაჯეშ კლუხორი თანანდ-თე-ჟი ლიწი (ბზ.) — „მხოლოდ ამ ტბის სანახავადაც ღირს ქლუხორის უღელტეხილზე („უღელტეხილ-ს“-კენ-ში“) ასვლა;

ჟუიჟე-პერშუდა ჩ'ომჟედელი გიმ-თე-ჩუ (ბქ.) — „გულ-ღვიძლი („ღვიძლ-ფილტი“) ჩამოვარდნილა მიწაზე („მიწა-ს“-კენ-ში“).

ბეფშუგდ ლირჰანთე სგ'ათჰე ალ საყდარ-თე-სგა (ბზ.) — „ბავშვმა გამთენიისკენ (გამთენიას) მიაღწია ამ საყდარ-ამდე („საყდარ-ს“-კენ-ში“).

შეიძლება მარტივი თანდებულის შემცველმა ზმნიზედამ ხელმეორედ დაირთოს იგივე ელემენტი და შემდეგ რთული თანდებული:

ჩუ-ქა-ქა ხონა ჟერ ხონხა (ბქ.) — „ქვეშ კარგი მიწა უტნევა“.

მსგავსი ფორმები ცალკემდგომი თანდებულის ფუნქციით დაერთვის სახელს და გამოხატავს შესაბამისი შინაარსის გარემოებას:

ციცჟ ლაყურა ჩუ-ქა-ქა-თე-მსგა ათცყერან (ბქ.) — „კატა საწოლქვეშ შეძვრა“.

ხშირია თანდებულიანი სახელის ხელმეორედ ბრუნების შემთხვევები; „სახელთა როგორც ერთ, ისე ორთანდებულიან ფორმას შეიძლება დაერთოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. თანდებულიან სახელებს მოეპოვება აგრეთვე ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებიც“ (ჩანტლაძე 1998: 164-165):

ალი სოხუმხენისგაჟ (<* სოხუმ-ს-ხენ-ისგა-იშ) ბიქჟ ლი (ბქ.) — „ეს სოხუმიდან („სოხუმ-ს“-გან-ში-ის“) მონაბერი ქარია“.

ჯუინელ ნიკოლოზობაჟიშდ (< „ნიკოლოზობა-ჟი-იშ-დ“) ხუიპარალდ (ბქ.) — „ძველი (სტილით) ნიკოლოზობისთვის („ნიკოლოზობა-ს“-ზე-ის-ა'დ) ვემზადებოდით“.

მსგავსი მოვლენა ა. შანიძეს დადასტურებული აქვს მთის კილოებში, სადაც „გვხვდება რთული ფორმა, რომელსაც ორი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს — სადაობითისა და გამოსვლითისა; სადაობითის ფორმას ერთვის მოქმედებითის **-ით** (გამოსვლითის ფუნქციით) და გვაქვს დაბოლოებანი **-ზე-ით, -შიით (-ჩიით):**

„სტუმარი ჩვენ გვიქვიან სხვა **სოფელშიით** მასულს“; „ცხენზეით არ ჩამომხდარა...“ (შანიძე 1973: 77).

სპეციალურ ლიტერატურაში „პირობის გარემოების“ ცნება შემოიტანა ლ. კვაჭაძემ. ქართულ ენაში მას „გამოხატავს სიტყვათა შეკავშირება (და არა ცალკე სიტყვა): ორივე შემთხვევაში დალუბვა ელოდა შორენას“ (კვაჭაძე 1966: 155);

მოყვანილი მაგალითი სვანურად ასე გამოიყურება: **ექდაშუჟი ჰაცა ნად ბაცს შორენას.**

როგორც აღმოჩნდა, სვანურში სწორედ ერთი სიტყვით გამოიხატა პირობა და არა შესიტყვებით. ამდენად პირობის გარემოების გამოხატვა ამ ენაში ხელმეორედ ნაბრუნებ თანდებულისანი ფორმებს შეუძლიათ:

ამ-ჟი-შ-ჟი მჰგ ლაგას ხეგნი (ბქ.) — „ასეთ შემთხვევაში („ა-მ-ის-ზე-ის-ზე“) ყველაფერი მოგვარდება („გზას < სა-დგ-ამ-ს ე-დგ-მ-ებ-ა“);

მგნრ-იშ-ჟი-შ-დ ხონკი გჟარ ლემარელ (ბქ.) — „ხვალის [ხვალ წასვლის... ხვალ თუ მივდივართ, იმ] შემთხვევაში („ხვალ-ის-ზე-ის-ა'დ“) უფრო მალე უნდა მოვემზადოთ;

ალას ესერ მერმა-ჟინ-აშ-დ ჩჟუნდნცხი (ბზ.) — „ამას სხვა დროისთვის („მეორე-ს-ზე-ის-ა'დ“) დავიმახსოვრებო“.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ერთი ქართული თანდებულისანი ფორმის რამდენიმე სხვადასხვა თანდებულისანი გადმოცემა სვანურში მხოლოდ პარალელიზაციას და არა აუცილებლობა, მაგრამ სინამდვილეში კონტექსტის სემანტიკის გამოსახატავად მათ საკმაოდ ზუსტად აქვთ განსაზღვრული თავ-თავისი მოქმედების არეალი და ჯერ სინტაგმაში, შემდეგ კი წინადადებაში გარკვეულ სემანტიკურ ნიუანსს განაპირობებენ. მაგალითად:

ლგცთ'ადსკინე — „წყალში გადახტა („გადავარდა < „ი-სკ-უბ-ა“), შდრ.

ლგცთეფსგ'ადსკინე — „წყალში (შიგნით) ჩახტა“;

ზოგჯერ თანდებულისანი ფორმა მატერიალურად იდენტურ წინდებულისანი (**ჟი, ჩუ, ისგა, ქა**) ზმნა-შემასმენელს (ან ნაზმნარ სახელს) მიერთვის:

ლგცთეფსგა სგ'ადსკინე — „წყალში ჩახტა“;

ასეთ შემთხვევაში ფაქტი უფრო კატეგორიულ ყდერადობას იძენს. ი. ჩანტლაძის აზრით, ერთი და იმავე ელემენტის გამოყენება ზმნასთანაც და სახელთანაც წინდებულ-თანდებულის როლში შედარებით მერმინდელია. თავდაპირველად ამგვარი ელემენტი სრულიად საკმარისი იყო ერთ-

ერთ მათგანთან. ორსავე შემთხვევაში მათი ერთდროული დართვის საჭიროება გამოწვეული იყო ამა თუ იმ ადგილისა ან მიმართულების კიდევ მეტი ინტენსივობით გამოხატვისათვის, ლოკალიზაციის ხაზგასმისათვის. ამაზე ორი გარემოება მიგვიბრუნებს ჯერ ერთი ის, რომ ადგილმდებარეობის აღნიშვნისათვის სრულიად საკმარისია ზმნის პრევერბი, სახელზე მისი დართვა აღარაა აუცილებელი, რის შედეგადაც ერთ და ორთანდებულებიანი ფორმები შეიძლება თავისუფლად შეენაცვლონ ერთმანეთს. მეორე მხრივ, ისიცაა საყურადღებო, რომ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი პრევერბი თუ თანდებული რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს წინადადებაში. მკვლევრის აზრით, ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სვანური პრევერბ-თანდებულების განვითარების ადრეულ საფეხურზე შესიტყვებაში სრულიად საკმარისი იქნებოდა ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, პრევერბის არსებობაც და ცალ-და, განსაკუთრებით, ორთანდებულებიანი ფორმები შედარებით გვიანდელი წარმონაქმნებია (ჩანტლაძე 1971: 133; 1974: 103).

ლ. ეზუგბაია გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ზანურ ზმნაში ზმნისწინთა სახით უფრო არქაულ ვითარებასთან გვეკონდეს საქმე, როცა „ზმნისწინი, როგორც სივრცითი ორიენტირი მთავარი ტიპოლოგიური კატეგორია იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც თანდებულისა და ზმნიზედის სისტემა ჩამოყალიბდა ქართულში, ზმნისწინს შერჩა მხოლოდ გეზის ფუნქცია, მოგვიანებით კი ორიენტაციის კატეგორიაც გამოეყო. შესაბამისად, ქართულში ჩამოყალიბდა თანდებულებისა და ზმნიზედების დამოუკიდებელი სისტემები, ხოლო ზანურში ეს პროცესი შეფერხდა“ (ეზუგბაია 2007: 108).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ქართველურ ენათა სისტემაში ზმნისწინთა პირველადობისა და არქაული დამოუკიდებლობის შესახებ მხარს უჭერს სვანურში პრევერბთა მიერ ნატვირთი ზოგიერთი სინტაქსური ფუნქცია;

ქართულ ენაში ზოგჯერ ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით მისივე საწყისისა დაკავშირებული, რაც სპეციალურ ლიტერატურაში პარონომაზიის სახელით არის ცნობილი:

„ჭამით ისინი ვერა სჭამენ, **სმით** ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?!“

მკვლევართა ნაწილი ასეთ გამოთქმებში საწყისის მოქმედებით ბრუნვას უბრალო დამატებად მიიჩნევს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე); საპირისპირო თვალსაზრისით, პარონომაზია ერთ ცნებას გამოხატავს და „ის სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი შემასმენელი“ (წერეთელი 1954: 461).

სვანურშიც მსგავს გამოთქმებში საწყისის მოქმედებითი ბრუნვა მონაწილეობს:

ლწსკნოშჷ სგ'ადსკინე ლგცთე, მარე ქ'ანტიხხ — “გადახტომით კი გადახტა წყალში, მაგრამ გამოიყვანეს („გამობრუნეს“);

თუმცა უფრო ბუნებრივი ვითარებითი ბრუნვისა და **-ხწნ/-ხენ** თანდებულებიანი ფორმებია:

ლე-სკ-ნ-ა-დ სგ'ადსკინე ლგცთე... ლი-სკ-ნ-ე-ხენ სგ'ადსკინე...

როგორც ვხედავთ, ქართულში პარონომაზიულ შესიტყვებაში საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მართულია, სვანურში კი ასეთ გამოთქმებშიც **მირთვაა**. უფრო მეტიც, პარონომაზიულ გამოთქმებში საწყისის (უთანდებულოს თუ თანდებულებიანის) ჩართვა სვანურში აუცილებელი არ არის. აღნიშნული შინაარსი ბუნებრივად გამოიხატება **ჟი, ჩუ, ისგა, ქა** ელემენტების შესიტყვებაში დამოუკიდებლად ჩართვით:

ლექან კოჯთეჟი ჟი ჟ'ანდ, მარე ჩუ დემ ანტან — „დაჭრილი კლდეზე [ასვლით] კი ავიდა, მაგრამ ვერ ჩამობრუნდა“;

ეჯნემ ჩუ ჩუაშდისჷ... „იმან [დამარხვით] დამარხა...“

მეგვლმანხიდ კალმან ქა ქაფიშჷდ, მარე მასწრდ ათტკალბენ — „მეთევზემ („მოკალმანემ“) თევზი („კალმანხი“) [გაშვებით] კი გაუშვა, მაგრამ ძალიან დაენანა“.

ქ. გენებაშვილი მსგავსი ფორმების შესახებ აღნიშნავს, რომ „ანალოგიური გამონათქვამები აკრძალულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით,... სვანურიც ცდილობს, თავიდან აიცილოს რთული სინტაქსური კონსტრუქცია მისი შემქმნელი ძირითადი კომპონენტის გამოტოვებით და წინადადებაში ნავარაუდევია აზრი ნათელი გახადოს ზმნისწინზე აქცენტირებით“ (გენებაშვილი 1997:23). ჩვენი აზრით, მსგავს სიტუაციაში საყურადღებო ის ფაქტია, რომ სვანურში პრევერბს შესწევს ძალა შეცვალოს, თავის თავზე აიღოს მთელი სინტაგმის სემანტიკური დატვირთვა; ამიტომ, პრევერბთა არქაული დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული გამოთქმებიც სვანურში არქაულია, პირველადია და არა გამარტივებისკენ სწრაფვის ან ელიფსიის შედეგი.

ქ. გენებაშვილის აზრით, „როდესაც ე. წ. წინდებულ-თანდებულ გვხვდება ერთი და იმავე წინადადების (ან მისი რომელიმე წევრის) თავშიც და ბოლოშიც (**ჟობანშინ ჩუ ი ჩუ მახურენა აღ ლახჷისგა** — „შირად შემომდამებია ამ მთაში“; **ზუროლწლ ხჷწინ ჟი ი ჟი ხეგნის თხუმჟი მამჟირაჷ ბოფშარს** — „ქალები ბევრჯერ დაადგებიან თავზე ზარმაც ბავშვებს“; **ქა ი ქა ხელკი** — „წააწყდება...“), „მეორეულ პრევერბთა“ გამეორებას განსაზღვრავს მოჭარბებული ინტენსივობა ლოკალიზაციისა ან სიტუაციის გამძაფრება (ექსპრესიულობა)“ (გენებაშვილი 1997:24). შევნიშნავთ, რომ მოცემულ შემთხვევებში წინდებულ-თანდებულში უბრალოდ კი არ მეორდებიან, არამედ ერთი მათგანი (რიგით პირველი) დაირთავს **-ი** (-ც) ნაწილს, რომელიც განაპირობებს სწორედ ინტენსივობას; გაძლიერებითი -

ც(ა) ნაწილაკი ზმნას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ დაერთვის: „თუ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია, თითოეულ მათგანს გაძლიერების მიზნით **კიდევ (კიდევაც)** უნდა: „კომბაინი კიდევ მკის და კიდევ ლეწავს“ შანიძე 1973:611). სვანურში ამ შემთხვევაშიც ზმნისწინი მეტ დამოუკიდებლობას იჩენს; შესაბამისად, ქ. გენებაშვილის მიერ მოყვანილი ილუსტრაციების დაწერილობა და განმარტება ასეთ სახეს მიიღებს:

ჟობაშინ ჩუი ჩუ მპბურენა ალ ლახჟისგა — „ზოგჯერ დამღამები (შდრ. **სგა მპბურენა** „შემომღამები“) კიდევ ამ მთაში“.

ჟიი ჟი ხეგნის თხუმი — „დაადგებიან კიდევ თავზე“; **ქაი ქა ხელკი** — „წააწყდება კიდევაც (აქვე წააწყდება“).

ექსპრესიულობა გამოხატულია მაშინაც, როცა **ი** („და“) კავშირი ჩაერთვის დამოუკიდებლად ნახმარ პრევერბსა და ამავე პრევერბიან ზმნა-შემასმენელს შორის, ოღონდ ასეთ შემთხვევაში აქცენტი მიმართულებაზეა და არა თავად მოქმედებაზე:

ჟი ი ჟი გარ ესღრი — „სულ ზევით და ზევით მიდის“;

სგა ი სგა ხოთრგლე — „უჭერს და უჭერს“ (შდრ. **სგაი სგა ხოთრგლე** — „მოუჭერს კიდევაც“).

საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული ელემენტები პრევერბის როლში ოდენ ქართული „-ც“-ს შესატყვისი **-ი** ნაწილაკის დართვით სვანურში თავის ზმნა-შემასმენელს დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად აქცევენ; შდრ. **სგაჩად** „შევიდა“ — **სგაი აჩად** „როგორც კი შევიდა, შევიდა თუ არა...“

ჟი ლწშყად „გაახსენდა“ — **ჟიღ ლწშყად** „როგორც კი გაახსენდა, გაახსენდა თუ არა...“

-ჟი, -ჩუ, -ისგა, -ქა ელემენტების აღნიშნული ფუნქციები, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ისტორიულად მათ დამოუკიდებლობას; დღეს კი მათი როლი შესიტყვებაში, ძირითადად, სემანტიკური აქცენტუაციაა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებიდან კოდორის ხეობაში გადასახლებულ სვანთა მეტყველება ინტერფერენციით ხასიათდება, სინტაქსის საკითხებში აქ განსაკუთრებული თავისებურებები არ შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ თანდებულების გამოყენების ფართო შესაძლებლობა, მეორეული ზმნიზედების მრავალფეროვნება და ენის კონსერვატიულობა, გამოხატული ძველი ვითარების ამსახველი უთანდებულო ფორმების შემონახვით, განაპირობებს სვანური ენის დიალექტებში სემანტიკური ნიუანსების მოქნილად გამოხატვის პოტენციალს და აფართოებს მირთვის არეალს, რადგანაც იგი სწორედ შინაარსობლივ კავშირს გულისხმობს სინტაგმის წევრთა შორის და არა ფორმალურს.

ლიტერატურა

აბესაძე 1955 — ნ. აბესაძე, თანდებულები სვანურში, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული N7, თბილისი, 1955.

გენებაშვილი 1997 — ქ. გენებაშვილი, მიკოლას პალმაიტისი სვანურ პრევერბთა შესახებ, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი, 1997.

ეზუგბაია 2007-2008 — ლ. ეზუგბაია, სივრცის ტიპოლოგია მგრულ-ლაზურ ზმნისწინთა მიხედვით, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ბათუმი, 2007-2008.

თოფურია 1940 — ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, ტფილისი, 1940.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი, 2002.

კვაჭაძე 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966.

ონიანი 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

ჩანტლაძე 1971 — ი. ჩანტლაძე, საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართები სვანურში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი, 1971.

ჩანტლაძე 1974 — ი. ჩანტლაძე, ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში, თსუ შრომები N151-152, თბილისი, 1974.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998.

წერეთელი 1954 — კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, იკე, ტ. VI, თბილისი, 1954.

Ketevan Margiani-Subari

**One of the Interrelations and Postpositional Forms in the
Kodori and Enguri Gorges' Svan**

S u m m a r y

“In Georgian an adverb and a postpositional noun are interrelatives in all cases, a verb (predicative) and a deverbative noun are first of all interrelating” (V. Topuria).

The principle is analogous in Svan, but a wide possibility of using postpositions, varieties of secondary (formed) adverbs and conservatism of a language, expressed through the preserving the forms without postposition reflecting an old situation – conditions a large phonetical of flexibly reflecting of semantic nuances in a language and widens the areal of interrelation as it implies just essential connection among the members of syntagma.

გახტანგ მალრაძე

გურამ ბედომვილი — ქართული ონომასტიკონის მკვლევარი

ონომასტიკონის მკვლევარული კვლევის გარეშე ვერც ერთი ქვეყნის ისტორიული წარსულის საფუძვლიანი შესწავლა ვერ განვითარდება. ტოპონიმიკური ლექსიკა მკვლევრის ხელში ის საიმედო ლინგვისტური ბერკეტი, რომლის სწორი ანალიზითაც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული და ისტორიამდელი ხანის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ადათ-წესების საფუძვლიანი და ყოველმხრივი კვლევა.

ასევე აქტუალური შესწავლის ობიექტია და დიდ მნიშვნელობას იძენს ქართული გვარსახელების წარმოება, გავრცელებულობა, მათი ეტიმოლოგია. აქედან ვლინდება ერის დიდი წარსული და ტრადიციები.

სწორედ ამ ფრიად მამულიშვილურ, საინტერესო და საპასუხისმგებლო სფეროს მიუძღვნა თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ბატონმა გურამ ბედომვილმა.

მეცნიერის ინტერესების სფერო ძალზე მრავალფეროვანი და მრავლისმეტყველია. საქართველოს ტომთა შიდა მიგრაცია, ქართული ტოპონიმიკა და ეთნოლოგიურ საკითხთა ასპექტი, ჰიდრონიმთა წარმოება, პარალელური გეოგრაფიული სახელების წარმოება, საქონლის მომთაბარეობასთან დაკავშირებული ლექსიკა, დილექტური ლექსიკისა და მიკროტოპონიმიის ურთიერთობა, რთულფუძიანი ქართული გეოგრაფიული სახელების გამარტივების ტენდენციის საკითხები, ტოპონიმიკა, როგორც საისტორიო წყარო, სადაურობის სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები, ტოპონიმებიდან მომდინარე გვარების წარმოება... ეს არის ძალზე არასრული სია იმ კვლევებისა, რომელსაც მეცნიერმა მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა.

ბ.-ნ. გ. ბედომვილს განსაკუთრებული შრომა და ძალისხმევა აქვს ჩადებული ერწო-თანეთის ტოპონიმიის კვლევაში... ფეხდაფეხ აქვს შემოვლილი მთელი რეგიონი. ჩაწერილი აქვს ყოველი, თუნდაც მცირე ობიექტის სახელწოდება, იქნება ეს ოიკონიმი თუ ნასოფლარი, ხევი თუ სერი, ველი

თუ ბოგირი... აღწერილი აქვს ობიექტის დახასიათება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია გეოგრაფიული სახელისა თუ ქვეყნის ისტორიისთვის. მკვლევარი არ გაურბის ხალხის მიერ შექმნილ ეტიმოლოგიასა მოხმობას, ზოგჯერ მართლაც მიამიტურ გააზრიანებას, შემდეგ კი, თავის მეცნიერულად დასაბუთებულ და შეჯერებულ ვარაუდებს გამოთქვამს.

ასევე კოლოსალური შრომაა ჩადებული მის ფასდაუდებელ ნაშრომში „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი არა მარტო ტოპონიმით დაინტერესებული სპეციალისტის სამაგიდო წიგნად ითვლება, არამედ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიისა და თუნდაც მოყვარული მკითხველისთვისაც მიმზიდველი და სასიამოვნო საკითხავი გახდა. ბ-ნ ზ.ჭუმბურიძის აქამდე ძალზე პოპულარულ წიგნებს: „რა გქვია შენ“ და „დედაენა ქართული“ სამართლიანად დაუმშვენა მხარი. ლექსიკონში განხილული, გაანალიზებული და ეტიმოლოგიზებულია თითქმის ყველა მეტნაკლებად ცნობილი მიკრო- და მაკროტოპონიმი, მოხმობილია საკითხთან დაკავშირებული სხვა მეცნიერთა მოსაზრებები და მსჯელობები. ზოგ შემთხვევაში კი, ბუნდოვანებისა და უტყუარი ფაქტების არქონისას, ჩვეული თავმდაბლობით აცხადებს, რომ საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

მეცნიერი არ კმაყოფილდება მხოლოდ თავის მოპოვებულ მასალას. ცდილობს ყოველი გეოგრაფიული სახელი, მისი წარმოშობა თუ ადრინდელი მდგომარეობა რამდენიმე ინფორმატორთან შეაჯეროს. ამის ნათელი დადასტურებაა მონოგრაფიების: „ერწო-თიანეთის ტოპონიმისა“ და „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ბოლოში დართული ინფორმატორთა ვრცელი სია.

აღსანიშნავია, რომ ბ-ნი გ.ბედოშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მსჯელობები მკაცრ მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება, ყოველთვის ცდილობს არა კატეგორიული, შეუვალი ტონით განაცხადოს თავისი მტკიცებულებების მართებულობა, არამედ შემოიფარგლოს შემდეგი ფრაზებით: „ჩვენი ვარაუდით“, „ჩვენი მოსაზრებით“, „ჩვენი აზრით“, „შესაძლებელია“, „ამრიგად ვივარაუდოთ“, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტაქტის ფარგლებში, არ ერიდება დაბეჭდვით, მაგრამ პირუთვნეელად, ობიექტურად წარმოაჩინოს დაშვებული უნებლიე თუ ფაქტობრივი შეცდომები.

ბ-ნ გ. ბედოშვილს გამჭვირვალე, თითქოსდა უკვე აშკარა მსჯელობებში შეაქვს საფუძვლიანი ეჭვი და ძალზე იოლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. ამის საშუალებას კი მკვლევარს აძლევს ენისა და დიალექტების სიღრმისეული ცოდნა, ობიექტური ანალიზის უნარი, ენისაადმი თანდაყოლილი უტყუარი ალღო, ღვთიებოდებული ნიჭი, დიდი შრომისმოყვარეობა

და საქმისადმი კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი, პასუხისმგებლობით მიდგომა.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებით შემოვიფარგლებით:

ტოპონიმ **მცხეთას** არაერთი ცნობილი მეცნიერის კალამი შეეხო. ყველა ამ კვლევას, ბუნებრივია, საკმაოდ არგუმენტირებული დასაბუთებები ახლდა, მაგრამ მკვლევარი არ დააკმაყოფილა არსებულმა წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა, არ მოერიდა უკვე დამუშავებულ საკითხს და ტოპონიმის ახსნის სხვა გზის ძიებას შეუდგა. ყოველი ვარაუდისა თუ მსჯელობის დაწვრილებითი, ჩაღრმავებული ანალიზითა და გამოორიციხვის მეთოდით მივიღა და დასკვნამდე, რომ შეუძლებელი იყო ეთნიკური შინაარსის სიტყვის **-თა** სუფიქსით ეწარმოებინა ტოპონიმი. მეცნიერის აზრით, **მცხეთა** არა ეთნონიმის, არამედ **მ-კც-ე//მ-ნც-ე** სიტყვასთან **-თა** სუფიქსის დართვითაა წარმოქმნილი, ისევე, როგორც **მოგუ-თა, ბერ-თა, ბზა-თა, მო-წამე-თა, ვან-თა, ანგელოს-თა...**

მუნჯახევა. მსგავსფუძიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება ფშავსა და ხევში, დუშეთის რაიონში: **მუნჯა, მუნჯის დაბალი, მუნჯათგორა, მუნჯა გორა, მუნჯათწყარო... მუჯათკარი, მუჯათგორი...** „მუჯა და მუნჯა ფუძეების იდენტურობა აშკარაა: ერთიცა და მეორეც მინერალურ წყალს, ვეძას, მლაშობ ადგილს ნიშნავს. ამის მიუხედავად, ზოგჯერ **მუჯა**-ს ჰიდრონიმულ ფუძედ მიიჩნევენ, **მუნჯა**-ს კი **/მუნჯათგორა, მუნჯების წყარო, მუნჯების ჰალა /** ადამიანებისაგან მომდინარე ტოპონიმთა რიგში განიხილავენ.“ მეცნიერმა გამოარკვია, რომ მუჯა ფუძე მუჯვე მინერალურ წყაროს, ვეძაწყაროიანი ადგილის აღსანიშნავად დასტურდება ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზეც.

ლაშკარი, ლაშკარას ხევი, ლაშკარასხევის. წყარო დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ ეს ტოპონიმები მცენარე ლაშკარასთან ან წარმართული ხანის „ლაშქრობის“ სალოცავთანაა დაკავშირებული. მეცნიერის მოსაზრებით, ეს ტოპონიმები ისევე მლაშე, ვეძა წყაროებს უკავშირდება „მლაშე კარი“.

დუხტელური. სასაძოვრე მინდვრების სახელებად გვხვდება ყაზბეგის რამდენიმე სოფელში. ამ ტოპონიმზე სპეციალისტებს შინაარსისა და წარმომავლობის შესახებ მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

ბ-ნი გ.ბედომვილის ვარაუდით, ტოპონიმი **დუხტელური /დოხტელური/** ჩაჩნურ-ინგუშური ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა. **დუხ/იუხ** სოფლის მეურნეობის, მესაქონლეობის დარგის ტერმინია და მსხვილფეხა საქონლის „ქვედა საძოვარი ზონის“ აღსანიშნავად იხმარება. შემდეგ ვეინახური /ჩაჩნურ-ინგუშური/ ტოპონიმიაშიც გავრცელებული **-ტე** სუფიქსი დაერთვის, რაც ქართულ „ზემო ნაწილს“, „თავს“, „გორაკს“... მიესადაგება და ასკვნის, რომ მიკროტოპონიმი **დუხ-ტე-ლ-ურ-ი:** მსხვილფეხა საქონლის სა-

საძოვრე მამულების ზემოთ, თავზე“, ადგილი, რომელიც მსხვილფეხა საქონლის ზემოთ მდებარეობს“...

მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტოპონიმი უნდა შეექმნათ ინგუშეთიდან გადმოყვანილ /დაქირავებულ/ მწყემსებს...

იუხო. ამ პატარა სოფლის სახელწოდებას უხვთან, სიუხვესთან აკავშირებდნენ. მეცნიერის დასაბუთებით, ეს ტოპონიმიც ჩრდილოეთკავკასიელი მეზობლების — ინგუშების ენობრივი ფაქტია **იუხ** ძირიდან მომდინარე.

რკონი. ისტორიული სოფელი /ამჟამად ნასოფლარი/კასპის რაიონში სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ **რკონი** გეოგრაფიული ნომენია, რომელშიც ობიექტის პირობითი /უფუნქციო/ სიმრავლეა გადმოცემული **ჩნ-** სუფიქსის მეშვეობით: **რკონი.** სხვაგვარი თვალსაზრისის მიხედვით, შესაძლებლად არის მიჩნეული **რკონ-**ში **-ონ** სუფიქსის გა-მოყოფა: **კრკ-ონ // რკ-ონ-**ი... თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, **კრკ-ონ-ი // რკ-ონ-**ი უნდა გავიგოთ როგორც „მუხიან-ი“, „მუხ-ნარ-ი“.

მეცნიერი თვლის, რომ **რკო** და აქედან ნაწარმოები **რკონ-ი** მუხა სიტყვის სინონიმად არ უნდა აღვიქვათ. როგორც ჩანს, სიტყვა რკო ენაში დამოუკიდებლად იხმარებოდა და იგი ვაზის დაბლარი ჯიშის აღმნიშვნელ სიტყვად გამოიყენებოდა. საფიქრებელია, რომ რკონი დაკავშირებული იყოს ვაზის კულტურასთან: „რკო ვენახი“, ადგილი, სადაც რკოს ჯიშის ვაზი ხარობს“. გ.ბედოშვილი მიიჩნევს, რომ სიტყვა „მუხა“ ქართულ ტოპონიმიში ძველთაგანვე შეუზღუდავად მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს. და ბოლოს დაასკვნის: აქაც უპირატესობა მუხას ჰქონია მინიჭებული და არა ნაყოფის აღმნიშვნელ რკო სიტყვას.

არაერთი მსგავსი შემთხვევის მოხმობა შეიძლებოდა.

ბ-ნი გ. ბედოშვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აგროვებდა ქართულ გვარებს ისტორიულ წყაროებსა თუ წერილობით ძეგლებში, ყურნალ-გაზეთებში. დიდი ძალისხმევით მოიპოვა საქართველოს ყველა რაიონიდან მოსახლეობის აღწერის მონაცემები. უზარმაზარი მასალა დალაგებული, ბევრი მათგანის საფუძვლიანი ანალიზი და ეტიმოლოგიაც ჩატარებული აქვს.

ლექსიკონის სახის ეს ნაშრომი დღის სინათლეს ელის და მისი მეცნიერული ღირებულება და პოპულარობა ეჭვს სრულებითაც არ იწვევს.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომას ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. თავხელიძე. ბ-ნმა გ. ბედოშვილმა მოკლედ ისაუბრა ქართულ გვარებზე, მათ წარმოებაზე, გავრცელებულობაზე და ბოლოს დაასახელა ქართულ გვართა სოლიდური რაოდენობა. ბ-ნმა ალბერტ თავხელიძემ ეჭვი გამოთქვა, აღნიშნა, რომ შეუძლებელია ამდენი ქართული გვარი არსებობდესო და დაასახელა კონკრეტულად — ხუთი

ათასი თუ იქნებაო. ბ-ნმა გ. ბედომვილმა, მიუხედავად თავისი მორიდებულობისა, რბილი ხასიათისა, პრეზიდენტს არ დაუთმო და უთხრა, მხოლოდ მაგდენი გვარის მატარებელი აღარავინ არისო.

ბ-ნ ბედომვილს ონომასტიკაში გამოზრდილი ჰყავს რამდენიმე მაძიებელი და ასპირანტი, რომლებიც ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობითა და სიყვარულით ახლა უკვე დამოუკიდებლად აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.

მეცნიერი დიდი ხანია, ჯერ პიონერთა და შემდგომ მოსწავლეთა სასახლის ქართული ენის წრის მეცადინეობებსა და, განსაკუთრებით, სესიების მიუშობას ესწრება და კურირებს. მოუცლელობისა და დატვირთულობის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებს წრის წევრების შესრულებული ნამუშევრების გაცნობასა და შეფასებას. სისტემატურად ესწრება ამ ღონისძიებებს, საოცარი ყურადღებითა და მოთმინებით უსმენს მოსწავლეების მოხსენებებსა თუ მსჯელობებს. დაუფარავი აღტაცებით უქებს ბავშვებს ნაშრომს და მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით, დელიკატურობით, კეთილგანწყობით, მაგრამ ყოველთვის ობიექტურობით, ზედმიწევნით გასაგებად, დასაბუთებულად აწვდის ფრიად ფასეულ შენიშვნებს.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ და არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ გ. ბედომვილის სამეცნიერო ნაშრომების ენა დახვეწილი, სადა, ლალი და მრავლისმეტყველია. არ არის სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი გადატვირთული შაბლონებით, შტამპებით, თუ ფუჭი მრავალსიტყვაობით.

რაც შეეხება ბ-ნ გ. ბედომვილის, როგორც მწერლისა და შემოქმედის მოღვაწეობას, ეს ცალკე არანაკლებ მნისვნელოვანი, წონადი და ღირებული მხარეა მისი მრავალმხრივი და მრავლისმთქმელი ღვთივკურთხეული ნიჭიერებისა, რაზეც, ალბათ, კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, ჩვენ კი თავს უფლებას მივცემთ, გამოვთქვათ მოკრძალებული აზრი ბ-ნი გურამ ბედომვილის სულ ახლახან გამოცემული „ანანურული მოთხრობების“ ერთ-ერთი უმშვენიერესი ბელეტრისტული ნიმუშიდან „ზღაპარი არასოდეს მთავრდება“, რომელიც მწერალმა ქ-ნ ანა კალანდაძეს მიუძღვნა, ამონარიდს მოვუხმით:

„—მე რომ ვინმემ მკითხოს, წუთისოფელი რა არისო, ვეტყვი: რა არის და ბედისწერის ძაფზე აცმული წლების კრიალოსანი-მეთქი! იმ ბედის ძაფმა დროის უთავბოლო ბრუნვას, ღვთისავე შეწევნით თუ გაუძლო, მაშინ კაცს ღმერთთან სამღურავიც არაფერი გქონია!.. ისიც უნდა ვთქვა: ნამდვილ სიცოცხლეს მაშინ ედება ფასი, როცა ადამიანი თავის წუთისოფელს ჩაცმა-დახურვისა და ჭამა-სმაზე ფიქრში კი არ ჩამოლევს, არამედ ერთ დიდ საოცნებოს დაისახვს და დღეცისმარ იმ ნანატრის ახდენას მოახმარს!..“

მოთხრობის მთავარი გმირის ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს მეცნიერისა და შემოქმედის ცხოვრებისეულ კრედოსა და მწერლურ დიაბაზონზე.

ვუსურვებთ ბატონ გურამს, კიდევ დიდხანს ემოღვაწეოს ორივე მუზის სამსახურში.

Vakhtang Maghradze

Curam Bedoshvili – a Researcher of Georgian Onomastics

S u m m a r y

Guram Bedoshvili intensively and productively works in Georgian onomastics. The main objects of the research are: toponyms, people first names and their history. During many years G. Bedoshvili has created many valuable and very important works.

ნანა მაჭავარიანი

ლექსემა გაგანია-ს წარმომავლობისათვის

თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში დასტურდება ზედსართავი სახელი „გაგანია“.

ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: გაგანია (საუბ.) მეტისმეტად ცხელი. გაგანია ზაფხული; გაგანია სიცხე — პაპანაქება. (ქეგლ, 77,3).

ამჟამად, ზედსართავი სახელი „გაგანია“ ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც. მაგ.: „გაგანია გამოცდები“, „გაგანია მიტინგი“, „გაგანია არჩევნები“... აღნიშნულ შესიტყვებას მრავლად წააწყდებით თანამედროვე ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში.

ეს ლექსემა ზედსართავ სახელად ახალი ნაქცევი უნდა იყოს. უფრო ძველი ვითარების მიხედვით იგი არსებითი სახელი ჩანს.

სხვადასხვა სახელთა ზედსართავის ფუნქციით გამოყენება ქართული-სათვის ნიშანდობლივია: შდრ.: ზღვა ხალხი, ორი თვალი ოთახი, ერთი ხელი ტანსაცმელი და სხვ.

ქვემო იმერულში არის წყევლის ასეთი ფორმულა: „შენ მოგეკიდა ცეცხლი და გაგანია“... გურულში დასტურდება „გეგენია“ ფორმა ამავე ფორმულაში (ცნობა გურულის შესახებ მოგვაწოდა ქალბატონმა ლ. ნიკოლაიშვილმა, მადლობა მას ამისათვის). ცხადია, აქ აღნიშნულ ორსავე შემთხვევაში სიტყვა „გაგანია“ არსებითი სახელია. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაც „ცეცხლი“ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სემანტიკა „გაგანია“ მომდინარეობს ებრაული სიტყვისაგან **გენა - გეჰენომ**, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს ჯოჯოხეთს, ცეცხლს. (შაპირო, 1963) სავარაუდოდ, ეს სიტყვა ქართველურ ენობრივ სამყაროში წმინდა წერილის თარგმნის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო.

„თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მთ; 5,22), „ხელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა“ (ლ. 12,5). (აბულაძე, 1973)

საგულისხმოა, რომ ამ სიტყვის განმარტებას ვერ ვხვდებით საბასთან, არ არის ეს სიტყვა არც „ვეფხისტყაოსანში“.

„შემიპყრეს, წამომიყვანეს ხელ-ფეხს მომიღვეს გენია.

გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია.“

(ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., 1999,399, დ. გურამიშვილი, „დავითიანი“).

ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში „გენია“ განმარტებულია, როგორც „გენა, ჯოჯოხეთის ცეცხლი“.

„გენია (საუბ.) იგივეა, რაც გენა“ — ახსნილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ცნობილია, რომ ამ სიტყვიდანვე იღებს სათავეს ლათინური გენია (ლათ.) — უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი. ხალხის გენია, შემოქმედებითი გენია და სხვ.; გენიოსი — გენიით დაჯილდოებული პიროვნება; გენიოსობა — გენიოსის თვისება; გენიოსური — გენიოსის დამახასიათებელი, — გენიალური. (ქეგლ, 148,1)...

„გენა“ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ადგილი ჯოჯოხეთისა ცეცხლით სატანჯველი ცოდვილთა“ (მატ. 5,22; 29, 10,28,18,9) რუს. геена, ბერძ. **გენა**, (ჩუბინაშვილი, თბ., 1961).

დ. ჩუბინაშვილი კი ასე ხსნის აღნიშნულ სიტყვას: „გენა — არაბ. ჯანამა, ჯოჯოხეთის ადგილი, სადაც ცეცხლი მთებარეა სატანჯველად ცოდვილთა“ რუს. геена, ад.

ბერძნული **გენა**-ად „место вечного мучения, в пер. мука (еврейское слово), ასე განმარტავს ვაისმანი (ვაისმანი, 1991, 265)

როგორი ვითარებაა ამ ლექსემის გავრცელებულობის თვალსაზრისით მეგრულსა და სვანურში?

მეგრულში არის ლექსემა „გენია“ ყოველგვარი ფონიტიკური ცვლილების გარეშე: — დაჩხირი დო გენია მონტებული — „ცეცხლ და გენია მოკიდებული“... (ეს ცნობა მოგვაწოდა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას).

სვანური: — გვრგვჭ „ჯოჯოხეთი“ მ. ჩუხუას აზრით, სვანურის ჯოჯოხეთი გადატანით სემანტიკას ასახავს: მდულარე > ცეცხლი > ჯოჯოხეთი. შდრ.: ებრაული გენა „ჯოჯოხეთი, ცეცხლი“.

მკვლევარს პრობლემურად ესახება სვანური ეკვივალენტის ფორმალური მხარის იდენტიფიკაცია და ფიქრობს, რომ: — „თანამედროვე გვრგვჭ ქართული კოწ-ძირის შესატყვისი *კოჭ- არქეფორმის რედუბლიციურებულ სახეობას წარმოგვიდგენს, ეს უკანასკნელი თავდაპირველად გამჟღავნებით *გოჭ-ს მოგვცემდა, საიდანაც ფუძის გაორკეცვით ჯერ გოგოჭ-ს, ხოლო შემდეგ გვრგვჭ -ს მივიღებდით. სვანურში ფუძის გაორკეცვით მიღწეულ იქნა სიტყვის ექსპრესიული მხარის გაძლიერება.“ (ჩუხუა, 2000-2003,89).

თუმცა, სვანურში ამ მნიშვნელობით „გევენ“ ლექსიკური ერთეულიც დასტურდება.

ჩვენი მოსაზრებით, ქართული: გენია, გეგენია, გაგანია, მეგრული გენია და სვანური გგრგგჳ || გეგენ უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან. ეს წყაროა ებრაული სიტყვა — გენია „ჯოჯოხეთი, ცეცხლი“.

ახლა რაც შეეხება სიტყვის სესხების ფონეტიკურ მხარეს. როგორ უნდა მიგველო გეჰენია || გეენიდან გაგანია?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვა წმინდა წერილის თარგმნის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო ქართველურ ენობრივ სამყაროში. ქართულ სამეცყველო ენაში და ზოგჯერ ნათარგმნ ტექსტებშიც ლექსემა იმთავითვე ჰ- ბგერის გარეშე გვხვდება, ვფიქრობთ, ეს ბგერა აღნიშნული სიტყვიდან ადრევე გაუჩინარდა, რასაც ხელი ალბათ იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ ჰ- ბგერა იმავე ებრაულში არ გამოითქმოდა, დღესაც არ გამოითქმის და წარმოადგენს გრძელი ე ხმოვნის საყრდენ ნახევარხმოვანს, (ეს ინფომაცია მოგვაწოდა ქალბატონმა ლალი ბინიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას).

არ ჩანს ჰ ბგერა არც ბერძნულში, რუსულსა და ლათინურში.

„გეენიდან“ თავდაპირველად უნდა მიგველო „გენია“, როგორც ამ სიტყვას ხმარობს დავით გურამიშვილი. ხოლო შემდგომ ინტენსივობისათვის, ფუძის გაორკეცებით *გენგენია > გეგენია, ნ ბგერის ჩავარდნით, რაც დასტურდება გურულში, რომლისგანაც მოგვიანებით მივიღეთ გაგანია. ე > ა ბგერათმონაცვლეობა ქართულისათვის უცხო არაა, შდრ.: ბებო > ბაბო, ნენა > ნანა, ფერხი > ფარხი...

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს სვანურის ვითარებაც (რედუბლიცირებული ძირი), სადაც პროცესი ანალოგიურად უნდა წარმართულიყო, რის შედეგადაც მივიღეთ გგრგგჳ იმავე მნიშვნელობით.

ამრიგად, ამჟამად თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეცყველებაში ზედსართავ სახელად ხმარებული „გაგანია“ უნდა მომდინარეობდეს ებრაული სიტყვისაგან გეჰენია || გეენია. ძველ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, მეგრულსა და სვანურში ეს ლექსემა არსებითი სახელია.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973

ვაისმანი, 1991 — А. Д. Вайсман, Греческо-русский словарь, 1991

ქეგელ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

ძვ. ქართ. ლიტ. კრესტ., 1999 — ქართული ლიტერატურის კრესტომათია, თბ., 1999.

- ნიკოლაიშვილი, 1987** — ე. ნიკოლაიშვილი, იკე XXVI, თბ., 1987.
შაპირო, 1963 — Ф. Л. Шапиро, Иврит-русский словарь, М., 1963.
ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
ჩუბინაშვილი, 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
ჩუხუა, 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

Nana Matchavariani

Towards the Origination of the Lexeme *gagania*

S u m m a r y

An attribute *gagania* – “extreme hot” which must originally be a noun is evidenced in the modern Georgian colloquial speech.

The article deals with the viewpoint that this semanteme comes from the Hebrew word *gehenia*, *geenia* – “the hell, fire”.

ნიკო ოთინაშვილი

ქსნის ხეობის (საერისთაოს) რამდენიმე ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის

გეოგრაფიული სახელები განსაკუთრებულ სისტემებს ქმნიან ენაში და მათი შესწავლა ენათმეცნიერული პრინციპებით შესწავლას საჭიროებს. ეს გულისხმობს ტოპონიმების წარმოების საშუალებათა ანალიზს, საზოგადო სახელებთან მათი მიმართების დადგენას. ტოპონიმი — გეოგრაფიული ობიექტი ენობრივი ფაქტია, რომელიც ადგენს ენის დიალექტებისა და მონათესავე ენების ისტორიას. გარდა ამისა, ირკვევა ბევრი სიტყვის ეტიმოლოგია და სიტყვაწარმოების საშუალებანი.

ამ პრობლემის გამოსარკვევად საჭიროა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ისტორიული გეოგრაფიის მონაცემები. თავის მხრივ, მეცნიერების ყველა ეს დარგი ხშირად ეყრდნობა ტოპონომასტიკურ კვლევა-ძიების შედეგებს.

დავადგინეთ რამდენიმე ტოპონომის ლოკალიზაცია ქსნის ხეობაში.

ქვენიფნევი

XIII საუკუნის შუა ხნიდან, როცა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება ქვეითდება, სამეფო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, სამთავროებად, რომლებსაც საკუთარი ტერიტორია, ციხე-სიმაგრე, ეკლესია-მონასტრები ჰქონდათ და ლაშქარიც ჰყავდათ. შიდა ქართლში XIII საუკუნის შუახანებში ქსნის ზემო წელზე ჩნდება ცხრაძმისხევის საერისთაო და წყაროების ჩვენებით ამ დროს ერისთავებად ქვენიფნეველები არიან.

სოფელ ლარგვისის სამხრეთით, ოთხ კილომეტრზე ქსნის მარჯვენა მხარეზე, ქსანს ერთვის ხევი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „იფნისხევს“ უწოდებენ. ამ ადგილებში არის ნასახლარები, თავდასაცავი კომპლექსის ნანგრევები, რომლებსაც ხალხეგანს უწოდებენ, ალრე მცხოვრები ხა-

ლიბეგაშვილების გვარის ხალხის მიხედვით. სწორედ ეს ადგილებია ადრინდელი ქვენიფნევი.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანის „ძველი ერისთავის“ მიხედვით (დაიწერა XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე) ქსნის ხეობის ხელისუფალნი დაუფლებულან ლარგვისსა და ქვენიფნევს. ამავე მატთანის მიხედვით, მეფე „დავით მერვე ბრძოდა ისროლს, ქოლოთსა და ქვენიფნევს“ და ზოგიერთი ძლიერი ციხე, მათ შორის ქვენიფნევისა ვერ აიღო. იქვე ვკითხულობთ, რომ ქსნის ერისთავი შალვა აშენებს „ტფილურითა წესითა დარბაზოვანს, ქუნიფნევს, ქვენიფნეველ ვირშელიძემ „აღაშენა ქუნიფნევს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ-დიდი და შუენიერი“.

ქსნის ხეობის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ქვენიფნევს არ ასახელებს და არც თავის რუკაზე აღნიშნავს, ეტყობა მის დროს ნანგრევებად წარმოადგენდა. ქვენიფნევის ლოკალიზაციაში გერმანელი მეცნიერის იოჰან-ანტონ გიულდენშტეტისა და იონე ბატონიშვილის აღწერა-მონაცემები გვეხმარება. გერმანელი მეცნიერი წერს: „საძვეურიდან კარგა ერთი საათის შემდეგ გავიარეთ ძველი სასახლე ქვენიფნე (ქვენიფნევი) ქსნის დასავლეთ მხარეზე, სადაც ადრე იყო ერისთავის რეზიდენცია. ის დგას ციცაბო მთის შუა ადგილას, 1/4 საათის შემდეგ, მივედით მდინარეზე და დავინახეთ სოფელი საქორეთი ქსნის დასავლეთ ნაპირზე. კიდევ 1/4 საათის შემდეგ გადავედით ხის ხილით ქსანზე და მივედით ლარგვისის ციხეში ანდა მონასტერში, რომელიც მდებარეობს ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდინარე ჭურთას ქსანთან შერევის ადგილას“. როგორც ვხედავთ, ქვენიფნევი ლარგვისის სამხრეთითაა ნახევარი საათის სავალზე. იონე ბატონიშვილის მიხედვით, „ბიბლია დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენაფნევს, რომელიც აწ იწოდება იფნევად“.

ქვენიფნევი, როგორც ერისთავთა რეზიდენცია, თავის დროზე წარმოადგენდა ძლიერ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს და ნაგებობათა რთულ კომპლექსს. ამჟამად ქვენიფნევის მიწისზედა ნაგებობების ნაშთები ცუდადაა შემონახული, მაგრამ თუ იქ გათხრები მოხდა, ძალზე ბევრ საიდუმლოებას აეხდება ფარდა. ყველაზე კარგადაა შემონახული ციხის კომპლექსის ჩრდილოეთი ნაწილის მხარე, რომელიც მშენებლობის ხარისხით ძალზე ძველია.

ქსნის ხეობის ხელისუფალნი ატარებდნენ თავიანთი სამყოფელი ადგილის სახელწოდებას-ქვენიფნეველსა და ლარგველს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მათ მიერ გაცემულ ისტორიულ საბუთებში ქვენიფნევი, ლარგველი სახელის მნიშვნელობით არის მოცემული, ზოგან კი ადგილისა და გვარის გაგებით.

შუა საუკუნეებში საქართველოში ხშირ შემთხვევაში გვარს არ ატარებდნენ და ფეოდალური არისტოკრატია ატარებდა სამფლობელოს სახელწოდებას (ახალციხელი, მაჩაბელი, ვაჭელი, ორბელი), აგრეთვე სამოხე-

ლეო სახელწოდებას (ერისთავი, ათაბაგი, ამილახვარი). ასევე იყო ქვენიფ-ნეველთა მაგალითზე, რომელთაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ისტორიის მატეანეში.

მერია

მდინარე მეჯუდას მარჯვენა შენაკადი მერიას წყალი გამოდის ორბოძალას მთის მასივიდან და ხეობა ერთობ ულამაზესია, რომელიც საკულტო ძეგლების სიუხვით გამოირჩევა, ბევრია ნასახლარებიც.

ვახუშტი ბაგრატიონი ისროლის ხევის აღწერისას აღნიშნავს: „აშატურთ კარს ქუემოთ ერთვის მეჯუდას დასავლიდამ მერის ხევი, გამოდის ბენდერის მთას“.

მეცნიერს რუკაზედაც აქვს დატანილი მერიას ხეობა და საკულტო ძეგლიც აქვს აღნიშნული. ნაგებობა ტაძრის ტიპის დარბაზული ეკლესიაა, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული. მერიას ეკლესიის ორნამენტული ქვები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

მერიას ეკლესიის ოდნავ დასავლეთით ვაკეზე ნასოფლარი ჯერ კიდევ იკითხება და როგორც სოფელ მეჯვრისხევში, აქედან მიგრირებული ფსიტიძეებისაგან ჩავიწერეთ. მათ წინაპრებს მერიას ხეობაში უცხოვრიათ და ახლაც მიდიან რელიგიურ დღეობაზე.

ფსიტიძეების შტოგვარებია მიხა-ან-ი და ელიზბარა-ან-ი და ეს ძველი გვარის ხალხი რიცხოვნობით არ გამოირჩევა.

თვით სიტყვა მერეს ეტიმოლოგია გახსნილია ქართველი მეცნიერების მიერ და იგი ტერმინთა ისეთ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც წყლის მოქმედებით წარმომდგარია და ხევის, ხეობის ან ნიადაგის დამახასიათებელი და აღმნიშვნელია.

სულხან-საბა მერეს განმარტავს, როგორც „წყლის პირი ნაყოფიერი“, ძველად ჭალად იხმარებოდა, მაგრამ ამ ცნების აღსანიშნავად ტერმინი მერეც იხმარებოდა. მერე საქართველოში რამდენიმე ადგილას გვხვდება და ისევ საბას განმარტებით „მედანი სხვათა ენაა, ქართულად მერე მინდორი და ფორი მქვიანო“.

ქართულის ენის დიალექტებში მერე ყოველთვის ვაკე ადგილებს არ ეწოდება, ის გამოიყენებოდა მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარე ადგილებისათვის.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე თავის მშვენიერ წიგნში „რა გქვიან შენ?“ აღნიშნავს, რომ მერე ვაკე ადგილებია, მაგალითად მოჰყავს — მერევი, მერეთი, მერია, მარიოსი.

აწერისხევი — აწრისხევი

აწერისხევი — აწრისხევი მდებარეობს პატარა ლიახვის ზემო წელზე და სხვა დასახლება ამჟამად სოფლის იქით აღარ არის.

წერილობით წყაროებში სოფელი აწრისხევი პირველად XIV საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდება. გვხვდება აწერევის ფორმითაც.

„ძეგლი ერისთავთა“ ასახელებს სოფელ აწრისხევს, როგორც ქსნის ერისთავთა საკუთრებას.

XVIII საუკუნეებში სეხნია ჩხეიძემ და პაპუნა ორბელიანმა მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს.

ს. ჩხეიძე წერს: „ნადირშახმა დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო ქართლს, ოთხი ათასი საციციანოს. აწერისხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემო ქართლისა“...

აწერისხევს ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი და დიდი ციხის შემდეგ მსჯელობს. დასახლება მდებარეობდა პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, ციხის დასავლეთით, ახლა კი სოფელი ციხის ჩრდილოეთით ლოკალიზდება.

ოდესღაც აწერისხევი დიდი სოფელი ყოფილა 1860 წლის კამერალური აღწერით აწრისხევში თორმეტი გვარისანი სახლებულან: ასკილაშვილი, ინაური, მარიამიძე, კუბაშვილი, ქისიშვილი, ბუთხუზი, ბუჯიაშვილი, სლევონაშვილი, ბიბილაშვილი, შერმადინი, ქედაშვილი, გაბილაშვილი (ცენტრალური არქივი, ფონდი 254).

მორიგი 1886 წლის აღწერის შედეგად აწრისხევში 39 კომლი ირიცხებოდა 287 მცხოვრებით. მაგალითად, იმ დროს ღვთისო გრიგოლის ძე მარიამიძის ოჯახში 10 კაცი და 9 ქალი ირიცხებოდა, იაკობ ინაურის ოჯახში 8 კაცი და 15 ქალი.

ახლა აწრისხევში 12 კომლილა სახლობს და ყველა ასკილაშვილია, ბარად დარჩენილები კი ხშირად აღიან რელიგიურ დღეობაზე და სწორედ მათგან და მათი შთამომავლებიდან ჩავიწერეთ ტოპონომასტიკური და ეთნოგრაფიული მასალები.

ლიტერატურა

- თსუ. შრ. გრ. 1951 წ** — თბილისის სახ. უნ. შრომები, ტ 45, თბ.
მაკალათია 1968 — ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, თბ.
მესხია 1954 — შ. მესხია, ძველი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ.
ჯორბენაძე 1993 — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური, გულან, თბ.
ვახუშტი, 1895 — ვახუშტი ბატონიშვილი, საქ. გეოგრაფია, II წიგნი, თბილისი, 1895 წ.
ჯავახიშვილი ი, 1967 — ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ, 1967.

Niko Otinashvili**Towards the Localization of Some Toponyms of the
Ksani Gorge (Saeristao)****S u m m a r y**

Many toponyms units are attested in the Georgian historical sources. Bringing to light of these units is an ungent task. With this goal it is essential the mutual agreement of history, ethnography, archeology, toponymic research. We established the localization of some geographical names on the basis of the sources of the Ksani gorge.

მარინე ოსაძე, ნინო დათეშიძე

დანიშნულების კონფიქსთა სიტყვაწარმოებელი
ფუნქციები ქართულ ტარმინოლოგიაში

დერივაციული სიტყვაწარმოება ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი გამამდიდრებელი საშუალებაა. ბუნებრივია, ეს პროცესი უფრო მეტად აქტიურდება ტერმინოლოგიაში. ტერმინი ბრუნებადი სიტყვაა და სწორედ დერივაციული აფიქსები ქმნიან ძირითად ტერმინოლოგიურ სემანტიკურ ჯგუფებს. ცნობილია, რომ აფიქსების დართვით ტერმინის, როგორც ლექსიკური ერთეულის, ცნებითი მნიშვნელობა იცვლება.

დანიშნულება-კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინები ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ ჯგუფს წარმოადგენს ტერმინთა სისტემაში. მათ სხვადასხვა აფიქსი აფორმებს ქართულში, ჩვენ მხოლოდ სა—ე და სა—ო კონფიქსით ნაწარმოებ ტერმინებს გამოვყოფთ.

არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ამ აფიქსთა სემანტიკურ და სტრუქტურულ ჯგუფებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სალიტერატურო სიტყვაწარმოებაში ჯერ კიდევ არსებობს ბუნდოვანება ამ კონფიქსთა ერთმანეთისაგან მორფოლოგიურ-სემანტიკური გამიჯვნისას. მსგავსი პრობლემა ტერმინთა გაფორმების დროსაც ი

ჩენს თავს, მაგრამ ამ კონფიქსთა დართვის გარკვეული ტენდენცია აქ უფრო მეტად შეიძლება გამოიკვეთოს.

სა—ე კონფიქსის ხმარება ენაში სა—ო-სთან შედარებით შეზღუდული ჩანს. როგორც შენიშნავენ, სა-ო კონფიქსი დაერთვის თითქმის ყოველგვარ სახელს: არსებითებს, ზედსართავებს, ასევე ზმნისართებს, ნაწილაკებს, სახელზმნებს, წარმოქმნილ და რთულფუძიან სახელებს. სა-ე აფიქსი ძალზე იშვიათად დაერთვის რთულ ფუძეს, ნაწარმოებსა და უცხო წარმომავლობის სახელებს (მ. ტუსკია, 2004, გვ. 87).

ჩვეულებრივ, ენაში სა-ო და სა-ე კონფიქსები ერთსა და იმავე ფუძეს არ დაერთვიან, მაგრამ იშვიათად, მაინც ვხვდებით ამ აფიქსებით ნა-

წარმოებ იდენტური შინაარსის სახელებს: სანაღმე — სანაღმო, სავიზიტე — სავიზიტო, საკოქსე — საკოქსო. ასეთი დუბლეტები ზოგჯერ პარალელურად იხმარება სხვადასხვა ტემინოლოგიურ ლექსიკონში. ჩანს, რომ ერთნაირი ფორმების გამიჯვნა ჭირს. ზოგჯერ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რომელიმე ფორმას აქვს მინიჭებული უპირატესობა, რადგან ის ლიტერატურაშია დამოწმებული.

ენაში ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც ერთსა და იმავე ფუძეზე სა-ე და სა-ო კონფიქსთა დართვისას სემანტიკურად განსხვავებული სახელები მიიღება. აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა გამოიყოს:

1. ამ კონფიქსებით ნაწარმოებ ტერმინებს შორის განსხვავებას განაპირობებს მსაზღვრელ — საზღვრულის სემანტიკა: სააბრეშუმე ადგილი — სააბრეშუმო იარაღი; საალბომე ქაღალდი — საალბომო ფორმატი.

2. ერთი და იმავე ფუძის სა-ე და სა-ო კონფიქსებით გაფორმებას განაპირობებს რომელიმე ენიდან, მაგალითად, რუსულიდან თარგმნისას ზუსტი შესატყვისის მოძიების საჭიროება: სანომრე — **номерник, სანომრო — номерный**; სამოქლონე — **заклепочный**, სამოქლონო — **клепальный**; საყალიბე — **формовочный**, საყალიბო — **ополубочный**, საჰაერე — **поддувало**, საჰაერო — **воздушный** და ა. შ.

სა-ე და სა-ო კონფიქსთა ფუნქციურ განმასხვავებლად მიჩნეულია თვით ამ აფიქსთა სხვადასხვაობა. ვარაუდობენ, რომ სა-ე აფიქსების თავდაპირველი ფუნქცია იყო მხოლოდ დანიშნულების გამოხატვა, სა-ო-სი კი — განკუთვნება (თ. ზურაბიშვილი, 1961, 154.).

სა-ო და სა-ე კონფიქსთა შეპირისპირებას მორფოსემანტიკური საფუძველი უდევს. მაგრამ ზოგჯერ მათი დისტრიბუცია ვერ აიხსნება სიტყვის მნიშვნელობით და ვერც ფუძე განსაზღვრავს ამ კონფიქსთა ხმარების შემთხვევებს. საერთოდ ჭირს საკუთრივ ენობრივი ფაქტორებით მათი ხმარების ნორმათა დაზუსტება.

სა-ე და სა-ო კონფიქსები დანიშნულებისა და კუთვნილების გამომხატველი მაწარმოებლებია. სა-ო-ს დამატებით თვისების გამოხატვაც შეუძლია. ტერმინოლოგიურ სისტემაში ამ კონფიქსთაგან უფრო პროდუქტიულია სა-ო. ის დაერთვის როგორც ქართულ ლექსიკურ ერთეულებს, ისე უცხო წარმომავლობის სახელებს. უცხო წარმომავლობის სახელთაგან დაერთვის მხოლოდ არსებით სახელებს და არ გვხვდება ნასესხებ ზედსართაულ სახელებთან.

საანალიზო მასალამ შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეყო ამ კონფიქსებში ნაწარმოებ ტერმინთა ზოგიერთი მორფოლოგიურ-სემანტიკური ჯგუფი:

1. სა-ო კონფიქსი დაერთვის:

ა) პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინებს, რომლებიც მიმღეობებისგან იწარმოება

მხაზველი — სამხაზველო;	მხარშავი — სამხარშაო;
დამშლელი — სადამშლელი;	განმფუთველი — საგანმფუთველო;
გამომჭრელი — საგამომჭრელი;	გამომწველი — საგამომწველო;
გადამკვრელი — საგადამკვრელი;	ამწყობი — საამწყობო;
ამფეთქებელი — საამფეთქებელი;	მზარეული — სამზარეულო;
ამკინძავი — საამკინძაო;	მშენებელი — სამშენებლო;
მყვინთავი — სამყვინთაო;	მრეცხავი — სამრეცხაო;
მმართველი — სამმართველოდა სხვ.	

ბ) სახელებს, რომლებიც თავისი სემანტიკით მიუთითებენ ამა თუ იმ საქმიანობაზე, პროფესიაზე:

ყსაბი — საყსაბო;	ბაყალი — საბაყლო;
ფეიქარი — საფეიქრო;	დურგალი — სადურგლო;
ზეინკალი — საზეინკლო;	დალაქი — სადალაქო;
ხარატი — სახარატო და სხვ.	

3) მე—ე და მე—ურ—ით ნაწარმოებ ხელობის აღმნიშვნელ ტერმინებს, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა: მეთუნე — სამეთუნეო.

მოძიებულ მასალაში ერთადერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მე—ურ—ით ნაწარმოებ პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინს სა—ე კონფიქსი დაერთვის: მეცეცხლური — სამეცეცხლური.

ამ აფიქსებით გაფორმებული ტერმინები მნიშვნელობით გამოხატავენ ამა თუ იმ საქმიანობისათვის, პროფესიისათვის განკუთვნილ სახელოსნობებს, დაწესებულებას ან სასწავლებელს.

ბ) სა—ო კონფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ასევე უცხოფუძიან კომპოზიტებს. გამოიყოფა ორი ყალიბი:

1. როდესაც კომპოზიტის მეორე კომპონენტს აფორმებს სა—ო:

ხანძარსაწინალო;	ავტოსარემონტო;
ელექტროსაიზოლაციო;	მეხსაწინალო;
კოროზიასაწინალო;	მილსაშემდღებლო;
თერმოსაიზოლაციო;	თვალსახარატო;
წყალსადაწნეო;	ელექტროსამონტაჟო;

თევზსარეწაო;

2. სა—ო დაერთვის მთლიანად რთულ ფუძეს:

სამთამადნო;	სამიმოსვლო;
სადღელამისო;	საუღელტეხილო;
საზონათშორისო;	საანგარშეგებო;
საზეგანაკვეთო;	საგარეუბნო;
სათვალთვალო;	სარაიონთშორისო;
სამთამაშველო;	სამთამადნო;
სამიწათმოქმედო;	სალითოგრაფიო;
სარადიოლოკაციო;	სატელეგრაფო.

სა—ე კონფიქსი ძალზე იშვიათად დაერთვის კომპოზიტებს. საანალიზო მასალაში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება: წინაღსაპირე; საპირწონე; საქვესართულე; სათითისტრე.

ზემოაღნიშნულ ფორმებს, უმეტესად, მხოლოდ დანიშნულების სემანტიკა აქვთ.

გ) სა—ო მაწარმოებელი კრებითი სახელების ფუძეებისაგან აწარმოებს ახალ ტერმინებს, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანთა ერთობას, სიმრავლეს.

ხალხი — სახალხო;	გუნდი — საგუნდო;
ერი — საერო;	ჯარი — საჯარო;
ჯგუფი — საჯგუფო;	ნადი — სანადო;
მამითადი — სამამითადო და სხვ.	

დ) ზედსართავი სახელის ფუძისგან სა—ო კონფიქსი იშვიათად აწარმოებს ახალ ტერმინებს: შავი—საშავო; სუფთა—სასუფთაო; მაღლივი—სამაღლივო;

მოხმობილ ფორმებს ზოგადად ხელოვნურობის იერი დაჰკრავთ, მაგრამ ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში ეს ჩვეულებრივი პროცესია.

ე) სა—ო დაერთვის სახელზმნებს:

მიმოხილვა — სამიმოხილვო;	დაზღვევა — სადაზღვევო;
დატვირთვა — სადატვირთვო;	დაწნევა — სადაწნეო;
აღრიცხვა — სააღრიცხვო;	სვლა — სასვლო;
გასავალი — საგასავლო;	ლაპარაკი — სალაპარაკო;

სა—ე კონფიქსი ძირითადად სახელთაგან აწარმოებს დანიშნულებისა და განკუთვნიების ტერმინებს: საბათქაშე; საბოთლე; სათოფე; საველე; საა-

ნალიზო მასალამ შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეყო სა—ე კონფიქსით გაფორმებულ ტერმინთა მორფოლოგიურ—სემანტიკური ჯგუფები.

ეს კონფიქსი აფორმებს ტერმინებს, რომლებიც გამოხატავენ:

ა) საგნის სათავს ან ადგილს (სასილოსე, საჩაიე, საპუდრე);

ბ) საგნის დამამზადებელ მასალას (საასფალტე (ნახშირი), საგობელენე (რიფსი), სამარტენე (ლუმელი), საავტომატე (ფოლადი);

დ) ადგილს, სადაც მზადდება რაიმე საგანი (საკაბელე ქარხანა, საკოქსე ლუმელი, საპარკეტე საამქრო).

განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს სა—ე და სა—ო კონფიქსები უცხო ფუძეებზე დართვისას.

სა—ო კონფიქსი ისევე ფუნქციონირებს უცხო წარმომავლობის ფუძეებთან, როგორც ქართულთან. წარმოების პრინციპები ძირითადად მისდევს როგორც სალიტერატურო ქართულში მოქმედ წესებს, ასევე ჩვენ მიერ გამოყოფილ სემანტიკურ ჯგუფებს.

ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში სა—ო კონფიქსით ნაწარმოები ზედსართავები ხშირად მნიშვნელობით ემთხვევა —ურ(ულ) სუფიქსიან ფორმებს, იქნეს —ურ(ულ) სუფიქსის მაზედსართავებელ თვისებას. ამიტომაც, რომ სა—ო და —ურ(-ულ) აფიქსიანი ფორმები ხშირად ერთმანეთის პარალელურად, სინონიმური მნიშვნელობით გვხვდება სხვადასხვა დარგობრივ ლექსიკონებში: საკულმინაციო წერტილი — კულმინაციური წერტილი; საინდუქციო კოჭი — ინდუქციური კოჭი; საინერციო სტარტერი — ინერციული სტარტერი; საფაცეცო დაფა — ფაცეცური დაფა; სარეპროდუქციო ფენა — რეპროდუქციული ფენა. ამგვარი სინონიმური ფორმების გარდა ენაში ზოგჯერ მცდარადაა დამკვიდრებული —ურ სუფიქსიანი წარმოება. ეს ის შემთხვევებია, როცა —ურ სუფიქსიანი ზედსართავი თვისებას აღნიშნავს და არა დანიშნულებას. სწორედ ამიტომაც მუსიკალური სკოლა შეცვალა სამუსიკო სკოლამ და სპორტული მაღაზია — სასპორტო მაღაზიამ.

სა—ო და სა—ე კონფიქსთა დისტრიბუცია უცხო წარმომავლობის სახელებთან რთულია. ქართულ ფუძეებთან სიტყვათა ამ აფიქსებით გაფორმება ხშირად სემანტიკური ფაქტორითაა შეპირობებული, უცხო სიტყვის შინაარსი კი აძნელებს სა—ო და სა—ე კონფიქსთა განაწილებას. ზოგ შემთხვევაში უცხო წარმომავლობის ფუძესთან სა—ო და სა—ე კონფიქსთა განაწილების ძირითადი საფუძველი სიტყვის ფუძის გაფორმებაა. გამოიკვეთა, რომ სა—ო კონფიქსი დაერთვის —ია-ზე და ცია-ზე დაბოლოებულ სახელებს და ამ პოზიციაში მას არასოდეს შეენაცვლება სა—ე: საავიაციო; საპროექციო; საკანცელარიო; საილუსტრაციო; საიმპერიო; საინვენტარიზა-

ციო; საკანალიზაციო; საკვალიფიკაციო; საესკალაციო; სალოკაციო; საკოლექციო; საკალკულაციო; სადოტაციო; საკომპენსაციო...

სა—ე კონფიქსს, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოხატავს მხოლოდ დანიშნულებასა და განკუთვნებას, ტერმინოლოგიაში იგივე ფუნქცია აკისრია, იმისდა მიუხედავად, უცხო წარმომავლობისაა ტერმინი თუ არა. ის უცხო წარმომავლობის სახელებთან შედარებით იშვიათად იხმარება. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ფიქსირებული მასალის მიხედვით, სა—ე კონფიქსის ხმარების შემთხვევების ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ფუძეს აწარმოებს მხოლოდ სა—ე კონფიქსი:

საავტომატე (საავტომატე ფოლადი); საბალონე (საბალონე მილი); საასფალტე (საასფალტე ნახშირი); საბომბე (საბომბე ლიუკი); საბროშურე (საბროშურე ნემსი); საბუქსირე (საბუქსირე ყელი); სამარტენე (სამარტენე აგური); საშპალე (საშპალე ამონაჭერი); სამიკროფონე (სამიკროფონე მილი); სასილოსე (სასილოსე კოშკი) და სხვ.

2. ფუძეს აწარმოებს სა—ე და სა—ო—ც (ე. ი. გვაქვს პარალელური წარმოება).

საალბომე — საალბომო (საალბომე ქალაღი და საალბომო ფორმატი);

საბალასტე — საბალასტო (საბალასტე ფილა და საბალასტო მინარევი)

საბანდაჟე — საბანდაჟო (საბანდაჟე ფოლადი და საბანდაჟო რკინა)

საბუქსირე — საბუქსირო (საბუქსირე სიგნალი და საბუქსირო საწევარი)

საკაბელე — საკაბელო (საკაბელე ქარხანა და საკაბელო ტელევიზია)

საკალიბრე — საკალიბრო (საკალიბრე საამქრო და საკალიბრო რგოლი)

ამგვარად, ტერმინოლოგიაში პირველი ქვეჯგუფის ტერმინებში სა—ე კონფიქსი აღნიშნავს დანიშნულებას (საავტომატე — ნიშნავს ავტომატისათვის განკუთვნილს). მაგრამ ისინი შესაძლებელია სა—ო—თიც იყოს დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულში. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ზედსართავი სწორედ საავტომატო ფორმით გვხვდება. ასევე, ტერმინი საბროშურე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში საბროშურო ფორმითაა წარმოდგენილი. ამგვარი პარალელური ფორმები ენაში იწვევს მერყეობას საერთოდ სა—ე და სა—ო კონფიქსების ხმარებისას.

მეორე ქვეჯგუფში შემავალი ტერმინები პარალელური წარმოებით დასტურდება არა თუ სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე ტერმინოლოგიაშიც, ამ შემთხვევაში შეუძლებელია განსხვავებულ სემანტიკაზე საუბარი. სა—ე და სა—ო კონფიქსები ერთმანეთს ენაცვლება ერთსა და იმავე საზღვრულთანაც, მაგალითად, საკოქსო ლუმელი და საკოქსე ლუმელი. რა თქმა უნდა, ამგვარ შემთხვევებში შეუძლებელია სემანტიკური დიფერენციაციის ძიება.

მიუხედავად აღნიშნული სიჭრელისა და სირთულეებისა, რომლებიც საანალიზო მასალაში იგრძნობა, უთუოდ დგება საკითხი მათი ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებების გამოკვეთისა, რადგანაც ტერმინოლოგიაში ხელოვნური ჩარევის უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს და აფიქსთა სემანტიკის გამიჯვნაც ხერხდება. თუმცა ენის განვითარების ამ ეტაპზე ჭირს განსხვავებული სიტყვაწარმოების ზოგადი კრიტერიუმების დაძებნა.

დღეისათვის უცხო წარმომავლობის სახელებთან სა—ო და სა—ე კონფიქსებით გაფორმებულ ტერმინთა სემანტიკური სხვაობა მაინც გაბუნდოვანებულია. ამის მიზეზი ალბათ ფუძის უცხო წარმომავლობა უნდა იყოს. სალიტერატურო ქართულში კი, დიფერენციაციის ტენდენცია უფრო შესამჩნევია. მნიშვნელობათა სხვაობა ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ სახელებთან მყდავნიდება. საცოლო ნიშნავს, ვაჟს, რომელიც ქორწინების ასაკისაა, საცოლე — ქალს, რომელიც ცოლად უნდა ითხოვოს ვაჟმა (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988).

სა—ო კონფიქსი უცხო წარმომავლობის სიტყვებში შედარებით ნაკლებად იხმარება დანიშნულების ფუნქციით. მის ამოსავალ ფუნქციად ტერმინოლოგიაში უნდა ვივარაუდოთ თვისების გამოხატვა, ადიექტივაცია. აქედან გამომდინარე, სა—ო კონფიქსით წარმოდგენილ უცხო ფუძეს არ უნდა შეენაცვლოს სა—ე კონფიქსი, მაგრამ პარალელურ ფორმებად მაინც დასტურდება სანოტო(ნიშანი) და სანოტე(ნიშანი). რა თქმა უნდა, ზედსართავი სახელი გაფორმებული უნდა იყოს მხოლოდ სა—ო კონფიქსით, რადგან ზედსართავი სანოტო გამოხატავს ნიშნის თვისებას, სანოტე კი შესაძლებელია იყოს სპეციალური სადგამი ან ჩანთა ნოტებისათვის.

ამგვარად, სა—ო კონფიქსის სიტყვაწარმოებითი უნარი ქართულში დიდია. უცხო წარმომავლობის სახელებზე დართული ეს კონფიქსი ხშირად ენაცვლება —ურ(-ულ) სუფიქსიან ფორმებს (მუსიკალური — სამუსიკო), მაგრამ საჭიროა ამ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველზე დაზუსტდეს მათი გამოყენების საზღვრები. აქვე დაისმის ნათესაობითბრუნვიან ფორმებთან მიმართებაც, რადგან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით

წარმოდგენილი უცხო წარმომავლობის სახელი შეიძლება იყოს სა—ო ან —ურ(-ულ) აფიქსიან სახელთა სინონიმური ფორმა. უმეტესწილად კი, ფორმათა სხვაობა სემანტიკურ დიფერენციაციას იწვევს და მათი ურთიერთჩანაცვლება შესიტყვებაში შეუძლებელია (მაგ., ფილოლოგიის ფაკულტეტი, ფილოლოგიური გამოკვლევა, საფილოლოგო საქმე; მუსიკის მასწავლებელი, მუსიკალური ნიჭი, სამუსიკო სკოლა). ამგვარ შესიტყვებებში აფიქსთა სხვადასხვაობა მკვეთრად გამოიხატავს სემანტიკასაც. როცა ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი კუთვნილების აღმნიშვნელია, მას ვერ შეენაცვლება სა—ო ან —ურ(-ულ) აფიქსიანი ფორმები (სპორტის ოსტატი და არა სპორტული ოსტატი ან სასპორტო ოსტატი).

სა—ო კონფიქსიან და —ურ(-ულ) სუფიქსიან ფორმებს თავისი სემანტიკური არეალები აქვს. სა—ო კონფიქსი უპირატესად გამოიყენება დანიშნულების გამოსახატავად. ასეთი შინაარსის გამოსახატავად —ურ(-ულ) სუფიქსიანი წარმოება არ გვხვდება. როდესაც საჭიროა გამოიხატოს არა დანიშნულება და განკუთვნება, არამედ წარმომავლობა და თვისება რისამე, მაშინ უცხო წარმომავლობის ფუძე გაფორმებულია —ურ(-ულ) სუფიქსით. შღრ. იაპონური ფირმა, იაპონური გამოკვლევები, ტექნიკური პროგრესი.

ენაში შესაძლებელია ერთი და იმავე ფუძეზე დართული სა—ო და —ურ(-ულ) აფიქსიანი ფორმები მნიშვნელობით ერთმანეთს ფარავდნენ, ე.ი. ისინი გარკვეულ შესიტყვებებში სინონიმებს წარმოადგენდნენ. შღრ. სადერვიაციო აფიქსი და დერივიაციული აფიქსი. შესიტყვებებში სადერივიაციო და დერივიაციული სინონიმებია, ვინაიდან სადერივიაციო არის ფორმა, რომელიც დანიშნულების გამომხატველია, მაგრამ იმავდროულად მას თვისების აღნიშვნაც შეუძლია (სადერივიაციო აფიქსი გამომხატავს იმავე მნიშვნელობას — რასაც დერივიაციული).

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელიც სწორედ ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში დაფიქსირდა. უფრო ძველ ტერმინოლოგიებში უცხო სიტყვებში თვისების გამომხატვა სა—ე კონფიქსით თითქმის უთანაბრდებოდა სა—ო-ს. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ამ აფიქსთა თავდაპირველი ფუნქცია მაინც უცხო ფუძის ადაპტაციაა. გაქართულების პროცესი და ამ აფიქსთა ფუნქციების გადანაწილება კი შემდგომ ხდება. ახალ ტერმინოლოგიებში კი, უფრო იკვეთება სა—ო-ს უპირატესობა თვისების აღმნიშვნელ უცხო ფუძეებში.

ლიტერატურა

ზურაბიშვილი 1961 — თ. ზურაბიშვილი, „ტოპონიმის შესწავლისათვის“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961.

დამბაშიძე 1984 — რ. დამბაშიძე, „პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1984.

ტუსკია, 2004 — მ. ტუსკია, „სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბ., 2004, თბ., უნ., გამომცემლობა.

ტექნიკური ტერმინოლოგია — 1935, 1942, 1957, 1977.

რადიოტექნიკის ტერმინოლოგია — 1947, 1966.

სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია — 1959.

ტ. ელექტროწევის ტერმინოლოგია — 1965.

საზღვაო ტერმინოლოგია — 1985.

გეოფიზიკის ტერმინოლოგია — 1986.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია — 2001.

ბოტანიკური ლექსიკონი — 1961.

ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია — 1973.

Marine Osadze, Nino Dateshidze

Word-Formative Functions of Confixes of Designation in Georgian Terminology

Summary

Terms, denoting designation and attribution represent one of the most productive groups in the system of terminology. They are formed by various affixes in Georgian language. The terms, formed by **sa-e** and **sa-o** are viewed in the article. Morphological-semantic delimitation of these confixes in literary Georgian represents problem. In terminology system certain trends are more clearly seen, although similar problems appear in regard to terms too. In particular, these affixes

are attached to one and the same root and form names of identical content, as well as semantically different entities.

Morphological-semantic group of terms, formed by these confixes are represented in this article.

Picture of special interest is displayed by **sa-e sa-o** confixes in the case of adding to foreign roots. Confix **sa-o** is used with the function of designation in the words of foreign origin relatively seldom, addiactivation should be considered its core function.

Confix **sa-e** is used in foreign words relatively seldom and mainly denotes designation and attribution, but the cases of parallel formation by **sa-o** are also encountered, indicating to the process of initial function of these affixes, adaptation of foreign roots, process of Georgianization.

მედეა საღლიანი, ელისაბედ გაზდელიანი

სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა
ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის
(**resp.** დალის) ხეობაში

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი (ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი) პროფ. ი. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით უკვე რამდენიმე წელია იკვლევს სვანური ენის თითქმის შეუსწავლელ უბანს — კოდორის (**resp.** დალის) ხეობის მეტყველებას ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით, რომელიც, ძირითადად, ინტერფერენციული მოვლენებით შემოიფარგლება.

კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში, მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის¹, კოდორელი ბალსქვემოელების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჭბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორცაა ლაშხური და ბალსქვემოური. მთქმელი, როგორც უკვე ითქვა, წარმოშობით ლაშხელია. იგი 1997 წლიდან (ე. ი. ათი წლის განმავლობაში) ცხოვრობს კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში ბალსქვემოელთა გარემოცვაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე. ეს გავლენა, ჩვენი დაკვირვებით, აისახა როგორც ლექსიკაზე, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსზეც.

¹ კოდორის რეგიონში მცხოვრები სხვა ქვემოსვანი რესპოდენტის მეტყველების ნიმუშები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ინტერესსმოკლებული არ იქნება თუკი კოდორის ხეობაში ნაცხოვრები სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველების ნიმუშებსაც მოვიპოვებთ.

შენიშვნა: ირმა კოჭბიანის მეტყველების ნიმუშები იმითაც არის საინტერესო, რომ იგი გახლდათ 1989 წლის ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე და იგი დეტალურად აღწერს მაშინდელ მოვლენებს.

როგორც ცნობილია, „კოდორის (**resp.** დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში დასტურდება ორგვარი ინტერფერენცია:

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა;

ბ) სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა“ (ჩანტლაძე 2007, 95).

ჩვენი აზრით, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ზემოხსენებული დიალექტის მონაცემებს დაემატება ლაშხური კილოს მასალაც. ლაშხური დიალექტის გამოყოფას სვანური ენის სხვა დიალექტებს შორის, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, საფუძვლად უდევს ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით უმლაუტიანი ხმოვნების არ ქონა და ხმოვანთა რედუქციის არსებობა. სწორედ ამ მონაცემთა გათვალისწინებით მოვახდინეთ დაკვირვება ლაშხელი რესპოდენტის ინტერფერენციულ მეტყველებაზე, რამაც საინტერესო შედეგები მოგვცა როგორც ლექსიკური, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგიასინტაქსის თვალსაზრისითაც.

შენიშვნა: ირმა კოჭბიანის მეტყველების ნიმუშები ჩვენ სპეციალურად სიტყვა-სიტყვით გადავამოწმეთ ლაშხურის კარგ მცოდნესთან, ნატალია ონიანთან, რომელთანაც მას მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა აქვს გატარებული მამაპაპისეულ სოფელში, ლელვანში (ქახუნდერის თემში). ამ შედარებამ, რასაკვირველია, საშუალება მოგვცა დაკვირვება მოგვეხდინა ლაშხურ-კოდორულ (**resp.** ბალსქვემოურ) ინტერფერენციულ მოვლენებზე როგორც ერთ კერძო შემთხვევაზე.

პირველ რიგში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსიკამ.

1. ლ ე ქ ს ი კ ა:

ა) თავის დროზე ეცერიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულ გუჯეჯიანთა ლაშხელი რძლის ირმა კოჭბიანის მეტყველებაში მისთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ძალიან ხშირად ისმის ბალსქვემოური ლექსემებიც, რომლებიც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან: **ალი** (შდრ. ლშ. **აღე**) „ეს“, **ალია** (შდრ. ლშ. **აღეა**) „ესეც“, **ალის** (შდრ. ლშ. **აღეს**) „ამას“, **ამუგ** (შდრ. ლშ. **ამაჟ**) „აქამდე“, **არდადაგებოლჟი** (შდრ. ლშ. **არდადაგელჟი**) „არდადაგებზე“, **ასგლგენი** (შდრ. ლშ. **ლგჟმარეს ას-ჟი**) „სულოგუნს აკეთებს“, **აშხუდ** (შდრ. ლშ. **ეშხუდ**) „ერთად“, **ბეფშუ** (შდრ. ლშ. **ბოფშუ**) „ბავშვი“, **გჟელჟაჟხ** (შდრ. ლშ. **გჟაჟიმდახ**) „მოგვდევდნენ“, **დემეგ|დემე** (შდრ. ლშ. **დესა, მა**) „არ, არა“, **დემეგ-იმეგ** (შდრ. ლშ. **დემე**) „არსად“, **დემეჟაშმოშ|დემეჟაშ** (შდრ. ლშ. **დესმამ**) „ვერაფერს, არაფერს“,

დია (შდრ. ლშხ. დედე) „დედა“, დინილ (შდრ. ლშხ. დინოლ) „გოგონა“, ერტა (შდრ. ლშხ. დერტა) „ვინც“, ერქმსა (შდრ. ლშხ. ერქმსა) „იმაში“, ერჩუ (შდრ. ლშხ. ერჩუ) „იქ“, ზაუნლო (შდრ. ლშხ. ზაუნლო) „წლის შემდეგ“, იშვიდა (შდრ. ლშხ. იშვიდა) „წველიდა“, კომუნისტრე (შდრ. ლშხ. კომუნისტარე) „კომუნისტების“, ლაგუნისშუ (შდრ. ლშხ. ლაგუნისშუ) „ტირილით“, ლექდა (შდრ. ლშხ. დერქდა) „ორივე“, ლეჰნა (შდრ. ლშხ. ლენა, ნენა) „შარშან“, ლიზგერალგნლო (შდრ. ლშხ. ლიგათუალუნლო) „დამთავრების შემდეგ“, ლიკლი (შდრ. ლშხ. ლიკუნჩხდელ) „კოჭლობა“, ლუნჭურე (შდრ. ლშხ. ლუნჭურე) „შეკრებილი, შეგროვილი“, მარე (შდრ. ლშხ. მარა) „მაგრამ“, მეგჭე (შდრ. ლშხ. ბგე) „მაგარი“, მოლე (შდრ. ლშხ. მადენ) „რალაცა“, მოლეგუნეშ (შდრ. ლშხ. მადენა) „რალაცა“, მოდ (შდრ. ლშხ. კოტოლშ, კოტოლ) „ცოტა“, მოშ (შდრ. ლშხ. მერმეკაბდ) „სხვანაირად“, მგკლი (შდრ. ლშხ. კანჩუ) „კოჭლი“, ნალეჟურ (შდრ. ლშხ. ჭყინტ) „ბიჭი“, ნომა (შდრ. ლშხ. ნუმა) „არა“, ნო (შდრ. ლშხ. ნო) „ნუმცა“, დე (შდრ. ლშხ. ნდუ) „დიახ“, დორი (შდრ. ლშხ. დერუ) „ორი“, ონჭინდალ (შდრ. ლშხ. ოხდელდალ) „მოველოდით“, ოცხირ (შდრ. ლშხ. ოხმევერ) „გავიგე“, უ'ახწინა (შდრ. ლშხ. უ'ახწინა) „მოერია თურმე“, უ'ოგუნენეხ (შდრ. ლშხ. უ'ოგუნენეხ) „ავგაყენეს, რტუადი (შდრ. ლშხ. გარგლი) „ვლაპარაკობ, ვსაუბრობ“, სიტყუოლ (შდრ. ლშხ. სიტყუნელ) „სიტყვები“, უშხუდ (შდრ. ლშხ. ეშხუდ) „ერთად“, დერმათშუ (შდრ. ლშხ. დერბათშუ) „ღვთის წყალობით“, ჩიგუნაშ (შდრ. ლშხ. ჩის) „ყველაფერს“, ცინგილ (შდრ. ლშხ. ციგინ) „ზღაპარი“, ხატულიდახ¹ (შდრ. ლშხ. ხატულდახ) „ეძახდნენ“, ხითხი (შდრ. ლშხ. ხითხილი) „მოძებნი“, ხოხახ (შდრ. ლშხ. ხოხალხ) „იციან“, ჰამს (შდრ. ლშხ. ძინარს) „დილას“, ჰერ (შდრ. ლშხ. დერ) „ხმა“ და ა.შ.

ლაშხური ხაყა „ვარგა“ ზმნის ნაცვლად ირმა კოჭბიანი იყენებს ინტერფერენციურებულ იმარგ'ს (შდრ. ბქ. იმარგ).

ინტერფერენციულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კოდორულ მეტყველებაში დაფიქსირებული ბალსქვემოური თამ-თამაშდ „ნელ-ნელა“ ფორმაც (შდრ. ლშხ. ნებ-ნებაშდ).

ბალსქვემოურის გავლენას თვითონ რესპოდენტიც გრძნობს, რაზეც მიუთითებს მისი შემდეგი განაცხადი:² პირტელდ ონჭუნედ ამხაუ, საერთოდ დეშ ხუნივერის აღდარე რაგადს ი მი მიშგუნი ლუნუნუს დეშ ხუნი-

¹ მთქმელი იყენებს უწყვეტლის არქაულ ფორმას (ხატულიდახ), როცა ახალი თაობის მეტყველებაში, ძირითადად, გაბატონებულია ხატულიხ. როგორც ჩანს, უფროსი თაობის ხალხთან ზშირმა კონტაქტმა განაპირობა მთქმელის მიერ ამგვარი ფორმების შეთვისება.

² ციტატი მოგვყავს სრულად.

ვერალუნინ აღმარს; ათხე გუნ მოჲეჲციე აღარე ნინუი; ათხე ეჩხაჲ ოსხური, მიშგუნი ხალხს დემ ხუამვერალუნე მიშგუნი ლუშნუს ი რჲუაგდიდ ქართულდ, დემგუაშმოშ იმვერის ეჯმარ — პირველად 'რომ' მოვედი აქ, საერთოდ ვერ ვიგებდი ამათ საუბარს და მე ჩემს სვანურს ვერ ვაგებინებდი ამათ; ახლა ძალიან მოვეჲციე ამათ ენაზე; ახლა იქით 'რომ' მივდივარ, ჩემს ხალხს ვერ ვაგებინებ ჩემს სვანურს და ვსაუბრობთ ქართულად, ვერაფერს იგებენ ისინი.

ამ ერთი ციტატიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე კოდორულმა ბალსქვემოურმა, რადგანაც მთლიანად ციტატი არის ინტერფერენციურებული. ჩვენდა გასაკვირად, ჩვენი ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ერთი წინადადებაც კი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ბალსქვემოურის გავლენას არ განიცდიდეს.

არაერთი საინტერესო სპეციფიკური ფონოლოგიური თუ მორფოსინტაქსური მოვლენა დასტურდება ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში.

2. ფონეტიკა:

ა) ირმა კოჭბიანის თითქმის ნახევარსაათიან დიალოგში პალატალური ა ხმოვნის წარმოქმნის ერთადერთი შემთხვევა დავაფიქსირეთ: **ჟაჲ, ღია!** „ვაი, დედა!“ (შდრ. ლშხ. **ჟაჲ, დედე!**)¹. როგორც ჩანს, ათი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ უშუალოდ დიალექტის წარმომადგენელს ძირფესვიანად შეეთვისებინა ბალსქვემოური დიალექტისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, რადგანაც საარტიკულაციო ბაზისის წარმოქმნა ამ შემთხვევაში მისთვის ძალზე რთული აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს სწორედ მის მიერ რამდენჯერმე გამოყენებული ბალსქვემოური **რაგად** (შდრ. ლშხ. **გარგლა**) „საუბარი“, რომელსაც არც ერთი ბალსქვემოელი მთქმელი უშუალოდ გარეშე არ იტყვის (შდრ. ბქ. **რაგად**).

ბ) რაც შეეხება ისეთ რთულ ფონოლოგიურ მოვლენას, როგორიცაა ხმოვანთა სიგრძე სვანურში, ჩვენი რესპოდენტის საარტიკულაციო ბაზისისთვის სრულიად ბუნებრივი და უფრო მარტივია, ვიდრე უშუალოდ. იგი ხშირად უმართებულოდაც ხმარობს გრძელ ხმოვნებს, ამბობს იქ, სადაც სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში არ ფიქსირდება. მაგ.: **ამხენისა** (შდრ.

¹ ჩვენ სპეციალურად დავუკავშირდით დევნილობაში მყოფ ირმა კოჭბიანს ქუთაისში და რამდენჯერმე გავამეორებინეთ აღნიშნული ფრაზა, რათა დავრწმუნებულიყავით მის სისწორეში. მას მთელი ათი წლის განმავლობაში უხდებოდა ურთიერთობა ბალსქვემოურ დიალექტზე მეტყველ მეუღლესთან და დედამთილ-მამამთილთან, რომლებიც, ძირითადად, სწორედ ბალსქვემოურად საუბრობდნენ, და, რაღა თქმა უნდა, ეს მის მეტყველებაზეც აისახა, რამაც გამოიწვია უამრავი ინტერფერენციული ფორმის გამოყენების შემთხვევები მის მეტყველებაში.

ლშხ. **ამხენისა**) „აქედან“, **ბედნდერ** (შდრ. ლშხ. **ბედნდერ**) „ბედნიერი“, **დეცხენჩუ** (შდრ. ლშხ. **დეცხენჩუ**) „ციდან“, **ლათხუდარს ლგმარდ** (შდრ. ლშხ. **ლათხუდარს ლგმარდ**) „სანადიროდ ყოფილა“, **ლახთხანა** (შდრ. ლშხ. **ლახთხანენა**, ბქ. **ლახთხანა||ლახთხანენა**) „გადაყრია“, **მეზუბელნარს** (შდრ. ლშხ. **მეზუბელარს**) „მეზობლებს“, **იჯრაჟუდახ** (შდრ. ლშხ. **იჯრაჟუდახ**) „იჯერებდნენ“, **მაშყიდლა** (შდრ. ლშხ. **მაშყიდლა**) „მახსოვდა“, **მასმა** (შდრ. ლშხ. **მასმა**) „მსმენია“, **მიჩაშდ** (შდრ. ლშხ. **მიჩაშდ**) „თავისთვის“, **მიჩაჟუ** (შდრ. ლშხ. **მიჩაჟუ**) „თავისით“, **ოთწუილენ** (შდრ. ლშხ. **ოთწუილენ**) „გავთხოვდი“, **ოხუმბაჟა** (შდრ. ლშხ. **ოხუმბაჟა**) „მოუყოლია“, **ახქინედ** (შდრ. ლშხ. **ახქინედ**) „გამოიქეცით“, **ჩ'ოგყიმნახ** (შდრ. ლშხ. **ჩ'ოგყიმნახ**) „დაგვახრჩობდნენ“, **ხაჟხა** (შდრ. ლშხ. **ხაჟხა**) „ჰქვია“, **ხეყერეს** (შდრ. ლშხ. **ხეყერეს**) „დაემართოს“, **ხეწდენი** (შდრ. ლშხ. **ხეწდენი**) „ნახავ“, **ხორი** (შდრ. ლშხ. **ხორი**) „ჰყავს“, **ჯინალმა** (შდრ. ლშხ. **ჯინალმა**) „იცი?“, **ეჯმარ** (შდრ. ლშხ. **ეჯმარ**) „ისინი“, **ალდარე** (შდრ. ლშხ. **ალდარე**) „ამათი“ და სხვ. **ალდარე** ს პარალელურად ინტერფერენციულ **ალარე** ფორმასაც იყენებს, რომელიც ბალსქვემოთურის გავლენის შედეგი უნდა იყოს (შდრ. ბქ. **ალარე**) და შეგვხვდა აგრეთვე ინტერფერენციული **ალდარსი** (შდრ. ლშხ. **ალდარსი**) „ამათაც“ ფორმაც, სადაც სიგრძე აუსლაუტისეულ **ი**ზე უნდა ყოფილიყო დამსული და არა ინლაუტისეულ **ა**ზე.

ინტერფერენციულად შეიძლება ჩაითვალოს **ეჯარ** ს ფორმაც (შდრ. ლშხ. **ეჯმარ**).

გ) თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი გრძელ ხმოვანს უგულუბელყოფს საუბარში, მაგ.: **აფხაზეთ** (შდრ. ლშხ. **აფხაზეთ**) „აფხაზეთი“, **გუანდრაშ** (შდრ. ლშხ. **გუანდრაშ**) „გვანდრის“, **ეჩხაჟ** (შდრ. ლშხ. **ეჩხაჟ**) „იქ, იქით“, **ეჯლაჟ** (შდრ. ლშხ. **ეჯლაჟ**) „მაინც“, **ლეთ** (შდრ. ლშხ. **ლეთ**) „ლამე“, **ლეღჟანთე** (შდრ. ლშხ. **ლეღჟანთე**) „ლეღვანში“, **ლგგხ** (შდრ. ლშხ. **ლგგხ**) „დგანან“, **მაზ** (შდრ. ლშხ. **მაზ**) „მაცვია“, **მერმე** (შდრ. ლშხ. **მერმე**) „მეორე“, **მიშგჟაშალ** (შდრ. ლშხ. **მიშგჟაშალ**) „ჩემსავით“, **ოხჟიშგ** (შდრ. ლშხ. **ოხჟიშგ**) „ჩამოვწველე“, **ჩიღად** (შდრ. ლშხ. **ჩიღად, ჩიგარ**) „ყოველთვის“, **ხოქჟა** (შდრ. ლშხ. **ხოქჟა¹**) „უთქვამს“, **ხოჩამდ** (შდრ. ლშხ. **ხოჩამდ**) „კარგად“ და სხვა. არც ერთი ლაშხელი მთქმელი ამ ფორმებს სიგრძის გარეშე არ წარმოთქვამს.

¹ იმავე გვერდზე ლაშხელი რესპოდენტი მისი მეტყველებისთვის ბუნებრივ **ხოქჟა** ფორმასაც იყენებს.

სიგრძეა გამოტოვებული აგრეთვე ისეთ ელიზიურ ფორმებში, როგორიცაა: **ჟ'ითურიხ** < **ჟი ითურიხ** (შდრ. ლშხ. **ჟ'ითურიხ**) „ისწავლიან“, **ჟ'ოხთონ** < **ჟი ოხთონ** (შდრ. ლშხ. **ჟ'ოხთონ**) „ვისწავლე“, **ქ'ედსიპანდახ** < **ქა ედსიპანდახ** (შდრ. ლშხ. **ქ'ედსიპანდახ**) „გადავარდნენ“, **ქ'ემჩედელან** < **ქა ემჩედელან** (შდრ. ლშხ. **ქ'ემჩედელან**) „გასულიყო“, **ქ'ონღურიდ** < **ქა ონღურიდ** (შდრ. ლშხ. **ქ'ონღურიდ**) „გამოვდივართ“, **ქ'ოთწჷილენ** < **ქა ოთწჷილენ** (შდრ. ლშხ. **ქ'ოთწჷილენ**) „გავთხოვდი“ და ა. შ.

აქ ჩამოთვლილ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: **ი+ი, ი+ო, ა+ე, ა+ო**. ენათმეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის შესაბამისად, ელიზია ხმოვანთა ყველა ამ კომპლექსისათვის არის დამახასიათებელი, გარდა **ი+ი** კომპლექსისა (ქალდანი 1953, 196), თუმცა **ი+ი** კომპლექსის ელიზიის შემთხვევებიც გამოვლინდა როგორც მარტივ (სალლიანი 2001, 190-193), ასევე რთულ ელიზიურ ფორმებში (სალლიანი 2008, 163). აღნიშნულ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისას, ძირითადად, გადამწყვეტია მეორე კომპონენტი, რომელიც ლაშხურში მის წინ მდგომ ხმოვანს იერთებს და ვიღებთ გრძელ ხმოვანს, ბალსქვემოურში კი, როგორც წესი, ხდება პირველი კომპონენტის ჩავარდნა. რა თქმა უნდა, უგრძელხმოვნო ფორმათა გამოყენება ბალსქვემოურის გავლენას უნდა მიეწეროს. რამდენადაც საკითხზე მუშაობამ გვიჩვენა, გრძელი ხმოვნების ხმარების მხრივ რყევა მის მეტყველებაში, როგორც მაგალითების სიმრავლემ გვიჩვენა, მაინც საგრძნობია.

შეგნიშ: ლაშხური დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებაში ელიზიურ ფორმაში, მორფემათა ზღვარზე (მაგ., შდრ. **ადგილთ'ოსყახ** < **ადგილთე ოსყახ** „ადგილზე მიჰყავთ“), **ე+ო** ხმოვანთკომპლექსისეული მომდევნო **ო** ხმოვანი სიგრძის გარეშეა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ლაშხელთა მეტყველებაში დასახელებულ ელიზიურ კონსტრუქციაში შემავალი მეორე კომპონენტი (**ოსყახ**) ისედაც გრძელი ხმოვანით წარმოითქმის (შდრ. ლშხ. **ოსყახ**).

დ) გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გრძელხმოვანი დიალექტის წარმომადგენელი საკმაოდ ხშირად კოდორულ ბალსქვემოურ ლექსიკურ ერთეულებშიც აგრძელებს ხმოვნებს, რაც, რაღა თქმა უნდა, მშობლიური მეტყველების გავლენის შედეგია. მაგ.: **იდრალდა** (შდრ. ლშხ. **იბრალდა**) „მღეროდა“, **ლადრალდ** (შდრ. ლშხ. **ლადრალდ**) „სათამაშოდ“, **ლიქნალ** (შდრ. ლშხ. **ლიბრალ**) „ბანაობა“, **ლიდრალ** (შდრ. ლშხ. **ლიბრალ**) „სიმღერა“, **ქედქანი** „იბანავენს, **ნადუჟურალ** „ბიჭები“, **მოლნეჟეშ** (თუმცა პარალელურად უგრძელხმოვნო **მოლნეჟეშ** ფორმასაც იყენებს, შდრ. ლშხ. **მადენა**) „რაღაც“, **ჩ'ოგჯერჷან** (შდრ. ლშხ. **ჩ'ოგჯირჷან**) „დაგვეჯერებინა“,

გუმბორა (მდრ. ლშხ. **გუმბორა**) „გუმბორა“, **ოტორი** (მდრ. ლშხ. **ოტორი**) „დაუჯერეს“, **ხუმბორა**¹ (მდრ. ლშხ. **ხუმბორა**) „ვაგინებლით“ და ა. შ.

ე) ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ერთი მაგალითიც დავადასტურეთ ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ქართულიდან ნასესხებ ფორმაში, მაგ. **ჰეჟო** „ეჟო“ (მდრ. ბქ. **მანგა**), რაც ქვემოსვანური დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებისთვის ბუნებრივ ფორმას არ წარმოადგენს. სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილია, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ზემოსვანურ დიალექტებს, ხოლო ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებს თითქმის სულ არ ახასიათებს. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად, როგორც წესი, იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (ყდენტი 1949, 123-125). ეს მოვლენა ნასესხები მასალის ანალიზითაც დადასტურებულია (საღლიანი 2008, 196-211).

3. მორფოლოგია:

ა) საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა, სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში (თოფურია 2002, 176-177; ონიანი 1998, 147). ცნობილია ასევე როგორც სუბიექტური პირის ინკლუზივისა და ექსკლუზივის გამოხატველი პრეფიქსები, ისე ობიექტური პირის ინკლუზივისა და ექსკლუზივის გამოხატველი პრეფიქსებიც. ობიექტური პირის ინკლუზივისა (01) და ექსკლუზივის (0e) ორივე პრეფიქსი (**გუ-** — ხმოვნების წინ, **გუ-** (< **გუ-გ**) — თანხმოვნების წინ; **ნ-**, **ნგ-**) კარგადაა შემონახული ზემოსვანურში, ქვემოსვანურში კი მხოლოდ **გუ-** არის დაცული (თოფურია 1967, 15), მაგრამ, რადგანაც ინკლუზივი და ექსკლუზივი სუბიექტური აფიქსებით აქაც წარმოდგენილია და ეს მოვლენა ქვემოსვანურისთვის უცხო არ არის, აქედან გამომდინარე, მკვლევართა (აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, გეორგ დეეტერსი, კარპეზ დონდუა, თამაზ გამყრელიძე, ალექსანდრე ონიანი, ზურაბ სარჯველაძე, თეიმურაზ მეტრეველი) ერთი ნაწილის აზრით, ობიექტური პირის ფორმებში ინ-

¹ მართალია, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ საანალიზო ლექსემა სვანური ენის ყველა დიალექტისთვისაა მითითებული (მაგ., მდრ. (ბზ.) **ლიწრალ**, (ბქ.) **ლიწრალ**||**ლიწრალ**, (ლშხ.) **ლიწრალ**, **ლირშუნალ**, (ლნტ.) **ლიწერალ**), თუმცა თანამედროვე ლაშხურ ცოცხალ მეტყველებაში იგი ვერ დავადასტურეთ.

კლუზიგ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას ისტორიულად ლაშხურსა და ლენტეხურშიც უნდა ჰქონოდა ადგილი.

რა ვითარებაა ამ მხრივ კოდორულ სვანურში?

ქ. მარგიანმა-სუბარმა საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული საკითხი კოდორული დიალექტების მიხედვით და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ენგურის ხეობაში მცხოვრები სვანების მეტყველებისგან განსხვავებით, სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია როგორც ზმნაში, ისე ნაცვალსახელში, კოდორულ სვანთა მეტყველებაში საანალიზო კატეგორია შესუსტებული ჩანს. საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ჯერჯერობით ეს ეხება მხოლოდ ზმნას და მხოლოდ ობიექტური წყობის ინკლუზივს; ანომალიის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური ფორმის გუ- პრეფიქსი იკავებს სუბიექტის ინკლუზიური ფორმის ნ- პრეფიქსის ადგილს, პირიქით კი — არასოდეს (მსგავსად ძველი ქართულისა)“ (მარგიანი-სუბარი 2008, 13).

როდესაც იგი აღნიშნულ კატეგორიას იკვლევდა კოდორულ დიალექტებში, მაშინ მას ლაშხური მეტყველების ნიმუშებზე ხელი არ მიუწვდებოდა და, რასაკვირველია, დაკვირვებასაც ვერ მოახდენდა.

ჩვენს ხელთ არსებული ლაშხური მეტყველების ნიმუშების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ირმა კოჭბიანის მეტყველებაში არამცთუ შესუსტებულია აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია, არამედ, პირიქით, ბალსქვემოურის გავლენის შედეგად მის მეტყველებაში სწორედ ობიექტის ექსკლუზივის ნ-პრეფიქსიანი (ნ-ეყნდა „გყავდა“) ინტერფერენციული ფორმაც დაფიქსირდა ნაცვლად ლაშხური ინკლუზიური გუ-ეყნდა ფორმისა (შდრ. ბქ. ნ-ეყადა).

ა) კოდორელი ლაშხელის მეტყველებაში შეინიშნება სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების აღრევა. ჩვენი მთქმელი მრავლობით რიცხვში ხან ლაშხური დიალექტისათვის დამახასიათებელ -ელ სუფიქსს იყენებს, ხანაც ბალსქვემოურ -ოლს. საინტერესო სწორედ ის არის, რომ ამ უკანასკნელს ირმა კოჭბიანი ძალზე ხშირად გრძლად წარმოთქვამს, რაც, რასაკვირველია, განპირობებულია ლაშხურის გავლენით. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, ინტერფერენციის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგ.: არდადაგებ-ოლ-ჟი „არდადეგებებზე“ (შდრ. ლშხ. არდადეგ-ელ-ჟი|არდადაგებ-ელ-ჟი), აქცი-ოლ < *აქცია-ოლ (შდრ. ლშხ. აქცი-ელ) „აქციები“, ახალგაზრდ-ოლ < *ა-ხალ-გა-ზრდ-ა-ოლ „ახალგაზრდები“ (შდრ. ლშხ. ახალგაზრდ-ელ), მოძრაობ-ოლ < *მო-ძრა-ობ-ა-ოლ „მოძრაობები“ (შდრ. ლშხ. მოძრაობ-ელ), ანჩაბად-ოლ < *ანჩაბა-დ-ე-ოლ „ანჩაბადები“ (შდრ. ლშხ. ანჩაბად-ელ), მილიცი-ოლ-ს < *მილიცია-ოლ-ს „მილიციელებს“ (შდრ. ლშხ. მილიცე-ელ-ს), დუ-

ბინკ-რლ-ს „დუბინკებს“ (შდრ. ლშხ. დუბინკ-ელ-ს), მოშიმშილ-რლ-ს < *მო-შიმშილ-ე-რლ-ს „მოშიმშილეებს“ (შდრ. ლშხ. მოშიმშილ-ელ-ს), თუმცა მთქმელი იშვიათად, მაგრამ მაინც -ელ სუფიქსიან ფორმებსაც ხმარობს, მაგ. მოშიმშილ-ელ-ე „მოშიმშილეების“, სიტყუ-ელ-ს „სიტყუებს“, მოძრაობ-ელ „მოძრაობებს“ და ა. შ.; ე. ი. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსი ბალსქვემოურია, ხოლო სიგრძე ლაშხურისათვის დამახასიათებელი ოდენობა.

მთქმელი რამდენჯერმე ხმარობს საუბარში ინტერფერენცირებულ **ტუიბ-არ** „ლელები“ ფორმას (შდრ. ლშხ. **ტუიბრ-ალ||ტუიბ-ერ**). ბალსქვემოურად უნდა ეთქვა — **ტუიბ-არ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, ცხუმარში, ქალდანების საცხოვრებელი სოფლის სახელწოდება **ტუიბ-ერ**-ი.

შენიშნ.: ნაცვლად ისტორა-ელ „ისტორიები“ ფორმისა, იგი ხმარობს ინტერფერენციულ ისტორა-ალ¹, რომელიც ენგურისა და კოდორის ხეობის მეტყველებისთვის ბუნებრივი ფორმა ნამდვილად არ არის. ენგურის ხეობის ბალსქვემოურში, როგორც წესი, მრავლობით რიცხვში გამოიყენება ისტორი-ოლ. იგივეს თქმა შეიძლება **ბრუნუ-ალ** „ბრუნვები“ ფორმის შესახებაც, რომელიც, ჩვენი აზრით, ინტერფერენციულია (შდრ. ლშხ. **ბრუნუ-ელ** და ბქ. **ბრუნუ-ოლ**).

ბ) ინტერფერენციამ, როგორც ჩანს, გრამატიკის ყველა უბანზე იჩინა თავი და მათ შორის ნაცვალსახელებშიც. მაგალითად, ლაშხელი რესპოდენტი მისი დიალექტისათვის ბუნებრივი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის **ერაშალე**² „ვილაცას“ და ასევე ბალსქვემოური **ერაშალე**³ ნაცვლად საუბარში იყენებს ამ დიალექტთა შეჯვარების გზით მიღებულ **ერაშა**⁴. **ერაშა** ფორმა ბალსქვემოურისთვის, მართალია, უცხო არ არის, თუმცა სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, იგი „ვილაცას“ კი არ ნიშნავს, არამედ აქვს „ვინც“ მნიშვნელობა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის **მიშგუი**⁵ ნაცვლად უმეტესად ხმარობს ბალსქვემოურ **მიშგუ**⁶.

რაც შეეხება ლაშხურ მიმართებით ნაცვალსახელს **მარე**⁷ „ვინც“, მას ჩვენი რესპოდენტი აუსლაუტში სიგრძის გარეშე წარმოთქვამს. მაგ.: **«ეჯ ბოფშარ მარი ლუშნუდ რაგდის, გუნ უჭირთ ლითური** — ის ბავშვები ვინც სვანურად ლაპარაკობენ, ძალიან უჭირთ სწავლა.

იგი არასწორად იყენებს ბალსქვემოურ უარყოფით ნაწილაკს **დემ**⁸ „არც, ვერც“. მაგ.: **კლასთე ლიგდნლდ ქართულ დემა ხონლდა** — სკოლაში მოსვლამდე ქართული არ იცოდა. მას კონტექსტიდან გამომდინარე უნდა ეთქვა ან თავისი მშობლიური დიალექტისთვის ბუნებრივი უარყოფითი ნაცვალსახელი **დენა** „არ, არა“ ან ბალსქვემოური **დემე||დემეგ** „არ, არა“. საანალიზო

უარყოფითი ნაწილაკი **დე** ლაშხურში არ დასტურდება, რაც შეეხება სვანურის სხვა დიალექტებს, იქ ეს ნაწილაკი პროდუქტიულია.

ასევე ლაშხურ-ბალსქვემოურ დიალექტთა შეჯვარება-შერევის საფუძველი უნდა იყოს ირმა კოჭბიანის მიერ გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელი — **ნომგუე** (შდრ. ლშხ. **ნოსმა** და ბქ. **ნომგუე** 'შ').

გ) სვანური ენის ორი სამეტყველო დიალექტის — ბალსქვემოურისა და ლაშხურის — ურთიერთშერევის (**ინტერფერენციის**) შედეგად მიღებული ფორმებია ისეთი არსებითი სახელები, როგორიცაა: **უაჰ** (შდრ. ლშხ. **უაფ**) „ზვავი“, **უაჰდ** (შდრ. ლშხ. **უაფდ**) „ზვავმა“, **ჟარალდ** (შდრ. ლშხ. შდრ. **ჟარალდ**) „ჯარებმაც“, **აფხნეგარ** (შდრ. ლშხ. **აფხნიკარ**) „ამხანაგები“, **ღერმათ** (ასეთ კონტექსტში: **ისეჟ ღერმათ** (შდრ. ლშხ. **ღერბეთ**) **გუიმუელის** — ისევ ღმერთი გვიშველის).

დ) აწმყო დროის ზმნის ფუძე სვანურში, როგორც ცნობილია, დასრულებულია **-ე**, **-ი**, **-ა** ან **ნულ**-სუფიქსით, მაგ., შდრ. ლშხ. **ხუტ-ე** „ჟღეტს, წყვეტს“, **აშხ-ი** „წვავს“, **იღრალ** „მღერის“ (თოფურია 1967, 71). ჩვენი რესპოდენტის მეტყველებაში კი შეინიშნება ისეთ ფორმათა ხმარება, როგორიცაა: **ხუამშაფ** „გმუშაობ“, ნაცვლად **ხუამშაფე** ან **ხუამშაფე** ფორმისა და **ხეჭვლელ** „უყვირის“, ნაცვლად **ხეჭვლდე** ფორმისა (შდრ. ბქ. **ხეჭვლელ**||**ხეჭვლდე**); **ხუეჭვლელ**||**ხუეჭვლელ** „გუყვირი“, ნაცვლად **ხუეჭვლდე** ფორმისა (შდრ. ბქ. **ხუეჭვლელ**||**ხუეჭვლდე**). ფაქტია, რომ სამივე საანალიზო ლექსემა ინტერფერენციულია.

ე) ირმა კოჭბიანის მეტყველებაში ხშირია ისეთი ინტერფერენციული ნამყოუსრულის (**resp.** უწყვეტლის) I პირის ფორმების გამოყენება, როგორიცაა: **რუაგდ-ის** (შდრ. ლშხ. **გარგლ-ის**) „ვლაპარაკობდი“, **ხუამვერალუნინ** (შდრ. ლშხ. **ხუამვერალუნის**) „ვაგებინებდი“, **ხოსდის** (შდრ. ლშხ. **ხოსგდის**) „ვუყურებდი“. საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნამყოუსრული აწმყოსგან იწარმოება და აქ სუფიქსთა სიმრავლის გარდა საქმე გვაქვს დიალექტების მიხედვით სხვადასხვაგვარ წარმოებასთან... აწმყოს ფორმაში ხმარებული პირის აფიქსები, მაქცევრები, ვნებითის ნიშნები და წინდებულები აქ უცვლელად გვხვდება, სხვაობა კი ბოლოსართებში იჩენს თავს (თოფურია 1967, 73). ლაშხურში **-ე**, **-ი** და ხშირად **ნულ**-სუფიქსიან ზმნებს ნამყოუსრულში I და II პირში **-ის** სუფიქსი დაერთვის, სწორედ ამ სუფიქსს ურთავს კოდორელი ლაშხელი ბალსქვემოური ნამყოუსრულის ფორმებს, რაც უდავოდ ლაშხურ-ბალსქვემოურ ინტერფერენციაზე მიუთითებს.

ირმა კოჭბიანის მეტყველებაში შეგვხვდა ნამყოფსრულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებიც — **ხატყცვდახ** (შდრ. ლშხ. **ხასცვდახ** და ბქ. **ხატყციდახ**) „სცემდნენ“ და **იჩმენოლხ** „შვრებოდნენ, იქცეოდნენ“ (შდრ. ლშხ. **იჩმედახ** და ბქ. **იჩმუდახ**), რომლებიც ინტერფერენციის შედეგად მიღებული ჩანს.

შეგვხვდა უწყვეტლის ერთობ უჩვეულო ფორმა **თჟერან** „ვჩანდი“ (შდრ. ლშხ. **თერონხჟას** და ბქ. **თჟერანდახ||თერონდახ**), რომელიც შესაძლოა უფრო ძველი ფორმაც აღმოჩნდეს, რადგანაც ბალსქვემოური დიალექტისთვის დამახასიათებელ უწყვეტლის ფორმებს (ფუძეში აბლაუტიან თუ **-ნ**, **-გნ**, **-ონ** სუფიქსიანებს), რომლებიც **-დახ**, **-და** სუფიქსითაც არის გაფორმებული, მეცნიერთა უმრავლესობა მეორეულ მოვლენად მიიჩნევს. როგორც ჩანს, არქაიზმთან გვაქვს საქმე.

ვ) კოდორის ხეობაში მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში, რომელიც, ძირითადად, ინტერფერენციულობით ხასიათდება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ბალსქვემოური თურმეობითის ფორმების გამოყენება. პრევერბის **ა-**, რომელიც ბალსქვემოურში **ო'**დ არის წარმოდგენილი, ლაშხური დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებაშიც იჩენს თავს, რის გამოც ლაშხური **ჩჟალბგრგელიხ** „უჭიდავიათ“, **ალმაზინ** „მიდიოდა თურმე, *მინავალა“, **ალზიგელი** „დასახლებულა“ ფორმების ნაცვლად ვაფიქსირებთ გრძელი ხმოვნებით გაფორმებულ თურმეობითის ბალსქვემოურ ფორმებს: **ჩ'ოლბგრგელიხ**, **ოლმაზინ**, **ოლზიგელი** და ა. შ. მსგავსი სიტუაცია კოდორელი ბალსქვემოელების მეტყველებაში დააფიქსირა ქ. მარგიანმა-სუბარმა (იხ. მისი „თურმეობითთა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში“, კავკასიოლოგთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2008, გვ. 272-275).

ზ) ინტერფერენციულია აგრეთვე მთქმელის მიერ ნახმარი ისეთი ფუძემონაცვლე რელატიურ-გარდაუვალი ზმნა, როგორიცაა (I კავშირებითის ფორმა) **ხეყენეს** „ჰყავდეს“; ბალსქვემოურში იქნება **ხეყეს||ხეყადდეს**, ხოლო ლაშხურში — **ხეყედეს**.

თ) ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესო ფორმად მივიჩნიეთ მყოფადის მწკრივის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა — **ჟ'ენტოონენხ** „ისწავლიან“, რამდენადაც არც ენგურის ხეობის ბალსქვემოურში (შდრ. **ჟ'ენტჟერენხ||ჟ'ენტონისგხ**) და არც ცხენისწყლის ხეობის ლაშხურში (შდრ. **ჟ'ენტოონენხ**) ამგვარი ფორმა არ დასტურდება. ასევე ინტერფერენციულია მყოფადის მწკრივის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა

— **ქ'ედქანი** „იბანავებს“ (შდრ. ლშხ. **ჩუედბარი** და ბქ. უმლაუტიზებული **ქ'ედქანი**).

ი) ირმა კოჭბიანის მეტყველებაში დაფიქსირდა თანამედროვე ბალსქვემოური დიალექტისთვის არაბუნებრივი (**ინტერფერენციურული**) წყვეტილის ფორმა: **ოტცხირედ** „გავიგეთ“ (შდრ. დღევანდელ ბალსქვემოურში გავრცელებული **ოცხირედ** და ლშხ. **ოხმეკრედ**). მიუხედავად იმისა, რომ ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ **ლიცხრე** ზმნასთან ლაშხური დიალექტიცაა მითითებული, ლაშხელებთან გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ისინი გაგებისა და გარკვევის მნიშვნელობით ხმარობენ არა ლექსიკონში მითითებულ **ლიცხრე** ფორმას, არამედ **ლიმკერი**'ს.

4. ს ი ნ ტ ა ქ ს ი:

ქვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში გათხოვილი ლაშხელი ირმა კოჭბიანის მეტყველებაში სინტაქსის საკითხებში, მართალია, განსაკუთრებული თავისებურებები არ შეიმჩნევა, თუმცა ინტერფერენციული მოვლენები აქაც იჩენს თავს.

ა) როგორც ცნობილია, როდესაც სვანურში მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, ამ შემთხვევაში მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -შ იკვეცება ყველა დიალექტში, გარდა ბალსქვემოურისა. ირმა კოჭბიანის მეტყველებაში თავს იჩენს როგორც ბალსქვემოურისებური, ასევე თავისი დიალექტისათვის დამახასიათებელი ვითარება. მაგ.: **გამრაჟლებიშ მაგიერ** (შდრ. ლშხ. **გამრაჟლებან მაგიერ**) „გამრავლების მაგიერ“, **გჟარიშ ხალხ** (შდრ. ლშხ. **გჟარი ხალხ**) „გვარის ხალხი“, **დალიშ ტუიბრა** (შდრ. ლშხ. **დალი ტუიბრა**) „დალის ტბა“, **დალიშ ხეობათე** (შდრ. ლშხ. **დალი ხეობათე**) „დალის ხეობაში“, **თაჟრობანშ მომხრე** (შდრ. ლშხ. **თავრობან მომხრე**) „მთავრობის მომხრე“, **ლენტეხიშ რაფონ** (შდრ. ლშხ. **ლენტხან რაფონ**) „ლენტეხის რაიონი“, **მამიკოშ მამიდა** (შდრ. ლშხ. **მამიკო მამიდა**) „მამიკოს მამიდა“, **მინდორიშ კარჟალ** (შდრ. ლშხ. **მინდორი კარჟალ**) „მინდორის კარვები“, **მიტკალიშ ფერ** (შდრ. ლშხ. **მიტკალი ფერ**) „მიტკლის ფერი“, **მიშგუმუეშ მამიდა** (შდრ. ლშხ. **მიშგუმი მუე მამიდა**) „მამაჩემის მამიდა“, **რუსთაჟელიშ მხარე** (შდრ. ლშხ. **რუსთაჟელი მხარე**) „რუსთაველის მხარე“, **სტეკლოშჟე უიტრინწლ** (შდრ. ლშხ. **სტეკლო უიტრინწლ**) „მუშის თარობი“, **ქუჩუკიშ გეზალ** (შდრ. ლშხ. **ქუჩუკი გეზალ**) „ქუჩუკის შვილი“, **წერეთელიშ შეძახილარ** (შდრ. ლშხ. **წერეთელი შეძახილარ**) „წერეთლის შეძახილები“, მაგრამ: **მეგმი ჯჟარ** „ხის ჯვარი“, **რუსთაჟელი მხარეხენ** „რუსთაველის მხრიდან“, **მილიციან დამსახურება** „მილიციის დამსახურება“, **ინსტი-**

ტუტი ყორალხენ „ინსტიტუტის კარებიდან“, **კომენდატი სანო** „კომენდანტის საათი“ და ა. შ.

ბ) მეტად საინტერესოდ გვესახება ირმა კოჭბიანის მიერ რამდენჯერმე გამოყენებული დროის ზმნისართი **ეჩხო** „შემდეგ“, რომელიც სვანური ენის ვერც ერთ დიალექტში ვერ დავადასტურეთ. ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ მის შესატყვისად გვხვდება შემდეგი ფორმები: **ეჩენდონ**, **ეჩუნდონ** (ბზ., ლზხ.)¹, **ეჩუნდო**, **ეჩუნდუე**, **ეჩქანდუე** | **ეჩქანდუე** (ბქ.), **ეჩანდო** (ლნტ.) „შემდეგ, იმის შემდეგ“. ვფიქრობთ, ეს არის მთქმელის მიერ შექმნილი, ლაშხურ-კოდორულ დიალექტთა შერევა-შეჯვარების შედეგად მიღებული, ინტერფერენციული ფორმა, რომელიც, მისი აზრით, **ეჩენდონ**, **ეჩუნდონ** ფორმათა შემოკლებული ვარიანტია.

გ) ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ხშირია ბალსქვემოური მეტყველებისთვის ბუნებრივი **ისგა||სგა** „ში“ თანდებულიანი (ადგილის გარემოების ფუნქციით) ფორმების გამოყენების შემთხვევები, მაგ.: **ამქსგა** „ამაში“, **ეჩმსგა** „იმაში“, **უნიჟერსიტეტისგა** „უნივერსიტეტში“, **კლასისგა** „კლასში“, **სოფელისგა** „სოფელში“, **გუარისგა** „გვარში“, **მგდნმსგა** „იმაშიც“, **ძირისგა** „ძირში“, **ეკლესიანსგა** „ეკლესიაში“ და ა. შ., ნაცვლად ლაშხური: **ამქმსა**, **ეჩქმსა**, **უნიჟერსიტეტისა**, **კლასისა**, **სოფელისა**, **გუარისა**, **მგდნმსა**, **ძირისა**, **ეკლესიანსა**. მთქმელი თითქმის ყველგან ბალსქვემოურ **ისგა||სგა** თანდებულებს ხმარობს და არა მისი დიალექტისთვის უფრო ბუნებრივ **გ** თანხმობანდაკარგულ **ისა**ს.

ზემოჩამოთვლილ **ისგა||სგა** „ში“ თანდებულიან ფორმათაგან ზოგი ინტერფერენციულია, ესენია: **ამქსგა**, **გუარისგა**, **მგდნმსგა**, **ეკლესიანსგა**.

ამრიგად:

1. კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში, მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის, კოდორელი ბალსქვემოელების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჭბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორცაა ლაშხური და ბალსქვემოური. მისმა ათი წლის განმავლობაში ბალსქვემოელთა გარემოცვაში თანაცხოვრებამ, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მეტყვე-

¹ ლაშხელი ნატალია ონიანის მეტყველებაში უგრძელხმოვნო (**ეჩანდო**) ლექსემაც დავაფიქსირეთ, თუმცა ირმა კოჭბიანის მიერ გამოყენებული **ეჩხო** ფორმა მისთვის სრულიად უცხო აღმოჩნდა.

ლებაზე. ეს გავლენა კი, ჩვენი დაკვირვებით, აისახა როგორც ლექსიკაზე, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსზეც.

შენიშვნა: უნდა ითქვას, რომ ეს არის პირველი ცდა ლაშხურ-კოდორული (**resp.** ბალსქვემოური) ინტერფერენციის შესწავლისა, ვინაიდან აქამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში მცხოვრები სხვა ლაშხელი (ან თუნდაც ლენტეხელი) მთქმელის მეტყველების ნიმუშებზე.

2. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსიკამ, რომელზე დაკვირვებამაც ნათლად დაგვანახა, რომ თავის დროზე ეცერიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულ გუჯეჯიანთა ლაშხელი რძლის ირმა კოჭბიანის მეტყველებაში მისთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ძალიან ხშირად ისმის ბალსქვემოური ლექსემებიც, რომლებიც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან.

3. ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში, ჩვენდა გასაკვირად, ერთი წინადადებაც კი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ბალსქვემოურის გავლენას არ განიცდიდეს. თითქმის ყველა წინადადება ინტერფერენციული აღმოჩნდა.

4. არაერთი საინტერესო სპეციფიკური ფონოლოგიური თუ მორფო-სინტაქსური მოვლენა დადასტურდა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში.

5. ირმა კოჭბიანის თითქმის ნახევარსაათიან დიალოგში პალატალური ა ხმოვნის წარმოთქმის ერთადერთი შემთხვევაც დავაფიქსირეთ: **ჟაჟ, დია!** „ვაი, დედა!“ (შდრ. ლშხ. **ჟაჟ, დედე!**), რაც ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მისი საარტიკულაციო ბაზისიდან გამომდინარე.

6. რაც შეეხება ისეთ რთულ ფონოლოგიურ მოვლენას, როგორიცაა ხმოვანთა სიგრძე, ჩვენი რესპოდენტის საარტიკულაციო ბაზისისთვის სრულიად ბუნებრივი და უფრო მარტივია, ამიტომაც იგი ხშირად უმართებულოდაც ხმარობს გრძელ ხმოვნებს, ამბობს იქ, სადაც სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში არ ფიქსირდება და საკმაოდ ხშირად კოდორულ ბალსქვემოურ ლექსიკურ ერთეულებშიც აგრძელებს ხმოვნებს, რაც მშობლიური მეტყველების გავლენის შედეგია. თუმცა ხშირ შემთხვევაში იქ უგულებელყოფს, სადაც ის საჭიროა. რალა თქმა უნდა, ესეც ბალსქვემოურის გავლენას უნდა მიეწეროს.

7. მორფოლოგიიდან განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ექსკლუზივის **ნ**-პრეფიქსიანი (**ნ**-ეყელდა „გვყავდა“) ფორმის გამოყენების შემთხვევა, რაც ბალსქვემოურთან შერევა-შეჯვარების ნიადაგზე უნდა აიხსნას.

8. კოდორელი ლაშხელის მეტყველებაში შევნიშნეთ სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების აღრევა. მთქმელი მრავლობით რი-

ცხვში ხან ლაშხური დიალექტისთვის დამახასიათებელ -**წლ** სუფიქსს იყენებს, ხანაც ბალსქვემოურ -**ოლ**'ს.

9. ინტერფერენციამ, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, გრამატიკის ყველა უბანზე იჩინა თავი და მათ შორის ნაცვალსახელებშიც.

10. ირმა კოჭბიანის მეტყველებაში დადასტურდა არაერთი ისეთი ინტერფერენციული ზმნური ფორმა, რომელიც თანამედროვე ბალსქვემოური თუ ლაშხური დიალექტისთვის, მართალია, არაბუნებრივი აღმოჩნდა, თუმცა საფიქრებელია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში შესაძლოა არქაულ ფორმებთანაც გვეკონდეს საქმე.

11. რა თქმა უნდა, ცვლილებები შეინიშნება სინტაქსის დარგშიც.

გვიქრობთ, ლაშხურ-კოდორული ინტერფერენციის ერთ კერძო შემთხვევაზე დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო შედეგები მოგვცა როგორც ლექსიკური, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა I, ზმნა, თბ., 1967.

მარგიანი-სუბარი 2008 — ქ. მარგიანი-სუბარი, თურმეობითა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში, კავკასილოლოგთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2008.

მარგიანი-სუბარი 2008 — ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის მაცნე, თბ., 2008.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, თბ., 2008.

საღლიანი 2001 — მ. საღლიანი, ელიზია სვანურ ენაში, კავკასიის მაცნე, თბ., 2001.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში (სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით), იკე, XXXVI, თბ., 2008.

ქალდანი 1953 — მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, ტ. V, თბ., 1953.

ჩანტლაძე 2007 — ი. ჩანტლაძე, ხმოვანთა სიგრძე როგორც ინტერფერენციული მოვლენა კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში გადასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბ., 2007.

Medea Sagliani, Elisabed Gazdeliani

**Towards One Case of Interference of the Lashkhian
and Low-Bal Dialects of Svan in the Kodori
(resp. Dali) Gorge**

S u m m a r y

During the working period on the Kodorian texts, our attention was called by the speech peculiarities of 40 year old Lashkhian Irma Kotchbiani – living in the village Gvandra, a sister-in-law of the Kodorian Low-Bal Gujejians. These peculiarities gave us possibility to manifest the interferensive phenomena between such distant dialects like Lashkhian and Low-Bal. Her living in surrounding of Low-Bals for 10 years influenced on her speech. According to our observation, this influence was reflected in vocabulary as well as in phonetics, morphology, syntax.

It can be noted, that it is the first attempt of researching the Lashkhian-Kodorian (resp. Low-Bal) interference, as up today we could not obtain the speech models of other Lashkhian (or Lentekhian) narrators living in the Kodori (resp. Dali) gorge. We believe, that the observation on one case of Lashkhian-Kodorian interference gave us very noteworthy outcomes from the viewpoint of vocabulary as well as phonetics, morphology, syntax.

ნარგიზა სურმავა

სამხრულ-ქართული მეტყველების ლექსიკიდან:

ხოშ ნაწილაკი

თანამედროვე ქართულში **ხოშ** კითხვითი ნაწილაკია, რომლის დანიშნულებაა, გამოხატოს: ა) შეკითხვის დროს დადასტურება (ფუნქციურად იგივეა, რაც „აკი“); ბ) უარყოფით ნაწილაკებთან (არ, ვერ, არავინ) — დაეჭვება (ხოშ არ მოსულა?); გ) უარყოფით კონსტრუქციებში — თხოვნა (ხოშ ვერ მეტყვი?).

შენიშნულია, რომ თანამედროვე ქართულში გამოყენების სიხშირით **ხოშ** ნაწილაკი კითხვით ნაწილაკებს შორის პირველ ადგილზე დგას (შ. აფრილონიძე 1987, გვ. 83). საინტერესოა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლების ენაში ეს ნაწილაკი არ გვხვდება. არ გვაქვს იგი „ვეფხისტყაოსანშიც“. ამის დასტურია სიმფონია-ლექსიკონები (ი. იმნაიშვილი, 1986; ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1973).

მაგრამ შეუძლებელი არაა, რომ ის არსებულიყო საუბრულ მეტყველებაში. ამ მხრივ, საყურადღებოდ გვეჩვენება ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: „**ხოშ** ზმნისზედა, მდაბიურად მნიშვნელი წართქმისა დასტურად; *მე ხომ ვნახე ესე და ეს, ведь, т. е. ведай, знаешь.* // უკუთქმითთა ზმნათა თანა ჰნიშნავს კითხვასა ნაცულად ა? ხომ არ გინახავს? ხომ არ მოსულა? ли?“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1861). ამ განმარტებიდან საინტერესოა ორი მომენტი: ერთი, რომ ლექსიკონის შემდგენელი ხომ ნაწილაკს მდაბიურ მეტყველებას განაკუთვნებს და მეორე, რომ ძველ ქართულში ხომ ნაწილაკის ფუნქციურ ექვივალენტად **-ა** კითხვით ნაწილაკს ასახელებს.

ა. შანიძე ხომ ნაწილაკს წარმომავლობის მიხედვით უკავშირებს ჰო/ხო მიგებით დადასტურებით ნაწილაკს: ხომ<ჰო-მ, ხო<ჰო (ა. შანიძე, 1973, გვ. 609). იგი არაფერს ამბობს **-მ** (ჰო-მ) ელემენტის შესახებ. ისლა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, **-მ -მე** ნაწილაკის ნაშთია, რომელიც ძველ ქართულში ხშირად ჩნდება კითხვით წინადადებებში, რის გამოც კითხვით ნაწილაკად არის ცნობილი. კითხვით წინადადებაში მე ნაწილაკი ხშირად დაერთოდა კავშირს, ნაწილაკს, გვხვდებოდა კომბინაციაში კითხვით **-ა** ნა-

წილაკთან ერთადაც (-მეა) (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 160). მე ნაწილაკი გვევლინება სხვა ნაწილაკების შემადგენლადაც: -მცა, არამე (არამეს შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1946, გვ. 283). მოსალოდნელია, რომ ნაწილაკები — არამე და ხომ ერთი მოდელით იყოს ნაწარმოები: არა+მე, ჰო+მე > ჰომ > ხომ .

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში არ ჩანს არც მტყიცებითი **ჰო** ნაწილაკი. იქ ამ ფუნქციას **ჰე** ასრულებს. (იყავნ სიტყუად თქუენი ჰე — ჰე და არა — არა. მათეს სახარება 5. 37). არის ჰე ნაწილაკისაგან ნაწარმოები სიტყვა **ჰეობა** „დადასტურება“ (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ.578). სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ჰობა** **ჰე**-ს თქმა“. გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს ჰე დღემდე შემონახული აჭარულსა და სხვა სამხრულ კილოებში ნაწილაკის ჰედა/ჰედა-ს სახით, რომელიც იხმარება, როგორც სიტყვის მასალა, შეწყვეტილი თხრობის გაგრძელებისას, შდრ. „ჰოდა“. შესაძლებელია შეგვხვდეს და ნაწილაკის გარეშეც: ჰედა/ედა. საინტერესოა, რომ მესხურ კილოში ჰე ნაწილაკი ამჟამადაც გამოიყენება მიგებითი დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით (ინფორმაცია ამის შესახებ მოგვაწოდა მარინე ბერიძემ), იგი გვაქვს ინგილოურშიც.

ჰო/ხო ნაწილაკს ქართული წარმოშობისად თვლის ჰ. ფოგტი (ჰ. ფოგტი, 1961, გვ. 13).

ამრიგად, საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ: **ხომ ნაწილაკი ქართული ენობრივი წარმონაქმნია; ნაწარმოებია ჰობა დადასტურებით ნაწილაკზე -მე-ს დართვით; სალიტერატურო ენაში შემოსულია საუბრული მეტყველებიდან.**

დიალექტებში შესაძლებელია შეგვხვდეს ხომ ნაწილაკის ვარიანტები: **ხო**, **ხომა** (აღმოსავლურ-ქართულ კილოებში: ხომა ხედავთ!), **ხომე** (ზოგ დასავლურ-ქართულ დიალექტში, მაგ., იმერულსა და ლეჩხუმურში იხმარება ჩაკითხვის დროს: წახველი ხომე?); **ხუარჩვარ** (<ხომ არ. დასავლურსა და სამხრეთ დასავლურ კილოებში: მესხურსა და ჯავახურში, აჭარულში...). (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, მორფემების ლექსიკონი, 1988, გვ.: 473-475).

აჭარულში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, საკმაოდ ხშირად ხომ ნაწილაკის **ო** ხმოვანი მომდევნო ლაბიალური სონანტის გავლენით უ-ში გადადის და ვიღებთ ხუმ ფონეტიკურ ნაირსახეობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია სიტყვათგანლაგება ხომ კითხვითი ნაწილაკის შემცველი წინადადებისა სალიტერატურო ქართულში (შ. აფრიდონიძე, 1987). ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ მომენტზე: ა) ხომ ნაწილაკს წინადადებაში შეიძლება ეჭიროს თვკიდური, შუა ან ბოლოკიდური პოზიცია. ბ) ზმნასთან სინტაგმაში შემავალი ნაწილაკი მუდამ პრეპოზიციულია (კონტაქტურად ან დისტანციურ-

რად) ზმნა-შემასმენლის მიმართ. გ) ბოლოკიდურა ან შემასმენლის მომდევნო პოზიციაში მდგომი ხომ ნაწილაკი მთელ წინადადებას განეკუთვნება და მისგან სასვენი ნიშნითაც გამოიყოფა. (ჩვენი აზრით, ეს ის პოზიციაა, როცა აღნიშნული კითხვითი ნაწილაკი ფუნქციურად ძლიერ უახლოვდება შესაბამის მიგებით დადასტურებით ნაწილას. ნ. ს.). დ) ხომ ნაწილაკი უშუალოდ უძღვის წინ უარყოფით ნაწილაკებს, უარყოფით ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებს, რომლებიც თავის მხრივ უშუალოდ წინ უძღვიან შემასმენლებს. მაგრამ შეინიშნება ისეთი შემთხვევები, როცა ხომ ნაწილას თავის ადგილას არ ათავსებენ. დარღვევა წმინდა სტილისტიკური ხასიათისაა და მას მახვილის არასწორი გადანაცვლება იწვევს. (იქვე, გვ.: 83-84).

შეიძლება ითქვას, რომ სამხრული მეტყველება ხომ ნაწილაკის გამოყენებისას სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით რაიმე არსებით თავისებურებას არ ავლენს, გარდა იმისა, რომ დიალექტურ მეტყველებაში სჭარბობს შემთხვევები, როცა ხომ ნაწილაკი თავის „კუთვნილ“ ადგილას არ დგას. მაგალითად: „ჭამა ხომ სირცხვილი არაა, გო!“

აჭარულში, ნიგალის, იმერხევისა და მაჭახლის მეტყველებაში ხომ/ხუმ ვარიანტების პარალელურად შესაძლოა შეგვხვდეს **ხომ** ფორმა. რაკი ფონეტიკური ცვლა ხომ<ხომ ქართულ ნიადაგზე შეუძლებლად ჩავთვალეთ, იმთავითვე დავუშვით, რომ საქმე გვაქვს ნასესხობასთან, თანაც ისეთ ნასესხობასთან, რომელიც ბგერობრივ ძლიერ ჰგავს შესაბამის ქართულ სიტყვას.

გამოყენების თვალსაზრისით ხომ არაფრით განსხვავდება ხომ ნაწილაკისაგან. ხომ-ის მსგავსად იგი შეიძლება შეგვხვდეს წინადადებაში თავკიდურ, შუა და ბოლოკიდურ პოზიციებში, შედიოდეს ზმნასთან, მათ შორის ზმნის უარყოფით ფორმასთან, სინტაგმატურ კავშირში ან მიემართებოდეს მთლიანად წინადადებას.

ვიდრე საამისო ნიმუშებს დავასახელებდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ აჭარულ კილოში ამჟამად **ხომ** ფორმა შედარებით იშვიათია. შეიძლება შეგვხვდეს უპირატესად უფროსი თობის მეტყველებაში ან იმ აჭარულთა მეტყველებაში, რომელთაც თურქული დიალექტური მეტყველება დღემდე შემოუნახავთ. ასეთი ოჯახები შეიძლება შეგვხვდეს ხულოს რაიონში შემავალ სოფლებში: დანისპარაული, ბაკო, თხილვანა. მაგალითად, გასულ წელს დავადასტურეთ დანისპარაულელი ბილინგვი ქალის - გულიკო მიქელაძე-შავაძის მეტყველებაში, რომელმაც აგვიხსნა, რომ ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა თურქულშიც (ანუ იმ დიალექტში, რომელსაც იგი ფლობს) აქვსო. ქვემოთ მოტანილი ნიმუშები აჭარული და აჭარის ფარგლებში შემავალი მაჭახლური და კირნათ-მარადიდული მეტყველებისა ჩაწერილია ძირითადად გასული საუკუნის 50-იან წლებში მ. ცინცაძისა და შ. ნაჟარაძის

მიერ. რაც შეეხება სამხრული მეტყველების დანარჩენ უბნებს — იმერხევს, თურქეთის მაჭახელსა და ნიგალს -**ხოშ** ნაწილაკი დღესაც ჩვეულებრივად იხმარება **ხომ**-ის პარალელურად.

ნიმუშები:

„ხოშ გითხარი?“ (მაჭახ. სოფ. ზედა ჩხუტუნეთი);

„იმ კაცმა ხომ არ უთხრა, რომ ამულაჲ ფერზე გაქ ილდიზიო!“ (მ. ცინცაძე, 1998, გვ. 317);

„ეს ჰქვია არალი, მართლა გადამხთა, თქვენ არ დე?ჯერფთ ხომ?“ (იქვე, გვ. 320);

„მოხარშილი იჭმება, ისე ხომ არა?“ (იქვე, გვ. 320);

„რას მღერობენ გეიგანა, თვარა ისე არაფელი არალი ხომ!“ (იქვე, გვ. 324);

„ამ თუთუნებმა, ამნებმა, გახმება-და! აგზე წვიმა არ მოვა ხომ?“ (იქვე, 325)

„ქაზიმაღს გოგო ხომ არ ხარ?“ (იქვე, გვ. 325);

„ფიცარი ხომ არ ვახევიფ?“ (მ. ცინცაძე, ხელნაწერი მასალები, მაჭახ. სოფ. ქედქედი);

„პიღამ მობძანდით თქვენ, ხულიღამ ხომ არ ჩამობძანდით?“ (შ. ნიჟარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ხულო, გვ. 396);

„ბალანამ მეითხუა და ვარ ხომ ვერ ვეტყვოდი? ხომ ვერ გავაწყენდი?“ (ჩვენი მასალა, სოფ. დანისპარაული);

„ხოშ მოგიტანე?“ (ჩვენი მასალა, სოფ. დანისპარაული);

„მე ხომ კაცი არ ვარ, რატონა შეგცხვეს?“ (მ. ფაღავა, იმერხევი, სოფ. ბაზგირეთი);

„შარმან ხომ არ ჩიმიხმა ყანა?“ (მ. ფაღავა, იმერხევი, სოფ. ხევწოული);

„ვიცოდე, ვიტყოდე. ხომ ფული არ მინდა, დაგაწერიებდი, ცოდვა ხომ არ არი, მადლია?“ (იქვე, იმერხევი, სოფ. ვირეკანი);

„მატლი შენზე დიდი ხომ არ არი, გეაროს — წევდეს“ (იქვე, იმერხევი, უსტამისი).

ამრიგად უეჭველია, რომ **ხოშ** თურქულის გზით დამკვიდრებული ნა-სესხობაა, იგი თურქული და ქართული ენების ინტერფერენციული ურთი-ერთგავლენის შედეგია, დაკავშირებულია ბილინგვიზმსა და ბილინგვთა მეტყველებაში კოდების (უფრო ზუსტად, სუბკოდების შერევის პროცეს-თან). ცნობილია, რომ იმ ბილინგვთა მეტყველებაში, რომლებიც კარგად ფლობენ ორსავე ენას თუ ამ ენათა დიალექტურ ქვესისტემას, ანუ ენობრივ კოდსა თუ სუბკოდს, ავტომატურად ხდება ერთი კოდიდან (სუბკოდიდან) მეორეზე გადაართვა. რაც გამოიხატება იმაში, რომ ბილინგვი ერთ ენაზე საუბრისას ჩაურთავს მეორე ენის ფრაგმენტებს ფრაზოლოგიზმების, მო-

დალური სიტყვების, შორისდებულების, ნაწილაკების სახით. სესხებას ადვილად ემორჩილება ფუნქციონალური ლექსიკა, ფორმაუცვლელი სიტყვები, მათ შორის ნაწილაკები. სამხრულ მეტყველებაში ამ ტიპის ნასესხები ლექსიკა საკმაოდ მოიპოვება: ჰემ, მეგერ, მეგემ, გერჩეჟ, ამა, იშტე, გოიამ, აჯაფ... და მისთ.

ახლა ორიოდ სიტყვით თურქული **hoş** ლექსემის შესახებ. იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა. სხვათა შორის, გვხვდება სასაუბრო ქართულშიც, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეული) ვკითხულობთ: „**ხოში** (სპარ. ხოში „სიხარული“, „სიამოვნება“) ვულგ. სურვილი, ნდობა, ყინი“. აღსანიშნავია, რომ აჭარულში ამგვარი, ასე ვთქვათ, უარყოფითი გამოყენება ამ სიტყვას არ აქვს. მაგრამ გვხვდება ფრაზეოლოგიურ ნასესხობაში — ხომ გელდუნ (მისალმების ფორმულა) (შ. ნიჟარაძე, 1971, გვ. 439).

თურქული სალიტ. ენის ლექსიკონების მიხედვით, (Магазаник Д. А., 1945. Турецко-русский словарь, 1977. ლ. ჩლაიძე, 2001; ო. მემიში, 1999) **hoş** სიტყვა აღნიშნავს „სასიამოვნო, მიმზიდველი, კარგი“, გამოიყენება ზედსართავისა და ზმნისართის ფუნქციით. აქვს ნაწილაკის თუ შორისდებულის ფუნქციაც, ნიშნავს: „კარგი, ერთი!, კეთილი! დაე! მაგ., **hoş gelme de olur ya!** კარგი ერთი, შეიძლება სულაც არ მოვიდეს!“ (ლ. ჩლაიძე, 2001).

აღნიშნულ ლექსიკონებში არ ჩანს, რომ **hoş**-ი ხომ ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისი იყოს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაწილაკის ადეკვატურად თარგმნა ძნელია, მითუმეტეს ხომ ნაწილაკისა, რომელსაც სხვადასხვა ფუნქციური ნიუანსები აქვს, გამოხატავს ერთ შემთხვევაში დადასტურებას, სხვა შემთხვევაში — დაეჭვებას ან თხოვნას. მოსალოდნელია, რომ სხვა ენებში მისი პირდაპირი ექვივალენტი არც იყოს და ამ ნაწილაკისათვის დამახასიათებელი ნიუანსები სხვადასხვა საშუალებებით გადმოიცემოდეს.

ო. მემიში თავის ლექსიკონში ხომ ნაწილაკის თურქულ შესატყვისებად ასახელებს **ki, ya**: „შენ ხომ იცნობ მას — **onu taniyorsun ya**“.

ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თურქულ სალიტერატურო ენაში **hoş** სიტყვას ხომ ნაწილაკის ადეკვატური ფუნქცია არ აქვს. მაგრამ შესაძლოა, ამ ფუნქციის მატარებელი იყოს იგი დიალექტურ მეტყველებაში!

ცნობილია, რომ თურქული ენის დიალექტებს შორის თავისებურებებით გამოირჩევიან აღმოსავლურ-ანატოლიური და, განსაკუთრებით, ჩრდილო-აღმოსავლური (შავი ზღვის სანაპიროებისა) კილოები, ანუ სამხრულ-ქართული მეტყველების საკონტაქტო კილოები.

ამ მხრივ საინტერესოა მურად შაჰინის „მაჭახლური ლექსიკონის“ მონაცემები. მურად შაჰინი თურქეთის მაჭახლის მკვიდრია, დაინტერესებუ-

ლი მშობლიური დიალექტითა და ფოლკლორით. მან მისი ლექსიკონი ელექტრონულად, ინტერნეტით გაავრცელა. (ჩვენ იგი მოგვაწოდა მ. ფალავამ რისთვისაც, მადლობას ვუხდით). მ. შაპინის ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ხომ** : **hoş**. ხომ ისე არ არი : **hoş öyle değil**“.

სხვასთან (ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით), თურქული **hoş** ნაწილაკი რომ ქართული „ხომ“-ის პირდაპირი შესატყვისი იყოს, ვერ დავადასტურებთ.

ჩვენი ვარაუდით, სამხრულ-ქართულ მეტყველებაში თურქულმა **hoş** ნაწილაკმა დამატებითი ფუნქციები შეიძინა ხომ ნაწილაკის გავლენით. ამ პროცესში გარკვეული როლი შეასრულა მათმა ბგერობრივმა მსგავსებამ. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ იმ თურქულ დიალექტში, რომელზეც სამხრეთელი ქართველები ურთიერთობენ ერთმანეთში, ანალოგიური მოვლენა გვქონდეს: აქაც **hoş** სიტყვას ფუნქცია უნდა გაეფართოვებინა ხომ ნაწილაკის ანალოგიით.

შერეული ორენოვნების შემთხვევაში, რომელსაც ადგილი აქვს ენათათვით შესწავლის პირობებში, ორივე ენა მოლაპარაკის ცნობიერებაში ყალიბდება კატეგორიათა ერთ სისტემად იმგვარად, რომ ნებისმიერ ელემენტს მოეპოვება თავისი უშუალო ექვივალენტი მეორე ენაში. ამ დროს ენობრივი ინტერფერენცია პროგრესირდება: ვიღებთ შინაარსის ერთ პლანს და ორ გამოხატულებითს. ხომ ნაწილაკის შემთხვევაშიც მსგავსი პროცესია სავარაუდო.

ამრიგად, სამხრულ-ქართულ მეტყველებაში **ხომ** ნაწილაკის პარალელურად დადასტურება მასალობრივად და ფუნქციურად მსგავსი თურქული ნასესხობისა — **ხოშ**, წარმოადგენს ენათა ინტერფერენციული ურთიერთგავლენის საინტერესო შემთხვევას.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1987 — შ. აფრიდონიძე, ნაწილაკების განლაგება „ზოგად კითხვებში“, იკე, ტ. 26-ე, თბ., 1987.

თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგენელი ლ. ჩლაიძე, სტამბოლი, 2001.

იმნაიშვილი 1973 — ი. იმნაიშვილი, „ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი“, თბ. 1986; ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ. 1973).

მემიში 1999 — ო. მემიში, ლექსიკონი ქართულ-თურქული, თურქულ-ქართული, თბ., 1999.

ნიჟარაძე 1971 — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი, 1971.

- სარჯველაძე 1997** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- ფოგტი 1961** — ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
- ყაუხჩიშვილი 1946** — თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იკე ტ. 1, თბ., 1946.
- შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
- ჩუბინაშვილი 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
- ცინცაძე 1997** — მ. ცინცაძე, აჭარული ტექსტები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1997.
- ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, მორფემების ლექსიკონი, თბ., 1988.
- მაგაზანიკი 1945** — Магазаник Д. А., Турецко-русский словарь, москва, 1945.
- Турецко-русский словарь, москва, 1977.

Nargiza Surmava

**From Southern Georgian Speech Vocabulary:
xoš /khosh/ particle**

S u m m a r y

The particle xom /khom/ can occur phonetically changed in the form of xum /khum/ variant in the southern speech. In parallel with xom/xum khom/khum forms xoš /khosh/ form occurs in some speeches – in Acharian, Nigal, Imer-Khebian and Machakhelian speeches.

The phonetic changing xoš>xom /khosh>khom/ is impossible in Georgian, which makes us to think that it is borrowing.

It is clear that the word “hoş” in the dialect speech of Turkish is used with the function of xom particle; e.g: The Machakhelian expression “xom ase ar ari” /khom ase ar ari/ in Turkish dialect it sounds as the following: hoş öyle değil (Murad Shahin, “Machakhlian Dictionary, Electronic Version”)

Thus, the evidence of materially and functionally similar Turkish Borrowing xoš /khosh/ in parallel with xom /khom/ particle is a noteworthy case in mixing of speech codes on the bilingualism ground.

მურმან სუნიშვილი

გარდამავლობის საკითხი რთულ ზმნებში (ძველი ქართულის მიხედვით)

„ძველი ქართული ენის გრამატიკის“ კურსში ა. შანიძე ასახელებს რამდენიმე ერთვალენტიან ზმნას, რომელთაც ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე შეეწყობათ („ივნებს კაცი — ივნო კაცმან; დაიძინებს იგი — დაიძინა მან; იხარებს მამაჲ — იხარა მამამან და მისთ.“) და შემდეგი სახის შენიშვნას აკეთებს: ასეთ ზმნებს შეიძლება პირობით ნახევრად გარდამავალი ვუწოდოთო (შანიძე, 1976, 59). ამგვარი პირობითობის დაშვებით ირღვევა გარდამავლობის, როგორც სინტაქსური კატეგორიის, განსაზღვრის თანმიმდევრულობა, რომელიც ჩვენში ა. შანიძემ დაამკვიდრა და რაც ზმნურ შესიტყვებაში, ბრუნვაცვალებად ქვემდებარესთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს ბრუნვაცვალებადი პირდაპირი დამატების არსებობასაც (შანიძე, I, 1942, 183, 185).

ამავე „ნახევრად გარდამავალ“ ზმნათა რიგში განიხილება ზოგი რთული, ერთ- და ორვალენტიანი, ზმნაც: ნათელ-ილო მან, ნათელ-სცა მან მას, თავ-უყო მან მას... რომლებიც შესიტყვებაში პირდაპირ ობიექტს არ იჩენენ.

როგორც ვხედავთ, ა. შანიძე კვლავ დაუბრუნდა თითქოს უკვე მივიწყებულ „ნახევრად გარდამავალი“ ზმნების საკითხს და საჭიროდ მიიჩნია გადაესინჯა გარდამავლობის გრამატიკული შინაარსის განმსაზღვრელი ის კრიტერიუმი, რომელიც თავად ჩამოაყალიბა და რომლის არსიც ასე განიმარტებოდა:

ოდენ ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე და სხვა მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნები ზმნათა გარკვეული ჯგუფისა, „რომლებიც ანათესავენს მათ გარდამავალ ზმნებთან, მიგვითითებენ მარტოოდენ მათს ისტორიაზე“ (შანიძე, 1942, I, 187). სინქრონულ ჭრილში ასეთი ზმნები გარდაუვალ ზმნათა რიგებში განიხილება.

ამდენად, ბრუნვაცვალებადი ქვემდებარის მქონე ერთ- და ორვალენტიანი ზმნები, რომელთაც შესიტყვებაში არ (ან, აღარ) ეძებნებათ პირდაპირი დამატება, გარდაუვალი ზმნებია. ასეთია შეხედა მან მას, მიუხედა-

ვად ისტორიული მორფოლოგიის ფაქტობრივი ჩვენებისა (შეხედ-ნ-ა), პირდაპირი დამატების ოდინდელ არსებობას რომ ადასტურებს, ასეთებია: მტკვარმან გარდამოხეთქა (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 777), „და მიიძარ-თა კოლტმან მან კლდით კერძო ზღუასა“ (მარკ., 5,13 აღიშით); გულმა არ მოუთმინა; მონადირემ ირემს სდია; კამათმა დიდხანს გასტანა; შუალამემ მოატანა; ალექსანდრემ თელავს გასწია; „დარეჯანმა ასადგომად წამოიწია“ (ი. ჭავჭავ.); გზაში თოვლმა მოგვასწრო; წვიმამ გადაილო და მისთ. (შანიძე, 1942, I, 187).

გარდაუვალ ზმნებად იყო კვალიფიცირებული ა. შანიძის მიერ ისრთული ზმნებიც (კმა-ყო, ღაღად-ყო) „სადაც სიტყვას, რომელიც წარმოშობით პირდაპირი ობიექტია (**კმა, ღაღად**) დაკარგული აქვს დამოუკიდებელი სიტყვის მნიშვნელობა და ერთ ცნებას ქმნის ზმნასთან ერთად (შანიძე, 1942, II, 289), ე.ი. შესიტყვებაში პირდაპირი დამატება არ გამოვლინდება.

ა. შანიძემ ეს არგუმენტები საკმარისად მიიჩნია იმისთვის, რომ უარყო სამეცნიერო მიმოქცევაში (1930 წ. „ქართული ენის გრამატიკაში“) მის მიერ შემოტანილი ტერმინი „ნახევრად გარდამავალი ზმნები ბრუნვაცვალებადქვემდებარებიანი და პირდაპირი დამატების არმქონე ერთ-ან ორვალენტთან ზმნათა დასახსიათებლად: „ამით მოხსნილია საკითხი „ნახევრად გარდამავლობის“ შესახებ“ — შენიშნავდა მკვლევარი და ტერმინის დატოვების მართებულობას მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებითა ამართლებდა (შანიძე, 1942, I, 187¹).

ა. შანიძის მიერ კვლავ შემოთავაზებული კორექტივი, მართალია, არღვევს გარდამავლობის სინტაქსური კატეგორიის განსაზღვრის ერთმნიშვნელოვნობას (გარდამავალია ზმნა, რომელსაც შესიტყვებაში პირდაპირი დამატება ეძებნება), მაგრამ უფრო ადეკვატურად აღწერს ენის ფაქტს: ბრუნვაცვალებადქვემდებარებიანი, მაგრამ პირდაპირი დამატების არმქონე: ივნებს იგი — ივნო მან, ნათელ-სცემს იგი მას — ნათელ-სცა მან მას... და ბრუნვაცვლელქვემდებარებიანი: დასცხრების იგი — დასცხრა იგი და მისთ., გარდამავლობის თვალსაზრისით, ასევე, სხვა მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ სემანტიკური მახასიათებლებით, იდენტურნი ვერ იქნებიან.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ა. შანიძის მიერ „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ დასახელებული „ნახევრად გარდამავალი“ ზმნები (და მსგავსი სინტაქსის ბევრი სხვა ზმნაც) ძველ ქართულში პირდაპირ დამატებასაც იგუებენ: ვივნოთ **ვნებაჲ** იგი მისი (სინ. 258, 32-33); დაიძინეს **ძილი** მათი (ფს. 75^ა); იხარა ეგვბემან **გამოსლვაჲ** მათი (ფს. 104^ა...).

ასეთსავე სინტაქსურ არამდგრადობას პირდაპირი დამატების ქონარქონის თვალსაზრისით გვიჩვენებს, როგორც ამას ზემოთაც ვნახავთ, ზო-

გიერთი რთული ზმნაც. ამდენად, ასეთ შემთხვევებს სხვაგვარი, ფაქტის სწორი ინტერპრეტაციის შესაბამისი, კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ტერმინი „ნახევრადგარდამავალი“ — ბრუნვაცვალბაღქემდებარიანი და პირდაპირი დამატების არმქონე — ზმნები ასეთ შემთხვევებს არ მიესადაგება. ის მხოლოდ ფაქტის დიაქრონიულ ინტერპრეტაციას აფიქსირებს.

რაც შეეხება ზოგადად რთულ ზმნებს, — ამ ზმნათა წარმოება, შემაღდგენელი სახელური (სახელები და უფორმო სიტყვები) და ზმნური კომპონენტები, ამ კომპონენტთა წყობა და ლექსიკურ-სემანტიკური მთლიანობა, რაობა და სტრუქტურა, უღლება, სათანადო გრამატიკული კატეგორიები, სინტაქსური ლაბილურობა, მსგავსება-განსხვავება რთულ ზმნასა და შემაღდგენელ შემასმენელს შორის, პარალელური ორგანული წარმოებები, ტერმინის საკითხი (აღწერითი, კომპოზიტი, რთული ზმნები), ასევე, რთული ზმნების მნიშვნელობა ქართული ზმნის ისტორიისა და, კერძოდ, გარდამავლობის კატეგორიისათვის, საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი (შანიძე, 1942, I, 183-189; II, 289-295; 1976, 125-128; ბაბუნაშვილი, 1951, 21-22; მ. მრევილიშვილი, 1958, 3-14; თევზაძე, 1959, 13, 397-409; 1959, 14, 185-191; 1960, 190-201; ოსიძე, 1960, 267-273; ი. იმნაიშვილი, 1957, 639-648; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, 521-558; სარჯველაძე, 1984, 139; დანელია, 1998, 525-533; ვაშაკიძე, 1993; ვ. ბოედერი, 2002, 4, 80-97...).

ამ სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, რთული ზმნების ძირითადი მახასიათებლებია:

შინაარსის მიხედვით — ერთცნებიანობა

ფორმის მიხედვით —

1. ორკომპონენტიანობა: სახელადი ნაწილი ან ფორმაუცვლელი სიტყვა + ზმნა (ყოფა, ცემა, ღება, ქმნა, გება, დება და მისთ.);
2. სახელადი ნაწილი პირველ ადგილზეა და უშუალოდ ერწყმის ზმნას;
3. სახელადი ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, იშვიათად — მიცემითი ბრუნვის ფორმით;
4. მიცემითი ბრუნვის ფორმას არ დაერთვის ემფატიკური ხმოვანი;
5. ზმნური ნაწილი უზმნისწინოდ არის წარმოდგენილი.

გარდამავლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი რთული ზმნები, რომელთა პირველ კომპონენტად ფორმაცვალბადი სიტყვები (სახელები) იგულისხმება.

ასეთი რთული ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს (შესიტყვებაში პირდაპირ ობიექტს უჩვენებდეს): წმინდა-ყო მან იგი, შეურაცხ-ყო მან იგი, კრულ-ყო მან იგი... და გარდაუვალცი: სირცხვლ-უჩს, ჯელ-ეწიფების, ძალ-უც... მას [იგი] — რთული ფუძის შემადგენელი ზმნური კომპონენტის გრამატიკული კვალიფიკაციის შესაბამისად: ე.ი. თუ

რთული ზმნის ზმნური კომპონენტი გარდამავალი ზმნაა (ყო, სცა, ილო...) რთული ზმნაც გარდამავალი უნდა იყოს, მაგრამ, ზმნის გრამატიკულ სტატუსთან ერთად, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სახელური კომპონენტის გრამატიკულ და სემანტიკურ რაობასაც: თუ რთული ზმნის სახელურ კომპონენტად წარმოდგენილია ზედსართავი სახელი, მიმღობა, ზმნიზედა — სათანადო რთულ გარდამავალ ზმნათა პირიანობა სრულადაა რეალიზებული (შანიძე, 1976, 125):

წმიდა-ყვეს **ტაძარი** უფლისაჲ (M, II ნშტ. 29,17)*.

მან სირცხვლელ-ყვენეს ყოველნი **მტერი** ჩუენნი (ფს. 107, 14C).

მზა-ყო **საგზალი** გზისა მისთვის საუკუნოჲსა (მ. სწ. 249,3)*.

ანუ **სამფსუნ** ძლიერი ვინ უძლეველ ყო? არა მარხვამან-ა, რომლითა მიუღდა მუცელსა დედისასა? (სწავლათა, 5, 2).

მარხვად... **მონაზონთა** წმიდა-ჰყოფს, **მღდელთა** სრულ-ჰყოფს (სწავლათა, 5, 12).

განსხვავებული ვითარება გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა რთულ ზმნებში გარდამავალი (ასევე, გარდაუვალი) ზმნური კომპონენტების წინ არსებითი სახელი ან საწყისი დგას: ასეთ რთულ ზმნებს შესიტყვებაში ძირითადად არ უჩანთ პირდაპირი დამატება: ღაღად-ყო მან, ლხინება-ყო მან, თვალ-უყო მან მას, ნათელ-სცა მან მას, დევნა-უყო მან მას და ა.შ. (შესაბამისად, გარდაუვალ რთულ ზმნებს შესიტყვებაში აკლიათ ქვემდებარე: ჯელ-ეწიფების მას, ძალ-უც მას...).

გამონაკლისები, როცა ამგვარი შედგენილობის (არსებითი სახელი ან საწყისი + ზმნა) რთულ ზმნებს (გარდამავალს თუ გარდაუვალს) ნაკლულთან ერთად სრული შესიტყვებაც, ან მხოლოდ სრული შესიტყვება უდასტურდებათ, სრულ და არასრულ შესიტყვებათა უწინარესობა — შემდგომადობის საკითხს წამოჭრიან:

ჯელ-ყვეს გამოცდაჲ მისი (მ. ცხ. 234, r)*.

ჯელ-გყავ აღვსებად მისგან ჭურჭელისაჲ (მ. ცხ. 423 V)*.

გულისხმა-ჰყავთ ესე ყოველი (მ. 13, 51 E).

და არავინ იყო, რომელმანცა გულისხმა-ყო მისთვის (მსაჯ. III, 26).

უნდა მოკლვად მისი და ვერარად ჯელ-იწიფა (მრ. 6, 19 DE).

შდრ.: C უნდა მოკლვად მისი და ვერ ჯელს-იწიფებდა.

ჯმა-ჰყვენ ჩემ ზედა სიტყუანი შენნი, რომელნი მესმნეს (ეზეკ. 35, 13D).

* ვარსკვლავიანი ილუსტრაციები დამოწმებულია ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით.

ჯმა-გყავთ უფლისა მიმართ, და ისმინა უფალმან ჯმისა ჩუენისად (რიცხვ. X, 16 S).

ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი (შუშ. 134, 2).

უვარ-ყო სარა და თქუა (შესაქმ. 18, 15).

უკუეთუ ძიება-გყო სისხლი მისი, და მესაჯოს უსამართლოდ, რამეთუ მე ამოვსწყუდენ იგინი (ბალ. 128, 18).

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი (ხანძთ. 210, 32).

და აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი დღისა (მ. 20, 2 C).

უფალმან ღმერთმან აღთქუმა-ყო თქუენდა მიმართ, აღთქუმაჲ ხორიგს შინა (II სჯ. 5,1 Gb).

ასე რომ, არსებითი სახელის ან საწყისის დასმა რთული ზმნის სახელურ კომპონენტად ყოველთვის ვერ იქნება იმის პირობა, რომ სათანადო რთული ზმნები გარდამავლობის თვალსაზრისით მათივე ზმნური კომპონენტის (ყო მან იგი, ილო მან იგი, სცა მან მას იგი...) გრამატიკული სტატუსის შესატყვისად მოგვევლინებინან.

როგორც ჩანს, და ეს სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილია, ამ რიგის რთულ ზმნებთან ამოსავალი ვითარება დაღად-ყო (მან) ტიპის ზმნებმა შემოგვინახეს, რომელთა სახელური ფუძე (დაღად-) ზმნასთანაა შერწყმული და, შესაბამისად, რთული ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა სახელური ფუძის — პოტენციური პირდაპირი დამატების — მნიშვნელობითაა განსაზღვრული, ე.ი. სახელური მნიშვნელობის გაზმნავება ხდება, შდრ., საბა: დაღად-ყო — დაღადება ქმნა...

ამდენად, პირდაპირი დამატების ჩართვა სინტაქსში ასეთ შემთხვევებში ჭარბია, მაგრამ გამორიცხული არ არის; მაგ., ძველ ქართულში არ დასტურდება კონსტრუქცია დაღად-ყო **დაღადება** თუმცა გვაქვს სხვა პარალელური (პირდაპირი დამატებით და მის გარეშე) სინტაქსური კონსტრუქციები: დრო-ყო მან II დრო-ყო მან **დროება**:

ანუ ფუცოს ფიცი დროებით, ანუ დრო-ყოს თავისა თვისათჳს (რიცხვ. XXX, 3 S).

...ანუ დრო-ყოს **დროება** სახლსა შინა მამისა თვისისასა (რიცხვ. XXX, 4-5, S).

ასევე, გრამატიკული პლენაზმის შთაბეჭდილებას ტოვებს ასეთი ტიპის კონსტრუქციები:

შურს-იგებდ **შურისგებასა** ძეთა ისრაელისათასა მადიამელთაგან (რიცხვ. XXXI, 2, B) — შდრ., ვარიანტული წაკითხვა: შურს-იგებდ შურისგებად მადიამელთასა.

შურ-იგე **შურისგება** ძეთა ისრაელისათად მაღიანიტელთაგან (რიცხვ. XXXI, 2 G).

მსგავსი სემანტიკისაა ძველ ქართულში მარტივი ყო გარდამავალი ზმნისა და მასთან პირდაპირი დამატების ფუნქციით შეწყობილი რთული საწყისის — შურისგება სინტაქსური წყვილი:

ყო **შურის გება** მათთვის აღრე (ლ. 18, 8).

და ყო **შურისგება** (ეზეკ. 30, 14C).

ზოგ შემთხვევაში ცხადად ჩანს, რომ პირდაპირი დამატების წარმოჩენა რთულ ზმნების შესიტყვებაში ზმნური სემანტიკის გადააზრიანების შედეგია; მაგ.: ჯელ-ყოფა რთული ზმნის ამოსავალი მნიშვნელობაა „ხელის მოკიდება“, სხვა მნიშვნელობები — „დაწყება“, „კეთება“ (აბულაძე, 1973, სარჯველაძე, 2001) მეორეულია, შდრ., ახალ ქართულში მოჰკიდებს — გრდმ. ხელს მოავლებს, ხელს ჩასჭიდებს... და ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ხელს მოჰკიდებს**, გადატ. ხელს მიჰყოფს, დაიწყებს, შეუდგება ქველ V. ეს მეორეული სემანტიკა („დაწყება“, „კეთება“) არა მარტო იღუბს პირდაპირი დამატების ჩართვას შესიტყვებაში, არამედ მოითხოვს კიდევ. თუმცა ძველ ქართულში ამ ზმნასთან სრული, პირდაპირდამატებიანი შესიტყვება იშვიათია. ასევე, ჯელ-იწიფა მან, ჯელ-ეწიფების მას რთულ ზმნათა ამოსავალი მნიშვნელობაა „ხელის გაწვდენა“: სახელური ნაწილი რთული ზმნისა (ჯელ-), გარდამავლობის შესაბამისად, ერთ შემთხვევაში პირდაპირი დამატების ფუნქციითაა შერწყმული ზმნასთან (ჯელ-იწიფა მან), მეორე შემთხვევაში — ქვემდებარის ფუნქციით (ჯელ-ეწიფების მას); შერწყმის შედეგად, ეს სინტაქსური ერთეულები შესიტყვებაში არაა წარმოდგენილი, თუმცა ამ რთული ზმნის გადატანითი მნიშვნელობები „შეძლება“, „უფლება“, „გაბედვა“ (თევზაძე, 1959, 402, აბულაძე, 1973; შანიძე, 1976, 128; სარჯველაძე, 2001) ასეთ შესაძლებლობას არ გამოიციხავს: ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი და ვერ ჯელს-იწიფებდა (მრ. 6, 19 C) — შდრ.: ვერარად ჯელ-იწიფა DE.

ვერვის ჯელ-ეწიფებოდა წარსლვად მიერ გზით (მ. 8, 28 DE).

C ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით.

სემანტიკური ცვლილებისათვის შდრ.: ახალი ქართულის ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ხელი მიუწვდება** გადატ. შეძლებს მისწვდეს, მოახერხებს (ქველ V).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რთული ზმნის არსებითი სახელით წარმოდგენილი სახელური ნაწილი წრფელობით ბრუნვაში არა პირდაპირი დამატების, არამედ ვითარების გარემოების ფუნქციით ერწყმის ზმნას და რთულ ზმნას გარდაქცევითობის შინაარსი აქვს. ასეთ შესიტყვებაში ჩანს პირდაპირი დამატება:

თქუნ, ჯელმწიფენი, უფალგყვნა ღმერთმან (ხანძთ. 211, 31).

და მას ყოველსა ზედა უფალ-ყო იგი (აგ, 1, 42).

გარდაქცევითობის სემანტიკის მატარებელი ასეთი რთული ზმნებია ძვ. ქართულში სპასალარ-გყო, მონასტერ-ყო, ზღუდე-ყო, ქალაქ-ყო... (ვაშაკიძე, 1993, 25). ზ. სარჯველაძე „სიტყვის კონაში“ იმოწმებს გარდაქცევითობის შინაარსის რთულ ზმნებს: ცხოვარ-ყოფად „ცხვრად ქცევა“. ჳიდ-ყოფად „ხილად ქცევა“, ჳელმწიფე-ყოფად „გამეფება“, გამგებლად ქცევა (გაუფროსება) და სხვ. (სარჯველაძე, 2001).

გარდაქცევითობის შინაარსის რთული ზმნა უკვე ხანმეტ ტექსტში დასტურდება, ესაა მეფე-ყოფა:

ხ⁻ ი^რ გულისხმა ყო რ⁻ მოვიდოდეს წარტაცებად მისა რ⁻ამცა მეფე ყვეს იგი. განხეშორა და წარვიდა იგი ხ⁻ მართოდ (I, 6, 15 ხანმ.). ოთხთავის შატბერდული ხელნაწერის ვარიანტებში რთული ზმნის მაგივრად შესიტყვებაა წარმოდგენილი — სახელური ნაწილის პოსტპოზიციით წრფელობით ბრუნვაში:

რადთამცა ყვეს იგი **მეფე** (ი. 6, 15 DE), E-ში: მეფე; DE ვარიანტში წრფელობითი დასმული პირდაპირი დამატება ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს და შესიტყვებაში პირდაპირი დამატებაც გვაქვს (ი გ ი ნაცვალსახელით) C ვარიანტში (ადიშურში) პირდაპირი დამატება აღარაა და პირდაპირი დამატების ფუნქციით უკვე **მეუფე** (DE-ს მეფე) ჩაენაცვლება: რადთამცა ყუეს **მეუფე** (I, 6, 15 C).

ხანმეტ ტექსტებში წრფელობითის ფორმის ვითარების გარემოების ფუნქციით გამოყენების სხვა შემთხვევაც გვხვდება:

ხიყოს სახლი ჩემი **სახლ** სალოცველ. ხ⁻თქ⁻ნ ხყავთ იგი **ქუაბ** ავაზაკთა (ლ. 19, 46 ხანმ.).

შატბერდული ხელნაწერების მიხედვით C-ში ისევ წრფელობითი გვაქვს: ხოლო თქუენ ჰყავთ იგი **ქუაბ** ავაზაკთა, ხოლო DE-ში წრფელობითს უკვე ვითარებითი ბრუნვის ფორმა ცვლის: ხოლო თქუენ ჰყავთ იგი **ქუაბად** ავაზაკთა. ეს შენაცვლება წრფელობითი ბრუნვის მიერ ვითარების გარემოების ფუნქციის თანდათან დაკარგვას მიანიშნებს (დანელია, 1998, 527).

აქედან კი ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ რთული ზმნების ვალენტობას (პირიანობას), resp. გარდამავლობასაც, ზმნური ნაწილის ვალენტობის გარდა, სახელური ნაწილის სინტაქსური ფუნქციაც აპირობებს (და არა მხოლოდ ამ კომპონენტის მორფოლოგიურ-სემანტიკური რაობა: არსებითია, ზედსართავი, საწყისი თუ მიმღეობა). გარდამავალ ზმნებთან პირდაპირი დამატების ფუნქციით (გარდაუვალებთან — ქვემდებარის ფუნქციით) შერწყმული არსებითი სახელები სათანადო შესიტყვებებში პირდაპირ დამატებას (გარდაუვალებში — ქვემდებარეს) აღარ გაიჩე-

ნენ; ასევე: ირიბი დამატების ფუნქციით ზმნასთან შერწყმული სახელი შესიტყვებაში ირიბ დამატებას აღარ აჩვენებს: ჯუარს-აცუა მან იგი.

სხვაგვარი სინტაქსური ვითარება (ჰმა-ყო სიტყუამ, ჯელ-ყო გამოცდად...) რთული ზმნის ამოსავალი სემანტიკის შემდგომი გადააზრიანების შედეგი ჩანს.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ამ კონტექსტში დგება რთული ზმნების მიმართების საკითხი სათანადო ზმნურ შესიტყვებებთან.

ძველ ქართულში, უკვე ხანმეტი ძეგლებიდან, ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ როგორც რთული ზმნები, ასევე მნიშვნელობით მათი ფარდი ზმნური შესიტყვებები (სინტაქსური წყვილები):

ლოცვა-ყო / ყო ლოცვამ:

ლოცვა-ყავ, ვითარცა გნებავს (ფლკტ. 159, 29)*.

შდრ: გამოუცხადე მას, რადამცა ლოცვა-ყო ჩემთვის და აღდგა ბერი და ყო ჩემთვის **ლოცვამ** (კიმ. I, 25, 28 C; იხ. თევზაძე, 1959, 13, 339₂).

წყალობა-ყო / ყო წყალობამ:

იხილა ერი მრავალი და წყალობა-ყო მათ ზედა (მრკ. 6, 34 C).

რომელმან ყო **წყალობამ** მის თანა (ლ. 10, 37 ხანმ.).

სიტყუა-ყო / ყო სიტყუამ:

შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათა და სიტყუა-ყო მათ მონათა თანა (მ. 25, 19, DE). C რედაქციაში: და ყო **სიტყუამ** მათ თანა (სქოლიოში: სიტყუად-ყო DE).

ოთხთავის ეფთვმე და გიორგი მთაწმინდელების რედაქციების მიხედვით სიტყუად-ყო იკითხება.

კეთილ-გიყოს / **კეთილსა** ხუყოფდით:

გაკურთხოს შენ და კეთილ-გიყოს და განგამრავლოს შენ უფროდს მამათა შენტა (II სჯ. XXX-5 BDES).

კეთილსა ხუყოფდით მოძულეთა თქუენთა (ლ. 6, 27 ხანმ.).

ოთხთავის შატბერდულ E და C რედაქციებში ზმნური შესიტყვების სახელური ნაწილი ასევე ემფატიკური -ა ნიშნითაა გავრცობილი:

კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა (ლ. 6, 27).

D რედაქციაში ემფატიკური **ა** სახელს აღარ ახლავს: კეთილს უყოფდით.

ლხინება-ჰყოფდეთ, ლხინება-ჰყოთ / ყოს **ლხინებამ:**

რადთა ლხინება-ჰყოფდეთ მათთვის წინაშე ღმრთისა (ლევიტ. X, 17 OSB).

G. რადთა... ლხინება-ჰყოთ მისთვის წინაშე უფლისა.

შემწე ეყოს და ყოს **ლხინებამ** (ი. - ე., 45, 15).

მოხედვა-ყო / **მოხედვამ** ყოს:

მოხედვა-ყო მოსპოვად ყუედრებად ჩემი (ლ. 1, 25 ხანმ.).

მოხედვით მოხედვა ყოს თქუენ ზედა უფალმან (დაბ. 30, 24).*

მოხედვა მით ორთავე ყოს უფალმან (0 იგ. სოლ. 20, 13).*

აღთქუმა-ყო / ჰყოფ **აღთქუმასა**:

უფალმან ღმერთმან აღთქუმა-ყო თქუენდა მიმართ, **აღთქუმა** ხორიგს შინა (II სჯ. 5, 1 Gb).

რამეთუ არა ამისთჳს ჰყოფ **აღთქუმასა**, თუმცა მაშინ მიეც, არამედ რადთამცა აწ თანა-წარჰვედ (სწავლათა, 93, 25).

ბრძოლა-ყვეს / ყვეს **ბრძოლა** II ყვეს **ბრძოლა**:

ბრძოლა-ყვეს თქვენდამი (G ისუ ნ. 24, 11).

და ყვეს **ბრძოლა** ბალაკის თანა (შესაქმ. 0, XIV, 2, CB ყვეს ბრძოლა).

სიტყუას ხუგებნ / **სიტყუასა** უგებნ, **სიტყუა** მიხუგოთ:

ყოველი, რომელი მეფედ ხიტყვიან თავსა თჳსსა, სიტყუას ხუგებნ კეისარსა (ი. 19, 12 ხანმ.).

ოთხთავის შატბერდულ DE რედაქციაში: სიტყუას უგებნ კეისარსა (ი. 19, 12 DE).

ოთხთავის ეფთჳმე და გიორგი მთაწმინდელების რედაქციებში სათანადო ადგილას ასევე „სიტყუას უგებნ კეისარსა“ (ი. 19.12 ათონ.) დასტურდება, ოღონდ G სხვაგვარ წაკითხვას იძლევა: **სიტყუასა** უგებნ — რომელიც შესიტყვებას წარმოადგენს და არა რთულ ზმნას (რთული ზმნის სახელური ნაწილი ემფატიკურ ა-ს არ დაირთავს).

რა თქმა უნდა, შესიტყვება გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნური ნაწილი ზმნისწინიანია:

მიუგეს მათ **სიტყუა** (C რიცხვ. 12, 27).

რად **სიტყუა** მიხუგოთ (ლ. 21, 14).

ასე რომ, შესიტყვებებიდან რთული ზმნების წარმოქმნის საკითხის კვლევისას პროცესის განვითარების გარკვეული თანმიმდევრობა იკვეთება. ბუნებრივია, ყველა სახის შესიტყვება რთულ ზმნებს ვერ მოგვცემს. რთული ზმნებისათვის ბაზისური ჩანს სიტყვათა მყარი შეხამებანი (ყო **ლოცვა**, ყო **მოწყალება**, ყო **ლხინება**, **სიტყუასა** ჰყოფს, **სიტყუასა** უგებნ / **სიტყუას** ხუგებნ და ა.შ.); სიტყვათა მყარ შეხამებებს (მყარ გამოთქმებს) კი თავისთავად ერთ სემანტიკურ მთლიანობად გაერთიანების ტენდენცია აქვთ (ფოჩხუა, 1974, 292-293); ზემოთ წარმოდგენილი მასალა ძველი ქართულის მყარი სიტყვათშეხამებების ერთ მორფოლოგიურ მთლიანობად, რთულ ზმნებად შერწყმის მხოლოდ ზოგად ტენდენციებს მიანიშნებს; ეს ტენდენცია ასე გვესახება:

ა) გარდამავალი ზმნის მყარი შესიტყვების (სინტაქსური წყვილის) ძველი ქართულისათვის პრიორიტეტული სიტყვათწყობის ზმნა-შემასმენელი

+ პირდაპირი დამატება ინვერსია (პირდაპირი დამატება + შემასმენელი) :
 ყო წყალობად > წყალობად ყო...

ბ) პრეპოზიციური პირდაპირი დამატებისა და ზმნა-შემასმენლის ერთ ცნებად შერწყმის პროცესში პირდაპირ დამატებასა და ზმნას შორის არსებული სინტაქსური კავშირის (მართვის) მოშლა: **ბრძოლა** სცეს (მსაჯ. 1,1 BDS). შდრ.: ბრძოლა-სცე (სინ. 167, 28), **მოხედვა** ყოს (0. იგ. სოლ. 20, 18) შდრ., მოხედვა-ყოს (დაბ. 30, 24), ნათელს-გცეს (მ. 3, 11, C) შდრ. II DE ნათელ-გცეს, **სიტყუასა** უგებნ > სიტყუას უგებნ, **კეთილსა** უყოფდით > კეთილს უყოფდით, შდრ.: კეთილ-გიყო, **პატივსა** უყოფენ (ი. 5, 23) შდრ.: პატივ-უყო (ბალ. 30, 9) და სხვ.

გ) ზმნის პირიანობის (ვალენტობის) ცვლა: მან ყო **წყალობად** > წყალობა-ყო მან...

ამ მნიშვნელოვანი დიაქრონიული საკითხის ნებისმიერი გადაწყვეტი-სათვის (არის სხვა მოსაზრებაც, რომელიც რთული ზმნების უძველესობას ამტკიცებს — იხ. ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, 523-524; 526...; ოსიძე, 1961, 270-272) არსებითი ჩანს რთული ზმნის სახელური კომპონენ-ტის (პირდაპირი დამატების) ზმნის წინა პოზიციაში განთავსების ფაქტის კვალიფიკაცია.

ძველ ქართულში ადრინდელი პერიოდის გარდამავალი ზმნის შე-მცველ წინადადებაში ძირითადი წყობა ასეთია: ქვემდებარე — ზმნა-შემასმენელი — პირდაპირი დამატება. გვაქვს ალტერნატიული წყობაც: ქვემდებარე — პირდაპირი დამატება — ზმნა-შემას-მენელი (სარჯველაძე, 1984, 540; 1997, 165). ამასთან, რაც უფრო არსე-ბითია, ძველი ქართული ენის განვითარებაში ნიშანდობლივია ზმნის ბოლო პოზიციაში გადასვლის ტენდენცია. შესაბამისად, გარდამავალი ზმნებისა-თვის ძირითადი ხდება ქვემდებარე — პირდაპირი დამატება — ზმნა-შემასმენელი პოზიცია (სარჯველაძე, 1984, 541; 1997, 165; იხ., აგრეთვე, აფრიდონიძე, 1986, 114-119). ასე რომ, ძველი ქართული სა-ლიტერატურო ენის წინადადების სიტყვათწყობის განვითარების გზა აფიქ-სირებს შესიტყვებიდან (სინტაქსური წყვილიდან) რთული ზმნების წარმო-ქმნის შესაძლებლობას.

ენის ისტორიამ, შედარებითმა და ტიპოლოგიურმა კვლევამ შეიძლე-ბა სულ სხვა დასკვნა გვიჩვენოს. გარდამავალი ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ქართულში და დაღაღ-ყო ტიპის ზმნების მოდელი პირდა-პირი ობიექტის (resp. პირდაპირი დამატების) განსაზღვრულ, ზმნის უშუა-ლოდ წინა პოზიციას გულისხმობს (ოსიძე, 1960, 270-272).

რაც შეეხება გარდამავალი ზმნის შესიტყვების რთულ ზმნად გარდა-ქმნის თანმხლებ სინტაქსურ მოვლენას, რაც პირდაპირი დამატების ზმნას-

თან შერწყმის შედეგად პირიანობის (ვალენტობის) და გარდამავლობის სტატუსის შეცვლაში გამოიხატება, არ არის მარტო ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენა: მაგ., გერმანული ენის მარტივი ზმნები **nehmen** „აღება“, **halten** „ჭერა“ და ა.შ. სახელად ნაწილთან შერწყმის შედეგად **teilnehmen** „მონაწილეობის მიღება“, **haushalten** „საოჯახო საქმიანობა“ გარდაუვალ რთულ ზმნებად წარმოგვიდგებიან.

ქართულის ვითარება განსხვავებულია; ასეთი რთული ზმნები გარდამავალთა მსგავსად ბრუნვაცვალებად სუბიექტს ინარჩუნებენ. გარდამავალი ზმნებისგან კი იმით განსხვავდებიან, რომ მათ მხოლოდ სუბიექტური შესიტყვება აქვთ: დაღად-ყო, ჳმა-ყო **მან...**

დაღად-ყო ტიპის რთული ზმნების წარმოქმნის პროცესი ბუნებრივად ეწერება არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებულ ქართველური გარდამავალი ზმნის გასუბიექტურების კონტექსტში (ჩიქობავა, 1979, 168, 250).

სტრუქტურული ანალოგიისათვის შეიძლება მოვიხმოთ მოქმედებითი გვარის ნამყო დროის („სუბიექტური“) მიმღეობის აღწერითი წარმოება: ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის (მაგ. ამოწვდილი) წინ დაისმის პირდაპირი დამატების გაუფორმებელი ფუძე (მაგ. **ხმალი**) და ეს რთული წარმოება ფუნქციურად გარდამავალი ზმნის სუბიექტურ მიმღეობად გვევლინება: ხმალამოწვდილი „ვინც ხმალი ამოწვდა“ (ჩიქობავა, 1950, 077; ოსიძე, 1957, 197).

ეს წარმოება ძველ ქართულშიც ფართოდ არის გავრცელებული: ნათელდებული, თმაგარდატევებული, ბუნებაშეცვალებული, პირდაყოფილი... (ოსიძე, 1957, 197).

ლიტერატურა

აბულაძე, 1970 — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

აფრიდონიძე, 1986 — შუქია აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში (XIX—XX საუკ. პროზის მიხედვით. მარტივი წინადადება), თბილისი.

ბაბუნაშვილი, 1951 — ელენე ბაბუნაშვილი, კომპოზიტი ზმნები ძველ ქართულში, თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ.

ბოედერი, 2002, 4 — Winfried Boeder, Die sog. "Zusammengesetzten Verber" im Altgeorgieschen, ენათმეცნიერების საკითხები, თბ.

დანელია, 1998 — კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ.

ვაშაკიძე, 1993 — თამარ ვაშაკიძე, ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბ.

თევზაძე, 1959, 13 — ჭოლა თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში; პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13.

თევზაძე, 1959, 14 — ჭოლა თევზაძე, რთული ზმნების მიმართება შედგენილ შემასმენელთან; პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 14.

თევზაძე, 1970, 15 — ჭოლა თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით; პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 15.

ო. იმნაიშვილი, 1957 — ივანე იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ.

ო. იმნაიშვილი, გ. იმნაიშვილი, 1996 — ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, II, მაინის ფრანკფურტი.

მ. მრეველიშვილი, 1958 — Мзия Мрвлишвили, Сложные слова в грузинском языке (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук), Тб.

ოსიძე, 1957 — ეკატერინე ოსიძე, მიმღობის წარმოება ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67.

ოსიძე, 1960 — ეკატერინე ოსიძე, ლაღაღ-ყო ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, თბ.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტორაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.

სარჯველაძე, 1984 — ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ.

სარჯველაძე, 1997 — ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ.

სარჯველაძე, 2001 — ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ.

ფოჩხუა, 1974 — ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ.

ქეგლ V — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ. 1950-1969, ტ. V, 1958.

შანიძე, 1942, I — აკაკი შანიძე, ზმნის გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №2, თბ.

შანიძე, 1942, II — აკაკი შანიძე, ზმნის გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №3, თბ.

- შანიძე, 1976** — აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ.
- ჩიქობავა, 1950** — არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ I, თბ.
- ჩიქობავა, 1979** — არნოლდ ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ.

წყაროები

- აგ. I** — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X ს.ს.), თბ., 1964.
- ათონ.** — ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია; ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
- ბალ.** — ბალავარიანის ქართული რედაქციები; გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, აკაკი შანიძის რედაქციით; ძველი ქართული ენის კათედრის ძეგლები, 10, თბ., 1957.
- ეზეკ.** — ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
- ი.** — იოვანე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- ი. - ე.** — გიორგი მთაწმინდელი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი; გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა აკ. შანიძემ, თბ., 1945.
- ისუ. ნ.** — იხ. მსაჯ.
- ლევიტ.** — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 2. ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂; ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით; გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ., 1990.
- ლ.** — სახარება ლუკადსი — იხ. იოვანე.
- მ.** — მათე, იხ. იოვანე.
- მრ.** — მარკოზ, იხ. იოვანე.
- მსაჯ.** — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 3. ისო ნავესი, მსაჯულთად, რუთისი; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₃; ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, თბ., 1991.
- მ. სწ.** — მამათა სწავლანი, X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.
- რიცხვ.** — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 2: ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂; ყველა

არსებული ხელნაწერის მიხედვით; გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ., 1990.

სინ. — სინური მრავალთავი, 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.

სწავლათა — ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვზე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, V, თბ., 1983.

II სჯ. — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 2: ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂; ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით; გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ., 1990.

ფს. — ფსალმუნის ძველი ქართული ენის რედაქციები X-XIII საუკუნის ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1951.

შესაქმ. — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, I, შესაქმისად, გამოსლვათად; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა; თბ., 1989.

შუშ. — იაკობ ცურტაველი, წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად; ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970.

ხანმ. — ხანმეტი ტექსტები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ; თბ., 1984.

ხანძთ. — გიორგი მერჩულე, შრომად და მოღუაწებად ღირსად ცხოვრებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი; ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“, ტ. I, ნაწ. I; თბ., 1970.

Murman Sukhishvili

The Issues of Transitivity of Analytical Verbs
On the evidence of Old Georgian material

S u m m a r y

The paper discusses the issues of derivation of analytical verb forms from word-combinations, particularly from the syntactic pairs: verb-predicate and direct object.

These word-combinations similar to the analytical verbs were presented in the Khanmet Texts (the oldest Georgian literary documents).

Prepositional order, i.e. direct object precedes a verb, appears to be essential condition for the transformation of word-combination (syntactic pair) into the analytical verbal construction: $c\ \square\square\square q\ \square\ aloba-q\ \square\square o\ \mathbf{man} < \mathbf{man}\ q\ \square\square o\ c\ \square\square\square q\ \square\ \mathbf{alo-} \mathbf{baj}$ – *he/she showed mercy*, $locwa-q\ \square\square o\ \mathbf{man} < \mathbf{man}\ q\ \square\square o\ \mathbf{locwaj}\ \square$ – *he/she prayed*.

This kind of transference of direct object in the old Georgian sentence is reflected in the historical change of the word-order (Z. Sarjveladze, Sh. Apridonidze).

Prepositional order (direct object + verb-predicate) causes lexical fusion of direct object and transitive verb, it follows the destruction of the syntactic mechanism of word-combination and the formation of analytical verb of different valency (resp. transitivity).

თედო უთურგაიძე

ველთა ირიბობიექტური პირის ნაცვალსახელად
ძველ ქართულში

თავი ნაცვალსახელი კარგად არის ცნობილი გრამატიკულ ლიტერატურაში. იგი გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტის გამომხატველ ნაცვალსახელად; მაგალითად: „გარდაიდღე **თავი შენი** ამიერ ქუეყანად“ (მ. 4,6) — „**თავი შენი**“ პირდაპირი ობიექტია მეორე პირში, რაზეც მსაზღვრელად გამწესებული კუთვნილებითი „**შენი**“ ნაცვალსახელი მიუთითებს; „რომელი განევთის **თავსა თვსსა...**“ (მ. 12,25) წინადადებაში **თავსა თვსსა** ირიბი ობიექტია მესამე პირში.

პირველ წინადადებაში — „გარდაიდღე თავი შენი...“ **თავი შენი** პირდაპირი დამატებაა მეორე პირისა იმ შემთხვევაში, რომლის მეორე პირად იგულისხმება სუბიექტიც. „თავი შენი ახდენს **შენ (O^d)** პირის აქტუალიზებას, ქართულ ზმნაში კი არ ხდება სპეციფიკური ფორმით ერთი და იმავე დენოტატის აქტუალიზება სუბიექტად და ობიექტად. სწორედ ამისთვის ენა მიმართავს უკუქცევით **თავი** ნაცვალსახელს, ანუ ობიექტი თავისი **რომელობით** უკუქცევა (= იმეორებს) სუბიექტს — ორივე მეორე პირშია.

ძველ ქართულში პირის ნაცვალსახელად გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელით განსაზღვრული **ველთა** ფორმაც, რომელიც, მსგავსად **თავი** ნაცვალსახელისა, დაცლილია საგნობრიობისაგან. **ველთა** ნაცვალსახელი, როგორც **თავი** ნაცვალსახელი, გვხვდება კუთვნილებით ნაცვალსახელებთან ერთადაც და მათ გარეშეც. კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიუთითებენ პირთა რომელობაზე: **ველთა ჩემთა** | პირია მხოლოდით რიცხვში, უდრის **მე** ნაცვალსახელს, **ველთა ჩუენთა** უდრის **ჩუენ** ნაცვალსახელს... თუმცა ზმნის ფორმით პირის ნიშნის გარეშეც შესაძლებელია კონკრეტულად განისაზღვროს ნაცვალსახელთა რომელობა; მაგ.: „...ხელთა მოგცეს თავი ჩემი...“ („ვეფხისტყაოსანი“, 545,4). პირის ნიშანი **გ-** (მო-გ-ცეს) მიგვითითებს, რომ **ხელთა** კორელატია **შენ** ნაცვალსახელისა — ივარაუდება „ხელთა შენთა“.

ველთა მრავლობითი რიცხვის ფორმაა, მაგრამ, **როგორც ნაცვალსახელს, რიცხვის გაგება დაკარგული აქვს**; რიცხვი ან თანმსლები კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოიცემა (ველთა ჩემთა ~ ველთა ჩუენთა, ანუ მე~ჩუენ), ან ზმნის ფორმაში სათანადო რიცხვის ნიშნით.

ველთა ირიბი ობიექტის აქტუალიზებას ახდენს მაშინ, როდესაც ის არ დაიშვება პირდაპირი ობიექტის გვერდით — ეს არის ობიექტთა პირველი და მეორე პირების კომბინაციები.

$O^d \backslash O^{ind}$	O_1^{ind}	O_2^{ind}	O_1^{indp}	O_2^{indp}
O_1^d		$O_1^d O_2^{ind}$		$O_1^d O_2^{indp}$
O_2^d	$O_2^d O_1^{ind}$		$O_2^d O_1^{indp}$	
O_1^{dp}		$O_1^{dp} O_2^{ind}$		$O_1^{dp} O_2^{indp}$
O_2^{dp}	$O_2^{dp} O_1^{ind}$		$O_2^{dp} O_1^{indp}$	

სქემა A

$O^d \backslash O^{ind}$	O_1^d	O_2^d	O_1^{dp}	O_2^{dp}
O_1^{ind}		$O_1^{ind} O_2^d$		$O_1^{ind} O_2^{dp}$
O_2^{ind}	$O_2^{ind} O_1^d$		$O_2^{ind} O_1^{dp}$	
O_1^{indp}		$O_1^{indp} O_2^d$		$O_1^{indp} O_2^{dp}$
O_2^{indp}	$O_2^{indp} O_1^d$		$O_2^{indp} O_1^{dp}$	

სქემა B

ეს სქემები პირთა კომბინაციებით არ განსხვავდებიან, განსხვავებას გვიჩვენებენ მხოლოდ პირთა მარკირებით, **A** სქემის რეალიზაციის დროს მარკირებულია პირდაპირი ობიექტი, **B** სქემის რეალიზაციისას კი — ირიბი ობიექტი; შეუფასებელი უჯრების კომბინაციები ენაში არ რეალიზდება.

რეალურად შესაძლებელია ერთი ქმედების აქტანტებად პირველი და მეორე ირიბი და პირდაპირი ობიექტები, მაგრამ **ქართულ ზმნას არ შეუძლია მათი ერთად წარმოდგენა სპეციფიკური ფორმით**. ენას ისიც უჭირდა, უკვე არსებული რომელიმე ფორმით დამატებით ეს უჩვეულო კომბინაციებიც გამოეხატა.

ძველ ქართულში იყო მცდელობა (დღეისათვის აღირიცხება 30-მდე შემთხვევა) პირის ნაცვალსახელებით გამოეხატათ ობიექტთა ეს კომბინაციები: მან მე შენ, მან შენ მე, მან მე თქვენ და ა. შ., მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა — ახალ ქართულში ამნაირი შეთავსება პირთა ნაცვალ-

სახელებისა შეუძლებელია (მაგ., მან მომიყვანა მე შენ).

ძველ ქართულში აღნიშნულ ხელოვნურ კომბინაციათა (მან მე შენ) პარალელურად ირიბი ობიექტისთვის გამოიყენებოდა კუთვნილებითი ნაცვალსახელებით განსაზღვრული საგნობრიობისაგან დაცლილი **ველთა** ნაცვალსახელი: „...ნათესავთა შენთა და მღდელთ მოძღუართა მომცეს შენ **ველთა ჩემთა**“ (ი. 18. 35C); შდრ. „ნათესავთა შენთა და მღდელთ მოძღუართა მომცეს **შენ** მე“ (ი. 18. 35). ძველი ქართულისთვის უფრო ბუნებრივია იოვანეს სახარების აღნიშნული (C) ვარიანტი, იგი შემდეგაც ხშირად გამოიყენება, ჩვეულებრივია, მაგალითად, „ვეფხის ტყაოსანში“:

ველთა ჩემთა, როგორც ი. იმნაიშვილი წერს, სინტაქსურად უდრის **მე** ნაცვალსახელს. ი. იმნაიშვილი არკვევდა ობიექტურ პირთა მარკირების წესებს „უმცროსს-უფროსობით“ (უმცროსი იყო I პირი II პირთან შედარებით...),¹ ამიტომ დასჭირდა „სინტაქსურ **მე**-ზე მითითება.

ი. იმნაიშვილი ანალოგიურ შემთხვევებზე უთითებს კოსტანტი კახის წამების ძეგლში:² (1) „აჰა ესერა მოგუცნა თქუენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ველთა ჩუენთა“ და იქვეა პასუხად: (2) „ღმერთმან მიგუცნა ველთა თქუენთა“.

პირველ წინადადებაში **ველთა ჩუენთა** ირიბი ობიექტია I პირში და მრავლობით რიცხვში, **თქუენ** კი პირდაპირი ობიექტი, რომელიც მრავლობითობის -ნ სუფიქსით არის მატერიალურად გამოხატული; **მი-** ზმნისწინიც I პირის ირიბ ობიექტზე (აღრესატზე) მიუთითებს: **ველთა**-ს ადგილზე რომ **მტერთა** (მესამე პირი) ჩავსვათ, ზმნისწინიც შეიცვლება და შესაბამისად პირის ნიშანიც. (3) „ღ-ნ მიგცნა თქუენ მტერთა ჩუენთა“. ანალოგიური მსჯელობით „მიგუცნა ღმერთმან ველთა თქუენთა“ წინადადებაში **მი-** ზმნისწინი გამოხატავს ორიენტაციას I პირიდან, ანუ მოლაპარაკიდან II პირისკენ — აღრესატისკენ, რომელიც სამპირიან ზმნებში ირიბი ობიექტით გამოიხატება.

ძველ ქართულში, განსხვავებით ახალი ქართულისგან, I და II პირებს შორის მიმართულებას **მი-** და **მი-** გამოხატავდნენ; მაგ.: „ორი ქანქარი მომეც მე (შენ)“ მ. 25,20; შდრ. „შენ მიგეც (მე) ველმწიფებად“ ლ. 4,6.

შეიძლება დავასკვნათ: **ველთა ჩუენთა** განაპირობებს **მი-** ზმნისწინს, ხოლო **ველთა თქუენთა** — **მი-** ზმნისწინს: „ღმერთმან მიგუცნა **ველთა თქუენთა**“.

¹ ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 319.

² ცხორებად და წამებად წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯავარისა მიერ; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946; შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი; გვ. 76.

აქ უთუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულშივე **მო-** ზმნის-წინით II პირისკენ მიმართული ქმედების გამოხატვაც დაიწყო („ითხოვდი და მოგეცეს თქუენ“ მ. 7,17; „მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე“ ლ. 21.15). ასეთ შემთხვევაში საქმე წყდება ირიბი ობიექტის ჩვენებით.

მოგუცნა ველთა ჩუენთა თქუენ — ქმედება მიმართულია I პირის ობიექტისკენ; **მიგუცნა** ველთა თქუენთა ჩუენ — ქმედება მიმართულია II პირის ირიბი ობიექტისკენ. ფორმათა ანალიზიც შესაბამისად განსხვავებულია.

(1) მო-გუ-ც-ნ-ა **ველთა ჩუენთა** თქუენ: გუ- პრეფიქსი გამოხატავს ირიბ ობიექტს I პირში და მრავლობით რიცხვში („ველთა ჩუენთა“); -ნ სუფიქსი კი — პირდაპირი ობიექტის (**თქუენ**) სიმრავლეს.

(2) მი-გუ-ც-ნ-ა **ველთა თქუენთა** ჩუენ: როგორც გუ- პრეფიქსი, ისე -ნ სუფიქსი ეკუთვნის O^{dp}_1 -ს, ირიბი ობიექტი საერთოდ არ არის მარკირებული მატერიალურად, გრამატიკულ ჩანაწერში იგი ნულოვანი ალომორფით გამოიხატება, მი-გუ-~~თ~~-ც-ნ-ა **ველთა თქუენთა**.

Tedo Uturgaidze

The Pronoun *qelta* in a Role of an Indirect Object in Old Georgian

S u m m a r y

A common noun **qelta** “a hand”, in a dative plural case – **qelta** having lost subjectivness, became a pronoun in a role of an indirect object, a person and a number of which are determined by possessive pronouns, e. g.: **qelta čemta** “to me” (lit. “In my hands”), **qelta tkventa** “to you” (lit. “In your hands”), etc.

Georgian has not got specific form for tri-personal verbs the actants of which are direct and indirect objects in combination of I and II person. In the present situation a language uses a verbal form, which one of objects is in III person (e. g.: **romelman mimca me šen** “...who delivered Me up to you...”. John., 19, 11.). The form **mimca** has the actants $S_3O^d_1O^{ind}_3$ means “he delivered (me to him)”, or with a pronoun **qelta** in a role of an indirect object: **romelman mimca me qelta šenta** “Who delivered me to you”. Old Georgian prefers the second version and not very seldom uses it.

ნატო შავრეშიანი

ერთი მაქვემდებარებელი კავშირის შესახებ სვანურში

სვანური რთული ქვეწყობილი წინადადება ქართულის მსგავსად მდიდარია მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებითა და კავშირებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის საკავშირებელი სიტყვები. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ **აღშე||აღო** მაქვემდებარებელ კავშირზე, რომელიც ქართული „თუ“-ს ფუნქციურ-სემანტიკური შესატყვისია.

აღშე კავშირი მაქვემდებარებლის ფუნქციით გამოიყენება ლენტეხურსა და ჩოლურულში, შესაბამისად დასტურდება სხვადასხვა დიალექტური ვარიანტები: **აღშე || ეღშე || ეშე || აშე** (ლნტ.), **აღო || ეღო || ოღო || აღშე** (ჩოლ.), ეს უკანსკნელი (**აღშე**) ძირითადად გამოიყენება საყდრულ მეტყველებაში, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა ლენტეხთან.

ცნობილია, რომ სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც, „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით სხვადასხვა კავშირებია გამოყენებული, მაგ.: **ერ || ე, ლახ || ალახ, ჰე || ე, ნმა || ნმო, ნსა** და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ზოგ მათგანს (**ერ || ე, ლახ || ალახ**) პარალელურად „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს. რაც შეეხება **აღშე || აღო** კავშირს, ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ „თუ“-ს მნიშვნელობით დასტურდება და ქართული „თუ“-სგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ მაქვემდებარებლის ფუნქცია აქვს.

ეღშე || ეღო კავშირი ხმარების სიხშირით ლენტეხურსა და ჩოლურულში თითქმის ერთნაირ სურათს გვიჩვენებს და პარალელურად წინადადებაში შეიძლება ჩაენაცვლოს „თუ“-ს მნიშვნელობით გამოყენებულ **ლახ, ერ || ე, ნმო, ნსა** კავშირებს:

ანდელს **ერ || ეღო** ლი აუდარ, იმთე ესდრი? (ჩოლ.) „მოსალოდნელი თუა ავდარი, სად მიდიხარ“?

აჯახ ლოქ **ერ || ეღო** ქა ხეჭუნე, ცოდ მიჩ ლოქ ხერი (ჩოლ.) „კიდევ თუ ეტყვიო, ცოდვა შენ გექნებაო“.

ლეზობდ **ლახ || ეღო** მრ ხაყა, დარ იზბი (ჩოლ.) „საჭმელად თუ არ

ვარგა, არავინ ჭამს".

ალე ლოქ **ე** || **ელო** მრ ხაკუჩ, ჯეღ ლოქ ადეს დეხუდ (ჩოლ.) „ეს თუ არ გინდაო, მე („თვითონო“) წავიყვანო („წაიღებს“) ცოლად".

ე || **ეში** ლოქ ხოცხა, ლწდეღიტ ადამე (ლნტ., 178) „თუ ურჩევნიაო, დღესვე წაიყვანოსო".

ემა || **ელო** ეხმეჯრი, ეზარ, **ე** || **ელო** მრდნე კინჩხუ ჯიყუბიფა (ჩოლ.) „თუ გაიგებ, კარგი, თუ არადა კისერიც გიტეხია".

ესა || **ელო** მგრ ჯაკოკმან, ჩტაქუც (ჩოლ.) „თუ გეეჭვება („გეყოყმანება“) გაჩუმდი".

აღნიშნული კავშირი ძირითადად გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

ელჟე || **ელო** კავშირის შემცველი წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას. თუ წინ უსწრებს, მაშინ წინადადება იწყება **ელო**-თი ან მოქცეულია დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო თუ მოსდევს **აღჟე**, ძირითადად დამოკიდებულ წინადადების შუაშია, ყოველთვის შემასმენლის წინ, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას აღნიშნული კავშირი იწყებს.

მაგალითად, დამოკიდებული წინ უსწრებს მთავარს და **ელო** კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას:

ელჟე შიდ ხუღჟე ლიც ფედიას, ჟწლცუენხ (ლნტ., 27.) `თუ (ხელდახელ) ახლოს აქვთ წყალი, რწყავენ".

აღჟე მენგერე ლი, ჩუ ხტატაბედ (ლნტ., 22.) „თუ მსხვილია, ჩამოვთლით".

აჟე ჟი დემ ხტახრაკაჟიდ, ეჩქა ქა ხტაქტუტურედ ნაწილალს (ჩ.წ. , 39.) „თუ არ ეხრაკავთ, მაშინ ვაჭრით ნაწილებს".

აჟე ქათაქანდნე, ეჩქა იშკენ ხაფშუტე (ლნტ., 42.) „თუ ააცილებს, მაშინ სხვა ესვრის".

ეჟე || **ელჟე** პატურენ მარას ქა დემ აწყიდნა, ეჩქა ქა ჟედდახ ჯოდიახო (ლნტ., 89) „თუ პატრონი კაცს ვერ გამოისყიდდა, მაშინ გაყიდნენ შორს".

ელო ხაკაფხ დინა ლიცტურე, ეჩქა ჩუ ცურეხ (ჩოლ.) „თუ სურთ გოგოს დატოვება, მაშინ ტოვებენ".

დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, **ელო** კავშირი კი დამოკიდებული წინადადების შუაშია (ყოველთვის ზმნის წინ):

მიჩა ცხარალს ლოქ **ელო** ქა ხათონნეხ, ეჩქა ჩუ ლოქ ხანნე ლელჟს (ჩოლ.) „ჩემ ფრჩხილებს თუ მასწავლითო, მაშინ გაჭმევო ხორცს".

ნაუჯედას ლოქ **ოლო** დემ იჩო, ლადელ ნარიდ ეშნ ლოქ ანჯად (ჩოლ.) „მოუსგლელობას თუ არ იშლიო, დღის სინათლეზე მაინც მოდიო".

ჭყანტ თაშ **აღჟე** მანდ გულჟა, ჩუ ხტაბქჟედ ლგჯიმ თაშს (ლნტ., 35) „ჭყინტი ყველი თუ არ გვაქვს, ვალბობთ მარილიან ყველს".

ლევდ ლოქ **აღუე** არი, დოხდუირს ლოქ ვიდეს (ლნტ., 49) „ავად თუ არისო, ექიმს მოვიყვანთო“.

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია მოქცეული:

ზურალ ჟი ხეკუეს ალგენელას, დვაჟმარეს **ეჟე** ადაშიაშოლ (ქ.წ., 59) „ქალი უნდა ამდგარიყო, თუ კაცს უხსნიდა ხელს“.

მიშკუაშხოიჯ ანჯეს, ჩუ **ელჟე** იმეიჯ არიხ (ლნტ., 74) „ჩემთან მოვიდნენ-თქო, თუ სადმე არიან-მეთქი“.

ქა ლოქ ხაუდი დნნას, მინე ჭყინტ ლოქ **ელო** ახსერნე (ჩოლ.) „მოგცემო ქალიშვილს, თუ თქვენი ბიჭი აჯობებსო“.

აჯახუ ლოქ ატახ, ნწყირ ლოქ **ელო** ხაკუ (ჩოლ.) „კიდევ დაბრუნდიო, თუ გინდაო ცემა“.

მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას იწყებს **ელო** კავშირი:

ეჩქა შიე გუთიგუქა ზისხ ლოქ ახოვედენი, **აღუე** ლოქ მიჩა ჯუმილს მანდა ხეყერენი (ლნტ., 167) „მაშინ ხელის გულიდან სისხლი წამომივამო, თუ ჩემ ძმას არაფერი დაემართებაო“.

დიეშ ი მუე გეზალს, **აღუე** ჭყინტ ლი, ჭყინტ გეზალ ხაჟახა (ლნტ., 19) „დედ-მამის შვილს, თუ ბიჭია, ვაჟიშვილი ჰქვია“.

ჩუ ლოქუ ანჯად, **აღუე** ლოქ ხოჩა დანუ ლეს (ლნტ., 135) „ჩამოდიო, თუ კარგი დევი ხარო“.

იმთე ლოქ ხაჟმა, **ელო** ლოქ მრ ხათრონა (ჩოლ.) „სად მისდევდიო, თუ არ იცნობდიო“.

არის შემთხვევები, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული:

ეჩანლონენ, **ელო** ჯეკუდრ, ჟეკედხი (ჩოლ.) „მერე, თუ გენდომება, აიღებ“.

ამენლო, **ელო** ლოქ ხაკუ, აჯახუ ლოქ ატახ (ჩოლ.) „აწი, თუ გინდა, კიდევ დაბრუნდიო“.

ათოჭკუარა, **ერე ეჟე** (||**აღუე**) ქადასკინოლ, ქა ხაჩეშნა სკუტებინ ღუაშნარს (ლნტ., 87) „უფიქრია, თუ გადავხტები, გაუსწრებო წინ ჯიხვებს“.

რიგ შემთხვევაში **აღუე||ელო** კავშირი შეიძლება ჩართული იყოს პრევერბსა და ზმნას შორის. პრევერბისეული ხმოვნისა და მაქვემდებარებელი კავშირის ხმოვნების (**ა, ო, ე**) შეხვედრა ჩოლურულში ხმოვნის დაგრძელებას იწვევს:

ქ'ნლო ხაუდი, ქა ხალორის (ჩოლ.) „თუ აძლევ, აღირსე“.

ქ'ნლო ხატულდა ეშნ, ეჩქა იმ მაბოდატნა (ჩოლ.) „თუ დაუძახებდა მაინც, მაშინ რას მაბოლიალებდა“.

ლენტეხურში დასტურდება შემთხვევები, როდესაც **აღუე**-ს ახლავს **ერე** „რომ“ კავშირი, თუ წინ უსწრებს **ერე**-ს, **აღუე** კავშირის ხმოვნის შეხვედრა **ერე** კავშირის ხმოვანთან ჩვეულებრივ ელიზის იწვევს:

აღუ'ერე (**||ელუ'ერე**) ზისხ გარ ლი, ეჩქა ჯიმს ხანაჩდეს (ლნტ., 61) `თუ სისხლი მარტოა, მაშინ მარილს ურევენ".

აღუ'ერე შიშტ დემ ადდაგარი ხამ, ჟი ხეკუეს ლახაჭკორის ფოჩლიკარ (ĖĪŌ., 61) `თუ მალე არ მოკვდება ღორი, უნდა დააჭრან ფეხები (ჩლიქები)".

აღუ'ერ ასლანბექ მესემე ლადელ დემ ანვედენ, ეჩქა აღმანის ჟ'ანაჯაზნახ (ĖĪŌ., 140) `თუ ასლანბექი მესამე დღეს არ მოვიდოდა, მაშინ აღმანის მოხარშავდნენ".

აღუე ლოქ ერე სამართლიან ლესეს, ეჩქა ხოჩამდ ლოქუ ამეტეხლი (ĖĪŌ., 153) `თუ სამართლიანი იყო, მაშინ კარგად დაბრუნებულიყავიო".

მიჩ ათოჭკუარა, **ერე ეუე** (**||ადვე**) ჭადსკინოლ ჭა ხაჩემენა სკუტებინ ღუამარს (ĖĪŌ., 87) `თვითონ უფიქრია, თუ გადავხტები, გავუსწრებო წინ ჯიხვებს".

ელოს აქვს `თუ კი"-ს მნიშვნელობაც, ზოგ შემთხვევაში დამატებით შეიძლება დაირთოს **ნსა**, **ნმა** კავშირებიც, თუმცა დამოუკიდებლადც გადმოსცემს `თუ კი"-ს სემანტიკას:

ჩუ **ელო [ნსა]** ამშიხნეხ, ფერფლ ნოსა აშედა (ჩოლ.) `თუ კი დამწვავენ, ფერფლი არ გადაყარო".

ჩუ **ელო [ნმა]** ეხრეკი, ეჩქა ხაკუ ლიმურჯი (ჩოლ.) `თუკი ჩამოეკიდება, მაშინ უნდა მიხმარება".

პირობით დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებაში ხშირად წარმოდგენილია საკორელაციო სიტყვა **ეჩქა** `მაშინ", თუ გამოტოვებულია, მისი აღდგენა ადვილად შეიძლება:

აჟე მანგს ჭ'აშდე, ეჩქა ჟ'ანკედ გაკარს (ĖĪŌ., 42) `თუ ყველას გადაყრის, მაშინ ყველას აიღებს".

ეჯი **აჟე** ჭ'აშდე, ეჩქა ჟ'ანკედ გაკარს (ĖĪŌ., 42) `ის თუ გადაყრის, მაშინ აიღებს კაკალს".

გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში **ელო** კავშირი შეიძლება კითხვით სიტყვებთან ერთად დადასტურდეს:

ელო ნეე ხემგენი გეზალ, ჩიანგ ხეთხელი (ჩოლ.) `თუ სადმე ეგულება შეილი, ყველგან ექებს".

ელო ნეხენ ხარ ანდელს, ლეთი-ლადელ ხემარალ (ჩოლ.) `თუ საიდანმეა მოსალოდნელი, დღედაღამ ემზადება".

მიშკუთაშხოიჯ ანვეხ ეჯმინ, ჩუ **ელუე** იმეიჯ არიხ! (ĖĪŌ., 74) `ჩემთან მოვიდნენ-თქო ისინი, თუ სადმე არიან-თქო".

აღნიშნული კავშირი დაირთავს უარყოფით ნაწილაკებს და გვაქვს შემდეგი ფორმები: **ელო დოშ** `თუ არ", **ელო მრდ** `თუ არ", **ელო დრმ** `თუ არ", **ელო დეშ** `თუ ვერ", **ელო მნდ** `თუ არ" (ჩოლ.), **აღუე მანდე** `თუ არა-

და", **აღჟე მადშუ** `თუ ვერ", (ლნტ.).

საბოლოოდ შეიძლება დაეასკვნათ, რომ სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით ლენტეხურიც და ჩოლურულიც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში **`თუ** კავშირის მნიშვნელობით **აღჟე||ელო** კავშირს ანიჭებს უპირატესობას.

ელო მაქვემდებარებელი კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალია, ასევე თავისუფალია **ელო**-ს პოზიცია თვით დამოკიდებულ წინადადებაში (ან იწყებს ან შუაშია მოქცეული), თუმცა ყოველთვის წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ **ელო** კავშირის გამოყენება საკმაოდ სისტემურია, უფრო მეტიც, ჩოლურულიდან განსხვავებით ლენტეხურის პირობით დამოკიდებულ წინადადებას სხვა მაქვემდებარებელი კავშირი თითქმის არც გააჩნია (ერთადერთი **ე** კავშირიანი მაგალითი დადასტურდა პროზაულ ტექსტებში).

ლიტერატურა

1. სვანური პროზაული ტექსტები, ლენტეხური კილო, III, თბ., 1967

Nato Shavreshiani

On One Subordinative Conjunction in Svan

S u m m a r y

At the end we can conclude, that, differently from other dialects, Lentekhian and Cholurian of Svan predominant **აჟე||ელო** conjunction with the meaning of a **u** "if" conjunction in a conditional subordinate clause.

A place of a subordinate clause with **ელო** subordinate conjunction is free, also position of **ელო** in a subordinate clause (it begins or is in the middle of it), is free, though it always precedes a verb-predicative.

It must be emphasized, that an analytical conjunction formerly coincides with **აჟე||აჟე** conjunction in all dialects (in most cases in Lentekhian). Their differentiation is easy according to context.

An analyzed material demonstrates, that using of **ელო** conjunction is systemic,

the more, differently with Cholurian, Lentekhian conditional subordinate clause almost has no other subordinative conjunction (one example with **e** conjunction was attested in prosaic texts).

მერაბ ჩუხუა

დამატებითი მასალები საერთოქართველური ფუძე-ენის
ლექსიკური ფონდისათვის

ქართ. **გუმი**-ინ-ი „ველური ტრედი“ (საბა), ზან. (ლაზ.) **გურძ**-ულ-ი „მტრედის სახეობა“, სვან. **გუაწ**-ად „მგალობელი ჩიტი“; ბულბული; ახსნას ითხოვს სვანურის **ა** გახმოვანება (ასიმილაციურია? შდრ. მომდევნო -**ა** დაბოლოება). ქართული -**ინ**, ლაზური -**ულ** და სვანური — **ა** დამოუკიდებელი ფორმანტებია; ისინი ერთმანეთამდე არ დაიყვანება.

ს.-ქართვ. ***გუმი**- „მტრედის სახეობა“

ქართ. **ბენ**-/**ბინ**-/**ბნ**- „შეკვრა, შებნევა“, ი-**ბნ**-ევ-ს, სა-**ბნ**-ევ-ი, ზან. (მეგრ.) ო-**ბინ**-ა-ლი „შესაბნევი“, ო-**ბინ**-უ/**ბინ**-უ-ა „შეკვრა“, უ-**ბინ**-უნ-ს „უბნევა“, გო-**ბინ**-ილ-ი „შეკრული“, სვან. ლი-**ბნ**-ე „შეკვრა, შებნევა“, ლე-**ბნ**-ა „ლილი“, ი-**ბნ**-ე „შეიკრავს, შეიბნევა“; ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 102-103], აქვე შემოდის სვანური **ბნ**- ზმნური ძირიც, რომელიც, ისევე, როგორც ქართული შესატყვისი, რედუცირებულ სახეობას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. ***ბენ**-/**ბინ**- „შეკვრა, შებნევა“

ქართ. **ყვაბ**-ი „ნესტიანი ამინდი“, სვან. **ყღუაბ** „თოვლინარევი ტალახი“; ეს დაკავშირება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ს.-ქართვ. ***ყ**→ქართ. **ყ**: ზან. **ყღ**; სვან. **ყღ** ბგერათშესატყვისობის რეალურობას (რ.აბაშია). რატომღაც ზანურ-სვანურში მოსალოდნელი **ყგ** კონსონანტური თანმიმდევრობის ნაცვლად მისი სპირანტიზებული სახეობა გვეძლევა — **ყღ**←***ყგ**?

ს.-ქართვ. ***ყუაბ**- „თოვლინარევი ნესტიანობა“

ქართ. (იმერ.) **ჩილ**-ი „რბილი“, სვან. **ჩქელ** „ქორფა“; ეს ქართველური ფუძეები არ გამოიყვანება ს.-ქართვ. ***ჩიჩჷ**-ილ- (ქართ. ჩიჯლ-ი, ზან. ჩიჩქუ) არქტივისაგან და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ჩ**: სვან. **ჩქ**.

ს.-ქართვ. ***ჩილ**- „რბილი; ქორფა“

ქართ. (იმერ.) **ცუხ**-ი „გაიძვერა, უვარგისი კაცი“, ზან. (მეგრ.) **ცულ**-ი ←***ცუხ**-ი „ქვეშ-ქვეშა კაცი“, **ცულ**-ალ-ა//**ცულ**-ობ-ა „ქვეშ-ქვეშობა“, სვან. **ცუხჷ** „ენამწარე, ავი ადამიანი“, სვანურში ბოლოკიდური უ სონანტი წინამავალი ძირისეული უ ხმოვნის ასიმილაციური გავლენით განვითარდა.
ს.-ქართვ. ***ცუხ**- „გაიძვერა, ავი, ქვეშ-ქვეშა (ადამიანი)“

ქართ. (იმერ.) **ბუგე** „ყრუ“, **ბუგე**-თ ისმოდა „ყრუდ ისმოდა“, ზან. (მეგრ.) **ბუგა** „შეუსმენელი, ვინც ვერ იგებს სხვის ნათქვამს“, „დებილი“; საყურადღებოა აუსლაუტური ქართ. **ე**: ზან. **ა** ხმოვნური ბგერათშესატყვისობა, რაც არაიშვიათად გამოჩნდება, შდრ. ქართ. მაკე: ზან. მო(ნ)კა, მაგრამ ქართ. ყურე: ზან. ყურე „მხარე“...
ს.-ქართვ. ***ბუგ-ე** „ყრუ, შეუსმენელი“

ქართ. **გუშინ**, ხევს. **გუშინ**-ა „წარსული“, სვან. **ღოშგინ**//**ღუშეშგინ**//**ღუშეშგინ** „ბოლო“; გარდა სემანტიკური სხვაობისა, ასევე პრობლემური ჩანს თავკიდური ქართ. **გ**: სვან. **ღ**//**ღ** ბგერათშესატყვისობაც (შდრ. ქართ. **გენ**-ი: სვან. **ღენ**←***ღინ**-ჷ „ხბო“). თუმცა არ გამოირიცხება ისტორიულად **გ** ლ გუტურალთა ფონეტიკური დართვა (ვ. თოფურია).
ს.-ქართვ. ***ღეშინ**- „წარსული; ბოლო“

ქართ. **მარა**, ზან. (მეგრ.) **მორო** „აბა“, ლაზ. **მორო** „id“, სვან. **მარ(ე)** „არამედ“; ქართულ-მეგრულ ფუძეთა ერთიანობაზე მიუთითა პროფ. ვ. შენგელიამ [შენგელია 2007:]. მეგრულში **მორო** მხოლოდ ქართულიდან შესულ **აბა** ფორმასთან შესიტყვებაში გამოიყენება: **აბა, მორო** მუ უჩქულუ „აბა, რა იცოდა“.
ს.-ქართვ. ***მარ-ა** „მაგრამ; არამედ“

ქართ. **წილ**-ი, ნა-**წილ**-ი, სვან. **კილ** „წილი“; იგივე **წილ**- ძირი შეიძლება ჩანდეს ძვ. ქართ. **წილ**-, მო-**წილ**-გ-ა: ზან. **წილ**←**კილ**- „კრეფა“ ზმნურ ძირებშიც.
ს.-ქართვ. ***წილ**- „წილი, ნაწილი; გამონაწევრება“

ქართ. **წიქარ-ა** „წითელი ზროხა ZA; წითელი B“ (საბა), ზან. (მეგრ.) **წიქორ**-ი „წითელი“, **წიქორ**-ია, **წიქორ**-ი-ძე (ანთროპ.), სვან. **წიქრ**-ა „წითელა“; ქართველურ ძირთა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს. საყურადღებოა გურულ დიალექტში ფიქსირებული მეგრული გახმოვანების **წიქორ-ა**//**წიქორ**-იე „მწითური“ ალომორფები, რომლებიც ზანიზმად უნდა იქნეს კვალიფიცირებული.
ს.-ქართვ. ***წიქ-არ**- „წითელი, მწითური“

ქართ. **წერო**, ძვ. ქართ. **მწერო**, **წერო**-ძე (ანთროპ.), ზან. **ჭარო** „ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“ (საბა), **ჭარ**-აია (ანთროპ.), სვან. **ჭრ** „ყარყატი“; ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია [როგავა 1988: 59-60; კლიმოვი 1998:309]. მათვე უკავშირდება სვანური **ჭრ** ალომორფიც — **ჭრ**←***ჭერუ**←***ჭერო**. **ჭრ** „ყარყატი“ მკაცრად უნდა გაიმიჯნოს სვან. **ჭუნერ/ჭუნერ** „ყვავი“ ფუძისაგან (იხ. ქვემოთ).
ს.-ქართვ. ***წერ-ო** „წერო; ყარყატი“

ქართ. **კვირ**-იონ-ი „მესკია, ერთგვარი ფრინველი (ჩიტი)“, **კვრ**-იონ-ი (ფრინ. საბა), ზან. (ლაზ.) **კვარ**-ოჯ-ი//**კვა**-ოჯ-ი, მეგრ. **კვარ**-ია „ყვავი“, სვან. **ჭრ/ჭუნერ/ჭუნერ/ჭერ** „ყვავი“; სვანური შესატყვისები განვითარდნენ **კ**-ს პალატულიზაციის მომდევნო საფეხურზე აფრიკატიზაციის გზით — ***კუნერ** // ***კრ**→**ჭუნერ/ჭრ**. ზანურ დიალექტთა **ა** განზოგადება სვანურის **ე**-სთან ერთად ქართულისთვის ამოსავალში **ე** ხმოვანს გვავარაუდებინებს — **კვირ**-იონ-ი←***კვერ**-იონ-ი; ანუ **ე**→**ი** მომდევნო **ი**-ს ასიმილაციური ზეგავლენით განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***კუნერ**- „ყვავი“

ქართ. (ხევს.) **ა-თეკ**-ა „ღვლერძა“, ზან. (მეგრ.) **თიკ**-ი „ტყის ფოთლოვანი მცენარე“, სვან. **თეკ**-რა „ბოკვი; ნეკერჩხალი“; ქართულში თავჩენილი ანალუტური **ა** საკუთრივ ხევსურული დანართია, შდრ. ქართ. სილა, ხევს. **ასილა** „ლუდის კასრი“. ასე, რომ ქართულისთვის აღსადგენია ***თეკ**-ა სახეობა, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **თეკ**-რა, ზან. **თიკ**-ი ალომორფები.

ს.-ქართვ. ***თეკ**- „ღვლერძა; ბოკვი“

ქართ. **ბაკან**-ი „ხის ჯამი, გინა კუს ზურგი; ხის პინა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბოკონ**-ი 1. „გულამოღებულ ხის ჭურჭელი, კასრი“; 2. „სახლის საძირკვლის ბურჯი, ბოძი“, სვან. **ფაკან/ფაკან/ფაკან**-ი „ჯამი“; ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (გურული, იმერული, ლეჩხუმური) ფიქსირებული **ბოკონ**-ი ზანიზმი ჩანს. თითქოს მსგავს პოზიციაში არ იყო მოსალოდნელი სვანური **ბ** ფონემის დაყრუება — ***ბაკან**→**ფაკან**, მაგრამ შდრ. ქართ. **ბაყვ**:- სვან. **ფეყუ/ფოყ**-რა „გავა“.

ს.-ქართვ. ***ბაკან**- „ამოღრმავებული ჭურჭელი; კუს ზურგი“

ქართ. **გვარ**-, ხევს. **გვარ**-ძვალ-ი „ტყავ-ძვალი“, სვან. **გუნერ**-ე//**გუნარ**-ე // **გუნერ**-ე „ტყავი“; ხევსურულ **გვარ**- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება სვანურ **გუნერ**-//**გუნარ**- ალომორფები. სვანურის **ე** დაბოლოება სახელობითი

ბრუნვის ფორმანტი ჩანს, შდრ. მარ-ე „კაცი“.

ს.-ქართვ. *გუარ ~ „ტყავი“

ქართ. ხარდან-ი „სარი, ჭიგო“, „სარიანი ვენაჯი დაბალი“ (საბა), აჭარ. „პირშუშხა“ (მც.), გურ. ერთგვარი ვაზის ჯიში“, ზან.(მეგრ.) ხორდომ-ი → /ხურდუმ-ი „ჯირკის გროვა, დაწყობილი შეშა“; მეგრულში ო → ლ მონაცვლეობა შეპირებულია მეორეული (ნ → მ) ფორმაციის ბილაბიალური სონორის ზეგავლენით.

ს.-ქართვ. *ხარდ-ან „სარი, ჭიგო; ჯირკი“

ქართ. ხუმ-, გურ. ხუმ-ურ-ო „სადირკვლის ქვედა არე“, სვან. ხუნ „სადირკველი“; ქართულ ხუმ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ხუნ ალომორფი. მ → ნ ნაზალიზაციის სპონტანური პროცესი სვანურში ხშირად გამოჩნდება, შდრ.: სვან. ნახე „იარალი“ — ქართ. მახე; სვან. ჯინირ „ციყვი“ — ქართ. ძამლ-ი; სვან. ნჩუერ „ძნებად კონვა“ — ქართ. მცვრევა-... ს.-ქართვ. *ხუმ- „სადირკველი“.

ქართ. წყურ-, ტაბა-წყურ-ი (ტობ.), ა-წყურ-ი (ტობ.), ზან. (ლაზ.) წკუ-ილ ← წყურ-ი „წყარო“, მეგრ. მა-წყურ-ია „დეღე სოფ. ერგეტაში (ზუგდიდი)“, ფუ-წყურ-ი ← *ფუქ-წყურ-ი „სოფლები აჩიგვარასა და წარჩის თემში“ [ცხადია, 2003:301]; ქართულსა და ზანურში ოდენტოპონიმიკურ მასალაში შემორჩენილი წყურ- ძირი ლაზურში დღესაც წყაროს მნიშვნელობით ცოცხალ მეტყველებაში დასტურდება, ოდონდ — ლაზ. წკურ-ი ← წყურ-ი. ცხადია, წყურ- საერთოქართველურ ფუძე ენაშიც არსებობდა.

ს.-ქართვ. *წყურ- „წყაროს სახეობა“

ქართ. ბარდ-ა „კულტურული პარკოსანი მცენარე“, კატა-ბარდ-ა (საბა), ზან.(მეგრ.) ბოდორ-ია „ბალახის სახეობა, იგივე მათატი(=მეფეტვია)“; მეგრულის ჩვენება ძვირფასია ქართული ფორმის ისტორიის დასადგენად. ირკვევა, რომ ბოლოკიდური რ ვიბრანტი ქართულში გადასმულია დ-ს წინა პოზიციაში — ბარდ- ← *ბადრ-, რაც არ ჩანს უნიკალური მოვლენა, შდრ. ქართ. მკერდ-ი ← *მკედრ-ი: ზან. კიდირ-ი. ამდენად, ქართ. ბარდ-: ზან. ბოდორ- ფუძეთა ურთიერთმედარება ფუძეეწერი მდგომარეობისთვის *ბადარ- არქეტიპის რეკონსტრუქციას უჭერს მხარს.

ს.-ქართვ. *ბადარ- „ბარდა“

ქართ. გან-ი, გან-იერ-ი, გან-ის-ი (ტობ. ყაზბეგში), ზან. გონ-, მეგრ. გონ-ილ//გონ-იორ-ე „განიერი“, გონ-ა (ტობ. ონში), შდრ. გონ-ილ//გონ-ია (ტობ. ლაზეთში); ქართულ გან- ძირს ზანურში კანონზომიერად შეესა-

ტყვისება **გონ**- ფორმა — **ა: ო**, რასაც მხარს უჭერს ქართველური ტოპონი-
მიკა. აქვე შემოდის სვანური **ლგ-გან//ლგ-გენ//ლგ-გან** „განიერი“ დერიატე-
ბიც, შდრ. ქართ. **გან**:- ზან. **გო←*გონ**- „ზმნისწ.“

ს.-ქართვ. ***გან**- „განი, განიერი“

ქართ. **ღარ-ი**, სიტყვაში **ღარ-ტაფ-ი** „ღელე“, ზან.(ლაზ.) **ლოჯ-ი**
„ეზო, მინდორი“, სვან. **ღარ//ღარ** „ველი, ხეობა“; ქართულ-სვანურ **ღარ-**
ფუძის ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი ჩანს ლაზური
ლოჯ-ი სიტყვა, შდრ. ბგერათშესატყვისობა **ა: ო, რ: ჯ**. სემანტიკური კორე-
ლაცია *ველო-ღელე-მინდორი* ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. ***ღარ-** „ველი; ღელე; მინდორი“

ქართ. **მაწონ-ი**, ზან. (მეგრ.) **მარწვინ-ი** „მაწონი“, სვან. **მერწჷ** „ყვე-
ლი და კარტოფილი ერთად მოხარშული“; სვანურის ჩვენება, ძირის გა-
ხმოვანების თვალსაზრისით, ემთხვევა ამოსავალ ვითარებას. ე.ი. ქართულში
სავარაუდო ჩანს **ე→ა** გადაბგერება. გასარკვევია, ჰქონდა თუ არა საერთოქარ-
თველურ არქეტიპს **რ** სონორი, რომელიც ზანურ-სვანურში მკვიდრადა ზის.

ს.-ქართვ. ***მე(რ)წჷ-ენ**- „მაწონი; ყველი“

ქართ. **ფოსონ-იკ-ი** „დედათ ლხინთ გამრიგე დიაცი“ (საბა), „მასპინ-
ძელი“, სვან. **ფუსდ//ფუსნ//ფუსჷნ//ფუსტ** „ბატონი, მფლობელი, მეუფე“;
სვანური ალომორფებიდან უძველესი ჩანს ბალსზემოური და ლამხური
ფუსჷნ(←*ფუსუნ) სახეობა, რომელიც ქართულისთვის ამოსავალში ***ფო-
სონ-რიკ-** არქეფორმის არსებობას გვაგარაუდებინებს. ბუნებრივად გვეჩვენე-
ბა აქ ფიქსირებული სემანტიკური ოპოზიციაც — *მასპინძელი-ბატონი*. ასე-
ვე ქართველურ ძირებთან არის უთუოდ დაკავშირებული ჰურიტული **მუშ-
ნი** „დედოფალი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. ***ფოსონ-** „ბატონი, უფალი; მასპინძელი“

ქართ. **გმურ-ი** „წელშუბა“ (საბა), ზან.(მეგრ.) **გუმურ-ი** „შუბი, საო-
მარი იარაღი“; მეგრული **გუმურ-** ცალსახად მიუთითებს ქართულში მო-
მხდარ ფუძის რედუქციაზე ისტორიულად — ***გამურ-ი→გმურ-ი**. გურულ-
ში დასტურდება **გუმურ-ი** „შუბი“, რაც ზანურ წყაროს გულისხმობს. სა-
ყურადღებო ლექსიკურ იზოგლოსად გვესახება აფხაზურ-აბაზური **ა-გ'გურ→
//ა-გურ** „ნემსი“ ფორმა.

ს.-ქართვ. ***გამურ-** „შუბი, ხელშუბი“

ქართ. **ბედ-ი** "ცუდი", **ბედ-ით-ი** „ცუდი, უვარგისი“, ზან. (ლაზ.) **ბად-ი**, **ბად-ობ-ა//ბად-ალ-ა** „ბოროტება“; ქართული **ბედ-** ძირიდან **-ით** სუფიქსით არის ნაწარმოები **ბედ-ით-ი** სიტყვა, რაც ასე დამახასიათებელია რუსთველის ენისთვის: **ბედითი** ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? ვამსგავსე მშვილდი **ბედითი** ყმაწვილთა მონადირეთა... ქართულ **ბედ-** ძირს კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება ლაზურში **ბად-** ფორმის სახით — **ე: ა.** სტრუქტურულ იგივეობას მხარს უჭერს სიტყვათა სემანტიკური მხარეც: **ცუდი-ბოროტი**.

ს.-ქართვ. ***ბედ-** „ცუდი, ავი, ბოროტი“

ქართ. **მალ-ა** „დიდი ძელი, რომელზედაც სახლის კოჭებს აწყობენ“, ხევს. **მალ-ა** „წყვილი ჯოხი, რომლებსაც თავლის გამოწურვისას იყენებენ“, ზან.(მეგრ.) **მულ-ა** „ალვის ხე“, ლაზ. **მულა** „თელა“; ადრე ქართლური დიალექტისთვის დამახასიათებელი **მალ-ა** ფუძეს სავსებით სამართლიანად ჰ. ფენრიხმა მეგრულში **მულ-ა** დენდრონიმი შეუფარდა. საყურადღებო ჩანს თვით ზანურ დიალექტებს შორის ფიქსირებული სემანტიკური მიმართება — მეგრ. **ალვის ხე** ~ ლაზ. **თელა**.

ს.-ქართვ. ***მალ-ა** „ალვის ხე“

ქართ. **მესხ-ი**, **მესხ-ეთ-ი**, ზან. (ლაზ.) **მუშქ-ი** „მესხი“, სვან. **ლაშხ//ლაშხ**, **მგ-ლაშხ//მგ-ლაშხ** „ლაშხელი, ლაშხი“; ქართველურ ფორმათა შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ საერთოქართველური ფუძე-ენისთვის სავარაუდოა ***მასხ-** პროტოტიპი. ბერძნული **Μοσχοι** ლაზური მუშქ-ის ადაპტირებული ვარიანტი ჩანს. ლაზურში **შ-ს** მოდმეწოდ **ხ-ს** **ქ-ში** გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა, შდრ. ქართ. **სხვა**: მეგრ. **შხვა**, ლაზ. **მშქვა//მჩქვა**... სვანურში თავჩენილი ანლაუტური **ლ** სონორი **შ-ს** ბგერინაცვალია — **შ→ლ** [იხ. ჩუხუა 2000-2003:19].

ს.-ქართვ. ***მასხ-** „მესხი, ლაშხი“

ქართ. **სვრ-ე**, **სვრ-ელ-ი**, ზან. (მეგრ.) **სვარ-უ-ა** „მწყობრად სიარული, რიგზე დაწყობა“, ლაზ. **ო-სვარ-უ** „რიგზე დაწყობა“, დო-ფ-**სვარ-ი** „დავაწყვე“, სვან. **სჷერ** „რიგი, წყობა“; სამეცნიერო ლიტერატურაში ადრევე იყო მითითება მეგრულ-ლაზურ-ქართულ იზოგლოსებზე [იხ. ჩიქობავა 1938: 311; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 402]. ჩვენი დაკვირვებით, ქართულ-ზანურ ალომორფებს უკავშირდება სვანური **სჷერ** ფუძე, რომელიც გამოირჩევა ფუძის გახმოვანების არქაულობით. სვანურში წარმოდგენილი ვითარება ემთხვევა საერთოქართველური პროტოტიპის ჩვენებას.

ს.-ქართვ. ***სჷერ-** „რიგი, წყობა“; მწყობრში დალაგება, დაწყობა“

ქართ. (მოხ., თუშ.) **ტაფ**-ი „ჩაღრმავებული ადგილი“, „**ტაფ**-ობ-ი“, ლარ-**ტაფ**-ი, ზან. (მეგრ.) **ტოფ**-ი „ვაკე, ჩავარდნილი ადგილი“, სვან. **ტაფ**//**ტაფ** „დამრეცი, ვაკე“, **ტაფ**//**ტაფ** შუკუ „ვაკე, დამრეცი გზა“; ქართულ-სვანურ **ტაფ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზანურში ფიქსირებული **ტოფ**- ალომორფი — **ა: ო.** იმავდროულად ქართული ენის იმერულ დიალექტში დამოწმებული **ტოფ**-ი „ვაკე, ჩავარდნილი და შავმიწიანი ადგილი“ ზანიზმი ჩანს.

ს.-ქართვ. ***ტაფ** „ვაკე, ჩაღრმავებული, დამრეცი ადგილი“

ქართ. **ღერძ**-ი „საბრუნავთ გასაყარი“ (საბა), ქვ. იმერ. **ღერძ**-ა „ლილივი“, ქართლ. **ღერძ**-კალა, ზან. (ლაზ.) **ღანჯ**-ი „ბარძაყი, წვივი“; ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ჩვენების მიხედვით ოპოზიცია ქართ. **ღერძ**-: ზან. **ღანჯ**- კანონზომიერი ჩანს — **ე: ა, ძ: ჯ.** ასევე ბუნებრივია **რC : ნC** მიმათებაც, შდრ. ქართ. **გრძელ**-ი: ლაზ. **გუნძე**//**გინძე**... გარკვეულ სირთულეს ქმნის სემანტიკური კორელაცია **ღერძი** ~ **ბარძაყი**. ვფიქრობთ, ამ სიტუაციაში ამოსავალია ლაზური სემა, ანუ მნიშვნელობის გადაწევა ქართულში მომხდარა. ე.ი. თავდაპირველად **ღერძი** უდრიდა **ბარძაყით** გაყრილს, შდრ. საბას განმარტება. გამოსარიცხია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლაზურ **ღანჯ**- ფუძეს ქართულში **ღერძ**-**რო** შეესატყვისება [კლიმოვი 1998: 223]. ქართული **ღერძ**-ის ზანური შესატყვისი იხ. მომდევნო მაგალითში.

ს.-ქართვ. ***ღერძ** „ბარძაყი, წვივი“

ქართ. **ღერ**-ო, **ღერ**-ი, ზან. [ღაჯ-], ა-ღაჯ-ა←*ო-ღაჯ-ა „სახლის თავზე“ სვან. **ღერ**//**ღერ** „ღერო, ღერი“; მეგრულში ასიმილაციური **ო→ა** სუბსტიტუცია სხვა შემთხვევაშიც დასტურდება, შდრ. **ოგაფა→აგაფა** „სახენელი, გუთან“... ცხადია, საერთოქართველური **ღერ**-ი ზანურში **ღაჯ**-ის მოგვცემდა, ეს უკანასკნელი ა-ღაჯ-ა(←ო-ღაჯ-ა) დერივატშია მხოლოდ შემონახული. ქართულ-სვანურ ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის ასევე იხ. კლიმოვი 1998: 223.

ს.-ქართვ. ***ღერ** „ღერი, ღერო“

ქართ. [ვალ-], ზან. (ლაზ.) **ხოლ**-ი „მხარი, სიგრძის ერთეული“, სვან. **ვალ**//**ვალ** „მხარი, სიგრძის საზომი ერთეული — გაშლილი ორი მკლავის სიგრძე“; აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებული იყო პროფ. გ. კლიმოვის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სვანური **ვალ** თითქოს ქართულ **ველ**- „ხელი“ ფუძეს უკავშირდება [იხ. კლიმოვი 1964: 264; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 712-713]. ლაზურში **ხოლ**-ი ფუძის პოე-

ნიერება გამოიციხავს ამგვარ შესაძლებლობას. ეს ზანურ-სვანური იზოგ-
ლოსა ქართულისთვის **ვალ-ი**→//**ხალ-**ი ალომორფებს გვავარაუდებინებს.

ს.-ქართვ. ***ვალ-** „მხარი, სიგრძის ერთეული“

ქართ. **ქართ-**, **ქართ-ლ-**ი, **ქართ-ვ-ელ-**ი, **ქართ-ულ-**ი, სა-**ქართ-ვ-ელ-ო**,
ზან. (მეგრ.) **ქორთ-**უ „აღმოსავლეთ ქართველი“, **ქორთ-ულ-**ი „ქართული“,
ლაზ. **ქორთ-**ულ-ი „ქართული (ქლიავის ჯიში)“, **ქორთ-ო** „ქართველი“,
ქორთ-ო-ლ-ონ-ა „საქართველო“, სვან. **ქართ-//ქართ-**, მე-**ქართ// მე- ქართ**
„აღმოს. საქართ. მცხოვრ. ქართველი“, ლე-**ქართ-**უ „ქართული“; აქ ჩამო-
თვლილ ფუძეთა ერთიანობა კარგად არის ცნობილი [იხ. კლიმოვი 1964:
196; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 486-487; ჩუხუა 2000-2003: 249-250].
მასალობრივად სიახლეს წარმოადგენს ლაზური მონაცემები: **ქორთ-ო** „ქარ-
თველი“, **ქორთ-ო-ლ-ონ-ა** „საქართველო“. ლაზურში მეგრული **უ-**ს წილ **ო**
ხმოვნის გამოჩენა არ არის უნიკალური, შდრ. მეგრ. **ჭგ-უ** ~ ლაზ. **ჭინ-ო**
„წნელი“. საყურადღებო ჩანს საქართველოს აღმნიშვნელი ლაზური სიტყვის
აგებულება, ეს უკანასკნელი **-ონ-ა** სუფიქსით არის ნაწარმოები, ისევე, რო-
გორც ლაზ-ი — ლაზ-**ონ-ა** „ლაზეთი“. ოღონდ ინტერვოკალურ (ო- ო) პო-
ზიციაში ჩართული ჩანს ხმოვანგამყარი **ლ**, რაც ლაზურისთვის ჩვეულებ-
რივი მოვლენაა, შდრ.: ლაზ. დიდი — მრ. დიდი-**ლ-**ეფე, პეჯი — მრ. პეჯი-
ლ-ეფე „სქელი“, კაი — მრ. კაი-**ლ-**ეფე „კარგი“... [კარტოზია 2005: 88-89].

ს.-ქართვ. ***ქართ-** „ქართველი, ქართული, საქართველო“

ქართ. **თრ-**ია „მღრღნელი ცხოველი ციყვისებრთა ოჯახიდან“, **თრ-**ისა
„თევზი“, შაჰმაი (საბა), გურ., ზ. აჭარ. „ერთგვარი თევზი შავი ზღვისა; შა-
მაია“, ზან. (ლაზ.) **თირ-**ინა→//**თი-**ინა „ერთგვარი წვრილი თევზი შავი
ზღვისა“, მეგრ. **თირ-**ინა „ერთგვარი პატარა ჩიტის“; ქართული ენის იმე-
რულ და გურულ დიალექტებში დამოწმებული **თირ-**ინა „თრითინა; ციყვი“
ზანურ წყაროს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***თირ-** „თრია, ირითინა; შავი ზღვის წვრილი თევზი (შამაია)“

ქართ. **ტაბლ-**, **ტაბლ-**ა „ფიცრის სუფრა ფეჭედი“ (საბა), ზან.
(ლაზ.) **ტეფურ-**ი „მაგიდა“; ქართული ა-ს შესატყვისად თავჩენილი ლაზურ-
ი **ე** ხმოვანი ისტორიულად **ო-**სგან მომდინარეობს. **ო**→**ე** გადაბგერება
დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი ჩანს მეგრულ-ლაზურისთვის:
ლორ-ი — **ლეჯ-**ი ←***ლოჯ-**ი, **ოც-**ი — **ეჩ-**ი←***ოჩ-**ი, **ძარღვ-**ი — **ჯერღვ-**ი
←***ჯორღვ-**ი, **ჯაჭვ-**ი— **ძეწკვ-**ი ←***ჯოჭკვ-**ი... ე. ი. **ტეფურ-**ი←***ტობურ-**ი.

ლაზური **ტეფურ-** ფუძე ნასესხობის სახით დასტურდება უკვე ძველ
სომხურში, შდრ. სომხ. ტეფურ→//თეფურ „ხის ლანგარი; поднос“. ქართვე-
ლურ **ტაბლ-/ტეფურ-** ფორმებს გენეტიკურად საერთო წარმომავლობის პა-

რალელი **ტაფრი** „სკამის სახეობა“ ფუძის სახით ჰურიტულ ენაში ეძებნება, რაც მეტად მნიშვნელოვანია საერთოკავკასიური კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ს.-ქართვ. ***ტაბალ-** „ტაბლა, მაგიდა“

ქართ. (მესხ.) **ტობ-**, **ტობ-გ-ა//ტობ-ა-ობა** „ქვირითის ყრა“, ზან. (მეგრ.) **ტოფ-**, **ტოფ-უ-ა** „ქვირითის ყრა“; პროფ. გ. კლიმოვი მეგრულ **ტოფ-** ძირს შეუსატყვისებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში პოვნიერ **ტოფ-** იდენტური გახმოვანების ძირს, რაც არ ასახავს ისტორიულ რეალობას, ვინაიდან ქართული **ტოფ-** ზანიზმია. ხოლო ქართული **პ:** ზანურ **ფ** ბგერათმეცნიერებას მხოლოდ საერთო წარმომავლობის ძირებში დასტურდება — შდრ.: ქართ. **ტლაპ-**ი: ზან.(ლაზ.) **ტოლოფ-**ი „ტალახი“; ქართ. **ზებ-გ-ა:** ზან. (მეგრ.) **ჟიფ-უ-ა** „id...“

ს.-ქართვ. ***ტობ-** „ქვირითის ყრა“

ქართ. **ყვავ-**, **ყვავ-ი**, **ყვავ-ი-ფრჩხილა**, **ჭილ-ყვავ-ი**, ზან. (ლაზ.) **ყურ-**, **ყურ-ი**→**ყუ-**ი „ყორანი“; ძველი ქართულიდან დღემდე კარგად ცნობილი **ყუაგ-** ძირი ზანურში **ყურ-** ვარიანტს შეისატყვისებს. შეპირისპირება ეფუძნება ბგერათმეცნიერებასა და შემდეგ ჩვენებებს. — ქართ. **ჟა:** ზან. **უ** (ცუარ-ი: **ჩუნჯ-ი**→**ცუნჯ-ი...**); ქართ. **ჟ:** ზან. **რ** (ხევ-ა: **ხარ-უ-ა/ო-ხარ-უ**, მშვე-ა: **მშქორ-ინ-ი...** [იხ. ჩუხუა 2005; 107-110], შდრ. **ყუაგ-ყურ-**. კანონ-ზომიერ და რეგულარულ ბგერით მიმართებებს მხარს უმაგრებს ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია **ყვავი ~ ყორანი**.

ს.-ქართვ. ***ყუაგ-** „ყვავი/ყორანი“

ქართ. **ჭოტ-**, **ჭოტ-ი**, **ჭოტ-იცა** გააგონებს მისსა ზმათა კაცთა, ფრინველი (საბა), ზან. (მეგრ.) **ჭკუტ-**, კომპოზიტში **ჭკუტ-ყვარ-ია//ჭკუტ-კვარ-**ია „მთის ჭილყვავი“; ძველი ქართული **ჭოტ-**ი სიტყვის კანონზომიერი ზანური შესატყვისი შემონახულია რთული შედგენილობის მეგრულ ლექსემაში **ჭკუტ-ყვარ-ია**, რაც უდრის **ჭოტ-ყვავ-ა-ს**, შდრ. ბგერათმეცნიერება ქართ. **ჭ:** ზან. **ჭკ**, ქართ. **ო:** ზან. **უ**.

ს.-ქართვ. ***ჭოტ-** „ჭოტი“

ქართ. **შილ-**, **შილ-ო** გოგ-ია//**შვილ-**ო გოგ-ია „მოლალური“, ზან. **შქირ-**, ლაზ. **მ-შქირ-**ი „ნისკარტეთერი, ნაცრისფერი ჩიტის სახეობა“, მეგრ. **შქირ-**უ „რუხი, ნაცრისფერი“; ქართულში დამოწმებული **შვილო გოგია** შესიტყვება ხალხური ეტიმოლოგიის (შილო-ს გადააზრისების) უტყუარ ნიმუშს წარმოადგენს. ამას ზანური დიალექტების მონაცემები გვიდასტურებენ, სადაც **ნაცრისფერი/რუხი** სემა **შქირ-** (შდრ. ქართ. **შილ-ო**) ძი-

რისთვის დღემდე ძირითადია. ე. ი. **შილო გოგ**-ია უდრის *ნაცრისფერი რუბ* გუგულს, შდრ. სვან. **გეგო/გაგუ←*გუეგ** „გუგული“.

ს.-ქართვ. ***შილო**-ო „ნაცრისფერი, რუხი“

ქართ. **გოგ**-, შ(ვ)ილო-ო **გოგ**-ია „მოლალური“, სვან. **გეგო/გეგუ/გაგუ** „გუგული“; აქ დასახელებულ სვანურ ფორმათა შედარება ქართულ **გუგულ**-ფუძესთან [კლიმოვი 1998: 34] მთლად ნათელი არ არის, რაზეც ადრევე მიუთითებდნენ [ვენრიხი, სარჯველაძე 1990:88], ამიტომაც, ვფიქრობთ, უპირიანი ჩანს ქართ. **გოგ**- (შ(ვ)ილო **გოგ**-ია) და სვანურ **გეგუ←*გუეგ** ძირთა საერთოქართველურ წარმომავლობაზე საუბარი (იხ. წინა სტატია).

ს.-ქართვ. ***გოგ**- „გუგული“

ქართ. **მუგლ**-, **მუგლ**-ი→//**მუხლ**-ი, ზან. (ლაზ.) **ნუხუ** „ტორი“; ძველი ქართული ტექსტებიდან კარგად ცნობილ **მუგლ**- ფუძეს აკავშირებენ ზანურ **მუხურ**- „მხარე“ სახელთან [კლიმოვი 1964:138]. ამგვარი კვალიფიკაცია ქართველური ფუძეებისა უმართებულო ჩანს, ვინაიდან ზან. **მუხურ**-ი (→ გურ. მუხურ-ო) ძვ. ქართ. **მგარ**-ი/ე ფორმის ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია. ამავდროულად ძვ. ქართული **მუგლ**-ს კანონზომიერად მიემართება ლაზური **ნუხუ←*მუხო** „ტორი“ როგორც მნიშვნელობით, ისე აგებულებითაც; აუსლაუტურ პოზიციაში ქართ. **ლ**: ზან.(ლაზ.) **ო** სხვაგანაც დაჩნდება: **ქერტლ**-ი/ქართლ...
ს.-ქართვ. ***მუგლ**- „მუხლი; ტორი“

ქართ. (გურ.) **კაფ**-, **კაფ**-ე „გუგული“, სვან. **ყიფ**-, **ყიფ**-უ „გუგული“; ამ ქართულ-სვანურ იზოგლოსაში უნდა იყოს შემორჩენილი *გუგულის* აღმნიშვნელი არაონომატოპოეტური წარმომავლობის საერთოქართველური ***ყაფ**- ძირი. ხმოვნური მიმართება **ა**: **ი** სხვა შეპირისპირებებშიც იჩენს თავს: ძალ-ი „სიმი“/ჯილ, ყამ- „შიმშილი“/ყიმ-ა „ხრჩობა“, ძამლ-ი „ვირთავა“/ჯინირ „ციყვი“... ამიტომაც პრობლემური ვერ იქნება.

ს.-ქართვ. ***ყაფ**- „გუგული“

ქართ. **სვავ**-ი, **სუავ**-ი, სვან. **შუან** „გედი“; ძველ ქართულ ძეგლებში ადრევე დამოწმებული **სვავ**- ძირის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი უნდა ჩანდეს სვანურ **შუან** ფორმაში, შდრ. ქართ. სუ: სვან. **შუ**. რაც შეეხება აუსლაუტურ ბგერით მიმართებას ქართ. **ვ**: სვან. **ნ**, იგი არაერთ საერთოქართველური წარმომავლობის ძირშია თავჩენილი, შდრ.: ქართ. **გაკე**: სვან. **ნაკ**; ქართ. **გიდრ**-ი: სვან. **ნადრ**-ა „თივის ბულული, ჩალის კონა“...

საყურადღებო ჩანს სემანტიკური კორელაცია *სვავი ~ გედი*.

ს.-ქართვ. ***სუაუ**- „სვავი/გედი“

ქართ. **ქას-**, **ქას-**ურ-ი „მაქური, სასრევი, სალესი ქვა“ (ჩუბინ.), ქართლ., ხევს., მოხ., მთ., ქსნ. ხეობ. „სალესავი ქვა; ცელის სალესი“, **ქას-**უნ-ი „ხეხვა, ლესვა“, სვან. **ქირშ-**, ლი-**ქირშ-**ე „ლესვა“, ლა-**ქირშ** „სალესი ქვა“, ქართული **ქას-** ძირის კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება ჩანდეს სვანურ **ქირშ-** ფორმაში (**ს:შ**). — **ა:ი** ხმოვნური მიმართებისთვის იხ. აქვე, ქართ. კაფ-ე: სვან. ყიფ-უ.

ქართველურ ძირთა ფონეტიკურ ერთიანობას მხარს უჭერს განხილულ ლექსემათა სემანტიკური იდენტურობა.

ს.-ქართვ. ***ქას-** „ლესვა; სალესი“

ქართ. **წიწილ-**, **წიწილ-**ა/ი, სვან. **კიკუ** „წიწილა“, ფუძის აუსლაუტ-ში ფიქსირებული ოპოზიცია ქართ. **ილ:** სვან. **უ** უჩვეულოდ გვეჩვენება. მსგავსი მიმართება ქართულ-ზანურ ფორმებში უფრო არის მოსალოდნელი, შდრ. ქართ. **სხჟილ-**: ზან. **შხუ** „მსხვილი“, ქართ. **ჩხჟილ-**: ზან. **ჩიჩჟუ** „ბაგშივი“... თუმცა არ არის გამორიცხული ამ შემთხვევაში განსხვავებულ აფიქსურ (ფუნქციურ) დაბოლოებასთან გვექონდეს შეხება. მაშინ ძირად **წიწ-/კიკ-** გამოიყოფოდა და მათ გვერდში „პატარა“-ს აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური **კიკ-** (**კიკ-**ე, **კიკ-**ა) ფორმა ამოუღებოდა. ჩვენ უფრო ამ მოსაზრებას ვემხრობით.

ს.-ქართვ. ***წიწ-** „წიწილა; პატარა“

ქართ. **მაყ-**, ლეჩხ. **მაყ-**იერ-ი „მსუყე, ნოყიერი“, სვან. **მყ-** ← ***მაყ-**, ლი-**მყ-**ე „მსუყედ ქმნა“, ა-**მყ-**ე „საჭმელს აყირკებს, მსუყედა ქმნის“, ქართულ-ში გვაკლია პირიელი ფორმები. ცხადია, ლეჩხუმურ ვარიანტში **-იერ** სუფიქსად გამოიყოფა, ხოლო **მაყ-** — ძირად. სვანურში სახეზე გვაქვს ფუძისეული **ა** ხმოვნის რედუქცია, რაც მსგავს პოზიციებში ჩვეულებრივი მოვლენაა. ზანური ეკვივალენტი ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***მაყ-** „მსუყედ ყოფნა; ნოყიერება“

ქართ. **ბჟირ-**ი „უგულო ფეტვი და მისთანანი“ (საბა), ქიზ. „მშიერი, უგულო ფეტვი“, სვან. **ბჟღირ-**, **ბჟღირ-**ალ// **ბჟღილ-**არ „უნაყოფო მჩუტე თავთავები“, სვანურში მხოლოდ *pluralia tantum*-ის ფორმებია პოვნირი, ხოლო ქართული ენის დიალექტებისთვის ნიშანდობლივია **ბჟირ-** ძირის ბგერწერიითი **ბჟიტ-** (რ/ტ) სახეობაც. ბგერათშესატყვისობა **ჟ:ჟღ** აქაც გამოჩნდა (ამის შესახებ იხ. მეორე სტატია აქვე — ქართ. **ჟვაპ-**/სვან. **ჟღუაპ**).

ს.-ქართვ. ***ბჟირ-** „უნაყოფო, უგულო (ფეტვი, თავთავი...)“

ქართ. (ხევს.) **ფშე** „მდინარის ტოტი“, ზან. (მეგრ.) **ფსქა-**, **ფსქა-**ია „ღელე, ნაკადული; არაერთი ჰიდრონიმი სამეგრელოში“, ქართულში აღრიდანვე, იმთავითვე უნდა ყოფილიყო ერთმანეთისაგან გარჩეული **ფშა**

„გამონაყოფი წყარო, წყალი“ და ფშე „მდინარის ტოტი“. სწორედ ამ უკანასკნელის ზუსტ ფონეტიკურ-სემანტიკურ შესატყვისს წარმოადგენს ზანური (მეგრული) ფსქა- ფუძე, რომელიც უნდა ჩანდეს სუფსა-შიც, ე.ი. სუფსა←*სუ-ფსქა „სუ ღელე“, შდრ. სუ-ხჩე/ა „სუ თეთრი“...

ს.-ქართვ. *ფშ(უ)ე- „ღელე, ნაკადული“

ქართ. ბურკ(ლ)-, მოხ. ბურკ-ი „კობი, სიმსივნე“, მთ. ბურკლ-ი „ცომის კოშტი“, სალიტ. ა-ბურკლ-ებ-ა, ა-ბურკლ-ულ-ი, ზან. (მეგრ.) ბურკულ-ი „ბურკლი“, ე-ბურკულ-აფ-ა „აბურკლება“, ე-ბურკოლ-ერ-ი „აბურკლული“, ბურკოლ-/ბურკულ (უკო) სუბსტიტუცია მეგრულში იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ შესატყვისში რედუცირებულია ისტორიული ა ხმოვანი — ბურკლ-←*ბურკალ-.

ს.-ქართვ. *ბურკ-ალ- „კობი, ბურკლი; აბურკლება“

ქართ. გარ-ტრ-, მო-ნა-გარ-ი „შვილები, შთამომავლობა“, ნა-გრ-ამ-ი, ზან. (მეგრ.) გორ-, ნო-გორ-ი „მოღვმა; შთამომავლობა“; ქართულ ნა-გარ-სახელს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური ნო-გორ- ფუძე — ა:ო. არ გამოირიცხება გარ-ტორ- ფორმათა ეტიმოლოგიური კავშირი სვანურ გვრ-(ლი-(ნ)გრ-ე) „კვერცხის დაღება“, გვრ-ი/გვრ-ე „კვერცხი“...) ძირთან, შდრ. ქართ. მა-გრ-ობ-ალ-ი (საბა).

ს.-ქართვ. *გარ- „შთამომავლობის ყოლა/გაჩენა“

ქართ. ადგილ-, ადგილ-ი, ადგილ-მამულ-ი, ადგილ-ის დედა, ზან. (მეგრ.) ოდგა/ორდგა „ბავშვის ჩასაყენებელი ადგილი“; ქართული ადგილ-ფუძის კანონზომიერი ზანური შესატყვისი შემონახული ჩანს დღეისათვის პერიფერიულ ლექსიკაში. ცხადია, აუსლაუტური ქართ.- ილ: ზან. ა იმეორებს ცნობილ ფრცხ-ილ-/ბურცხ-ა „ფრჩხილი“ მიმართებას და უცილობლად მიგვითითებს საერთოქართველურში *ადგელ- არქეტიპის არსებობაზე; ე.ი. ქართ. ადგილ- ←*ადგელ-, ხოლო ზან. ოდგა←*ოდგალ-.

ს.-ქართვ. *ადგელ- „ადგილი“

ქართ. არ-, არ-ა „უარყ. სიტყვა (პო, კი, დიახ-ის ანტონიმი)“, არ „უარყ. ნაწილაკი; თავსართი“, ზან. (მეგრ.) ორ-, ორ-ე „ხარებისადმი გასაჩერებელი შეძახილი (ხნ „პო“ ფორმის საპირისპირო)“; ძველი ქართულიდანვე ფართო გამოყენების არ- ძირს ზანურში უნდა შეესატყვისებოდეს — ორ- ალომორფი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სპეციფიკური მიმართვის ფორმაში ჩანს შემორჩენილი. გასარკვევია არ-ორ- ძირთა მიმართება სვანურ ერ/ერ-ე „რომ“ კავშირთან.

ს.-ქართვ. *არ-(ა) „უარყ. სიტყვა, ნაწილაკი; თავსართი“

ქართ. **წერწ-**, **წერწ-**ეტ-ი „ტანად წვრილი“ (საბა), **წერწ-**ეტ-ა, **ტან-წერწ-**ეტ-ა, ზან. (მეგრ.) **წარწ-**, **წარწ-**ი „წნეხი (მაწვრილებელი)“, **წარწ-**უ-ა ტანში „ტანის დაწვრილება, ტანწერწეტად გახდომა“, **წარწ-**ილ-ი „დაწვრილებული“; ქართულში გამონაწვერებული **წერწ-** ძირის ზუსტ შესატყვისს ვხედავთ ზანურ **წარწ-** ←***ჭარჭ-** ფორმაში. მატერიალურ ერთიანობას ზურგს უმაგრებს სემანტიკური იგივეობაც.

ს.-ქართვ. ***წერწ-** „წვრილი, დაწვრილება (ტანის)“

ქართ. **ბჭუ-**, **ბჭობ-**ა←***ბჭვ-**ებ-ა, სა-**ბჭო**←***სა-ბჭვ-**ე, ხევს. **ბჭე** ←***ბჭუე** „მოციქული, მაცნე“, ზან.(მეგრ.) **პაჭკუ-**, **პაჭკვ-**ალ-ი „ჩიფჩიფით თქმა“; ზანური **პაჭკუ-** ზმნური ძირი კარგად აჩვენებს საერთოქართველური არქეტიპის გახმოვანებას. ფუძე-ენისთვის, რასაკვირველია, რეკონსტრუირდება **ე** ხმოვნიანი პროტოტიპი, შდრ. ს.-ქართვ. ***ე**→ ზან. **ა**.

ს.-ქართვ. ***ბეჭუ-** „ბჭობა, ლაპარაკი“

ქართ. (აჭარ.) **ტაბან-**ი „სადირკველი (ბინის)“, ზან. (მეგრ.) **ტუბერ-**ი „ბოლქვი, ძირი მცენარისა“, კანონზომიერი ჩანს **ტაბან-**/**ტუბერ-** ქართველურ ფუძეთა ურთიერთმიამრთება როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. ცხადია, ზანური **ტუბერ-** მომდინარეობს ***ტობორ-** არქაული სახეობის ფუძისაგან **ო**→**უ** (ბგერისმიერებთან) და **ო**→**ე** გადაბგერებით. ახსნას ითხოვს აუსლაუტური ქართ. **ნ**: ზან. **რ** ოპოზიცია სონორებში, რასაც ეპარალელება ქართ. სვან-ი: ზან. **შურ-ო** „მოჭრილი ხის დასაცურებელი ადგილი/თხრილი“.

ს.-ქართვ. ***ტაბ-ან-** „სადირკველი; ძირი“

ქართ. **ქიძლარ-**, **ქინძმარ-**ა/ი, **ქინძლარ-**ა „მცენარეა“, შდრ. **ქინძმარ-**ა-ულ-ი, ზან. (მეგრ.) **ქიჯილოჯ-**, **ქიჯილოჯ-**ე//**ქიჯილოჯ-**ა//**ქინჯილოჯ-**ა „ფერისცვალა, მცენარის სახეობა“, შდრ. იმერ. (←მეგრ.) **ქინძილოჯ-**ა „id“; ქართულსა და ზანურში ფუძის ამოსავალი სახეობები შერყვნილია **ქინძ-** მცენარესთან კონტამინაციის გამო. ქართველურ მონაცემთა ურთიერთშეკვრებით შესაძლებელი ჩანს ფუძეენური ***ქიძილარ-** მცენარეული ძირის რეკონსტრუქცია, რომლის კანონზომიერი გაგრძელება ჩანს მეგრული **ქიჯილოჯ-** ალომორფი, შდრ. ბგერათშესატყვისობები **ძ : ჯ, ა : ო, რ : ჯ**.

ს.-ქართვ. ***ქიძილარ-** „ფერისცვალა (მცენარე)“

ქართ. **სუდ-**, ლეჩხ. **სუდ-**ე „ჩირგვი“, ზან. (მეგრ.) **შორდ-**, **შორდ-**ი „ხის, უმთავრესად თხმელის, ახლადმოჭრილი ტოტი; ფოთლებიანი ტყე; ბუჩქნარი“; მნიშვნელობის თვალსაზრისით, ქართველური ფორმები გარკვეულ ერთგვაროვნებას ამჟღავნებენ. ერთგვარი შეუსაბამობა გვაქვს ხმოვნებ-

ში — ქართ. **უ**: ზან. **ო**, თუმცა არაერთი სხვა მაგალითი იგივე ვითარებას გამოაჩენს, შდრ. ქართ. **უწყ**-ი-ს: ზან. **ოწყ**-ენ, **უბე**: **ომპა**, **ბუნ**-ი: **ბონ**-ი (იხ. აქვე) და სხვ.

შორდ-ფუძეში **რ** საკუთრივ მეგრული დანართი ჩანს.

ს.-ქართვ. ***სულ**- „ჩირგვი; ფოთლიანი ტყე; ბუჩქნარი“

ქართ. **წინკე** „ემმაკი, ჭინკა“, ზან. (ლაზ.) **ჭინკა** „ტყის კაცი, ქაჯი“, მეგრ. **ჭინკა/ჭირკა** „ცხენის უფალი; ემმაკი“, **ოჭინკ**-ეში „საჭინკეთი“; საკუთრივ ქართული ეკვივალენტი (**წინკე**) შემორჩენილია სამურზაყანოს მეტყველებაში. ფორმალური თვალსაზრისით ქართ. **წინკე**: ზან: **ჭინკა** შესატყვისობა უნაკლოა — **წ: ჭ, ე: ა**. იგივე ვითარება გვაქვს სემანტიკაშიც. გამოსავლენია სვანური ეკვივალენტი.

ს.-ქართვ. ***წინკ**-ე „ემმაკი, ჭინკა“

ქართ. **კვერანცხ**-, იმერ. **კვერანცხ**-ი სიტყვაში ხელ-მა-**კვერანცხ**-ი „ქურდი“, ზან. **კვარჩხ**-, **კვარჩხ**-ან-ი „მარცხენა“, **კვარჩხ**-ი „უკულმართი“, ხე-**კვარჩხ**-ი „ხელმრუდი“; შესაძლებელია, ამ იმერულ კომპოზიტი იყოს შემონახული ზანური **კვარჩხ**-ის შესატყვისი ქართული ფუძე. ამგვარად ფიქრს განსაკუთრებით აძლიერებს რთული შედგენილობის სიტყვათა ერთგვაროვნება, შდრ. ქართ. ხელ-მა-**კვერანცხ**-ი: ზან. ხე-**კვარჩხ**-ი.

ს.-ქართვ. ***კუერცხ-ენ**- „მარცხენა; უკულმა“

ქართ. **ხანჭელ**-, **ხანჭელ**-ი „ნახევრად მწიფე“, ზან. (მეგრ.) **ხონჭკა** „ნახევრად მწიფე“, ა-**ხონჭკორ**-აფ-ა „სიმწიფეში შესვლა“; მეგრული **ხონჭკა** სახელის ქართული შესატყვისი ლაზურმა დიალექტმა შემოგვინახა. ქართ. **ხანჭელ**-: ზან. **ხონჭკა** ზუსტად ისეთსავე მიმართებას აჩვენებს, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ქართ. **წითელ**-: ზან. **ჭითა**.

ს.-ქართვ. ***ხანჭ-ელ**- „ნახევრად მწიფე“, ***ხანჭ**- „სიმწიფეში შესვლა“

ქართ. **კეტე**- „პატარა“, იმერ. **კეტე**-ტილა „ბაღლინჯო“, ზან. (მეგრ.) **კატა/კარტა** „პატარა, უჯიშო“; ქართულისთვის გამონაწევრებული **კეტე** სემენტის ძირითადი მნიშვნელობა **პატარა** უნდა ყოფილიყო, რასაც კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **კატა/კარტა** როგორც სტრუქტურული, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ძირები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***კეტ-ე** „პატარა; უჯიშო“

ქართ. **კვეს-**, ძვ. ქართ. **მო-კუეს-**გ-ა-ე „მოჭედვა“, **მო-კუეს-**ილ-ი „მოჭედლი“, შდრ. **კვესელ-**ი-ძე, **კვეს-**ელ-ა-ვა (ანთროპ.), ზან. (მეგრ.) **კვაშ-**, **კვაშ-**უა „გაჭედვა“, **კვაშ-**ილ-ი „გაჭედლი“, **კვაშ-**ილ-ა-ვა (ანთროპ.); აქ წარმოდენილი ქართველური ძირები კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ და სემანტიკურ მიმართებებს აჩვენებენ, შდრ. ბგერათშესატყვისობა **ე: ა, ს: შ.**

სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***კუეს-** „გა-/მო-ჭედვა“

ქართ. **კვეთ-**, **კვეთ-**ი „დვრიტა“, იმერ., გურ. **კვეთ-**ი „რძის შესადე-დებელი სითხე“, ზან. (ლაზ.) **კათ-**, **მა-კათ-**ი „მაწვნის დედა“; ლაზური **კათ-**, ცხადია, ისტორიული **კვათ-** ლაბილიზებული არქეფორმისაგან მომდინარეობს. **კვ** კომპლექსის დელაბიალიზაცია ამ შემთხვევაში დისიმილაციური ჩანს, წინამავალი **მ** (მა-) ბილაბიალის ზეგავლენა, შდრ. სხვაგან ქართ. წუთი-ა: ლაზ. მჭი-ა ← *მჭუ-მა.

ქართულ-ლაზური **კვეთ-კათ-** უნდა განვაცალკავეთ სხვა ომონიმური **კვეთ-კვათ-** „ჭრა, კვეთა“ ძირისაგან.

ს.-ქართვ. ***კუეთ-** „დვრიტა; მაწვნის დედა“

ქართ. **ჩენჩო** „მარცვლის ბუდე, კანი; წვნიანი ხილის კანი“, ზან. (მეგრ.) **ცქვეცქ-ი//ცქეცქ-** „ჩენჩო“, **ო** დაბოლოება ჩენჩ-**ო** ფორმაში ისეთივე წარმომავლობის ჩანს როგორც ძვ. ქართული **ეჩუა-ა//ეჩუე-ა//ეჩო-ა** სიტყვაში. ე.ი. ამოსავალში გვქონდა ჩენჩუ-, რომელმაც ზანურში თ. გამყრელიძის კანონით (**უ-**ს ასიმილაციური ზეგავლენა) მოგვცა გასისინებული კომპლექსები — ქართ. ჩენჩუ-: ზან. *ჩა(ნ)**ჩქვ** → *ჩქაჩქვ → **ცქეცქვ**.

ს.-ქართვ. ***ჩე(ნ)ჩუ-** „ჩენჩო“

ქართ. **ნავ-**, **ნავ-**ი „საწნახელი; მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული“, ქსნის ხეობ. **ნავ-**ი „მთის დაქანებაზე ხევისავით გაჭრილი ღარი, რომელზედაც ხეებს აცურებენ“, მთ. **ნავ-**ი „წისქვილში ხის ღარი, რომლითაც ხორბალი ხვიმირადან იყრება“, ზან. (მეგრ.) **ლობ-**, **ლობ-**ი „ნაწილი, რომელზეც იდება წისქვილის ქვემოთა ქვა“, ქართულ **ნავ-** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური (resp. მეგრული) **ლობ-** სახეობა. ანლაუტში თავჩენილი **ლ** მეგრულში მეორეულ ვითარებას ასახავს, აქ **ნ** ისევე გადავიდა **ლ-**ში როგორც სხვა შემთხვევებში, შდრ. ქართ. **ნემს-**ი: ზან. **ლიფ-**ი, **ნედლ-**ი: **ლადირ-**ი... **ნამუს-**ი → **ლამოს-**ი.

მეგრულისთვის სავარაუდო **ნობ-**ი საფეხური ნასესხობის სახით რეალურად დასტურდება ლეჩხუმურ დიალექტში, შდრ. ლეჩხ. **ნობ-**ი „პირუ-

ტყვისათვის დასალევი კოდი წყაროზე“. ლეჩხუმურის სემანტიკაც სალიტერატურო ქართულთან უფრო ახლოს დგას.

ქართველური **ნავ-ნობ-/ლობ-** შესატყვისები ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს, ამიტომაც გადახედვას მოითხოვს ქართული **ნავ-** ლექსემის ლათინურიდან მომდინარეობის თვალსაზრისი.

ს.-ქართვ. ***ნაჟ-** „ხის მოგრძო ჭურჭელი; ნავი“

ქართ. **ბუნ-**, **ბუნ-**ებ-ა, **ბუნ-**იობ-ა „არს, რა დღე და ღამე *გასწორდება* მარტსა და სექტემბერსა შინა“ (საბა), „ხოლო მიქცევასა დღისასა და მოკლებასა ივნისის თვესა და დეკემბერსა მოკლებასა ღამისასა **ნაბუნ**იობა ეწოდების“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბონ-**, **ბონ-**ი „სწორი“, **ბონ-**ას „პირდაპირ, სწორად“, **ო-ბონ-**აშ-ე „პირდაპირი“; აქ გაანალიზებული ფუძეენური წარმომავლობის ქართველური ძირები (**ბუნ-ბონ-**) *სწორის* ეტიმონურ შინაარსს გულისხმობენ. მათი ოსურისაგან მომდინარეობის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველსა და არგუმენტაციას (ანდრონიკაშვილი).

ს.-ქართვ. ***ბუნ-** „სწორი; გასწორება“

ქართ. **კვად-**, ზან. (ლაზ.) **კვად-//კვანდ-** „თხოვნა, ნდომა“, **ო-კვანდ-**ინ-უ, **ა-კვანდ-**უ „მოუხდა“, **ა-კვანდ-**უ-დორენ „უთხოვია“, **მა-კვანდ-**ე „მათხოვარი“, სვან. **კჷედ-** „ნდომა“, **ლი-კჷედ-** „სურვილი, ნდომა“, **ი-კჷედ-**უნ-ე//**ი-კჷედ-**ნ-ე (ლენტ.) „ინდომებს, ისურვებს“, **მე-კჷ(ე)დ-**ე „მნდომი, მსურველი“; ეს დაკავშირება განეკუთვნება ლაზურ-სვანურ იზოგლოსთა იმ ჯგუფს, რომელიც რაოდენობრივი სიმცირით გამოირჩევა.

ლაზურ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ერთგვაროვნება.

ს.-ქართვ. ***კჷედ-** „თხოვნა, ნდომა, სურვილი“

ქართ. **ბრანგ-**, **ბრანგ-**გ-ა „უაზროდ დათრობა“, **გა-ბრანგ-**ულ-ი „უაზროდ მთვრალი“, შდრ. მეგრ.(←ქართ.) **გო-ბრანგ-**უ-ა „id“, ზან. (მეგრ.) **რონგ-**, **რონგ-**ი „თაფლისგან დამზადებული სასმელი; თაფლუჭი“; ქართული **ბრანგ-** ფუძის გამარტივებული სახეობა შეიძლება დავინახოთ **ბანგ-**ი „გამაბრუნებული, ძილის მომგვრელი წამალი“ სიტყვაშიც.

რა თქმა უნდა, **ბრანგ-** ფუძე ზანურში თავდაპირველად **ბრონგ-** კანონზომიერ შესატყვისს მოგვცემდა, რომლის ანლაუტიც მოგვიანებით **ბრ** კომპლექსის შეუთავსებლობის გამო გამარტივდა — **ბრონგ-**ი→**რონგ-**ი; ანალოგიური ვითარებისთვის შდრ. ქართ. **ბრეგ-**ი: ზან. (მეგრ.) **რაგ-**ა „ბექი“. კონსონანტი+სონოტი ტიპის თანხმოვნური ჯგუფების გამარტივების მექანიზმზე დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი.

ს.-ქართვ. ***ბრანგ-** „თაფლუჭით თრობა; თაფლის სასმელი“

ქართ. **ყვერბ-**, **ყუერბ-** // **ყუფრბ-** // **ყვერბ-** ი „მრგვალი პური“ (საბა II), ზან. (მეგრ.) **ცვარაბ-//კვარაბ-**, **ცვარაბ-** // **კვარაბ-** ია „კვერის სახეობა, მზადდებოდა წმინდა პურის ფქვილისაგან. აცხობდნენ ფუტკრის სალოცავისათვის“; მეგრულ ალომორფებში შენიშნული **ც//კ** სუბსტიტუცია ამოსავალ ფონემად **ც** ფარინგალს ვარაუდობს. იგულისხმება საერთოქართველური **ყ**-ს ჯერ **ც**-ში და შემდეგომ **კ**-ში გადასვლა. ანალოგიური ვითარება გვაქვს არაერთ ზანურ სიტყვაფორმაში: **ცებურ-** // **კებურ-** ი — ქართ. **ყვერბ-** ი; **ცვარ-** ია // **კვარ-** ია // **ყვარ-** ია — ქართ. **ყვავ-** ი...

ზანურისთვის მახასიათებელი ორმარცვლოვნება ქართულისთვისაც დასაშვები ჩანს — ***ყვერბ-** ი → **ყვერბ-** ი.

ს.-ქართვ. ***ყურებ-** „მრგვალი, რიტუალური პური“

ქართ. **ხირხ-**, აჭარ. **ხირხ-** ალ-ი „ხერხემალი“, ზან. (ლაზ.) **ხირხ-** ინჯ-ი „ხერხემალი“, მეგრ. **ხირხ-** იმე დუდი „ხერხემლის თავი“; ქართველურ ენაკილოებში ძირად **ხირხ-** გამოიყოფა. ლაზური და აჭარული ფორმები ერთგვაროვანი გაფორმებით გამოირჩევიან. საერთოქართველური პროტოტიპი **ხირხ-არ** არადისიმილირებული სახეობისა უნდა ყოფილიყო, ამას უჭერს მხარს ლაზური ეკვივალენტი (ხირხინჯ-ი), შდრ. ს.-ქართვ. ***დინჭარ-** → ზან. (ლაზ.) **დი(ნ)ჭიჯ-** ი, ქართ. **ჭინჭარ-** ი „ჭინჭარი“.

ს.-ქართვ. ***ხირხ-არ-** „ხერხემალი“

ქართ. **ხო-მა** „ხომ“, ზან. (მეგრ.) **ხო-ლო** „ხომ“; ქართული კავშირი **ხო-მა**, როგორც ეტყობა, რთული შედგენილობისაა, მას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ხო-ლო**: სქანი მოინალე **ხოლო** ვავორექ „შენი მოჯამაგირე **ხომ** არა ვარ?“

ს.-ქართვ. ***ხო-მა** „ხომ კავშირი“

ქართ. **ხრაშ-** „ხრამუნი“, **ხრაშ-** უნ-ი, **ხრაშ-** უნ-ა, **ხრაშ-** უნ-ებ-ს, ზან. (მეგრ.) **ხუშქ-** „ხრამუნი“, **ხუშქ-** ორ-ი „ხრამუნი“, ი-**ხუშქ-** ორ-უ(ნ) „ხრამუნებს“; ქართულ **ხრაშ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ხუშქ-**, სახეზეა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა. გვაქვს სხვაობაც, კერძოდ, ამოსავალი **რ** ვიბრანტი **ხ**-ს მოდმევნო პოზიციაში დაკარგული ჩანს. მიზეზი **რ**-ს გაუჩინარებისა ფონოტაქტიკურია, დაიკარგა, ვინაიდან კონსონანტი+სონორი თანხმოვნური ჯგუფები ზანურში აკრძალულ სინტაგმატურ თანმიმდევრობებს განეკუთვნება.

ს.-ქართვ. ***ხრაშ-** „ხრამუნი, ხრამუნი“

ქართ. **ნოყო** „კალაპოტში ჩამდგარი ლორწოვანი წყალი“, ზან. (მეგრ.) **ნაცუ** „მდინარის ტოტი, კალაპოტი“; ქართველურ **ნოყო/ნაცუ** შეფარდებისას მოულოდნელია ქართ. **ო:** ზან. **ა** ხმოვნური მიმართება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ცვალემა ქართულში განხორციელდა, აქ მოდმევენო **ო** ხმოვანმა ასიმილაციით სრულად დაიმსგავსა წინამავალი ისტორიული **ე** ვოკალი, ე.ი. **ნოყო** ← ***ნეყო**. ამგვარი დაშვების მართებულობას ზანური შესატყვისი ამტკიცებს, სადაც საერთოქართველური **ე** (***ნეყო**) ხმოვნის კანონზომიერი და რეგულარული **ა** რეფლექსი გამოჩნდება — **ნაცუ**.

ს.-ქართვ. ***ნეყო-ო** „კალაპოტი, მდინარის ტოტი“

ქართ. **ნერგ-** „ნერგი“, **ნერგ-**ავ-ს, **ნერგ-**ი, სა-**ნერგ-**ე, **ნერგ-**ილ-ი, ახალ-**ნერგ-**ი, მ-**ნერგ-**ავ-ი, ზან. (მეგრ.) **ნარგ-** „ნერგი“, **ნარგ-**ი, ო-**ნარგ-**ე (=სა-**ნერგ-**ე) „მიკროტოპ. სოფელ ანაკლიაში“; ქართული **ნერგ-**: ზან **ნარგ-** შეფარდება კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს, მის საფუძველზე ადვილად აღდგება საერთოქართველური ***ნერგ-** არქეტიპი. გასარკვევია ასევე ფუძე-ნურ ***რგ-** ზმნურ ძირთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. ***ნერგ-** „ნერგი“

ქართ. **ხირხ-** „ქვიან-ქვიშიანი ადგილი“, **ხირხ-**ატ-ი, მოხ., ქართლ. **ხირხ-**ოტ-ი „ქვანარევი მიწა; მწირი მიწა“, შდრ. ხევს. **ხირხ-**ალ-ი „მწირმიწიანი ყანა“, ზან. (მეგრ.) **ხირხ-**, **ხირხ-**უ „ქვიან-კლდოვანი ადგილი“, შდრ. **ხირხუ** „მიკროტოპ. სოფელ აბასთუმანში“ (ზუგდიდი); აქ მოხმობილი ქართველური მასალის შეპირისპირებითი ანალიზით ძირად **ხირხ-** გამოიყოფა, რომელიც -ატ, -ოტ, -ალ, -უ სუფიქსებით არის გართულებული. სუფიქსურ ნაწილში ხევსურული -**ალ** და ზანური -**უ** ცნობილ კანონზომიერებას ექვემდებარება, შდრ. წყალ- : წყუ „წყარო, წყალი“, ჯმალ- : ხამუ „დანა“... ასე რომ, ფუძექართულისათვის გარკვეული ალბათობით რეკონსტრუირდება ***ხირხ-**ალ- არქეტიპი, სწორედ ამ ალომორფის შესატყვისს იძლევა ჩვენთვის საინტერესო მეგრული სახეობა.

ს.-ქართვ. ***ხირხ-ალ-** „ქვიანი ადგილი“

ქართ. **ბღავ-**, **ბღავ-**ილ-ი, **ბღავ-**ი-ს, ზან. (ლაზ.) **ბღორ-**ინ-ი „ბღავილი“, **ბღორ-**ინ-ამ-ს „ბღავის“, სვან. **ბღუ-** ← ***ბღაჟ-** „ბღავილი“, ჯან **ბღუ** „ხარი ბღავის“, ლი-**ბღუ-**ლ-ი „ბღავილი“; აქამდე ცნობილ და სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ ქართულ-სვანურ მონაცემებს უნდა დაემატოს ზანური (resp. ლაზური) **ბღორ-** ეკვივალენტიც, მისი მეგრული სახეობა გამარტივებული **ღორ-** ფორმით დასტურდება სენაკურ კილოკავში, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანოულში გვექნება **ღვარ-**, შდრ.: **ღვარ-**აფ-ი//**ღორ-**აფ-ი ← ***ბღორ-**აფ-ი „ბღავილი“. ქართულ-სვანური **ვჩუ** ბილაბიალის

საპირისპიროდ ზანურში თავჩენილი **რ** ვიბრანტი რეგულარულ-კანონზომიერი ალოფონია [იხ. ჩუხუა 2005: 107-110].

იმერულ-აჭარული **ბლორინ**-ი „ბლავილი, ყვირილი“ ძველ ზანურ ნა-სესხობას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. ***ბლაჟ**- „ბლავილი, ყვირილი“

ქართ. **დოკან-**, **დოკან**-ი „მსხვილი ბოძი, ხის სახლის იატაკისა და კედლების საყრდენი“, ზან. (მეგრ.) **დოკონ**-ი „ხის დიდი მორი, რომელსაც ეყდნობა სახლი, სახლის სახურავი“, სვან. **დიკუნენ** „კუნძი, ჯირკი“; ჩვენებუ-რების ქართულში შემორჩენილი საერთოქართველური წარმომავლობის **დოკან-** ფუძე შესატყვისებს გამოაჩენს სხვა ქართველურ დიალექტებშიც. ფუძის განმოვანების თავლსაზრისით, გარკვეულ სხვაობას ვაფიქსირებთ სვანურ ერთეულში, რაც ნაუმლაუტარი **ჟ** სეგმენტის მეტათეზისით არის განპირობებული, ე.ი. ამოსავალში გვქონდა ***დჟკენ**→***დჟიკენ**→**დიკუნენ**.

ს.-ქართვ. ***დოკან-** „მსხვილი, საყრდენი ბოძი ხის ნაგებობაში“

ქართ. **ღარდა** „ხრამი“, ზან. (ლაზ.) **ღრუდო**, მეგრ. **ღურდო** „მოვარ-დნილი წყლისგან ამოთხრილი ორმო“; ქართული **ღარდა**, რომელიც ჩვენებუ-რების ქართულ მეტყველებას შემოუნახავს მხოლოდ, ზანურში კანონზომიერ შესატყვისებს ჰპოვებს. ამ ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემან-ტიკური ერთიანობა ადვილი დასანახია. პირველ მარცვალში ქართული **ა** ხმოვნის წილ **უ** დაჩნდება ზანურში, რომლის ამოსავალ წყაროს **ო** წარმო-ადგენს. ამდენად სავარაუდოა **ო**→**უ** ფონეტიკური პროცესი, რაც დისიმი-ლაციური ჩანს, ე. ი. ამოსავალმა **ო-ო** თანმიმდევრობამ მოგვცა **უ-ო**: ***ღორდო**→**ღურდო**.

ს.-ქართვ. ***ღარდ**-ა „ხრამი, ორმო“

ქართ. **ბაგარ-**, რაჭ. **ბაგარ**-ი „ქერქი პურეულის ნამცხვარისა“, ზან. (მეგრ.) **ბუქურ**-ი „წაბლის ნაჭუჭი (ბუსუსებიანი)“; რაჭული **ბაგარ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისი გამოჩნდება მეგრულ **ბუქურ-** სახელში. **ა**-ს შე-სატყვისი **ო** ზანურში ბაგისმიერებთან **უ**-ში გადადის [გუდავა; 1960, XXV, 1]. ცხადია, ლეჩხუმური **ბუქურ-ი** ზანურ წყაროს გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***ბაგარ-** „ქერქი, ნაჭუჭი“

ქართ. **ფან-**, მთიულ., გუდამაყრ. და-**ფან**-ებ-ა „დაწყნარება“, და-**ფან**-დ-ი „დაწყნარდი“, ზან. (ლაზ.) **ფონ-**, ო-**ფონ**-უ „დაძინება“, დი-**ფონ**-უ „და-იძინა“; საყურადღებო სემანტიკური კორელაცია გამოჩნდება ქართველურ დიალექტებში—**დაწყნარება** ~ **დაძინება**, რაც სემანტიკური ევოლუციის კა-

ნონზომიერებებს ბუნებრივად ექვემდებარება. სემანტიკურ იგივეობას მხარს უმაგრებს ამ ფუძეთა მატერიალური ერთიანობაც.

ს.-ქართვ. *ფახ- „დაწყნარება; დაძინება“

ქართ. კურ-, ინგ. კურ-ია „კვიცი, ტაიჭი“, ზან. (მეგრ.) კუ-კურ-, კუ-კურ-ია „ცხენის სახელი“; ინგილოური კურ-ია და მეგრული კუ-კურ-ია ერთგვაროვანი სუფიქსაციით ხასიათდებიან. ჩვენი თვალსაზრისით, ზანურში მომხდარა ფუძის რედუბლიკაცია — *კურ-კურ→კუ-კურ-, რასაც თან ახლავს რ სონორის დაკარგვა.

სხვა ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში კურ- ფუძის შესატყვისებზე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *კურ- „კვიცი, ტაიჭი“

ქართ. ლაბზ-, ოკრიბ. ლაბზ-ი „ლაფში“, ზან. (მეგრ.) ლობჟ-, ლობჟ-ო „დიდლაფშიანი“; ქართული ლაბზ-ის შესატყვისი მეგრული ლობჟ- ძირი შეიძლება ასევე ამოვიცნოთ სამურზაყანოში გავრცელებულ გვარში ლობჟ-ან-ია, რომლის საფუძველს ალბათ მეტსახელი ლობჟ-ან-ა „დიდლაფში“ თუ წარმოადგენდა, შდრ. რაჭ. ლობჟ-ან-იქე.

საკითხი ისმის ქართული ლაფშ-ის წარმომავლობის შესახებ.

ს.-ქართვ. *ლაბზ- „ლაფში“

ქართ. ლოს-, ლეჩხ. ლოს-ი „ზანტი; მშიშარა“, ზან. (მეგრ.) ლუშ-, ლუშ-ი „ჩუმი“, შდრ. ო-ლუშ-ე „გადასასვლელი ადგილი სამეგრელოს მთებში“; ფონეტიკურ-სტრუქტურულად ამ ძირთა ერთიანობას წინააღმდეგობა არ ახლავს. მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისითაც ერთგვაროვნება შეიძლება დავინახოთ ზანტი ~ ჩუმი კორელაციის დროს.

ს.-ქართვ. *ლოს- „ჩუმი, წყნარი; ზანტი“

ქართ. ქლენძ-, ფშ. ქლენძ-ი „გაიძვერა, ეშმაკი“, ზან. ქაჯ-, ქაჯ-ი „ეშმაკი“, ო-ქაჯ-ე (ტობ.), ქაჯ-აია (ანთროპ.); ამ ფუძეთა შესპირისპირებითი ანალიზისას ადვილად აიხსნება ლ-ს გაუჩინარება ზანურში, სადაც აკრძალულია კონსონანტი+სონორი აღმავალი ლიაობის თანმიმდევრობები. ასე რომ, ქლ→ქ კომპლექსის გამარტივება სუბერაციის ერთ-ერთ გამოვლინებად გვესახება, შდრ. ქართ. სლოკ-ინ-/სლუკ-უნ-: ზან. შიკინ-ი, ბლოყ-ინ-/ბლუყ-უნ-: ზან. ბუყ-ინ-...

საყურადღებოდ გვეჩვენება ფშაური ქლენძ-ის ძვ. ქართულ გრძ-ნ-ეულ- („ეშმაკის მოქმედი“ საბა) ფუძესთან მიმართების პრობლემა.

ს.-ქართვ. *ქლედ- „ეშმაკი, გაიძვერა“

ქართ. **ციბლ-**, ქართლ. **ციბლ-**ი „ხის მოგრძო ტაშტი“, ზან. (ლაზ.) **ჩიბო** „მარცვლის შესანახი ყუთი“; ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს ამ ქართველურ ფუძეთა აუსლაუტური მიმართება ქართ. **ლ** : ლაზ. **ო**, რაც ვერ იქნება უნიკალური. იგივე, **ლ/ო** ოპოზიცია ვლინდება საყოველთაოდ გაზიარებულ ქართულ-ლაზურ წყვილში — ქერტლ-ი: ქართლ „ქერტლი“ [იხ. ქუთელია: 1989, 23; ფენრიხი, სარჯველაძე: 2000, 488-489].

ლაზურ წყაროს გულისხმობს გურულ დიალექტში ფიქსირებული **ჩიბო** „დიდი ყუთი, რომელშიც მარცვალს ყრიან წისქვილში“.

ს.-ქართვ. ***ციბლ-** „ხის ჭურჭელი, ყუთი“

ქართ. **ბოტოტ-**, იმერ. **ბოტოტ-**ი „მახრა, მატლი“, ზან. (მეგრ.) **ბუტუტ-**; **ბუტუტ-**ი „ქინქლა, მუმლი“. აქვე შეიძლება შემოგვეტანა მეგრული **ბუტუტ-**ია „ჭიანჭველა, პატარა“, მაგრამ იგი სხვა შესატყვისს ვარაუდობს ქართულში, შდრ. იმერ. **პატატა** „პატარა; ნამცეცა“.

სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***ბოტოტ-** „მახრა; ქინქლა“

ქართ. **გენც-/გინც-**, ძვ. ქართ. **გინც-**ი „იმედი“, **გინც-**ობ-ა-ე „იმედი“, **გენც-**ი „იმედი თუ ნუგეშინის-ცემა“ (საბა), უ-**გენც-**ო (საბა), სა-**გენც-**ობ-ელ-ი (საბა), ზან. (მეგრ.) **განჩ-**ი „გადაკრული მინიშნება, ნიშანი“, „ქარაგმული ნიშნით დაიმედება“, **განჩ-**ი ქიმეჩუ „ანიშნა“, **განჩ-**ი ქრგლასმქუ „საიდუმლოდ ანიშნა, აგრძნობინა“; ძველ ქართულში **გენც-ტინც-** ალომორფთა ურთიერთობების რკვევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეგრულის ჩვენებას, სადაც ძირეულ ხმოვნად ა გამოჩნდება, ანუ ქართულისთვის უძველესია ე გახმოვანების ფუძე, შდრ. ქართ. ე : ზან. ა (გენც-/განჩ-).

ს.-ქართვ. ***გენც-** „იმედი; საიდუმლო ნიშანი, ქარაგმა“

ქართ. **ფაყვ-**, იმერ. **ფაყვ-**ე „დიდი ტანსაცმელი“, ზან. (მეგრ.) **ფუხ-**, **ფუხ-**ე „ზომაზე დიდი ტანსაცმელი“, სვან. **ფაყუ** „ქუდი“; აქამდე სვანური ფაყუ ფუძე განმარტობით იდგა. დასაშვებად მიგვაჩნია მისი გენეტიკური ერთიანობა ქართულ **ფაყვ-**ე და ზანურ **ფუხ-**ე***ფოყვ-**ე ალომორფებთან. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკურ-სტრუქტურული იგივეობა.

ს.-ქართვ. ***ფაყუ-** „ტანსაცმლის სახეობა; ქუდი“

ქართ. **კან-**, უ-**კან**, უ-**კან-**ის „ბოლოს“, უ-**კან-**ა-სკნელ-ი, ზან. (მეგრ.) **კონ-**, ე-**კონ-**ია „უკანასკნელი, ბოლო“; ქართველურ ენა-კილოთა თავსართები უ და ე წარმოშობით ნომინა ლოკის ნიშნები ჩანს, დღეს უფუნქციო.

ამოსავალი მნიშვნელობა (ეტიმონი) *ბოლოსი* უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ მეგრული **ე-კონ-ია** ამჟამად მხოლოდ მყარ შესიტყვეებებში, ძირითადად, წყველის ფორმულებში შემორჩა.

ს.-ქართვ. ***კან-** „ბოლო, უკანასკნელი“

ქართ. **წუედ-წუედ-, წვდ-ენ-ა**, ამო-**წვდ-ენ-ილ-ი**, ზან. (მეგრ.) **წვვალ-, წვვალ-უ-ა** „ამოწვდენა, შიშვლება“, გეშ-**წვვალ-უ** „შიშვლა (ხმალი)“; გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის აუსლაუტური შეფარდება ქართ. **დ** : ზან. **ლ**, რასაც მეგრული ფონეტიკის ჩვენებით ადვილად აგხსნით. მხედველობაშია არაანლაუტური **დ→ლ** ლატერალიზაციის სპორადული პროცესი ზანური ენის მეგრულ დიალექტში, შდრ.: ქართ. ქედან-ი: მეგრ. ქილორ-ი „ხობობი“, შე-ხვედ-რ-ა: შე-ხვალ-ამ-ა...

ს.-ქართვ. ***წუედ-** „წვდენა, ამოწვდენა; შიშვლება“

ქართ. **ვა-**, **ვა-ე/ვა-ი**, **ვა-ი-მე**, **ვა-ებ-ა**, **ვა-ებ-ს**, ზან. (ლაზ.) **ვო-** „ვაა“, **ვო-ი** „ვაი“, მეგრ. **ვო-** „ვაა“, **ვო-ი** „ვაი“, სვან. **ჟა-ა** „ვაა“; ზანურ-სვანურში **ვო-ვა-** ნაწილაკი ძირითადად მიმართვის ფორმებში ჩანს შემორჩენილი, რაც ამ ენებში წოდებითი ბრუნვის ფუნქციასაც ასრულებს (განსაკუთრებით საკუთარ სახელებში). ლაზურში **ვო-ი** დღესაც აქტიურად გამოიყენება, მეგრულში მისი არსებობის კვალი სასიმღერო ტექსტებში გამოჩნდება: დიდა, **ვო-ი** ნანა=დღეა, **ვა-ი** დღეა.

ს.-ქართვ. ***ჟა-** „მიმართვის ფორმა“, ***ჟა-ი** „ვაი“

ქართ. **კარ-**, ძვ. ქართ. **და-ი-კარ-ვა** „დამკვიდრდა, დასახლდა“, „წიად იორდანისა, სადაც დაიკარვა, და დან, რად ჰმსხემობ ნავთა შინა? ასირ დაჯდა კიდესა ზღუათასა და გამოსავალთა მისთა ზედა დაიკარვოს“ (მსჯ. 5.179), ზან. (მეგრ.) **კორ-**, **კორ-უ-ა** „სახლობა, კარვის დადგმა“, **ო-კორ-ან-ს** „სახლობს“; თუ ქართულ **კარ-ავ-** სიტყვაში ძირად იგივე **კარ-** გამოიყოფა, რაც **კარ-** „კარი“ სახელში გვაქვს, მაშინ სვანური **კარ-კრ-** „გაღება“ ზმნაც აქვე შემოვიღოდა.

ს.-ქართვ. ***კარ-** „დასახლება, კარვის დადგმა“

ლიტერატურა

- გუდავა 1960 — ტ. გუდავა, **ო-ს უ-**ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში. — სმამ, XXXV, 1, თბ., 1960 წ.
- კარტოზია 2005 — გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005 წ.
- კლიმოვი 1964 — Г. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964 г.
- კლიმოვი 1998 — G. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin - New York, 1998.
- როგავა 1988 — გ. როგავა, ზოგ ქართველურ და ინდოევროპულ ფუძეთა ურთიერთობის საკითხისათვის, იკე, XXVII, თბ., 1988 წ.
- ფენრიხი, სარჯველაძე, 2000; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000 წ.
- ქუთელია 1989 — ნ. ქუთელია, **SrC** და **CSr** სტრუქტურის კონსონანტური ჯგუფები ჭანურში (ლაზურში). — იკეწ, XVI, თბ., 1989 წ.
- შენგელია 2007 — ვ. შენგელია, ერთი ქართველური ფუძის ეტიმოლოგიისათვის. — რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2007 წ.
- ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938 წ.
- ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003 წ.წ.
- ჩუხუა 2005 — მ. ჩუხუა, **ჟ** → **რ** ერთგვაროვანი გარდაქმნისათვის ქართველურსა და საერთონახურში. — კრ. „ქართველოლოგიური კრებული“, თბ., 2005 წ.
- ცხადაია 2003 — პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003 წ.

Merab Chukhua

**The Additional Materials for the Commonkartvelian
Proto-language Lexical Fund**

S u m m a r y

The given work aims to promote the etymological research-analysis in order to highlight at most the commonkartvelian lexical fund. The recent period Kartvelology outstands by the appearance of the authors' new names. From this perspective, the activities of Rezo Abashia and Medea Saghlani should be acclaimed undoubtedly.

The presence of Laz-Svanian izoglos seems notable in this article. Special significance bears to find out Georgian equivalents preserved in Laz, cp. Laz (←Georg.) **xançel-i** : Zan. (Megr.) **xonçka** „entering in ripeness”, etc. Bringing in scientific circulation the lexical originality, characteristic to Georgian speech spread in Turkey, should be considered as well as an innovation. From this point of view Shushana Putkaradze's experience is exemplary.

პაატა ცხადაია

აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია ზანურ ენაში
(მეგრული ტოპონიმიკური მასალის მიხედვით)

1. აფრიკატიზაცია

ცნობილია, რომ აფრიკატიზაციას განიცდის როგორც ხშული, ისე სპირანტი თანხმოვნები. განსაკუთრებით გავრცელებულია სპირანტის გა-აფრიკატიზების შემთხვევები (ჯორბენაძე, 1998, გვ. 478). ისიც გარკვეულია, რომ ქართველურ ენებში აფრიკატიზაციის რამდენიმე გზა არსებობს: ა. თანხმოვანთა კომბინაციური შერწყმა (ხშული + ნაპრალოვანი); ბ. ნებისმიერ ხშულ თანხმოვანთან მეზობლობა; გ. ანალოგია; დ. სუბსტიტუცია.

ამათგან მეგრული ტოპონიმია გამოავლენს აფრიკატიზაციის ორ გზას: ხშულთან მეზობლობასა და სუბსტიტუციას.

თავდაპირველად განხილული იქნება **ს** სპირანტის აფრიკატიზაციის საკითხი. აფრიკატიზაციას განიცდიან როგორც წინანუნისმიერი, ისე უკანანუნისმიერი სპირანტები. ჩვენც ამ თანმიმდევრობით განვიხილავთ მასალას.

1.1. **წინანუნისმიერ სპირანტთა აფრიკატიზაცია.** იგულისხმება სპირანტის ჩანაცვლება იმავე ლოკალური რიგის ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვნით. მაშასადამე, ეს მონაცვლეობა წარმოადგენს ფშვინვიერთა ურთიერთმიმართებას.

ს → ც

ს → ც ჩვეულებრივია ხშული თანხმოვნების, მათ შორის სონორების (მ, ნ, რ, ლ) მეზობლობაში. ამასთანავე, ს თანხმოვნის აფრიკატიზაცია ხდება სპირანტი თანხმოვნების მეზობლობის დროსაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ შემთხვევაშიც ხდება ხშვა, თუმცა ნაწილობრივი. სამეცნიერო ლიტერატურაში საილუსტრაციოდ ასახელებენ ტოპონიმებს: მესხ-ეთ-ა → მსხ-ეთ-ა → მცხეთა; სა-მესხ-ე → სა-მსხ-ე → სამცხე.

მეგრულში "ს → ც ძალიან ხშირია ხ სპირანტის წინ" (ლომთაძე, 1999, გვ. 38), მაგრამ დასახელებულია ერთადერთი მაგალითი: სხვენი → ცხვენი. სამეგრელოს ტოპონიმიაში აღმოჩნდა ამ სახის აფრიკატიზაციის რამდენიმე შემთხვევა:

ა. **ზეცხილონი** ეწოდება ურთის მთის ფერდობებს სოფ. ხამისკურში (ხობის რ.). ფერდობებზე ჩანს ზეთისხილის ნარგავების ნაშთები, რაც თავისთავად მიგვანიშნებს, რომ **ზეცხილი** იგივეა, რაც ქართული **ზეთისხილი**. მაგრამ საჭიროა გაირკვეს, რა ფონეტიკური პროცესები ახლდა ქართული სიტყვის მეგრულში ადაპტაციას?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს კომბინაციური შერწყმა თს → ც (დაუშვებელია: ზეთისხილი → ზეთსხილი, ე.ი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის ამოვარდნა და თანხმოვნითი ნაწილის დარჩენა). რჩება ერთადერთი გზა: ს სპირანტის აფრიკატიზაცია ხ თანხმოვნის მეზობლობაში. ამ პროცესს წინ უძღოდა ჰაპლოლოგია. ფონეტიკურ მოვლენათა თანმიმდევრობა ასეთია: **ზეთისხილი** → **ზესხილი** (თი- კომპლექსის ამოვარდნა) → **ზეცხილი** (აფრიკატიზაცია). ტოპონიმი ზეცხილონი წარმოქმნილია მცენარეთა კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი **-ონ** სუფიქსით.

ბ. **ჭამურცხულა/ჭამურცხულონი/ჭამურსხულონი** არის ხევის სახელი საგუგუნაოს უბანში (სოფ. შუა ხორში, სენაკის რ-ნი). ინფორმატორთა განმარტებით, "ჭამურსხული არის მსხლის ჯიში, მწიფდება აგვისტოში, რბილია და თეთრი, მრგვალი, არომატული". შდრ.: "ჭანური მსხლის ჯიშია" (მეგრ.-ქართ. ლექსიკონი, ტ. III, 2002, გვ. 458).

ამ შემთხვევაშიც ფონეტიკური მოვლენები მიმდინარეობდა საზოგადო სახელის დონეზე: **ჭანურსხული** → **ჭამურსხული** (ნ — მ მონაცვლეობით) → **ჭამურცხული** (ს → ც ხ სპირანტის წინ). ამ საწარმოებელ ფუძეს დართვია **-ონ** სუფიქსი.

გ. ცნობილია, რომ მეგრულში **ს** სპირანტის აფრიკატიზაცია ხდება როგორც წმინდა ხშულების, ისე სონორების (მ, ნ, რ, ლ) მომდევნო პოზიციაშიც. კოლხური ენის ფონოტაქტიკის შესაბამისად, ქართული **ქუსლ**-ი მეგრულში ადაპტირებულ იქნა როგორც **ქურს**-ი, საიდანაც სონორის მეზობლობაში ს სპირანტის აფრიკატიზაციის შედეგად წარმოიქმნა **ქურც**-ი ვარიანტი (ეს მაგალითი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია). ამ ფუძეთაგან მომდინარეობენ გვარები **ქურსუა** და **ქურცუა**. მათი წარმოქმნის გზა ასე გვესახება: **ქურსუა** "დაწიხვლა, დაქუსვლა", გადატანითი მნიშვნელობა: "მამლაყინწობა, ყოყლოჩინობა, უდიერობა". სათანადო სასუბიექტო მიმღეობა იქნებოდა ***მ-ქურს-უ** ("დამჩაგრავი, ყოყლოჩინა, მამლაყინწა") → **ქურსუ** (მეტსახელი და ეპონიმი) → **ქურსუა/ქურცუა** (გვარსახელი). შდრ.: ჭკადუა "ჭედვა" → *მ-ჭკადუ "მჭედელი" → ჭკადუ (პროფესიის აღმნიშველი სახელი) → ჭკადუ (მეტსახელი და ეპონიმი) → ჭკადუა (გვარსახელი); **ჩუალა** "შენახვა, დაცვა" → *ტყაშ მჩუ "ტყისმცველი" → ტყაჩუ და სხვ.

ოფიციალური მონაცემებით, 1995 წელს საქართველოში ცხოვრობდა 144 სული ქურსუა (ძირითადად ზუგდიდის რ-ნში) და 64 სული ქურცუა (ძირითადად გურიაში). გარდა ამისა, სამეგრელოში ქურცუა ქურსუა-ს ვარიანტად ითვლება, რასაც ადასტურებს ტოპონიმი **ლექურსუე/ლექურცუე** (ბორცვი კადარღალსა და შქედღალს შუა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლეახალეში). ამ ტოპონიმის წარმოქმნის გზა ასეთია: ქართ. ქუსლ-ი → მეგრ. ქურს-ი//ქურც-ი → ქურსუა//ქურცუა "დაქუსვლა" (ნასახელარი ზმნა) → *მქურსუ//*მქურცუ (სასუბიექტო მიმღეობა) → ქურსუ//ქურცუ (მეტსახელი და ეპონიმი) → ქურსუა//ქურცუა (გვარსახელი) → ლექურსუე//ლექურცუე.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: კოლხურ **ქურც-** ფუძესთან უნდა იყოს დაკავშირებული პირსახელი **ქურცანა** (დამოწმებულია "ტბეთის სულთა მატიანეში") და გვარსახელი **ქურცაძე** (გავრცელებულია იმერეთში).

დ. ქართული პირველადი საწყისი "სრიალი" მეგრულში, როგორც მოსალოდნელი იყო, ადაპტირებულია "**რსიალი**" ფორმით. მაგრამ მეგრულშივე დასტურდება "**რსიოლი**", რომელიც ასევე ქართულ "სრიალ-" ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს, ოღონდ ფუძის შიგნით ა — ო მონაცვლეობით და მნიშვნელოვანი სემანტიკური გადაწევით. **რსიოლი** ნიშნავს: "ბრუალი, თავბრუხვევა; ტრიალი". სწორედ ეს რსიოლი მეტყველებაში გვხვდება **რციოლი** ფორმითაც, რასაც ადასტურებს ჰიდრონიმი **მარსიოლე/მარციოლე/მირსიოლე**. ესაა ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი, რომელიც ამჟამად არხით უერთდება ტეხურს (სოფ. ძველი სენაკი, სენაკის რ-ნი). ინფორმატორი განმარტავს: "ღელე გარს უვლის ბორცვს, უტრიალებს მას და აკეთებს დიდ მოსაბრუნს. ამიტომ დარქმევია." მაშასადამე, ძირითადი ფორმაა მარსიოლე, საიდანაც ს → ც მონაცვლეობით წარმოქმნილა ვარიანტი **მარციოლე**.

ე. ქართული გვარი ცისკარიძე მეგრულში გადმოსულია როგორც **ცისკარავა** (ცისკარიძე — 262 სული საქართველოში, ძირითადად აჭარასა და ქართლში; ცისკარავა — 34 სული საქართველოში, ძირითადად ზუგდიდის რ-ნში). ს სპირანტის აფრიკატიზაციის შედეგად მიგვიღია ცისკარავას არაოფიციალური (ადგილობრივი) ვარიანტი **ციცკარა/კიცქარა**. ზუგდიდის რ-ნის სოფ. დიდი ნეძის კახათში უბანს ეწოდება **საციცკარო/კიცკარაშ მუხური**.

ვ. **ს** სპირანტის **ც** აფრიკატიზაცია ჩანაცვლება ხდება ხმოვანთა მეზობლობაშიც. მაგრამ ეს არის არა აფრიკატიზაცია, არამედ სუბსტიტუცია. კლასიკურ მაგალითად დასახელებულია ქართ. ანკესი → მეგრ. ანკეცი. სათანადო მაგალითები მეგრულ ტოპონიმაში ერთგვარად მეტია, ვინემ **ს**-ს გააფრიკატებისა თანხმოვანთან მეზობლობაში.

ადესა ვაზის ჯიშია. მისი ყურძენი შეიძლება იყოს შავი ან თეთრი, მსხვილი მარცვლით. მთიან სამეგრელოში, ჩვეულებრივ, გავრცელებულია აფრიკატიზებული ვარიანტი **ადეცა**. ტოპონიმიში დასტურდება ორივე ფორმა. **ადესა** — ტყე მარტვილში და ფერდობი ნახურცილაგოში (ორივე მარტვილის რ-ნი) და სხვ. **ადესონი** — სახნავი თამაკონში (მარტვილის რ-ნი); **ადეცონი** — სერი ნაფიჩხოვოში (ჩხოროწყუს რ-ნი); **ადეცონი/ადესონი** — სახნავი კირცხში (ჩხოროწყუს რ-ნი); **ოადეცე** — სახნავი ყულისკურის მარჯვ. მხარეს (სოფ. ალერტკარი, ზუგდიდის რ-ნი).

ზ. **თხვესი** არის გაუვალი ეკალბარდიანი ადგილი, თანაც ოდნავ ჭაობიანი (სიტყვა ჯერ არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში). სიტყვის ბოლოში ხმოვანთა შორის ს სპირანტი შეცვალა ც აფრიკატმა. ტოპონიმური დადასტურებანი: **თხვესი/თხვეცონა** — ტყე-ჭაობი ეწერში (ტალერის თემი, მარტვილის რ-ნი); **თხვესი/თხვეცი** — ჯაგნარ-ტორფნარი ყინოთა-ნამიკოლაგო მეორის საზღვარზე (მარტვილის რ-ნი).

თ. **საბეკი** "საბეკნი, სატკეპნი" დაკავშირებულია ქართულ ბეკ ზმნურ ფუძესთან ("**ბეკა** — ცხენის მიერ ფეხის ცემა მიწაზე და მიწის მოთხრა". იხ.: აბულაძე, 1973, გვ. 30; შდრ.: "**ბეკა** — ბეკნა მაგრად დარტყმა". იხ. სარჯველაძე, 2001, გვ. 23). **სა-** პრეფიქსით წარმოქმნილი მიმღეობა საბეკი მხოლოდ მეგრულშია ცნობილი და აღნიშნავს ადგილს, სადაც ქარ-წვიმისას ცხენები წრეში დგებიან შიგნით თავმიქცეულნი და გამოდარების მოლოდინში ფრუტუნებენ, მიწას ფეხს ურტყამენ. საამისოდ მოხერხებული ადგილია ამორჩეული. ეს ადგილი ყოველთვის დატკეპნილია (სიტყვა საბეკი ჯერ კიდევ არ არის შესული ლექსიკონებში). თარზენის კალთაზე, სოფ. ქოყოში (ჩხოროწყუს რ-ნი), დავაკებას ეწოდება **ნასაბეკ/ნაცაბეკ**. აქაც **ს** → **ც** მონაცვლეობა ხდება ხმოვანთა გარემოცვაში.

ი. ქართულ **სურ-** (სურ-ო) ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია **სურჯ-**, რაც შემონახულია ტოპონიმ **სურჯონაში** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 408), მაგრამ, როგორც ჩანს, მეგრულს იმერული დიალექტიდან შეუთვისებია **სურო** ფუძეც **სურუ-**ს ფორმით, ხოლო შემდეგ მომხდარა აფრიკატიზაცია **ს** → **ც**: ამას ადასტურებენ ტოპონიმები: **სურონა** — ტყე, ხევი სოფ. საგუნავოში (სენაკის რ-ნი); **სურონი** — ტყე სოფ. სეფიეთში (სენაკის რ.); სურუონი, სურნა (← სურონა), სურუამრობუ, სურუამჯაპი და სხვ., რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოში გვხვდება. შდრ. იგივე ფუძე ზუგდიდურ-სამურზაყანული თქმის ზონაში: **ცურუამჯა** "სუროიანი ხე" — მინდორი სოფ. ხურჩაში (ზუგდიდის რ.), **ცურნა** (← ცურუონა) — დღე და ხეობა სოფ. ლეხარჩილეში; **ცურუამდალ/ცურუონდალ** — ტყე, ხევი სოფ. სამესხიოში; **ცურუონი** — საძოვარი მედანში; **ცურ(უ)ონი** — ტყე, ფერდობი სოფ. ლესალეში (ყველა წალენჯიხის რ.). **ს** → **ც** აქაც ცხადია, ოღონდ ეს მოვლენა ტერიტორიულადაა შემოსაზღვრული.

კ. ქ. წალენჯიხაში გორას ეწოდება **ნასაბუ/ნაცაბუ**. პირველი ვარიანტის პირველადობა და, მაშასადამე, ხმოვნებს შორის ს → ც აფრიკატიზაციის ფაქტი უეჭვო გახდება, თუ ვიცით, რომ ეს გორა საბა კალანდიას ნასახლარია. **ს – ც** სუბსტიტუციის მაგალითად გამოდგება წყაროს სახელი **ხუსენწყუ/ხუცენწყუ**. სუბსტიტუცია მომხდარა ანთროპონიმის დონეზე.

ლ. სოფ. ზ. ხუნწში (მარტვილის რ-ნი) ეჯიშკარიანესა და ეგანოკიძეს შუა მდებარე ბორცვს ეწოდება **ასანოური/აცანოური**. **ასანა** ძველ ქართულში გავრცელებული პიროვნული სახელია. ხოლო ამჟამად იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი ასანიძე, ჯერ კიდევ XVI ს. დამდგვის ისტორიულ საბუთშია დაფიქსირებული. სავარაუდოა, რომ ზემოთ დასახელებული პარალელური ტოპონიმებისათვის ამოსავალი იყოს ფორმა **ასანა** (ასანა-ურ-ი → ასან-ო-ურ-ი). მაშასადამე, **აცანოური** წარმოქმნილია ს → ც აფრიკატიზაციით ხმოვნებს შორის.

წარმოვადგენთ პარალელურ ტოპონიმებს, რომლებშიც ჩანს ს – ც მონაცვლეობა, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერჯერობით არაა დადგენილი თავდაპირველი ფორმა, ძნელი გასარკვევია, საქმე ს → ც აფრიკატიზაციასთან გვაქვს თუ ც → ს დეზაფრიკატიზაციასთან: **ოხინდალე/ოცინდალე/ოწინდალე; სალური/კალური, ცანაფითონი/ანაფითონი** (სანაფითა//ცანაფითა ყურძნის ჯიშია), **ცოსორუა/კოცორუა, ნაისუ/ნაიცუ, ნასანდარუ/ნაცანდარუ, ნასანუ/ნაცანუ, ნასახუ/ნაცახუ, ლესუდე/ლეცუდე, ნასლახუ/ნაც(ი)ლახუ** და სხვ.

ზ → ძ.

ა. ქართული სიტყვა **საზღვარი** მეგრულში ადაპტირებულია როგორც **საზღვარი და სანზღვარი**, ისე ზ → ძ აფრიკატიზაციის შედეგად წარმოქმნილი **სანძღვარი**-ი ფორმით ("მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" დაფიქსირებულია მხოლოდ "სანზღვარი"). ტოპონიმური მონაცემები ასეთია: სოფ. საგვიჩიოში (ზ. ჭალადიდის თემი, სენაკის რ-ნი) ღელეს ეწოდება **საზღვარდალ/სანძღვარდალ**, ხოლო სოფ. კოკში (ზუგდიდის რ-ნი) ენგურის ტოტის სახელია **სანძღვარწყარი**.

ბ. **კურზუ, კურზულე** მეგრულში აღნიშნავს მცირე შემადგენელ მდინარისპირა ვაკეებზე. ეს ოროგრაფიული ნომენი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მსაზღვრელ **დიხა**-სთან ერთად. **დიხაკურზუე** ეწოდება ბორცვებს მარტვილის რ-ნის სოფლებში — ლეციცხვაიეში, სერგიეთში, საკუთრივ ქ. მარტვილში და სხვ. ამ ბორცვების სიმაღლე 10-15 მეტრია, ჰგავს ხელოვნურს, ისევე როგორც დიხაგუძუბა. სოფ. ლებაჩეში აბაშისპირა მცირე ბორცვს ორი სახელი აქვს: **დიხაკურძუე/დიხაკურზუე**. რა თქმა უნდა, აქაც ზ → ძ.

1.2. **უკანანუნისმიერი სპირანტების აფრიკატიზაცია** (სპირანტს ჩაენაცვლება იმავე ლოკალური რიგის აფრიკატი).

შ → ჩ

ა. **დღუდღუში** ვაზის ჯიშია (ზოგი კრახუნასთან აიგივებს). ამოსავალი ფუძეა **დღუდღუ** (მისი მნიშვნელობა ჯერჯერობით არაა დადგენილი. - **ში** სუფიქსი კი ხშირია ვაზის ჯიშების სახელწოდებებში). ვარიანტებია: დღუნდღუში (იხ. "მეგრ.-ქართ. ლექსიკონი", ტ. I) და დღურდღუში. **დღუნდღუშონა** ადგილის სახელია რამდენიმე სოფელში (დავაკებაა სოფ. ნაკიანში, მორევი — მდ. ჩხოუშიაზე სოფ. პ. გურძემში და სხვ.); ჰაპლოლოგირებული ფორმა **დღუშონა** სახნავის სახელია სოფ. პირველ კიწიაში (მარტვილის რ-ნი), ხოლო **დღუ(რ)ჩონა/დღუ(რ)შონა** ეწოდება ვაკე-სახნავს სოფ. ახუთში (ჩხოროწყუს რ-ნი). მაშასადამე: დღურდღუშონა → დღურშონა (ჰაპლოლოგიით) → დღურჩონა (შ → ჩ აფრიკატიზაციით).

ბ. მსგავსი აფრიკატიზაცია გვხვდება სხვა შემთხვევაშიც: **ჩეში** "თეთრისი" ვაზის ჯიშია. იმ ადგილს, სადაც ჩეში უხვად ხარობდა, (სოფ. კეთილარი, აბაშის რ-ნი) ეწოდება **ჩეშონა/ჩეჩონა**. ამის გარდა, ჩეჩონა ეწოდება ტყეებს სოფ. საჩიქობავოში (სენაკის რ-ნი), სოფ. გახომელაში (სენაკის რ-ნი) და სხვ.

გ. **შ → ჩ** აფრიკატიზაციის კიდევ რამდენიმე შემთხვევას დავასახელებთ მარტვილის რ-ნის ტოპონიმიდან:

ჭიში, ანუ შხურიშ ჭი, კატაბარდაა. ი. ყიფშიძე რაფიელ ერისთავზე მითითებით განმარტავს: "შხურიჩი — дикий виноградъ (ср. ბურეხი)". "ბოტანიკურ ლექსიკონში" კატაბარდის მეგრულ სემანტიკურ ეკვივალენტებად დასახელებულია **"შხურიში ჭი, შხურიში ჭუ, ჩიქვიში ჭი, წირღუ"**. **ხურუ** სიტყვის მნიშვნელობა კი "მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" ასეა ახსნილი: "სორო, ბუნავი". ხურუ ლექსემის შემცველი ტოპონიმებით აღნიშნულ ობიექტებზე დაკვირვებითა და ინფორმანტთა განმარტებების საფუძველზე ჩვენული განმარტება აღნიშნული სიტყვისა ასეთია: 1. ფერდობის ძირას მიმწყვდეული ვაკე, დუბე; 2. მიდამოს კუთხე, წვეტი, რომელიც ფერდობშია შეჭრილი; 3. ვაკე-ხევი, თაროსებური შეღრმავება მთის კალთაზე.

ხურუ ათეულზე მეტ ტოპონიმშია დაფიქსირებული დამოუკიდებლად ან რთული ტოპონიმის ერთ-ერთ კომპონენტად. დავასახელებთ სამ სახელწოდებას (სამივე მარტვილის რ-ნში). ყველა შემთხვევაში დასტურდება შ → ჩ აფრიკატიზაცია: **ჭიშხურე/ჭიჩხურე** — სახნავი მარსილში (სოფ. ჯოლევი); **ჭიშხურუ/ჭიჩხურუ** — ტყე-ფერდობები მდ. ონახუემის მარცხ. ნაპირზე (სოფ. ზ. ხუნწი); **ჭიჩხური/ჭიშხურუ** — ღელე და ხევი თათულალის მარჯვ. შენაკადი (სოფ. ჭაბურთა).

დ. ცხვრის ნადგომ ადგილს ბევრგან შერჩენია სახელწოდება: ნაშხურუ, ნაშხური, ნაშხურევი... სოფ. ნაფიხხოვოში (ჩხოროწყუს რ-ნი) მდ. წითიერის ზემო წელს და მის ხეობას ეწოდება **ნაჩხურუ/ნაშხურუ**. გადმოცემით, უწინ ამ ხეობაში ცხვარი ჰყავდათ. მაშასადამე, ნაშხურუ →

ნახურუ, ე.ი. შ → ჩ აფრიკატიზაცია. შხურ- სიტყვა "ნორმა" მეგრულისათვის. მართალია მეგრ. ჩხურ- ქართ. **ცხვარ**-ის კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია, მაგრამ ეს მხოლოდ ისტორიულად. დღეს კი მეგრულში გავრცელებულია შხურ სიტყვა და ამის გამო ჩხურ "ცხვარი" ჩავთვალეთ მის ვარიანტად, რომელიც მიღებულია აფრიკატიზაციით.

ე. ახლო წარსულში მეგრულთა სამეურნეო ყოფაში გავრცელებული იყო სამიწათმოქმედო ტერმინი **მოშხუნაფა**. იგი ნასახელარი ზმნის საწყისი ფორმაა. ამოსავალი სიტყვა **შხუნა** (იშვიათად შხონა) აღნიშნავს ყამირს, დიდი ხნის შესვენებულ მიწას, რომელსაც უკვე დაწყებული აქვს გატყეება. მოშხუნაფა სწორედ მიწის დასვენებასა და გაყამირება-გატყეებას აღნიშნავს. სამი-ოთხი წლის შემდეგ ნორჩ ტყეს გაკაფავდნენ, მოასუფთავებდნენ და ახოდ აქცევდნენ. **ოშხუნაფუ** სწორედ დასასვენებელ-გასატყეებელ და შხუნად გადასაქცევ მიწას აღნიშნავს. ტეხურის ჭალას (სოფ. დობერაზენი, მარტვილის რ-ნი), სადაც მონაცვლეობით ხდებოდა გაყამირება-მოახობა, ამჟამად ეწოდება **ოშხუნაფუ /ოშხონაფუ /ოჩხონაფუ**. აქაც შ → ჩ. მართალია ამ აფრიკატიზაციას ხელი შეუწყო გადაზარბამ: ოჩხონაფუ ნიშნავს საცხონებელს. ვითომ აქ მოწეული მოსავლით უნდა ცხონებულყო პატრონი.

იგივე პროცესი ჩანს ტოპონიმში **ნაშხვენ /ნაჩხვენ** (ტყე-ფერდობები მარტვილის რ-ნის სოფ. ლექობალეში). აქაც ამოსავალია შხუნა "ახო". ტოპონიმი ნაჩხვენ დასტურდება სხვა სოფელშიც: პირველ გურძემში (მარტვილის რ-ნი) ნაჩხვენწყარის სათავე წყაროს ეწოდება **ნაჩხვენ /ნაშხვენ**. მაშასადამე, **შხუნა → ნაშხვენ** (მონაცვლეობა უ—ვე ჩვეულებრივია) ნიშნავს ნაახოვარს. → **ნაჩხვენ** (აფრიკატიზაციით).

ვ. მიუხედავად იმისა, რომ **ხურშ-ონა**-ს ამოსავალი ფუძის სემანტიკა, გარკვეული არ არის, ადვილი მისახვედრია რომ **ხურშ-ი** ფორმაში **შ** ნაშთია მცენარეთა სახელების მაწარმოებელი **-იშ** სუფიქსისა (შდრ. ტოპონიმები: ხოროშინა და ხოროშონა. ამოსავალია ხოროში, ატმის ჭიშის სახელი, იგივე ხოროატამა). ნებისმიერ შემთხვევაში ხურშონა თავდაპირველი ფორმაა, ხოლო ხურჩონა არის მისი ვარიანტი, წარმოქმნილი შ → ჩ აფრიკატიზაციით. **ხურშონა /ხურჩონა** ტყე-ხევია დიდლალის ხეობაში (სოფ. ქვათი, მარტვილის რ-ნი).

ზ. კორშია მცირერიცხოვანი გვარია. მისი იშვიათი არაოფიციალური ვარიანტია **კოშია, კოჩია**. ორივე ფორმა ჩანს ტოპონიმში **ლეკოშიე /ლეკოჩიე**. გადმოცემით, ამ ფერდობებზე ყორშიებს უცხოვრიათ (სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს რ-ნი). აქაც სავარაუდოა **შ → ჩ** (კოშია → კოჩია). მაგრამ თუ თავდაპირველ ფორმად ჩავთვით **კოჩიას**, მაშინ საქმე გვექნება დეზაფრიკატიზაციასთან ჩ → შ.

უ → ჯ.

ჟღერია მცირერიცხოვანი გვარსახელია (სულ 163 სული საქართველოში. ამჟამად ძირითადად გურიაში გვხვდება). იგი უნდა მომდინარეობდეს ჟღერია-საგან (მაისურაძე, 1990, გვ. 136). მეორე მხრივ, არაა გამოცხადებული, გვარისათვის ამოსავალი იყოს პირსახელი ჟღერო (რაჭაში). ჟღერიას ვარიანტია ჯღერია (ჯღერიაც მცირერიცხოვანი გვარსახელია, სულ 46 სული საქართველოში. აზნაური ჯღერიები ისტორიულად იმერეთში მკვიდრობდნენ). აფრიკატიზაციას (ჟ → ჯ) ადასტურებს ტოპონიმი **ნა-ჟღერ(ო)უ/ნაჯღერ(ო)უ** — ფერდობები წკანტილეს მარჯვ. მხარეს (სოფ. ნახუნავო, მარტვილის რ-ნი). გადმოცემით, ამ ფერდობებზე ჯღერიები სახლებულან. გვარ ჟღერიას უკავშირდება აგრეთვე ტოპონიმი **ჟღერული/ჯღერული** (საბალახო ქ. წალენჯიხის საკალანდიოს უბანში).

1.3. ხშულის აფრიკატიზაცია.

დ → ჯ

ა. **ხუდონი** ნასოფლარია წალენჯიხის რაიონში. ამჟამად მოქცეულია ენგურპეის წყალსაცავის ფსკერზე. ეტიმოლოგიურად შეიძლება დავაკავშიროთ ქვემო სამეგრელოში გავრცელებულ სიტყვასთან ხუდონიზა "ფხვიერი მიწა, ადვილად დასამუშავებელი". სოფ. ჯვარში გავრცელებული ვარიანტი **ხუჯონი** დასახელებულია ჯერ კიდევ ი. ყიფშიძის "მეგრულ-რუსულ ლექსიკონში". როგორც ვხედავთ, ხმოვანთა შორის მოქცეული მჟღერი **დ** შეცვალა ამავე ლოკალური რიგის მჟღერმა **ჯ** აფრიკატმა.

ი. ყიფშიძე დასავლურ (ზუგდიდურ-სამურზაყანოულ) დიალექტში ალ. ცაგარელზე დაყრდნობით და **დ** ხშულის აფრიკატიზაციის საფუძველზე გამოყოფს ჯვარულ თქმას: "Речь с. Джвари... можно назвать подговоров М.З. говора. Особенность его состоит в диссимиляции удвоенных гласных" (ყიფშიძე, 1994, გვ. 50). ალ. ცაგარელი ჯვარული თქმის თავისებურებად თვლიდა იმას, რომ **დ** გადადის, თუმცა არა ყოველთვის, **ჯ**-ში". დასახელებულია ასეთი მაგალითები, ამოღებული ჯვარში ჩაწერილი ორი ლექსიდან: ჯუჯი (← დუდი), რაგაჯი (← რაგადი), უბეჯური (← უბედური). ამასთან დაკავშირებით ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მას ამ სიტყვებში ჯვარულთაგან ჯ არ მოუსმენია, მაგრამ ჯვარულთა ძველი თაობის მტკიცებით, ამ სიტყვებში დ-ს ნაცვლად ჯ მართლაც მოუსმენიათ მამა-პაპათაგან.

ბ. **დ** → **ჯ** აფრიკატიზაციის კიდევ ერთ მაგალითს დავასახელებთ: **დალდიდი** "ღელღელი" ტოპონიმიში გვხვდება **დადიდი** ფორმით. **დადიდი** ეწოდება ოჩხომურის შენაკადს სოფ. პ. ჭოლაში (ჩხოროწყუს რ-ნი) და ჯიბაღურის მარცხ. შენაკადს სოფ. გამოღმა ქარიატაში (ხობის რ-ნი). აფრიკატიზებული ვარიანტი დასტურდება ხობის რ-ნის სოფ. ძვ. ხიბულაში, სადაც ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადს ეწოდება **დადიდი/დაჯიჯი**.

გ. დემურების უბანს სოფ. ფოცხოში (სენაკის რ-ნი) ეწოდება **დე-დემურიე**. მაგრამ დაბალ სერს, რომელიც დემურების ნასახლარად ით-

ვლება, დარქმევია **ლეკემ(უ)რე** (სოფ. ალერტკარისა და საჭურღულოს საზღვარზე, ზუგდიდის რ-ნი). აქაც ცხადია, რომ დ → ჯ.

დ. **ხუნდიში/ხუნჯიში** სახნავია სოფ. ნალეფსაოში (მარტვილის რ-ნი). ქართული სიტყვა ხუნდი მეგრულში შესულია ხუნჯი (ხუნჯვი) ფორმით. "ხუნდი — იგივეა, რაც ხუნჯი" (მეგრ.-ქართ. ლექსიკონი). ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ხუნჯი წარმოადგენს ქართ. ხუნდი სიტყვის ადაპტირებულ ფორმას, წარმოქმნილს დ → ჯ აფრიკატიზაციით.

ე. მეგრულში **დურე** აღნიშნავს ხევისებურ ჩაღრმავებას. სოფ. ჯუმითში (ხაბუმის თემი, ჩხოროწყუს რ-ნი) **(ნ)დურე** ხევის სახელია, მაგრამ სოფ. სანაჭყებიოში (მარტვილის რ-ნი), სახნავს მცირედ ჩაღრმავებულ ადგილზე დარქმევია **ინონჯურია**. დ → ჯ ცხადია.

მაშასადამე, აფრიკატიზაციის სახეობათა შორის მეგრულში (ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით) უფრო გავრცელებულია ს → ც (წინანუნისმიერი სპირანტის ჩანაცვლება წინანუნისმიერი აფრიკატი), ხშირად გვხვდება აგრეთვე შ → ჩ (უკანანუნისმიერი სპირანტის ჩანაცვლება უკანანუნისმიერი აფრიკატი), ხოლო რაც შეეხება ხშულის გააფრიკატებას, იგი წარმოდგენილია ერთადერთი სახით დ → ჯ. ყველა შემთხვევაში თანხმოვანთმონაცვლება ფონეტიკურადაა შეპირობებული.

2. დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაცია ხშულნაპრალოვანი ბგერის ჩანაცვლებაა ნუნისმიერი სპირანტით (ზ, ს, ჟ, შ) ან კბილისმიერი ხშულებით (დ, თ, ტ). პირველი შემთხვევა აღინიშნება ტერმინით **სპირანტიზაცია**, ხოლო მეორე შემთხვევა — ტერმინით **დესპირანტიზაცია**. თავის მხრივ, სპირანტიზაცია წარმომავლობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს **დისიმილაციური** ან **სპონტანური**. დისიმილაცია ხდება ხშულებისა და სონორების, აგრეთვე დ, ხ სპირანტების მეზობლობაში (რადგან დ, ხ სპირანტები შეიცავენ, თუმცა მცირე დოზით, ხშულობის ელემენტებს). სპირანტიზაცია ხდება დისიმილაციით ხშულობის მიხედვით. ხოლო რაც შეეხება სპონტანურ დეზაფრიკატიზაციას, მისი საფუძველია ხმოვნებთან მეზობლობა.

დესპირანტიზაციასაც იწვევს დისიმილაცია და იგი სამი სახისაა: **ც → თ, წ → ტ, ჯ → დ**. ამათგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მეგრულსა და სვანურს მხოლოდ ჯ → დ ახასიათებს. მეგრული ამ თვალსაზრისით მეტ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს.

2.1. **სპირანტიზაცია**: აფრიკატი → წინანუნისმიერი ზ ან ს.

ც → ს

ხშულნაპრალოვან **ც** თანხმოვანს დეზაფრიკატიზაციის გზით ქართულურ ენებში შეიძლება ჩაენაცვლოს როგორც **თ** ხშული, ისე **ს** და **ზ** სპირანტები. მიზეზია მეზობელი თანხმოვნების ხშულობასთან დისიმილა-

ცია. მაგრამ სუბსტიტუციის შედეგი — სპირანტიზაცია ჩვეულებრივია აგრეთვე **გ-ს** წინ, ხმოვნის მეზობლად და ხმოვნებს შორის (ლომთაძე, 1999, გვ. 44).

სამეგრელოს ტოპონიმია ამჟღავნებს დეზაფრიკატიზაციის ასეთ შემთხვევებს

ა. მეგრულში ქრისტე მაცხოვრის სახელობის ეკლესიებისა თუ ნაეკლესიარების სახელწოდებანი შეიცავენ ასეთ ქრისტოლოგიურ ლექსიკურ ერთეულებს: **იესო ქრისტე, ქირსე, მანცხვარი, მანცხოვარი**. მაგალითები: **იესო ქრისტე/ქირსე/ქირსეხორციელი** — ბორცვი სოფ. ლეახალეში (ჩხოროწყუს რ-ნი); **ქირსეშხატი** — მაცხოვრის ეკლესია სოფ. ლეშამუგეში (წალენჯიხის რ-ნი); **ქირსეშობაშ ოხვამე/ქირსეშ ოხვამე** — ეკლესია სოფ. ბეთლემში (სენაკის რ-ნი).

ეპითეტი **მანცხვარი** (იშვიათად: მანცხოვარი) ათეულზე მეტ ობიექტს ეწოდება სამეგრელოში (ტოპონიმებია: მანცხვარი, მანცხვარა, მანცხვარიში, მანცხვარიშ ოხვამე, მანცხვარკარი, მანცხვარტყა, მანცხოვარი და სხვ.), მაგრამ, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთში კი, ნაეკლესიარს, სადაც უწინ მანცხვარხატი ესვენა, დღეს ეწოდება **მანსხვარი**. დეზაფრიკატიზაცია ც → ს აშკარაა.

ბ. მდინარე იორდანეში ქრისტეს ნათლისღების რიტუალის შემსრულებელი იოანე ქართულ ქრისტოლოგიურ ლიტერატურასა და მეტყველებაში ცნობილია როგორც იოანე ნათლისმცემელი. ეს ანთროპონიმული ფორმულა მეგრულში შესულა რამდენიმე ვარიანტად, რასაც ისევ და ისევ ტოპონიმია დაგვიდასტურებს: **ივანე ნას(ი)მერი** — ნაეკლესიარი, სადაც იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სალოცავი (სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი); **ივანე ნაცმერი** — ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფ. ონოლის (მარტვილის რ-ნი) ცენტრში; **ივანე ნაციმერი/ივანე ნათიცემერი** — ნაეკლესიარი, სასაფლაო საქობალიოს უბანში (სოფ. გაღმა ზანათი, აბაშის რ-ნი); **ნათიცემელი** — ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფ. ქვედა სორტაში (სენაკის რ-ნი) **ნაცმერი/ივანე ნასმერი** — ბორცვი, რომელზეც იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (სოფ. საადამიო, სენაკის რ-ნი) და სხვ.

ამ მასალების მიხედვით ფონეტიკურ მოვლენათა ასეთი სურათი იხატება: ქართ. ივანე ნათლისმცემელი → მეგრ. ივანე ნათიცემელი//ივანე ნათიცემერი → ივანე ნაცმერი (თი-კომპლექსის ჰაპლოლოგიითა და ე ხმოვნის ამოვარდნით) → ივანე ნასმერი (ც აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია).

გ. ქართული ქრისტოლოგიური ტერმინი **ჯვარცმა** მეგრულში წარმოდგენილია ორი ვარიანტით: **ჯვარცმა, ჯვარს(ი)მა**. **ჯვარცმაშ ოხვამე** ნაეკლესიარია სოფ. ბეთლემში (ადგ. ვარიანტი: ბერთემი, სენაკის რ-ნი); **ჯვარს(ი)მა** ბორცვია სოფ. აბასთუმანში (ზუგდიდის რ-ნი), ინფორმატორ-

თა გადმოცემით, ამ ეკლესიაში ესვენა ჯვარსიმა ხატი — კოდუების ჯინჯი-ხატი. მაშასადამე, ჯვარცმა → ჯვარსმა სპირანტიზაციის (დეზაფრიკატიზაციის) შედეგია. ი (გ) ხმოვნის ჩასმა ამ ფონეტიკური მოვლენის შემდეგ-დროინდელია.

დ. მეგრულში **მორციება** აღნიშნავს დაქცევას, გამოფიტვას (კონტექსტები: **ღიხაშ მორციება** "მიწის გამოფიტვა", **ცუდეშ დარციება** "სახლის დაქცევა, გაპარტახება" (შდრ.: ბორიას სიმინდი მურციებუ "ქარს სიმინდის ყანა დაუქცევია") და სხვ. პირიანი ფორმა **ირციებუ**-საგან წარმოქმნილა წარსული დროის მიმღეობა **ნარციე, ნარცი(ი), ნარციერი**. ეს მიმღეობები უკვე გასუბსტანტივებულია და განიმარტება როგორც **პარტახი, გამოფიტული, დაქცეული** რამე, უნაყოფო მიწა. ამ სიტყვაში მომხდარა ც აფრიკატის გამარტივება — ს სპირანტად გადაქცევა: **ნარცი** → **ნარსი**. ნათქვამის ტოპონიმური დადასტურება ასეთია **ნარსი** — ბორცი სოფ. კუხეში (წალენჯიხის რ-ნი), **ნარციე** — ბუჩქნარი სოფ. ლეგულორდავეში და ჩაის ფართობი სოფ. დიდ ინჩხურში (ორივე მარტვილის რ-ნი). **ნარცი** — ფერდობი სოფ. ნობულევეში და მინდორი სოფ. ნამიკოლავო მეორეში, სადაც ოჯახი ამომწყდარა (ორივე მარტვილის რ-ნი). **ნარციერი** "გამონაფიტი" — ტყე-ფერდობი სოფ. ნალეფსაოში.

როგორც ვხედავთ, **ნარციე, ნარცი, ნარციერი** ტოპონიმებად დასტურდება მხოლოდ მარტვილის რ-ნი, ხოლო **ნარსი** — მხოლოდ წალენჯიხის რ-ნი, ე.ი. ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავის ზონაში.

ე. ქართ. **ცუარ-** ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია **ცუნჯ-** (ნ-ს ჩართვით). ეს სიტყვა მეგრულში გვხვდება ოთხი ფორმით: **სუნჯ-ი, ცუნჯ-ი, ცუნდ-ი, სუნდ-ი** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 580). მთიან სამეგრელოში მდ. ზანის ერთ-ერთი შენაკადის სახელად დაფიქსირებულია **ოსუნჯელა/ცუნჯამელა** (სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს რ-ნი). მოტივაციასთან დაკავშირებით ინფორმატორი გადმოგვცემს: "ცვარი რომ არსად იყოს, ამ ღელისპირას მაინც დასველდება კაცი, ყოველთვის ნამია". რადგანაც **ცუნჯ-** თავდაპირველი ფორმაა, მისგან **ც** → **ს** დეზაფრიკატიზაციით ჩანს მიღებული ჰიდრონიმის პირველი ვარიანტის ფუძე **სუნჯ-ი**.

ქ → ჯ

ა. სოფ. კუთხენოჯიხევისა და ზენის (ორივე ნოჯიხევის თემი, ხობის რ-ნი) საზღვარზე მინდორს ეწოდება **ობარძემე/ობარზენე**. ინფორმატორთა განმარტებით, **ბარძემე** რალაც ბალახია. ა. მაყაშვილის "ბოტანიკურ ლექსიკონსა" და ო. ქაჯაიას "მეგრულ-ქართულ ლექსიკონში" ასეთი სიტყვა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, ბარძემე იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **ბრძამე** (სიტყვის თავკიდურ **ბრ** კომპლექსში ხმოვნის ჩართვის მაგალითი: ქართ. ბრმა → მეგრ. ბგრმა).

მაშასადამე, თუ **ბარძემი** ძირითადი ფორმაა, მაშინ **ბარზემი** მისგანაა წარმოქმნილი $d \rightarrow \text{ზ}$ ფონეტიკური პროცესის (დეზაფრიკატიზაციის) გზით: ხშულნაპრალოვანი (რთული) d თანხმოვნისაგან განცალკევდა ნაპრალოვანი **ზ**: მოხდა სპირანტიზაცია.

ბ. **გიზონა** ორგან ეწოდება გეოგრაფიულ ობიექტს მარტვილის რ-ნში: სახნავს სოფ. ლემიქავეში (გრძლად დევს დღეე ნარუშ დალის მარჯვ. მხარეს) და ფერდობს ბერიწყუს მარცხ. მხარეს (სოფ. ჭაბურთა). აშკარად ჩანს დეზაფრიკატიზაციის ($d \rightarrow \text{ზ}$) შედეგი: გირძე ცონა "გრძელი ყანა" \rightarrow გირძონა \rightarrow გიძონა \rightarrow გიზონა.

გ. **მოზდართუ** ორგან დაფიქსირდა იდენტური გეოგრაფიული ობიექტების — დავაკებების — სახელწოდებებად: გორა მისარონის კალთაზე (სოფ. გოდოვანი, მარტვილის რ-ნი) და მთა ოსინდალეს კალთაზე (სოფ. თაია, ჩხოროწყუს რ-ნი). გეოგრაფიული თუ სამეურნეო რეალიები, ისევე როგორც ტოპონიმის მომხმარებელთა ზოგი ინფორმაცია, მიგვანიშნებს ხოლმე ტოპონიმის თავდაპირველ ფორმასა და შინაარსზე. გორა მისარონზე იყო ეკლესია. იქიდან მოზრუნებული მლოცველები ვაკეზე, რომელსაც დღეს მოზდართუ ჰქვია, შეჩერდებოდნენ, **მარჯნივ შეტრიალდებოდნენ**, სალოცავს შეხედავდნენ და შესთხოვდნენ: ღმერთო, გამარჯვებით მატარეო. მეორე შემთხვევაში მთიდან ჩამომავალი გზა ვაკე მოზდართუსთან მკვეთრად უხვევს მარჯნივ და შემდეგ ჩამოდის სოფელში. მაშასადამე, მოზდართუს თავდაპირველი ფორმა იყო **მორძგვი დართუ** "მარჯნივ მოსახვევი". რამდენიმე ფონეტიკური მოვლენის შედეგად მორძგვი დართუს მოუცია ფორმა მოძდართუ, საიდანაც $d \rightarrow \text{ზ}$ დეზაფრიკატიზაციით წარმოქმნილა **მოზდართუ**.

დ. **გუძუბა** მცირე ბორცვია, მრგვალი შემადღებაა ველზე. დიხაგუძუბა კი სამეცნიერო ლიტერატურასა და ენციკლოპედიაში ასეა განმარტებული: "არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორია, ნამოსახლარი გორა კოლხეთის დაბლობზე" ("მეგრ.-ქართ. ლექსიკონში" არაა შეტანილი). სოფ. ანაკლიაში ენგურის შესართავთან, გათხრილი ბორცვი **დიხაგუძუბა** ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა.

კოლხეთის დაბლობზე რამდენიმე ათეული დიხაგუძუბაა. მათ ერთ ნაწილს ასევე ეწოდება. ოღონდ არაა იშვიათი ისეთი ვარიანტებიც, როგორცაა **დიხაგუძა** და **დიხაგუზა**. კერძოდ, **დიხაგუზა** ეწოდება ორ ბორცვს სოფ. ბულიწყუს (ხობის რ-ნი) შემოგარენში: მდ. მუნჩიის მარჯვ. მხარეს (ე.წ. უჩა პალოტიშ დიხაგუზა) და ოტორონჯეში (ე.წ. ოტორონჯეშ დიხაგუზა). დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია ($d \rightarrow \text{ზ}$) აშკარაა.

ე. ქართული სიტყვა **ბოძალი** "ორწვერა ისარი, შუბი" მეგრულში შესულია **ბორძალი** ფორმით და აღნიშნავს როგორც ორწვერას, ორტოტას (მაგ., შუბს, გზას, დღეს), ისე მესხაც და ჭურვსაც. ზუგდიდის რ-ნის

სოფ. ახალკახათში ორ სხვადასხვა ადგილს, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1855 წ.) ჭურვი დავარდნილა და აფეთქებულა, ეწოდება **ნაბორძალი**. სოფელ დარჩელში კი (ზუგდიდის რ-ნი) ტყეს, რომელსაც დიდი ხნის წინათ მესხი დაეცა და ხეები მიღეწ-მოღეწა, დარქმევია **ნაბორძალი/ნაბორზალი**. აქაც მომხდარა დეზაფრიკატიზაცია **ძ → ზ**.

მეგრულში **ბორძალი/ბორზალი**, როგორც აღინიშნა, ნიშნავს ორტოტა გზას ან მდინარეს. ქ. აბაშაში მდ. ნოღელის იმ მონაკვეთს, სადაც მას მიერთვის დელე და არხი, ეწოდება **სუმბორძალა/სუმბორზალა**. კიდევ ერთი ტოპონიმი: ორტოტა დელეს, მდ. დღურუს მარცხ. შენაკადს საცხვიტავოში (სენაკის რ-ნი), ეწოდება **დაბურზალა/დაბურძალა** (← ღალბორძალა "დელე ბოძალა"). აქაც ორივე შემთხვევაში ფაქტია დეზაფრიკატიზაცია **ძ → ზ**.

გ. აფხაზური სიტყვა **აძმან** "ჭაობი, ჭანჭრობი" (ჯანაშია, 1959, გვ. 375) მეგრულში შესულია როგორც **აძმან**, ისე **აზმან** ფორმით. ტოპონიმური დადასტურება ასეთია: **ნაზმანუ** — მცირე ქვაბული ურთის მთის კალთაზე, სადაც წვიმისას წყალი დგება (ცაიში, ზუგდიდის რ-ნი); **აზმანი/ალონტყევი** — გუბურა კალამონაში (სოფ. ნაღფესაო, მარტვილის რ-ნი); **ნაძმან** — ჭაობი სოფ. საკუკაოში (ხობის რ-ნი); **აძმანი** — გუბურა დიდგეში (ჩხოროწყუს რ-ნი); **აძმანუ/ნაქარიაშ აძმანუ** — მინდორი მთა აფიცარას კალთაზე (მარტვილის რ-ნი).

ზ. **ნაბერძემ(უ)/ნაბერზემ(უ)** — ერქვა მინდორს სოფ. ჯიხასკარის (ზუგდიდის რ-ნი) ცენტრში. ტოპონიმის ამოსავალ ფუძედ სავარაუდებელია ან გვარი ბერძემია/ბერძენია ან ეთნონიმი ბერძენი/ბერძემი. მაშასადამე, ნაბერზემ წარმოქმნილია **ძ → ზ** დეზაფრიკატიზაციის გზით.

თ. სოფ. გარახის (ჩხოროწყუს რ-ნი) საბებიოს უბანში სახნავს ეწოდება **გვამნოხორი/გვანოხორი**. ფონეტიკური გარდაქმნის მიმართულება გაურკვეველი იქნებოდა სახელდების მოტივაციის გათვალისწინების გარეშე: აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სახნავი გვაძი ბებიას ნასახლარია. მაშასადამე, აქაც **ძ → ზ**.

2.2. **სპირანტიზაცია**: აფრიკატი → უკანანუნისმიერი ჟ, შ.

ჩ → შ

ა. როგორც ცნობილია, რთული ბგერა ჩ მიღებულია თ ხშულისა და შ ნაპრალოვანი თანხმოვნის შერწყმით (შდრ.: ათშვიდმეტი → ჩვიდმეტი). ქართული **შხაპუნი** მეგრულში გამოავლენს **ჩხაპ** ძირს, მაგალითად, გეჩხაპუა "ზემოდან წყლის გადმოსხმა, დაშხეფება". სათანადო მიმღებური ფორმა **გიოჩხაპუ** აღნიშნავს მცირე ჩანჩქერს, წყალვარდნილს. ხობის რ-ნის სოფ. გამოდმა შუა ხორგაში მდ. ასუას მონაკვეთს (სადაც წყალი მცირე-მცირე ჩანჩქერებად იშხეფება) ეწოდება **გიოშხაპუ/გიოჩხაპუ**. ძირითა-

დია მეორე ვარიანტი, ხოლო მისგანაა წარმოქმნილი გიომსხაპუ. აშკარაა დეზაფრიკატიზაცია ჩ → შ.

ბ. აღმოსავლური სიტყვა (ინდური, არაბული, თურქული) **ჯამუშ** ქართულ სალიტერატურო ენაში წარმოდგენილია **კამეჩი-ი** ფორმით. სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია: "კამბეში (გამეში, გამეჩი) — კამეჩი". გამეშთან კი ნათქვამია: "კამბეჩი სომხურად". ვარიანტი კამბეჩი გვხვდება ქართულის ზოგ დიალექტში (ფშაურში, გურულში, იმერულში). ი. ყიფშიძის "მეგრულ-რუსულ ლექსიკონში" დაფიქსირებულია: კამბეში, კამბეჩი, კამეჩი. თუ კი ძირითად ამოსავალ ფორმად ჩავთვლით ქართ. **კამეჩი-ს**, მაშინ მეგრულში მისი ადაპტირება მომხდარა ჩ → შ დეზაფრიკატიზაციით. მაშასადამე, მეგრულისათვის ძირითადი ფორმაა კამბეში, ხოლო კამბეჩი-ი მისი გააფრიკატიზებული (შ → ჩ) ვარიანტია. ტოპონიმური დადასტურება ასეთია:

ნაკამბეშუ — ხევი სოფ. ეწერში (ტალერის თემი, მარტვილის რ-ნი) და ბორცვი სოფ. პ. ჟინოთაში (მარტვილის რ-ნი); **ოკამბეშე** — სახნავი სოფ. სალხინოში (მარტვილის რ-ნი) და ფერდობი სოფ. შუა ხორში (სენაკის რ-ნი); **ნაკა(მ)ბეშუ** — ბორცვი სოფ. პატარა ჟინოთაში (მარტვილის რ-ნი); **ნაკამბეშულა** — დღე სოფ. ნარაზენში (ზუგდიდის რ-ნი); **საკამბეშო/ოკამბეჩე** — სახნავი ჯუმბიჯში (სოფ. ურთა, ზუგდიდის რ-ნი. აქ დასახელებული ოკამბეჩე ან ქართულის გავლენაა, ან მეორადი აფრიკატიზაციით არის წარმოქმნილი ოკამბეშე ფორმიდან).

მაშასადამე, მონაცვლეობა ჩ → შ ხდება როგორც მეგრულის აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოში (საკუთრივ ჯამუშ, როგორც ჩანს, ქართულში შემოვიდა შ → ჩ მონაცვლეობით).

გ. მდ. უმბიის მარჯვ. ნაპირზე ფერდობს, სადაც უწინ ჩიქოვანს უცხოვრია (სოფ. ჭაქვინჯი, ზუგდიდის რ-ნი), ეწოდება **ნაჩიქვან(უ)//ნარჩქვან(უ)//ნარშქვან(უ)**. აქაც ყველაფერი ცხადია: ჩიქოვანი → ნაჩიქვან → ნარჩქვან(უ) (ი ხმოვნის ამოვარდნითა და რ თანხმოვნის ჩართვით) → ნარშქვან (**ჩ**-ს დეზაფრიკატიზაციით).

დ. მეგრულში **ჩხვერი** ფეტვია (ლომისლომი, რომლისგანაც ღომს აკეთებდნენ.). ჩხვერის ცეხვას **ჩხვარუა** ეწოდება, ხოლო საცეხველს — **ოჩხვარუე**. მდ. ტარჩიის მდგენელს, რომელზეც გამართული იყო წყარო ოჩხვარუე "წყლის საცეხველი", დღეს ეწოდება **ნა(ო)ჩხვარუ/ნაოშხვარუ**. ხ-ს მეზობლად მოქცეულ ჩ აფრიკატს ჩაენაცვლა მისი ნაპრალოვანი შემადგენელი შ.

ე. უცუნა თეთრბოლქვიანი მცენარეა. მეგრულში ამ მცენარის სახელწოდებას სწორედ ეს არაარსებითი ნიშანი დასდებია საფუძვლად: **ჩინჯი რჩე** "ძირთეთრი" → **ჯგრჩე**. სიტყვის თავბგერას, აფრიკატ ჯ-ს განუცდია დეზაფრიკატიზაცია, რის შედეგადაც **ჯგრჩე** გადაქცეულა **დგრჩედ**. შე-

მდგომში მომხდარა ჩ → შ. ტოპონიმებია: **დგრჩონი** — მინდორი წყავაშელის ხეობაში (ყოფილი მაგანის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი); **დგრშონა/დგრჩონა** — ფერდობები ლებერიეში (სოფ. ნაფიჩხოვო, ჩხოროწყუს რ-ნი).

2.3. **სპირანტიზაცია**: აფრიკატი → უკანანუნისმიერი ყ, შ.

ჭ → შ

ცნობილია, რომ ჭ აფრიკატი ზოგ შემთხვევაში ჩაინაცვლებს შ სპირანტს. ერთ ასეთ მაგალითს მეგრული ტოპონიმიაც შეიცავს. **ჩეშფეშონი** ფერდობია სოფ. აბასთუმნის (ზუგდიდის რ-ნი) საკოდლოს უბანში. ინფორმატორების განმარტებით, "ჩეშფეში, ჩეშბეში არის ვაზის ჯიში, ასხია წვრილი თეთრი მარცვალი, ამბალახსაც უწოდებენ". ცხადია, ტოპონიმისათვის ამოსავალია ვაზის ჯიშის სახელი **ჩეჭფეში** "თეთრწვრილისა". ტოპონიმის წარმოქმნის გზა ასეთია: **ჩეჭფეში** → **ჩეჭფეში** → **ჩეშფეში** → **ჩეშფეშონი** (ან **ჩეჭფეში** → **ჩეშფეში** → **ჩეშფეში** → **ჩეშფეშონი**).

ჯ → ჟ

ჩეჟონა/ჩეჯონა — სახნავი ერაწყარის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე. ჩეჯა "თეთრი ხე" ალვის ხეა. მაშასადამე, ტოპონიმ ჩეჯონას ვარიანტი ჩეჟონა წარმოქმნილია დეზაფრიკატიზაციით **ჯ → ჟ**.

2.4. **დესპირანტიზაცია**: აფრიკატი → კბილისმიერი ხშული.

ძ → დ

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძ-ს დეზაფრიკატიზაციით მიიღება ზ ნაპრალოვანი, მაგრამ მეგრული დიალექტის ტოპონიმური მასალა გამოავლენს აღნიშნული აფრიკატისაგან დეზაფრიკატიზაციის გზით **დ** ხშული თანხმოვნის მიღების ფაქტს:

ა. სოფელ მეორე მოხაშის (სენაკის რ-ნი), ლემალანის უბანში ტყეს ეწოდება **გირღონა/გირძონა**. თავდაპირველი (სემანტიკის შემცველი) ფორმაა **გირძე ცონა** "გრძელი ყანა". ფონეტიკურ გრადაციათა გზა ასე წარიმართა: გირძე ცონა → გირძონა → **გირღონა**. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ძ → დ.

ბ. სოფ. საგუგუნავოში (სენაკის რ-ნი), მდ. დღურუს ნაპირზე, სახნავს ეწოდება **ვეგირდე**. მეგრულში **ვე** იგივეა, რაც ქართულში ველი. ასეთი ველი, მინდორი, სანამ იგი სახნავად გადაიქცეოდა, გრძლად იღო მდინარის ნაპირზე. მაშასადამე, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ვე გირძე "ველგრძელი". დეზაფრიკატიზაციის შედეგად ძ აფრიკატიდან ისევ და ისევ დ ხშული მივიღეთ: **ვეგირძე** → **ვეგირდე**.

ვეგიდე ღელეა, ერთვის მდ. აბაშას მარცხ. მხრიდან (სოფ. ლეფოჩხუე, მარტვილის რ-ნი). ტოპონიმის წარმომავლობას ადვილად აგვისნის ძ აფრიკატის დეზაფრიკატიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინება: **ვეგირძე** "ველგრძელი" → **ვეგირდე** → **ვეგიდე** (ან **ვეგირძე** → **ვეგიძე** → **ვეგიდე**).

გ. **ელაგინძე** "წაგრძელებული" ზედსართავი სახელია. მარტივლურ-ბანძურ თქმაში იგი გვხვდება ორი ფორმით: **ეგირდე** და **ემაგირდე**, რასაც ადასტურებენ ტოპონიმები:

ეგირდე — სახნავი ჯვარდელის ნაპირას (სოფ. ჯოლევი) და **ემაგირდე/ხაგირდე/ომაგირდე** — სახნავი, რომელიც გრძლად დევს მდ. აბაშის ჭალაში (სოფ. ორქა). ელა → ემა და ოლა- → ომა ჩვეულებრივია ბანძურ-მარტივლური თქმის ზონაში. ასევე უცხო არაა რძ კომპლექსში რ-ს დაკარგვა. შდრ. **ემაგირძე/ჰემაგირძე** — სახნავი ტეხურის ჭალაში (ნამიკოლავო მეორე).

ჯ → დ

მეგრული სიტყვა **ჯინა** იგივეა, რაც ქართული ციხე. ციხის ქვემოთ მდებარე ტყისათვის დაურქმევიათ **ჯინატყა** "ციხის ტყე". როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში **ჯ**-ს დეზაფრიკატიზაციით წამოქმნილა სახელწოდების ვარიანტი **დინატყა** (შდრ. **დგრჩე** ← **ჯგრჩე** ← **ჯინჯი რჩე** "ძირთეთრი, ანუ უცუნა").

მასასადამე, ტოპონიმური მასალის მიხედვით, ზანური ენის მეგრული დიალექტისათვის დეზაფრიკატიზაციის ორი სახეობიდან უფრო დამახასიათებელია დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია: (აფრიკატი → ნუნისმიერი სპირანტი: ც → ს, ძ → ზ, ჩ → შ, ჭ → შ, ჯ → ყ), ხოლო დეზაფრიკატიზაცია-დესპირანტიზაცია აფრიკატი → კბილისმიერი ხშული) წარმოდგენილია მხოლოდ: ძ → დ, ჯ → დ სახით. აფრიკატთა სპირანტიზაცია ხდება ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში, ამასთანავე, მჟღერი და ყრუ მკვეთრი აფრიკატი ჩაინაცვლებს მჟღერ სპირანტს, ხოლო ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი — ყრუ სპირანტს. დეზაფრიკატიზაციას, ისევე როგორც აფრიკატიზაციას, იწვევს ფონეტიკური მოვლენები — ასიმილაცია, დისიმილაცია.

ლიტერატურა

1. **აბულაძე**, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. **ლომთაძე**, 1999 — ა. ლომთაძე, სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბ., 1999.
3. **მაისურაძე**, 1990 — ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.
4. **მაყაშვილი**, 1991 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელები), თბ., 1991.

5. **მეგრ.-ქართ. ლექსიკონი** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., I — 2001; II — 20002; III — 2002.
6. **სარჯველაძე**, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
7. **სულხან-საბა** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.
8. **ფენრიხი, სარჯველაძე**, 2000 — ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
9. **ყიფშიძე**, 1994 — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
10. **ჯანაშია**, 1959 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1959.
11. **ჯორბენაძე**, 1998 — ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2, თბ., 1998.

Paata Tskhadaia

Affricatization and Desaffricatization in Zan (According to Megrelian Toponymy)

S u m m a r y

Phonetic analysis of the toponymic material demonstrates, that in the toponymy of the Megrelian dialect of Zan affricatization and desaffricatization are manifested more intensively then in common nouns.

A basic kind of affricatization is the **transferring** of spirants (fricative consonant) into affricate consonant in the neighbourhood, mainly obstruent consonant or vowels (substitution). Affricatization is realized in the same local series as a result of assimilation and dissimilation.

A basic type of **desaffricatization** (articulating of fricative consonants) is the spirantisation through losing obstruent elements. In this case phonetic changes are conditioned by assimilation and dissimilation in the same local series.

როენა ჰკალუა

აბლაუტის საფეხურთა განაწილებისათვის სვანური ენის ფუძედრეკად ზმნათა ფორმებში

ფუნქციური ხმოვანმონაცვლეობის (resp. აბლაუტის) ნიმუშად ქართველურ ენებში მიჩნეულია ე. წ. ფუძედრეკად ზმნათა წარმოება. შინაგანი ფლექსია ქართულში აწმყო-წყვეტილის ფორმებს განარჩევს, სვანურში კი მოქმედებით-ენებითისას.

ქართველურ ენებში აბლაუტი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ენათმეცნიერები მას ზმნურ ფორმათა დაჯგუფების ერთ-ერთ საფუძვლადაც კი მიიჩნევენ.¹

ვ. თოფურია სვანურ ენაში ზმნათა „განჯგუფებისას“ ცალკე ჯგუფად გამოყო ის გარდამავალი ზმნები „...რომელთაც მედიოპასიური ფორმები გააჩნიათ და უკანასკნელსა და აქტივს ერთმანეთისაგან ფუძის დრეკადობით არჩევენ (თოფურია 1967, 40). მისი აზრით, ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა² და „მისი მიზეზი ფონეტიკაში უნდა ვეძიოთ (იქვე, 141). იგი თავის ფუნდამენტურ შრომაში, „სვანური ენა, I ზმნა“ ცალკე წარმოგვიდგენს ფუძედრეკად ზმნათა წარმოების რამდენიმე მაგალითს. რაც შეეხება ამ ფორმებში ხმოვანთა მონაცვლეობას, მისი ვარაუდით „...თუ ი ← უ რედუცირდება და კვალს ტოვებს გ-ს სახით, ხომ არ არის ფუძედრეკად ზმნათა მოქმედებითი გვარის ფორმების ი/გ წარმომდგარი უ-საგან? მაგ. აწმყო ტიხ-ე; ლშხ. ტგხ-ე „აბრუნებს“ ზს. ლშხ. ო-ტგხ „დავაბრუნე“, ა-ტიხ „დააბრუნა“ (თოფურია 1979, 166).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით გარდამავალ ფორმათა

- განხმოვანება წარმოშობით რედუქციის საფეხურს წარმოადგენს და თავ-

¹ დაწვრილებით იხ. რ. ქურდაძის წიგნი „ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულ ენაში“, თბილისი, 2005, 9-10 გვ.

² ვ. თოფურია ქართულისათვის დამახასიათებელ ფუძის ფლექსიას, სვანურთან შედარებით, მეორეულ მოვლენად მიიჩნევს (თოფურია 2002, 409).

დაპირველად მხოლოდ აორისტის ფუძისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო **ე** გახმოვანება ამოსავალი იყო ყველა გარდამავალი ზმნისათვის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 207).

აღნიშნული ტიპის ზმნებში აბლაუტი დახასიათებულია, როგორც ჭარბი მორფოლოგიური ნიშანი. „სვანურში II-ჯგუფის ზმნათა აქტიური და პასიური ფორმები გარჩეულია ერთმანეთისგან აფიქსებთან ერთად ფუძის ფლექსიით“ (თოფურია 2002, 40).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია **ი/ე** მონაცვლეობაზე. მოქმედებითი გვარის ზმნებს ძირისეული **ი/ე** ხმოვანთან ერთად აქვთ **-ე** სუფიქსი, ხოლო ვნებითის **ე** ხმოვნიან ფორმებს ერთვის **-ენ** ელემენტი, რომელიც, ლენტეხური დიალექტის გარდა, ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს. საერთოდ, აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობა სვანურში მრავალფეროვან სურათს იძლევა, თუმცა მისი უკვე თანდათანობით მოშლის ფაქტი (განსაკუთრებით ქვემოსვანურის დიალექტებში) აღნიშნული აქვს ი. ჩანტლაძეს „სვანური ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში (ჩანტლაძე, 2000, 9).

ამჯერად ჩვენი მიზანი იყო აბლაუტის, როგორც რთული მორფონოლოგიური მოვლენის, განხილვა სვანურის ყველა დიალექტისა და უღლების პარადიგმათა მიხედვით.¹

სვანური ენის დიალექტური მასალის შესწავლამ საშუალება მოგვცა ფუძედრეკად ზმნებში გამოგვეყო რამდენიმე ქვეჯგუფი:

ა) ბალსწემოური დიალექტის აწმყო დროის მოქმედებითის ფორმებში **უ/ჟი**, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში **ჟი**, ლაშხურში **უ** გახმოვანებით; ვნებითის ფორმებში კი ყველგან **ჟე** კომპლექსით (ზს-ის დიალექტების ზოგიერთ კილოკავში **ე**).

აღნიშნულ ზმნებს ნამყო ძირითადის (resp. წყვეტილის) ე. წ. ორთა ფორმებში აქვთ **უ** გახმოვანება, ხოლო ხუთთა ფორმაში **ჟი**. მაგ.: აწმყო: მოქმ. გვ. ბზ. კუშ-ე || კჟიშ-ე; ბქ. ლნტ. კჟიშ-ე; ლშხ. კუშ-ე „ტეხს“.

ვნებ.: ზს. ლშხ. კჟეშ-ნ-ი, ლხმ. კეშ-ნ-ი, ლნტ. კჟეშ-ენ-ი „ტყდება“. ნ. ძირითადი: ო-კუშ „გავტეხე“, ა-კჟიშ „გატეხა“.

მოქმ.: ბზ. თუფ-ე || თჟიფ-ე; ბქ. ლნტ. თჟიფ-ე, ლშხ. თუფ-ე „კარგავს“.

ვნებ.: ზს. ლშხ. თჟეფ-ნ-ი, ლნტ. თჟეფ-ენ-ი; ლხმ. თეფ-ნ-ი ნ. ძირითადი: ო-თუფ „დაკარგე“ ა-თჟიფ „დაკარგა“.² ამგვარი ხმოვანმონაცვლეო-

¹ სვანური დიალექტური მასალის მოპოვება-გადამოწმებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ელ. გაზდელიანმა, მ. სალღიანმა, რ. იოსელიანმა, ნ. შავრეშიანმა.

² უღლების პარადიგმათა ნიმუში იხ. სტატიის ბოლოს.

ბით ხასიათდება შემდეგი ზმნები: ხურ-ე || ხურ-ე „ანგრევს“, ხურ-ნი „ინგრევა“; ქუც-ე || ქუც-ე „წყვეტს“, ქუც-ნი „წყდება“; ყულ-ე || ყული-ე „ყოფს“, ყული-ნი „ყოფა“; ყურ-ე || ყური-ე „ტეხს“, ყური-ნი „ტყდება“, რუფ-ე || რუფ-ე „აღნობს თოვლს“, რუფ-ნი „აღნება“; ცურ-ე || ცური-ე „ტოვებს“, ცური-ნი „იტოვება“; ხუტ-ე || ხუტი-ე „ამოწყვეტს“, ხუტი-ნი „ამოწყდება“.

ამ ქვეჯგუფის ფუძედრეკადებში აბლაუტის საფეხურთა განაწილება დიალექტებისა და წარმოების მიხედვით მთავარ ფორმებში ასეთი სახითაა წარმოდგენილი:¹

	მოქმ.:		ვნებ.:
ბზ.	აწმყო	უ — უი	უე
	მყოფადი	უ	უ
	წყვეტ.	უ — უი	უ — უა
	თურმეობ.	უი	უე
ბქ.	აწმყო	უი	უე
	მყოფადი	უ	უ
	წყვეტ.	უ — უი	უე — უა
	თურმეობ.	უი	უე
ლნტ.	აწმყო	უი	უე
	მყოფადი	უ	უე
	წყვეტ.	უ — უი	უე — უა
	თურმეობ.	უი	უე
ლმხ.	აწმყო	უ	უე
	მყოფადი	უ	უ
	წყვეტ.	უ — უი	უე
	თურმეობ.	უი	უე

მყოფადის ფორმებში გვაქვს რედუცირებული უ ← უ.

ბ) ბალსზემოურის მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმებში გ || ი, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში ი, ლაშხურში გ გახმოვანებით; ვნებითის ფორმებში ყველა დიალექტის მიხედვით ე. წყვეტილის ე. წ. ორთა ფორმებში გ, ხოლო ხუთთა ფორმებში ი. მაგ.:

¹ მთავარ ფორმებად მივიჩნით ისეთი მწკრივები, სადაც ხდება ფუძისეული ხმოვნის ცვალება, და ეს უკანასკნელი დანარჩენისათვის საყრდენს წარმოადგენს.

ბზ. მოქმ. გგლ-ე || გოლ-ე, ბქ. ლნტ. გოლ-ე; ლშხ. გგლ-ე „გლეჯს“, ვნებ. ზს. ლშხ. გელ-ნ-ი; ლნტ. გელ-ენ-ი „იგლიჯება“, დიალექტ. „გჯება“. წყვეტ.: ო-გგლ „დაგვიჯე“, ა-გოლ „დაგლიჯა“.

ამ ქვეჯგუფში წარმოებისდა მიხედვით ერთიანება ფუძედრეკადები: დგგ-ე || დიგ-ე „აქრობს“, დეგ-ნ-ი „ქრება“; კგდ-ე || კად-ე „ამოწყვეტს“, კედ-ნ-ი „წყდება“; ზგრ-ე || ზირ-ე „აწაფრენს“, ზერ-ნ-ი „ფრინდება“; ტყც-ე || ტყცი-ე „ირღვევს“, ტყცი-ნ-ი „ირღვევა“; ტგხ-ე || ტიხ-ე „აბრუნებს“, ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“, ფგშგ-ე || ფიშგ-ე ხსნის, ფეშგ-ნ-ი „ისნება“, ფგჟ-ე || ფიჟ-ე „შლის“, ფხეჟ-ნ-ი „იშლება“; ფხგრ-ე || ფხირ-ე „ახელს“, ფხერ-ნ-ი „იხილება“, ქგხ-ე || ქიხ-ე „გაუსწევს“, ქენ-ნ-ი „იწევა“; შდგხ-ე || შდიხ-ე „ამთავრებს“, შდეხ-ნ-ი „მთავრდება“; შხგრ-ე || შხირ-ე „აპობს“, შხერ-ნ-ი „იპობს“, ცელ-ე || ცილ-ე „ფხრეწს“, ცელ-ნ-ი „ფხრიწება“; ცხგპ-ე || ცხიპ-ე „ნასკვავს“, ცხეპ-ნ-ი „ინასკვება“; ხგპ-ე || ხიპ-ე „ხეთქს“, ხეპ-ნ-ი „სკდება“, ჯგჩ-ე || ჯიჩ-ე „ცვეთს“, ჯეჩ-ნ-ი „ცვდება“; ჩხგფ-ე || ჩხიფ-ე „ასუსტებს, ახლუნებს“, ჩხეფ-ნ-ი „ხდება“, თხგრ-ე || თხირ-ე ხვრეტს, თხერ-ნ-ი „იხვრიტება“, თხგშ-ე || თხიშ-ე „ჩაშლის“, თხეშ-ნ-ი „ჩაშლება“; და სხვ.

ბ) ქვეჯგუფის ზმნებში აბლაუტის საფეხურები დიალექტებისა და წარმოების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული.

	მოქმ.:		ვნებ.:
ბზ.	აწმყო	ი	ე
	მყოფადი	∅	∅
	წყვეტ.	გ — ი	ჟ — შ
	თურმეობ.	ი	ე
ბქ.	აწმყო	ი	ე
	მყოფადი	∅	∅
	წყვეტ.	გ — ი	ე — შ
	თურმეობ.	ი	ე
ლშხ.	აწმყო	გ	ე
	მყოფადი	∅	∅
	წყვეტ.	გ — ი	ე — ა
	თურმეობ.	ი	ე
ლნტ.	აწმყო	ი	ე
	მყოფადი	∅	∅
	წყვეტ.	ჟ — გ — ი	ე — შ
	თურმეობ.	ი	ე

გ) ბზ-ის მოქმედებითი აწმყოს ფორმებში აქვთ **გ/ი**, ხოლო ვნებითში **გ** განმოვანება, ბქ- და ლნტ-ში მოქმ. **ი**, ვნებითში **გ**; ლშხ-ში მოქ-ში **ი**, ვნებითის ფორმებში **გ**. მაგ.: ბზ. შგდ-ე || შილ-ე „ყრის“; შგდ-ნ-ი „იყრება“; ბქ. შილ-ე შგდ-ნ-ი; ლშხ. შგდ-ე, შგდ-ნ-ი; ლნტ. შილ-ე, შგდ-ენ-ი.

ბზ. ბგდ-ე || ბილ-ე „ღვრის“, ბგდ-ნ-ი „იღვრება“; ბქ. ბილ-ე, ბგდ-ნ-ი; ლშხ. ბელ-ე, ბგდ-ნ-ი; ლნტ. ბილ-ე, ბგდ-ენ-ი.

წყვეტილი: ობგდ „დავღვარე“; აბილ „დაღვარა“, აბგდდა „დაიღვარა“; ოშგდ „დაყარე“, აშილ „დაყარა“, აშგდდა „დაიყარა“.

ეს ქვევგუფი იმით განსხვავდება წინასგან, რომ მოქმედებითის ფორმებში დაჩნდება **გ/ი**, ხოლო ვნებითში **გ** (და არა **ე**, როგორც ეს წინა ქვევგუფში გვაქვს).

ამ ქვევგუფის ფუძედრეკადთა ბზ-ისა და ლაშხურის მოქმედებითის ფორმების ფუძეში გვაქვს **უ/ი**, ხოლო ვნებითისაში — **ე** ხმოვანი, განსხვავებით ა) ქვევგუფის ზმნებისა, სადაც მოქმედებითის **უ/უი**-ს ვნებითში შეესაბამება **უე** კომპლექსი.

აწმყოს ფორმები:

დ) ბზ.: ბუჭუ-ე || ბიჭუ-ე „აპობს შუაში“, ბეჭუ-ნ-ი „იპობა“; რულუ-ე || რილუ-ე „ხეთქავს“, რელუ-ნ-ი „იხეთქება“; ფუშლ-ე || ფიშლუ-ე „უშვებს“, ფეშლუ-ნ-ი „გაიშვება“; ბქ. ბიჭუ-ე ბეჭუ-ნ-ი; ლშხ. ბუჭუ-ე, ბეჭუ-ნ-ი; ლნტ. ბიჭუ-ე, ბეჭუ-ენ-ი; ბზ. ფუშლ-ე || ფიშლუ-ე „უშვებს“, ფეშლუ-ნ-ი „იშვება“, ბქ. ფიშლუ-ე „ფეშლუ-ნ-ი“, ლშხ. ფუშლ-ე ფეშლუ-ნ-ი, ლნტ. ფუშლ-ე ფეშლუ-ენ-ი. **წყვეტილი:** ბზ. მოქმ. ობუჭუ „გავხლიჩე“ აბიჭუ „გახლიჩა“, ვნებ.: ობუჭუ „გავხლიჩე“; ბქ. მოქმ. ობუჭუ, აბიჭუ; აბუჭუ; ლშხ. ობუჭუ, აბიჭუ, ლნტ. ობეჭუ, აბაჭუ; ბზ. მოქმ. ოფუშლ „გავუშვი“ აფიშლუ „გაუშვა“, ოფიშლუ „გავეშვი“ „აფუშლუ“ „გაიშვა“. ბქ. ლშხ. ოფუშლ, აფიშლუ, ოფეშლუ, აფაშლუ; ლნტ. ოფუშლ, აფიშლუ, ოფეშლუ, აფაშლუ;

ბალსზემოური დიალექტის ფუძედრეკადთა მოქმედებითი გვარის აწმყოში გვაქვს როგორც **უ** სრულხმოვნისანი, ასევე **უი** კომპლექსისანი განხმოვანების მქონე ძირეული მორფემები, რომლებიც თავისუფლად მონაცვლეობენ; ლაშხურში გვაქვს მხოლოდ **უ**, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში — **უი**). ვნებითის ფორმებში ყველა დიალექტში გვაქვს **უე** კომპლექსი.

მოქმედებითში დიალექტების მიხედვით ასეთი მრავალფეროვნება შეუძლებელია ავხსნათ უმლაუტის უკვე დადგენილი წესებით, რადგანაც **უ**-ს უმლაუტის შედეგად **უი** რომ მივიღოთ, საჭიროა მომდევნო ხმოვანი — **ი** ან **ე** იყოს რედუცირებული.

მ. ქალდანის აზრითაც ამ ზმნათა **უი** არ არის **უ**-ს ნაუმლაუტარი, რადგანაც ამ კომპლექსის **ი**, ხან **ე**-ს სახით გვევლინება, ხან **ა**-ს სახით

(თჷიფე „კარგავს“, თჷიფნი „იკარგება“, ათჷჲფ „დაკარგა“). მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ ზმნათა **ჷი** დიფთონგი დამოუკიდებლად არსებობდა სვანურში და მას „**ჷ**“-ს ნაუმლაუტარ **ჷი**-სთან გენეტური კავშირი არ ჰქონდა“ (ქალდანი, 1969, 149).

რაც შეეხება აბლაუტურ (**ჷ/ჷი** — **ჷე**) მონაცვლეობას, **ჷ**-ს უმლაუტის შედეგად (გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში) უნდა მიგველო **ჷი** კომპლექსი და არა **ჷე**. მართალია, ზემოთ განხილული მონაცვლეობებისთვის სინქრონიული თვალსაზრისით ფონოლოგიური მოტივაციის მისადაგება ძნელია, მაგრამ თუ გადავხედავთ სხვა მონათესავე ენების მონაცემებს, ვნახავთ, რომ ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელი იყო **ჷ** ხმოვანთან **ჷე** და **ჷი** კომპლექსების ჩანაცვლება. ა. არაბული თავის წიგნში „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“, შესაბამის ილუსტრაციებზე დაყრდნობით, დაასკვნის, რომ „...რადგანაც შესაძლებელია **ჷ** ხმოვანთან **ჷე/ჷი** კომპლექსების ურთიერთჩანაცვლება, როგორც ჩანს, შეუძლებელი არ არის, ეს მოვლენა ერთსა და იმავე ფუძეშიც აღმოჩნდეს განხორციელებული (არაბული 2001, 155).

რაც შეეხება **ი/ე** — **ე** მონაცვლეობას, საერთოდ სვანურში **ჷი** და **ჷე** კომპლექსების დელაბიალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ რატომ არ მოხდა მაშინ ყველგან დელაბიალიზაცია და რატომ დარჩა ბგერათკომპლექსების სახით მთელ რიგ ზმნებში, ძნელი სათქმელია.

ვ. თოფურია ფუძედრეკადების ზმნათა ფუძეში **გ**-ს ვარაუდობს ლაშხურის ფორმებზე დაყრდნობით „...სადაც დროთა I და II ჯგუფში ყოველთვის **-გ-** გვევლინება (ტგზე „აბრუნებს“, ტგხ-ა „აბრუნებდა“, ტგხდეს „აბრუნებდეს“, ანტგხ „მოაბრუნე“, ანტგხას „მოაბრუნოს“ (თოფურია 1967, 151). თუმცა მეცნიერი საკითხს ბოლოს მაინც ღიად ტოვებს: „-**ი**- ვიგულისხმობთ ფუძეში თუ -**გ**-? გადაჭრილს პასუხს ჯერჯერობით ვერ ვიძლევი“ (იქვე, 152).

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მყოფადის ფორმები, სადაც პრეფიქს-სუფიქსების დართვის შედეგად ხდება რედუქცია, და **ჷი**, **ჷე** კომპლექსების ადგილას გვაქვს **ჷ**, ხოლო **ი** და **ე** ხმოვნების მაგივრად **Ø**. უნდა შევნიშნოთ, რომ თურმეობითის ფორმებში, სადაც ხმოვანპრეფიქსები უშუალოდ არ ერთვის ძირეულ მორფემებს, არ ხდება რედუქცია (ა-მ-თჷიფ-ა „დამიკარგავს“ ო-თ-თჷიფ-ა „დაუკარგავს“ და სხვ.).

პარადიგმები:

	მოქმ. მს.	ბზ.	ვნებ.	
აწმყო:	I. თუფ-ე თჷიფ-ე	„გკარგავ“	თჷეფ-ნ-ი	„ვიკარგები“
	II. თუფ-ე თჷიფ-ე		თჷეფ-ნ-ი	
	III. თუფ-ე თჷიფ-ე		თჷეფ-ნ-ი	
მრ.	I. თუფ-ე-დ თჷიფ-ე-დ		თჷეფ-ნ-ი-დ	
	II. თუფ-ე-დ თჷიფ-ე-დ		თჷეფ-ნ-ი-დ	
	III. თუფ-ე-დ თჷიფ-ე-დ		თჷეფ-ნ-ი-ხ	
მყოფალი მს.	ო-თჷეფ-ე	„დავკარგავ“	ო-თჷეფ-ენ-ი	„დავიკარგები“
	ჲ-თჷეფ-ე		ჲ-თჷეფ-ენ-ი	
	ჲ-თჷეფ-ე		ა-თჷეფ-ენ-ი	
მრ.	ო-თჷეფ-ე-დ		ო-თჷეფ-ენ-ი-დ	
	ჲ-თჷეფ-ე-დ		ჲ-თჷეფ-ენ-ი-დ	
	ჲ-თჷეფ-ე-ხ		ჲ-თჷეფ-ენ-ი-ხ	
წყვეტილი:	ო-თუფ	დავკარგე“	ჲ-თჷეფ	„დავიკარგე“
	ა-თუფ		ჲ-თჷეფ	
	ა-თჷიფ		ჲ-თჷჲეფ	
	ო-თჷიფ-დ		ო-თჷჲეფ-დ	
	ა-თჷიფ-დ		ა-თჷჲეფ-დ	
	ა-თჷიფ-ხ		ა-თჷჲეფ-ხ	
თურმ.	ა-მ-თჷინფ-ა	„დამიკარგავს“	ჲ-მ-თჷეფ-ხტი	„დაკარგულვარ“
	ა-ჯ-თჷინფ-ა		ჲ-მ-თჷეფ-ხი	
	ო-თ-თჷიფ-ა		ჲ-მ-თჷეფ-ლი	
	ჲ-გჷ-თჷინფ-ა		ჲ-მ-თჷეფ-ელ-ხტიდ	
	ჲ-ჯ-თჷინფ-ა-ხ		ჲ-მ-თჷეფ-ელ-ხიდ	
	ჲ-თ-თჷინფ-ა-ხ		ჲ-მ-თჷეფ-ელ-ლის	

ბქ.

აწმყო:	მოქმ.	ვნებ.
	თჷიფ-ე	თჷეფ-ნ-ი
	თჷიფ-ე	თჷეფ-ნ-ი

	თჷიფ-ე	თჷეფ-ნ-ი
	თჷიფ-ე-დ	თჷეფ-ნ-იდ
	თჷიფ-ე-დ	თჷეფ-ნ-იდ
	თჷიფ-ე-დ	თჷეფ-ნ-ი-ხ
მყოფ.:	მოქმ.	ვნებ.
	ო-თჷიფ-ე	ო-თჷეფ-ენ-ი
	ე-თჷიფ-ე	ე-თჷეფ-ენ-ი
	ე-თჷიფ-ე	ე-თჷეფ-ენ-ი
	ო-თჷიფ-ე-დ	ო-თჷეფ-ენ-ი-დ
	ე-თჷიფ-ე-დ	ე-თჷეფ-ენ-ი-დ
	ე-თჷიფ-ე-ხ	ე-თჷეფ-ენ-ი-ხ
წყვეტ.:	ო-თჷუფ	ო-თჷეფ
	ა-თჷუფ	ა-თჷეფ
	ა-თჷიფ	ა-თჷაფ
	ო-თჷიფ-დ	ო-თჷაფ-დ
	ა-თჷიფ-დ	ა-თჷაფ-დ
	ა-თჷიფ-ხ	ა-თჷაფ-ხ
თურმ.:	ე-მ-თჷიფ-ა	ო-მ-თჷეფ-ელ-ხტი
	ე-ჯ-თჷიფ-ა	ო-მ-თჷეფ-ელ-ხი
	ო-თ-თჷიფ-ა	ო-მ-თჷეფ-ელ-ლი
	ო-გ-თჷიფ-ა	ო-მ-თჷეფ-ელ-ხტიდ
	ე-ჯ-თჷიფ-ა	ო-მ-თჷეფ-ელ-ხი-დ
	ო-თ-თჷიფ-ა-ხ	ო-მ-თჷეფ-ელ-ლი-ხ
		ლშხ. ჩოლ.
აწმყ.:	თჷუფ-ე	თჷეფ-ნ-ი
	თჷუფ-ე	თჷეფ-ნ-ი
	თჷუფ-ე	თჷეფ-ნ-ი
	თჷუფ-ე-დ	თჷეფ-ნ-ი-დ
	თჷუფ-ე-დ	თჷეფ-ნ-ი-დ
	თჷუფ-ე-ხ	თჷეფ-ნ-ი-ხ

მყოფი:	<p>ო-თჳფ-ე ა-თჳფ-ე ა-თჳფ-ე</p> <p>ო-თჳფ-ე-დ ა-თჳფ-ე-დ ა-თჳფ-ე-ბ</p>	<p>ო-თჳფ-ენ-ი ა-თჳფ-ენ-ი ა-თჳფ-ენ-ი</p> <p>ო-თჳფ-ენ-ი-დ ა-თჳფ-ენ-ი-დ ა-თჳფ-ენ-ი-ბ</p>
წყვეტი:	<p>ო-თჳფ ა-თჳფ ა-თჳფ</p> <p>ო-თჳფ-დ ა-თჳფ-დ ა-თჳფ-ბ</p>	<p>ო-თჳფე ა-თჳფე ა-თჳფე</p> <p>ო-თჳფად ა-თჳფად ა-თჳფად</p>
თურმე:	<p>ე-მ-თჳფ-ა ე-ჯ-თჳფ-ა ო-თ-თჳფ-ა</p> <p>ო-გ-თჳფ-ა ე-ჯ-თჳფ-ა-ბ ო-თ-თჳფ-ა-ბ</p>	<p>ე-მ-თჳფ-ენ-ი-ბ ე-მ-თჳფ-ენ-ი-ბ ე-მ-თჳფ-ენ-ი-ლი</p> <p>ე-მ-თჳფ-ენ-ი-ბ-დ ე-მ-თჳფ-ენ-ი-ბ-დ ე-მ-თჳფ-ენ-ი-ლი-ბ</p>
აწმყო:	<p>თჳფ-ე თჳფ-ე თჳფ-ე</p> <p>თჳფ-ე-დ თჳფ-ე-დ თჳფ-ე-ბ</p>	<p>ლნტ. თჳფ-ენ-ი[ბტი] თჳფ-ენ-ი¹ თჳფ-ენ-ი</p> <p>თჳფ-ენ-ი-დ თჳფ-ენ-ი-დ თჳფ-ენ-ი-ბ</p>
მყოფი:	<p>ა-თჳფ-ე ა-თჳფ-ე¹ ა-თჳფ-ე</p> <p>ა-თჳფ-ე-დ ა-თჳფ-ე-დ ა-თჳფ-ე-დ</p>	<p>ა-თჳფ-ენ-ი ა-თჳფ-ენ-ი¹ ა-თჳფ-ენ-ი</p> <p>ა-თჳფ-ენ-ი-დ ა-თჳფ-ენ-ი-დ ა-თჳფ-ენ-ი-ბ</p>
წყვეტი:	<p>ა-თჳფ ა-თჳფ</p>	<p>ა-თჳფე ა-თჳფე</p>

ა-თუფ	ა-თჷფ
ა-თჷფ-დ	ა-თჷფ-დ
ა-თჷფ-დ	ა-თჷფ-დ
ა-თჷფ-ხ	ა-თჷფ-ხ

თურმ.:	ა-მ-თჷფ-ა	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ხტი
	ა-ჯ-თჷფ-ა	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ხი
	ა-თ-ო-თჷფ-ა	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ლი
	ა-გჷ-თჷფ-ა	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ი-დ
	ა-ჯ-თჷფ-ა	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ი-დ
	ა-თ-ო-თჷფ-ა-ხ	ა-მ-ე-თჷფ-ელ-ი-ხ

ბზ.

ბქ.

	მოქმ.	ვნებ.	მოქმ.	ვნებ.
აწმყო:	დჷგ-ე	დჷგ-ნ-ი	დჷგ-ე	დჷგ-ნ-ი
	დგ-ე	დგ-ნ-ი	დგ-ე	დგ-ნ-ი
	დგ-ე	დგ-ნ-ი	დგ-ე	დგ-ნ-ი
	დჷგ-ე-დ	დჷგ-ნ-ი-დ	დჷგ-ე-დ	დჷგ-ნ-ი-დ
	დგ-ე-დ	დგ-ნ-ი-დ	დგ-ე-დ	დგ-ნ-ი-დ
	დგ-ე-ხ	დგ-ნ-ი-ხ	დგ-ე-ხ	დგ-ნ-ი-ხ
მყოფ.:	ო-დგ-ე	ო-დგ-ენ-ოლ	ე-დგ-ე	ე-დგ-ენ-ი
	ა-დგ-ე	ა-დგ-ენ-ოლ	ე-დგ-ე	ე-დგ-ენ-ი
	ა-დგ-ე	ა-დგ-ენ-ოლ	ე-დგ-ე	ე-დგ-ენ-ი
	ო-დგ-ე-დ	ო-დგ-ენ-ოლ-დ	ე-დგ-ე-დ	ე-დგ-ენ-ი-დ
	ა-დგ-ე-დ	ა-დგ-ენ-ოლ-დ	ე-დგ-ე-დ	ე-დგ-ენ-ი-დ
	ა-დგ-ე-დ	ა-დგ-ენ-ოლ-ხ	ე-დგ-ე-ხ	ე-დგ-ენ-ი-ხ
წყვეტ.:	ო-დგ	ა-დჷგ	ო-დგ	ო-დგ
	ა-დგ	ა-დგ	ა-დგ	ა-დგ
	ა-დგ	ა-დგ	ა-დგ	ა-დგ
	ო-დგ-დ	ო-დგ-დ	ო-დგ-დ	ო-დგ-დ
	ა-დგ-დ	ა-დგ-დ	ა-დგ-დ	ა-დგ-დ
	ა-დგ-ხ	ა-დგ-ხ	ა-დგ-ხ	ა-დგ-ხ
თურმ.	ო-დგ-ა	ო-დგ	ე-გ-დგ-ა	ო-გ-დგ-ელ-ხტი
	ა-დგ-ა	ა-დგ	ე-ჯ-დგ-ა	ო-გ-დგ-ელ-ხი

	ა-ღგ-ა-ს	ა-ღგ-ს	ოთ-ღგ-ა	ო-გ-ღგ-ელ-ლი
	ო-ღგ-ა-დ	ო-ღგ-დ	ო-გჟ-ღგ-ა	ო-გ-ღგ-ელ-ხტი
	ა-ღგ-ა-დ	ა-ღგ-დ	ო-ჯ-ღგ-ა	ო-გ-ღგ-ელ-ხიდ
	ა-ღგ-ა-ხ	ა-ღგ-ხ	ოთ-ღგ-ა	ო-გ-ღგ-ელ-ლი-ხ
	ლშხ. მოქმ.	ვნებ.		ლნტ.
აწმყო:	ღგ-ე	ღგ-ნ-ი	ღჟგ-ე	ღჟგ-ენ-ი
	ღგ-ე	ღგ-ნ-ი	ღგ-ე	ღგ-ენ-ი
	ღგ-ე	ღგ-ნ-ი	ღგ-ე	ღგ-ენ-ი
	ღგ-ე-დ	ღგ-ნ-იდ	ღჟგ-ე-დ	ღჟგ-ენ-ი
	ღგ-ე-დ	ღგ-ნ-ი-დ	ღგ-ე-დ	ღგ-ენ-ი
	ღგ-ე-ხ	ღგ-ნ-ი-ხ	ღგ-ე-ხ	ღგ-ენ-ი-დ
მყოფ.:	ო-ღგ-ე	ო-ღგ-ენ-ი	ჰ-ღგ-ე	ჰ-ღგ-ენ-ი
	ა-ღგ-ე	ა-ღგ-ენ-ი	ჰ-ღგ-ე	ჰ-ღგ-ენ-ი
	ა-ღგ-ე	ა-ღგ-ენ-ი	ჰ-ღგ-ე	ჰ-ღგ-ენ-ი
	ო-ღგ-ე-დ	ო-ღგ-ენ-ი-დ	ჰ-ღგ-ე-დ	ჰ-ღგ-ენ-ი-დ
	ა-ღგ-ე-დ	ა-ღგ-ენ-ი-დ	ჰ-ღგ-ე-დ	ჰ-ღგ-ენ-ი-დ
	ა-ღგ-ე-ხ	ა-ღგ-ენ-ი-ხ	ჰ-ღგ-ე-დ	ჰ-ღგ-ენ-ი-ხ
წყვეტ.:	ო-ღგ	ო-ღგ	ა-ღგ	ჰ-ღგ
	ა-ღგ	ა-ღგ	ა-ღგ	ჰ-ღგ
	ა-ღგ	ა-ღგ	ა-ღგ	ჰ-ღგ
	ო-ღგ-დ	ო-ღგ-დ	ა-ღგ-დ	ა-ღგ-დ
	ა-ღგ-დ	ა-ღგ-დ	ჰ-ღგ-დ	ა-ღგ-დ
	ა-ღგ-ხ	ა-ღგ-ხ	ა-ღგ-ხ	ა-ღგ-ხ
თურმ.	ე-გ-ღგ-ა	ე-მ-ღგ-ელ-ხტი	ა-მ-ღგ-ა	ა-მ-ღგ-ელ-ხტი
	ე-ჯ-ღგ-ა	ე-მ-ღგ-ელ-ხი	ა-ჯ-ღგ-ა	ა-მ-ღგ-ელ-ხი
	ო-თ-ღგ-ა	ე-მ-ღგ-ელ-ლი	ა-თ-ო-ღგ-ა	ა-მ-ღგ-ელ-ლი
	ო-გჟ-ღგ-ა	ე-გ-ღგ-ელ-ხტი-დ	ა-გჟ-ღგ-ა	ა-მ-ე-ღგ-ელ-ხტი
	ე-ჯ-ღგ-ა	ე-გ-ღგ-ელ-ხი	ა-ჯ-ღგ-ა	ა-მ-ე-ღგ-ელ-ხი
	ო-თ-ღგ-ა	ე-გ-ღგ-ელ-ლი	ა-თ-ო-ღგ-ა-ხ	ა-მ-ე-ღგ-ელ-ლი

მიუხედავად იმისა, რომ სვანურის ფუძედრეკად ზმნათა ფორმებში ხმოვანმონაცვლეობა სინქრონიულ დონეზე სისტემურ ხასიათს ატარებს და გარკვეული სტაბილური ჯგუფებიც გამოიყოფა, ამ მოვლენის (აბლაუტის)

ფონოლოგიური მოტივაციის მოსაძებნად, საჭიროა აგრეთვე სახელური აბლაუტის გამოწველილვით შესწავლა და კილოკავური მასალის გათვალისწინება, რადგანაც კილოკავებში რამდენადმე განსხვავებული სურათი გვაქვს.

ლიტერატურა

- არაბული 2001** — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- თოფურია 1979** — ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები III, თბ., 1979.
- თოფურია 1967** — ვ. თოფურია, სვანური ენა I, ზმნა, თბ., 1967.
- ქალდანი 1969** — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969.
- ქურდაძე 2005** — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.
- ჩანტლაძე 2000** — ი. ჩანტლაძე, წინასიტყვაობა, ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

Roena Tchkadua

Towards the Distribution of Ablautive Stages in the Forms of Root-Ablautive Svan Verbs

S u m m a r y

Formation of root-ablative verbs is considered to be a model of functional vowel-changing (resp. ablaut). The vowel-changing verbs, which differ active and passive forms from each other through an inner inflexion are distinguished as a separate group in Svan. In the verbs of this type an ablaut is considered as a redundant morphological marker.

In a scientific literature *i/e* alternation is paid attention, but in Svan dialects several sub-groups of root ablative verbs are distinguished, in which sound-complexes and other vowels alternate; e. g.: act. **u/ũ** – pass. **ũe**; act. **ə/n** – pass. **e**; act. **ə/i** – pass. **ə**; act. **u/ũ** – pass. **e**.

To define a phonetic surrounding of the above mentioned vowel-changing is not possible in most cases.

ნინო ჭუმბურიძე

უქონლობა-უარყოფის მაწარმოებლები ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე

უქონლობის, უარყოფის გამოსახატავად ქართულში, როგორც ცნობილია, გამოიყენება უ- პრეფიქსი, უ — ო, უ — ურ II უ — ულ, უ — არ კონფიქსები და არა-, არ-, ვერა-, ვერ-, ნუ- ნაწილაკები. მკვლევართა აზრით, უ- პრეფიქსი უქონლობის, უარყოფის გამომხატველი უძველესი ფორმანტია, კონფიქსებში შემავალ სუფიქსებს კი უქონლობის სემანტიკა მოგვიანებით დაუკავშირდა, მას შემდეგ, რაც მათი თავდაპირველი ფუნქცია მიიჩქმალა (ბ. ჯორბენაძე, 1984, მ. ტუსკია, 2004).

უქონლობის გამომხატველი აფიქსები მათი განაწილებისა თუ გავრცელებულობის თავალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულად წარმოგვიდგება, თუმცა რაიმე არსებითი ცვლილება ამ მხრივ არ მომხდარა.

თანამედროვე ქართულში ოდენპრეფიქსული წარმოება მხოლოდ რამდენიმე სახელში გვხვდება: უ-რიცხვ-ი, უ-სრულ-ი. პრეფიქსით ნაწარმოებ სახელებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ო-ზე დაბოლოებული რამოდენიმე სახელიც: უ-შნო, უ-ღვინო, უ-სამშობლო, უ-სახელო (კაბა), უ-თავბოლო, თუ არ ჩავთვლით, რომ აქ ფუძისეული ო არის მოკვეცილი; შდრ.: უ-დრო-ო, უ-ალო-ო, რომლებშიც წარმოდგენილია ფუძისეული ო-ც და სუფიქსიც.

მართოდენ უ- თავსართით უქონლობა-უარყოფის გამოხატვის შემთხვევები ცოტაა ძველ ქართულშიც (უ-ზომ-ი, უ-ძილ-ი, უ-ზავ-ი...), თუმცა მხოლოდ უ- გვხვდება ნაწარმოებ ფუძეებთანაც: უ-ნაწილ-ი, უ-ნივთიერ-ი, უ-ლმობიერ-ი.

ხშირია მხოლოდ უ- პრეფიქსის გამოყენება უარყოფითი მიმდებების წარმოებისას. მათი ხვედრითი წილი ძველ ქართულში ბევრად მეტია, ვიდრე ახალ ქართულში: უ-დებ-ი, უ-ღუაწ-ი, უ-ჭედ-ი, უ-ჭმ-ი, უ-მწყ-ი, უ-ზუებ-ი, უ-ვალ-ი... თანამედროვე ქართულში ამგვარი წარმოების ფორმებიდან შემოგვრჩა: უ-ცნობ-ი, უ-ვიც-ი, უ-ნახავ-ი, უ-ტყვ-ი, უ-მსგავს-ი, უ-ღირს-ი, უ-ხამს-ი... ძირითადად კი ფუძე გართულებულია მიმდებების მაწარმოე-

ბელი -ელ, -არ სუფიქსებით: და-უ-წერ-ელ-ი, გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი, გა-უ-თხოვ-არ-ი, ა-უ-ტკივ-არ-ი...

ძველ ქართულში მარტივფუძიანი უარყოფითი მიმღეობები ახალ ქართულში მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმდა: უ-შიშ-ი — უშიშ-არ-ი, უ-ეჭუ-ი — უ-ეჭუ-ელ-ი, უ-ზავ-ი — და-უ-ზავებ-ელ-ი, უ-რიდ-ი — მო-უ-რიდებ-ელ-ი...

ეს ცვლილება, ცხადია, ერთბაშად არ მომხდარა და ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება მარტივფუძიანი და სუფიქსით გართულებული უარყოფითი მიმღეობები.

უ-ურავ-ი: თავი შენი უდარს ჰყო და უურავ. მ. ცხ. 362 v.

უ-ურავ-ელ-ი: ნუმცა ხართ... ლოცვასა თუალდაწუხვილ და მძინარე, ვითარცა წარმართნი უურველნი. მ. სწ. 271, 8.

უ-ქმ-ი: სულსა უქმთასა ჰშიოდის 0, იგ. სოლ. 19, 15.

უ-ქმ-არ-ი: რაყამს დაშურეს იგი, წარვიდეს უქმარნი Ath-11, 26v.

სხვადასხვა წარმოების სახელებს შორის ზოგჯერ სემანტიკური სხვაობა გვაქვს:

უ-შური (უხვი) : ამას დაუგო ჰამადი უშური. უდაბნ. მრავალთ. 73v-10-11b.

უ-შურავ-ელ-ი (შურის გარეშე): სახნიერ არიან ჰემმარიტად და უშურველ. ვარ. 810.

უ-ეჭუ-ი (სანდო): უშიშსა მას რად და უეჭუსა შეგიყვანოს Ier. 6 5v 13-15b.

უ-ეჭუ-არ-ი (დარწმუნებული): მე უეჭუარ ვიყო. პავლ. ებისტ. 177r 4.

უ-ეჭუ-ელ-ი (ეჭვის გარეშე): მიედ მათ თანა უეჭუელად Ⴀ, საქ. მოც. 11, 12.

ზოგი ოდენ უ- პრეფიქსიანი სახელი თანამედროვე ქართულში უ — ო კონფიქსიანი გახდა: უ-ზომ-ი — უ-ზომ-ო, უ-ზავ-ი — უ-ზავ-ო. ძველ ქართულში უ — ო მაწარმოებელი დაერთვოდა აგრეთვე შემდეგ მიმღეობურ ფორმებს: უ-თმინ-ო, უ-ნდ-ო, უ-ჩინ-ო, უ-წყინ-ო, უ-რწმუნ-ო, უ-რცხვინ-ო, უ-ქონ-ო, უ-ჯერ-ო... რომლებიც შემდგომში მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქსებსაც დაირთავენ.

უ — ო კონფიქსი უქონლობის მაწარმოებელთაგან სახელურ ფუძეებში ყველაზე გავრცელებულია. თანამედროვე ქართულში ამ კონფიქსით იწარმოება ყოველგვარი სახელის ფუძე, როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები და თხზული, აგრეთვე ნაწილაკები და თანდებულები (უ-წიგნ-ო, უ-დედ-ო, უ-ლამაზ-ო, უ-დავ-ო, უ-სასყიდლ-ო, უ-თანასწორ-ო, უ-ჩემ-ო, უ-თუ-ო, უ-ებრ-ო...). უ — ო კონფიქსით ძველ ქართულში ნაწარმოებია სახელური ფუძეები (უ-ასაკ-ო, უ-ადვრ-ო, უ-ბად-ო, უ-ბიწ-ო, უ-ბრალ-ო, უ-გზ-ო, უ-გინც-ო), ნაცვალსახელის ფუძე (უ-მათ-ო-დ). ზედსართავი სახელების ფუძე-

ები: უ-დიდ-ო, უ-ბოროტ-ო, უ-მაგრ-ო, უ-მუხთლ-ო, უ-წმირ-ო, უ-შმაგ-ო, უ-თამამ-ო... უ — ო მაწარმოებელი დაერთვის როგორც მარტივ ფუძეებს, ისე ნაწარმოებს და თხზულს: უ-მეუფე-ო, უ-მონაგებ-ო, უ-საზომ-ო, უ-საზღვრ-ო, უ-ჯელოვნ-ო, უ-წინამძღვრ-ო...

ახალ ქართულში უ — ო კონფიქსი დაერთვის სინტაგმებსაც: უ-ჩიტისრქე-ო-დ, უ-ბავშვთაბაღ-ო-დ, ამგვარ ფორმებს საგანგებოდ განიხილავს მ. სუხიშვილი და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევებში მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული (მ. სუხიშვილი, 1984, 180). ამოსავალი ფუძე შეიძლება სამშემადგენლიანიც იყოს: უიმნატიფხმოდ (გ. დოჩ.), უმაგშენთვალოდ (ვ. კოტ.).

უნდა აღინიშნოს, რომ, ასეთი გარკველებულობის მიუხედავად, ახალ ქართულში შემცირდა უ — ო კონფიქსიანი ზედსართავი სახელების გამოყენება. ძველ ქართულში არსებული ფორმები: უ-დიდ-ო, უ-მაგრ-ო, უ-ბერწ-ო, უ-შმაგ-ო, უ-ხშირ-ო, უ-თამამ-ო, უ-მუხთლ-ო, უ-ცხად-ო, უ-მტკიც-ო... ახალ ქართულში აღარ გამოიყენება. რატომ აღარ გვხვდება თანამედროვე ქართულში ასეთი ფორმები? ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ახალ ქართულში ძალიან გავრცელდა არა-ნაწილაკიანი ფორმები: არასწორი, არაწმინდა, არაჯანსაღი, არანორმალური, არადამაჯერებელი, არადამაკმაყოფილებელი, არაბუნებრივი, არაადამიანური და ა. შ.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ზედსართავ სახელებს ანტიონიმური მნიშვნელობით დამოუკიდებელი ფორმები ენაცვლებათ: დიდი — პატარა, მაგარი — რბილი, ხშირი — იშვიათი, თამამი — მორცხვი და ა. შ. რაც შეეხება არა-ნაწილაკიან უარყოფით ფორმებს, ცნობილია, რომ ასეთი ზედსართავები თანამედროვე ქართულში ბევრად მეტია, ვიდრე ძველ ქართულში გვქონდა, განსაკუთრებით ინერგება ასეთი წარმოება სამეცნიერო და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (ლ. გელენიძე, 1984). მათ გააქტიურებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო სხვა ენის, კერძოდ, რუსულის გავლენამ.

ძალზე იშვიათად გვხვდება ძველ ქართულში უ — არ კონფიქსიანი სახელები: უ-შიშ-არ-ი, უ-ჩუმ-არ-ი (ა. კიზირია, 1984, 153), უ-ეჭუ-არ-ი, უ-წკმ-არ-ი (ზ. სარჯველაძე, 2004, 182).

რაც შეეხება უქონლობის მაწარმოებელ უ — ურ კონფიქსს, ა. შანიძის აზრით, იგი უ — ო მაწარმოებელზე უფრო ძველია, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული (ა. შანიძე, 1980, 126). უ — ურ კონფიქსიანი ფორმები, რომლებიც ახალ ქართულში დასტურდება, ძველი ქართულიდან არის შემორჩენილი.

უ — ურ (რ თანხმოვნიან ფუძეებში უ — ულ) კონფიქსის გამოყენება ძველ ქართულში ხშირია: უ-გუნ-ურ-ი, უ-ჯამ-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი, უ-რწყ-ულ-ი, უ-ზეურ-ულ-ი, უ-წვერ-ულ-ი... ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძესთან

გვხვდება უ — ურ მაწარმოებელიც და უ — ო-ც: უ-ჯამლ-ო II უ-ჯამ-ურ-ი, უ-ძე-ო II უ-ძე-ურ-ი...

ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა მაწარმოებლის დართვისას ხშირად გვაქვს სემანტიკური სხვაობა:

უ-სასო (უიმედო): მის გამო უსასო იქმნა ცნობასა მეორისასა. ბალ. 67, 7.

უ-სუს-ურ-ი (სუსტი, უძლური): რომელ-იგი უსუსურ და დაჯსნილ არნ გონებთა. ოქრ.-მარხ. და იონ. 103, 3.

უ-სახ-ო (უფორმო): სახედ ითქუმის სახემყოფელი უსახოთა. A 684 15v.

უ-სახ-ურ-ი (ულამაზო, ურჩი, თავისნება): ხოლო უკუეთუ სამე დახუდეს ცალთუალი... ანუ მჭლწ და უსახური იგი. მ. ცხ. 245v.

უ-ფსკრ-ო (უძირო, უფსკერო): შთასდებდა იგი გოდორსა შინა უფსკროსა. Ath.17, 273r.

უ-ფსკრ-ულ-ი (უძირო, სიღრმე, ქვესკნელი): სიღრმესაცა უფსკრულთასა დაინთქა და წარწყმდა. ფლკტ. 158, 17.

მსგავსი მაგალითებია: უ-ბედ-ო / უ-ბედ-ურ-ი, უ-გონ-ო / უ-გნ-ურ-ი, უ-დაბნ-ო / უ-დაბ-ურ-ი, უ-ძალ-ო / უ-ძლ-ურ-ი...

პარალელური ფორმების შედარება გვიჩვენებს, რომ -ურ სუფიქსიან უქონლობის სახელებში ამ სუფიქსის ძირითადი მნიშვნელობა (აღნიშნოს თვისება სათანადო საგანთან მიმართებით) იჩენს თავს (ნ. ლოლაძე, 1983).

სემანტიკურად განსხვავებული ნიუანსის არსებობამ ამ ფორმებს შორის უდაოდ ხელი შეუწყო ორივე ვარიანტის შენარჩუნებას ენაში.

ლიტერატურა

ლ. გელენიძე, 1984 — ლ. გელენიძე, არ/არა- ნაწილაკიანი სახელები ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

ა. კიზირია, 1974 — ა. კიზირია, ქართული ენა, პრაქტიკუმი, თბ., 1984.

ნ. ლოლაძე, 1983 — ნ. ლოლაძე, წარმოქმნილ სახელთა კონფიქსური წარმოებისათვის ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1983.

ზ. სარჯველაძე, 2004 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 2004.

მ. სუხიშვილი, 1984 — მ. სუხიშვილი, ორშემდაგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

მ. ტუსკია, 2004 — მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, III, 1980.

ბ. ჯორბენაძე, 1984 — ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

ძველი ქართული ენის მასალა დამოწმებულია ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონისა (თბ., 1973) და ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის (თბ., 1995) მიხედვით.

Nino Tchumburidze

The Affixes Expressing “Lack”, “Negation” on Different Stages of the Literary Georgian

S u m m a r y

In Georgian a prefix **u-**, confixes **u-o**, **u-ur//u-ul**, **u-ar** and particles **ara-**, **ar-**, **vera-**, **ver-**, **nu-** are used to express “lack”, “negation”.

The affixes expressing “lack” are represented differently on the different developing stages of the Georgian literary language from the viewpoint of their distributing and spreading, though an essential changes did not take place in this respect.

In old Georgian in the nouns and participles “lack” and “negation” were expressed only by **u-** prefix, in modern Georgian a stem is complicated by the **-o**, **-el**, **-ar** suffixes.

Expressing of negation by **u-o** confix is mostly spread in modern Georgian. A simple stem as well as derived, composed one and particles and prepositions are formed through this confix. But differently with old Georgian, a number of adjectives with **u-o** confix is less. In new Georgian we have no **u-did-o**, (“not big”), **u-magr-o** (“not strong”), **u-xšir-o** (“not often”) forms. This must be caused by the spreading of the forms with **ara-** particles in new Georgian: **arasçori** (“not correct”), **araçminda** (“not clean spirit”), **aražansayi** (“not healthy”). Spreading of such nouns must be caused by the influence of the other languages, in particular, by Russian.

The nouns with **u-ur** confix were spread in old Georgian, in new Georgian. Their existence along with the form with **u-o** confix is promoted by the fact, that the nouns with **u-ur** confix have semantically different meaning – they express lack of quality.

ნინო ხანიაშვილი

კაც- სიტყვის ისტორიისათვის

სულხან-საბას განმარტებით, "კაცი არს ცხო(ვ)ელი სიტყვიერი და აღმართებით მავალი... კაცი დაბადა ღმერთმა ხატებისა და მსგავსებისა-ებრ თვისისა, ნივთებთა მიერ ხორცნი შემზადნა სულისა გონიერისა და სიტყვიერისა მიმნიჭებელმან. ხოლო კაცი ზოგად ყოველთა ეწოდების. ესე კაცი განიყოფ(ვ)ების მამაცად და დიაცად, რომელ არს მამაკაცი და დე-დაკაცი..." (2, 15 დაბად.).

სულხან-საბა ამ შემთხვევაში არ მიმართავს მისთვის ჩვეულ მეთოდს — ლექსიკური სინონიმური წყვილების, ე. წ. ჰენდიადისების გამოყენებას (— ერთი სალექსიკონო ერთეულით მეორე სინონიმური ლექსიკური ერთეულის განმარტებას).

საყურადღებოა, რომ სულხან-საბას ზემოთ მოყვანილ განმარტებაში ადამიანის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები დროთა განმავლობაში ჯერ შესიტყვევების (მაგ.: მოკუდავი კაცი, კაცი ცხოველი, კაცი სიტყვიერი, კაცი ხორციელი, კაცი სულიერი და სხვ.), ხოლო შემდგომ კი ელიფსური - ტერმინების (სიტყვიერი, ხორციელი, სულიერი და სხვ.) სახით ადამიანის ეპითეტებად იქცა. მაგ.:

კაცი მოკუდავი¹:

"გიხაროდენ, რომელი უშრომელად შუვა-მდგომელ ხარ კ ა ც თ ა მ ო კ უ დ ა ვ თ ა ღმრთეებისა!" (სინ. მრ., 203, 32);

შდრ.: მოკუდავი:

"გიხაროდენ, რომელი უშრომელად შუვა-მდგომელ ხარ მ ო კ უ - დ ა ვ თ ა დ და ღმრთეებისა!" (კლარჯ. მრ., 437).

“მიწისაგანი კაცი“:

¹ ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ინდოევროპული ენების მასალა: რუს. мёртвый... ძვ. ინდ. mṛtás "გარდაცვალებული, აღსრულებული", mártas "მოკვდავი კაცი"; ავესტ. mərəta "გარდაცვალებული, აღსრულებული"; ლათ. mortuus "მკვდარი"; ბერძნ. brotos "მოკვდავი"; სომხ. mard "კაცი" (ფასმერი II, 1967).

"რამეთუ ჯერეთ ხატი ესე მიწისაგანისა ამის კაცისა მმოსიეს" (თეოფ. მთავარეპისკ., 11);

შდრ. **მიწისაგანი**¹:

"არა დასთრგუნავს მიწისაგანთა მათ შემოქმედი იგი..." (სინ. მრ., 175, 30).

კაცი ვორციელი:

"რამეთუ ცუდ არს ყოველი კაცი ვორციელი" (ფსალმ., 38, 6);

შდრ. **ვორციელი:**

"არა განმართლდეს შენს წინაშე ყოველი ვორციელი" (ფსალმ., 142, 2).

ხორციელ კაცს ძველ ქართულში გამოხატავს აგრეთვე შესიტყვება **კაცი ვორციითა:**

"რომელი საყდართა ქერობინთასა მჯდომარე ხარ ზეცას საშინელებით, ქრისტე, ღმერთო ყოველთაო, აწ მოხუალ შენ დაჯდომად კიცუსა, ვითარ კაცი ვორციითა" (მინჩხი 249).

"სიტყვერი კაცი":

"რამათა მათ მიერ [მოყუარეთა ღმრთისათა] იდიდოს ღმერთი და რამათა სიტყვერი იგი და თვთუფალნი კაცნი, გამოცდით გამოიცადნენ" (ფსევდომაკარი, 208).

შდრ.: **სიტყვერი:**

"კვალად სიტყვერი და უსიტყველი განჰყოფენ ცხოველსა... რამეთუ კაცი არს ცხო(ვე)ლი სიტყვერი მოკვდავი" (სულხან-საბა);

"ყოველი სიტყვერი თვთმფლობელ არს" (იოანე დამასკ., 92)...

ძველ ქართულში ცნება "ადამიანს"² სიტყვა **კაცი** და მისგან ნაწარმოები უამრავი ლექსიკური ერთეული, კომპოზიტი, შესიტყვებები თუ ხატოვანი (ილიომატური) გამოთქმები, — დასტურდება უძველეს, ჩვენამდე მოღწეულ, როგორც ორიგინალურ, ისე — თარგმნილ ტექსტებში.

საინტერესოა იმ ძირ-ფუძეთა საერთო სურათი, მათი ე. წ. "სიტყვის ბუდეები", რომელნიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატა-

¹ ტიპოლოგიურად ესპანური **Hombre** < ლათ. **homo,-inem** მომდინარეობს სიტყვიდან **humus** "მიწა" (ენციკლ. 1978, 1118); ასევე, იტალიური **uomo, omo** "კაცი" < ლათ. **homoin(m), nom. homo** — უკავშირდება სიტყვას **humus** "მიწა". ამდენად **homo** აღნიშნავს "მიწიერს", რაც უპირისპირდება "ციურს, ღვთიურს" (**celest, divino**)" (იტალ. ენის ლექსიკ., 2002, 1966).

² **კაცი** — (საზოგადოდ სახელი)... სიტყვა დაინიშნოდესმცა ორ მნიშვნელობით. ესე იგი მამრისა მიმართცა და მღვდრისა, მაშინ ნათესავობითი ესე წოდებულ საზოგადოდ, მაგალითებრ: კაცი, მშობელი, შვილი, ცხენი... მკსწავლელი, ქალწული და სხვანი" (რ. ერისთავი 1885, 127).

რებული კვლევის შედეგად წარმოჩნდა. მაგ.:

სულხან-საბას "სიტყვის კონა": "კაცინ. დედაკაცი, დიდაცობა, ზღვსკაცი, კაცადი, კაცად-კაცადი, კაცთა სული (სულთან), კაცი სიტყვერი (ნათესავთან), კაცი უხუცესი (მამასთან), კაცური, მამაკაცი, საკაცე, სამრავალკაცო, ცხენკაცი..."; ცალკე ერთეულებადაა გატანილი შემდეგი ლექსემები, რომლებიც საბას განმარტებით ასევე კაც- სიტყვას უკავშირდება: **კაცის-თაონი, კაც-პელატი, საკაცრავი, უკაცრავი...**

ილ. აბულადის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" ვხვდებით კაც-ის შემცველ შემდეგ ფუძეებს: **განკაცება, დედაკაცი, დედაკაცება, დედაკაცობა, ერის(ა)-კაცი, ერის-კაცება, ერის-კაცობრივი, კაცად-კაცადი, კაცება/კაცობა, კაცობრივ, კაცობრივი, მამაკაცობა, სადედაკაცო, საერის-კაცო, საკაცე, სეფეკაცი, უკაცრული, უკაცური.**

კაც- სიტყვასთან დაკავშირებული შემდეგი ლექსიკური ერთეულებია დადასტურებული ზ. სარჯველაძის ლექსიკონში: **განმამაკაცება, კაცად, კაც-თაგანი, კაცთმოძულეზად, კაცისპირი, კაცისხატი, კაცობრივობა, კაც-ბოვნა, კაციელი, კაც-ქმნა, კერძოკაცი, მამაკაცებრი, მრავალკაცობა, ნაკაცევი, საკაცი, სამამაკაცო, სამრავალკაცო, სიმკაცრე, სრულმამაკაცობა, უკაცთმოყუარესი, შუაკაცი...**

ძველ ქართულ ტექსტებში სიტყვა **კაცი** სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება: ილ. აბულადის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" ეს სიტყვა მნიშვნელობათა მრავალფეროვანი სპექტრითაა წარმოდგენილი:

"კაცი — "ქმარი", "მამაკაცი", "სული", "კაცად-კაცადი"; არავინ; კაცის სიმაღლე:

"ქალწულისა, განთხოვილისა კ ა ც ს ა" C, — "ქალწულისა, თხოვილისა ქ მ ა რ ს ა" DE (ლუკა 1, 27);

"კ ა ც ი მბრძოლი იყო" M, — "მ ა მ ა კ ა ც ი მეჰომე იყო" G (ისუ ნ., 17, 1);

"უკუეთუ კ ა ც მ ა ნ ერთმან... ცოდოს ცოდვამ" O, — "ს უ ლ მ ა ნ უკუეთუ ცოდოს უნებლიეთ" G (ლევ., 4, 2);

"დაიდვა გულსა კ ა ც მ ა ნ მოყუასსა თვსსა და ძმასა თვსსა შეწვენად" I, — "შვიდეს კ ა ც ა დ - კ ა ც ა დ ი მოყუასსა თვსსა შეწვენად ძმასა თვსსა" O (ესაია 41, 6);

"კ ა ც ო , არა ვარ მათანად" (ლუკა 22, 58);

"კ ა ც მ ა ნ ც ა ნუ უწყის, სადა იყვნეთ თქუნ" O (იერემია 36, 19);

"რომელიმე (წყარო) კ ა ც ერთ გინა ერთ ჰოროლ აღმოეცემის" (ბალ., 46, 40).

"იყო განშორებულ ქუეყანისაგან ვითარ კ ა ც ერთ" (ლიმ., 101, 27).

სიტყვა **კაცი** "შუამავლის, შუაკაცის" მნიშვნელობითაც დასტურდება:

"განმიტევე მე, რამეთუ შესაწირავი უყოფიეს ნათესავთა ჩემთაო და კ ა ც ი მოუვლინებეს ძმათა ჩემთაო" (I მეფ., 20, 29).

საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში **შუაკაცი** ნიშნავს "შუახნის, ჭარმაგ მამაკაცს":

"ამისთვის გამცნებთ ბერთა და ჭაბუკთა და შ უ ა კ ა ც თ ა" (დიდი სჯ., 556, 11).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ ტექსტებში სიტყვა კაცი სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება, ამ მნიშვნელობებიდან ძირითადი, არსებითი მაინც ცნება "ადამიანია", შემდეგ — "მამაკაცი", "ქმარი", "ვაჟკაცი" (ძლიერი) და ა. შ., შდრ.: **მამაკაცი** "კაცი", "მამალი", "გმირი", "მამაცი", "ქმარი" (ილ. აბულაძე 1973).

ტიპოლოგიურად ზუსტად ასეთივე სემანტიკური ცვალებადობა გვაქვს სხვა ენებშიც. შდრ.: რუს. муж 1. კაცი, მამაკაცი 2. ქმარი; мужество სიმამაკაცე, სიმამაცე, ვაჟკაცობა, ახოვანება... (ნ. ჩუბინაშვილი 1961);

შდრ. ფასმერი (II, 1967): Др. - инд. vīrā-, авест. vīra- "муж", лит. vūgas "мужчина, муж, супруг"; лат. uir "мужчина, супруг"... тох. Awir "молодой, молодец"; т. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თვალსაზრისით, ამ ინდოევროპული ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა შესაძლებელია წარმოდგენილია ლათ. uis "ძალა", ძვ.-ინდ. váyas- "სასიცოცხლო ძალა", deva-vi- "ღმერთებისათვის სასიამოვნო" და ა. შ. (გამყრელიძე, ივანოვი II, 1984, 469).

სიტყვა **კაცი** "ადამიანის" მნიშვნელობით დასტურდება:

1. როგორც დამოუკიდებლად, ნაწევარის გარეშე, ისე, ზოგჯერ, ნაწევართან ერთადაც; აგრეთვე, ნარ-თანთან მრავლობითში:

"მიცვალებად კ ა ც ი ს ა შობა არს ფრიად უაღრესი მის შობის" (იოანე ოქროპირი 1990, 1);

"რამეთუ შენ ღმერთი იქმენ კ ა ც , რათა კ ა ც ნ ი ჰყვნე ღმრთად, ჰ უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო" (სინ. მრ., 175, 13);

"არა არს კ ა ც ი ი გ ი ანგელოზ..." (მატბ. კრ., 135);

"კაცთაგან ესე შეუძლებელ არს, ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს" (მათე 19, 26); და სხვ...

2. **კაც-** ძირიდან აფიქსაციით წარმოქმნილ, ნაწარმოებ სიტყვებში:

კაცისაგანი, კაცთაგანი, კაცება/კაცობა, კაცადი, კაცად-კაცადი, კაცური, უკაცური, კაცრიელი, უკაცრიელი, კაცებრი, არაკაცებრ, კაცობრივი, განკაცება, საკაცე, უკაცრავი, საკაცრავი, უკაცრაული და ა. შ.; მაგ.:

კაცება:

"არა განეშორა ღმრთეებისა მისისაჲ კ ა ც ე ბ ა ს ა მისსა"

(საკ. წიგ., II, 16, 3).

კაცობა:

"ზორცნი იგი კაცობისა მისისანი ერთითა პირითა განცხადნეს" (საკ. წიგ., II, 15, 35).

კაცად-კაცად-ი "თითოეული; კაცი, ყოველი კაცი, ყოველი ერთი, ცალკეული" (ილ. აბულაძე 1973):

"მისცა... კაცად-კაცადსა (თითოეულსა C) მსგავსად ძალისა თვისისა" (მათე 25, 15);

"თქუა კაცად-კაცადმან მოყუასსა თვისსა" (O, იონა 1, 7);

"აღილო კაცად-კაცადმან ჭურჭელი საბრძოლო თვისი" (O, ივდ., 7, 5);

"ჭრქუა კაცად-კაცადმან მოყუასსა თვისსა" (O, ივდ., 7, 4);

"კაცად-კაცადისა თანა დაკვრევა იქნებოდა" (რიფს., 167, 34);

"დაასობდეს ოთხ-ოთხსა მანასა კაცად-კაცადისა მათგანისათეს" (რიფს., 177, 5).

კაცობრივი "კაცური" (ე. ი. ადამიანური):

"მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმანცა ქმნეს ყოველთაგან ცოდვათა კაცობრივთა" (G, რიცხ., 5, 6).

საკაცე¹ "ლოგინი":

"დასდგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა" (საქ. მოც., 5, 15)

კაცრიელი „დასახლებული": „წინაჲთ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი" (ზარზმ. 330, 14-15).

უკაცრული "უმოსახლო, მოსახლეობისაგან დაცლილი":

"ბურღალთაგან ყოველნი სოფელნი ჭირსა იყვენეს და კნინდა უკაცრულ" (ი.-ე., 42, 7)

უკაცური "უკაცრიელი, დაუსახლებელი":

"ვალნი იგი უვალთა ადგილთა და უკაცურთა და ძნელთა დადოთა" (მამ. ცხ., 175v);

სულხან-საბას "სიტყვის კონაში" **კაცრ-** ფუძის სემანტიკურ ჯგუფში გამოყოფილია რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელიც საბას განმარტებით, სიტყვა კაცთანაა დაკავშირებული. ესენია: **საკაცრაფი** "საქციელი, მართებული"; **უკაცრაფად** "კაცთ უკადრისად", **უკაცრაფი** "იგივე"; **უკაცრა-ული** (უკაცრაფი) "კაცთ უკადრისი", **კაცებთ უკადრისი** "არა კაცებრ"...

საყურადღებოა სიტყვა **კაციანი**, რომელიც დავით გურამიშვილთან გვხვდება:

¹ შდრ. სულხან-საბა: "საკაცე არს მკვდართა საზიდარი".

"ზედ გულზე ვიბი იგი ხე კ ა ც ი ა ნ ი და ღვთიანი"

სიტყვა **კაციანი ადამიანის** ანალოგიითაა შექმნილი, "ხე კაციანი¹ და ღვთიანი" უფლის ორბუნებოვნებას გვიჩვენებს (რომ უფალი არის სრული კაცი და სრული ღმერთი)... (დათაშვილი 1998, 71).

და ა. შ....

3. კომპოზიტებში სიტყვა **კაცი**, როგორც კომპოზიტის ერთ-ერთი წევრი, ადამიანის მნიშვნელობას გამოხატავს: **კაცთმოყუარე, კაცთმოძულე, კაცთმოთნე, კაც-მიუხვდარე, კაცისმკლველი, კაცისმჭამელი, ხატისკაცი, კაცისხატი, კაცის პირი** და სხვ. მაგ.:

კაცთ-მოყუარე "კაცთმოყვარე":

"კ ა ც თ - მ ო ყ უ ა რ ე არს სული სიბრძნისა" (O, სიბრძ. სოლ., 1, 6).

უკაცთმოყუარე "უფრო კაცთმოყუარე":

"რომლისაგან მას ევნო, უ კ ა ც თ მ ო ყ უ ა რ ე ექმნეს სხუათათვს" (მრთ., O, ოქრ. - პეტრე და ელია 314).

კაცთ-მოთნე "პირმოთნე":

"ნუ თუალთა წინაშე თუალდებით მონებად, ვითარცა კ ა ც თ - მ ო თ ნ ე ნ ი" (ეფეს., 6, 6);

"ღმერთმან განაბნინეს ძუალნი კ ა ც თ - მ ო თ ნ ე თ ა ნ ი" (ფსალმ., 52, 6);

კაცის-მკლველი:

"მოსრნა კ ა ც ი ს - მ კ ლ ვ ე ლ ნ ი" (მათე 22, 7).

კაცის-მოყუარე "მოყუარე":

"გურიტი ყოვლითურთ წმიდად ეკლესიად თქუა, და მერცხალი — კ ა - ც ი ს - მ ო ყ უ ა რ ე იოვანე ნათლის-მცემელი" (ოქრ. - გურიტი., 226, 22).

კაცის-მოძულე "კაცთმოძულე":

"გამოირჩია... არა თუ კ ა ც ი ს - მ ო ძ უ ლ ე " (კ. იერ. - ნათლისდ., 86, 5).

კაცის-მსყიდელი:

"მართალსა სჯულ არა უც, არამედ... კ ა ც ი ს - მ ს ყ ი დ ე ლ თ ა, მტყუვართა"... (I ტიმ., 1, 10).

კაცის-მჭამელი:

"ხუდა მათეს ნაწილად მისლვად სოფელსა კ ა ც ი ს - მ მ ჭ ა მ ე ლ - თ ა ს ა " (მიმოდასლ., 21, 4).

¹ შდრ.: **ხე საცნაური ბოროტისა და კეთილისა**: "დაფარულადვე იტყვის... თვით ეშმაკსა ხედ საცნაურად ბოროტისა და კეთილისა" (ფსევლო-მაკარი 200).

კაცის-ფერი (ე. ი. ადამიანის მსგავსი, კაცის მსგავსი):

"მაშინ ეშმაკი იგი კ ა ც ი ს - ფ ე რ ი ქმნა" (H — 341, 381).

აგრეთვე, **დედაკაცი და მამაკაცი**:

დედაკაცს და **მამაკაცს** ძველ ქართულში, შესაბამისად, **დედა** და **მამა** აღნიშნავდა: "და თუ ვითარითა სახითა ჯერ არს დგომად ლოცვასა შინა გინა მარხვასა მ ა მ ა თ ა დ და დ ე დ ა თ ა დ" (პავლენი 484);

"დ ე დ ა ნ ი ჰმსახურებენ, და მ ა მ ა კ ა ც ი თანა-მეინავე" (უდაბნ. მრ., 151).

საყურადღებოა, რომ ხანმეტ ტექსტებში სიტყვა **მამაკაცი** არ დასტურდება, გვხვდება **კაცი** და **დედაკაცი (მამანი და დედანი)**. დაპირისპირება **დედაკაცი — მამაკაცი** თავდაპირველად ასეთი სახით უნდა წარმოშობილიყო: 1. **კაცი — დედაკაცი**; 2. **მამაკაცი — დედაკაცი** > 3. **კაცი — დიაცი**; **მამაცი** (იგულისხმებოდა მამაკაცი) — **დიაცი** (შემდგომი სემანტიკური ცვლილებებით: **მამაცი** "გულადი", **დიაცი** "მშიშარა"):

"და შენ ვითარ უკუე ღმერთად თაყუანის სცემ კ ა ც ს ა, შობილსა დ ე დ ა კ ა ც ი ს ა გ ა ნ ?" (კიმ., II 9₁₀);

"რომელმან დაჰბადნა დასაბამსა, მ ა მ ა კ ა ც ა დ და დ ე დ ა კ ა - ც ა დ შექმნა იგინი" (მათე 19, 4);

"რამეთუ მ ა მ ა კ ა ც ი ხატად ღმრთეებისა შექმნა, ხოლო დ ე - დ ა კ ა ც ი — ხატად მ ა მ ა კ ა ც ი ს ა" (უდაბნ. მრ., 151);

"შეჩუენეს... მ ა მ ა კ ა ც ი თ გ ა ნ ვიდრე დ ე დ ა კ ა ც ა დ მ დ ე " M, — "შეჩუენებულ ყვეს იგი... მ ა მ ა ც ი თ გ ა ნ და ვიდრე დ ი ა ც ა დ მ დ ე " G, (ისუ. ნ. 6, 21);

"კ ა ც ი ჯაბანი რითა სჯობს დ ი ა ც ს ა ქსლისა მბეჭველსა" (გეფხისტყ.).

ძველ ქართულში გვხვდება რამდენიმე კომპოზიტი, რომელშიც **კაცი** (როგორც კომპოზიტის შემადგენელი ერთ-ერთი წევრი) მამაკაცის მნიშვნელობას გამოხატავს: **სეფეკაცი** "სასახლის, სამეფო კარის მსახური": "მსაჯულმან მიგცეს შენ ს ე ფ ე კ ა ც ს ა" (ლუკა 12, 58); "საშინელ არს, ოდეს მოივლინენ ს ე ფ ე კ ა ც ნ ი ძიებად ავაზაკისა და შეიპყრან იგი" (მამ. სწ., 139, 10).

ერის-კაცი-ი, ერის-კაცი-ი "ერისგანი, მხედარი, ჯარისკაცი: "ე რ ი - ს ა - კ ა ც თ ა მათ ბჰისათა წარიყვანეს" C, — "ე რ ი ს ა გ ა ნ თ ა მათ მთავრისათა წარიყვანეს" DE, (მათე 27, 27)...

ერის-კაცი — ამ კომპოზიტის შემადგენელი სიტყვა **კაცი** შეიძლება იყოს ზოგადად "ადამიანი"; თვით კომპოზიტი კი გამოხატავს "საერო პირს, მსოფლიოს, მდაბიოს":

"უკუეთუ მონაზონნი ხართ, რაფსათვს იარებით ე რ ი ს - კ ა ც თ ა

თანა" (მამ. ცხ., 17r);

"უძვრეს ერისა - კაცთა დასა დავისაჯებით" (მამ. ცხ., 39r);

"გლახაკი ესე ერის - კაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი" (ი.-ე., 24, 17);

4. კაცი „ადამიანის“ მნიშვნელობითაა რთულ, მეშველზმნიან ფორმებში: **კაც-ქმნა, კაც(ის)-კლვა, კაცისა-ყოფა, კაც-ჩინება, კაც-პოვნა** და სხვ.

კაც-ქმნა:

"მსგავსებად ოდენ წერილ არს კაცთა და ხატითა კაც-ქმნა" (Ier.,=9, 153r).

კაც-პოვნა "ადამიანად გამოჩენა":

"მსგავს კაცთ-ქმნისა და ხატითა კაც-პოვნისა და პირველი განმარტებად ესე არს..." (Ier.,=9, 153r).

კაცთ-მოთნება "პირმოთნება":

"რათა არა კაცთ-მოთნებობისათვის წარწყმიდო სასყიდელი შრომათა შენთად" (მამ. ცხ., 213).

კაცთ-მოყუარება "კაცთმოყვარება":

"კაცთ-მოყუარებად აჩუენა ივლოის პავლცსთვს" (საქ. მოც., 27, 3).

კაც(ის)-კლვა "მოკვლა":

"არა კაც-ჰკლა" (O, გამოსლ., 20, 13);

"იგინი, რომელნი კაცის-კლვასა თანამდებ არიან, იუნჯებენ თავისა თვისისათვის ძვრსა" (O, იგ. სოლ., 1, 18).

5. შესიტყვებებში: **კაცი მსოფლიო, კაცი ღმრთისა, კაცი სახლისა, კაცნი ქალაქისანი** და სხვ.

კაცი მსოფლიო "მდაბიო, უბრალო ადამიანი":

"არა შესაძლებელ არს კაცისა სოფლოსა მიერ ესე ვითართა ყრმათა აღზრდად" (იოსებ ფლავიოსი II, 26, 2).

სოფლისა კაცი:

"სიბრძნე ღმრთისად სიცოფე არს სოფლისა წინაშე კაცთა" (ფსევდომაკარი 228).

კაცნი ქალაქისანი "ბრბო, ხალხი":

"ჰრქუა კაცთა მათცა ქალაქისათა" (ფლავ. მოც., 61, 6).

და ა. შ....

6. საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში (უნდა აღინიშნოს, რომ შესიტყვებათა უმრავლესობა ძველი და ახალი აღთქმის ნიადაგზეა შექმნილი და ისინი ტერმინებად არის ჩამოყალიბებული): **ძენი კაცთანი, ნათესავი კაცთა, ერი კაცთა, ტომი კაცთა...** ასევე: **კაცი ძველი და კაცი ახალი,**

კაცი ბირველი, კაცი მეორე, შინაგანი კაცი, გარეგანი კაცი, სრული კაცი და სხვ.

სრული კაცი¹:

"გიხაროდენ, რომელმან შევ ღმერთი სრული და კაცი სრული, რომელსა მოგუთა თაყუანის სცეს ვარსკულავთა წინა-ძლომითა" (სინ. მრ., 203);

"შენ თანა ღმერთი და შენგან ღმერთი, რომელ არს სრული კაცი, რომელსა შინა დამკვდრებულ არს ყოველივე სავესებად ღმრთებისად" (სინ. მრ., 6);

"ვიდრემდე მივსწუთეთ... გულისკმის-ყოფასა ძისა ღმრთისასა კაცად სრულად საზომად ჰასაკისა სავესებისა ქრისტესისა, რაჟთა არღარა ვიყვნეთ ჩჩვლ" (ფსევდომაკარი 159).

შდრ. სრული მამაკაცი "ასაკსრული":

"ვითარცა სრული მამაკაცი არცა ზრახვასა ყრმებრსა თავსიღებს და ვერცა საზრდელითა მისითა რაით განძღების, არამედ სხვებრ ზრახავს... ვითარმედ: "ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევენ სიყრმისა იგი საქმენი" (ფსევდომაკარი 213).

ბირველი კაცი "ადამი, დაცემული ადამიანი", მეორე კაცი "მეორე ადამქმნილი, უფალი იესო ქრისტე":

"მეორედ უწოდა მას ვითარცა მეორე კაცი და მეორე ადამქმნილსა² და სახელდებულსა. რ ბირველი კაცი ქვეყნისაგან მიწიერი, ხოლო მეორე კაცი უფალი ზეციით" (თარგმ. ეკლ., 67, 25).

კაცი ძველი "ადამი, დაცემული ადამიანი" და კაცი ახალი "უფალი იესო ქრისტე":

"განიძარცუეთ კაცი იგი ძუელი და შეიმოსეთ კაცი იგი ახალი" (გრ. ნოსელი 230).

ძუელი იგი კაცება:

"განიძარცუეთ ძუელი იგი კაცებაჲ, გლოცავ თქუნენ" (სინ. მრ., 176).

შინაგანი კაცობა და გარეშე კაცობა³:

"შინაგანი ესე კაცობაჲ" (სინ. მრ., 109);

¹ **სრული კაცი** იესო ქრისტეს აღმნიშვნელიცაა.

² **ადამქმნილი** შდრ. **კაცქმნილი (კაცქმნა), განკაცება.**

³ ქართულში ადამიანის შინაგანი ბუნებისა და გარეგნობის აღსანიშნავად შესაბამისად ნახმარია **შინაგანი კაცი და გარეგანი კაცი.** ამგვარი აღნიშვნა ამ ცნებებისა ბერძნულის კალკია (ქურციკიძე 1983).

"გ ა რ ე შ ე ს ე კ ა ც ო ბ ა დ " (სინ. მრ., 109).

შინაგანი კაცი¹:

"შ ი ნ ა გ ა ნ ი ი გ ი კ ა ც ი გ უ ლ ის ა დ უ ხ ი ლ ა ვ ს ა მ ა ს ს ა ც ნ ა უ რ ს ა წ მი და თ ა ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ს ა მ ო თ ხ ე ს ა ი შ უ ე ბ და " (ფსევდომაკარი 200).

ქრისტიანული ტერმინია, აგრეთვე, **ძე კაცისა** ("ძე კაცისა", ისევე როგორც **"ძე ღმრთისა"**² ძველ ტექსტებში იესო ქრისტეს აღმნიშვნელია, მაცხოვრის ერთ-ერთი სახელია):

ძე კაცისა "იესო ქრისტე":

"ნ უ ვ ის ხ უ თ ხ რ ო ბ თ ხ ი ლ ვ ა ს ა ა მ ა ს, ვ ი ღ რ ე მ დ ე ძ ე კ ა ც ი ს ა დ მ კ უ ღ რ ე თ ი თ ა ღ ღ ე ს " (მათე 17, 9, ხანმეტ.);

"და იყოს, ვითარცა-იგი იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ქუეყანისას სამ დღე და სამ ღამე" (სინ. მრ., 163);

"და არავინ ავდა ზეცად გარნა რ ლ ი გ არ და მო ვ და ზ ე ც ი თ ძ ე კ ა - ც ი ს ა დ " (იოვანე 3, 13);

"ეგრეცა ძე ს ა კ ა ც ი ს ა ს ა ჯ ე რ - ა რ ს ვ ნ ე ბ ა დ მ ა თ ა ნ " (მათე 17, 12);

ძე კაცისა "ადამიანი, კაცი":

"და მრქუა მე უფალმან: ძ ე ო კ ა ც ი ს ა ო, ბ ჳ ე ს ე ი ყ ო ს და ვ შ უ ლ და არა განეღოს ესე, არცა გან-ვინ-ვიდეს მიერ, რამე თუ უფალი ღმერთი მხოლოდ შევიდეს და იგი თავადი გამოვიდეს" (სინ. მრ., 44);

"რად არს კაცი, რამეთუ მოიჴსენე მისი, ანუ ძ ე კ ა ც ი ს ა დ, რამე-თუ მოხედავ მას?" (ფსალმ. 8, 5).

ძენი კაცთანი:

"სიკუდილი, რომელი ხისაგან შეიქმნა ძ ე თ ა კ ა ც თ ა თ ვ ს, და-ამჴუ იგი დღესა ძელისა მიერ, უფალო" (ძლისპ., 204).

7. თანამედროვე ქართულში სიტყვა **კაცი** "ადამიანის" მნიშვნელობით შემორჩენილია ანდაზებში:

"**კაცსა** მართალს და მტყუანსა **კაცნივე** გაარჩევენო";

"**კაცი** — **კაცითაო**, ნადირი — ტყითაო"...

„სიმართლე **კაცს** არ დაეკარგებაო“;

„ბევრი ჭოჭმანი **კაცს** წაახდენსო“;

„კარგი **კაცის** პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო“;

¹ **შინაგანი კაცი** ადამიანის სულია: "ს უ ლ ი კ ა ც ი ს ა დ და ბ ა დ ე ბ უ ლ ი ა რ ს ს ა ც ნ ა უ რ ი და შ უ ე ნ ი ე რ ი" (ფსევდომაკარი 275).

² **ძე ღმრთისა**: "რამე თუ აღმღებელი იგი ცოდვისად ძ ე ღ მ რ თ ი ს ა დ თ ვ ნ ე ბ ს ი თ ვ ნ ე ბ ა ს ა ჯ უ ა რ ის ა ს ა მ ო ვ ი ღ ო და" (სინ. მრ., 147).

„ღმერთი **კაცს** როგორც გააჩენს, ისე დაარჩენსო“.

8. აგრეთვე — ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომებში:

კაცთა გარეგანი ნაძირალა, ყოვლად საზიზღარი, ადამიანობისა, რომ არაფერი სცხია...

კაცთარამსგავსი უზნეო, ბოროტი, ავკაცი, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებული, უკეთური...

კაცია და გუნება ყველა ადამიანს თავისი გემოვნება აქვს, ზოგს რა მოსწონს და ზოგს — რა... "კაცია და გუნებაო, თორემ ბებერს რა ეხრაგუნებაო", — ნათქვამია თავქეიფა კაცზე, რომლის ხასიათი და გემოვნება უცნაურობით ხასიათდება და ჩვეულებრივი ადამიანისას სრულებით არ ჰგავს.

"**კაცნი** ვართ", "**კაცი** თვალს ვერ მოაშორებს"... (სახოკია 1979).

ძველ ქართულში სიტყვა **კაცი** "მამაკაცის" მნიშვნელობით დასტურდება:

1. ძირითადად ნაწევართან ერთად:

"მიხედა და იხილა **კაცი იგი** რომელსა ეძიებდა" (კლარჯ. მრ., 231).

2. აგრეთვე, ჩვენებით და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან:

"სული ეგე არა-წმიდაჲ, განვედ **კაცისა მაგისგან** (მარკოზი 5, 8);

"იყო **კაც ერთ** იერუსალიმს (ლუკა 2, 25C);

"**კაცსა ვისმე** ესხნეს ორ ძე" (მათე 21, 28).

3. რიცხვით სახელებთან:

"შეემთხვნეს მას **ორნი კაცნი**" (მათე 8, 28).

4. ზოგიერთ კომპოზიტსა თუ შესიტყვებაში: **სეფე კაცი, ერისა**

კაცი, კაცნი სახლისანი...

კაცნი სახლისანი "მამანი სახლისანი", "შინაურნი":

"მტერ იყვნენ კაცისა **კ ა ც ნ ი** **ს ა ხ ლ ი ს ა** მისისანი" O, — "მტერებ მამაკაცისა **მ ა მ ა ნ ი** **ს ა ხ ლ ი ს ა** მისსა **შორისანი**" pb., (მიქ., 7, 6)...

თუმცა, ასე დაბეჯითებით ძნელია მტკიცება, რადგანაც სიტყვა **კაცი** მსგავს შემთხვევებში, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება "კაცსაც" გულისხმობდეს და "ადამიანსაც".

როგორც ვხედავთ, სიტყვა **კაცი** თავისი მრავალფეროვანი სემანტიკითა და, მით უფრო, წარმოებით უაღრესად პროდუქტიული აღმოჩნდა ძველ ქართულ ენაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სიტყვა **კაცის** გენეზისის შესახებ. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს სიტყვა საერთო-ქართველური წარმოშობისაა (ა. ცაგარელი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა...):

როგორც აღნიშნავს არნოლდ ჩიქობავა თავის "ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში", ჭან. კოჩ-ი "კაცი"; მეგრ. კოჩ-ი, ქართ. კაც-ი¹ — ეს ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელიც ხმოვან-თანხმოვანთა კანონ-ზომიერი შესატყვისობის ნიმუშს გვაწვდის ქართულისა და ზანურის შედარებისას. მასთან არც ქართულს და არც ზანურს არ განუცდია შემდგომი ცვლა: მათში მოცემული ვარიანტები დაგვრჩა წინანდელი სახით" (ჩიქობავა 1938).

ხოლო ბ. ფოჩხუა დასძენს, არანასესხობასთან ერთად თუ სათანადო ფუძე დადასტურდება ქართულის მონათესავე ენებში, ეს უკვე ისეთი ფაქტი იქნება, რომ მას ანგარიში უნდა გაეწიოს... მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლომდე სარწმუნო არც ის საბუთია... და კითხულობს: ხომ შეიძლება ბოდა შეეთვისებინა იგი ერთი ენიდან სხვა ენებს? ასეთ პირობებში უპირატესობა, ბუნებრივია, უნდა ეძლეოდეს ისეთ ფაქტებს, სადაც აშკარად გვაქვს რეგულარული ფონეტიკური დიფერენციაცია, — დასძენს მკვლევარი, — კაც- ფუძეს ზანურში შეესაბამება კოჩ- და ვიცით, რომ ის ბგერათა სხვაობა, რომელიც ამათ შორის არსებობს, არის კერძო გამოვლენა ქართულისა და ზანურის რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობისა: ქართ. ც — ზან. ჩ; ქართ. ა — ზან. ო; შეიძლება ვთქვათ, რომ **კაც-** ფუძე, ყოველშემთხვევაში, ქართულისა და ზანურის "გათიშვამდე" არსებობდა ქართულ ენაში. ხოლო თუ ქართ. **კაც-** და ზან. **კოჩ-** ფუძეებს გვერდით ამოვუყენებთ სვან. **ჭაშ-ს**, მაშინ უკვე გულდაჯერებით ვიტყვი, რომ **კაც-** ფუძე ქართულში შორეულ წარსულშიც გვქონია" (ფოჩხუა 1974, 309).

ამავე თვალსაზრისს იზიარებენ ზ. სარჯველაძე და ჰ. ფენრიხი, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებენ:

ქართ. **კაცი-ი** "კაცი; ქმარი", მეგრ. **კოჩ-ი** "კაცი; ქმარი", ლაზ. **კოჩ-ი** "კაცი; ქმარი"; **კოჩ-ონ-ი** **კოჩ-ი** "კაცური კაცი", სვან. **ჭაშ-/ჭშ- ჭაშ-** "ქმარი"; **ჭაშ-აქ/ლღ-ჭშ-გრ-ი** "საქმრო".

აქვე აღნიშნულია, რომ ეს სიტყვა გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, და ამ სიტყვას ძველ ქართულშივე ჰქონდა "ქმრის, საქმროს" მნიშვნელობა... ქართული მეგრული და ლაზური ენების ფორმები ერთმანეთთან გ. როზენმა დააკავშირა; ნ. მარმა გამოავლინა სვანური ექვივალენტი; ***კაცი-** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ამ სიტყვას აგრეთვე უკავშირებდნენ შუმერულ და ბასკურ ენებს

¹ ქართ. **კაცი**, ზან. **კოჩი**, სვან. **ჭაშ** < ***კაშ**; ეს უკანასკნელი ფორმა ნიკო მარმა აღადგინა და თუბალ-კაინურ ძირად მიიჩნია. გ. როგავამ ***კაშ** დაუკავშირა ანთროპონიმს: **კაშია** (ანთროპ.) < **კაშიანი** (ანთროპ.) (როგავა, იკე IV, 51).

(ნ. მარი, მ. წერეთელი, რ. გორდეზიანი...):

ქართ. **კაც-ი**, ზან. **კოჩ-ი**, ბასკ. **gis-**, **gis-on** "ადამიანი", სუმ. **giš**, ბატონი, ადამიანი" (მარი V);

ქართ. **კაცი**, შუმერ. **giš** "კაცი" (გორდეზიანი 1985, 44).

რ. გორდეზიანი იმოწმებს მ. წერეთელის თვალსაზრისს, მ. წერეთელი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: სუმ. **gal** "ცხოვრება (მოსახლეობა), ყოფნა" და ქართ. სახლი, ჰან.-მეგრ. ოხორი, სვან. ქორ "სახლი" უკავშირდება ერთმანეთს, ამავე (**gal**) ნიშნით სუმერულში აღინიშნება კაციც და ქალიც, "ქართ. **სა-ხლ-ი** "საცხოვრებელი" (სუმ. **gal** "ცხოვრება"), ძირი **ხლ-** გამოხატავდა ალბათ ცხოვრებას, შთამომავლობას, შექმნას,... კაცს, სულიერს აქედან სპეციალურად — მამაკაცი (წერეთელი 1912, 65).

დავით ჩუბინაშვილისთვის სიტყვა კაცი სპარსულია:

"**კაცი** (სპარს. **ქეს**) ცხოველი სიტყვიერი, გულისხმიერი და მნებებელი... (დ. ჩუბინაშვილი 1984).

ასევე საინტერესოა სომხურ ენაში დადასტურებული **ḵaci** "კაცი", რომელსაც ჰრ. აჭარის უკავშირებს ქართულ სიტყვას **კაცი**, ლაზ. **კოჩი//კოჭი//კოჯი**, და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა სომხურში ძალიან იშვიათად იხმარება (აჭარის II, 560).

ადამიანისაგან განსხვავებით სიტყვა **კაცი** უფრო ფართო პოლისემიურობით გამოირჩევა. თუკი **ადამიანი** უფრო ზოგადი სემანტიკისა და საღვთისმეტყველო შინაარსის მატარებელია, **კაცი** ამ თვალსაზრისით მრავალწახნაგოვან შინაარსს იტევს, შდრ. **კაცი** — როგორც "ადამიანი, მამაკაცი, ქმარი, სული, ცალი, თითოეული, ვინმე, არავინ, ვაჟკაცი (მამაცი), ძლიერი, თიხა, მიწა" და სხვ. ბოლო ორი მნიშვნელობით ("თიხა, მიწა") **კაცი** ებრ. **ადამ — ადამაჰს** ემთხვევა.

რაც შეეხება **კაც-** სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას, აქაც სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული (დ. და ი. ბაგრატიონები, ნ. მარი და სხვ.).

გასარკვევია **კაც-** "თიხა, შეზღვილი მიწა" და **კაც-** ძირთა მიმართების საკითხი. ამგვარ თვალსაზრისს ხომ არ უდევს საფუძვლად ის უნივერსალური ცოდნა (გადმოცემა) ადამიანის (კაცის) შესახებ, რაც ტრადიციული მითოლოგიითა და რელიგიური რწმენით არის შემორჩენილი კაცთა მოდემის გონში. ამ მიმართებით საინტერესო და მრავალსმეტყველია სხვა ენათა მონაცემებიც: მაგ.: ლათ. **homō** "კაცი", ოსკ. **humuns** "ხალხი", გოთ. **guma** "კაცი, ადამიანი", პრუს. **smoy** "კაცი, ადამიანი", **smūni** "პიროვნება", რომლებიც უნდა მომდინარეობდეს ინდო-ევროპული ძირიდან ***d^[h](e) ḡ^[h]om** "მიწა", ხეთ. **tekan** "მიწა"... (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 475); აღსანიშნავია ისიც, რომ ინდ.-ევრ. ***d^[h](e) ḡ^[h]om** "მიწა", "ქვეყანა" დაკავშირებულია

ქართველურ *თივა (ქართ. თივა, მეგრ.-ჭან. დიხა "მიწა", "ადგილი", "ნიადაგი" (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 821).

თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით: "კაცის სახელი არს პირველად მოქმედებითა სახელთაგან ქართულისათა (და არა სხვისა ენისაგან) წარმომდგარი: 1. კეცი, შეკეცილი არს არსება სულისაგან და მიწისა, 2. მეორე — კეცი მიწაც არის და კეცი შეკეცილიც და შეკეცულიც არის, ე. ი. შეზავებული არსი, ანუ ერთი რაიმე ორად მოკეცილი". შდრ. კეცი — "მიწა არს, დიხა საუცხოვო და თიხა შეზელილსა კეცსა ეწოდება. კეცი არს თიხა (ესე არს მიწა უმტკიცესი და ურჩიულესი, რომლისა მიერცა შეიმზადებინ ველოვანთაგან ჭურნი (ე. ი. ქუჭვრი) და სხვანი და სხვანი ჭურჭელნი თიხათა მიერ გაკეთებულნი და კეცად წოდებულისა მიწისაგან შექმნილნი" (თ. ბაგრატიონი 1979, 68).

ტრადიცია კაცის (ადამიანის) მიწისაგან შექმნისა საყოველთაოა. ალბათ ეს გახდა მიზეზი ძველ ქართულ სახარებისეულ ტექსტებში დაშვებული შეცდომისა: ლუკას სახარების ეფთვიმე მთაწმიდელისა (ურბნისისა და პალესტინური ოთხთავები) და გიორგი მთაწმიდელის (ვანის, ეჩმიადინის, გელათის ოთხთავები) ლუკას სახარების მეხუთე თავში (5, 18-20) შემდეგი იკითხვისა:

"18. და აჰა ესერა კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრღუეულ, და უნდა შეღებად მისი და დადგამად წინაშე მისსა. 19. და ვერ პოვეს, ვინამცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღვდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კეცი იგი და შთაუტევეს ცხედრითურთ შორის წინაშე იესუჲსა. 20. და იხილა იესუ სარწმუნოებად მათი და პრჭუა კაცსა მას: კაცო, მიგეტვენენ შენ ცოდვანი შენნი" (ეფთვიმე მთაწმიდელი FG).

შდრ. (გიორგი მთაწმიდელი HIK):

"19. და ვერ პოეს, ვინამცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღვდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კეცი და შთაუტევეს კაცი იგი ცხედრითურთ წინაშე იესუჲსა"... (ლუკა 5, 19).

ამ ტექსტს ახლავს ივანე იმნაიშვილის შენიშვნა: ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების რედაქციებში: "ლუკა 5, 19 კაცი A(ოპიზური) — კეცი BG (ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების რედაქციები), შდრ. ბერძნ. *keramōn*. კაცი, აქ, რა თქმა უნდა, შეცდომაა, უნდა იყოს სწორედ კეცი, რომელიც ძველ ქართულში თიხისაგან გაკეთებულ ჭურჭელსა და სხვა ნივთებს ეწოდებოდა. აქ კრამიტი იგულისხმება... აღიღეს კაცი კი არა არამედ კეცი (კრამიტი) და იქიდან ჩაუშვეს საკაცეზე მდებარე (ავადმყოფი) კაცი. კეცის მნიშვნელობა რომ არ ესმოდათ, იგი კაცად გაიგეს, ამან გამოიწვია, რომ ორიგინალის "ახადეს სახურავი" (აიღეს კრამიტი) CAB — აღარაა გადმოტანილი. გიორგი ასწორებს დიდი ხნის შეცდომას და ქართულ

ტექსტს ზუსტად მართავს" (იმნაიშვილი 1979, 86, 162).

არსებობს სხვა თვალსაზრისიც **კაც-** სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ, ნ. მარის ვარაუდით, **კაცის** თავდაპირველი, პალეონტოლოგიური მნიშვნელობა შესაძლებელია იყოს ერთი: ***კ/აც "человек", resp. по палеонтологии "один"...** (მარი V, 53).

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა, ინდოევროპული მასალა: **"тох. А онк "человек", но др-инд. enk "один"; греч. monos "один", но нем. Mann "человек", "мужчина"; лат. singulus "один", "одинокий", но др. англ. secg "человек"; лат. homo "человек", но и.е. *sem "один" (*kes-m > *ksem- > *kem; *sem... (მაკოვსკი 1992, 49).**

ამ შემთხვევაშიც სამყაროს შესაქმნეული პრინციპია გათვალისწინებული: "ერთი" არის დასაბამი, პირველსაწყისი ანუ "მიზეზი მყოფობისა", ანუ ღმერთი (დიონისე არეოპაგელი). "ერთი" — მოწესრიგებული სამყაროს სიმბოლოა.

ლიტერატურა

არაბული 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნალობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბ., 2001.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გელენიძე 1974 — ლატავრა გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.

გორდეზიანი 1985 — რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985

დათაშვილი 1998 — ლ. დათაშვილი, "დავითიანის" სწავლებლისათვის, თბ., 1998.

დანელია 1998 — კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თსუ გამომცემლობა, თბ., 1998.

დონდუა I, 1967 — კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები I, თბ., 1967.

ერისთავი 1885 — ქართული ღრამმატიკა რ. ერისთავის 1885 წლის გამოცემა.

თოფურია III, 1986 — ვ. თოფურია, შრომები ტ. III, თბ., 1986.

იმნაიშვილი 1975 — სინური მრავალთავი (864), ივ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები №17, 1975.

იმნაიშვილი 1979 — ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. №22, თბ., 1979.

კასირერი 1983 — ე. კასირერი, რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა. გერმანულიდან თარგმანა ლ. რამიშვილმა, თბ., 1983.

კრამერი 1988 — ნ. კრამერი, ისტორია იწყება შუმერიდან, თბ. 1988.

როგავა — გიორგი როგავა, იკე IV, 1953.

მელიქიშვილი 1999 — დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999.

სახოკია 1979 — თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

სურგულაძე 1986 — ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.

სუხიშვილი 1978 — მ. სუხიშვილი, პიროვნებისა და ნივთის სემანტიკური გარჩევის ერთი შემთხვევა ქართულში. ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.

ფარულავა 1991 — გრივერ ფარულავა, "ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითად პრინციპები", ყურნ. ხელოვნება №11-12, თბ. 1991.

ფოჩხუა 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ ახალი ქართ. ენის კათ., თბ., 1974.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

შანიძე 1976 — აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1976.

შანიძე 1960 — მზ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ. თბ., 1960.

შენგელია 1999 — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის, დისერტაცია ფილ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1999.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, "სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში", თბ., 1942.

ცაგარელი 1880 — ალ. ცაგარელი, Мингрельские этюды, в. II. Опыт фонетики мингрельского языка, С-Тб., 1880 წ.

ცქიტიშვილი 1976 — თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

წერეთელი 1912 — მ. წერეთელი, სუმერული და ქართველური,

კრებ. "გვირგვინი", 1912.

ჭელიძე 1996 — ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია (სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთა"-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, I, თბ., 1996.

ჯავახიშვილი 1992 — ივ. ჯავახიშვილი, ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტ. X, თბ., 1992.

ჯორბენაძე 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

გამყრელიძე, ივანოვი I, II, 1984 — Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы II, ТБ., 1984.

გესტერმანი 1994 — Theologisches Handwörterbuch zum alten Testament. Zwei Bände. Herausgegeben von Ernest Yenni unter Mitarbeit von Claus Westermann. Thet Band I, 5. Aufl. 1994.
მეიე 1926 — A. Meillet, Linguistique historique et linguistique générale, Paris, 1926.

ლოპუხინი — Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхого и Нового Завета А. П. Лопухина, I, Бытие – Притчи Соломона.

მაკოვსკი 1992 — Маковский М. М., "Картина мира" и миры образов (Лингво культурологические этюды), Москва 1992.

მარი 1912 — Н. Я. Марр. Табал-кайнский вклад в сванском, ИАН, 1912, მისივე, Из поездок в Сваннию, X В, ტ. II.

ლექსიკონები

აბულაძე 1973 — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

ბაგრატიონი 1979 — თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბ., 1979.

დ. და ი. ბაგრატიონები 1967 — დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, თბ., 1967).

"ვეფხისტყაოსნის" სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი (მ. ჭაბაშვილისა და ალ. ჭინჭარაულის რედაქციით), თბ., 1973.

იმნაიშვილი 1986 — ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1995.

სულხან-საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991.

სულხან-საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, 1991.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ქეგლ IV — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.

ღლონტი 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

შანიძე 1956 — ა. შანიძე, "ვეფხისტყაოსნის" სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხემძღვანელობით, თბ., 1956.

ჩუბინაშვილი 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

ჩუბინაშვილი 1964 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1964

ჩუხუა 2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

აჭარიანი II — Р. Ачарян, Этимологический словарь армянского языка, Ереван 1927.

გეზენიუსი 1912 — W. Gesenius, Hebraisches und Aramaisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1912.

ენციკლ. 1978 — Enciklopedia Concisa Sopena. 2 tomo. Diccionario ilustrado de la lengua española. Barcelona, 1978.

იტალ. ენის ლექსიკ. 2002 — Vocabolario della lingua italiana di Nikola Zingarelli, Bologna, 2002.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

ნუისტრემი 1985 — Э. Нюстрем. Библейский словарь, Торонто-Канада, 1985.

ფასმერი II, 1967 — М. Фасмер, Этимологический словарь русского языка (перевод с немецкого... О. Н. Трубачева), Москва, 1967.

ფილოს. ენციკლ. 1989 — Философский энциклопедический словарь. 2 издание, Москва "Советская Энциклопедия", 1989.

ხუდაბაშიანი 1986 — ალექსანდრ ხუდაბაშიანი, ძველი სომხურის ლექსიკონი, ვენეცია 1838, ერევანი 1986.

წყაროები

ადიშის ოთხთ. — ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზ. სარჯველადის რედაქციით. თბ., 2003.

ათონის მრ. — ათონის მრავალთავი. რედაქტორი აკადემიკოსი ელენე მეტრეველი, ნაშრომი შესრულდა გ. ნინუას ხელმძღვანელობით (ათონის მრავალთავის შემსწავლელი ჯგუფი: მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, მ. ჩხენკელი) თბ., 1999.

აპოკრიფ. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბ., 1959.

ბალაჭვ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1957.

ბოლნ. — იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფ., 1911.

გამოსვლ. — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნ. I, შესაქმისად, გამოსვლათად. თბ., 1989.

გამოცხ. — იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე იმნაიშვილმა. რედაქტორი აკაკი შანიძე. თბ., 1961.

გრ. ნოს. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლი ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის", გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964.

დაბად. — დაბადება, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I შესაქმისად გამოსვლათად... ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები XI₁, თბ., 1989.

დავით აღმაშ. — დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი.

ეზეკ. — ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

ევსტ. — ევსტათი მცხეთელის მარტილობა, ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

ექუსთ. დღ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის". X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1964.

ვეფხისტყ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, III სასკოლო

გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და განმარტებანი დაუთმო ნოდარ ნათაძემ, ალექსი ჭინჭარაულის რედაქტორობით. თბ., 1974.

ზარზმ. — ცხოვრება და მოქალაქეობა სერაპიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, აღრინდ. ფეოდალური ლიტერატურა, ტფ., 1935.

თეოფ. მთავარებ. — თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თეოფანე მთავარეპისკოპოსისაი, კესარია-კაპადოკიელისაი, თავისა თვისისა მიმართ, თარგმანი წმიდისა ექვთიმე ათონელისა. იბეჭდება პირველად, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. ნაცვლიშვილმა, ყურნ. "მოყვასი" №11, თბ., 2003.

იოანე — იოანეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკაკი შანიძის გამოცემა, თბ., 1945.

იოანე დამასკ. — წმინდა იოანე დამასკელი, მართმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ევრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა). გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაევამ... ძველი თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, მართლმადიდებელ მამათა შრომები I, თბ., 2000.

მინჩხი — იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. ხაჩიძემ, თბ., 1987.

იოანე ოქრობ. — იოანე ოქროპირი, "ოქროს წყარო" ტფ., 1905, განმეორებითი გამოცემა თბ., 1991.

იოანე პეტრიწი — იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II. ტფილისი, 1937.

იოანე შავთ. — იოანე შავთელი, გალობანი ვარძიისა ღმრთისშობლისანი, საუნჯე I, თბ., 1960.

იოსებ ფლავიოსი — იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი I. ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, მზექალა შანიძის რედაქტორობით. თბ., 1987.

იოსებ ფლავიოსი — იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი II. ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, მზექალა შანიძის რედაქტორობით. თბ., 1988.

კიმენი I — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი I, თბ., 1948.

კიმენი II — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი II, თბ., 1946.

კლარჯ. მრ. — კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა... თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991.

კოლ. — წამებად ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათა (კოლაეთა მარტვლობა), ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1944.

კოლას. — პავლენი, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ აკ. შანიძის რედაქციით, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. №16, თბ., 1974.

ლუკა — ლუკას სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკაკი შანიძის გამოცემა, თბ., 1945.

მათე — მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკაკი შანიძის გამოცემა, თბ., 1945.

მამ. სწ. — მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით. თბ., 1955.

მარკოზი — მარკოზის სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკაკი შანიძის გამოცემა, თბ., 1945.

მარტვილ. კონსტ. — მარტვილობად კონსტანტი-კახაძის, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1963.

მიქაელ მოდრეკილი — მიქაელ მოდრეკილი, იამბიკონი, საუნჯე I, თბ., 1960.

მრავალთ. — მრავალთავი, ენიმკის მოამბე XIV, თბ., 1944.

მტბევარი — იოანე მტბევარი, გალობანი წმიდისა ბასილისნი, საუნჯე, თბ., 1960.

მტბევარი — იოანე მტბევარი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, IV.

ნემეს. ემეს. — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულთაგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ს. რ. გორგაძის გამოცემა. ტფილისი 1914.

საქმე მოციქ. — საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ აკაკი შანიძის რედაქციით. თბ., 1950.

სახისა სიტყ. — მვეცთათვის სახისა სიტყუად, თქმული წმიდისა ბასილ ებისკოპოსისა, ნიკო მარის გამოცემა. TP. VI, C-II., 1904.

სიბრძნე სოლომონისი — სიბრძნე სოლომონისი, ნახე წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.

სინ. მრ. — სინური მრავალთავი 864 წლისა. აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.

ულაბნ. მრ. — ულაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები №28. თბ., 1994.

ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ. თბ., 1960.

ფსევდომაკარი — ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ. ელენე მეტრეველის რედაქტორობით. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები IV, თბ., 1982.

ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწ. I, გამოკვლევა და ლექსიკონი კ. დანელიასი, თბ., 1987.

პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ აკ. შანიძის რედაქციით, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. №16, თბ., 1974.

შესაქმე — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნ. I, შესაქმისად, გამოსცა თაძაძე. თბ., 1989.

ძლისპ. — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა), თბ., 1971.

ხანმ. ტექსტ. — ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯიამ, მზექალა შანიძის რედაქციით, თბ., 1984.

ხანმ. ლექც. — ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო აკაკი შანიძემ. ძველი ქართული ენის ძეგლები I, თბ., 1944.

ხანძთ. — გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძვ. ქართული ლიტ. ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

ჰაბო — იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, აღრინდ. ფეოდალური ლიტერატურა, ტფ. 1935.

Nino Khakhiashvili

Towards the History of the Word *ḵaci* ("a man")

S u m m a r y

A word **ḵaci** and the nouns formed from it, composites, word-correspondence and idioms are attested in the oldest, reached up-to-date original texts as well as in translated ones.

In old texts a word **ḵaci** is evidenced with different meanings. From these meanings a basic conception is **adamiani** "a human-being", then **mamaḵaci** "a man", **kmari** "a husband", **vaḵaci** (**ḵlieri**) "brave (a storg-man)", **ḡamavali**, **ḡaḵaci** "a mediator" and others.

Phonological, semantical, etymological and typological picture is analyzed in the present article.

ლალი ხუჭუა

ქართულ-რუსული ბიბლიური ფრაზეოლოგიური ლექსიკონისათვის

განუზომელია ბიბლიისა და მისი თარგმანების გავლენა ენების ფორმირებაზე, განვითარებასა თუ შენარჩუნებაზე. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ბიბლიური სიმბოლიკა მკვიდრდებოდა ადამიანის აზროვნებაში. უამრავი სიტყვა, ფრაზეოლოგიური ერთეული და აფორიზმი წარმოიქმნა ბიბლიის ტექსტის ან მისი სიუჟეტის ბაზაზე.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები სრულყოფილად შესწავლილი არ არის, თუმცა ამ მხრივ საინტერესოა ი. ხრაზინსკას, ნ. გორბაჩოვის, ლ. გრანოვსკაიას, ს. ონოპრიენკოს, ვ. მენდელსონის და სხვათა ნაშრომები.

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიზაციის პროცესს ხელს უწყობს ფრაგმენტების შინაარსობრივი დატვირთვა და მათი მაღალი ესთეტიური ტექსტური ღირებულებები. უმეტეს შემთხვევაში ეს არის იდიომები და აფორიზმული გამონათქვამები, რომლებიც გამოხატავენ ხაზგასმით დასრულებულ აზრს. ეს არის აზრი-შედეგი, ემოციურად და ენობრივად შემკული. ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიულობა და ლაკონიზმი იძლევა მათი შემდგომი შინაარსობრივი გამდიდრების საშუალებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენენ შემდეგი ფრაზეოლოგიზმები „ეკლესიასტედან“ (მცხეთური ხელნაწერი, „ეკლესიასტე“, 44 — 49 გვ.):

1:2 ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო.

Суета сует (и всяческая суета).

1:4 ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა უკუნისამდე ჰგის.

Род проходит и род приходит, а земля пребывает вовеки.

1:6 სიმრგულესა თვისა მოიქცევის სული.

Возвращается ветер на круги своя. Возвращаться на круги своя.

1:18 რომელმან შესძინოს ცნობა, შესძინოს მას სალმობა.

Во многoй мудрoсти многo печали.

3:5 ჟამი არს დადებად ქვაჲ და ჟამი არს შეკრებად ქვისა.

Время разбрасывать камни и время собирать камни.

3:20 ყოველივე შეიქმნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწად.

Все произошло из праха и все возвратится в прах.

5:14 ისევ შიშველი გაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან.

Умрем, ничего с собою не возьмем

ეკლესიასტე (მქადაგებელი) — წიგნი ადამიანისა, რომელიც მსჯელობს ცხოვრების შესახებ. ეს არის ბრძენის ნააზრევი, რომელიც ყველა ამქვეყნიურ მოვლენას ღვთის ნებას უკავშირებს. ეკლესიასტეს ცნობილი სიტყვები „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ გულისხმობს არა მარტო პირად პრობლემებზე ზრუნვას, არამედ ღვთის გარეშე ცხოვრების ამაოებას. ამაოებაში იგულისხმება დაბადება, ცხოვრება, მუშაობა, ამქვეყნიური ტანჯვა და სიამოვნება, სიკვდილი — ყველაფერი ეს ხომ ამაოა მარადისობასთან შედარებით. ეს ფრაზეოლოგიზმი გავრცელებულია მრავალ ენაში.

როგორც კორნელი კეკელიძე წერს, „ეკლესიასტე“ ორიგინალშიც ძნელი გასაგებია და ბერძნულ თარგმანშიც, სადაც სიტყვა-სიტყვითაა გადმოცემული ებრაული ფორმები და კონსტრუქციები, რაც ბერძნულ ენას ვერ ეგუება. უფრო უნუგემო მდგომარეობაშია ის თარგმანი, რომელიც ბერძნულიდან წარმომდგარა. (მცხეთური ხელნაწერი, გვ. 14).

არსებობს „ეკლესიასტეს“ ქართული თარგმანის ოთხი რედაქცია: ოშკის, მცხეთის, ბაქარის და პეტრიწონული.

მცხეთურ ბიბლიაში ორი ხელნაწერია. ორივე წყდება V თავის II მუხლზე და ორივე ერთი რედაქციისაა, კალიგრაფიულად მეორე ტექსტი უკეთესია. ოშკის რედაქცია უფრო მცხეთისას უახლოვდება. პეტრიწონის — ნათარგმნია სიტყვა-სიტყვით, როგორც ეს სჩვევია პეტრიწონის სკოლას. მცხეთური თარგმანი შედარებულ იქნა დანარჩენ ქართულ რედაქციებთან, ბერძნულ სეპტანტასთან, სომხურ ვენეციის გამოცემასთან, ვოსკანის ბიბლიებთან და ებრაულის რუსულ თარგმანთან. აღმოჩნდა, რომ მცხეთური თარგმანი სომხურზე დამოკიდებულებას გვიჩვენებს.

ზემოთ მოყვანილი ფრაზეოლოგიზმები აღებულია მცხეთური ხელნაწერიდან, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, V თავის II მუხლზე წყდება. ამიტომაც V თავის XIV მუხლის ფრაზეოლოგიზმი (ისევ შიშველი გაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან) ავიღეთ საპატრიარქოს მიერ გამოცე-

მული ბიბლიის ახალი თარგმანიდან (ეკლესიასტე, 587 ო 594 გვ.).

რაც შეეხება რუსულ შესატყვისებს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გვესარგებლა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონით *Л. Г. Кочедыков, Л. В. Жильцова Краткий словарь библейских фразеологизмов* იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ფრაზეოლოგიზმი ლექსიკონში შეტანილი არ არის და ის გავრცელებულია ორივე ენაში. მაგალითად, *Все произошло из праха и все возвратится в прах* — ყოველივე შეიქმნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწად.¹ 3:20.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუშაობის დაწყება ორენოვანი, ქართულ-რუსული ბიბლიური ფრაზეოლოგიური ლექსიკონის მასალის შერჩევასა და დამუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში სამეცნიერო მუშაობის განვითარებას ამ მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989, 1215 გვ.
2. მცხეთური ხელნაწერი. თბილისი, მეცნიერება, 1985, 380 გვ.

Lali Khutchua

Towards the Georgian-Russian Biblical Phraseologic Dictionary

S u m m a r y

Influence of Bible and its translations on forming, developing and preserving of languages is a well-known fact. Numerous words, phraseological units and aphorisms were created on the basis of Biblical texts and stories.

Biblical phraseologisms are not sufficiently studied. A phraseological process is promoted by a rich content of fragments and their high aesthetic value. In most cases these are idioms and aphorisms, which express underlined finished thought. Expressiveness and laconism of the Biblical phraseology give possibility of their enriching from the semantics as well as language viewpoint.

We consider purposeful to begin work on the material of bilingual Georgian-Russian dictionary of the Biblical phraseologism, which will aid the development of scientific activity towards this point.

ცირა ჯანჯღავა

ოთხი მეგრული სიტყვა სიტყვაწარმოებისა და იდიომებში
მონაწილეობის თვალსაზრისით

ყოველი ენის სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები ნაწარმოებ სიტყვებსა და იდიომებში მათი გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა უნარს ავლენენ. ბუნებრივია, ეს შეეხება მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტსაც. ამჯერად ჩვენ შევეხებით აღნიშნული თვალსაზრისით აქტიურობით გამორჩეულ ოთხ მეგრულ სიტყვას: გური „გული“, დუდი „თავი“, თოლი „თვალი“, შური „სული“.

გური „გული“

ზანური (მეგრულ-ლაზური) სიტყვა **გური** „გული“ შესატყვისებს ჰპოვებს სხვა ქართველურ ენებში, ამიტომ, ბუნებრივია **გული** საერთოქართველურ კუთვნილებად არის მიჩნეული (როზენი 1844, 31; როზენი 1946, 48; ჩიქობავა 1938, 65...). ამ სიტყვას შესატყვისები აქვს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში (უსლარი 1887, 127; ჭარაია 1912, 22...).

გური მეგრულ დიალექტში, სხვა ქართველური ენა-დიალექტების მსგავსად, მრავალი წარმოქმნილი სახელისა თუ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია: **გურა** „გულადი; ბრაზიანი“, **გურება** „გაბრაზება“. **გურამი** „გულიანი, გულითადი“, **უგურიე** „უგულო“... **გურჭუა** „გულის ტკივილი“, **გურმეჭვია** „გულჩვილი“, **გურგედვალირი** „გულდადებული“, **გურჩამილი** „გააზრებული“, **გურსაჰო** „გულდაწყვეტილი“...

შეიძლება ითქვას, რომ მეგრული სხვა ქართველურ ენა-დიალექტებს ეხმიანება იდიომატურ გამოთქმებში **გურ** სიტყვის გამოყენების თვალსაზრისითაც — აქ ის ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვაა:

გურ მიაჩამუ „გული მიეცემა“

გურქ ქალაჰუ „გული დაწყდა“ (ზედმიწ. „გულმა დაეწვა“)

გურს ორკუ „გულს აკლია“

გურქ ენტუ „გული წაუვიდა“ (ზედმიწ. „გულმა გაექცა“)

გურ უღურუ „გული უკვდება“

გურიშ ფიცარი „გულის ფიცარი“
გურქ მურთგ „გაბრაზდა“ (ზედმიწ. „გული მოუვიდა“)
შურ დო გურით „სულით და გულით“ (ზედმიწ. „სულ და გულით“)
გურს ჟანგიქ ქიმკასუ „გული წაუხდა“ (ზედმიწ. „გულს ჟანგი წაესვა“)
ბუაშ გური „მზის გული“
ართ გურიშ კოჩი „ერთგული კაცი“ (ზედმიწ. „ერთი გულის კაცი“)
გურიშ შქირიტუა „ხალისის დაკარგვა“ (ზედმიწ. „გულის ჩაქრობა“)
გურ მიცონგ „გაბრაზდა“ (ზედმიწ. „გული მოიყვანა“, იხ. ზემოთ
გურქ მურთგ)

გურიშ გინორთუაფა „გულის გადაყოლება“ (ზედმიწ. „გულის გადართვა“)
გურქ გუტირხე „გული გაუტყდა“ (ზედმიწ. „გულმა გაუტყდა“) ...
 „გულის“ ასეთი აქტიური გამოყენება გასაგები გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველისათვის „გული“ წარმოდგენილია აზროვნების პროცესების ცენტრად, გრძნობის წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნების ... ამთვისებლად“ (ჩიქობავა 1938, 66).

დუდი „თავი“

დუდი, რომელიც საერთოქართველური სიტყვაა (ჩიქობავა 1938, 44-45; კლიმოვი 1964, 75; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 177), მეგრულში მრავალ იდიომატურ გამოთქმაშია წარმოდგენილი. ამ მხრივ, „გულის“ შემდეგ, ეს სიტყვა ყველაზე ხშირი გამოყენებისაა.

დუდი გვხვდება ორ- და სამკომპონენტური (აგრეთვე, ოთხკომპონენტური) იდიომატურ გამოთქმებში, რომლებიც ატრიბუტულ (სახელურ) ან პრედიკატულ (ზმნურ) სინტაგმებს წარმოადგენს.

ორკომპონენტური იდიომები:

დუს კვათუნს „არცხვენს, თავს ჭრის“

დუს გეხე „თავზე აზის“ (ზედმიწ. „თავს აზის“)

დუდიშ დუდი „მთავარი“ (ზედმიწ. „თავის თავი“)

დუს წიციონენს „თავს წაიხდენს“

დუს გინოდვანს „თავს გაწირავს, თავს გადადებს“

დუდიშ გიშადალა „თავის დაძვრენა“ (ზედმიწ. „თავის გამოტანა“)

დუს ვაზოგენს „თავს არ ზოგავს“

დუდიშ ოსხუნური „ძვირფასი“ (ზედმიწ. „თავის უმჯობესი“)

დუდიშ ოხერი „უკუღმართი“ (ზედმიწ. „თავის ოხერი“)

და სხვა.

ბ) სამ- და ოთხკომპონენტური იდიომები:

საქმეს დუს ქიგედგუნს „საქმეს თავს დაადგამს“

მუთუნში დუდ ვაუდუ „არაფერი შეუძლია, არაფრის თავი არ აქვს“.

დუდ გონარცქას უდუ „თავი უსკდება“ (ზედმიწ. „თავი გახეთქვას აქვს“)

დუს დიხას დაჩანუანს „თავს მოუხრის, დაემორჩილება“ (ზედმიწ. „თავს მიწას დააწვდენს“)

ხე დო დუს გულუანს „თავს ევლება“ (ზედმიწ. „ხელს და თავს შემოავლებს“)

და სხვა.

დუდი სიტყვის იდიომებში ხშირ გამოყენებასთან კავშირშია მეგრულ ნაწარმოებ სიტყვებსა და კომპოზიტებში მისი გამოყენების სინშირე.

დუდ- ფუძისაგან დერივაციით არის ნაწარმოები: **დუდამი** „თავიანი“, **უდუდე** || **უდუდური** „უთავო“, **ნადუდა** „მაგარი არაყი“, **დუდება** || **დუდალა** „თავის მობმა“, **დუდენს** „თავს აბამს, ხელმძღვანელობს“, **დუდე-**ლი „თავმობმული“ და სხვა.

დუდ- ფუძე შედის მრავალი კომპოზიტის შემადგენლობაში: **დუდლორონთი** „მთავარი, მამა ღმერთი“, **დუდკოჩი** „მეთაური, თავკაცი“, **დუდოსური** „ხელმძღვანელი ქალი“ (ზედმიწ. „თავქალი“), **დუდმახვენჯი** „თავმძღომარე“, **დუდმაყარე** „მაყრონის ხელმძღვანელი“ (ზედმიწ. „თავ-მაყარი“), **დუდარდებული** „თავხედი“ (ზედმიწ. „თავაგდებული“), **დუდოხვა-**მერი „მთავარი სადღეგრძელო“ (ზედმიწ. „თავსადღეგრძელო“) და სხვა.

თოლი „თვალნი“

მეგრული **თოლ**-ისაგან, რომელიც ქართული **თვალ**-ის შესატყვისად მიიჩნევა (როზენი 1846, 46; ჩიქობავა 1938, 45-46; კლიმოვი 1964, 93; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 235-236), აფიქსაციით რამდენიმე სიტყვა იწარმოება: **თოლიერი** „თვალადი“, **თოლამი** „თვალისანი“, **უთოლე** „უთვალო“, **ნათოლე** „ავგაროზი“, **ნათოლე** || (გო)**თოლირი** „გათვალული, თვალ-ნაკრავი“, **თოლიგე!** „გეთაყვა!“...

თოლი ხშირად იღებს მონაწილეობას კომპოზიტების წარმოებაში: **თო(ლ)-ყუჯი** „ყუჯადლება“ (ზედმიწ. „თვალ-ყური“), **უთოლყუჯე** „უყუჯადლება“ (ზედმიწ. „უთვალყური“), **თოლსინთე** „თვალის სინათლე“, **თოლ-წარი** „თვალ-წარბი“, **ჯღართოლამი** „ჭრელთვალეა“, **თოლწკურილი** „თვალდახუჭული“, **თოლისქვამი** „ლამაზთვალეა“ (ზედმიწ. „თვალ-ლამა-ზი“), **თოლიორქო** „ოქროსთვალეა“ (ზედმიწ. „თვალ-ოქრო“), **თოლიგვირა** „თვალეზრდღვილა“, **თო(ლ)ისერი** „სასწაული“ (ზედმიწ. „თვალის სერი“).

თოლი შედის რიგ იდიომატურ გამოთქმაში, რომლებიც განეკუთვნებიან როგორც სახელურ შესიტყვებებს, ისე — ზმნურს.

ა) **ს ა ხ ე ლ უ რ ი** **შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ე ბ ი** (ატრიბუტული სინტაგმები): **თოლიში ლუბა** „ქუთუთო“ (ზედმიწ. „თვალის უბე“), **თოლიში ჭურჭუ-**ლი || **ნაკაკა თოლი** „თვალის გუგა“ (ზედმიწ. შესაბამისად „თვალის წერ-

ტილი, წინწკალი, ბუმტუკი“ || „შემოკოდილი თვალი“), **თოლიშ ოჭირინა-ფუ** „თვალსაზიერი“ (ზედმიწ. „თვალის მისაწვდენი“), **თოლიშ ძიგირი** „უსიამოვნო რამ“ (ზედმიწ. „თვალის ეკალი“), **თოლიშ გოვალაფა** || **თოლიშ მერქა/ი** „თვალის დახამხამება“ (ზედმიწ. „თვალის გაელვება“)...

ბ) **ზ მ ნ უ რ ი** შესიტყვებები (ატრიბუტული სინტაგმები) შეიძლება იყოს ორშემადგენლიანი ან სამშემადგენლიანი:

ორშემადგენლიანი — **თოლქ ქიმიავგ** „გაითვალა, თვალი ეცა“ (ზედმიწ. „თვალმა მიარტყა“), **თოლი მიკმაბინუ** „ეძინება“ (ზედმიწ. „თვალი ებნევა“), **თოლგშა ვაძირუაფუ** „არ მოსწონს, ეჯავრება“ (ზედმიწ. „თვალს არ ენახვება“), **თოლემს უვარვალუანს** „თვალებს აბრიალებს“ (ზედმიწ. „თვალებს ავარვარებს“), **თოლგშა ქუმურთუ** „მოეწონა“ (ზედმიწ. „თვალში მოუვიდა“)...

სამშემადგენლიანი — **თოლს ჩილამური ასქუ** „გულამოსკვნიტ ტირის, თვალიდან ცრემლი დაპა-ლუპით ჩამოსდის“ (ზედმიწ. „თვალს ცრემლი ესკვნება“), **თოლშა კითი ვემიღინე** „უკუნი სიბნელეა, თვალთან თითს ვერ მიიტან“, **თოლემს უღუ ჭკუა** „ზერელეა, უჭკუა“ (ზედმიწ. „თვალეში აქვს ჭკუა“)...

მეგრულ-ლაზური **შური** „სული“ სიტყვის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები გვაქვს ყველა ქართველურ ენაში, ამიტომ ეს სიტყვა საერთოქართველური ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა (როზენი, 1844, 34; ცაგარელი 1880, 51; ჩიქობავა 1938, 366; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 423-424).

შური „სული“

შური „სული“ მეგრულში ფართოდ არის გამოყენებული დერევატებსა და კომპოზიტებში.

აღნიშნული სიტყვისაგან გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ნიმუშები.

პრეფიქსად **ნა-** || **ნა-** გამოიყენება:

ნა-შური || **ნა-**შური „დასუნთქული (გველის პირშეხებული)“

სუფიქსურ წარმოებაში გვხვდება **-ამ, -ეთ, -ელ, -ო** სუფიქსიანი დერევატები.

-ამ: შურ-ამ-ი „სუნიანი“ (აქედან **-ია** სუფიქსით: შურამ-ია „ხემყრალი“).

-ეთ: შურ-ეთ-ი „საიქიო“

-ელ: შურ-ელ-ი „დასუნთქული“

-ო: შურ-ო „სულაც არ...“

საკმაოდ ხშირია **შურ-** ფუძისაგან პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება.

ო — ე || **ო — ეთ:** **ო-**შურ-ე || **ო-**შურ-ეთ-ი „საიქიო“

მა — აღ : **მა-**შურ-აღ-ი „დამსუნთქველი“

ნა — ა || ნა — ე: ნა-შურ-ა || ნა-შურ-ე „დასუნთქული“

უ — ე: უ-შურ-ე „უსულო; უსუნო“

ყურადღებას იქცევს **შურ-** ფუძისაგან სხვადასხვა აფიქსებით ნაწარმოები ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები (სინონიმები): **ნოშური || ნაშური || შურელი || ნაშურა || ნაშურე** „დასუნთქული“ და **შურეთი || ოშურე || ოშურეთი** „საიქიო“.

როცა **შურ-** ფუძე კომპოზიციის პირველი კომპონენტია, მეორე კომპონენტი შეიძლება იყოს არსებითი და ზედსართავი სახელები, უფრო ხშირად — ნაზმნარი სახელები:

შურ-გური „სული და გული“ (**შურ-გურით** „სულით და გულით“);

უ — ე ცირკუმფიქსით: **უშურგურე** „უსულგულო“).

შურ-კუნტა „სულმოკლე“

შურ-დგმილი „სულდგმილი“

შურ-მაღაფუ „მომაკვლავი“

შურ-სანთხო „სუნამო“ (ზედმიწ. „სულის დასასუნი“)

შურ-უბუმუ „სულგაკმედილი“ და სხვა.

საინტერესოა, რომ მეგრულ დიალექტში, საკუთრივ მეგრული **შურ-**ის გვერდით, ქართული დიალექტური წრიდან შეთვისებული **სუნ-**იც გვხვდება სიტყვაში **სუნთობა || სუნთაობა** „მიცვალებულის მოხსენიების დღე“; შდრ. ქართ. დიალ. **სულთაობა** იმავე მნიშვნელობით (მეგრულში **ლ → ნ** არაბუნებრივი **ლთ** კომპლექსის სუპერაციის შედეგად).

შური ხშირად გვხვდება იდიომატურ გამოთქმებში (იგულისხმება როგორც ორსიტყვიანი, ისე სამსიტყვიანი სახელური და ზმნური შესიტყვებები):

შურიშ ხირუა „სულის გაკმედა“ (ზედმიწ. „სულის მოპარვა“)

შურიშ დლა „მიცვალებულის ხსენების დღე“ (ზედმიწ. „სულის დღე“)

შურ დო ხორცი „მთლიანად, ერთიანად, სულ“ (ზედმიწ. „სულით და გულით“)

შურქ გეშაღ „სული ამოხდა“ (ზედმიწ. „სულმა ამოუვარდა“)

შურქ გერუგ „მოკვდა“ (ზედმიწ. „სულმა გაეყარა“)

შურიშ ეშაღლა „შეწუხება“ (ზედმიწ. „სულის ამოღება“)

შურ გოტუ „სული განუტევა“

შურ მიდგ „მომძლავრდა, ქონება შეიძინა“ (ზედმიწ. „სული მოიდგა“)

შურიშ კირუა „დანაყრება“ (ზედმიწ. „სულის შეკვრა“)

შურიშ ქალი ვაფუ „ხმა გაკმენილი აქვს“

და სხვა.

სიტყვათა შესწავლა მათი ნაწარმოებ სიტყვებსა თუ შესიტყვებებში გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სათანადო ენის მსოფლხედვის შესახებ, ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება აქტუალურ ამოცანად გვესახება.

ლიტერატურა

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

როზენი 1844 — G. Rozen, Über die Sprache der Lazen, Berlin.

როზენი 1846 — G. Rozen, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin.

უსლარი 1887 — П. К. Услар, Абхазский язык, Тифлис.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ცაგარელი 1880 — А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II. Опыт фонетики мингрельского языка, Санкт-Петербург.

ჭარაია 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, Санкт-Петербург.

Tsira Janjgava

Four Megrelian Words from the Viewpoint
of Word-Forming and Participating in the Idioms

S u m m a r y

Different lexical units of each language manifest different abilities from the viewpoint of their using in derived words and idioms. Four Megrelian words are distinguished in this respect: **guri** “heart”, **dudi** “head”, **toli** “eye”, **šuri** “soul”. They are Common Kartvelian words, as they occur in the Laz dialect and they have correspondences in other Kartvelian languages.

Among the mentioned four words **guri** “heart” is mostly used in composites, derivatives and idioms. This will be clear, if we take into account the fact, that for a Georgian man heart is a centre of thinking process, a source of feeling, determining temperament and character (Arn. Chikobava).

Studying of words in derivative words and word-correspondences taking into account their using, gives us important information on world outlook of a relevant language.

ნინო ჯორბენაძე

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში 600-ს აღწარბებს. ეს **-ობ** თემის ნიშნის დიდი პროდუქტიულობით აიხსნება: ის თავისუფლად აწარმოებს ახალ ფორმებს როგორც სახელადი, ასევე, ზმნური ძირებისაგან. ამისთვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს (ზ. ჭუმბურიძე 1986, 108), ნასახელარ ზმნებთან **-ებ** თემის ნიშნის შემთხვევაში აწმყოს III პირის მხ. რიცხვის ფორმა (***ბატონ-ებ-ს = ბატონ-ობ-ს**) დაემთხვეოდა სახელის მრ. რიცხვის მიცემითი ბრუნვის ფორმას (**ბატონ-ებ-ი – ბატონ-ებ-ს**).

პირიანობის თვალსაზრისით გვხვდება როგორც ერთპირიანი, ისე ორი და, იშვიათად, სამპირიანი ფორმებიც კი (ბ. ჯორბენაძე 1980, 101). ამათგან, ორპირიან ფორმებში წარმოდგენილია ხან ირიბი, ხან კი პირდაპირი ობიექტი. ეს უკანასკნელი (აქაც და სამპირიან ფორმებშიც) შემდეგ არის განვითარებული (რ. ენუქაშვილი 1974; ლ. ნოზაძე 1974, 49). ისიც აღსანიშნავია, რომ 30-იანი ზმნები, ძირითადად, ლაბილური ფორმებია: ისინი კონტექსტის მიხედვით ხან თხოულობენ 30-ს, ხან კი — არა; ანუ, ერთი ომონიმური ფორმა ითავსებს ორი მნიშვნელობის გამოხატვას:

მაგ.: ლაპარაკობს ის (საუბრობს)
 ლაპარაკობს ის მას (ამბობს ის მას)
 დარდობს ის (ნერვიულობს)
 დარდობს ის მას (რალაცაზე ნერვიულობს)
 ცრუობს ის (იტყუება)
 ცრუობს ის მას (ტყუილს ამბობს)

მ. სუხიშვილის აზრით, ამ ტიპის ფორმებს პოტენციურად აქვთ 30-ის შეხამების უნარი, რაც ენაში კიდევაც აისახება (მ. სუხიშვილი 1999, 115).

გვაქვს რამდენიმე ფორმა, სადაც 30 იმდენად შეესისხლხორცა ზმნურ მნიშვნელობას, რომ ამ ფუძის ერთპირიანი ვარიანტები უკვე აღარ გვხვდება. ასეთი ფორმებია:

ვარაუდობს ის მას
 ნანობს ის მას
 ჭირაობს ის მას
 გრძნობს ის მას
 უკადრისობს ის მას

3-პირიანი ფორმებიდან აღსანიშნავია:

სწყალობს ის მას (მას)
 (ს)ძღვნობს ის მას მას

ისიც აღსანიშნავია, რომ 3-პირიანი ფორმების ნაცვლად ხშირად სულ სხვა ძირის ზმნები გამოიყენება: *ჩუქნის ის მას მას* (ნაცვლად ფორმისა *სძღვნობს*), *აძღვეს ის მას მას* (ნაცვლად ფორმისა *სწყალობს*).

აქედან, *სწყალობს* უფრო ხშირად ორპირიანი შინაარსის გამოსახატავად იხმარება (მას *ღმერთი სწყალობს*).

ლაბილურ ფორმებად იქცნენ პირის ნიშნის დაკარგვის შემდეგ ირიბობიექტიანი (ორპირიანი) ზმნებიც. ერთი და იგივე ფორმა გამოიყენება ერთპირიანი და ორპირიანი შინაარსის გამოსახატავად:

<i>მკითხაობს</i>	<i>დარაჯობს</i>
1. ის (მკითხავია)	1. ის (დარაჯია)
2. ის ქალს	2. ის სახლს
<i>მკურნალობს</i>	<i>თამადაობს</i>
1. ის (თავის თავს // მკურნალია)	1. ის (თამადაა)
2. ის პაციენტს	2. ის სუფრას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **-ობ** თემის ნიშანი აქტიურად აწარმოებს ახალ ფორმებს როგორც სახელადი, ასევე ზმნური ფუძეებისაგან. ასე რომ, წარმოშობის (წარმოების) მიხედვით **-ობ** თემისნიშნიან ზმნებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

1. საკუთრივ ზმნური ძირები: *ბანაობს, ბჭობს; გორაობს, გრძნობს; დუმობს; ნათობს; ფლობს; ქანაობს; (პ)ყვარობს, ყვინთაობს; შევნობს, შობს, შურობს; ჩავრობს; ცდილობს, ცნობს, ცურაობს; (ს)ძულობს; წვალობს; ჭიდაობს; ხტუნაობს;*

2. ნასახელარი ძირები:

ა) არსებით სახელთაგან ნაწარმოები:

1) მარტივი არსებითებისაგან: *აბრაგობს, ავაზაკობს, ალაფობს, ამავობს, ამხანავობს, არტიტობს, აქიმობს; ბავშვობს, ბაღლობს, ბანდიტობს, ბატონობს, ბელადობს, ბინდობს, ბიჭობს, ბუღობს, ბუნავობს, ბუნტობს, ბურთაობს; გმირობს, გულობს, გუნდაობს, გუშავობს; დალაქობს, დარაჯობს, დიპლომატობს, დირიჟორობს, დიქტატორობს, დურგლობს; ერობს; ვარდობს, ვაჟობს, ვეზირობს, ვერცხლობს, ვიზიტობს; თამადაობს, თარჯიმ-*

ნობს, თაღლითობს, თევზაობს; იალაღობს, იურისტობს; კავალრობს, კაცობს, კეისრობს, კერპობს, კრუხობს; ლაშქრობს, ლეჟსობს, ლიტანიობს, ლოთობს, ლომობს; მაიმუნობს, მეტანიობს, მზეობს, მიზეზობს, მინდვრობს, მისნობს, მუსიკობს, მუშაობს; ნადიმობს, ნადირობს; ომობს, ორატორობს, ოსტატობს, ოჯახობს; პარტიზანობს, პარტნიორობს, პატრიოტობს, პატრონობს, პედაგოგობს, პოეტობს, პურობს; რედაქტორობს, რეჟისორობს; სარდლობს, სახლობს; ფასობს, ფირალობს; ჭადაგობს, ჭალობს, ჭეიფობს, ჭორობს, ჭურდობს; ღონობს; ყარაულობს, ყოჩობს; შეფობს; ცეცხლობს; ძაღლობს, ძმობს; ხულიგნობს, ხურობს; ჯამბაზობს, ჯაშუშობს, ჯეირნობს, ჯიბგირობს, ჯიქობს;

2) წარმოქმნილ არსებითაგან: ავკაცობს; ბერიკაცობს; გლახაკობს, გულთმისნობს; დედაკაცობს, დედოფლობს, დიასახლისობს, დიდკაცობს, დღესასწაულობს; ვაჟკაცობს; თავკაცობს; მამაკაცობს, მგზავრობს, მეგზურობს, მეთაურობს, მექრთამეობს, მეცხვარეობს, მეწისქვილეობს, მთავრობს, მოგზაურობს, მომთაბარეობს, მოციქულობს, მღვდელმთავრობს; ქალბატონობს; შუაკაცობს; ხევისბრობს;

ბ) ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები:

1) ვითარებითი ზედსართავებისაგან: ავობს, ამაყობს, ანცობს; ბეჯითობს, ბოროტობს, ბრიყვობს; გიყობს; დიდობს, დინჯობს; ვერაგობს; ზანტობს; კაპასობს, კეკლუცობს, კვიმატობს; ლამაზობს, ლაღობს, ლაჩრობს; მამაკობს, მუყაითობს, მუხანათობს; **ოხუნჯობს;** რეგვენობს; სასტიკობს, სულელობს, სუსტობს; ტუტუცობს; ფიცხობს, ფლიდობს; ჟუშობს; შორობს; ცელქობს, ცეტობს, ცივობს, ცრუობს, ცულლუტობს; ძვირობს; წუწკობს; ჭარბობს; ხამობს, ხშირობს; ჯიუტობს;

2) მიმართებითი ზედსართავებისა და მიმღებებისაგან: ავგულობს, ათასფერობს; ბრაზიანობს; გესლიანობს, გულაღობს; ერთგულობს; ზარმაცობს, ზვიადობს; თავმჯდომარეობს, თავხედობს; კულაბზიკობს, კულიანობს; მამბეზლარობს, მავნებლობს, მათხოვრობს, მარჩიელობს, მარხულობს, მასწავლებლობს, მბრძანებლობს, მედიდურობს, მეფობს, მეცნიერობს, მზრუნველობს, მკითხაობს, მკურნალობს, მოღვაწეობს, მოყვრობს, მრეცხაობს, მრუშობს, მსაჯულობს, მტაცებლობს, მფარველობს, მძლავრობს, მწერლობს, მწყემსობს, მჭედლობს; პირმცინარობს, პირფერობს, პირქუშობს; სადგურობს, საზრდობს, სათუთობს, სამართლობს, სარგებლობს, საქმობს, სიტყვამახვილობს; უმადურობს, უფროსობს, უქნარობს, უცხოობს; ქედმაღლობს; წინამძღოლობს; ჭირვეულობს, ჭკვიანობს;

გ) რიცხვით სახელთაგან ნაწარმოები: პირველობს;

დ) პირველადი საწყისებისგან ნაწარმოები ფუძეგაორკეცებულ ძირები, რომელთაც ყველას (თითქმის) **-ებ** თემისნიშნისანი ვარიანტიც მოეპოვება (ეს უკანასკნელი უფრო სალიტერატურო ფორმა უნდა იყოს):

კიკვივობს, კრიჭინობს, კოწიწობს; ლიკლიკობს; როხროხობს; ტიკტიკობს; ფარფაშობს, ფაფხურობს, ფაციფუცობს, ფაცურობს, ფხაყუნობს;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ზმნებიდან ყველას აქვს **-ებ** თემისნიშნისანი ვარიანტი (**კიკვივებს, კრიჭინებს, ლიკლიკებს, როხროხებს, ტიკტიკებს**) ათიოდე ფორმის გარდა, რომლებიც მხოლოდ **-ობ** თემის ნიშნით არიან წარმოდგენილი. აქ ფონეტიკური ფაქტორი უნდა იყოს ჩარეული: თუ ინლაუტში უ ხმოვანი გვაქვს, ანლაუტში კი — ნებისმიერი სხვა, **-ებ** თემის ნიშნის ნაცვლად ყოველთვის **-ობ** სუფიქსი გვექნება: **ფაფხურობს, ფაციფუცობს, ფაცურობს**.

ფუძის დაბოლოების მხრივ გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1) თანხმოვანზე დაბოლოებული: ალაფობს, ამაყობს; ბეჯითობს, ბრაზობს; დარაჯობს, დედოფლობს, დიდგულობს, დირიჟორობს; ექიმობს; ზეიმობს; თამაძობს; კაცობს, კეკლუცობს; ლიდერობს; მამაცობს, მდივანობს, მეგზურობს, მეგობრობს, მეურნალობს, მოგზაურობს, მუნჯობს; ნათობს, ნანობს; ოხუნჯობს, ოჯახობს; პატრონობს; სადგურობს; ფასობს; ქალობს, ქომავლობს, ქურდობს; ყბედობს; ცუღლუტობს; წინამძღოლობს; ჯამუშობს;

2) ხმოვანზე დამთავრებული:

ა) **-ა ხმოვანზე დაბოლოებული:** არარაობს, ასკინკილაობს; ბანაობს, ბურთაობს, ბუტიაობს, ბუქნაობს, ბუქსაობს, ბუჩაობს; ვორაობს, გუნდაობს; დაობს; ენაობს; ვაობს; თაობს, თევზაობს; კაფიაობს, კეკელაობს, კენწლაობს, კენჭაობს, კინკლაობს, კმაობს, კოპწიაობს, კოხტაობს, კოჭაობს, კურდღლაობს; ლაზღანდარაობს, ლალაობს, ლაქიაობს, ლექსაობს; მამლაყინწაობს, მასხარაობს, მკითხაობს, მოძრაობს, მრეცხაობს, მუშაობს; ნანაობს; პამპულაობს, პეპლაობს, პრანჭიაობს; რიკაობს; სალაობს, სხვაობს; ტლინკაობს; ფარიკაობს; ჭანაობს, ჭირაობს; ყელყელაობს, ყვინთაობს, ყურყუმელაობს; შოლტაობს; ჩხირკედელაობს; ციგაობს, ციგურაობს, ცრუპენტელაობს; ძიძგილაობს; წუწაობს; ჭიდაობს, ჭორაობს, ჭყუმპალაობს; ხტუნაობს; ჯიკაობს;

ბ) **-ე ხმოვანზე დაბოლოებული:** ენამზეობს; თავმჯდომარეობს; მდგომარეობს, მდებარეობს, მედუქნეობს, მევახშეობს, მეველეობს, მეკობრეობს, მერყეობს, მეშურნეობს, მეცადინეობს, მეცხვარეობს, მეწვრილმანეობს, მეწისჭვილეობს, მეჭურჭლეობს, მზეობს, მნეობს, მოთავეობს, მომდინარეობს, მომთაბარეობს, მომჭირნეობს, მონაწილეობს, მორიგეობს, მოსახლეობს, მოღვაწეობს, მხნეობს; პირმოთნეობს; რჩეობს; უზნეობს; ღრეობს;

გ) **-ი ხმოვანზე დაბოლოებული:** ბაქიობს, ენატანიობს, თანიობს, ლათაიობს, ლაქიობს, ლიტანიობს, მეტანიობს, მუტაციობს, უარშიობს, ცერემონიობს, ძიობს;

დ) **-ო ხმოვანზე დაბოლოებული:** დროობს, მარტოობს, საზრდოობს, უცხოობს, შნოობს, შოობს, ჩქროობს, წარმოობს, ხუროობს;

ე) **-უ ხმოვანზე დაბოლოებული:** გველაძეობს, (ჰ)გუობს, ქსუობს, ცრუობს, ხუობს;

აღსანიშნავია, რომ **ი-ზე** დაბოლოებული ზმნები სახელისაგან **ა** ხმოვნის შეკვეცით არიან მიღებული:

ბაჭი-ე — ბაჭი-ობ-ს

ლაჭი-ე — ლაჭი-ობ-ს

მეტანი-ე — მეტანი-ობ-ს

ენატანი-ე — ენატანი-ობ-ს

ცერემონი-ე — ცერემონი-ობ-ს

ასე რომ, აქ ზმნათა ამოსავალი **ა-ხმოვანზე** დაბოლოებული სახელე-ბია, უცხო წარმოშობის ან ნაწარმოები სწორედ **-ა** სუფიქსით (**ლაჭია, ლიტანია, მეტანია, მუტაცია, ლიტანია**, ერთი მხრივ, და **ბაჭია, ენატა-ნია**, მეორე მხრივ).

რაც შეეხება საკუთრივ **ი** ხმოვანფუძიან სახელებს, ასეთი ფორმები ქართულში ძალიან იშვიათია (როგორც წესი, ნასესხები) და მათგან ნაწარ-მოები **-ობ** თემისნიშნისანი ზმნები არ გვხვდება.

როგორც ვხედავთ, **ა-ზე** დაბოლოებული სახელები **-ობ** თემის ნიშნის დართვისას იკვეცებიან (დასახელებულ ზმნათა გარდა ამ ფორმებს შეიძლე-ბა დავუმატოთ *არსებ-ობ-ს (არსებ-ე), ბალნ-ობ-ს (ბალან-ე), ბგერ-ობ-ს (ბგერ-ე), და-ობ-ს (დავ-ე), უქნარ-ობ-ს (უქნარ-ე), შრომ-ობ-ს (შრომ-ე)*).

იგივე შეიძლება ითქვას **ე-ზე** დაბოლოებულ ზმნებზეც: **ბუდ-ობ-ს (ბუდ-ე), მეფ-ობ-ს (მეფ-ე), მოყვრ-ობ-ს (მოყვარ-ე), ხელმწიფ-ობ-ს (ხელმწიფ-ე)**.

აქვე გვაქვს ფუძეუკვეციელი **ა / ე** დაბოლოებიანი და **-ობ** თემისნიშ-ნიანი ფორმებიც:

ა: გუნდაობს, ენაობს, კეკელაობს, კობწიაობს, კობტაობს, ლაზღანდა-რაობს, ლაქიაობს, მასხარაობს, პამპულაობს, ციგაობს;

ე: თავმჯდომარეობს, მღვდმარეობს, მღებარეობს, მეველეობს, მეკობ-რეობს, მეწისქვილეობს, მიმდინარეობს, მოთავეობს, მორიგეობს, მოსახლე-ობს, მოღვაწეობს;

რატომ იკვეცებიან ერთ შემთხვევაში **ა / ე** ხმოვნები და რატომ არა — მეორეში?

ფონეტიკურ-სემანტიკური პროცესი იჩენს თავს თითქოს **-ე-ზე** დაბო-ლოებულ ზმნებთან. ნაწარმოები ფორმები (უმეტესად **მე-ე, მო-ე** პრეფიქს-სუფიქსებით) უკვეცელობისკენ იჩენენ მიდრეკილებას (თუმცა, შდრ.: **მო-ყვარე - მოყვრობს; ხელმწიფე - ხელმწიფობს**).

როგორც ცნობილია, მაწარმოებელი **-ა** ფუძის ბოლოკიდური **ა-საგან** განსხვავებით არ იკვეცება, შდრ.:

დედოფალა — დედოფალათი (და არა *დედოფალით)

მასხარა — მასხარათი (და არა *მასხარით)

ცისარტყელა — ცისარტყელათი (და არა *ცისარტყელით)

ასევე: **წითელათი** (დაავადდა), **შავთვალათი**, **ქერათი**, **ულვაშათი** და ა.შ. (მრავლობით რიცხვში ყველა ეს ფუძე იკვეცება: **დედოფალები**, **მასხარები**, **ცისარტყელები**, **შავთვალელები**, **ქერები**). ამ ფორმათა დარად ხომ არ ინარჩუნებენ -ე ხმოვანს ზემოაღნიშნული ზმნები? **მოყვრობს**, **ხელმწიფობს** ფორმათა კვეცადობა შეიძლება იმიტ აგხსნათ, რომ ისინი უკვე აღარ აღიქმებიან ნაწარმოებ სახელებად.

რაც შეეხება **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს, აქ მსგავს ვითარებას ვერ ვივარაუდებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვაქვს პარალელური **ბაქიობს — ბაქიაობს**, **კეკელობს — კეკელოობს**, **ლაქიობს — ლაქიაობს**, **მასხრობს — მასხარაობს**, **ციგობს — ციგაობს** და სხვა ამდაგვარი ფორმები.

გარდა ამისა, **ა**-დაბოლოებიან ზმნებში გამოიყოფა ისეთი ჯგუფიც, სადაც **-ა**-ს ვერც სახელიდან გადმოყოლილად ვერ მივიჩნევთ (როგორც ეს არის **ლაქია > ლაქიაობს** ფორმაში) და ვერც — ამოსავალი ზმნური ფუძიდან (მაგ.: **ცურ-ავ-ს > ცურ-ა-ობ-ს**). ასეთი ფორმებია: **ბანაობს**, **თევზაობს**, **კინკლაობს**, **ფარიკაობს**, **ქირაობს**, **ყელყელაობს**, **ყურყურმელაობს**, **ციგურაობს**, **ძიძგილაობს**, **ჭიდაობს**, **ჭყუმპალაობს**. რითი უნდა აგხსნათ ამ ფორმებში **-ა** ბოლოსართის არსებობის ფაქტი?

სახელებისაგან მომდინარე ზმნების ერთ რიგში განსხვავებას **-ა** ბოლოსართიან და შეკვეცილ ფორმებს შორის ზმნური სემანტიკის ერთი ნიუანსი განაპირობებს: როგორც გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს (გ. გოგოლაშვილი 1980, 61-62), შეკვეცილი ფორმები ამოსავალი სახელით გამოხატულ მნიშვნელობასთან ზმნური სუბიექტის სრულ შესაბამისობაზე მიგვიითებენ:

ციგა — **ციგობს** (ციგის მოვალეობას კარგად ასრულებს)

ლექსი — **ლექსობს** (კარგი ლექსია, შეიძლება თამამად ეწოდოს ლექსი)

შოლტი — **შოლტობს** (შოლტის მოვალეობას კარგად ასრულებს)

ამავე სახელებისაგან **-ა** ბოლოსართის შენარჩუნებით (ან მისივე დამატებით) მიღებულ ფორმებს უკვე სულ სხვა დანიშნულება — ამოსავალი სახელით გამოხატული საგნით, მისი დახმარებით ჩადენილი, შესრულებული მოქმედების გამოხატვა აქვთ. შდრ.:

ციგა — **ციგაობს** (ციგით სრიალებს)

ლექსი — **ლექსაობს** (ლექსით „მოქმედებს“)

შოლტი — **შოლტაობს** (შოლტით მოქმედებს)

აღნიშნული ტიპის ზოგი სხვა (როგორც სახელიდან, ასევე, ზმნისაგან მომდინარე) ფორმის ასახსნელად კი ჩვენ **ცურაობს** ტიპის ფორმების გენეზისი დაგვეხმარება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ცურ-ავ-ს / ცურ-ა-ობ-ს** ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობაა; რომ **ცურ-ა-ობ-ს** მიღებულია **ცურ-ავ-ს** ზმნისაგან და ამათგან:

1) **ცურ-ავ-ს** აღნიშნავს ხაზოვან და ერთჯერად მოქმედებას;

2) **ცურ-ა-ობ-ს** (ამასთან დაკავშირებით იხ. დ. მელიქიშვილი 2001, 131) გამოხატავს ერთ წერტილში რეფლექსური მოძრაობის მრავალჯერად, ინტენსიურ მოქმედებას; ამ ტიპის ფორმები „ზოგადი აწმყოს“, „ზოგადი დროის“ ფუნქციით გამოიყენებიან უფრო ხშირად (ბ. ჯორბენაძე 1975, 202).

სწორედ ერთ წერტილში რეფლექსური, მრავალჯერადი, ინტენსიური მოქმედებიდან მივდივართ „ზოგად აწმყომდე“, რომელიც ასევე (მართალია, უკვე დროის დიდი პერიოდის) განმეორებად, ამა თუ იმ საგნისათვის დამახასიათებელ მოქმედებას გვიჩვენებს.

ასე რომ, ერთი მხრივ: **ბავშვი ზღვაში ცურაობს.** (აქეთ-იქით დაცურავს, მრავალჯერ და უკუქცევით მოძრაობებს აკეთებს გარკვეულ მონაკვეთზე).

მეორე მხრივ: **ბავშვი ყოველდღე ბახეინში ცურაობს.** (აქ, შეიძლება, ბავშვი ხაზოვან და ერთჯერად, ცურავს ფორმით გამოხატულ მოქმედებას ასრულებდეს ყოველდღიურად, მაგრამ ეს მოქმედება მაინც უკუქცევითი და მრავალჯერადია დროის დიდი მონაკვეთის (ერთი კვირის, წლის) განმავლობაში).

როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს (ბ. ჯორბენაძე 1975, 202), შეითხვევითი არ არის, რომ ამ დროს **-ობ** თემის ნიშანი გამოიყენება, რომელიც თავისი ფუნქციით აბსტრაქტულ სახელთა **-ობ-ა** სუფიქსს უკავშირდება; **-ობ** თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნებისათვის კი ეს მნიშვნელობა უცხო არ არის (შეიძლება დავამატოთ, განსაკუთრებით, პარალელური **ცურავს-ცურაობს** ტიპის ფორმებისათვის).

ასე რომ, **ა-**ზე დაბოლოებული ზმნების მეორე ნაწილში ხმოვნის უკვეცელობა იმით არის გამოწვეული, რომ ყველა ეს ფორმა განზოგადებულ, მრავალჯერად, ინტენსიურ მოქმედებას გვიჩვენებს, რომელსაც სწორედ **ა-ობ** მაწარმოებელი შეეფერება.

ისეთ ფორმებში, სადაც **-ა** არც **-ავ** თემის ნიშნის ნაშთია და არც სახელიდან გადმოყოლილი ბოლოკიდური ხმოვანი, ანალოგიასთან უნდა გვქონდეს საქმე: არ არის აუცილებელი ამავე ფუძის პარალელური **-ავ** თემისნიშნისანი ზმნების არსებობა (მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ფორმასთან ეს სრულიად წარმოუდგენელია; მაგ., ასეთებთან — **ყელყელაობს, ყურ-**

ყუმელაობს, ჩხირკედელაობს, ციგურაობს, ძიძგილაობს, ჭყუმპალაობს

— შინაარსიდან გამომდინარე, მათ ვერ ექნებათ პარალელური, **-ავ** თემისნიშნისანი, ერთგზისი და ხაზოვანი ქმედების აღმნიშვნელი ფორმები). ჩანს, ამ ზმნებს პირდაპირ აუღიათ „მზა“ **-ა-ობ** სუფიქსი (იხ. ლ. ნოზაძე 1974, 26).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **-ობ** თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნებში პირიანობის, წარმოშობისა და ფუძის დაბოლოების მხრივ მრავალფეროვანი მასალა იკვეთება, რომლის შემდგომი, უფრო დაწვრილებითი და ღრმა ანალიზი მომავლის საქმედ გვესახება.

ლიტერატურა

1. **გ. გოგოლაშვილი 1980** — გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
2. **რ. ენუქაშვილი 1974** — რ. ენუქაშვილი, საშუალო გვარის ზმნები ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1974.
3. **დ. მელიქიშვილი 2001** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
4. **ლ. ნოზაძე 1974** — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974.
5. **მ. სუხიშვილი 1999** — მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბ., 1999.
6. **ზ. ჭუმბურიძე 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.
7. **ბ. ჯორბენაძე 1975** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
8. **ბ. ჯორბენაძე 1980** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზონი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

Nino Jorbenadze

The Structural-semantic Analysis of the Medial Verbs with the Thematic Suffix -ობ in Modern Georgian

S u m m a r y

There are some groups of medial verbs with the thematic suffix **-ობ** in Modern Georgian :

1. Mono and polypersonal verbs (საუბრობს ის ; ნანობს ის მას ; ღარაჯობს ის მას ; სწყალობს ის მას მას) ;
2. The forms differing by their origin :
 - Verbal forms (ნათობს) ;
 - Verbs derived from nouns, pronouns and numerals (კაცობს ; ამაყობს ; პირველობს) ;
3. The verbs differing by their ending : some verbs have final vowels (ა — თევზაობს ; ე — მღებარეობს ; ი — ენატანიობს ; ო — უცხოობს ; უ — ცრუობს) ; and the others have final consonants (ზეიმობს...).

თედო უთურგაიძე

რ ე ც ე ნ ზ ი ა

მ. ჩ უ ხ უ ა ს ნაშრომზე — „ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში“, 2006

მ. ჩ უ ხ უ ა ს ნაშრომი — „ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში“ წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან: I ნაწილში განხილულია რეკონსტრუირებული ვოკალური საერთოენური, ანუ საერთონახურ-ქართველური ვოკალური სისტემის მიმართება საერთოქართველურ და საერთონახურ სისტემასთან.

II ნაწილი ეძღვნება კონსონანტურ სისტემებს, ერთი მხრით, საერთო-ქართველური და, მეორე მხრით, საერთონახური სისტემების მიმართებას რეკონსტრუირებულ ფუძეენურ სისტემასთან. II ნაწილი შვიდი თავისგან შედგება: ცალ-ცალკეა განხილული სონანტა, სიბილანტა და ზშულთა სხვადასხვა რიგის თანხმოვანთა შესატყვისობები.

ნაშრომის III ნაწილში წარმოდგენილია თანხმოვანთა სისტემების სინტაგმატური ანალიზი განსახილველ ენათა ჯგუფებში მათ ამოსავალ წინარეენასთან („ფუძეენურ“ სისტემასთან) მიმართებით.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები, ერთვის გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის სია. სულ ნაშრომი შეიცავს კომპიუტერით ნაბეჭდ 307 გვერდს.

კარგად არის ცნობილი დავა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ. დავა დღემდე გრძელდება. ამ დავის სიმძაფრეს კარგად წარმოგვიდგენს ნ. ტრუბეცკოის ლამის საუკუნის წინ (1922 წ.) გაკეთებული განცხადება ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ: "Пока не установлены аналогичные соответствия между "картвельскими" фонемами и фонемами северокавказских языков, мы не имеем права говорить о кавказской языковой общности, и всякая теория, предполагающая эту общность данной, должна быть признана фантастической" (Латеральные

согласные в севернокавказских языках", კრებულში: Избранные труды по филологии" М. 1987, გვ. 234).¹

ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის მტკიცებიდან ყველაფერი ისევ „ფანტასტიკის სფეროში“ დარჩება, თუ დღეს განსახილველი ნაშრომი, რომელიც სწორედ რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობას ეძღვნება ქართველურ და ნახურ ენებს შორის, ვერ გაამართლებს თავის სათაურს. მეორე მხრივ, თუ ფონემური რეგულარული შესატყვისობა დადგინდება ამ ორი ჯგუფის ენებს შორის, ფასი დაედება ამ ენათა მორფოლოგიური კატეგორიების პარადიგმათა ფორმალურ-სემანტიკურ მსგავსებას. **უფრო მეტი**, როგორც დისერტანტი ვარაუდობს, საერთონახურისა და საერთოქართველურის ნათესაობა ხიდს გადებს ქართველური ენების კავკასიის სხვა ენათა ჯგუფებთან ნათესაობასთანაც, რამდენადაც, მაგალითად, დაღესტნურ-ნახური ენების საერთო წარმომავლობის მტკიცება მაინცა და მაინც დიდ წინააღმდეგობას არ აწყდება.

რა დახვდა დისერტანტს ნახურ-ქართველური გენეტიკური საერთო წარმომავლობის ხაზით? — მსჯელობა ნახურ-ქართველური საერთო ლექსიკის შესახებ (ი. ჯავახიშვილი, თ. გონიაშვილი, გ. კლიმოვი, გ. ბურჭულაძე...) და არასისტემური კვლევა შესატყვისობის პოზიციიდან. საჭირო იყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრად დაცვა და კონკრეტულად ნახურ-ქართველური ენების საერთო გენეტიკური წარმომავლობის მტკიცებისათვის სათანადო მეთოდის გამომუშავება კომპარატივისტიკაში არსებული წესების გათვალისწინებით, რადგან, როგორც დისერტანტი აღნიშნავს, „ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა კვლევას, პირდაპირი მნიშვნელობით თუ ვისაუბრებთ, ისტორია არ გააჩნია“ (გვ. 16).

დისერტანტმა, უპირველეს ყოვლისა, შექმნა „ქართველურ-ნახური შედარებითი ლექსიკონი, შემდეგ მის საფუძველზე ხდება რეკონსტრუქცია საერთოქართველური და საერთონახური სისტემებისა, რომელთაც ქრონოლოგიურად წინ უძღოდა წინარე-ქართველური და წინარე-ნახური სისტემები. ესენი ასახავენ წინარეენურ სისტემაში მათი თანაარსებობის პერიოდს. მაშასადამე, ჯერ იგება სისტემა თანამედროვე ენათა მონაცემების მიხედვით, შემდეგ უკვე რეკონსტრუირებული სისტემების ურთიერთმიმართებათა საფუძველზე, ფონეტიკური ვარიანტების გათვალისწინებით, რეკონსტრუირდება სისტემები ფუძენაში, რომელიც წარმოადგენს ქართველურ-ნახური ერთიანობის ამოსავალ ქრონოლოგიურ პერიოდს. მაგალითად, ნახურ ენებში **მუღერი** > **მკვეთრი**

¹ აქ ნახსენები „ანალოგიისთვის“ ნ. ტრუბეცკოი უთითებს ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს, ს ა ნ ს - კ რ ი ტ ი ს ა და ლ ა თ ი ნ უ რ ი ს ნათესაობაზე რეგულარული ფონემური შესატყვისობის საფუძველზე და არა ნათესაობითი ან ბრალდებითი ბრუნვების მსგავსად გამოყენებასა და ფუნქციონირებაზე ამ ენებში (ნ. ჩუხია — თ. უ.).

თუ **მკვეთრი** > **მყლერი** დგინდება საერთოქართველურთან მიმართებით: თუ ქართულ ძირში რეკონსტრუირდება მყლერი, მაშინ წინარენახურში ამოსავალად მყლერი ივარაუდება და ა. შ.

საერთონახურის ურთიერთსაპირისპირო ფონეტიკური გარდაქმნებით შექმნილი ვითარება ზუსტ მისამართს იღებს პრანახურისა და პრაქართველურის ფუძეენურ მიმართებაში, მაგალითად: ბაცბ. დოკ ~ ინგუშ.-იჩქ. დუოგ საერთო ნახურის ფაქტია; ამოსავალი სახე შეპირისპირებულ ფორმათათვის დგინდება პრანახურში ქართველური ჩვენების მიხედვით: ამოსავალია იჩ.-ინგუშ. გ. რადგან ქართულში შეესაბამება მყლერი ვარიანტი — გ (გული), ე. ი. ძირეული გ ~ კ საერთონახურში მეორეულია და ისინი უნდა აიხსნას საერთონახურის ფონეტიკურ ცვლილებათა გათვალისწინებით.

მეთოდურ სიახლედ მიგვაჩნია შესატყვისობათა დადგენა ძირეულ მასალაში კლასის ნიშანთა გაუთვალისწინებლად.

მეთოდოლოგიური სიახლეა ქართველურ-ნახურ ენათა შესატყვისობებისა და ძიებაში **შებრუნებული წყობის** ძირთა გამოვლენა და მათი გათვალისწინება შედარებით ანალიზში (ს.-ქართვ. *ტესკ : ს.-ნახ. სკიჟ).

ახლა, რაც შეეხება ფონემათა შესატყვისობებს კონკრეტულად:

ვოკალიზმი

დისერტანტის ვარაუდით, როგორც საერთოქართული, ისე საერთონახური ვოკალური სისტემა იყო მარტივი — შედგებოდა ხუთი ხმოვნისაგან: /*ა *ე *ი *ო *უ/. ბუნებრივია, ფუძეენურ სისტემაშიც ხუთი ხმოვანია სავარაუდებელი. ის განსხვავება, რაც სინქრონიულ დონეზე გვაქვს ენებს შორის ჯგუფების შიგნითაც და ჯგუფების მიმართებაშიც, გვიანდელია, კერძოდ, გვიანდელია პალატალიზებული, ნაზალიზებული და გრძელი ხმოვნები; განსხვავებით ქართველური ენებისგან, ნახურ ენებში ხმოვანთა ნაზალიზაციაც ხდება.

კონკრეტული ძირების მიხედვით ნაჩვენებია ხმოვან ფონემათა შესატყვისობა როგორც ნახური და ქართველური ჯგუფების შიგნით, ისე საერთოქართველურისა და საერთონახურის მიმართებაში, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას ამოსავალი ხმოვანი გამოიყოს ფუძეენაში. სანიმუშოდ მოგვყავს სქემა ფუძეენური /*ა/-ს კორესპონდენციებისათვის საერთოქართველურსა და საერთონახურში

ფუძე- ენური	ს.-ქართ.	ს.-ნახ.	
	*ა	*ა	ს.-ქართ. *კაც- : ს.-ნახ. *სთაკ-
*ა	*ა	*ო	ს.-ქართ. *ტალ- (ს.-ნახ.) *ტოლ (იჩქ. ტულგ ტოლგ; ინგ. ტოლგ)
	*ა	*ე	ს.-ქართ. *კანძ- : ს.-ნახ. კეჯ (ინგ. კეჟ, ბაცბ. კეჟ)
	*ა	*ი	ს.-ქართ. *ნახ- : ს.-ნახ. ნიჰა (ქართ. ნახორი; ინგუშ.-ბაცბ. ნიჰა)

ასევე საერთოქართველურ /*ე/-ს საერთონახურში შესატყვისება საერთონახური /*ა/ [ს.-ქართ. *წურ : ს.-ნახ. *ჰან (<*ჰთან „ნიკაბი“)] ან საერთონახური /*ი/ (ს.-ქართ. *ტესკ-ულ- „ვარსკლავი“ : ს.-ნახ. *სკიტ- ს.-ქართ. ებ (მრ. სუფიქსი) : ს.-ნახ. -ბი (მრავლ. სუფიქსი ბაცბურში).

აღარ განვაგრძობთ ხმოვანთა შესიტყვებების ჩვენებას სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით. აღვნიშნავთ, რომ მასალა საგულდაგულოდ არის დაძებნილი და შეპირისპირებული ფორმალური და სემანტიკური თვალსაზრისით, ფონეტიკური გადახრებიც არგუმენტირებულია, მაგალითად *წურ : *ჰან (<*ჰთან) შესატყვისობაში ა ხმოვნის სიგრძე საკომპენსაციაო ([ტ]-ს დაკარგვისა), [ტ]-საც გამართლება ეძებნება ს.-ქართ. *წურ-ის მიხედვით.

ჩვენი შენიშვნა ამ ნაწილის მიმართ და, საერთოდ, სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მთლიანად არის სესხებათა გაუთვალისწინებლობა, უფრო ზუსტად: სამეცნიერო ლიტერატურაში ნასესხებად მიჩნეული სიტყვების (თანაც კულტურის სფეროში) შესატყვისობებში შეტანა კომენტარის გარეშე, მაგალითად ისეთი ნასესხობები, რომელთაც ინდო-ირანულ ენებში ფონემური შესატყვისობები ეძებნა (ხორბალი, ვანი, ვერძი...) უთუოდ მოითხოვდა ქრონოლოგიურ კომენტარს (სესხების დროისა და მიმართულების განსაზღვრით).

მეორე ჩვენი შენიშვნა ვოკალიზმთან დაკავშირებით ეხება სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული რეკონსტრუქციისთვის გვერდის ავლას. მხედველობაში გვაქვს წინარექართველურში სამი მოკლე და გრძელი ხმოვნის რეკონსტრუქცია (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ამრიგად რეკონსტრუქციის სისტემა და მისი შემდგომი ცვლილება განსხვავებულია სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილისაგან.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დისერტანტი ჩვენგან მოითხოვს ასეთ ანალიზს; იძლევა მხოლოდ საკუთარ ვარიანტს... საინტერესო კი იყო უკვე

ცნობილი დებულებების მისეული კომენტარის მოსმენა.

სესხებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ზოგი „საერთო წარმომავლობის“, ანუ „ფუძეენისეული“ ძირი შესაძლოა ნასესხები იყოს **უშუალო ურთიერთობის გზით**: ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები უშუალოდ ესაზღვრებიან ნახურ სამყაროს წოვა-თუშები (ბაცბური ენის მატარებლები) ხომ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით არიან დაკავშირებული მთის დიალექტთა წარმომადგენლებთან. ასეთ ვითარებაში, **რა თქმა უნდა**, სიტყვათა სესხებას ვერ გამოვრიცხავთ, პირიქით, აუცილებლობით ივარაუდება. სანიმუშოდ ავიღოთ წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული გალო „მუხლის ან მკლავის დიდი ძვალი“ (თუშ., ხევს., ფშ.). მას აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ვერ შევხვდებით. სარეცენზიო ნაშრომში მითითებული სვანური გულ „მუხლი“ არ ჩანს ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“, ვერც ინსტიტუტის სვანმა თანამშრომლებმა დაგვიდასტურეს. ვფიქრობთ, გალო ნასესხებია აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში (სვანურისთვის კი საჭირო იყო წყაროს მითითება, თუ ასეთი არის).

ქართველურ-ნახური ენების გენეტიკური სტრუქტურული მსგავსების თვალსაზრისით (ხმოვანთა შესატყვისობის ფონზე) უთუოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ (1) მორფემის ფარგლებში ნახურ ენებსაც არ ახასიათებს ხმოვანთა კომბინაციები, მორფემათა საზღვრებზე კი მსგავსი მორფონოლოგიური ცვლილებები ვითარდება ($V-V > \bar{V}$, $V-V > V\bar{V}$...), (2) სიტყვის ბოლოს ხმოვანთა რედუქცია წოვა-თუშურსა და სვანურში, ჩვენი მხრით დავსძენთ — აღმ. საქართველოს მთის დიალექტებშიც (რაც ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მკაფიოდ გამოჩნდა); (3) ვფიქრობთ, ამათ (1, 2) უნდა დაემატოს ორმარცვლიანობის ტენდენცია, რაც ფონემატური გენეტიკური თვისება ჩანს სიტყვათა სიგრძესთან დაკავშირებით (გენეტიკური დამახასიათებელია ფუძეთა ერთ- და ორმარცვლიანობა).

კონსონანტიზმი

რეკონსტრუირებულ საერთონახურ თანხმოვანთა სისტემაში, საერთო-ქართველურისგან განსხვავებით, წარმოდგენილია ლატერალი /ლ'/, ინტენსიური ხშულები, ფარინგალური ნაპარალოვნები ჰა და ჰ; ორსავე რეკონსტრუირებულ სისტემაში ზის სონანტი /ჟ/; რაც შეეხება /ღ/ სონანტს, იგი არ ჩანს საერთოქართველურ სისტემაში (იხ. გვ. 79).

II ნაწილის დასაწყისში დისერტანტი სპეციალურად მსჯელობს „სონორთა სისტემის ამოსავალი ტიპის“ შესახებ საერთოქართველურში (გვ. 81).

დისერტანტის რეპლიკით თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ცნობილი თვალსაზრისისადმი **SC** თანამიმდევრობის გვერდით საერთონახურში აკ-

რძალულია **CS** რიგი (ე. ი. არ ყოფილა *ჯოდრ ტიპის თანამიმდევრობა), ამიტომ, ასკენის ის, „სონანტთა მარცვლოვანობის თეორია ძალას ჰკარგავს“ (გვ. 81).

დისერტანტი ქართულ-ნახური შესატყვისობების დადგენით საუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს, ვფიქრობთ, წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ა ც, ამიტომ ამ ნაშრომის ყველა დებულება მკაცრ მიდგომას მოითხოვს: სონანტთა თეორიის ავტორთა აზრით, რადგან ქართულ ძალს და სვან. ეედჷ (ლ > ჭ პროცესისა და დეზაფრიკატიზაციის გათვალისწინებით: *ჯალლ > ჟალჷ) ამოსავალ ორმარცვლიან *ძალლ^o ფუძეს გვაგარაუდებინებს, ზანურის ჯოლორ სწორედ /ლ^o/-ზე მიგვითითებს: „დამავალი ღიაობის კანონით“ [*ლ^o] იძლევა [ორ[კომპლექსს, ხმოვანი აქ სიტყვის თავკიდურის გავლენით ყალიბდება.²

რაც შეეხება საერთოქართველურ და საერთონახურ სონორთა და ჩქამიერთა შესატყვისობებს კონსონანტურ სისტემაში, ამას დისერტანტი შემდეგი თანამიმდევრობით ახორციელებს: ჯერ წარმოდგენილია სონორთა შესატყვისობები, შემდეგ კი — ჩქამიერებისა, კერძოდ, ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ხშულთა სამეულების წევრებისა და სიბილანტთა (ნაპრალოვნებისა და აფრიკატების) შესატყვისობები ქართველურსა და ნახურ ენებს შორის.

1. შესატყვისობები მოცემულია ყველა სონორისთვის: *ლ : *ლ, *რ : *რ და ა. შ. გარდა პირდაპირი შესატყვისობისა, წარმოდგენილია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი ქვესახეობებიც (პირდაპირის მაგალითია, მაგ., ს.-ქართ. *ლ : ს.-ნახ. *ლ [ქართ. ლალ „ლაღავს“, ზან. ლოლ „გალღავ“- იჩქ. ლღღარ, ბაცბ. ლღღარ (თუ ლღღარ?)... გამოვლენილია საერთონახურის /*ლ/-ს [მ], [ნ], [დ], [ჰა] ვარიანტები. ამნიარადვეა განხილული ყველა ფუძისეული სონორი საერთოქართველური და საერთონახური შესატყვისობებით. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით დისერტანტი შენიშნავს: „საყურადღებო სონორული ტიპის ბგერათცვლილებაში დიახაც ის არის, რომ საერთონახურსა და საერთოქართველურს შორის ფიქსირებულ ფონემურ მიმართებებსა და შესატყვისობებს პარალელი ეძებნება ქართველურსა და დღესტურ ენებს შიგნით არსებული შესატყვისობების სახით“... (გვ. 122).

საყურადღებოდ გვეჩვენება ს.-ქართვ. *ს : ს.-ნახ. *ჟ სიტყვის თავში ქართველურ ენებში, დისერტანტის შენიშვნითი, ადგილი უნდა ჰქონოდა ს > ჰ > Ø გარდაქმნას (ეს ბგერები დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია დღესაც ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში — ეს ეხება როგორც გრამატიკული ფუნქციის მქონე ს-ს, ისე ძირეულ ს-ს). რეკონსტრუირებულია *ჰსჷტილ, რომლის ჰ- მიჩნეულია კლასის ს- ნიშნის ფონეტიკურ ვარი-

² პრობლემები ამ თეორიასაც აქვს, როდესაც ქართულსა და სვანურში [ლ^o]-ს ხმოვნობის დაკარგვა მახვილის გავლენას მიეწერება (ვფიქრობთ, ამით არნ. ჩიქობავას ინტენსიური და მოძრავი მახვილის აღდგენა ხდება).

ანტად (შდრ. სვან. ჰასტიშ „ასული“). **ჰ**-, როგორც პირის ნიშანი, ამ თვალ-საზრისს განამტკიცებს.

კანონზომიერია მორფონოლოგიური ცვლილება რეკონსტრუირებული ს.-ქართვ. *ს-ვენ ფორმაში (ზან. ცხონ < *სხონ, სვან. ლგვ) : სვენ > ვსენ /ვსენ/ ფუძე ძირის მიხედვით შეპირისპირებულია ს.-ნახ. /ბ-ვ-ე/-სთან. საერთო ძირის მიხედვით ნახურში გამოიყოფა ბ-კლასის ნიშნად, ამავე მიზეზით ქართველური ს-ც (*სვენ) კლასის ნიშნად გამოიყოფა. ასეთი ვარაუდის საფუძველს ისიც იძლევა, რომ, როგორც ნახური **ბვ**-, ისე ქართველურ **სვ** ანლაუტში არაბუნებრივი კომპლექსებია და მათი მორფონოლოგიური გარდაქმნა ექვემდებარება ფონემატურ მოთხოვნებს ორივეგან; შდრ. იჩქ. ფხი „ჰსენი“, ბაც. ფხე „დელამო“.

ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ეს ერთგვარად [ჰ]-ს გაჩენის გზებსაც გვისახავს: [ჰ] /*ს/-ს რეფლექსია, შემდეგ ხდება მისი ფონემიზაცია (არ გვხვდება ძირებში, აქვს იგივე გრამატიკული ფუნქციები, რაც /ს/-ს; /ჰ/-ს შესატყვისებიც არ ეძებნება).

საყურადღებოა პარაგრაფი **ლ ა ბ ი ა ლ ი ე ბ უ ლ თ ა ნ ხ მ ო - ვ ა ნ თ** შესახებ: ამ კომპლექსებს დისერტანტი განიხილავს **ც** ფორმულით და კომპონენტებს მიიჩნევს დამოუკიდებელ ფონემებად.

ნახურ ენებში ლაბიალური კომპლექსები აღარ დასტურდება; თითო-ოროლა იძებნება ბაცურში. საჭირო გახდა რეკონსტრუირებული *ტ-ს სუბერაციის დადგენა (შდრ. ს.-ქართვ. *ტტინ : ს.-ნახ. *ტუმ : იჩქ., ინგუშ. „ძელის ტვინი“, ბაც. ტუმ) /ვ/-ს ჩავარდნას დისერტანტი აქცესიურ კომპლექსთა „დამავალი ღიაობის წესით“ ახერხებს. ეს ეხება ანლაუტის კომპლექსებს. **ც** კომპლექსებში სიტყვის თავიდან დასაწყისად [ტ] ნებისმიერ **ც**-ს აღმატებოდა ნაპრალოვნობით და ქმნიდა არაბუნებრივ თანამიმდევრობას. ხდებოდა ტ-ს მეტათეზისი და ტ > ბ, ტ > ფ ცვლილება. სავარაუდებელია, ეს სიმულტანური პროცესია: რომელიმე *ჭტელ (შდრ. ქართვ. *ღტერ „სვე...“) ფუძეში აქცესიური ჭტ გადადის ტშ-ში (დეცესიურში) და მზარდი ნაპრალოვნობის წესით ერთდროულად ხდება ტშ/ბშ შენაცვლება; ტ > ბ განპირობებულია მომდევნო შ-ს მჟღერობით; შდრ. ს.-ქართვ. *ხტით (სვ. ტოხტიშდ) : ს.-ნახ. *ფხი, რომლის მიღების გზა ასეთია: *ხტი > ტხი/ფხი, სადაც ტ > ფ შეპირობებულია მომდევნო ფშენიერის /ხ/ ფონემით. ანალოგიური პროცესები კარგად არის ცნობილი ქართველურ ენებსა და დიალექტებში.

ფრიად მნიშვნელოვანია II ნაწილის V თავი, რომელშიც განხილულია სიბილანტთა სისტემა. ცნობილია შესატყვისობები: ქართ. სისინა: ზან., სვან. შიშინა, ქართ. შიშინა: ზან.-სვან. ველარიზებული შიშინა. დისერტანტი ქართველურ-ნახური ფუძეების შეპირისპირებით ანალიზს ახდენს აღნიშნულ მოვლენათა საფუძველზე. იგი წერს: „წინარეენური წარმომავლობის სისინა სიბილანტთა ნაწილობრივი გაშიშინების ზანურ-სვანური ერთგვაროვანი ფონეტი-

კური პროცესი საცნაურია საერთონახური ფუძე-ენისთვისაც“ (გვ. 160).

ანალიზი მიმდინარეობს ბგერათშესატყვისობების ორი სახეობით:

(1) ს.-ქართვ. სისინა: ს.-ნახ. სისინა და (2) ს.-ქართვ. სისინა: ს.-ნახ. ში-შინა, რომელთაგან პირველი გვიანდელია (/ჩ ჩ ჭ ყ შ/ > /ძ ც წ ზ ს/. ასეთი ვარაუდის საფუძველს ქართველურ ენებში იძლევა ქ. წვეთ: ზ. ჭვათ და ზ. წვათანს „წვეთავს“, ხოლო ნახურ ენებში იჩქ.-ბაცბ. ჟომ „მცირე“; შდრ. ინგუშ. ზამ "id", რაც საერთონახურშივე განხორციელებულია (გვ. 169).

არქაულ ვითარებას გვიჩვენებს ს.-ქართვ. სისინა : ს.-ნახ. შიშინა ნა-შრომის 170-ე და შემდგომ გვერდებზე წარმოდგენილია ქართველურ-ნახური შესატყვისები ფუძეენური */ძ ც წ ზ ს/ სიბილანტებისა.

ფე *ძ ს.-ქართვ. *ძ : ს.-ნახ. *ჯ, დეზაფრიკატიზაციით *ყ — ს.-ქართვ. *ძიძჟ „ძვალ“ (სვან. ჯიჯჟ, ზან. ჯიჯგ „ძვალმსხვილი“) : ს.-ნახ. *ჯიჯ (*ჯიჯ „ხორცი“ (ინგ.: ჟიჟიგ, ბაცბ. ჯიჯ „ხორცი“).

ს.-ქართვ. *ც : ნახ. *ჩ [ს.-ქართვ. *ცჟილ : ს.-ნახ. *ჩჟირ „ცვილი“; შდრ. ქართ. ცვილი, ზან. მჩირი, სვან. ჭჟიდ (< ჩჟიდ); იჩქ. ჩჟირ „გაუწმენ-დავი ცვილი“]. ს.-ქართვ. *წჟინ : ს.-ნახ. *ყჟირ (შდრ. ქართ. ზვინი, იჩ. ყირ, ინგუშ. ყერ || ყირ). ს.-ქართვ. *სჟელ : ს.-ნახ. *შარ „შრატი“, „ლო“ (შდრ. ქართ. დიალექტ. სველი „შრატი“, იჩქ., ბაცბ. შარ, ინგუშ. შარ).

ს.-ქართვ. */ჩ ჩ ჭ/: ს.-ნახ. /ღ, თა, ტა/ შესატყვისობა მიჩნეულია ფუძე-ნახურში შიშინა აფრიკატთა დესიბილაციის შედეგად. ფუძექართველურში განხორციელდა ველარიზაცია: ჯ > ჯა და ა. შ., რაც შეუძლებელი იყო ნახური ფონოტაქტიკური წესებით, აქ განხორციელდა დესიბილაცია და შედეგად მივიღეთ ს.-ქართვ. ჯ : ს.-ნახ. ჯა, ს.-ქართვ. ჩ : ს.-ნახ. თა, ს.-ქართ. ჭ : ს.-ნახ. ტა.

ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ხმულთა სამეულების ქართველურ-ნახური შესატყვისობები (*ბ : *ბ, *ფ : *ფ, *პ : *პ და სხვ. შდრ. ქართ. მრ. სუფიქსი ებ და ნახ. -ბი აგრეთვე მრ. რიცხვის გამომხატველი სუფიქსი; ქართ. *პატ „პატივი“ ნახ. *ბიდ (ბიტ და სხვ.).

დასტურდება შესატყვისობები რბილსასისმიერთა სამეულებისთვისაც ფონეტიკური ვარიანტებით, მაგ., *გ (> ქ) : *გ (ქართ. წიქარა, ბაცბ. წეგენ, იჩქ. წეენ „წითელი“).

ჯ > ხ სპირანტიზაცია ერთნაირად აღმოჩნდა დამახასიათებელი ორივე ჯგუფის ენებისთვის: შდრ. ქართ., სვან. ჯვნ, ჯნავს, მეგრ. ხონუა; იჩქ.-ბაცბ. ახარ „ხვნა“ და სხვ.

დისერტანტი ფუძეენაში აღადგენს /შ, ჰა/ ნაბრაროვნებს: ფე *შ — ს.-ქართვ. *ლ : ს.-ნახ. შ/ჰა (ქართ. ღუერ, ზან. ღვარალ „სვე“, „კვალი“, „ზოლი“; იჩქ., ინგუშ. ბჰალ „ორნატი“).

ს.-ქართვ. *ღ : ს.-ნახ. *ჰა (ქართ. ღება, ზ. ილუ „წაილო“, სვან. ხოლი „ართმევს“; იჩქ. ჯღჰჰარ, ბაცბ. ჯჰჰარ „წაღება“, „გატანება“) და სხვ.

ბოლო მესამე ნაწილში დისერტანტი გვაცნობს ბგერათშესატყვისობებს თანხმობანთა კომპლექსების მიხედვით (გვ. 244 და შემდეგ).

ფუძეენური მდგომარეობისათვის საერთოქართველურსა და საერთონახურის ჩვენებათა მიხედვით დისერტანტი მორფემათა C, VC, CV, VCV სახეობათა გვერდით აღადგენს CVC, CVCC, CCVC და CCVCC სტრუქტურის ფონემურ კომბინაციებსაც.

განხილულია ქართველურ-ნახური ენებისთვის დამახსიათებელი ჰარმონიული კომპლექსები, რომელთა რაოდენობა ოცამდე აღწევს (იხ. გვ. 245), შეპირისპირებულია ჰარმონიულ კომპლექსთა შესატყვისობის სამტკიცებლად სათანადოდ შერჩეული მასალა (მაგ. *ფხ : *ფხ — ქართ. ფ ხ ი ნ ი „ჩხირი“; ზან. ფ ხ ი ნ ი „თითისტარი“; იჩქ., ინგუშ. ფხა^ნ „ისარი“).

დისერტანტის დასკვნით, საერთო-ნახურისთვისაც, მსგავსად ქართულისა, დამახსიათებელი იყო კომპლექსთა მზარდი ნაპრალოვნობა. ამ თვალსაზრისით სრულიად კანონზომიერია, რომ ნახური ენები თავკიდურად გაურბიან ხშულთა კომბინაციებს, დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები კი მიჩნეული რედუქციის შემდგომ საფეხურად (გვ. 265).

საყურადღებოა დებულება ინტენსივთა ბიფონემურ რეფლექსებთან დაკავშირებით: ს.-ქართვ. სთ : ს.-ნახ. თა ფუძეენაში ვარაუდობს *თა ინტენსივს (გვ. 164). ამ საკითხს დისერტანტი თანხმობანთა კომპლექსების შესატყვისობათა განხილვისასაც უბრუნდება (იხ. გვ. 272).

დისერტანტის აზრით, თანხმობანთა ისტორიული სიგრძე გამოიხატა ორი ფონემის არითმეტიკული ჯამით: *თა > *სთ (ცა და ჩა შერწყმით შემდეგ იძლევიან ცხ კომპლექსს).

შეგნიშნავთ, რომ არსებობს /თ/-ს პალატალიზაციით შთ კომპლექსის წარმოქმნის თეორიაც. ეს ხდება საუმლაუტო პოზიციაში (ი. მელიქიშვილი). ვფიქრობთ საჭირო იყო ამ თეორიის გათვალისწინება, რადგან ეს გარდაქმნა ტიპოლოგიურად სხვა ენათა ჯგუფებშიც მეორდება (შდრ. ბალკანურ არეალში tj > št და dj > žt), თანაც ქართული ფონოტაქტიკის წესებით მოსალოდნელი არ იყო ამოსავლად მიჩნეული სთ (გ. მაჭავარიანის მიხედვით ს₁თ) კომპლექსი.

სადისერტაციო ნაშრომი სამას გვერდზე მეტს მოიცავს. ჩვენ მხოლოდ ძირითადი დებულებები გადმოვეცით საილუსტრაციო თითო-ორილა მაგალითით:

ჩვენ წინაშეა მრავალწლიანი კვალიფიციური ლინგვისტური შრომის შედეგი: მუშაობა ჩატარებულია ნახური ენების ფარგლებში, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზის წესების დაცვით რეკონსტრუირებულია საერთოქართველური და საერთონახური სისტემები; შემუშავებულია წესები წინარექართველურისა და წინარენახურის საფეხურთა აღდგენისა, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება ფუძეენური სისტემის რეკონსტრუქცია პარადიგმატულ და სინტაგმატურ დონეებზე. წარმო-

დგენილია მათი დიაქრონიული გარდაქმნა ფუძეენური მდგომარეობიდან დღევანდელ ქართველურ და ნახურ ენებამდე. ეს უთუოდ დიდი მონაპოვარია კავკასიოლოგიაში.

რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმისგან, სადისერტაციო ნაშრომის ყველა დებულება ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ. ასეთი კომპარატივისტული ნაშრომი ჯერ არავის შეუქმნია. არსებითია ის, ნ. ტრუბეცკოის გამოთქმა რომ ვინმართობათა ენობრივი კვლევა წარმართა ლინგვისტიკის თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით. ბგერათშესატყვისობების დადგენით „ფანტასტიკის“ საფარველი ჩამოსცილდა ადრე ნაკვლევ გრამატიკულ მიმართებათა კვლევის შედეგებს. ეს გააკეთა ბატონმა მერაბ ჩუხუამ.

ამ კვლევის შედეგებს ბევრი ახალი მოემატება, ბევრი ჩასწორდება, ბევრიც უარყოფილი იქნება. არსებითია ის, რომ ბგერათშესატყვისობების დადგენა და მისი აღიარება ლინგვისტურ სამყაროში ახალ ეტაპს დაიწყებს კავკასიოლოგიაში.

ვშუამდგომლობ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა მერაბ ჩუხუას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

Tedo Uturgaidze

Review on M. Chukhua's work "A system of Sound-correspondences in the Kartvelian-Nakh Languages" (2006)

S u m m a r y

Before us there is an outcome of a long-term qualified linguistic work: the work is carried out in the limits of the Nakh languages, on one hand, and in the Kartvelian languages, on the other one; Common Kartvelian and Common Nakh systems are reconstructed using the rules of historical-comparative analysis, the rules of the reconstructing stages of pre-Kartvelian and pre-Nakh are worked out, as a result of which the reconstruction of a radical language system on a paradigmatic and syntagmatic levels is possible. Their diachronic transformation from a radical language statement till the present Kartvelian and Nakh languages are represented. This is undoubtedly a great achievement in Caucasiology.

სარჩევი

ნ. ახვლედიანი — ერთი გვარის ისტორიისათვის აჭარაში	3
N. Akhvlediani — The Origin of one surname in Adjara	17
ლ. ბაკურაძე — თვისებისა და რიცხვის ექსპრესიული გამოხატვის შემთხვევები -ობა სუფიქსიან სახელებში	19
L. Bakuradze — Cases of Expressional Expressing of Property in the Nouns with the Suffix -oba	24
ნ. ბართაია — ფერეიდნული ლექსიკიდან ყორი	25
N. Bartaia — From Fereidanian Dictionary qori	26
გ. ბედოშვილი — ქართული ონომატოლოგიის უმნიშვნელოვანესი შენაძენი	27
G. Bedoshvili — An Significant Acquirement of the Georgian Onomatology	32
მ. ბერიძე — ფიზიკური მდგომარეობის ზმნები და „არსებობის“, „მყოფობის“, „მკვიდრობის“ გამოხატვა ქართულში	33
M. Berbdze — Verbs of Physical Condition and Expression of "Existence", "Being" and "Inhabitance" in Geotgian Language	42
თ. ბურჭულაძე — ერთი სახის შეკვეცილი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია საშუალ ქართულში	44
T. Burtchuladze — One Type of Elided Hypotactic Construction in	
ე. გაზდელიანი — მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგი საკითხი სვანური ენის სახელებში	49
E. Gazdeliani — Some questions of plural formation in Cvan nouns	61
ქ. გიგაშვილი — I და II ბრძანებითის მწკრივები საშუალ ქართულში	63
K. Gigashvili — I and II Imperative Rows in Mid-Georgian language	74

გ. გოგოლაშვილი — ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები II. საენათმეცნიერო ტენზინოლოგიის წარმოქმნა-ჩამოყალიბება	75
G. Gogolashvili — Issues of Modern Standard Georgian 2. Formation and Development of Technical Terminology	103
ლ. ეზუგბაია — უღლების პარადიგმატული ტიპები მეგრულში	104
L. Ezugbaia — The Paradigmatic Types of the Conjugation in Megrelian	113
თ. ვაშაკიძე — ზმნური და სახელური კოორდინატებისათვის თანამედროვე ქართულში	115
T. Vashakidze — Towards the verbal and nominal coordinatives in the modern Georgian.....	126
რ. იოსელიანი — კოდორის (resp. დალის) ხეობის ეთნოლინგვისტური ხასიათის კომენტარები	127
R. Ioseliani — Ethnolinguistic commentaries of Kodori (resp. Dali) gorge	132
ც. კვანტალიანი — ისევ ტერმინ კათ ალიკოსის თაობაზე.....	134
Ts. Kvantaliani — Agin Towards the Issue on a Term <i>katalikōs</i>	141
ქ. მარგიანი-სუბარი — მირთვა და თანდებულიანი ფორმები კოდორისა და ენგურის ხეობათა სვანურში.....	142
K. Margiani-Subari — One of the Interrelations and Postpositional Forms in the Kodori and Enguri Gorges' Svan	154
ვ. მაღრაძე — გურამ ბედოშვილი — ქართული ონომასტიკონის მკვლევარი	155
V. Maghradze — Curam Bedoshvili – a Researcher of Georgian Onomastics ...	160
ნ. მაჭავარიანი — ლექსემა გაგანია-ს წარმომავლობისათვის.....	161
N. Matchavariani — Towards the Origination of the Lexeme <i>gagania</i>	164
ნ. ოთინაშვილი — ქსნის ხეობის (საერისთაოს) რამდენიმე ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის	165
N. Otinashvili — Towards the Localization of Some Toponyms of the Ksani	

	Gorge (Saeristao)	169
მ. ოსაძე, ნ. დათეშიძე — დანიშნულების კონფიქსთა სიტყვამაწარ- მოებელი ფუნქციები ქართულ ტარმინოლოგიაში		170
M. Osadze, N. Dateshidze — Word-Formative Functions of Confixes of Designation in Georgian Terminology		178
მ. საღლიანი, ე. გაზდელიანი — სვანური ენის ლაშხურ და ბალს- ქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში		180
M. Sagliani, E. Gazdeliani — Towards One Case of Interference of the Lashkian and Low-Bal Dialects of Svan in the Kodori (resp. Dali) Gorge		195
ნ. სურმავა — სამხრულ-ქართული მეტყველების ლექსიკიდან: ხოშ ნაწილაკი		196
N. Surmava — From Southern Georgian Speech Vocabulary: xoš /khosh/ particle		202
მ. სუხიშვილი — გარდამავლობის საკითხი რთულ ზმნებში (ძველი ქართულის მიხედვით)		203
M. Sukhishvili — The Issues of Transitivity of Analytical Verbs <i>On</i> <i>the evidence of Old Georgian material</i>		217
თ. უთურგაიძე — ველთა ირიბობიექტური პირის ნაცვალსახელად ძველ ქართულში		218
T. Uturgaidze — The Pronoun <i>qelta</i> in a Role of an Indirect Object in Old Georgian		221
ნ. შავრეშიანი — ერთი მაქვემდებარებელი კავშირის შესახებ სვანურში		222
N. Shavreshiani — On One Subordinative Conjunction in Svan		226
მ. ჩუხუა — დამატებითი მასალები საერთოქართველური ფუძე-ენის ლექსიკური ფონდისათვის		227
M. Chukhua — The Additional Materials for the Commonkartvelian Proto-language Lexical Fund		250

- ბ. ცხადაია** — აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია ზანურ ენაში (მეგრული ტოპონიმიკური მასალის მიხედვით).....251
- P. Tskhadaia** — Affricatization and Desaffricatization in Zan (According to Megrelian Toponymy).....267
- რ. ჭკადუა** — აბლაუტის საფეხურთა განაწილებისათვის სვანური ენის ფუძედრეკად ზმნათა ფორმებში.....268
- R. Tchkadua** — Towards the Distribution of Ablautive Stages in the Forms of Root-Ablautive Svan Verbs.....279
- ნინო ჭუმბურიძე** — უქონლობა-უარყოფის მაწარმოებლები ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.....280
- N. Tchumburidze** — The Affixes Expressing “Lack”, “Negation” on Different Stages of the Literary Georgian.....284
- ნინო ხახიაშვილი** — კაც- სიტყვის ისტორიისათვის.....285
- Nino Khakhiashvili** — Towards the History of the Word *ḱaci* (“a man”).....307
- ლალი ხუჭუა** — ქართულ-რუსული ბიბლიური ფრაზეოლოგიური ლექსიკონისათვის.....308
- Lali Khutchua**—Towards the Georgian-Russian Biblic Phraseologic Dictionary310
- ცირა ჯანჯავა** — ოთხი მეგრული სიტყვა სიტყვაწარმოებისა და იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით.....311
- Tsira Janjgava** — Four Megrelian Words from the Viewpoint of Word-Forming and Participating in the Idioms.....316
- ნინო ჯორბენაძე** — -ობ თემისნიშნისანი სამუდამი გვარის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.....317
- Nino Jorbenadze** — The Structural-semantic Analysis of the Medial Verbs with the Thematic Suffix -ობ in Modern Georgian.....325
- თედო უთურგაიძე** — რ ე ც ე ნ ზ ი ა მ. ჩ უ ხ უ ა ს ნაშრომზე — „ბგერათმესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში“, 2006.....326
- Tedo Uturgaidze** — Review on M. Chukhua’s work “A system of Sound-correspondences in the Kartvelian-Nakh Languages” (2006).....335